ცვლილებები ახალი მსოფლიო წესრიგში: ძირითადი აქტორები და გამოწვევები

ქეთევან გიგილაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

kgigilashvili@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0008-5421-5708

DOI: 10.52340/splogos.2026.01.01

აბსტრაქტი

მოცემული სტატია აანალიზებს XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციას აშშ-ის მიერ დომინირებული უნიპოლარული სისტემიდან უფრო კომპლექსურ, მრავალპოლარულ მოდელზე. ნაშრომში გაანალიზებულია ძირითადი გეოპოლიტიკური აქტორების – ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და რუსეთის – როლი და სტრატეგიული მიზნები ამ პროცესში. აშშ წარმოდგენილია, როგორც ლიბერალური წესრიგის არქიტექტორი, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს ჰეგემონია მზარდი კონკურენციისა და შიდაპოპულიზმის ფონზე. ჩინეთი განხილულია, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ძალა, რომელიც „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივითა და სამხედრო მოდერნიზაციით აქტიურად აყალიბებს ალტერნატიულ გლობალურ გავლენებს. რუსეთი აღწერილია, როგორც რევიზიონისტული ძალა, რომელიც მულტიპოლარულობის ადვოკატირებითა და სამხედრო ინტერვენციებით (საქართველო, უკრაინა) ცდილობს დასავლური დომინირების შეზღუდვასა და საკუთარი გავლენის სფეროების აღდგენას. ცალკეული ყურადღება ეთმობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას („NATO“), როგორც კოლექტიური უსაფრთხოების გარანტის რეაქტივაციასა და მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, მათ შორის ალიანსის გაფართოების საკითხსა და რუსეთიდან მომდინარე ეგზისტენციალურ მრავალ საფრთხეს. სტატია ასკვნის, რომ თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ხასიათდება დიდი ძალების მეტოქეობით, ტექნოლოგიური რბოლით და საერთაშორისო ნორმების ევოლუციით.

საკვანძო სიტყვები: მრავალპოლუსიანობა, გეოპოლიტიკური აქტორები, ლიბერალური წესრიგი, ჰეგემონია, კოლექტიური უსაფრთხოება.

Shifts in the New World Order: Key Actors and Challenges

Ketevan Gigilashvili, PhD Student of International Relations,
Faculty of Law and International Relations,
Georgian Technical University,
kgigilashvili@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0008-5421-5708

Abstract

This article examines the transformation of the 21st-century world order from a U.S.-dominated unipolar system to a more complex, multipolar model. The paper analyzes the roles and strategic goals of the key geopolitical actors, the United States, China, and Russia, within this process. The United States is presented as the architect of the liberal world order, striving to maintain its hegemony amid rising competition and domestic sentiments such as populism. China is discussed as a critical economic and technological power that is actively shaping alternative global influences through its "Belt and Road Initiative" and significant military modernization. Russia is described as a revisionist power advocating for multipolarity while attempting to restrict Western dominance and restore its own spheres of influence through military interventions, specifically in Georgia and Ukraine. Particular attention is given to the reactivation of NATO as a guarantor of collective security and the challenges it faces, including the issue of alliance expansion and existential threats emanating from Russia. The article concludes that the contemporary world order is characterized by great power rivalry, a technological race, and the evolution of international norms.

Keywords: Multipolarity, geopolitical actors, liberal order, hegemony, collective security.

მოცემული **სტატიის მიზანია** XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზი. კერძოდ, ნაშრომი მიზნად ისახავს: აშშ-ის მიერ დომინირებული უნიპოლარული სისტემიდან მრავალპოლარულ (მულტიპოლარულ) მოდელზე გადასვლის შეფასებას.ძირითადი გეოპოლიტიკური აქტორების – აშშ-ის, ჩინეთისა და რუსეთის – სტრატეგიული მიზნებისა და მათი როლის განსაზღვრას ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში. „NATO“-ს, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების გარანტის, რეაქტივაციისა და მის წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევების მიმოხილვას. იმ გავლენის ჩვენებას, რასაც ტექნოლოგიური რბოლა, ეკონომიკური ექსპანსია და სამხედრო ინტერვენციები ახდენს საერთაშორისო ნორმების ევოლუციაზე.

თეორიული ჩარჩო: ნაშრომი ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობების რამდენიმე საკვანძო თეორიას: ნეორეალიზმი: სისტემური მიდგომა ძალთა ბალანსის გადანაწილებაზე დიდ სახელმწიფოებს შორის. ცივილიზაციათა შეჯახება (ს. ჰანთინგტონი): მსოფლიო წესრიგის ხედვა, როგორც მულტიპოლარული და მრავალცივილიზაციური სისტემა. ჰეგემონიური სტაბილურობა და ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი: აშშ-ის, როგორც ლიბერალური წესრიგის არქიტექტორის, როლის შეფასება. რევიზიონიზმი: რუსეთის ქმედებების ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავს არსებული საერთაშორისო ნორმების გადახედვას. რბილი და ხისტი ძალა (ჯ. ნაი): კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის ინსტრუმენტების მიმოხილვა.

შესავალი

XXI-ე საუკუნე მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი ცვლილების საუკუნედ შეიძლება დავასახელოთ. მიმდინარე პერიოდში მსოფლიო წესრიგი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, რაც განპირობებულია ახალი ძალების გაძლიერებითა და არსებული მეტწილად დასავლური ძალების გამოწვევით.[1] ბოლო რამდენიმე წელია მსოფლიო წესრიგში ამერიკის შეერთებული შტატების დომინირებული

[1] Zhao, Suisheng. 2025. The New World Order and China's Role in Global Transformation: Navigating US-China Competition. New York: Oxford University Press.

უნიპოლარული მდგომარეობა უფრო კომპლექსურ, მრავალპოლარულ სისტემაზე გადადის.[2] აღნიშნული მოიცავს ძალთა ბალანსის გადანაწილების მნიშვნელოვან ცვლილებებს, ახალი აქტორების წარმოჩენასა და საერთაშორისო ნორმებისა და ინსტიტუტების ევოლუციას.

ცივი ომის შემდგომი უნიპოლარული სისტემა, სადაც აშშ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დომინანტი გარანტი იყო, ამჟამად ტრანსფორმირდება და ყალიბდება „ახალი მსოფლიო წესრიგი“ – უფრო კომპლექსური, მრავალპოლარული და ნაკლებად პროგნოზირებადი გლობალური სისტემა. შეცვლილმა საერთაშორისო ვითარებამ ახალი რეალობის გააზრების საჭიროება წარმოშვა, შესაბამისად, დაიწყო აქტიური პოლიტიკური და სამეცნიერო დისკურსი, რომელიც აფასებს ძველსა და ახალ მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგს და მსოფლიო პოლიტიკის განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობს.[3]

ცვლილებები ახალ მსოფლიო წესრიგში და მისი აქტორები

ახალი მსოფლიო წესრიგის ცვლილებების ქვაკუთხედს ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა, რუსეთის ასერტიული პოლიტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციების ევოლუცია წარმოადგენს.[4] დასავლური ლიბერალური ღირებულებების დომინანტური ნარატივი დადგა გამოწვევის წინაშე, ალტერნატიული ნარატივების მხრიდან, რომლებიც ხაზს უსვამენ რეგიონულ იდენტობებს, კულტურულ და სოციალურ მრავალფეროვნებას, ასევე განვითარების ალტერნატიულ მოდელებს.[5] ამას გარდა, სწრაფმა ტექნოლოგიურმა წინსვლამ ხელი შეუწყო ძალთა გადანაწილებას, ეკონომიკის გარდაქმნასა და შექმნა ახალი გამოწვევები და შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობებისთვის.[6]

[2] Liu, Z. "The Shift to Multipolarity: Global Power Dynamics in the 21st Century." *Info Sains: Journal of Science* 13, no. 2 (2023): 564–572.

[3] Zhao, Suisheng. 2025. The New World Order and China's Role in Global Transformation: Navigating US-China Competition. New York: Oxford University Press

[4] Samuel P. Huntington, “The Lonely Superpower,” *Foreign Affairs* 78, no. 2 (1999): 30–35.

[5] Samuel P. Huntington, “The Lonely Superpower,” *Foreign Affairs* 78, no. 2 (1999): 30–35.

[6] Liu, Z. "The Shift to Multipolarity: Global Power Dynamics in the 21st Century." *Info Sains: Journal of Science* 13, no. 2 (2023): 560-567.

მულტიპოლარულობის გაძლიერების შესაბამისად, მსოფლიო დაშორდა აშშ-ის მიერ დომინირებულ უნიპოლარულ სისტემას[7] და გადავიდა მულტიპოლარულ წესრიგზე, მრავალი ძალის ცენტრით,[8] მათ შორის ჩინეთით, რუსეთით და რეგიონული გაერთიანებებით, როგორიცაა „BRICS“, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და ევროკავშირი.[9] „მსოფლიო ახალი წესრიგის ფორმირების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი“,[10] წამყვანი აქტორები, რომლებიც ცდილობენ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას საკუთარი ინტერესების გაძლიერებითა და გატარებით:

ამერიკის შეერთებული შტატი

შეერთებული შტატები დასავლური ცივილიზაციის ბირთვულ სახელმწიფოს წარმოადგენს და რჩება მთავარ აქტორად ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში, ცდილობს რა შეინარჩუნოს ჰეგემონური სტატუსი. სამუელ ჰანთინგტონი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგი“ არის მულტიპოლარული სისტემა, რომელშიც აშშ ცდილობს შეინარჩუნოს თავისი უნიპოლარული დომინირება ისეთი ძალების კონკურენციის ფონზე, როგორიცაა ჩინეთი და რუსეთი.[11]

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამერიკა ერთადერთ ზესახელმწიფოდ იქცა, რომელმაც საკუთარი ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული გავლენა გლობალურ ინსტიტუტებზე ზემოქმედებისთვის გამოიყენა. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომმა და „NATO“-ს გაფართოებამ მისი ძალაუფლების ცალმხრივი პროექტირების უნარი ნათლად აჩვენა. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უფროსის 1991 წლის გამოსვლა, რომელიც ხშირად არასწორად არის გაგებული კონსპირაციული თეორიების მიმდევრების მიერ, სწორედ ამ ხედვას

[7] Ibid., 35–49.
[8] Richard Haass, “The Age of Nonpolarity: What Will Follow U.S. Dominance,” *Foreign Affairs* 87, no. 3 (2008): 44–56.
[9] Oliver Stuenkel, *The BRICS and the Future of Global Order* (Lanham: Lexington Books, 2015), 1–15.
[10] ქეთვან ჯიჯეიშვილი, გიორგი ჩხიკვიშვილი, – „მსოფლიო პოლიტიკა" 2018.
[11] Samuel P. Huntington, The Clash of Civilizations and the Remaking of World Order (New York: Simon & Schuster, 1996).

აყალიბებდა: „ახალი მსოფლიო წესრიგი, სადაც მრავალფეროვანი ერები გაერთიანდებიან საერთო მიზნისთვის – კაცობრიობის უნივერსალური მისწრაფებების მისაღწევად.“[12]

შეერთებული შტატების, როგორც ახალი მსოფლიო წესრიგის წამყვანი ძალის, გავლენა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით გამოიხატება:

- **მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგის არქიტექტორი:** მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა ჩამოაყალიბა ლიბერალური წესრიგის საფუძვლები (გაერო, მსოფლიო ბანკი, სსფ, „NATO“). ეს ინსტიტუტები ათწლეულების განმავლობაში კოლექტიური უსაფრთხოების, თავისუფალი ვაჭრობისა და სტაბილურობის გარანტად იქცა.[13]
- **წესების დამდგენი და აღმსრულებელი:** ცივი ომის შემდგომ პერიოდში აშშ ასრულებდა „გლობალური პოლიციელის“ როლს. ის სამხედრო ინტერვენციებისა (სპარსეთის ყურე, ბალკანეთი) და ეკონომიკური სანქციების მეშვეობით საერთაშორისო ნორმების მთავარ აღმსრულებლად გვევლინებოდა.[14]
- **ეკონომიკური და ტექნოლოგიური ჰეგემონი:** აშშ ინარჩუნებს მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკის სტატუსს, რაც მას გლობალურ ფინანსურ და კომერციულ უპირატესობას ანიჭებს. ქვეყანა ლიდერია ტექნოლოგიურ ინოვაციებში (პროგრამული უზრუნველყოფა, ბიოტექნოლოგია, ვენჩურული კაპიტალი), რითაც მთელი მსოფლიოდან იზიდავს ინვესტიციებსა და ნიჭიერ კადრებს.[15],[16] ამასთანავე, აშშ დოლარი რჩება მთავარ სარეზერვო ვალუტად, რაც ვაშინგტონს აძლევს ბერკეტს, ფინანსური სანქციების მეშვეობით მოახდინოს გავლენა გლობალურ პროცესებზე.[17]
- **ვაჭრობის ლიბერალიზაციის ქვაკუთხედი:** ისტორიულად, აშშ არის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების ჩემპიონი, თუმცა ბოლო წლებში შეინიშნება ცვლილებები

[12] President George H.W. Bush, **State of the Union Address on January 29, 1991.**
[13] G. John Ikenberry, After Victory: Institutions, Strategic Restraint, and the Rebuilding of Order after Major Wars (Princeton: Princeton University Press, 2001); Robert O. Keohane, After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy (Princeton: Princeton University Press, 1984).
[14] Joseph S. Nye Jr., Soft Power: The Means to Success in World Politics (New York: Public Affairs, 2004).
[15] World Bank, World Development Indicators, 2024.
[16] International Monetary Fund, World Economic Outlook, 2024.
[17] International Monetary Fund, Annual Report on Global Reserve Currencies, 2024.

პროტექციონისტული ზომებისკენ, რამაც გამოიწვია ბევრი სავაჭრო დავა (მაგ., ჩინეთთან).[18]

- **აშშ როგორც ზესახელმწიფო უმნივნელოვანესი სამხედრო ძალა და ალიანსების ლიდერი:** აშშ ფლობს მსოფლიოში უძლიერეს სამხედრო ძალას, რაც განპირობებულია უპრეცედენტო დანახარჯებით, მოწინავე ტექნოლოგიებითა და გლობალური წვდომის უნარით.[19] ის ინარჩუნებს მნიშვნელოვან უპირატესობას საჰაერო, საზღვაო და საექსპედიციო შესაძლებლობებში.[20] ამას გარდა, როგორც ლიდერი აშშ სამხედრო ალიანსების ფართო ქსელის ცენტრშია, მათ შორის „NATO“-ს (ევროპა), ორმხრივი ხელშეკრულებების იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ავსტრალიასა და ფილიპინებთან (აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი).[21] ეს ალიანსები გადამწყვეტია ძალაუფლების პროექტირებისთვის, რეგიონული სტაბილურობის შესანარჩუნებლად და კონკურენტი ძალების დასაპირისპირებლად. NATO-ს გაძლიერებით აშშ ადასტურებს ერთგულებას ევროპაში კოლექტიური თავდაცვის მიმართ.[22] ეს კავშირები გადამწყვეტია ძალაუფლების პროექტირებისა და რეგიონული სტაბილურობისთვის. ჩინეთიდან მომდინარე გამოწვევების საპასუხოდ, აშშ აძლიერებს უსაფრთხოების ახალ ფორმატებს, როგორიცაა „Quad“ (აშშ, იაპონია, ავსტრალია, ინდოეთი) და „AUKUS“ (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, აშშ).
- **აშშ გაეროს უშიშროების საბჭოს** მუდმივი წევრია და რჩება საკვანძო მოთამაშედ თითქმის ყველა ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციაში, თუმცა მისი გავლენა მათში ზოგჯერ სადავოა.
- **დიპლომატიური ლიდერობისა და რბილი ძალის თვალსაზრისით:** ამერიკის როგორც ახალი მსოფლიო წესრიგის მთავარი აქტორი „რბილი ძალის“ მეშვეობით დიდ გავლენას ახდენს კულტურის, განათლების სისტემისა და სამეცნიერო ინსტიტუტებზე, იზიდავს რა ინოვატორებს აღნიშნული მიმართულებით.

[18] US international trade policy: Scenarios of protectionism and trade wars," Journal of Policy Modeling 46, no. 4 (July–August 2024): 723–739

[19] Brookings Institution, *Cultivating America's Alliances and Partners in the Indo-Pacific*, September 16, 2024

[20] Ibid 2024, 12–15.

[21] *Alliances and Partnerships in a Complex and Challenging Security Environment*, NATO Compendium, June 9, 2024

[22] Ibid., 34–45.

- **დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით:** აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ხშირად ხაზს უსვამს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას.

აშშ ნავიგაციას ეწევა სამყაროში, რომელიც აღარ არის უნიპოლარული, არამედ სულ უფრო მულტიპოლარული და ფრაგმენტული.[23] ის ჩართულია განახლებული დიდი ძალების კონკურენციაში ჩინეთსა და რუსეთთან, რაც მოითხოვს სტრატეგიული ფოკუსის და რესურსების განაწილების შეცვლას.[24]

დღეს დღეისობით შეერთებული შტატები აღარ არის უდავო ჰეგემონი, როგორიც ის იყო ცივი ომის დასრულებისთანავე.[25] თუმცა, მისი შეუდარებელი სამხედრო შესაძლებლობები, ინოვაციური ეკონომიკა, ალიანსების ფართო ქსელი და მნიშვნელოვანი რბილი ძალა ნიშნავს, რომ ის რჩება შეუცვლელ და ძირითად აქტორად „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფორმირებაში.

ამერიკელი პოლიტოლოგი სამუელ ჰანტინგტონი ვარაუდობდა აშშ-ის ჰეგემონიის თანდათანობით დასუსტებას მულტიპოლარულ, მრავალცივილიზაციურ სამყაროში. ნაშრომში „ცივილიზაციათა შეჯახება“ (1996) მან აღწერა „ახალი მსოფლიო წესრიგი“, სადაც აშშ-ს, როგორც დასავლეთის ბირთვულ სახელმწიფოს, გამოწვევებს შეუქმნიდა ჩინეთის აღზევება, სხვა ცივილიზაციების კულტურული წინააღმდეგობა და შიდა დაყოფა.[26]

ჩინეთი

ახალი მსოფლიო წესრიგს ერთ ერთ მნიშვნელოვან აქტორად ჩინეთი ჩამოყალიბდა. მისმა აღზევებამ ფუნდამენტურად შეცვალა გლობალური ძალთა ლანდშაფტი, რამაც ის „ახალ მსოფლიო წესრიგში“ საკვანძო აქტორად აქცია. მისი გავლენა ვრცელდება ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სამხედრო და დიპლომატიურ

[23] Joseph S. Nye Jr., *The Future of Power*, 2nd ed. (New York: PublicAffairs, 2021), 112–115.
[24] Robert D. Blackwill and Ashley J. Tellis, *Revising US Grand Strategy: Competing with China and Russia* (Washington, DC: Council on Foreign Relations, 2023), 27–39.
[25] Joseph S. Nye Jr., *Soft Power: The Means to Success in World Politics*, 30th anniversary ed. (New York: PublicAffairs, 2021), 78–82.
[26] Samuel P. Huntington, *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order* (New York: Simon & Schuster, 1996), 30–52.

სფეროებზე, რაც გამოწვევას უქმნის შეერთებული შტატების მიერ დომინირებულ ხანგრძლივ უნიპოლარულ სისტემას. [27]

ჩინეთის, როგორც აღმავალ გლობალურ ძალად წარმოჩენას ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტორებმა:

ჩინეთის ეკონომიკური გავლენა და გლობალური ურთიერთდამოკიდებულება: ბოლო ათწლეულების სწრაფმა ზრდამ ჩინეთი მსოფლიოს მეორე ეკონომიკად აქცია ნომინალური მშპ-ით, ხოლო მსყიდველობითი უნარის პარიტეტით („PPP“) — პირველად.[28] როგორც „მსოფლიოს ქარხანა“, ქვეყანა ღრმად არის ინტეგრირებული გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში, რაც მას უზარმაზარ პოლიტიკურ გავლენას სძენს საერთაშორისო ასპარეზზე.[29] ჩინეთი მრავალი რეგიონის (აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა) უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რაც ქმნის სხვა სახელმწიფოების მნიშვნელოვან ეკონომიკურ დამოკიდებულებას პეკინზე.[30]

„სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივა (BRI): 2013 წლის პრეზიდენტ სი ძინპინის მიერ გაცხადებული „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ გლობალური ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს ჩინეთის დაკავშირებას დანარჩენ მსოფლიოსთან სახმელეთო და საზღვაო მარშრუტების სინთეზით.[31] ინიციატივა გააფართოვებს ჩინეთის ეკონომიკურ და პოლიტიკური გავლენას, შექმნის ახალ ბაზრებს ჩინური საქონლისათვის. ეს ინიციატივა ადასტურებს ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ამბიციას – აღედგინოს ძველი აბრეშუმის გზის სავაჭრო მარშრუტები თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური კავშირებით ცენტრალურ აზიაში, ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ჩინეთის მიზანი გახდა დიპლომატიური კავშირების გაძლიერება რესურსებით მდიდარ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან

27 Zhao, Suisheng. 2025. The New World Order and China's Role in Global Transformation: Navigating US-China Competition. New York: Oxford University Press.

28 Zongyuan Zoe Liu, Sovereign Funds: How the Communist Party of China Finances Its Global Ambitions (Cambridge, MA: The Belknap Press of Harvard University Press, 2023).

29 Ibid., 80–120.

30 Israel Osorio Rodarte, "Trade and Development Chart: The Rise of China," *World Bank Analysis*, April 12, 2023.

31 Xi Jinping, “Speech at Nazarbayev University, Astana,” September 7, 2013, accessed March 28, 2026.

ცენტრალურ აზიაში, რაც დააბალანსებს აშშ-ისა და რუსეთის გავლენას, ჩინეთის გაზრდილი გავლენების შესაბამისად.[32]

ფინანსური და ტექნოლოგიური ექსპანსია: ჩინეთის გლობალური ამბიციების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი განვითარებადი ქვეყნების დაფინანსებაა. აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკის (AIIB) დაარსებით, ჩინეთმა შექმნა ალტერნატიული საკრედიტო მექანიზმი, მეტად ლიბერალური სასესხო პირობებით, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი გავლენა რეგიონულ და გლობალურ დონეზე.[33] ამას გარდა ჩინეთი მიზნად ისახავს ტექნოლოგიურ დომინირებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), 5G და კვანტური გამოთვლები.[34] ინიციატივა „Made in China 2025“-ის მეშვეობით პეკინი ისწრაფვის ტექნოლოგიური თვითკმარობისკენ, ხოლო „ციფრული აბრეშუმის გზა“ აფართოებს მის გავლენას გლობალურ ციფრულ ინფრასტრუქტურაზე.[35] გარდა ამისა, ჩინური სათვალთვალო ტექნოლოგიების ექსპორტი ხელს უწყობს ავტორიტარული მმართველობის მოდელების გავრცელებას მთელს მსოფლიოში.[36]

ჩინეთის **სამხედრო მოდერნიზაცია და რეგიონული ასერტიულობა:** ჩინეთის გლობალური ძალაუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი მისი სამხედრო პოტენციალის ზრდაა. პეკინმა მნიშვნელოვნად გაზარდა თავდაცვის ხარჯები და მოახდინა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის (PLA), განსაკუთრებით კი, მისი საზღვაო ფლოტის („PLAN“) და საჰაერო ძალების („PLAAF“) მოდერნიზაცია.[37] აღსანიშნავია, რომ „PLAN“ ამჟამად მსოფლიოში უმსხვილესი საზღვაო ფლოტია გემების რაოდენობის მიხედვით.[38] პეკინი ავითარებს „ლურჯი წყლის“ (ღია ოკეანეებში ოპერირების) შესაძლებლობებს, აფუძნებს საზღვარგარეთის სამხედრო ბაზებს (მაგ., ჯიბუტიში) და ატარებს ერთობლივ წვრთნებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც მის მზარდ გლობალურ სამხედრო ყოფნაზე მიუთითებს.

[32] David Shambaugh, *China and the World* (New York: Oxford University Press, 2022), 142–145.
[33] Asian Infrastructure Investment Bank, "About AIIB," accessed March 28, 2026.
[34] Walker Robinson, "China's AI Ambitions and U.S. Competition," *American Foreign Policy Council*, January 23, 2025.
[35] World Bank, *Digital Silk Road: Expanding China's Technology Influence*, Report, July 2024, 7–12.
[36] Human Rights Watch, "China: Exporting Surveillance Technology," October 2023.
[37] Ibid., 146-148.
[38] Office of Naval Intelligence, *PLA Navy: Fleet Capabilities and Modernization*, US Navy Report, 2022, 5–10.

ბოლოს კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩინეთის დიპლომატიური და ნორმატიული გავლენა მისი აღმავალი გლობალური ძალაუფლების საკვანძო საყრდენია, რომელიც აქტიურად აყალიბებს „ახალ მსოფლიო წესრიგს“. პეკინი მულტიპოლარულობის მტკიცე მომხრეა და მხარს უჭერს ისეთ მსოფლიოს, სადაც ძალაუფლება მრავალ ცენტრს შორის არის განაწილებული. ეს ხედვა რეზონანსს პოულობს მრავალ ქვეყანაში „გლობალურ სამხრეთში“, რომლებიც სიფრთხილით ეკიდებიან უნიპოლარულ დომინირებას.[39]

რუსეთი

სამუელ ჰანტინგტონის ნაშრომი „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გადაკეთება“ გვაძლევს რუსეთის როლის გაგების საშუალებას, წარმოაჩენს რა მას მართლმადიდებლური ცივილიზაციის ძირითად სახელმწიფოდ, რომელიც განსხვავდება დასავლეთისა და სხვა ბლოკებისგან.[40] რუსეთის ქმედებები 1990-იანი წლებიდან – ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით 2000 წლიდან – მას ამ ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების მთავარ აქტორად აქცევს, რაც გამოწვევას უქმნის აშშ-ის ჰეგემონიას და საკუთარ ზეგავლენის სფეროს განამტკიცებს.[41]

რუსეთი საკუთარი სტრატეგიული მიზნების შესაბამისად ცდილობს:

- შეეწინააღმდეგოს დასავლურ დომინირებას, დაუპირისპირდეს აშშ-ის ხელმძღვანელობით შექმნილ ინსტიტუტებს, როგორიცაა „NATO“ და ევროკავშირი;
- აღიდგინოს დიდი ძალის სტატუსი, დაიბრუნოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგული გავლენა სამხედრო, ენერგეტიკული და დიპლომატიური ბერკეტების მეშვეობით;
- ხელი შეუწყოს მულტიპოლარობის მსოფლიო წესრიგს;

[39] Robert G. Sutter, *Chinese Foreign Relations: Power and Policy since the Cold War* (Lanham, MD: Rowman & Littlefield, 2021), 201–205.

[40] Huntington, Samuel P. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. Simon & Schuster, 1996120–125.

[41] Angela Stent, *Russia and the New World Disorder* (Washington, DC: Brookings Institution Press, 2014), 88–92.

- დაიცვას მისი კულტურული იდენტობა და წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებს.

რუსეთის როგორც ერთ ერთი მთავარი აქტორის როლი ახალ მსოფლიო წესრიგში რამდენიმე სფეროში ვლინდება:

გეოპოლიტიკური მანევრირება: რუსეთი ყველა შესაძლებლობით ხელს უშლის „NATO“-სა და ევროკავშირის გაფართოებას, რომლის ნათელი მაგალითია: რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი.[42] უკრაინის კონფლიქტი (2014, 2022-დღემდე). ის მიზნად ისახავს „NATO“-ს გაფართოების თავიდან აცილებას მისი საზღვრების სიახლოვეს. ეს ქმედებები გამოწვევას უქმნის აშშ-ის ხელმძღვანელობით არსებულ წესრიგს, რაც რუსეთის მზადყოფნაზე მიანიშნებს, გამოიყენოს ძალა გავლენის დასამკვიდრებლად.[43]

„BRICS“ და „SCO“: რუსეთი თანახელმძღვანელობს „BRICS“-ს (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა) და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას („SCO“), რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ და უსაფრთხოების ალტერნატივებს დასავლური ინსტიტუტებისთვის. „BRICS“-ის 2024 წლის გაფართოება, რომელშიც ირანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და სხვა ქვეყნები შევიდნენ, ხაზს უსვამს რუსეთის სწრაფვას მულტიპოლარული ეკონომიკური ბლოკისკენ. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს „კოლექტიური დასავლეთის“ ჰეგემონიის დაბალანსებას და გლობალური მმართველობის დივერსიფიკაციას.

ენერგეტიკული დიპლომატია: რუსეთი იყენებს თავის უზარმაზარ ენერგორესურსებს, მეზობლებზე ზეგავლენისა და საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დაფინანსებისათვის.[44] უკრაინის ომის შემდეგ დასავლური სანქციების მიუხედავად, მან აქცენტი ჩინეთისა და ინდოეთის მსგავს ბაზრებზე გადაიტანა.

ჩინეთთან პარტნიორობა: რუსეთის „შეუზღუდავი“ პარტნიორობა ჩინეთთან ეთანხმება ჰანტინგტონის პროგნოზს არავესტერნული ცივილიზაციების

[42] Ronald D. Asmus, *A Little War that Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West* (New York: Palgrave Macmillan, 2010), 121-125.

[43] Angela Stent, *Putin's World: Russia Against the West and with the Rest* (New York: Twelve, 2019), 210.

[44] International Energy Agency (IEA), *Energy Policies of the Russian Federation* (Paris: OECD Publishing, 2022), 45-48.

დასავლეთის წინააღმდეგ გაერთიანების შესახებ.[45] ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ („BRI“) და რუსეთის „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ („EAEU“) ავსებენ ერთმანეთს, რაც მიზნად ისახავს ევრაზიის ეკონომიკურ ინტეგრაციას დასავლური ფინანსური სისტემების გვერდის ავლით. მზარდი სამხედრო თანამშრომლობა და რეკორდული სავაჭრო ბრუნვა აძლიერებს ამ ალიანსს,[46] თუმცა, მოსკოვი მაინც სიფრთხილით ეკიდება პეკინის ექსპანსიას საკუთარ გავლენის სფეროებში, სადაც ის „უმცროსი პარტნიორის“ როლში აღმოჩნდა.[47]

საინფორმაციო ომი (ე. წ. ჰიბრიდული ომი): რუსეთი იყენებს დეზინფორმაციას და კიბერშეტევებს დასავლური ერთიანობის დესტაბილიზაციისთვის, რაც გამოვლინდა სავარაუდო საარჩევნო ჩარევაში (მაგ., აშშ 2016 წელს).[48] ეს მცდელობები აძლიერებს ანტიდასავლურ ნარატივებს, წარმოაჩენს რა რუსეთს, როგორც დამცველს დეკადენტური დასავლეთის წინააღმდეგ.

რუსეთის როლი და გამოწვევები ახალ წესრიგში: რუსეთი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთ-ერთი მთავარი აქტორია, რომელიც ჰანტინგტონის ხედვის შესაბამისად, აშშ-ის ჰეგემონიის დასაპირისპირებლად მულტიპოლარულ სისტემას უჭერს მხარს.[49] სამხედრო ინტერვენციებით (საქართველო, სირია, უკრაინა), ენერგეტიკული დიპლომატიითა და „BRICS“-ის მსგავსი ფორმატებით, მოსკოვი ცდილობს მართლმადიდებლური ცივილიზაციის დასავლური დომინირებისგან გამიჯვნას.[50] უკრაინაში მიმდინარე ომმა და დასავლურმა სანქციებმა მნიშვნელოვნად შეარყია მისი, როგორც რეგიონული ზესახელმწიფოს იმიჯი, რის გამოც კრემლი იძულებულია სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა ისეთ ავტორიტარულ რეჟიმებთან ეძიოს, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა და ჩინეთი.[51]

[45] Samuel P. Huntington, *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order* (New York: Simon & Schuster, 1996), 183-186.
[46] "China-Russia Trade Hits Record High in 2024," *Reuters*, January 12, 2025.
[47] Paul Stronski and Nicole Ng, "Cooperation and Competition: Russia and China," *Carnegie Endowment for International Peace*, 2018.
[48] Office of the Director of National Intelligence, *Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections* (Washington, DC: ICA, 2017), 2-5.
[49] Samuel P. Huntington, *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order* (New York: Simon & Schuster, 1996), 154-158.
[50] Fiona Hill and Angela Stent, "The World Putin Wants: How Distortions About the Past Guide Formulate Russia's Future," Foreign Affairs 101, no. 5 (2022): 108-122.
[51] Lawrence Freedman, *Command: The Politics of Military Operations from Korea to Ukraine* (London: Penguin Books, 2022), 540-545.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია – „NATO“

„NATO“ კვლავ რჩება ტრანსატლანტიკური პოლიტიკური და სამხედრო კონსულტაციების მთავარ ფორუმად, რომელიც ხელს უწყობს ძლიერ ერთობას ამერიკასა და ევროპას შორის. „NATO“ აშკარად ხელახლა გააქტიურდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი აქტორი ახალ მსოფლიო წესრიგში, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოების კონკურენციის განახლებისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის უშუალო საფრთხეების საპასუხოდ.[52] „NATO“-ს აქტუალობა მკვეთრად გაიზარდა რუსეთის აგრესიის ფონზე უკრაინაში, რომლის შესაბამისადაც დადგა ევროატლანტიკური სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხი. ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია ახლა უკვე ღიად განსაზღვრავს რუსეთს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს ალიანსის უსაფრთხოებისთვის, ხოლო ჩინეთს – სისტემურ გამოწვევად.[53]

„NATO“ ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას მსოფლიოს ქვეყნებთან პარტნიორობის ფართო ქსელის მეშვეობით. პარტნიორობა საქართველოსა და უკრაინასთან, თუ ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონის პარტნიორებთან, ხელს უწყობს უსაფრთხოების ფართო თანამშრომლობას, შესაძლებლობების განვითარებას და დიალოგს გლობალურ გამოწვევებზე.

ომის ბუნების ევოლუციის საპასუხოდ, „NATO“ აქტიურად უპირისპირდება ჰიბრიდულ საფრთხეებსაც. ალიანსმა აღიარა, რომ მასშტაბურმა კიბერშეტევამ შესაძლოა მე-5 მუხლის ამოქმედება გამოიწვიოს, რის გამოც გაძლიერდა კოლექტიური კიბერდაცვის მექანიზმები. თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ, ალიანსი ახორციელებს ინვესტიციებს გარდამტეხ ტექნოლოგიებში („EDTs“), როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, კვანტური გამოთვლები და ჰიპერბგერითი სისტემები.[54]

[52] Sten Rynning, *NATO: The Resilience of the Alliance from the Cold War to the Era of Strategic Competition* (New Haven: Yale University Press, 2024), 215-220.
[53] NATO, *Strategic Concept 2022* (Brussels: NATO Public Diplomacy Division, 2022), 3-7.
[54] NATO, *Fostering Technological Edge: Emerging and Disruptive Technologies (EDTs)* (Brussels: NATO Public Diplomacy Division, 2023), 12-15.

„NATO“ გამოწვევები კომპლექსურ მსოფლიოში: მიუხედავად მისი განახლებული ენერგიისა, „NATO“ მიმდინარე გამოწვევების წინაშე დგას, რომლის მთავარი გამოწვევაც ერთიანობის შენარჩუნებაა, მისი მრავალფეროვანი წევრების სრული პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნება შეიძლება რთული იყოს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საფრთხეების განსხვავებული აღქმა ან კონკრეტულ გლობალურ გამოწვევებთან მიდგომები, ასევე ტვირთის სამართლიანი გაზიარების უზრუნველყოფა.[55] ალიანსისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს გეოპოლიტიკური და ტექნოლოგიური ცვლილებების ტემპი, რომელიც მოითხოვს „NATO“-ს სტრატეგიებისა და შესაძლებლობების მუდმივ ადაპტაციას, ალიანსის ეფექტურობისათვის.[56]

„NATO“-ს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად შეგვიძლია მისი გაფართოების საკითხი განვიხილოთ. „NATO“ ცდილობს გააძლიეროს თავისი მოქმედება მისი საზღვრების გაფართოების გზით. ამასთან „NATO“ იცავს „ღია კარის“ პოლიტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კრიტერიუმებს და შეუძლია წვლილი შეიტანოს კოლექტიურ უსაფრთხოებაში, შეუძლია ისწრაფვოდეს გაწევრიანებისკენ.

„NATO“-ს გაფართოება პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ, უკრაინასა და საქართველოში, რუსეთისთვის ეგზისტენციალურ საფრთხედ აღიქმება.[57] ეს გეოპოლიტიკური დაპირისპირება განსაკუთრებით გამწვავდა 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ, სადაც ალიანსის ლიდერებმა განაცხადეს, რომ საქართველო და უკრაინა „გახდებიან „NATO“-ს წევრები“.[58] 2008 წლის აგვისტოს ომი განიხილება, როგორც რუსეთის პასუხი ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაზე. საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციამ და გაყინულმა კონფლიქტმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის „NATO“-ში ინტეგრაცია, რადგან ეს გამოწვევას

[55] Heidi Hardt, *NATO's Lessons in Crisis: Institutional Memory in International Organizations* (Oxford: Oxford University Press, 2018), 142-145.
[56] Sten Rynning, *NATO in the New Era: Strategic Competition and the Global Order* (Washington, DC: Brookings Institution Press, 2024), 88-92.
[57] John J. Mearsheimer, "Why the Ukraine Crisis Is the West's Fault: The Liberal Delusions That Provoked Putin," *Foreign Affairs* 93, no. 5 (2014): 77-80.
[58] NATO, "Bucharest Summit Declaration," Issued April 3, 2008.

უქმნის ალიანსის კოლექტიური თავდაცვის (მე-5) მუხლს. ომი იყო რუსეთის მკაფიო გზავნილი, რომ იგი მზადაა სამხედრო ძალით აღკვეთოს „NATO“-ს გაფართოება თავის სტრატეგიულ სივრცეში და შექმნას გეოპოლიტიკური ბარიერი საქართველოს ევროატლანტიკური მომავლისთვის.[59] 2008 წლის ომის შემდეგ დასავლეთის არაერთსულოვანი რეაქცია რუსეთის მიერ აღქმულ იქნა როგორც ალიანსის სისუსტე, რამაც კრემლს დაუსჯელობის განცდა გაუჩინა. ამან გზა გაუხსნა რუსეთის შემდგომ აგრესიას უკრაინაში 2014 და 2022 წლებში. ორივე შემთხვევაში ინტერვენციის მთავარ მიზეზად „NATO“-ს აღმოსავლეთით გაფართოებასა და უკრაინის ალიანსში შესაძლო გაწევრიანებას ასახელებდა, რაც ადასტურებს, რომ სამხედრო ძალის გამოყენება რუსეთისთვის „NATO“-ს გაფართოების შეჩერების მთავარი ინსტრუმენტი გახდა.

„NATO“-ს როლი გლობალურ უსაფრთხოებაში: დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „NATO“-ს როლი ახალ მსოფლიო წესრიგში არის საკვანძო კოლექტიური უსაფრთხოებისა და თავდაცვის ალიანსის ფუნქცია. ალიანსი ემსახურება როგორც სანდო შემაკავებელი ძალა აგრესიის წინააღმდეგ, ტრანსატლანტიკური ერთიანობის პლატფორმა და სულ უფრო მნიშვნელოვანი აქტორი გლობალური სტაბილურობისათვის სხვადასხვა საფრთხის ფართო სპექტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.[60] მიუხედავად შიდა- თუ გარეგამოწვევებისა, „NATO“ რჩება ლიბერალურ-დემოკრატიული სამყაროს უსაფრთხოების მთავარ გარანტად ევრაზიულ სივრცეში.[61]

დასკვნა

მომავალში გლობალური სისტემის მდგრადობა დამოკიდებული იქნება ძალთა ახალ ბალანსზე, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მზარდი სახელმწიფოების ამბიციებსა და კოლექტიური უსაფრთხოების არსებულ არქიტექტურას შორის. საქართველოსა და უკრაინის გარშემო მიმდინარე პროცესები დასავლეთისთვის

[59] Svante E. Cornell, "What Drives Russian Foreign Policy?" *Central Asia-Caucasus Analyst*, August 20, 2008.
[60] NATO, *Strategic Concept 2022* (Brussels: NATO Public Diplomacy Division, 2022), 1-3.
[61] Stanley R. Sloan, *Defense of the West: NATO, the European Union and the Transatlantic Bargain* (Manchester: Manchester University Press, 2020), 245-250.

კრიტიკულ გამოწვევად რჩება: მან უნდა შეძლოს პარტნიორების სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერა და, ამავდროულად, მართოს პირდაპირი სამხედრო ესკალაციის რისკი ბირთვული პოტენციალის მქონე რევიზიონისტულ აქტორებთან. საბოლოო ჯამში, თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ტრანსფორმირდება მრავალპოლარულ მოდელად, სადაც ახალი გეოპოლიტიკური ბლოკების გაძლიერება ფუნდამენტურ რევიზიას უქადის ტრადიციულ დასავლურ ნარატივებსა და გლობალური მმართველობის დამკვიდრებულ პრინციპებს.

XXI საუკუნის გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას განიცდის. აშშ-ის მიერ დომინირებული უნიპოლარული სისტემა იცვლება უფრო კომპლექსური, მრავალპოლარული და ნაკლებად პროგნოზირებადი მოდელით. ეს პროცესი ხასიათდება დიდი ძალების მეტოქეობით, ტექნოლოგიური რბოლითა და საერთაშორისო ნორმების ევოლუციით. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო ტენდენცია:

- **აშშ-ის როლი:** აშშ რჩება ლიბერალური წესრიგის მთავარ და შეუცვლელ აქტორად. თუმცა, ვაშინგტონი ახალ რეალობაში ნავიგაციას ცდილობს, სადაც მას გამოწვევებს უქმნის როგორც შიდა პოპულიზმი, ისე მზარდი გლობალური კონკურენცია.
- **ჩინეთის ექსპანსია:** ჩინეთი ჩამოყალიბდა უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ძალად, რომელიც „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივითა და სამხედრო მოდერნიზაციით აქტიურად ცდილობს ჩამოაყალიბოს დასავლეთის ალტერნატიულ გავლენები. მისი აღზევება ფუნდამენტურად ცვლის გლობალურ ძალთა ლანდშაფტს.
- **რუსეთის რევიზიონიზმი:** რუსეთი პოზიციონირებს, როგორც ძალა, რომელიც სამხედრო ინტერვენციებითა (საქართველო, უკრაინა) და მულტიპოლარულობის ადვოკატირებით ცდილობს დასავლური დომინირების შეზღუდვასა და საკუთარი გავლენის სფეროების აღდგენას.
- **„NATO“-ს რეაქტივაცია:** ალიანსი ხელახლა გააქტიურდა, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების მთავარი გარანტი ევრაზიულ სივრცეში. რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებმა „NATO“ აიძულა, მოეხდინა სტრატეგიული კონცეფციის ადაპტაცია,

სადაც მოსკოვი პირდაპირ საფრთხედ, ხოლო ჩინეთი სისტემურ გამოწვევად იქნა აღქმული.

მომავალში გლობალური სისტემის მდგრადობა დამოკიდებული იქნება ძალთა ახალ ბალანსზე, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მზარდი სახელმწიფოების ამბიციებსა და კოლექტიური უსაფრთხოების არსებულ არქიტექტურას შორის. საქართველოსა და უკრაინის გარშემო მიმდინარე პროცესები დასავლეთისთვის კრიტიკულ გამოწვევად რჩება: მან უნდა შეძლოს პარტნიორების სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერა და, ამავდროულად, მართოს პირდაპირი სამხედრო ესკალაციის ყოველგვარი რისკი ბირთვული პოტენციალის მქონე რევიზიონისტულ აქტორებთან. საბოლოო ჯამში, თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ტრანსფორმირდება მრავალპოლარულ მოდელად, სადაც ახალი გეოპოლიტიკური ბლოკების გაძლიერება ფუნდამენტურ რევიზიას უქადის ტრადიციულ დასავლურ ნარატივებსა და გლობალური მმართველობის დამკვიდრებულ პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები:

1. Asmus, Ronald D. *A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West*. New York: Palgrave Macmillan, 2010.
2. Blackwill, Robert D., and Ashley J. Tellis. *Revising US Grand Strategy: Competing with China and Russia*. Washington, DC: Council on Foreign Relations, 2023.
3. Freedman, Lawrence. *Command: The Politics of Military Operations from Korea to Ukraine*. London: Penguin Books, 2022.
4. Hardt, Heidi. *NATO's Lessons in Crisis: Institutional Memory in International Organizations*. Oxford: Oxford University Press, 2018.
5. Huntington, Samuel P. *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*. New York: Simon & Schuster, 1996.
6. Ikenberry, G. John. *After Victory: Institutions, Strategic Restraint, and the Rebuilding of Order After Major Wars*. Princeton: Princeton University Press, 2001.

7. Keohane, Robert O. *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy*. Princeton: Princeton University Press, 1984.

8. Liu, Zongyuan Zoe. *Sovereign Funds: How the Communist Party of China Finances Its Global Ambitions*. Cambridge, MA: The Belknap Press of Harvard University Press, 2023.

9. Nye, Joseph S., Jr. *Soft Power: The Means to Success in World Politics*. 30th anniversary ed. New York: PublicAffairs, 2021.

10. *The Future of Power*. 2nd ed. New York: PublicAffairs, 2021.

11. Rynning, Sten. *NATO in the New Era: Strategic Competition and the Global Order*. Washington, DC: Brookings Institution Press, 2024.

12. *NATO: The Resilience of the Alliance from the Cold War to the Era of Strategic Competition*. New Haven: Yale University Press, 2024.

13. Shambaugh, David. *China and the World*. New York: Oxford University Press, 2022.

14. Sloan, Stanley R. *Defense of the West: NATO, the European Union and the Transatlantic Bargain*. Manchester: Manchester University Press, 2020.

15. Stent, Angela. *Putin's World: Russia Against the West and with the Rest*. New York: Twelve, 2019.

16. *Russia and the New World Disorder*. Washington, DC: Brookings Institution Press, 2014.

17. Stuenkel, Oliver. *The BRICS and the Future of Global Order*. Lanham: Lexington Books, 2015.

18. Sutter, Robert G. *Chinese Foreign Relations: Power and Policy Since the Cold War*. Lanham, MD: Rowman & Littlefield, 2021.

19. Zhao, Suisheng. *The New World Order and China's Role in Global Transformation: Navigating US-China Competition*. New York: Oxford University Press, 2025.

20. ჯიჯეიშვილი, ქეთევან და გიორგი ჩხიკვიშვილი – *მსოფლიო პოლიტიკა* (World Politics). 2018.

სტატიები:

21. Haass, Richard. “The Age of Nonpolarity: What Will Follow U.S. Dominance.” *Foreign Affairs* 87, no. 3 (2008). https://www.foreignaffairs.com/articles/united-states/2008-05-03/age-nonpolarity.

22. Hill, Fiona, and Angela Stent. "The World Putin Wants: How Distortions About the Past Guide Formulate Russia's Future." *Foreign Affairs* 101, no. 5 (2022). https://www.foreignaffairs.com/russian-federation/world-putin-wants-fiona-hill-angela-stent.

23. Huntington, Samuel P. “The Lonely Superpower.” *Foreign Affairs* 78, no. 2 (1999). https://www.foreignaffairs.com/articles/united-states/1999-03-01/lonely-superpower.

24. Liu, Z. "The Shift to Multipolarity: Global Power Dynamics in the 21st Century." *Info Sains: Journal of Science* 13, no. 1 (2023). https://ejournal.seaninstitute.or.id/index.php/InfoSains/issue/archive.

25. Mearsheimer, John J. "Why the Ukraine Crisis Is the West’s Fault: The Liberal Delusions That Provoked Putin." *Foreign Affairs* 93, no. 5 (2014). https://www.mearsheimer.com/wp-content/uploads/2019/06/Why-the-Ukraine-Crisis-Is.pdf.

26. "US International Trade Policy: Scenarios of Protectionism and Trade Wars." *Journal of Policy Modeling* 46, no. 4 (July–August 2024). https://doi.org/10.1016/j.jpolmod.2024.02.010.

ანგარიშები და დოკუმენტები:

27. Asian Infrastructure Investment Bank. "About AIIB." Accessed March 28, 2026. https://www.aiib.org.

28. Brookings Institution. *Cultivating America’s Alliances and Partners in the Indo-Pacific*. September 16, 2024. https://www.brookings.edu/articles/cultivating-americas-alliances-and-partners-in-the-indo-pacific/.

29. Bush, George H.W. "State of the Union Address." January 29, 1991.

30. Human Rights Watch. "China: Exporting Surveillance Technology." October 2023. https://www.hrw.org.

31. International Energy Agency (IEA). *Energy Policies of the Russian Federation*. Paris: OECD Publishing, 2022. https://www.oecd.org/globalchallenges/multilateralcooperation2024.pdf.

32. International Monetary Fund. *Annual Report on Global Reserve Currencies*. 2024. https://www.imf.org/external/pubs/ft/ar/2024/.

33. *World Economic Outlook*. 2024. https://www.imf.org/en/publications/weo/issues/2024/10/22/world-economic-outlook-october-2024.

34. NATO. "Bucharest Summit Declaration." Issued April 3, 2008. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_8443.htm.

35. *Fostering Technological Edge: Emerging and Disruptive Technologies (EDTs)*. Brussels: NATO Public Diplomacy Division, 2025. https://www.nato.int/en/what-we-do/deterrence-and-defence/emerging-and-disruptive-technologies.

36. *Strategic Concept 2022*. Brussels: NATO Public Diplomacy Division, 2022. https://www.nato.int/en/about-us/organization/nato-structure/committee-on-public-diplomacy-cpd.

37. NATO Compendium. *Alliances and Partnerships in a Complex and Challenging Security Environment*. June 9, 2024. https://www.act.nato.int/wp-content/uploads/2024/06/NATO-AC24-Compendium.pdf.

38. Office of Naval Intelligence. *PLA Navy: Fleet Capabilities and Modernization*. US Navy Report, 2022. https://www.oni.navy.mil/PLA-Navy-Report-2022.

39. Office of the Director of National Intelligence. *Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections*. Washington, DC: ICA, 2017. https://www.intelligence.senate.gov/wp-content/uploads/2024/08/sites-default-filesations-ica-2017-01.pdf.

40. Osorio Rodarte, Israel. "Trade and Development Chart: The Rise of China." *World Bank Analysis*, April 12, 2023. https://blogs.worldbank.org/en/trade/trade-and-development-chart-rise-china.

41. Robinson, Walker. "China's AI Ambitions and U.S. Competition." *American Foreign Policy Council*, January 23, 2025. https://www.afpc.org/publications/policy-papers/chinas-ai-ambitions-and-u.s-competition.

42. Stronski, Paul, and Nicole Ng. "Cooperation and Competition: Russia and China." *Carnegie Endowment for International Peace*, 2018. https://carnegieendowment.org/research/2018/02/cooperation-and-competition-russia-and-china-in-central-asia-the-russian-far-east-and-the-arctic.

43. World Bank. *Digital Silk Road: Expanding China's Technology Influence*. Report, July 2024. https://documents1.worldbank.org/curated/en/715511560787699851/pdf/Main-Report.pdf.

44. *World Development Indicators*. 2024. https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators.

45. Xi, Jinping. "Speech at Nazarbayev University, Astana." September 7, 2013. Accessed March 28, 2026. https://www.fmprc.gov.cn/eng/gjhdq_665435/2675_665437/3180_664322/3182_664326/202406/t20240607_11410011.html

ინტერპოლის, როგორც მთავრობათაშორისი ორგანიზაციის როლი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში – ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ინსტიტუციური და ტექნოლოგიური ჩარჩო

ლევან თექთუმანიძე

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

levantek@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-0381-216X

DOI: 10.52340/splogos.2026.01.02

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს ორგანიზაცია „**INTERPOL**“-ის სტატუსს გლობალური მმართველობის კონტექსტში და აღწერს, თუ როგორ ჩამოყალიბდა ორგანიზაცია ტრანსნაციონალური უსაფრთხოების მნიშვნელოვან აქტორად XXI საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ „INTERPOL“ კლასიკური საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე არ დაფუძნებულა, იგი პრაქტიკულად სრულფასოვნად ასრულებს მთავრობათაშორისი ორგანიზაციის ფუნქციებს და აღიარებულია სწორედ ამ სტატუსით სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „INTERPOL“-ის ტრანსფორმაციას ქსელურ და მონაცემებზე დაფუძნებულ ინსტიტუციად. თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ბიომეტრიული მონაცემებისა და გლობალური საინფორმაციო სისტემების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა „INTERPOL“-ის შესაძლებლობები. ორგანიზაცია წარმოადგენს გლობალური მმართველობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, რომელიც აყალიბებს უსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ მოდელს. ეს მოდელი ეფუძნება სახელმწიფოთა შორის ნდობაზე დამყარებულ

კოლაბორაციას, ცოდნის გაზიარებასა და საერთო პასუხისმგებლობას, რაც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარ საფუძვლად გვევლინება.

საკვანძო სიტყვები: გლობალური მმართველობა, ტრანსნაციონალური უსაფრთხოება, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა, საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი, ინსტიტუციური ტრანსფორმაცია

The Role of INTERPOL as an Intergovernmental Organization in the Development of International Relations - the Institutional and Technological Framework Defined by the Organization

Levan Tektumanidze

PhD Student

Georgian Technical University

Faculty of Law and International Relations

levantek@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-0381-216X

Abstract

This article examines the status and functional evolution of INTERPOL within the context of global governance and international relations. It argues that INTERPOL has emerged as a key transnational security actor in the twenty-first century despite its atypical legal foundation, as it does not originate from a classical international treaty framework. Nevertheless, it performs core functions of an intergovernmental organization and is widely recognized as such by the majority of states.

The article places particular emphasis on INTERPOL's transformation into a network-based and data-driven institution. The use of modern technologies, including biometric

data and global information systems, has significantly enhanced the capacities of INTERPOL. The organization represents an important component of global governance, shaping a new model of international cooperation in the field of security. This model is based on trust-based collaboration among states, knowledge sharing, and collective responsibility, which together constitute a key foundation for ensuring security in contemporary international relations.

Keywords: Global Governance, Transnational Security, International Police Cooperation, Status of an International Organization, Institutional Transformation

შესავალი

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს ორგანიზაციის – „**The International Criminal Police Organization (ICPO-INTERPOL)**“ სტატუსს და მის წვლილს გლობალური მმართველობის კონტექსტში. ინტერპოლის, როგორც მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციის, როლის გააზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალური უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევებისას. XXI საუკუნეში უსაფრთხო გარემო სულ უფრო მეტად არის დაკავშირებული ტრანსნაციონალურ დანაშაულთან და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერ ახალ რისკთან. სწორედ ამ კონტექსტში „INTERPOL“ ჩამოყალიბდა საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუციურ პლატფორმად, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოებს საერთო მიზნებით. ასევე, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ წლების მანძილზე ორგანიზაციის სტატუსი განხილვის საგანი იყო – შეესაბამებოდა თუ არა იგი (კლასიკური გაგებით) საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსის მატარებელ ორგანიზაციას. ამ სტატიაში კიდევ ერთხელ არის წარმოჩენილი ის ცოდნა და საერთაშორისო აკადემიური დებატები, რომელიც ადასტურებს ორგანიზაციის – „The International Criminal Police Organization (ICPO-INTERPOL)“ საერთაშორისო **სტატუსს და მის მონაწილეობას გლობალური მმართველობის პროცესში.**

წინამდებარე სტატია აგებულია იმგვარად, რომ წარმოაჩინოს „INTERPOL“-ის **ორი ძირითადი** მიმართულება და მნიშვნელობა: 1) ორგანიზაცია წარმოადგენს გლობალური მმართველობის ქსელურ ინსტიტუტს, რომელიც აძლიერებს სახელმწიფოთა თანამშრომლობას 2) ყურადღება გამახვილებულია „**INTERPOL“-ის ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციაზე,** რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია იქცა მონაცემებსა და ციფრულ ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებულ წამყვან საერთაშორისო პლატფორმად.

„INTERPOL“-ის ამ ორი მახასიათებლის გაანალიზება საშუალებას მოგვცემს, რომ შევაფასოთ იგი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი აქტორი, რომელიც აყალიბებს უსაფრთხოების ახალ მოდელს გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში.

საკითხი აქტუალობას განსაზღვრავს რამდენიმე გარემოება: 1. საქართველო არის ინტერპოლის საერთაშორისო და გლობალური მმართველობის შემადგენელი ნაწილი. ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს აკადემიური მიმოხილვა იმის თაობაზე, თუ რა საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობს საქართველო უსაფრთხოებისა და დანაშაულთან ბრძოლის მთავრობათაშორის პლატფორმაზე. „INTERPOL“-ის გლობალურ მმართველობაში მონაწილეობასა და მის სტატუსზე ქართულ აკადემიურ სივრცეში ანალიტიკური მასალის ნაკლებობაა, შესაბამისად ეს სტატია თავის წვლილს შეიტანს დარგის შესახებ ცოდნის გაზრდასა და ცნობიერების ამაღლებაში. 2. წინამდებარე სტატიის თემა ერთმანეთს აკავშირებს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გლობალური უსაფრთხოების საკითხებს – უმთავრეს მიმართულებას, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში ცენტრალურ ადგილს იკავებს. გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესისას უსაფრთხოების გამოწვევები სულ უფრო მეტად ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს, რაც მოითხოვს სახელმწიფოთა შორის **კოორდინირებულ, ინსტიტუციურად გამყარებულ თანამშრომლობას.**

წინამდებარე სტატია პასუხობს ორ მთავარ შეკითხვას:

1. *როგორ იქცა „INTERPOL“ ტრანსნაციონალური უსაფრთხოების აქტორად გლობალური მმართველობისას?*
2. *რა გავლენას ახდენს „INTERPOL“-ის ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია უსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობაზე?*

I. *„INTERPOL“ – ტრანსნაციონალური უსაფრთხოების აქტორი გლობალური მმართველობისას.*

XXI საუკუნეში საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო სწრაფად იცვლება როგორც ტექნოლოგიური პროგრესის, ასევე დანაშაულის ზრდის ფონზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უსაფრთხოების სფეროში არის ახალი, თვისებრივად განსხვავებული და მზარდი გამოწვევები, რადგან დანაშაულებრივი ქსელები მოქმედებენ სხვადასხვა იურისდიქციაში, სხვადასხვა სივრცეში (მათ შორის როგორც ფიზიკურ, ასევე - ვირტუალურ). სწორედ ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ორგანიზაციათა როლი, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოთა თანამშრომლობას უსაფრთხოების სფეროში. ასეთ ორგანიზაციებს შორის თავისი გავლენით გამოირჩევა საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – „INTERPOL“.

„INTERPOL“ – „International Criminal Police Organization“ – წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმას, რომელიც აერთიანებს 196 წევრ სახელმწიფოს და ემსახურება სახელმწიფოების კოორდინაციას ტრანსნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში („Interpol“, 2024). ორგანიზაცია თავად არ ახორციელებს დაკავებებს, თუმცა, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას, ოპერატიულ კოორდინაციას, ანალიტიკურ მხარდაჭერასა და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, რაც საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკულ საფუძველს ქმნის.

„დღეის მდგომარეობით, „INTERPOL“ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო სუბიექტს, რომელიც ჩართულია ტრანსნაციონალური თანამშრომლობისა და გლობალური მასშტაბის საერთაშორისო საკითხების გადაჭრაში.

ორგანიზაციის სტრატეგიული ჩარჩო (2026-2030) თანამშრომლობის სულისკვეთებას „INTERPOL„-ის ცენტრალურ ელემენტად განიხილავს და მას გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად წინაპირობად წარმოაჩენს. სტრატეგიის ხედვა — ***"Together against crime"*** – ეფუძნება იდეას, რომ თანამედროვე დანაშაულს არ აქვს საზღვრები და სახელმწიფოებს მისი იზოლირებულად მართვა არ შეუძლიათ. ორგანიზაცია პოზიციონირებს, როგორც **მაკოორდინებელი სტრუქტურა**, აერთიანებს სახელმწიფოებს და პარტნიორ აქტორებს **საერთო მიზნისათვის.**

აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით[62], თანამშრომლობა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით არ შემოიფარგლება; იგი მოიცავს ნდობაზე დაფუძნებული ინსტიტუციური კულტურის განვითარებას, ცოდნის გაზიარებას, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ერთობლივ გამოყენებას და წევრი ქვეყნების შესაძლებლობების გაძლიერებას. „INTERPOL„ ხაზს უსვამს, რომ გლობალური თანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთდაკავშირებულ ქსელს, სადაც სახელმწიფოები ერთმანეთს უზიარებენ მონაცემებს და ცოდნას, რაც ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძლის ეფექტიანობას ზრდის. ამგვარად, სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომლობა არის არა **დამატებითი მექანიზმი,** არამედ – საერთაშორისო უსაფრთხოების მმართველობის საფუძველი.

ევროპარლამენტის შეფასებით[63], „INTERPOL"-ის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი გარკვეული პერიოდის განმავლობაში დისკუსიის საგანი იყო. ორგანიზაცია არ დაფუძნებულა კლასიკური საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე და მისი კონსტიტუცია არ გაუვლია ეროვნული პარლამენტების მიერ რატიფიკაციის პროცედურას, რაც ტრადიციული გაგებით საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმებს სრულად არ შეესაბამება. მიუხედავად ამისა, თავად ინტერპოლი საკუთარ თავს განსაზღვრავს როგორც **მთავრობათაშორის**

[62] სტრატეგიის ჩარჩო დოკუმენტი ხელმისაწვდომია ამ ბმულზე: https://www.interpol.int/en/Who-we-are/Strategic-Framework. ბმულის ბოლოს შემოწმების თარიღია: 12.04.2026.

[63] The status of Interpol as an international organisation (2013) – ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/E-7-2013-011707_EN.html.

ორგანიზაციას და პრაქტიკაში მრავალი სახელმწიფო მას სწორედ ასეთად აღიარებს.

თანამედროვე შეფასებებით, მათ შორის ევროპარლამენტის ანალიზის მიხედვით, **დღეს აღარ არსებობს** ინტერპოლის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსში ეჭვის შეტანის საფუძველი. ეს სტატუსი მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი მდგომარეობის, იმუნიტეტებისა და პრივილეგიების განსასაზღვრად. საერთაშორისო სამართალში **„საერთაშორისო ორგანიზაციის" ერთიანი და უნივერსალური განსაზღვრების არარსებობისას,** „INTERPOL" წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას: ორგანიზაციას, რომელიც ფორმალურად არ შეესაბამება კლასიკურ მოდელს, თუმცა, ფუნქციურად სრულად ასრულებს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ინსტიტუტის როლს.

„INTERPOL"-ის ჩამოყალიბება და ინსტიტუციური გაფართოება განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა XX საუკუნის მეორე ნახევარში[64] და დასასრულს მიუახლოვდა 1990-იანი წლების ბოლოს, როდესაც **ორგანიზაცია ფაქტობრივად გლობალურ ქსელად ჩამოყალიბდა**. 1956 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც დამტკიცდა სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის პოლიციის წარმომადგენლებისა და დიპლომატების მონაწილეობით, საფუძვლად დაედო ორგანიზაციის თანამედროვე სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციას ხელი არ მოუწერიათ კლასიკური საერთაშორისო ხელშეკრულების მსგავსად სახელმწიფოთა პარლამენტების მიერ რატიფიცირებული ფორმით, მას ეტაპობრივად შეუერთდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, რაც ნიშნავდა მის ლეგიტიმაციას. მაგ., 1960-იან წლებში ,,From the original 20 founding members in 1923, there were 50 member countries by 1955 as the Organization rebuilt itself after the Second World War. This map shows the member countries as of September 1962. Changing geographical boundaries of nations, such as the break-up of the Soviet Union and Yugoslavia, led to new nations joining" (ორგანიზაციის ისტორიული განვითარების ეტაპები).

[64] ორგანიზაციის განვითარების ძირითადი თარიღები წარმოდგენილია ინტერპოლის ისტორიის მოკლე მიმოხილვის ნაწილში: https://www.interpol.int/en/Who-we-are/Our-history/Key-dates.

1990-იანი წლების ბოლოსთვის ორგანიზაცია უკვე აერთიანებდა მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობას და ფაქტობრივად დასრულდა მისი გლობალური გაფართოების ძირითადი ფაზა იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი დღეს ფუნქციონირებს. ამ პროცესმა ინტერპოლი აქცია უნივერსალურ პლატფორმად სამართალდამცავი თანამშრომლობისთვის, სადაც წევრობა აღარ იყო რეგიონულად შეზღუდული, არამედ მოიცავდა თითქმის ყველა კონტინენტს. სწორედ ამ ისტორიულ ეტაპზე ჩამოყალიბდა ინტერპოლი როგორც სრულად ინტეგრირებული, გლობალური, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ამ მასშტაბსა და დატვირთვას.

II. რა გავლენას ახდენს „INTERPOL“-ის ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია უსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობაზე?

გამომდინარე იქიდან, რომ XXI საუკუნე შეფასებულია ინფორმაციისა და ქსელების ეპოქად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საინფორმაციო სისტემებმა, მონაცემთა ბაზებმა და თანამშრომლობამ (ინფორმაციის გაცვლამ), „INTERPOL“ აქცია ტრანსნაციონალურ აქტორად და მისცა შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩართულიყო გლობალური მმართველობის კონტექსტში.

ციფრული დანაშაულის ზრდასთან ერთად ორგანიზაცია აქტიურად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ბიომეტრიულ მონაცემებსა და ხელოვნურ ინტელექტს ტრანსნაციონალური საფრთხეების იდენტიფიკაციისთვის. 2025 წლის საერთაშორისო თანამშრომლობის დღის თემად სწორედ „ICT“ და „AI“ საქმიანობაში დასახელდა, რაც მიუთითებს ორგანიზაციის ტრანსფორმაციაზე ტექნოლოგიურად ორიენტირებულ უსაფრთხოების პლატფორმად.

კიბერდანაშაული, ხელოვნური ინტელექტის არაეთიკურად და ბოროტი მიზნებისთვის გამოყენება, ონლაინ თაღლითობა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ მიმართული კიბერშეტევები თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მთავარ გამოწვევებად განიხილება. ამ კონტექსტში „INTERPOL“ საკუთარ სტრატეგიულ დოკუმენტებში ტექნოლოგიურ

უსაფრთხოებას განსაზღვრავს როგორც **საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.**

„INTERPOL“-ის სტრატეგიული ჩარჩო 2026–2030 ხაზს უსვამს, რომ ორგანიზაციის მისიაა „გლობალური სამართალდამცავი სისტემების დაკავშირება და გაძლიერება უსაფრთხო სამყაროსთვის“, რაც მნიშვნელოვნად ეფუძნება ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას: ,,In the coming decades, technological advances will continue to blur the boundaries between the physical and the digital…INTERPOL's products and services will evolve to help the global law enforcement community prepare for these transformations."

ხაზგასასმელია, რომ ორგანიზაციას აქვს კიბერდანაშაულის სტრატეგია - INTERPOL's Cybercrime Global Strategy (2022-2025), რომლის მიზედვითაც „INTERPOL“ კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ოპერაციებს, ავრცელებს საფრთხის დაზვერვით მონაცემებს და აძლიერებს წევრი ქვეყნების შესაძლებლობებს ტრენინგებისა და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. დოკუმენტის სლოგანია – „**Reducing the global impact of cybercrime and protecting communities for a safer world“,** რომელიც ასახულია დოკუმენტის 4 ამოცანაში.

პირველი ამოცანა დაკავშირებულია კიბერდანაშაულის პრევენციის პროაქტიულ მიდგომასთან;

მეორე ამოცანა მიმართულია კიბერდანაშაულის ეფექტიანი გამოვლენისკენ;

მესამე ამოცანა ეხება წევრი ქვეყნების შესაძლებლობების განვითარებას. სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტრენინგს, ტექნიკური უნარების გაძლიერებასა და მრავალაქტორულ პარტნიორობებს, რაც ხელს უწყობს გლობალური კიბერუსაფრთხოების ეკოსისტემაში ნდობის ზრდას და თანამშრომლობის გაღრმავებას;

მეოთხე ამოცანა მიზნად ისახავს „INTERPOL“-ის როლის გაძლიერებას გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში.

სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით, ო**თხივე მიმართულება ერთიანად ქმნის თანამშრომლობაზე, ინოვაციასა და კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე**

დაფუძნებულ საერთაშორისო მოდელს, რომელიც კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას გლობალური მმართველობის მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილავს.

იმ მავალფეროვან ინსტრუმენტს შორის, რომელთა მეშვეობითაც „INTERPOL“ იქცა საერთაშორისო თანამშრომლობის აქტორიდან გლობალური მმართველობის შემადგენელ ინსტიტუციად, ხაზგასასმელია რამოდენიმე (რომელთაც ამ სტატიის მიზნებისთვის მოვიყვან საილუსტრაციოდ):

I-24/7: გლობალური პოლიციის დაცული ქსელი / „Secure global police communications system“

წევრი ქვეყნების სამართალდამცავი უწყებების დასაკავშირებლად ინტერპოლის მიერ შემუშავებულ იქნა გლობალური საპოლიციო საკომუნიკაციო სისტემა I-24/7. აღნიშნული სისტემა ავტორიზებულ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გაცვალონ კოლეგებთან სენსიტიური და გადაუდებელი საპოლიციო ინფორმაცია მსოფლიოს მასშტაბით უწყვეტად.

ამჟამად ინტერპოლი ძალისხმევას არ იშურებს, რომ აღნიშნული მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი გახდეს ისეთი უწყებებისათვის, როგორებიც საიმიგრაციო და სასაზღვრო გამშვები პუნქტებია.

„I-Link“

ყოველდღიურად, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები I-24/7 ქსელის მეშვეობით ერთმანეთში ათასობით წერილს ცვლიან. აღნიშნული მიმოწერის ეფექტური მენეჯმენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „I-Link“ წარმოადგენს უნიკალურ დინამიკურ სისტემას, რომელიც მონაცემთა ბაზების ცენტრალიზებას და მუდმივ განახლებას ახდენს. ეროვნული ცენტრალური ბიუროების ოფიცრებს და სხვა უფლებამოსილ მომხმარებლებს I-24/7-ის მეშვეობით წვდომა გააჩნიათ „I-Link“-თან რომელიც არის საერთაშორისო სტანდარტის საკომუნიკაციო სისტემა, შეუძლია დროის მოკლე მონაკვეთში საპოლიციო ინფორმაციის ინტერპოლის კრიმინალურ მონაცემთა ბაზებში ასახვა და საპოლიციო ინფორმაციაზე რეალურ დროში ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა. „**I-Link“** ხელმისაწვდომია ინტერპოლის სამუშაო ენაზე (არაბული, ინგლისური, ფრანგული და ესპანური).

„INTERPOL“ წარმოადგენს უნიკალურ ინსტიტუციურ აქტორს, რომელიც აერთიანებს გლობალური მმართველობის, ტექნოლოგიური ინოვაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომპონენტებს. მისი განვითარება ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაციას, სადაც უსაფრთხოება სულ უფრო მეტად ეფუძნება ქსელურ კოორდინაციასა და მონაცემებზე დაფუძნებულ მმართველობას.

ამრიგად, „INTERPOL“ არ წარმოჩინდება და არ პოზიციონირებს როგორც სამართალდამცავი კოორდინაციის ტექნიკური პლატფორმა: იგი ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან აქტორად, რომელიც აერთიანებს უსაფრთხოების პოლიტიკას, ტექნოლოგიურ ინოვაციასა და მრავალმხრივ დიპლომატიას. მისი საქმიანობა აჩვენებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები სულ უფრო მეტად ეფუძნება ქსელურ თანამშრომლობას სახელმწიფოთა შორის, სადაც უსაფრთხოება არის დაფუძნებული საერთო პასუხისმგებლობასა და არა მხოლოდ ეროვნული კომპეტენციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Calcara, G. (2021). Balancing international police cooperation: The problematic aspects of INTERPOL’s governance. Liverpool Law Review, 42(1), 1–19. https://doi.org/10.1007/s10991-020-09266-9;
2. European Parliament. (n.d.). International police cooperation and INTERPOL;
3. INTERPOL. (2022–2025). **Cybercrime global strategy**: Reducing the global impact of cybercrime and protecting communities for a safer world. https://www.interpol.int;
4. INTERPOL. (2025). UN International Day of Police Cooperation 2025: ICT and AI in policing. https://www.interpol.int/Who-we-are/Our-partners/International-organization;
5. INTERPOL. (2026). **Strategic framework 2026–2030.** https://www.interpol.int/en/Who-we-are/Strategic-Framework;

6. INTERPOL. (n.d.). About INTERPOL. https://www.interpol.int/Who-we-are/What-is-INTERPOL;
7. **INTERPOL. (n.d.). INTERPOL and the United Nations:** Priorities for cooperation;
8. TechRadar Pro. (2026, January 15). Massive INTERPOL operation takes down thousands of cybercrime servers worldwide. https://www.techradar.com/pro/security/massive-interpol-operation-takes-down-45-000-ip-addresses-and-leads-to-94-arrests.

კონსოციაციური დემოკრატიის მოდელი კონფლიქტების მართვაში აფხაზეთის მაგალითზე

თათული თორდია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი

Tatuli.Tordia@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-8044-5686

DOI: 10.52340/splogos.2026.01.03

აბსტრაქტი

ეთნიკურად და პოლიტიკურად დაყოფილი საზოგადოების მართვა თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში რთულ გამოწვევად მიიჩნევა, რადგან ფორმალური ინსტიტუტები სტაბილურობას ხშირად ვერ უზრუნველყოფენ. კონსოციაციური დემოკრატიის მოდელი, როგორც არენდ ლეიფჰარტის კონცეფცია, დაყოფილ საზოგადოებებში ძალაუფლების ინსტიტუციურ განაწილებას სტაბილურობის შექმნის გზად განიხილავს.

აფხაზეთის 1990-იანი წლების კონფლიქტი წარმოადგენს მაგალითს, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტების დიზაინი მიუხედავად ეთნიკური კვოტების გამოყენებისა, ნდობის ნაკლებობისა და გარეაქტორების გავლენის გამო სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფდა. კვლევამ აჩვენა, რომ კონსოციაციური დემოკრატიის პრინციპები ფორმალურად არსებობდა, თუმცა, ელიტებს შორის თანამშრომლობის არარსებობისა და მმართველობის პროცესში ეთნიკური კონკურენციის გაძლიერების გამო, ინსტიტუციური მექანიზმები ვერ ახერხებდა კონფლიქტის დეესკალაციას. შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ინტეგრაციული მიდგომები, რომლებიც ჯგუფებს შორის თანამშრომლობასა და ფართო საზოგადოების ჩართულობას ემყარება, კონფლიქტის მართვისთვის უფრო ეფექტურ პირობებს ქმნის.

აფხაზეთის შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რომ კონსოციაციური მოდელის წარმატება არა მხოლოდ ინსტიტუციურ მექანიზმებზე, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ წინაპირობებზე, ნდობის ხარისხსა და გარეაქტორების გავლენაზეა დამოკიდებული. შედეგად, მხოლოდ ფორმალური ინსტიტუტების შექმნა სტაბილური და მდგრადი პოლიტიკური თანაარსებობისათვის საკმარისი არაა და კონფლიქტის მართვა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც პოლიტიკური, ეთნიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები ერთობლივად კონტროლირებადია.

საკვანძო სიტყვები: ეთნო-პოლიტიკური დაყოფა, ძალაუფლების განაწილება, რეგიონული უსაფრთხოება, დემოკრატიული ინსტიტუტები, აფხაზეთი.

The Consociational Democracy Model in Conflict Management in the Case of Abkhazia

Tatuli Tordia

PhD Student of Political Sciences,

Caucasus International University

Tatuli.Tordia@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-8044-5686

Abstract

Governing an ethnically and politically divided society is considered a difficult challenge in modern political science, as formal institutions often fail to ensure stability. The model of consociational democracy, as conceived by Arend Leifhardt, considers the institutional distribution of power in divided societies as a way to create stability.

The Abkhazian conflict of the 1990s is an example where the design of political institutions, despite the use of ethnic quotas, failed to ensure stability due to a lack of trust and the influence of external actors. The study showed that the principles of consociational

democracy formally existed. Due to the lack of cooperation among elites and the intensification of ethnic competition in the governance process, institutional mechanisms were unable to de-escalate the conflict. Comparative analysis has revealed that integrative approaches, based on cooperation between groups and the involvement of the wider community, create more effective conditions for conflict management.

The case of Abkhazia clearly shows that the success of the consociational model depends not only on institutional mechanisms but also on socio-political preconditions, the degree of trust, and the influence of external actors. As a result, the creation of formal institutions alone is not sufficient for stable and sustainable political coexistence, and conflict management is possible only when political, ethnic, and geopolitical factors are jointly controlled.

Keywords: Ethno-political division, power-sharing, regional security, democratic institutions, Abkhazia.

ეთნიკურად და პოლიტიკურად დაყოფილი საზოგადოების მართვა თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ამავდროულად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფოებრივი ტრანსფორმაცია იდენტობის პოლიტიკის გააქტიურებასთან ერთად მიმდინარეობს. პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესებმა ცხადყო, რომ ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას არენდ ლეიფჰარტის კონსოციაციური დემოკრატიის მოდელი იპყრობს, რომელიც კონფლიქტური საზოგადოებების სტაბილიზაციას ძალაუფლების გაზიარების გზით ისახავს მიზნად.

აფხაზეთის კონფლიქტი სწორედ იმ შემთხვევას წარმოადგენს, სადაც დემოკრატიული მმართველობის მოდელი სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს, რადგან იგი ერთდროულად როგორც ისტორიულ, ისე მიმდინარე პოლიტიკურ

განზომილებებს აერთიანებს. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ძირითადი ფაზა გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარდა, მისი შედეგები დღემდე განსზღვრავს რეგიონულ პოლიტიკურ რეალობასა და გავლენა აქვს რეგიონულ და ეროვნულ უსაფრთხოებაზე. კონფლიქტის განვითარებამ აჩვენა, რომ ეთნო-პოლიტიკური დაყოფისას პოლიტიკური სისტემის დიზაინი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ამდენად, კონსოციაციური დემოკრატიის თეორია ხშირად განიხილება როგორც ერთ-ერთი შესაძლო ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც მსგავსი კონფლიქტების ახსნა შესაძლებელია.

წინამდებარე **სტატიის მიზანს** სწორედ კონსოციაციური დემოკრატიის ძირითადი პრინციპების ანალიზი, აფხაზეთის კონფლიქტთან მათი შესაბამისობის შეფასება და 1991 წლის საარჩევნო სისტემების განხილვა წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევა ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე მეთოდს ეყრდნობა, რომლებიც თეორიიდან კონკრეტულ შემთხვევამდე საკითხის თანმიმდევრულ გააზრებას უზრუნველყოფს. ასეთი მიდგომის აუცილებლობა თავად თემის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, რადგან ერთდროულად თეორიული მოდელის გაანალიზებასა და მისი პრაქტიკული გამოვლინების შეფასებას მოითხოვს.

კვლევის საწყისად გამოყენებულია თვისობრივი კლევის მიდგომა, რომლის ფარგლებში კონსოციაციური დემოკრატიის თეორიული ჩარჩო და აფხაზეთის შემთხვევა განიხილება. გამოყენებულია შემთხვევების ანალიზის მეთოდი (ე. წ. „Case Study“), სადაც აფხაზეთი კონკრეტულ შემთხვევად განიხილება, რაც თეორიის პრაქტიკაში შემოწმების საშუალებას იძლევა. ამ მიდგომის საშუალებით ძირითადი პრინციპებისა და ლოგიკური საფუძვლების გააზრებაა შესაძლებელი. შემდეგი მეთოდი უშუალოდ შედარებით ანალიზს მოიცავს, რომლის ფარგლებში კონსოციაციური დემოკრატიის თეორიულ მოდელს აფხაზეთის 1991 წლის ინსტიტუციურ მოწყობას ვადარებთ; შედარებითი ანალიზი კონსოციაციური და ინტეგრაციული მოდელების ძირითადი განსხვავებების დადგენაშიც გვეხმარება, რაც თეორიული შეზღუდვებისა და პრაქტიკული სისუსტეების გამოვლენის საშუალებას იძლევა. კვლევისთვის ასევე ღირებულია დისკურსის ანალიზი, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა პოლიტიკური შეთანხმებები, ოფიციალური

ტექსტები და პოლიტიკოსების საჯარო განცხადებებია შესწავლილი. ამ მეთოდის გამოყენება არა მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემების შეფასების, არამედ პოლიტიკური ნარატივების მნიშვნელობების გაანალიზების საშუალებასაც იძლევა.

ამ კონტექსტში აქტუალური ხდება კითხვა, რამდენად ეფექტურად შეიძლება იმუშაოს კონსოციაციურმა დემოკრატიამ ისეთ პირობებში, სადაც ელიტებს შორის ნდობა სუსტია, გარე აქტორების გავლენა კი – დიდი. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე სწორედ ამ კრიტიკულ მიდგომაში გამოიხატება. კვლევა კონსოციაციურ დემოკრატიას უნივერსალურ მოდელად არ განიხილავს, არამედ ცდილობს დაადგინოს თუ რა პირობებშია იგი ეფექტური და რა გარემოებებში კარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამ მიზნით, თეორიული ჩარჩო არა იზოლირებულად, არამედ კონკრეტულ ემპირიულ მასალასთან, აფხაზეთის შემთხვევასთან მიმართებით არის გაანალიზებული, რაც თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებულ კორელაციის ხარისხს ავლენს.

არენდ ლეიფჰარტის კონსოციაციური დემოკრატიის კონცეფცია ეფუძნება მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ღრმად დაყოფილ საზოგადოებებში დემოკრატიის სტაბილურობა მხოლოდ უმრავლესობის მმართველობით ვერ მიიღწევა. ასეთ პირობებში პოლიტიკური კონკურენცია ხშირად ნულოვანი ჯამის თამაშად ყალიბდება, სადაც ერთი ჯგუფის გამარჯვება მეორის მარგინალიზაციას ნიშნავს. სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად კონსოციაციური დემოკრატიის მოდელი, რის მისაღწევადაც ძალაუფლების ინსტიტუციურ განაწილებას მიმართავს.

კონსოციაციური დემოკრატია პოლიტიკური ელიტების კარტელის მმართველობად განისაზღვრება, რომელიც ფრაგმენტირებული პოლიტიკური კულტურის მქონე დემოკრატიის სტაბილურ და ფუნქციონირებად სისტემად გარდაქმნისთვისაა შექმნილი. წარმატებული კონსოციაციური დემოკრატიის უზრუნველყოფა რამდენიმე მნიშვნელოვან წინაპირობას მოითხოვს. პირველ რიგში, ელიტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეეგუონ ქვესუბკულტურების სხვადასხვა ინტერესებსა და მოთხოვნებს. მეორე, ელიტებს უნდა შეეძლოთ

პოლიტიკურ გაყოფას გადააბიჯონ და კონკურენტული ქვესუბკულტურების ლიდერებთან საერთო იდეებისთვის ითანამშრომლონ. მესამე, ეს ყველაფერი, საბოლოოდ, დამოკიდებულია ელიტების ერთგულებაზე სისტემის შენარჩუნებისა და მისი სტაბილურობის გაზრდისთვის. მეოთხე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა ეფუძნება იდეას, რომ ელიტები პოლიტიკური ფრაგმენტაციის სერიოზულ საფრთხეს იაზრებენ[65].

თუმცა, აღნიშნული მოდელი გარკვეულ წინაპირობებსაც ითხოვს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ელიტების მზადყოფნა თანამშრომლობისთვის. ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ლიდერები ერთმანეთის მიმართ ნდობას არ გამოხატავენ ან საერთო წესებს არ აღიარებენ, ინსტიტუციური მექანიზმები ფორმალურ ჩარჩოებად რჩება და სტაბილიზაციის ფუნქციას ვეღარ ასრულებენ[66].

სწორედ შემდეგი ოთხი მოთხოვნის ერთიანობა წარმოადგენს კონსოციაციური დემოკრატიის კონცეფციის ძირითად ლოგიკურ საფუძველს – დაყოფილ საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას ძალაუფლების ინსტიტუციური განაწილების გზით.

რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს, ეს რთული ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირებაა, რომლის საფუძველშიც იდენტობა, ისტორიული ნარატივები და გეოპოლიტიკური ინტერესები დგას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესმა რეგიონში ეთნიკური ნაციონალიზმი გააძლიერა, რამაც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი დაასუსტა და ეთნიკური დაპირისპირება თანდათან პოლიტიკური ინსტიტუტების კრიზისად გარდაიქმნა, სადაც ძალაუფლების განაწილების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. 1992-1993 წლებში არსებული დაძაბულობა საბოლოოდ შეიარაღებულ

[65] Arend Lijphart, "Consociational Democracy", *World Politics* 21, no 2(1969): 213.

[66] Donald L. Horowitz, "Ethnic Power-Sharing and Democracy," *Journal of Democracy* 25, no. 2 (April 2014): 5-20.

კონფლიქტში გადაიზარდა, რამაც რეგიონში უსაფრთხოების დილემა კიდევ უფრო გაამწვავა[67].

აფხაზეთის კონფლიქტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს დემოგრაფიული სტრუქტურა წარმოადგენს, სადაც აფხაზები უმცირესობას, ხოლო ქართველები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. აღნიშნული ვითარება ე. წ. უსაფრთხოების დილემას ქმნიდა, რომლის პირობებშიც თითოეული მხარე საკუთარი პოლიტიკური მომავლის დაკარგვას შიშობდა – აფხაზური მხარე დემოკრატიული წესებისას ძალაუფლების დაკარგვის მცდელობას ხედავდა, ხოლო ქართული მხარე უმრავლესობის პრინციპის შეზღუდვას არ ამართლებდა[68].

1990 წლის აგვისტოში აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ („Supreme Soviet of Abkhazia“) სუვერენიტეტი გამოაცხადა. ამავდროულად, საბჭომ დააფიქსირა, რომ საქართველოსთან თანამშრომლობისა და მოლაპარაკებისთვის მზად იყვნენ, რათა ისეთი ფედერაციული მოდელი ჩამოყალიბებულიყო, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფდა აფხაზეთის ინტერესებსა და იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მალევე, აფხაზეთის უზენაესმა საჭომ, აფხაზი დეპუტატების ინიციატივით, საკონსტიტუციო ნორმების უხეში დარღვევით, არადემოკრატიული მეთოდების გამოყენებითა და დეპუტატთა უმრავლესობის პოზიციის იგნორირებით, მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ და ასევე დაამტკიცა დეკლარაცია „აფხაზეთის ასსრ-ის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“[69]. 26 აგვისტოს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა რეფერენდუმის შედეგები არალეგიტიმურად ცნო, რადგან პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა და გააუქმა

[67] Dazmir Jojua, *Russia and the War of 1992-1993 in Abkhazia* (Tbilisi: Saari LTD, 2017), 19.

[68] Arend Lijphart, *Democracy in Plural Societies: A Comparative Exploration* (New Haven, CT: Yale University Press, 1982), 25.

[69] შოთა მალაშხია, *კონფლიქტები, პროგნოზირება: საერთაშორისო სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები* (თბილისი, გამომცემლობა „ფორმა“, 2007), 129.

აღნიშნული დოკუმენტები. ამ უკანასკნელმა კი პოლიტიკური დისტანციის კიდევ უფრო გაღრმავება გამოიწვია.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა, რის შედეგადაც ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფო წყობა დამყარდა. იმავე წლის 14 ნოემბერს კი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ზვიად გამსახურდია იქნა არჩეული. იმავე წლის დეკემბერშივე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ სსრკ-ის სახალხო დეპუტატი, ვლადისლავ არძინბა არიჩიეს.

1991 წლის 29 იანვარს, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ადგილობრივი საბჭოების გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა, ვლადისლავ არძინბა მას არ დაემორჩილა. სსრკ-ის შენარჩუნების საკითხზე 1991 წლის 17 მარტს საკავშირო რეფერენდუმი გაიმართა, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 26 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მისი ბოიკოტირების გადაწყვეტილება მიიღო. 5 მარტს სატელევიზიო გამოსვლისას ზვიად გამსახურდიამ მოსახლეობას მოუწოდა, რომ ამ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიეღო, რადგან ქვეყანას უკვე დამოუკიდებლობისკენ მიმართული კურსი ჰქონდა არჩეული, ხოლო სანაცვლოდ 31 მარტს დაგეგმილ საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმში ჩართულობისაკენ მოუწოდა.

თუმცა, აფხაზეთში ადგილობრივმა საარჩევნო კომისიამ კენჭისყრა მაინც ჩაატარა, სადაც მონაწილეთა უმრავლესობამ (მათ შორის გადამწყვეტი როლი ჰქონდა გალის რაიონის მოსახლეობამ) რეფერენდუმის ფარგლებში სსრკ-ის შენარჩუნებას მხარი დაუჭირა. 22 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საკავშირო რეფერენდუმის შედეგები ბათილად სცნო.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც, ჩატარდა რეფერენდუმი, რომელმაც ქართველი ერის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა დაადასტურა. ამის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რომელიც 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ეფუძნებოდა.

ამ პერიოდში მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში აფხაზურმა მხარემ ორპალატიანი პარლამენტის მოდელის იდეა წამოაყენა: ერთი პალატა უნდა დაკომპლექტებულიყო პროპორციული წესით მთელ მოსახლეობაზე, ხოლო მეორე – ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლობის პროპორციულად. საბოლოო შეთანხმების მიხედვით, აფხაზეთის ლიდერები დათანხმდნენ არსებული იდეის მოდიფიცირებულ ვარიანტზე, რომლის მიხედვითაც 65-მანდატიან პარლამენტში ადგილები წინასწარ განაწილდა: 28 აფხაზებისთვის, 26 ქართველებისთვის და 11 სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. დამატებით, გარკვეული გადაწყვეტილებების მისაღებად სპეციალური უმრავლესობის მოთხოვნა დაწესდა, რაც ფორმალურად სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების დაცვას უნდა მომსახურებოდა[70].

თუმცა, პრაქტიკაში ამ მექანიზმებმა ეფექტურად ვერ იმოქმედეს. 1991 წლის დეკემბერში არჩეულ ახალ პარლამენტში („Supreme Soviet“) მალევე დაპირისპირებულთა ორი ბლოკი შეიქმნა: ერთ მხარეს ქართველ დეპუტატთა ჯგუფი, ხოლო მეორე მხარეს, აფხაზური, სომხური, ბერძნული, რუსული და სხვა უმცირესობების.

1991 წელს აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები ძალაუფლების გაზიარების ინსტიტუციურ მცდელობად შეიძლება შეფასდეს, სადაც პარლამენტის მანდატები წინასწარ ეთნიკური კვოტების მიხედვით განაწილდა, რაც დემოგრაფიულ რეალობას სრულად არ ასახავდა და მიზნად პოლიტიკური ბალანსის შექმნას ისახავდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდნენ, მათ ყველაზე მეტი მანდატი მიენიჭათ, რაც აფხაზური ელიტისთვის პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურებოდა. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს (შემდგომში

[70] Lord Ennals, Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, and Michael van Walt van Praag, *Report of UNPO Mission in Abkhazia, Georgia and the Northern Caucasus, November 1992* (The Hague: Unrepresented Nations and Peoples Organization, 1992).

სეპარატისტული აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი) ვლადისლავ არძინბას შორის მიღწეულ კომპრომისს ეფუძნებოდა.

სისტემის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს გადაწყვეტილების მიღების პროცედურა წარმოადგენდა, სადაც კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნა პრაქტიკაში უმცირესობის ვეტოს მსგავს მექანიზმს ქმნიდა. ამასთან, საარჩევნო სისტემა ეთნიკურად „დაჯავშნილ“ ოლქებსაც მოიცავდა, რაც ჯგუფებზე დაფუძნებულ წარმომადგენლობას კიდევ უფრო აძლიერებდა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდელი ფორმალურად კონსოციაციური დემოკრატიის ელემენტებს შეიცავდა, პრაქტიკაში მან სტაბილურობის უზრუნველყოფა ვერ შეძლო – რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო, სადაც ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ეთნიკური დაყოფის გაძლიერება წარმოადგენდა, ვინაიდან პოლიტიკური პროცესი სრულად ეთნიკურ კონკურენციად გარდაიქმნა.

მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა ნდობის დეფიციტს უკავშირდებოდა, რადგან კოსოციაციური დემოკრატია ეფექტურად მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, როდესაც ელიტებს შორის თანამშრომლობა არსებობს. აფხაზეთის შემთხვევაში კი ელიტებს შორის ურთიერთობა მეტად კონფრონტაციული ხასიათისა იყო.

მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტში გარეაქტორების გავლენაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსეთის ჩართულობას ჰქონდა, რომლის სამხედრო, პოლიტიკური თუ დეზინფორმაციული ჩარევა აფხაზურ და ქართულ მხარეში გაძლიერდა, რამაც აჩვენა, რომ ინსტიტუციური მექნიზმები (თუნდაც კონსოციაციური დემოკრატიის პრინციპით შექმნილი) რეალურად მხოლოდ შეზღუდულ ფუნქციას ასრულებდა.

თუმცა, ამ ვითარებაში აშკარა გახდა, რომ შექმნილი ინსტიტუციური მოდელი მხოლოდ ფორმალურად ასახავდა ძალაუფლების განაწილების პრინციპებს. 1991 წელს შემუშავებული სისტემა შეიძლება შეფასდეს კონსოციაციური დემოკრატიის არასრულ ფორმად – მიუხედავად ფორმალური

ინსტიტუტებისა და კვოტების არსებობისა, პოლიტიკური ნდობა და თანამშრომლობის კულტურა არ არსებობდა, რაც ასეთი მოდელის ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებდა. შედეგად, ინსტიტუციური ბალანსის ნაცვლად, პოლიტიკური პროცესი ბლოკირებისა და ურთიერთდაპირისპირების რეჟიმში გადავიდა, რამაც კონფლიქტის დეესკალაციის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეამცირა.

კონსოციაციური მოდელის კრიტიკის ფონზე პოლიტიკურ მეცნიერებაში თანდათან სხვა, ალტერნატიული მიდგომებიც ჩამოყალიბდა. კრიტიკოსები ხშირად მიუთითებდნენ, რომ მხოლოდ ინსტიტუციური გზით ძალაუფლების განაწილება ვერ უზრუნველყოფს მდგრად თანაცხოვრებას იმ საზოგადოებებში, სადაც ეთნიკურ ჯგუფებს შორის ნდობის ხარისხი სუსტია. სწორედ ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დონალდ ჰოროვიცის ინტეგრაციულ მოდელს, რომელიც განსხვავებულ ლოგიკაზე აგებს არგუმენტებს.[71]

ინტეგრაციული თეორიის მიხედვით, პოლიტიკური სისტემის ფუნქცია არსებული შიდადაყოფების ფორმალური აღიარებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს; პირიქით, მან ისეთი წესები უნდა შექმნას, რომლებიც ჯგუფებს შორის თანამშრომლობას წაახალისებს. ამ მიდგომაში ელიტურ შეთანხმებებზე დამოკიდებული სტაბილურობიდან აქცენტი უფრო ფართო საზოგადოებრივ ინტეგრაციაზე გადადის, რაც პროცესს დინამიკურ ხასიათს მატებს.

განსაკუთრებული როლი ენიჭება საარჩევნო სისტემასაც, რომელსაც ავტორი ცენტრალურ ინსტრუმენტად განიხილავს. მსგავსი ინსტიტუციური მოწყობა საარჩევნო კამპანიების ინკლუზიურობასა და მრავალეთნიკურ ინტერესებზე ორიენტირებულობას უწყობს ხელს. შედეგად, პოლიტიკურ სივრცეში მცირდება მკვეთრი პოლარიზაციის რისკი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთქმედების ალბათობა იზრდება, რაც ინტეგრაციული მოდელის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

[71] Donald L. Horowitz, *Ethnic Groups in Conflict* (Berkley: University of California Press, 1985).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არენდ ლეიფჰარტის კონსოციაციური დემოკრატიის მოდელი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზისთვის მნიშვნელოვან ანალიტიკურ ჩარჩოს ქმნის. მისი კონცეფცია განსაკუთრებით ეფექტურად მიიჩნეოდა ისეთ საზოგადოებებში, სადაც მკვეთრად დაყოფილი ჯგუფები თანაარსებობას ინსტიტუციური შეთანხმებებისა და კომპრომისების გზით ახერხებდნენ. თუმცა, პრაქტიკული რეალობა ცხადყოფს, რომ აღნიშნული მოდელის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონკრეტულ ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტზე.

აფხაზეთის შემთხვევა ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. 1991 წლის საარჩევნო სისტემა შეიძლება განიხილოს როგორც „კვაზი-კონსოციაციური“ მოდელი, ვინაიდან იგი ძალაუფლების გაზიარების გარკვეულ მექანიზმებს, მათ შორის ეთნიკური კვოტირების პრინციპს მოიცავდა, თუმცა სრულფასოვანი კონსოციაციური დემოკრატიის მოდელის სრულფასოვან ფუნქციონირებას ვერ უზრუნველყოფდა. აღნიშნული სისტემა ერთგვარ ინსტიტუციურ ექსპერიმენტადაც შეიძლება შეფასდეს, რომელიც ფორმალურად ბალანსის შექმნის ლოგიკასა და, გარკვეულწილად, კონსოციაციურ პრინციპებს ეყრდნობოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ მხოლოდ ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა სტაბილური და მდგრადი პოლიტიკური თანაარსებობის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ აღმოჩნდა. რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან შეკითხვას ბადებს: *რატომ ვერ იმუშავა მოდელმა იმ ფორმით, როგორსაც თეორია გვთავაზობდა?*

თეორიული ჩარჩოსა და აფხაზეთის შემთხვევის ღრმა ანალიზით დაკვირვება, რომ კონფლიქტის ეფექტური მართვა მხოლოდ ფორმალური ინსტიტუტების შექმნით ვერ მიიღწევა და დამატებით სოციალურ-პოლიტიკურ წინაპირობებს საჭიროებს. ამ მოცემულობაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჯგუფებს შორის არსებული ნდობის ხარისხი, ელიტების მზადყოფნა თანამშრომლობისთვის და გარეაქტორების როლი, რომლებიც შიდაპროცესების დინამიკას ხშირად განსაზღვრავენ. ამასთან,

ეთნიკური, ისტორიული და გეოპოლიტიკური გარემოფაქტორების ერთობლიობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, იმ შემთხვევებში, სადაც აღნიშნული წინაპირობები სუსტი, არამდგრადია ან არასტაბილურად ვითარდება, კონსოციაციური მოდელის პრაქტიკული ეფექტურობა მნიშვნელოვნად იზღუდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მალაშხია შოთა, *კონფლიქტები, პროგნოზირება: საერთაშორისო სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები.* თბილისი, გამომცემლობა ფორმა, 2007.
2. Ennals Lord, Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, and Michael van Walt van Praag. *Report of a UNPO Mission in Abkhazia, Georgia and the Northern Caucasus, November 1992.* The Hague: Unrepresented Nations and Peoples Organization, 1992.
3. Horowitz Donald L., “Ethnic Power-Sharing and Democracy”, *Journal of Democracy 25*, no 2 (April 2014), 5-20, Washington, DC, National Endowment for Democracy and John Hopkins University Press.
4. Horowitz Donald L., *Ethnic Groups in Conflict,* Berkley, University of California Press, 1985.
5. Jojua Dazmir, *Russia and the War of 1992-1993 in Abkhaizia,* Tbilisi, SAARI LTD, 2017.
6. Lijphart Arend, “Consociational Democracy”, *World Politics* 21, no 2 (1969), 207–225. https://doi.org/10.2307/2009820.
7. Lijphart Arend, *Democracy in Plural Societies, A Comparative Exploration* (New Haven, CT, Yale University Press, 1982).

სპარსეთის ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების ენერგოპოლიტიკური ინტერესები

მარიამ კიკნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი

mariamkiknadze@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0007-5948-6550

DOI: 10.52340/splogos.2026.01.04

აბსტრაქტი

სტატია მიმოიხილავს ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის აღმოჩენისა და მისი ტრანსფორმაციის ეტაპებს, შტატების წარმომადგენლობა ეძებდა კონკურენტუნარიან ნავთობის მწარმოებელ სახელმწიფოებს სპარსეთის ყურის რეგიონში. განხილულია ენერგეტიკული ტრანზიციისას შტატების მხრიდან მზარდი ინტერესი ნედლ ნავთობზე, ენერგეტიკული დიპლომატიის საწყისი ეტაპები საუდის არაბეთთან და რეგიონის სახელმწიფოებთან, რადგან სამომავლო ინტერესების ფორმირება მათთან კავშირის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. 1972 წლიდან ნავთობი იქცა ენერგიის მთავარ წყაროდ, რამაც გამოიწვია მოხმარების ზრდა, დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე ცალმხრივად გაიზარდა ნავთობის ფასი. რადგან მსოფლიო ნავთობის დადგენილი მარაგის 63% აღმოჩენილია არაბული გალფის ყურეში. შეერთებული შტატების ენერგეტიკული ინტერესები თითოეული პრეზიდენტის მმართველობის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, რაც შეიძლება მეტად დაახლოებოდნენ ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებს. განხილულია 1991 წლიდან 2024 წლამდე თითოეული პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯი გლობალური ტრანზიციის მიმართულებით, მათ სამომავლო ხედვებზე სარგებლებსა თუ რისკზე. თუ სპარსეთის ყურეში შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა სამხედრო ინტერვენციებით შემოიფარგლებოდა. ის ჩაანაცვლა ეკონომიკურმა და ენერგეტიკულმა დიპლომატიამ. ეკონომიკური მოდერნიზაციისას ჩინეთისათვის სპარსეთის ყურე ეკონომიკური განვითარებისათვის ლოგიკურ კანდიდატურას წარმოადგენს. დაიწყო ჩინეთის

მხრიდან პირველი ინვესტიციების განხორციელება ნავთობის სექტორში ერაყში, რომელსაც მოჰყვა ნავთობსაბადოების განვითარების პროექტები. ჩინეთი ენერგეტიკული ინტერესების ფორმირებას უზრუნველყოფს ირანთან სტრატეგიული თანამშრომლობის გზით, რომელსაც მოჰყვება მემორანდუმები („MOUS“), განხილულია განხორციელებული და განსახორციელებელი ბურღვითი სამუშაოები რეგიონის თითოეულ სახელმწიფოსთან. მნიშვნელოვანია სამომავლო გეგმები,რომელიც მოიცავს სუფთა ენერგიაზე გადასვლას და ორიენტირებულია დაბალი ნახშირბადის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ნედლი ნავთობი, ტრანზიცია, ენერგეტიკული ინტერესები, ნავთობპროექტები, სუფთა ენერგია.

The Energy Interests of the United States in the Foreign Policy of the Persian Gulf Countries

Mariam Kiknadze,

PhD Student of International Relations,

Georgian Technical University

mariamkiknadze@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0007-5948-6550

Abstract

The article reviews the stages of oil discovery and its transformation in the United States of America, as the U.S. sought to compete with oil-producing states in the Persian Gulf region. The growing interest of states in crude oil within the context of the energy transition is discussed, along with the initial stages of energy diplomacy with Saudi Arabia and other countries in the region, as the formation of future interests would be impossible without such connections. Since 1972, oil has become the main source of energy, leading to an increase in consumption. Due to high demand, oil prices have risen significantly. As 63% of the world's proven oil reserves are located in the Arabian Gulf, the energy interests

of the United States have remained consistent across different presidential administrations, bringing it closer to oil-producing countries. The steps taken by each U.S. president from 1991 to 2024 toward the global energy transition are discussed, along with their future visions, benefits, and risks. While U.S. foreign policy in the Persian Gulf was previously focused on military interventions, it has increasingly shifted toward economic and energy diplomacy. During its period of economic modernization, China viewed the Persian Gulf as a logical partner for development. It began making its first investment in Iraq's oil sector, followed by broader oilfield development projects. China is shaping its energy interests through strategic cooperation with Iran, supported by memorandums of understanding (MOUs), which address both current and future drilling activities across the region. Plans emphasize the transition to clean energy and focus on how to achieve low-carbon development.

Keywords: Crude Oil, Transition, Energy Interests, Oil Projects, Clean Energy.

კვლევის მეთოდოლოგია: თვისებრივი ხასიათის კვლევა დაეყრდნობა პირველადი და მეორეული მონაცემების დამუშავებას. აღნიშნული კვლევისას მეორეული მონაცემების სახით გამოყენებული იქნება სამეცნიერო ლიტერატურა, ჩატარებული კვლევები, სტატიები და ანგარიშები. ასევე გაანალიზებულია უცხოური გამოცდილება, აღნიშნული მიმართულებით. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი ემყარება ისტორიულ და პოლიტოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ კვლევის მეთოდებს: შედარებით ანალიზს, ისტორიულ შედარებით ანალიზს, კონტენტანალიზს, სისტემურობისა და სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მეთოდებს, „case study". ნაშრომი ეყრდნობა აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესახებ შემუშავებულ თეორიებს, ფუნდამენტური კვლევების შედეგებსა და დებულებებს, რომლებიც ასახავენ ამ სფეროში მოვლენების ტრანსფორმაციას დროში, მათდამი მიდგომების სახესხვაობას და ა. შ.

კვლევის თეორიული ჩარჩო: კვლევის საფუძვლად არჩეულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სკოლების ნეორეალისტური და რეალისტური

მიდგომები. ანალიზისას თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ძალთა ბალანსის თეორია, ჰეგემონური სტაბილურობის თეორია.

სამეცნიერო სიახლე: ნაშრომის მთავარი სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი, წარმოაჩენს სპარსეთის ყურის ქვეყნების ენერგეტიკულ რესურსებს და მის როლს საერთაშორისო ეკონომიკაში. ჩამოყალიბებულია მოდელი, რომელიც გამოკვეთს გლობალური აქტორების როლს სპარსეთის ყურის ქვეყნების ენერგოდიპლომატიის განვითარების პროცესში და განახლებადი ენერგიის განვითარების ფონზე გვთავაზობს მზარდ მოთხოვნას ენერგეტიკულ რესურსებზე. იკვლევს აშს-ის თანამშრომლობასა და წინააღმდეგობებს არაბული გალფის ქვეყნებში.

შესავალი

სპარსეთის ყურე, რომელსაც არაბულ ყურედ მოიხსენიებენ, მდებარეობს მსოფლიო ცივილიზაციის გასაყარზე ანტიკური სამყაროს ტიგროს-ევფრატის ტერიტორიაზე, დღევანდელი ერაყისა და ნილოსის ველზე, რომელიც ცნობილია ნაყოფიერი ნახევარმთვარის სახელით. სპარსეთის ყურე იზოლირებულია საერთაშორისო წყლებისაგან მისი ველური ბუნებისა და უნიკალურობიდან გამომდინარე. სპარსეთის ყურემ სახელი მიიღო ირანის ზეგანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რეგიონის სპარსიდან. ერაყში ნავთობის აღმოჩენამ გამოიწვია მნიშვნელოვანი პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები სპარსეთის ყურეში. 1908 წელი მიჩნეულია თარიღად, როდესაც პირველად ამოხეთქა ნავთობმა ირანში, მასჯედ-ე-სოლეიმანის მახლობლად, ერაყში – 1927 წელს, ბაჰრეინში – 1932 წელს, საუდის არაბეთსა და ქუვეითში – 1938 წელს. კომერციული ნავთობის რაოდენობა აღმოაჩინეს კატარსა და აბუდაბიში 1960 წელს, 1962 წელს – დუბაიში. ომანისა და სპარსეთის ყურეების დამაკავშირებელი 185 კილომეტრის სიგრძის ჰორმუზის სრუტე ამჟამად ატარებს სუპერტანკერებს, რომლის მეშვეობითაც ახლო აღმოსავლეთიდან გადის მსოფლიო ნავთობმომარაგების თითქმის ნახევარი. მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა ნავთობი, 2016 წლის ანგარიშით რეგიონში

თავმოყრილი იყო ნავთობის დადგენილი მსოფლიო მარაგის 48 პროცენტი და ბუნებრივი გაზის დადგენილი მსოფლიო მარაგის თითქმის 44 პროცენტი. ქვის ზეთით დაიწყო შეერთებული შტატების ნავთობდიპლომატიის ისტორია, შეერთებული შტატები ყოველწლიურად იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობის მწარმოებელი 1860 წლიდან 1914 წლამდე. პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში ნავთობზე მოთხოვნა გაიზარდა და შტატებმა დაიწყო საწვავის დაზოგვის სამოქალაქო პროგრამების დანერგვა. მზარდი მოთხოვნის ფონზე შტატების ენერგეტიკული ინტერესები მიმართული იყო საუდის არაბეთისაკენ, მომავალზე ფიქრი მათთან ურთიერთობის დამყარების გარეშე წარმოუდგენელიც კი იქნებოდა. სპარსეთის ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში შტატების ენერგეტიკული ინტერესები თითოეული პრეზიდენტის მმართველობისას უცვლელად რჩებოდა, გარდა იმისა რომ რეგიონის სტაბილურობას პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შტატებისათვის, ასევე მნიშვნელოვანი იყო ნავთობი.

პრობლემის აქტუალობა: სპარსეთის ყურე არასტაბილური რეგიონია ეკონომიკურად მდგრადი პოტენციალიდან გამომდინარე სხვადასხვა სახელმწიფოები რეგიონში პირველობისათვის იბრძოდნენ და იბრძვიან. თუ გასულ წლებში საომარ ეპიცენტრად მიიჩნეოდა ახლა რეგიონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში. ენერგეტიკული დიპლომატია გულისხმობს სტრატეგიულ მცდელობებს ენერგორესურსების საერთაშორისო წარმოებასა, დისტრიბუციასა, თანამშრომლობასა და კონკურენციას ქვეყნებს შორის.

უმთავრესი პრიორიტეტი აშშ-ისათვის, ჩინეთისა და რუსეთისათვის და დანარჩენი საერთაშორისო საზოგადოებისათვის არის სპარსეთის ყურეში სტაბილურობისა და წონასწორობის შენარჩუნება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გეოპოლიტიკური რისკის გავლენა გლობალურ ენერგეტიკაზე. ყურის ქვეყნების ნავთობდოლარების ჭარბი ნაწილი მიედინება გლობალურ საფინანსო ინსტიტუტებში, განსაკუთრებით, აშშ-სა და ევროპაში. ეს ინსტიტუტებია: „Barclays“, „Citigroup“, „Credit Suisse“, ნიუ-იორკისა და ლონდონის საფონდო ბირჟა. გრძელვადიან პერსპექტივაში ნაკლებად მილიტარიზებული, უფრო სტაბილური

რეგიონალური ჩარჩო შეიძლება გახდეს ყურეში ზოგიერთი ურთიერთობის ხელშემწყობი.

სპარსეთის ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების ენერგოპოლიტიკური ინტერესები

ჩრდილოდასავლეთ პენსილვანიაში ჯერ კიდევ წარმოდგენა ჰქონდათ, რომ არსებობდა ქვის ზეთი,რომელიც შემადგენლობით განსხვავდებოდა ცხოველური და მცენარეული ცხიმებისაგან, კლდის ქვიდან გადმონაღვენთი ზეთი მარილის წყაროსთან მოხვედრის შედეგად იშლებოდა და გროვდებოდა, რომელსაც შავი და საკმაოდ მძაფრი სურნელი ჰქონდა. ამ მცირე მარაგის უმეტესი ნაწილი გამოიყენებოდა მედიკამენტების დასამზადებლად, დიდი ნაწილისაგან კი შეიძლებოდა მიეღოთ გადამუშავებული სითხე, რომელიც დაიწვებოდა და გამოიყენებდნენ ლამფისათვის. ახალი სინათლის წყარო კი იქნებოდა კონკურენტული ,,ნახშირის ნავთობის'' მიმართ, რომელიც ბაზარს 1850-იან წლებში იკავებდა. მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრები ადამიანებისათვის კარგი ხარისხის სანათის ქონა საჭირო იყო, რომელიც მალე გაანათებდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას. ქვის ზეთი ასევე გამოიყენებოდა მანქანების დასაზეთად, სწორედ ასე ეტაპობრივად ჩაეყარა საფუძველი სრულიად ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში – ნავთობის ეპოქას.

ქალაქს გაზი მიეწოდებოდა გამოხდილი ქვანახშირისაგან, რომელიც მილებით გადადიოდა ქუჩის ნათურებში, საშუალო და მაღალი კლასის ოჯახების სახლებში, მისი სიძვირიდან გამომდინარე საჭირო გახდა შედარებით იაფი განათებით ჩაენაცვლებინათ. ასფალტის გადამუშავების შედეგად მიიღებოდა ნივთიერება, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა განათებისათვის ანუ ახალი თხევადი ჰიდროკარბონი, რომელსაც გამოიყენებდნენ ნავთქურის ასანთებად. თუმცა, მომარაგების მნიშვნელოვანი წყარო ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი და დამწვარი ნავთი კი მძაფრ სურნელს აფრქვევდა. იქ სადაც მოიპოვებოდა მარილი მოპოვებოდა ქვის ზეთი, შესაბამისად თუ ბურღვითი სამუშაოები გაგრძელდებოდა იქნებ მიეგნოთ ნავთობის მომპოვებელი ტექნიკისათვის.1859 წელს სამოცდაცხრა

ფუტის სიღრმეზე დაიწყეს ჭაბურღილების თხრა, მილში კი გამოჩნდა წყლის თავზე მცურავი მუქი სითხე – ეს იყო ნავთობი. შტატების პირველი დიდი აღმოჩენა, რომელსაც საუკუნის სინათლესაც უწოდებდნენ. ედვინ ლ. დრეიკის სახელს უკავშირდება ქალაქი ტიტუსვილი, ფლორიდა. ახალ აღმოჩენას დიდი დრო არ დასჭირვებია მსოფლიო ბაზრის დასაბყრობად.

1854 წელს დაარსდა პენსილვანიის კლდის ზეთის ნავთობკომპანია, 1858-იანი წლებისათვის – სენეკას ნავთობკომპანია, 1870 წელს კი – სტანდარტნავთობკომპანია, რომელიც ნავთობპროდუქტების ბაზრის 80% აკონტროლებდა. 1909 წელს, ანტიმონოპოლური კანონების გათვალისწინებით, სტანდარტ ნავთობკომპანია აიძულეს 34 სხვადასხვა კომპანიად დაშლილიყო, 1940-იანი წლებისათვის სამი მათგანი ოთხ სხვადასხვა კომპანიასთან ერთად დომინირებდა საერთაშორისო ბაზარზე მეტსახელად „შვიდი დების“ სახელწოდებით.[72]

შეფასებების მიხედვით, პირველი მსოფლიო ომი გახლდათ ომი ადამიანებსა და ტექნიკას შორის, სწორედ ეს ტექნიკა კი, ნავთობის გამოყენებით იმართებოდა. ენერგეტიკული ტრანზიციისას შტატების საბრძოლო იარაღს ნედლი ნავთობი წარმოადგენდა. ამერიკელი პოლიტიკოსი ჰაროლდ იკესი „თუ მოსალოდნელი იქნებოდა მესამე მსოფლიო ომი, ეს იქნებოდა სხვისი ქვეყნის ნავთობრესურსების გამო, რადგან მომავლისთვის შტატებს რესურსი აღარ ეყოფა“. შტატების მხრიდან ნავთობისადმი გაძლიერებული ინტერესი ხუთი ფაქტორით არის გამოწვეული: 1. ამერიკული სამხედრო სტრატეგია შეიცვალა – დაიწყო საზღვაო წვრთნები, რადგან გაიზარდა სამხედრო მოთხოვნა; 2. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ქოლგის მფარველობაში მყოფი ნავთობით ღარიბი ქვეყნები, რომლებიც საჭიროებენ ამერიკის მხრიდან უსაფრთხოების დაცვას; 3. სამხედრო ტექნოლოგიების განვითარება საჭიროებს დიდი რაოდენობით ნავთობს; 4. გაიზარდა ნავთობის სამოქალაქო მოხმარება მეორე მსოფლიო ომამდე, დღიური ბარელი ნავთობი იყო

[72] Yergin D. (1991), *The Prize:The Epic Quest for Oil,Money&Power* , Simon&Schuster.

3.9 მილიონი და 1945 წლის შემდეგ 5.4 მილიონი ბარელი გახდა; 5. ევროპის მხრიდან ნავთობის მზარდმა მოხმარებამ გამოიწვია მისი დეფიციტი.[73]

ენერგეტიკული ინტერესების ფორმირების გზაზე შტატების მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის ჩანაცვლება, რადგან მათი პოზიცია რეგიონში ბევრად ძლიერი იყო. მოლაპარაკებები ხანგრძლივი აღმოჩნდა, განხილული იქნა რამდენიმე შესაძლო ვარიანტიც, შუა აღმოსავლეთის ნავთობის პირდაპირ საკუთრებაში გადაცემა, ისეთივე, როგორიც იყო ანგლო-სპარსული ნავთობკომპანია; მეორე – რაიმე სახის მოლაპარაკებების წარმოება ბრიტანელებთან და ახალი სახის სიტემის შემოღება; მესამე – დაეტოვებინათ სრული სარგებელი კერძო მფლობელებისათვის. ამერიკულმა კომპანია ტეხასკო და სოკალმა დიდი ინვესტიციები განახორციელეს საუდის არაბეთის ნავთობზე, თუმცა, მაინც არსებობდა ეჭვი იმისა ორი ათწლეულის წინ ჩამოყალიბებული სახელმწიფო შეძლებდა თუ არა იმედების გამართლებას. იქიდან გამომდინარე, რომ საუდის არაბეთი შტატებისათვის ჯერ კიდევ შორს მიმავალ გეგმას წარმოადგენდა, რუზველტმა მეფე იბნ საუდს შესთავაზა ლენდ ლიზის პროგრამა. თუ საჭირო გახდებოდა შტატები შეიძენდა ნავთობკომპანია კასოკს ტეხასკოსა და სოკალისაგან, თუმცა არცერთ კერძო კომპანიას არ ენდომებოდა ნავთობბიზნესი წარემართა მთავრობას. შემდეგი ალტერნატივა იყო, ნავთობ რეზერვების კორპორაციის დახმარებით 120 მილიონი დოლარის სანაცვლოდ გაეყვანათ მილსადენი, რომელიც საუდის არაბეთისა და ქუვეითის გავლით დაუკავშირდებოდა უდაბნოს, შემდეგ კი, ხმელთაშუა ზღვით ევროპას. ამ პერიოდისათვის შტატებმა საუდის არაბეთის ნავთობზე უარი განაცხადა, პრეზიდენტ რუზველტსა და ბრიტანეთის ელჩ ჰალიფაქს შორის გამართულ შეხვედრაზე რუზველტმა განაცხადა სპარსეთის ყურე თქვენია, ჩვენ ვიზიარებთ ნავთობს ერაყისა და ქუვეითისგან, რაც შეეხება საუდის არაბეთის ნავთობს, ის ჩვენია. ირანული კონსორციუმის მიხედვით შტატები გახდა მთავარი მოთამაშე ნავთობწარმოებაში, ევროპელი მომხმარებლები კი, ამერიკის წყალობის იმედად რჩებოდნენ. შტატებმა 90 მილიონ დოლარად შეიძინა ანგლო-ირანული

[73] Kelanic R. A., (,2020), *Black Gold and Blackmail: Oil and Great Power Politics,* Cornell University.

ნავთობკომპანიის 60%, საბოლოოდ გასაყიდიც აღარაფერი დარჩათ, რადგან კომუნისტური გავლენა იგრძნობოდა. არც არაბ მწარმოებლებს ჰქონდათ ინვესტირების დიდი სურვილი ირანში, რადგან არამკოს პარტნიორებს უფრო მეტი ნავთობი ჰქონდათ საუდის არაბეთში ვიდრე მათ სამომავლო საჭიროებას წარმოადგენდა.[74]

ნავთობის ეკონომიკური მნიშვნელობა გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც სოციოეკონომიკურმა ორგანიზაციებმა, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის ქვეყნებმა ნახშირი ჩაანაცვლეს ნავთობით და აქციეს ენერგიის მთავარ წყაროდ. 1972 წლისათვის მსოფლიო ენერგიის მოხმარება გაიზარდა 179%, იმაზე სწრაფად ვიდრე მოსახლეობა მატულობდა, დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე, ვერ ხერხდებოდა საჭირო ნავთობის წარმოება. არაბ-ისრაელის ომის დაწყებამ გამოიწვია ნავთობზე ფასის მატება, არაბული ნავთობის ექსპორტის ქვეყნების ორგანიზაციამ ხელოვნურად მოუმატა ნავთობს ფასი, რომ წნეხის ქვეშ მოექცია ევროპა, იაპონია და შეერთებული შტატები და შეეცვალა არაბ-ისრაელის ომში არჩეული პოლიტიკა. ნავთობის მწარმოებელმა ქვეყნებმა ცალმხრივად გაზარდეს ნავთობის ფასი 3,01 დოლარიდან 5,11 დოლარამდე, მოგვიანებით კი 11,65 დოლარამდე. შტატებისა და ბრიტანეთის მხრიდან არსებობდა არაბული გალფის ქვეყნებზე თავდასხმის საფრთხე, ქუვეითისა და საუდის არაბეთის წარმომადგენლებმა მუქარას მუქარითვე უპასუხეს, თავდასხმის შემთხვევაში პასუხგაუცემელი არ დარჩებოდა დასავლეთის ნავთობრეზერვუარები, რომელზე წვდომაც დიდი ხნით შეიზღუდებოდა. მას შემდეგ, რაც შტატების ჩართულობით ხელი მომეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას ისრაელს, ეგვიპტესა და სირიას შორის, ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს ემბარგო დაესრულებინათ. საუდის არაბეთიც მზად იყო ურთიერთობის სტაბილიზაციისაკენ, რაც გამოწვეული იყო ორ ქვეყანას შორის არსებული სამხედრო და ეკონომიკური კავშირებით. შტატები აღუთქვამდა საუდის არაბეთს მხარდაჭერას და შიდა- და გარემტრებისაგან დაცვას. ემბარგოს დასრულების

[74] Cates M. T., (1988), *United States Persian Gulf Policy 1968,* Air Command and Staff Collage.

შემდეგ გაიზარდა ნავთობის წარმოება ერთი მილიონ ბარელამდე დღეში. ნავთობის ემბარგომ გამოიწვია სტაგნაცია და უმუშევრობა, თუმცა, გასამმაგდა საბჭოთა კავშირის მხრიდან ნავთობის წარმოება.

სპარსეთის ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში შტატების ენერგეტიკული ინტერესები თითოეული პრეზიდენტის მმართველობის განმავლობაში უცვლელად რჩებოდა, გარდა იმისა, რომ რეგიონის სტაბილურობას პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შტატებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი იყო ნავთობი, რომელიც სამხედრო მოქმედებების დაწყების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა 1991 წელს ჰერბერტ უოკერ ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში. ქუვეითში შეჭრის შემდეგ სადამ ჰუსეინი აკონტროლებდა მსოფლიო ნავთობმარაგის 20%-ს. შტატების მთავარი საზრუნავი იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პარტნიორის საუდის არაბეთის დაცვა, რომელიც საჰაერო ძალებს დაევალა. შტატების ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, გადაწყდა საომარი მოქმედებები ერაყში, რათა არაბული გალფის ქვეყნებში შეურყეველი ყოფილიყო ამერიკული ავტორიტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ენერგეტიკის მდივანმა ჯეიმს უოტკინსმა გამოაცხადა ნავთობის მოპოვების გაზრდა და მოხმარების შემცირება ერაყ-ქუვეითის ნავთობის დანაკარგების დასაძლევად და გასათანაბრებლად.1992 წელს ბუშის სახელს უკავშირდება ენერგეტიკული პოლიტიკის აქტი-კანონი, რომელიც ასახავს ენერგიის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას, განახლებადი ენერგიის წარმოების გაძლიერებას და ენერგოეფექტურობის გაზრდას. 80-იანი წლების შუა პერიოდში ნავთობის ფასების ვარდნამ შეარყია საბჭოთა ეკონომიკა, როდესაც 1989-1991 წლებში საბჭოთა კავშირის ბატონობა შესუსტდა, ბუში ახალი გამოწვევის წინაშე დადგა ქაოტური პრივატიზაცია, დიდი ნავთობგარიგებები დასავლურ ფირმებთან, ნაციონალიზაცია, ნავთობისა და გაზის ახალი ექსპორტის ზრდა. 1988 წელს კონგრესში დაიწყო მოსმენა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით და პირველი მცდელობა სათბური გაზების შემცირების შესახებ. თუმცა, სპარსეთის ყურის ომის შემდეგ შეუძლებელი გახდა ამ ყველაფრის აღსრულება. ჯერ კიდევ ვიცეპრეზიდენტობის პერიოდში ჰერბერტ უოკერ ბუში საუდის არაბეთში გაემგზავრა, ნავთობის რეკოდრულად მცირე ფასი

– 10 დოლარი ბარელზე, საფრთხეს უქმნიდა აშშ-ის ნავთობინდუსტრიას და ეროვნულ უსაფრთხოებას. თუ ფასები არ მოიმატებდა, ტარიფი იმპორტირებულ ნავთობზე თავის შედეგს გამოიღებდა.[75]

ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში მიაჩნდათ – ნავთობზე მზარდი დამოკიდებულება დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ამერიკის უსაფრთხოებისათვის. ერის მოთხოვნა იმპორტზე საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას, რადგან ზრდის დაუცველობას ნავთობის მიწოდების შეფერხების მიმართ. როდესაც ქვეყანაში ყველა დანარჩენი სექტორი კარგად მუშაობს და ენერგიის ფასი მცირეა მოსახლეობას უჭირს, როდესაც დანარჩენი მოსახლეობა მიმართულია ნედლი ნავთობის ფასების მატებაზე, ვითარება იცვლება. სწორედ ნავთობის ფასების მზარდი ცვლილება იწყებს ენერგეტიკული დამოკიდებულების უცხოელების ხელში გადასვლას. 1997 წლიდან მოყოლებული აშშ-ის წარმომადგენლობის მფარველობით 136 000 ჭაბურღილი ანუ მთლიანი ჭაბურღილების 25% და 57 000 გაზის ჭაბურღილი დაიხურა. 1992 წლიდან ნედლი ნავთობი შემცირდა 17 %-ით. კლინტონ-გორის ადმინისტრაციის არასწორმა იარაღის პოლიტიკამ გამოიწვია ირანის ჩამოშორება და საუდის არაბეთის უფრო განერვიულება, შედეგად ორივე სახელმწიფო „ოპეკის“ ნავთობის 40%-ის მაკონტროლებელი გახდა, რაც კარგად აისახება ადგილობრივი გაზის რაოდენობაზეც. პრეზიდენტ კლინტონის ორმაგი შეკავების სტრატეგიის დროს განხორციელდა პრევენციული ქმედებები ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ, როგორიცაა ემბარგო ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაზე. მაგალითად, კონგრესმა მოამზადა კანონპროექტი, რომელიც დაუწესებდა სანქციებს ნებისმიერი სახის უცხოურ კორპორაციას, რომელმაც დააბანდა 40 მილიონი ამერიკული დოლარი ან მეტი ირანის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში, ერთი წლის შემდეგ შემცირდა 20 მილიონ აშშ დოლარამდე. კანონპროექტი ცნობილი იყო, როგორც ირან-ლიბია სანციების აქტი. ამერიკის სასიცოცხლო ინტერესს რეგიონში წარმოადგენდა ნავთობი, სწორედ გალფის

[75] M. Mills R. (2018, December 3), *The National News*, Retrieved April 4, 2025, from thenationalnews.com: https://www.thenationalnews.com/business/comment/the-oil-legacy-of-george-h-w-bush-1.798201.

ქვეყნებს შეუძლიათ ხელოვნურად გამოიწვიონ ნავთობზე ფასების ზრდა და ეკონომიკური კრიზისის წინაშე დააყენონ შტატები, რეგიონში თავდაცვითი ღონისძიებების გატარება შტატებს 50 მილიარდ დოლარამდე უჯდებოდა. ირანთან მიმართებაში განხორციელებული ორმაგი შეკავების პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა, რაც შეეხება ერაყს, მრავალი სხვა საფრთხის გარდა, მნიშვნელოვანი იყო იმ რეჟიმის შეკავება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ნავთობის მარაგის გადინებას. შტატებისვე ზეწოლით აზერბაიჯანმა აიძულა ირანი დაეტოვებინა საერთაშორისო კონსორციუმი, რომელიც ამუშავებდა აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოფშერულ ნავთობის საბადოს, პრეზიდენტმა კლინტონმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც უკრძალავდა ამერიკულ კომპანიებს ირანის ნავთობინდუსტრიაში ინვესტიციების განხორციელებაში, რითაც აიძულა აშშ-ის ირანული ნავთობის კომპანია „კონკო“ ორი მილიარდი დოლარი გადაეხადა.[76]

9/11-ის მოვლენებიდან შვიდი თვის შემდეგ თავდაცვის სადაზვერვო სამსახურს უკვე მომზადებული ჰქონდა მოხსენება ერაყის ნავთობტერმინალებისა და საძიებო ამერიკული კორპორაციების, რომლებიც სავარაუდოდ დაინტერესებულნი იყვნენ ერაყის ნავთობის ინდუსტრიაში მონაწილეობით. მასში ასევე შედიოდა ერაყის სამხრეთ მდებარე ცხრა ბლოკი, რომელიც აუთვისებელი იყო და პერსპექტიულ ტერიტორიას წარმოადგენდა მომავალი კვლევებისათვის. შტატები მფლობელობაში იტოვებდა ერაყის ეროვნულ ნავთობკომპანიას, რომელიც 1961 წელს ჩამოყალიბდა, ოღონდ მას შემდეგ, რაც ერაყში არსებული ნავთობტერმინალები დაექვემდებარებოდა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. საერთაშორისო ნავთობმა და გაზმა, გამოავლინა, რომ ბუშის ადმინისტრაციას სურდა რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ერაყის ნავთობის ინდუსტრიის რეაბილიტაციისათვის დასახავდა გეგმას, რათა გაზრდილიყო ნავთობის ექსპორტი. ლონდონში გამართულ ფარულ შეხვედრაზე პენტაგონმა წამოაყენა სქემა ერაყის ყველა ნავთობის საბადოების გაყიდვის შესახებ და დაიწყეს

[76] Mirhosseini S. M. (2014), *Evolution of Dual Containment Policy (the Policy of Clinton's Administration-Clintonsð Doctrine)in the Persian Gulf.* Horizon Research Publishing.

ერაყის მნიშვნელოვანი ნავთობკომპანიების პრივატიზება. შტატები ცდილობდა ერაყის ნავთობტერმინალის რეაბილიტაციაზე თანხა გადაეხადა, თუმცა, ბარელის რაოდენობა, რომელიც დღეში 2.5 მილიონ ბარელს შეადგენდა არ შენარჩუნდა და წარმოება დაეცა. შტატები აიძულებდა ერაყს მიეღო ნახშირწყალბადების კანონპროექტები, რომელიც ნავთობისა და გაზის შენახვას სახელმწიფო სექტორში ახორციელებდა. ასევე ითვალისწინებდა ახალი ნავთობკომპანიის შექმნას, რომელსაც დაევალებოდა აღეწერა ნავთობის შემოსავალი პროვინციებში მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე. 2008 წლისთვის ბუშმა წამოწია „ოპეკის“ საკითხი გაეზარდათ საუდის არაბეთისათვის ნავთობის მოპოვება, რადგან გაზის ფასი გალონზე 3 დოლარამდე მერყეობდა. თუმცა, საუდის არაბეთის ნავთობ მინისტრმა განაცხადა,რომ ფასები უცვლელი დარჩებოდა. მოთხოვნაში შედიოდა ასევე ფასების კლება მსოფლიო ნავთობფასებზე, რომელიც 125 დოლარს შეადგენდა ბარელზე. წარსულისაგან განსხვავებით საუდის არაბეთის გარდა საჭირო იყო სხვა მწარმოებლების თანხმობაც. 2005 წლის შემდეგ საუდის არაბეთმა გაიღო ინვესტიციები, ბარელი 8.5-9.2 მილიონ ბარელამდე ავიდა დღეში. მხოლოდ ამერიკა აღარ იყო დაინტერესებული ნავთობით მოთხოვნა სხვა სახელმწიფოების მხრიდან იზრდებოდა.[77]

ბარაკ ობამას საპრეზიდენტო ვადა დაიწყო ენერგოგამოწვევების ფონზე, მწვანე პოლიტიკის მომხრე იყო, შტატების პოლიტიკა გლობალური ენერგეტიკული ტრანზიციის მიმართულებით უნდა განვითარებულიყო, წიაღისეული საწვავი განახლებადი ენერგიით ჩანაცვლებულიყო. შემცირდა ნავთობის იმპორტი 2008-2014 წლებში, სტაგნაციური მოთხოვნისა და ნავთობის მზარდი მოპოვების გამო ბარელი დღეში ოთხ მილიონამდე ავიდა, უფრო მეტი ვიდრე ირანის ან ერაყის მთლიანი ნავთობის მოპოვებაა. როდესაც 2011 წელს გაზის ფასმა 4 დოლარს გადააჭარბა ობამამ განაცხადა, რომ პრობლემებისგან თავის დაღწევა არ შეეძლოთ. მას სურდა ენერგეტიკული ალტერნატიული წყაროების სუბსიდირება. ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა და თავისუფალი ბაზრის ძალამ დაამტკიცა, რომ

[77] Hiro D. (2006, September 26), *thenation*, Retrieved April 25, 2025, from thenationcom: https://www.thenation.com/article/archive/how-bushs-iraqi-oil-grab-went-awry/.

მისი ხედვა სწორი არ იყო და შტატები ახლა ნედლი ნავთობის უდიდესი მწარმოებელია, გადააჭარბა კიდეც საუდის არაბეთსა და რუსეთს. 2011 წლის მაისში შტატების ყოველთვიური წარმოება იყო 174 მილიონი ბარელი. მას სურდა შეემცირებინა აშშ-ის ნავთობის იმპორტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. იმის გათვალისწინებით რომ პრეზიდენტ ობამას არ სურდა უცხოურ ნავთობიმპორტზე ყოფილიყო ამერიკა დამოკიდებული, პირიქით ხდებოდა, კერძოდ, საუდის არაბეთზე. 2011 წელს 33%-მდე გაიზარდა ნავთობის იმპორტი სპარსეთის ყურის ქვენყებიდან, მათ შორის 29%-ით საუდის არაბეთიდან. ობამას ადმინისტრაცია დიდად მაინც არ იყო დაინტერესებული ამ მიმართულებით, რადგან ფიქრობდა რომ კრიზისის შემთხვევაში შეძლებდნენ ნავთობის სტრატეგიული რეზერვების გამოყენებას.[78]

ჯოზეფ ბაიდენის პრეზიდენტობისას ამერიკელი მეზღვაურები დაეშვნენ სპარსეთის ყურეში, რათა დაეცვათ სტრატეგიული წყალი, სადაც ყოველწლიურად გადის მსოფლიო ნავთობის მეოთხედი და დაეცვათ ჰორმუზის სრუტე ირანული აგრესიისაგან. ირანის ქმედებები გავლენას მოახდენს ნავთობზე, ბაიდენის ადმინისტრაციას კი სურდა მცირე სატარიფო ფასი შეენარჩუნებინა. შტატებმა ირანს ჩამოართვა ნავთობის მარაგის გარკვეული ნაწილი, რომელიც ბაზარზე შემოიტანეს. ირანის მხრიდან პასუხი არ დაყოვნდა და ტანკერების შეჩერება დაიწყეს ყურეში. მას შემდეგ, რაც ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ განიხილავს ისრაელის შესაძლო დარტყმას ირანის ნავთობინდუსტრიაზე, 5%-ით გაიზარდა ნავთობის ფასი. გლობალური ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად ადმინისტრაციამ შეამცირა ნავთობის რეზერვის მარაგი 43%-ით, რამაც შეზღუდა ვაშინგტონის შესაძლებლობა გამოიყენოს ეს ფასები სათავისოდ. ბაიდენის გუნდმა დახურა თანამშრომლობის შესაძლებლობა დიდი ხნის მოკავშირე საუდის არაბეთთან, რათა შეენარჩუნებინა ფასები და ასევე დაებალანსებინა ურთიერთობა ირანთან ნავთობის გამო. უკრაინის ომის პარალელურად ნავთობის ფასი ბარელზე

[78] Samuelsohn D. (2012, October 14), *Politico*. Retrieved April 30, 2025, from Politico.com:https://www.politico.com/story/2012/10/obamas-slippery-foreign-oil-promises-082377.

130 დოლარს აჭარბებს და რუსული ნავთობისა და გაზის უფრო ფართო აკრძალვის პერსპექტივას იძლევა, ვაშინგტონის ცხელი ხაზი კი, უმსხვილესი მწარმოებლებისათვის უპასუხოდ რჩება. ბაიდენის პოლიტიკა ნავთობმწარმოებლების მიმართ, იწვევს გაზისა და ნავთობის შიდამოპოვების შემცირებას შედეგად კი, ფასები იწევს, ფედერალური სარეზერვო სისტემა ცდილობს შეასუსტოს ინფლაცია და შტატების დაბალი რეიტინგი.[79]

დონალდ ტრამპს თბილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს არაბული გალფის სახელმწიფოებთან, ტრამპი დიდი ხანია „ოპეკის“ ქვეყნებს საუდის არაბეთთან ერთად უბიძგებს მეტი ნავთობი მოიპოვონ, რათა მომხმარებლის ფასები შემცირდეს, თუმცა, შეიძლება ეს მიდგომა შეიცვალოს თუ ფასები დაბალ დონეზე დარჩება, რადგან ზიანს აყენებს საუდის არაბეთის შემოსავლებს. საუდის არაბეთმა ნოემბერში პირობა დადო, რომ აშშ-ში 600 მილიარდი დოლარის ივესტიციებს განახორციელებს ტრამპის პრეზიდენტობის ვადის განმავლობაში – მაგრამ „Vision“ 30-დან გამომდინარე ძალიან მაღალი ხარჯები აქვს საუდის არაბეთსაც საინვესტიციო ამბიციების გამო. ნავთობის დაბალმა გლობალურმა ფასებმა და მსხვილმა საჯარო დანახარჯებმა განაპირობა რიადის ბიუჯეტის დეფიციტის გაფართოება. ნავთობის ფასების გათვალისწინებით ისინიც მოელიან ამერიკისაგან ფინანსურ მხარდაჭერას, ისევე როგორც საერთო საინვესტიციო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე. საუდის არაბეთსა და არამკოს შორის გამოცხადდა 34 სახის შეთანხმება, რომელიც საშუალოდ 90 მილიარდ დოლარამდეა. შეთანხმების შედეგად ყოველწლიურად 1.2 მილიონი ტონა თხევადი ბუნებრივი აირის შესყიდვის შესახებ 20 წლის განმავლობაში ამერიკული ფირმა „მომავალი ათწლეულისაგან“, ასევე შეტანილი იქნება ახალი გარიგების სიაში. ორმხრივი ინვესტიციები ახალ ეტაპზე გადაიყვანს ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეგობრულ ურთიერთობას. ტრამპის საპრეზიდენტო მიზანს წარმოადგენდა დაეყვანა ნავთობის ფასი 60 დორალამდე ბარელზე, ასევე ბურღვითი სამუშაოების

[79] Luck T. (2022, March 9), *The Christian Science Monitor*, Retrieved May 1, 2025, from csmonitor.com: https://www.csmonitor.com/World/2022/0309/Why-Gulf-states-find-it-hard-to-turn-on-the-oil-spigot-for-Biden.

აჩქარება, თუმცა, 13 მილიონ ბარელს გამომიუშავებს დღეში და მეტი მოცულობის გამომუშავება დღიურად შეუძლებელია. საშუალო ფასი 65 დოლარია ბარელზე რაც აღემატება ტრამპის მიზანს. საუდის არაბეთს აქვს შესაძლებლობა გაზარდოს მიწოდება ამ ეტაპზე 3 მილიონ ბარელზე, რომელიც ბოლო წლებში უმოქმედოდ ჰქონდა გადადებული, აშშ-ს მოუწოდებს გამოიყენოს ფიქალი ნავთობი ბოლო წლებში დაკარგული ბაზრის წილის აღსადგენად. სტრატეგიულ პარტიონორბაში ასევე მოიაზრება შეთანხმება რიადსა და აშშ-ს შორის გაყიდვა განხორციელდეს დოლარის ვალუტაში.[80]

დასკვნა

შეერთებული შტატები ითამაშებს ცენტრალურ როლს მომავალში ენერგეტიკული ბაზრების განვითარებასა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სპარსეთის ყურეში. ფიქლის რევოლუცია გულისხმობს ჰიდრავლიკური და ჰორიზონტალური ბურღვის ერთობლიობას, რამაც საშუალება მისცა შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვნად გაზარდოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის წარმოება, განსაკუთრებით კი მჭიდრო ნავთობის წარმონაქმნებიდან, რომელიც ამჟამად შეადგენს შეერთებული შტატების მთლიანი ნავთობის წარმოების 36%. რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ეკონომიკური სტიმულირება და შტატები ნაკლებ დამოკიდებულია საზღვარგარეთის ნავთობის იმპორტზე. შესაბამისად მნიშვნელოვანი იქნება არაბული გალფის ქვეყნები გადაეწყონ ახალ ენერგეტიკულ ბაზარზე და მიაღწიონ ფიქალის ბუმს.

[80] Krane J. (2024, November 7), *Arab Center Washington DC*. Retrieved May 2, 2025, from arabcenterdc[: https://arabcenterdc.org/resource/trump-is-back-what-does-it-mean-for-oil-and-us-gulf-relations/.

გამოყენებული ლიტერატურა

უცხოენოვანი ლიტერატურა

Akkas E. (2017), *An Overview of Islamic Economics and Finance in the Gcc Countries,* Istanbul: Research Center of Islamic Economics;

Al-Aswad A. A. (2012), *Persian Gulf based SWFs & Financial Hubs in Bahrain, Dubai and Qatar: A case of competitive branding,* Unites States of America: Tufts University;

ALI S. S. (2021), *ISLAMIC BANKING IN THE MENA REGION,* The World Bank;

Al-Mal H. (2021), Did the Qatar blockade work? Evidence from trade and consumer welfare three years after blockade, *The Economics of Peace and Security Journal*, 67-68;

Altiok H. (2023), *Kuwait's Mediation in the Gulf Crisis: Dynamics of Kuwait's Foreign Policy Approaches,* Springer;

Biuck M. (2020, December 22), Bahrain and Axis of Resistance:Geopolitical Implications for Iran, *Iranian Review of Foreign Affairs*, 200-205;

Iqbal A. (2024, May 31), Saudi Arabia, the UAE and Qatar's Quest for Power in the Arab Gulf: Role of Ideational Factors and Economic Rivalry in Diverging Foreign Policy Choices, *Electronic Journal of Social and Strategic Studies* , 4-5;

Agency C. I. (1987), *Moscow's Relationship with Riyadh: Progress at a Snail's Pace,* Washington D.C.: DIRECTORATE OF INTELLIGENCE;

Chen D. (2019), *Deepending Cooperation Between Saudi Arabia and China,* The King Abdullah Petroleum Studies and Research Center;

Fukuyama F. (1980), *The Soviet Union and Iraq Since, 1968,* Santa Monica: Rand Santa Monica;

Fukuyama F. (1981), *The Soviet Threat to the Persian Gulf,* Santa Monica, California: The Rand Paper Series ;

Jiang L. E. (2014), *Oil,Security and Politics Is China Challenging Us in the Persian Gulf,* Copenhagen: Danish Institute for International Studies, Retrieved May 31, 2025;

PRC I O. (2007), *China's Energy Condition and Politics,* Information office;

Rishniak I. (2024), *RUSSIA'S INVASION OF UKRAINE: Consequences on Oil and Gas Exports of The Gulf Countries,* Gulf Studies Center;

WAKEFIELD B. (2011), *CHINA and the Persian Gulf,* Washington, D. C.: Woodrow Willson International Center for Scholars;

Cates M. T. (1988), *United States Persian Gulf Policy 1968,* Air Command and Staff Collage;

Edition V. S. (n.d.), *The1979 "Oil Shock:" Legacy, Lessons,and Lastin Reverberations,* The Middle East Institute Washington DC;

Kelanic R. A. (2020), *Black Golda and Blackmail: Oil and Great Power Politics.* Cornell University;

Mirhosseini S. M. (2014), *Evolution of Dual Containment Policy (the Policy of Clinton's Administration-Clintons Doctrine)in the Persian Gulf,* Horizon Research Publishing;

Westphal K. (2014), *The US Shale Revolution and the Arab Gulf States,* Berlin: German Institute for International and Security Affairs;

Yergin D. (1991), *The Prize:The Epic Quest for Oil,Money&Power.* Simon&Schuster.

ინტერნეტ რესურსი:

Alkinani Z. (2022, March 23), *Arab Center Washington DC.* Retrieved June 5, 2025, from arabcenterdc.org: https://arabcenterdc.org/resource/current-iraq-gulf-relations-economics-over-politics/;

Cafiero G. (2024, October 16), *Middle East Council on Global Affairs*. Retrieved June 3, 2025, from mecouncil.org: https://mecouncil.org/blog_posts/omans-quiet-role-in-calming-regional-tensions/;

Jalal I. (2024, December 23), *Saudi-Emirati Divergences Lead Hadhramawt to a Crossroad*, Retrieved June 4, 2025, from carnegieendowment.org;

Alsayegh O. (2023, January 9), *How Economic and Political Factors Drive the Oil Strategy of Gulf Arab States*. Retrieved June 2, 2025, from Bakerinstitute.org: https://www.bakerinstitute.org/research/how-economic-and-political-factors-drive-oil-strategy-gulf-arab-states;

Bonesh F. R. (2025, January 1), Iraq-China Energy Relations, Opportunities and Challenges, Retrieved May 30, 2025, from https://www.onlynaturalenergy.com/iraq-china-energy-relations-opportunities-and-challenges/;

Briefing C. (2024, May 10), *China Brifeing*, Retrieved June 10, 2025, from china-brifing: https://www.china-briefing.com/news/china-united-arab-emirates-uae-bilateral-trade-investment-outlook/;

Downs E. (2023, July 10), *Center on Global Energy Policy*, Retrieved June 1, 2025, from energypolicy.columbia: https://www.energypolicy.columbia.edu/unpacking-the-recent-china-qatar-lng-deals/;

Mogielnicki R. (2024, October 17), *China and Russia in the Gulf:A Cacophony of Influence and Interest*. Retrieved June 1, 2025, from carnegieendowment.org: https://carnegieendowment.org/research/2024/10/china-and-russia-in-the-gulf-a-cacophony-of-influence-and-interest?lang=en;

Paraskova T. (2023, April 18), *Russia Finds New Market for its Fuels in the Middle East*, Retrieved June 1, 2025, from oilprice.com: https://oilprice.com/Energy/Crude-Oil/Russia-Finds-New-Market-For-Its-Fuels-In-The-Middle-East.html;

Shokri D. U. (2023, November 9), *Gulf International Forum*. Retrieved June 1, 2025, from https://gulfif.org/the-china-gcc-equation-energy-critical-minerals-and-geopolitical-strategy/;

Sim L.-C. (2025, February 11), *Impact of Russo-Ukraine war on Energy flows from the Arab Gulf States,* Retrieved June 2, 2025, from mei.edu: https://www.mei.edu/publications/impact-russo-ukrainian-war-energy-flows-arab-gulf-states;

Hiro D. (2006, September 26), *thenation*, Retrieved April 25, 2025, from thenationcom: https://www.thenation.com/article/archive/how-bushs-iraqi-oil-grab-went-awry/;

Krane J. (2024, November 7), *Arab Center Washington DC*. Retrieved May 2, 2025, from arabcenterdc[: https://arabcenterdc.org/resource/trump-is-back-what-does-it-mean-for-oil-and-us-gulf-relations/;

Luck T. (2022, March 9), *The Christian Science Monitor*. Retrieved May 1, 2025, from csmonitor.com: https://www.csmonitor.com/World/2022/0309/Why-Gulf-states-find-it-hard-to-turn-on-the-oil-spigot-for-Biden;

M. Mills R. (2018, December 3), *The National News*. Retrieved April 4, 2025, from thenationalnews.com: https://www.thenationalnews.com/business/comment/the-oil-legacy-of-george-h-w-bush-1.798201;

Samuelsohn D. (2012, October 14), *Politico*, Retrieved April 30, 2025, from Politico.com: https://www.politico.com/story/2012/10/obamas-slippery-foreign-oil-promises-082377

საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და მისი რეალიზაციის პერსპექტივები

თამთა კოდუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

tamta.kodua@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-4563-7131

DOI: 10.52340/splogos.2026.01.05

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში კიბერსივრცე სახელმწიფოების უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, სახელმწიფო და კერძო სექტორის ციფრული ტრანსფორმაცია და კიბერშეტევების გახშირება ზრდის კიბერუსაფრთხოების ეფექტიანი პოლიტიკის აუცილებლობას. საქართველო, როგორც განვითარებადი დემოკრატიული სახელმწიფო და რეგიონული თანამშრომლობის აქტიური მონაწილე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კიბერუსაფრთხოების სისტემის გაძლიერებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასა და სპეციალურ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას, სახელმწიფო უწყებების ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფას და კიბერინციდენტებზე სწრაფ რეაგირებას. ამ მიმართულებით ქვეყანაში შექმნილია შესაბამისი უწყებები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მონიტორინგს, პრევენციასა და თანამშრომლობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე.

პოლიტიკის რეალიზაციის პერსპექტივები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებაზე, კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორების კოორდინაცია, კიბერუსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

საბოლოოდ, საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის წარმატებული განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას, ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას და ციფრული გარემოს სანდოობის ზრდას. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სწორი სტრატეგიული მიდგომებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პირობებში, საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა განავითაროს მდგრადი და ეფექტიანი კიბერუსაფრთხოების სისტემა.

საკვანძო სიტყვები: კიბერუსაფრთხოება, სახელმწიფო უსაფრთხოება, კიბერპოლიტიკა, ინფორმაციული უსაფრთხოება, ციფრული ტრანსფორმაცია.

Georgia's Cybersecurity Policy and Prospects for its Implementation

Tamta Kodua

PhD Student,

Caucasus International University

tamta.kodua@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-4563-7131

Abstract

In the modern world, cyberspace has become one of the most important components of state security. The rapid development of information technologies, the digital transformation of the state and private sectors, and the increase in cyber attacks increase the need for an effective cybersecurity policy. Georgia, as a developing democratic state and an active participant in regional cooperation, pays special attention to strengthening the cybersecurity system and bringing it closer to international standards.

Georgia's cybersecurity policy is based on the National Security Strategy and a special legislative and institutional framework aimed at protecting critical infrastructure, ensuring the security of information systems of state agencies, and responding quickly to cyber incidents. In this direction, the country has created relevant agencies and mechanisms that ensure monitoring, prevention, and cooperation both domestically and internationally.

The prospects for policy implementation depend significantly on the development of technological capabilities, the training of qualified personnel, raising public awareness, and deepening cooperation with international partners. Coordination between the public and private sectors, the formation of a cybersecurity culture, and the introduction of modern technologies are especially important.

Ultimately, the successful implementation of Georgia's cybersecurity policy will contribute to strengthening the country's national security, ensuring economic stability, and increasing the trustworthiness of the digital environment. Despite the existing challenges, with the right strategic approaches and international experience sharing, Georgia has a real opportunity to develop a sustainable and effective cybersecurity system.

Keywords: Cybersecurity, State Security, Cyber Policy, Information Security, Digital Transformation

თემის აქტუალობა

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოში წარმოუდგენელია ნებისმიერი ურთიერთობები ციფრული ტექნოლოგიების გარეშე. აქედან გამომდინარე კიბერსაფრთხეები ახალი გამოწვევაა როგორც მსოფლიოსთვის, ასევე საქართველოსათვის და გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. შესაბამისად იზრდება კიბერსივრცისგან მომდინარე არაერთი რისკისა და საფრთხის განზომილება, რაც მეტად აქტუალურს ხდის საკითხს.

კვლევის თეორიული ჩარჩო

ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობად მიმაჩნია ის, რომ ის შეიძლება დამხმარე მასალად იქნეს გამოყენებული კიბერუსაფრთხოების პროფილის

დისციპლინისათვის. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მომუშავე ადამიანებს გამოადგებათ.

სამეცნიერო სიახლე

თემის სიახლე იქნება, ის თუ რა გავლენას ახდენს კიბერუსაფრთხოება საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ასევე განვსაზღვრავთ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე ცვალებადი მსოფლიო წესრიგის პირობებში.

შესავალი

კიბერუსაფრთხოების სფეროში საქართველოს კიბერაქტორების მიერ გასული ათწლეულის განმავლობაში გადადგმულმა ნაბიჯებმა განაპირობა ის, რომ საქართველო მოხვდა მსოფლიოს ტოპქვეყნების ათეულში გაეროს „ITU“ კიბერუსაფრთხოების ინდექსში, რომელიც ზომავს ქვეყნების მიერ აღებულ პასუხისმგებლობას კიბერუსაფრთხოების მიმართულებით გლობალურ დონეზე. ამ ინდექსის გამოსათვლელად კვლევა მოიცავს კიბერუსაფრთხოების ხუთ ძირითად მიმართულებას: საკანონმდებლო ბაზას; ტექნიკურ აღჭურვილობას; ორგანიზაციულ სტრუქტურას; შესაძლებლობების განვითარებას და თანამშრომლობას. ცხადია, ამ რეიტინგში წინსვლა ნიშნავს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სისტემის აღიარებას და შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველო დსთ-ს ზონაში წამყვან ქვეყნად შეფასდა. მიუხედავად ამ წარმატებებისა, კიბერუსაფრთხოების სტრატეგიული და კონცეპტუალური დოკუმენტაცია, ისევე როგორც საკანონმდებლო ბაზა ფუნდამენტურ განახლებას მოითხოვს.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც 2008 წელს დაინახა არა მხოლოდ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სივრცის დაცვის აუცილებლობა, არამედ კიბერსივრცის დავის აუცილებლობაც, რომელიც განმეორებითი და მიზანმიმართული კიბერთავდასხმებისგან, საკუთარ მიწაზე ფაქტობრივ სამხედრო ოპერაციებთან პარალელურად. მიუხედავად მიღწეული

პროგრესისა, მის საფუძველზე კიბერშეტევების წინააღმდეგ ბრძოლისა და მინიმიზაციის მცდელობისა, საქართველოს მაინც მოეთხოვება სიღრმისეული ძალისხმევა კიბერუსაფრთხოების განვითარების გაუმჯობესებულ, ეროვნულ-სტრატეგიულ დონეზე ასაყვანად. თუ წინა წლებში შეიქმნა კიბერუსაფრთხოების მდგრადი საფუძველი, მნიშვნელოვანია ამ დამხმარე ჩარჩოების მდგრადი განვითარების გაგრძელება, არსებული პროგრესის შენარჩუნება და ინსტიტუციური სტრუქტურის აგება, რომელიც გააძლიერებს კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის ეროვნულ შესაძლებლობებს და საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებს. საჯარო სექტორის ელექტრონული სერვისები იყენებენ ორფაქტორიან ავთენტიფიკაციას და ძლიერ კრიპტოგრაფიულ გადაწყვეტილებებს ეროვნულ ელექტრონულ ავთენტიფიკაციაში. კრიპტოგრაფიული გადაწყვეტა უნდა შეესაბამებოდეს „NIST“-ის 800-78-3 სპეციალურ გამოცემას, „ECRYPT II“ ყოველწლიურ მოხსენებას ალგორითმებისა და გასაღების ზომის შესახებ (2011-2012); „საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელისთვის საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს პირადობის მოწმობისა და მისი მოწმობის „ე“ მოთხოვნების მახასიათებლებს; „ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატების ტექნიკური რეგულირების და ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატების გამცემი მასერტიფიცირებელი ორგანოების დამტკიცების შესახებ“ მთავრობის №88 დადგენილებას; მე-3 მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ კვალიფიციური სერტიფიკატები უნდა შეესაბამებოდეს „ETSI TR“ 102 437 „TS“ 101 456 სახელმძღვანელოს“; და „PKI“ აპლეტს, რომელიც გამოიყენება „ID“ ბარათის კრიპტოგრაფიული ფუნქციებისთვის, რომელსაც აქვს ალგორითმი „RSA“-2048. ქვეყანაში არსებობს მონაცემთა გაცვლის უსაფრთხო ინტერორგანიზაციათაშორისი გარემო (უსაფრთხო ინტერნეტი), რაც საშუალებას აძლევს საჯარო სექტორის სუბიექტებს უზრუნველყონ უსაფრთხო ვებსერვისები მოქალაქეებისა და მეწარმეებისთვის. კერძო სექტორი და სხვა სუბიექტები

წარმოადგენენ ინტერფეისებს ამ გარემოში, თუ ისინი უზრუნველყოფენ ან მონაწილეობენ საჯარო სერვისების მიწოდებაში.[81]

საქართველოს მთავრობამ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიანიჭა ავტორიზაცია, შექმნას და შეინარჩუნოს საქართველოს სამთავრობო „გეითვეი“ – უსაფრთხოების პლატფორმა მთავრობასა და კერძო სუბიექტებს შორის მონაცემთა გაცვლისთვის. „G3“ – საქართველოს სამთავრობო „გეითვეის“ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის დონე, რომელიც „e-ID“ მართვის (რეგისტრაცია, ავთენტიფიკაცია და ავტორიზაცია), უსაფრთხოების, აპლიკაციების თავსებადობისა და ელექტრონული სერვისების ინტეგრაციის საშუალებას იძლევა, „ვებ“-ზე დაფუძნებული სამუშაო ნაკადის გამოყენებით „back“-ოფისის სისტემების ურთიერთდაკავშირებისათვის, რაც უზრუნველყოფს ერთიან და ინტეგრირებულ მთავრობის ხედვას, ტრანზაქციებისა და დოკუმენტების წარდგენის პროცესის სტანდარტიზაციით და ერთიანი რეგისტრაციისა და ხელმოწერის გამოცდილების უზრუნველყოფით. საქართველოს კიბერუსაფრთხოების მიღწევები არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკური ასპექტებით, არამედ მოიცავს ორგანიზაციულ და სამართლებრივ შესაძლებლობებს. საქართველომ მართლაც აამოქმედა ელექტრონული მეგობრული კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის სამართლებრივი სისტემა. საქართველო არის პირველი აღმოსავლეთ პარტნიორობა 5-ის („EaP“) ქვეყანა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება ევროკავშირის კანონს „eGOV“ და „ICT1“-ს. 2017 წელს საქართველომ მოახდინა „eIDAS“-ის სრული ინტეგრაცია – ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის რეგულაცია („EU“) No 910/2014 შიდაბაზარზე ელექტრონული ტრანზაქციების ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ნდობის სერვისების შესახებ – და გააუქმა დირექტივა 1999/93/ „EC“ თავის ახალ კანონში ელექტრონული დოკუმენტაციისა და ელექტრონული ნდობის სერვისების შესახებ, რითაც დაადგინა გამოყენების წესები და პირობები კვალიფიციური ელექტრონული

[81] საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი, 2024.

ხელმოწერის, უსაფრთხო ციფრული ავთენტიფიკაციისა და ევროკავშირის მოთხოვნების მსგავსი სხვა კვალიფიციური ნდობის სერვისებისთვის.[82]

კიბერდანაშაული საქართველოში

კიბერსივრცე არის ნაყოფიერი ნიადაგი დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად. ტექნოლოგიური ინოვაციების წყალობით, დისტანციურად და ფარულად დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, მტკიცებულებების ცვალებადობა, კრიმინალების იდენტიფიცირების სირთულეები და იურისდიქციასთან დაკავშირებული პრობლემები, ინტერნეტის არასანქცირებულ გამოყენებას ხელსაყრელ სივრცედ აქცევს კიბერდანაშაულებისთვის. „კიბერ“ ელემენტი ხდება თითქმის ნებისმიერი ტიპის დანაშაულის განუყოფელი ნაწილი.

საქართველომ განსაზღვრა კიბერდანაშაული და დაადგინა იგი „კიბერდანაშაულის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ შესაბამისი კანონმდებლობით; „კიბერდანაშაულის შესახებ საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო“ მოიცავს ყველა დანაშაულს, როგორც ამას მოითხოვს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია. საქართველოს კიბერდანაშაულის კანონმდებლობა შეესაბამება ევროპულ პრინციპებსა და წესებს, როგორც არსებითი, ასევე პროცედურული ასპექტებით, კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობა, დამნაშავეთა უკანონო წვდომა, უკანონო მოსმენა, მონაცემთა ჩარევა, სისტემაში ჩარევა, მოწყობილობების ბოროტად გამოყენება, კომპიუტერთან დაკავშირებული გაყალბება, ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები და საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულები.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირდა, რომ კიბერდამნაშავეებმა გაზარდეს თავდასხმები სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კრიტიკულ სექტორებსა და სხვა კომერციული სექტორის სერვისებზე და მიზნად ისახავდნენ

[82] საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მინიმუმ რეპუტაციის დაკარგვას და სათანადო პირობებში კი, აღნიშნული სექტორების სრული დახურვის მიღწევას. ასეთი შემთხვევის კარგი მაგალითია 2016 წელს განხორციელებული „DdoS„ შეტევა საბანკო სექტორისა და სახელმწიფო ფინანსური ელექტრონული სერვისების წინააღმდეგ. შედეგად, ონლაინ საბანკო სერვისებისა და სახელმწიფო საგადასახადო სისტემების ფუნქციონირება, მინიმუმ მცირე დროით შეჩერდა. ყველაზე გავრცელებული თავდასხმები კრიტიკულ ინფრასტრუქტურებზე, რომლებიც ბოლო წლებში მოხდა, არის: „ფიშინგი“, გამოსასყიდი პროგრამები, „დეფეისი“, „DdoS“ და ელფოსტის გაყალბება.

ეროვნული კანონები და სტრატეგია კიბერუსაფრთხოების შესახებ

ძირითადი კანონი, რომელიც საფუძველს უქმნის საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოების ჩარჩოებს, არის საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების აქტი. კანონს ავსებს რიგი ქვენორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს და შემდგომ ავითარებს პრაქტიკული განხორციელების საკანონმდებლო დებულებებს. მიუხედავად არსებული საკანონმდებლო ბაზისა, კიბერუსაფრთხოების კანონმდებლობას აქვს რამდენიმე ხარვეზი, რომელიც მოითხოვს შესაბამის განხილვას შესაბამისი ორგანოების მხრიდან.

კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობაა შემუშავდეს ინკლუზიური ჩარჩო კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის აქტივების კლასიფიკაციისთვის, რომელიც მოიცავს კერძო სექტორსაც. აღნიშნული კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირების მეთოდოლოგია და პრინციპები უნდა განხორციელდეს ქსელისა და საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების შესახებ დირექტივის („NIS“ დირექტივა) და ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი ძლიერი აღსრულების მექანიზმების შემუშავებისთვის, რათა უზრუნველყოს კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტების („CISS“) შესაბამისობა კიბერუსაფრთხოების ახალ სამართლებრივ რეჟიმთან. „CISS“-ისთვის კიბერუსაფრთხოების გარანტიების ნაკლებობა წარმოადგენს გამოწვევას კრიტიკული ინფორმაციული სისტემებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის,

მთლიანობისა და კონფიდენციალურობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, არსებული საკანონმდებლო ბაზა არ ითვალისწინებს ინციდენტების შეტყობინებისა და დაუცველობის გამჟღავნების წესებსა და პროცედურებს. ასევე არ არის ინციდენტების ტაქსონომიის წესები და რეაგირების სქემები; არ არსებობს ეროვნული დონის კიბერუსაფრთხოების ინციდენტების ცენტრალური რეესტრი. კანონი განსაზღვრავს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიუროს, როგორც ქვეყნის კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, კომპიუტერულ ინფორმაციაზე უნებართვო წვდომა; მავნე პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება და ქსელური სისტემების ექსპლუატაცია ითვლება დანაშაულად, ისევე როგორც კიბერტერორიზმი. საერთაშორისო დონეზე საქართველომ 2012 წელს გაატარა ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის რატიფიცირება. საქართველო ახლა იზიარებს კონვენციის წევრი ქვეყნების მართვის საერთო პრინციპებს და მიზნად ისახავს შექმნას ყოვლისმომცველი სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ დონეზე და ამავე დროს გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა.

საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებში, 2019 წლის 10 ივნისის მიღებული მთავრობის N 274 დადგენილებით, პირდაპირ ხაზს უსვამს მთავრობის ძალისხმევას კრიტიკული ინფორმაციის ქსელებისა და ინფრასტრუქტურის კიბერდაცვას: „მართვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოებისა და დაცულობის მაღალი დონე. ახალი სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი სისტემების უსაფრთხოებასა და დაცულობას და ზოგადად, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლებას“ (თავი 4, საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020 წწ.). კერძოდ, ის მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებას, საჯარო

სექტორში შეჭრის აღმოჩენის სისტემის დანერგვას, სკოლებში კიბერჰიგიენის სასწავლო გეგმების შექმნას და შესაბამისი განახლებული სასწავლო მასალების შექმნას ელექტრონული სწავლების პლატფორმისთვის.[83]

დასკვნა

დღეისათვის საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდაჭერა კიბერუსაფრთხოების სფეროში. შემდეგი პერიოდისთვის იგეგმება ახალი პოლიტიკისა და სტრატეგიების შემოღება, ასევე საინფორმაციო მხარდაჭერა და წვრთნა კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებისთვის, ხოლო მესამე უსაფრთხოების სტრატეგია მუშავდება, რომელიც მოიცავს წინა ვერსიებში გამოტოვებულ სფეროებს, რათა არსებული ვერსია იყოს ჰარმონიზებული ევროპულ კანონმდებლობასა და სფეროს უსაფრთხოების სტანდარტებთან.

საქართველო არის იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, სადაც კიბერუსაფრთხოების განვითარება წინ უსწრებს მის „ICT“ განვითარებას. კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით, მდგომარეობა ძალიან კარგია.

სხვა განვითარებადი ქვეყნების გაანალიზებით, რომლებიც ახორციელებენ ევროკავშირის მსგავს პროექტებს რეგიონში, როგორებიცაა მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა, ცხადია, რომ საქართველოს აქვს ყველაზე მოწინავე და მხარდაჭერილი ჩარჩო კიბერუსაფრთხოების სფეროში და რეგიონის სხვა სახელმწიფოებს სთავაზობს გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარებას, რათა კიბერსფეროში უზრუნველყონ ციფრული გარემო უკეთესი მომავლისთვის.

საქართველოს მმართველობითი მიდგომებიდან მიღებული ზოგადი გაკვეთილები:

[83] საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

• ლიდერები მნიშვნელოვანია. მრავალი სამთავრობო, საჯარო და კერძო ორგანიზაციის ლიდერები კიბერუსაფრთხოებას და კიბერუსაფრთხოების მართვას პრიორიტეტად აქცევენ.

• ლიდერები არ არის ყველაფერი. კანონები, პოლიტიკა, სტრუქტურები და პროცესები ინიცირებას ახდენენ და შეუსაბამებენ კიბერუსაფრთხოების მმართველობას კიბერუსაფრთხოების პრიორიტეტებთან ისე, რომ პიროვნებების ცვლილებამ არ გამოიწვიოს ფოკუსის შეცვლა.

• მმართველობა კვეთს ორგანიზაციულ საზღვრებს. კიბერუსაფრთხოების განაწილებული ბუნება მოითხოვს არაერთ მართვის მექანიზმს, რომლებიც აკავშირებს მრავალ ორგანიზაციასა და სექტორს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. “Global Commission on Internet Governance,” Centre for International Governance Innovation, accessed November 19, 2019, https://www.cigionline.org/activity/global-commission-internet-governance.
2. “Global Commission on Internet Governance,” Centre for International Governance Innovation, accessed November 19, 2019, https://www.cigionline.org/activity/global-commission-internet-governance.
3. 5. Association Agenda between THE EUROPEAN UNION and GEORGIA 2017-2020 https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf.
4. Association Agenda between THE EUROPEAN UNION and GEORGIA 2017-2020 https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf.
5. Georgian Cybersecurity Forum, 2024, https://nsc.gov.ge/en/NEWS/georgia-cybersecurity-forum.html;

6. Martin Libicki, “The Coming of Cyber Espionage Norms,” in Defending the Core, ed. H. Rõigas R. Jakschis, L. Lindström and T. Minárik (Tallinn: NATO CCD COE Publications, 2017), 7–23.
7. Martin Libicki, “The Coming of Cyber Espionage Norms,” in Defending the Core, ed. H. Rõigas, R. Jakschis, L. Lindström and T. Minárik (Tallinn: NATO CCD COE Publications, 2017), 7–23.
8. On the approval of the National Cybersecurity Strategy of Georgia for 2021 – 2024 and its Action Plan, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0.
9. საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0.
10. საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი, 2024. https://nsc.gov.ge/en/NEWS/georgia-cybersecurity-forum.html.

„Brexit“, როგორც ევროკავშირის კრიზისის დასაწყისი

მანანა მორჩილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი,

m_morchiladze@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0000-7370-2810

DOI: 10.52340/splogos.2026.01.06

აბსტრაქტი

ევროპა, თანამედროვე ცივილიზაციის სამშობლო, ათასობით წლის განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებსა და ომებს. დღესაც მსოფლიო პოლიტიკის, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების ყურადღების ცენტრშია. ევროკავშირის შექმნით, ევროპული ინტეგრაციის კონცეფცია კვლავ საჯარო დისკუსიის საგანი გახდა. გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლა უარყოფით გავლენას ახდენს ევროკავშირზე, რადგან ევროკავშირი ისედაც ებრძოდა კრიზისების სერიას, როგორიცაა მიგრაციის კრიზისი, ევროზონის კრიზისი და ევროკავშირის საწინააღმდეგო ესკალაცია. ევროკავშირის მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო დიდი ბრიტანეთი, რომელიც მისი ვაჭრობის დაახლოებით 13%-ს შეადგენდა, ამიტომ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება კიდევ უფრო ზრდის ევროკავშირის გადარჩენის საფრთხეებს, რადგან დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის მნიშვნელოვანი წევრი იყო. დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ, ევროკავშირის ლიდერები შიშობენ, რომ სხვა წევრი სახელმწიფოებიც მოითხოვენ მათ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკიდან გასვლას, თუ „ბრექსიტი“ გავლენას მოახდენს ევროკავშირის სანქციების დაწესებასა და ადამიანის უფლებებზე. დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგაც კი, დიდი ბრიტანეთი მსოფლიო დიპლომატიაში გლობალური ლიდერის დარჩენას ისახავს მიზნად. მნიშვნელოვანია „ბრექსიტის“ დადებითი და უარყოფითი შედეგების განხილვა, გაანალიზება და იმ შედეგების განსაზღვრა რაც ბრექსიტმა მოიტანა.

საკვანძო სიტყვები: „ბრექსიტი“, ინტეგრაცია, სუვერენიტეტი, დადებითი მხარე, უარყოფითი მხარე.

Brexit as the Beginning of the EU Crisis

Manana Morchiladze

PhD Student of International Relations,

Faculty of Law and International Relations,

Georgian Technical University

m_morchiladze@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0000-7370-2810

Abstract

Europe, the birthplace of modern civilization, has experienced changes and wars for thousands of years. It is still the focus of world politics, economics, and technology today. With the creation of the European Union, the concept of European integration has once again become a subject of public discussion. The withdrawal of the United Kingdom from the European Union hurts the European Union, as the European Union was already struggling with a series of crises, such as the migration crisis, the eurozone crisis, and the escalation of anti-EU sentiment. The EU's main trading partner was the United Kingdom, which accounted for about 13% of its trade, so the decision of the United Kingdom to leave the European Union further increases the threats to the survival of the European Union, as the United Kingdom was an important member of the EU. After the United Kingdom's withdrawal, EU leaders fear that other member states will also demand their withdrawal from the EU's foreign policy if Brexit affects the imposition of EU sanctions and human rights. Even after the UK leaves the European Union, the UK aims to remain a global leader in world diplomacy. It is important to discuss, analyze, and determine the positive and negative consequences of Brexit.

Keywords: Brexit, integration, sovereignty, positive side, negative side.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს. ნაშრომში გამოყენებულია როგორც თეორიული, ასევე ემპირიული ანალიზის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულია: ისტორიულ-ანალიტიკური მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესწავლილია „ბრექსიტის“, როგორც ინტეგრაციის განვითარების შემაფერხებელი ფაქტი. შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომელიც გამოყენებულია ევროკავშირის სხვადასხვა კრიზისის – ფინანსური, მიგრაციული და პოლიტიკური – შედარებითი შეფასებისთვის. სისტემური ანალიზის მეთოდი, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი განიხილება როგორც კომპლექსური მრავალდონიანი პოლიტიკური სისტემა, რომლის განვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც შიდა, ისე გარეფაქტორები. ასევე, ნაშრომში გამოყენებულია „კონტენტ“ ანალიზისა და „ქეის სთადის“ მეთოდები. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია დოკუმენტური ანალიზის მეთოდი, რომლის ფარგლებში გაანალიზებულია „ბრექსიტის“ ოფიციალური დოკუმენტები და საერთაშორისო კვლევები.

კვლევის თეორიული ჩარჩო. „ბრექსიტის“, როგორც ეროკავშირის სხვადასხვა კრიზისის დასაწყისის ანალიზი ეფუძნება ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის თეორიულ მიდგომებს. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს „ბრექსიტის“, როგორც ევროკავშირის კრიზისების საწყისის შესწავლა. „ბრექსიტი“, როგორც უპრეცედენტო შემთხვევა და დომინოს ეფექტი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე – კვლევის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს:

1. „ბრექსიტის“ კრიზისის კომპლექსური ანალიზის შესწავლა;
2. „ბრექსიტის“ სისტემური კრიზისის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და მისი შეფასება;
3. „ბრექსიტის“, როგორც ევროკავშრის კრიზისის საწყისის განსაზღვრა და ავტორისეული ინტერპრეტაცია;
4. „ბრექსიტის“ თანამედროვე გამოწვევების გამოვლენა და შეფასება.

შესავალი

თემის აქტუალობა – ევროკავშირის მომავალი ის თემაა, რომელიც ხშირად იწვევს ცხარე დებატებს პოლიტიკოსებს, იურისტებსა და პოლიტოლოგებს შორის. ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავე და საკამათო გახდა „ბრექსიტის“ რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც გარდამტეხი მომენტია ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში. ბრექსიტი „ბრიტანეთის გასვლის“ პორტმანტოა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლას გულისხმობს. ისტორია მიუთითებს, რომ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება კუნძულელების გონებაში თაობების განმავლობაში იდგა.[84] ეს იყო ევროსკეპტიციზმის შედეგი, რომელიც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ბრიტანულ პოლიტიკურ სცენაზე ვითარდებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ინტეგრაციის დასაწყისიდანვე გაერთიანებულ სამეფოს ევროპის გარეთ ჰქონდა კერძო ინტერესები, რომლებიც სულაც არ ემთხვეოდა ევროპული საზოგადოების პოლიტიკას და ზოგიერთი საერთო ინსტიტუტი და პოსტულატი არ ემსახურებოდა ბრიტანეთის მიზნებს.[85] ათწლეულების განმავლობაში, ბრიტანულ მედიაში ევროკავშირის ბნელი მხარის შესახებ მრავალი მითი და სიცრუე ვრცელდებოდა და პოლიტიკურმა ლიდერებმა ვერ მოახერხეს ევროპული ინტეგრაციის დადებითი მხარეების ადეკვატურად განმარტება.[86] 1993 წელს დაარსდა უკიდურესად ევროსკეპტიკური პარტია, გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია („UKIP - UK Independence Party“). წლების განმავლობაში, „UKIP“-ი აყვავდა და გაიზარდა - 2004 წელს მან ევროპულ არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა, 2009 წელს – მეორე ადგილი, ხოლო 2014 წელს პარტია ხმების საერთო რაოდენობის 27.5%-ით პირველ ადგილზე იყო. „UKIP“-ის ზრდა და წარმატება რეფერენდუმში „გასვლის“ კამპანიის მხარდაჭერის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კორელატად

[84] Zodarenko K., 2017. Impact of Brexit on Britain's Labor and Immigration Policies. (Unpublished thesis). New York: State Umiversity of New York. https://www.researchgate.net/publication/381588616_The_Impact_of_Immigration_Policy_on_the_British_Labor_Market_after_Brexit (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.03.2026).

[85] Gowland D., & Turner A., 2000. Reluctant Europeans: Britain and European integration 1945-1998. London and New york: ROUTLEDGE. https://www.routledge.com/Reluctant-Europeans-Britain-and-European-Integration-1945-1998/Gowland-Turner/p/book/9780582369566 (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.03.2026).

[86] Howorth J., & Schimdt V., 2016. "Brexit: What Happened? What is Going to Happen?" https://shs.cairn.info/journal-politique-etrangere-2016-4-page-123?lang=en (უკანასკნელად შემოწმებულია 20.03.2026).

ითვლება.[87] ევროკავშირში ბრიტანეთის სტატუსის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების პოლიტიკური ზეწოლის გამო, 2013 წელს, ბრიტანეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, დევიდ კამერონმა, ევროპის წინაშე არსებული გამოწვევები გამოკვეთა და განაცხადა ბრიტანეთის ევროკავშირში წევრობის ხელახალი მოლაპარაკების შესახებ იმ პირობით, რომ თუ მისი კონსერვატიული პარტია 2015 წლის საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვებდა.[88] კონსერვატიულმა პარტიამ საყოველთაო არჩევნებში უმრავლესობით გამარჯვება მოახერხა და მალევე წარადგინეს ევროკავშირის რეფერენდუმის შესახებ კანონი, რათა რეფერენდუმი ამოქმედებულიყო.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია „ბრექსიტის“, როგორც ევროკავშირის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენის შესწავლა. „ბრექსიტი“, როგორც ინტეგრაციის პროცესის ხელისშემშლელი თუ ხელშემწყობი ფაქტორის გამოვლენა. „ბრექსიტის“+ დადებითი და უაროფითი შედეგების გამოვლენა და მისი შედეგების გაანალიზება.

1. „ბრექსიტის“ ინსტიტუციური და პროცედურული ეფექტები

ბრიტანეთი ყოველთვის „უხერხული პარტნიორი“ იყო, როგორც ბრიტანელი პოლიტოლოგის, სტივენ ჯორჯის (1990) წიგნის სათაურია, რომელიც „ბრექსიტის“ განხორციელებამდე სამი ათწლეულით ადრე გამოიცა. „ბრექსიტი“ სრულიად გაუთვალისწინებელიც არ იყო. 2013 წელს გამოქვეყნებულ თავს, რომელიც ბრიტანეთის ევროკავშირში წევრობას ეძღვნებოდა, სათაური ჰქონდა: „იზოლაციისა და გზების გაყოფისკენ?“[89]

მაგალითად, ბრიტანეთმა უფრო ადრე, 1975 წელს, ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანებიდან სულ რაღაც ორი წლის შემდეგ, რეფერენდუმი ჩაატარა. ამომრჩევლებისათვის დასმული კითხვა იყო, უნდა დარჩენილიყო თუ არა

[87] Pruitt S. 2017. "The History behind Brexit: The often-rocky relationship between Britain and the European Union stretches back nearly half a century." https://www.scribd.com/document/688900323/The-History-Behind-Brexit-HISTORY (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.03.2026).
[88] 2013. "David Cameron promises in/out referendum on EU." BBC NEWS.https://www.bbc.com/news/uk-politics-21148282 (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.03.2026).
[89] Allen David. 2013. " What Brexit has Revealed: Pride and Prejudice as Political Identity Traits". SciELO. https://www.scielo.org.mx/scielo.php?script=sci_arttext&pid=S0185-19182025000100161 (უკანასკნელად გადამოწმებულია 26.03.2026).

ბრიტანეთი ევროკავშირში (მათ დიდი უპირატესობით გადაწყვიტეს, რომ ასე უნდა ყოფილიყო). 1980-იან წლებში ბრიტანეთის მთავრობები სასტიკად უჩიოდნენ იმას, რასაც ისინი ქვეყნის მიერ თანამეგობრობის ბიუჯეტში უზარმაზარი წვლილის შეტანად მიიჩნევდნენ. ის 1985 და 1990 წლებში შენგენის შეთანხმებებს სასაზღვრო კონტროლის გაუქმების შესახებ გამოეყო. ის დაჟინებით მოითხოვდა 1992 წელს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (მაასტრიხტის ხელშეკრულება) მნიშვნელოვანი ნაწილებისგან გათავისუფლებას, მათ შორის „სოციალური სვეტისა“ და ფულადი კავშირისგან, ანუ ევროსგან.[90] ბრიტანეთმა 2011 წელს მიიღო კანონი „რეფერენდუმის ბლოკირების“ შემოღების შესახებ, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ხელშეკრულებების ნებისმიერი მომავალი ცვლილება მოითხოვდა დამადასტურებელ პლებისციტს ბრიტანეთში. 2012 წელს ბრიტანეთმა ვეტო დაადო შემოთავაზებულ „ფისკალურ კომპაქტს“ (ფორმალურად, ეკონომიკურ და ფულად კავშირში სტაბილურობის, კოორდინაციისა და მმართველობის შესახებ ხელშეკრულებას), რომლის მიხედვითაც ევროპულ ინსტიტუტებს უნდა მიენიჭოთ ეროვნული ბიუჯეტების ზედამხედველობის უფლებამოსილება. კიდევ ერთხელ, სხვა წევრმა სახელმწიფოებმა მაინც გააგრძელეს მოქმედება, ბრიტანეთის გარეშე.

ეს მხოლოდ ყველაზე სერიოზული კონფლიქტები იყო იმ მრავალრიცხოვან კონფლიქტებს შორის, რომლებშიც ბრიტანეთი სხვა წევრ სახელმწიფოთა უმეტესობასთან და ზეეროვნულ ინსტიტუტებთან დაპირისპირებაში იყო. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ბრექსიტი“ ევროკავშირისთვის კარგი იქნებოდა. ბრიტანეთის არყოფნას შეეძლო კავშირის განვითარებისთვის მუხრუჭის მოხსნა და ამით მის წევრ სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციის განახლებული ეტაპის გაგრძელება. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ 2007 წელს, ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ, ევროკავშირმა პირველად მიიღო ფორმალური გზა, რომლითაც წევრ სახელმწიფოს შეეძლო გასვლა[91].

მეორე მხრივ, ეფექტი შესაძლოა საპირისპირო ყოფილიყო. „ბრექსიტის“ უშუალო ეფექტი, რა თქმა უნდა, „დეინტეგრაციული“ იყო – ანუ კავშირის

[90] .....

[91] Aylott Nicholas. 16 April 2025. "The Brexit Effect: How Has British Withdrawal Shaped the EU's Development? ." 97-121.https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-83441-7_5 (უკანასკნელად გადამოწმებულია 26.03.2026).

თანმიმდევრულობისთვის საზიანო. ასევე შესაძლებელია, რომ „ბრექსიტს“ შეეძლო ევროკავშირის მიმართ ფარული უკმაყოფილების გაღვივება მის სხვადასხვა ელექტორატში[92]. ხშირად ამტკიცებენ, რომ ევროკავშირი უფრო პოპულარულია პოლიტიკურ ელიტებში, ვიდრე წევრი სახელმწიფოების დანარჩენი მოსახლეობის შორის. თითქმის ყველა სხვა წევრ სახელმწიფოს ჰყავდა ერთი პოლიტიკური პარტია მაინც, რომელიც სკეპტიკურად ან თუნდაც მტრულად იყო განწყობილი ევროკავშირის მიმართ. ამ პარტიებისა და მათი მხარდამჭერებისთვის „ბრექსიტი“ შეიძლებოდა შთაგონებისა და სტიმულის წყარო ყოფილიყო. მას შეეძლო ევროკავშირიდან გასვლა, რაც აქამდე შეუძლებელი იყო, რეალისტურ ვარიანტად ექცია.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბევრი კვლევა ფოკუსირებული იყო „ბრექსიტის“ მიზეზებსა და შედეგებზე იმ ქვეყნისთვის, რომელმაც დატოვა ევროკავშირი.[93] ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ ისტორიული მოვლენის გაგება უფრო ადვილია, ვიდრე ამ მოვლენის გრძელვადიანი მომავალი ეფექტების გარჩევა.

ევროკავშირი უნიკალური პოლიტიკური სისტემაა,[94] სადღაც ფედერაციასა და კონფედერაციას შორის. მას არ ჰყავს მთავრობა ჩვეულებრივი გაგებით. პირიქით, ის გამოირჩევა გადაწყვეტილების მიღების უაღრესად რთული სისტემით. სისტემა მოიცავს ინსტიტუტების ორ ძირითად ტიპს. პირველი, არსებობს სამთავრობათაშორისო ორგანოები, რომლებშიც წარმოდგენილია 27 წევრი სახელმწიფო. მეორე, არსებობს ზეეროვნული ინსტიტუტები, როგორიცაა პარლამენტი, ბიუროკრატია და სასამართლო, რომლებიც მთელი კავშირის

[92] Liechfield John. 2016. "1. After Brexit, I was abused for driving a car with French plates. Britain is on the verge of a nervous breakdown ."https://www.independent.co.uk/voices/brexit-eu-referendum-abused-driving-french-car-britain-verge-nervous-breakdown-a7119501.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 26.03.2026).

[93] Baldini Gianfranco. 2021. "1. The Brexit effect: Political implications of the exit of the United Kingdom from the European Union ." Stage. Journals. https://www.researchgate.net/publication/363283647_The_Brexit_effect_Political_implications_of_the_exit_of_the_United_Kingdom_from_the_European_Union (უკანასკნელად გადამოწმებულია 26.03.2026).

[94] Simon Hix (Author), Bjørn Høyland (Author). 2022. The Political System of the European Union. https://www.bloomsbury.com/uk/political-system-of-the-european-union-9781350325470/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 26.03.2026).

კოლექტიურ ინტერესებს წარმოადგენენ. ამ სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის მოლაპარაკებები მუდმივია.

ბალანსი უმნიშვნელოვანესია. რაც შეეხება ზომას, წევრ სახელმწიფოებს შორის განსხვავება უზარმაზარია: სამ უდიდეს წევრ სახელმწიფოს თითოეულში 58 მილიონზე მეტი მოსახლე ჰყავს; სამ ყველაზე პატარას კი 1 მილიონზე ნაკლები. ეს სხვაობა გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში უნდა იქნას გათვალისწინებული. პოლიტიკური იდეოლოგიები, პრეფერენციები და ინტერესები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება, ზოგჯერ აძლიერებს სხვა განსხვავებებს, ზოგჯერ კი მათ გადალახავს. კავშირის გაფართოებამ, რომელიც 1970-იანი წლებიდან შვიდჯერ მოხდა, ამ რთულ მოზაიკაში ადაპტაცია გამოიწვია, რათა შენარჩუნებულიყო ბალანსი, რომელიც მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებდა ყველაზე მნიშვნელოვან მოთამაშეებს. ბრიტანეთის, კავშირის სიდიდით მესამე ქვეყნის წასვლამ, ბუნებრივია, მსგავსი რამ მოითხოვა. ამ ხელახალი ბალანსისა და მისი შესაძლო შედეგების განხილვისას, ჩვენ ვიწყებთ ერთ-ერთი ზეეროვნული ინსტიტუტით, ევროპის პარლამენტით.

პარლამენტს ევროკავშირის მოქალაქეები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ირჩევენ. რადგან საარჩევნო ოლქები ეროვნულ საზღვრებზეა დაფუძნებული, კანდიდატებს თითქმის ექსკლუზიურად ეროვნული პოლიტიკური პარტიები ასახელებენ. „ბრექსიტი“, ცხადია, ნიშნავდა, რომ ბრიტანელი ამომრჩევლების მიერ არჩეული მანდატები გაქრებოდა. წევრმა სახელმწიფოებმა, ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს სახით, 2018 წელს გადაწყვიტეს, თუ როგორ მოეგვარებინათ ეს ცვლილება. თუმცა, 2019 წლის ივნისის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის, რომლის შემდეგაც ცვლილებები უნდა ამოქმედებულიყო, პრობლემა წარმოიშვა. მოულოდნელად, ბრიტანეთს ჯერ არ ჰქონდა დატოვებული ევროკავშირი. ამიტომ, ამ უცნაურ და უჩვეულო ვითარებაში, ბრიტანეთმა მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

ბრიტანეთმა საბოლოოდ დატოვა ევროკავშირი 2020 წლის იანვრის ბოლოს. პარლამენტის 73 ბრიტანელმა წევრმა დატოვა თავისი მანდატები. მათი მესამედზე ოდნავ მეტი დაუყოვნებლივ გადანაწილდა სხვა წევრ სახელმწიფოებზე, „რითაც ხელახლა დააბალანსეს წევრ სახელმწიფოებს შორის დეგრესული

პროპორციულობის პრინციპის ამჟამინდელი არასრულყოფილი გამოყენება“, როგორც ამას პარლამენტის მკვლევარები აღნიშნავენ[95] – რაც იმას ნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოს მოსახლეობასა და ევროპარლამენტში მისი მანდატების რაოდენობას შორის მხოლოდ უხეში კავშირი არსებობს. ამ გადანაწილებით სარგებლობულმა 14 წევრ სახელმწიფოს შორის საუკეთესო შედეგი საფრანგეთმა და ესპანეთმა მიიღეს, თითოეულმა ხუთ-ხუთი მანდატი. შვედეთმა კი ერთი. თუმცა, ბრიტანეთის მანდატების უმეტესობა უნდა შენარჩუნებულიყო კავშირის მომავალი გაფართოების ან საარჩევნო სისტემის შეცვლის შემთხვევაში.

ევროკავშირისთვის კრიზისები ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ინტენსიური და სწრაფი იყო. 2008 წლის ფინანსურმა კოლაფსმა დიდი რეცესია გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, ევროზონის გადარჩენას საფრთხე შეუქმნა. შვიდი წლის შემდეგ, ევროპაში მიგრაციის ტალღა დაიწყო, რაც, ნაწილობრივ, სირიის სამოქალაქო ომმა გამოიწვია. დიდი ბრიტანეთი, რა თქმა უნდა, ამ წლებში კვლავ ევროკავშირის წევრი იყო. თუმცა, ორივე კრიზისი მასზე შედარებით მცირე გავლენას ახდენდა. დიდმა ბრიტანეთმა ევრო არ მიიღო, ამიტომ უსაფრთხო დისტანციაზე იდგა, როდესაც ერთიანი ვალუტა ყველაზე დაუცველი ჩანდა. შენგენის ზონის გარეთ, დიდ ბრიტანეთს გარკვეული დაცვა ჰქონდა სხვა წევრი სახელმწიფოების საზღვრებს მიღმა გადასული მიგრაციისგან, რაც კულმინაციას 2015 წელს მიაღწია.

2. „ბრექსიტის“ დადებითი და უარყოფითი მხარეები

„ბრექსიტის“ ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა სუვერენიტეტის აღდგენაა. ევროკავშირიდან გასვლით, დიდმა ბრიტანეთმა აღიდგინა სრული კონტროლი თავის კანონებზე, რეგულაციებსა და პოლიტიკაზე, თავისუფალი ევროპის სასამართლოს იურისდიქციისაგან. ეს საშუალებას აძლევს დიდ ბრიტანეთს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა, იმიგრაცია და შიდაკანონმდებლობა, გარეგავლენის გარეშე. „ბრექსიტის“

[95] Charkaoui Hadil. 2023. "1. The Impact of Brexit on the Education Sector in the United Kingdom: A Comprehensive Analysis, ."Charkaoui, Hadil. 2023. "1. The Impact of Brexit on the Education Sector in the United Kingdom: A Comprehensive Analysis" (უკანასკნელად გადამოწმებულია 26.03.2026).

მრავალი მხარდამჭერისათვის ეროვნული სუვერენიტეტის ეს ხელახალი დადასტურება გადამწყვეტი ფაქტორი იყო ევროკავშირიდან გასვლის მხარდაჭერისთვის.[96]

„ბრექსიტმა“ დიდ ბრიტანეთს მისცა შესაძლებლობა, უფრო ეფექტურად დაეწესებინა იმიგრაციის პოლიტიკა და გაეკონტროლებინა საზღვრები. „ბრექსიტის“ კიდევ ერთი უპირატესობა ის მოქნილობაა, რომელსაც ის დიდ ბრიტანეთს სთავაზობს სავაჭრო შეთანხმებების მოლაპარაკებებში. ევროკავშირის გარეთ, დიდ ბრიტანეთს შეუძლია მსოფლიოს ქვეყნებთან ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების მოლაპარაკება, რაც პოტენციურად უზრუნველყოფს გარიგებებს, რომლებიც უფრო მეტად იქნება მორგებული მის ეკონომიკურ ინტერესებზე. ამან შეიძლება გახსნას ახალი ბაზრები დიდი ბრიტანეთის ბიზნესებისთვის და შეამციროს დამოკიდებულება ევროკავშირის ბაზარზე.

„ბრექსიტმა“ გამოიწვია ფინანსური დანაზოგი დიდი ბრიტანეთისთვის, რადგან ის აღარ შედის ევროკავშირის ბიუჯეტში. ევროკავშირისთვის ადრე გაგზავნილი თანხები ახლა შეიძლება გადამისამართდეს ეროვნულ პრიორიტეტებზე, როგორიცაა ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა ან განათლება, რაც პოტენციურად გაზრდის საჯარო მომსახურებას და ინვესტიციებს.

სათევზაო წყლებზე კონტროლის აღდგენით, დიდ ბრიტანეთს შეუძლია სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ თევზჭერის თემებს და მდგრადი გზით მართოს საზღვაო რესურსები. ეს იყო მთავარი საკითხი ბრექსიტის მოლაპარაკებების დროს და თევზჭერის უფლებების აღდგენა განიხილებოდა, როგორც დიდი ბრიტანეთის მეთევზეების გამარჯვება.

დიდ ბრიტანეთს ახლა შეუძლია შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც უკეთ შეესაბამება მის ფერმერებსა და გარემოსდაცვით საჭიროებებს, ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის დაცვის ნაცვლად. ამან შეიძლება გამოიწვიოს სოფლის მეურნეობის სექტორის უფრო მიზანმიმართული მხარდაჭერა და მიწის მართვის უფრო მდგრადი მიდგომა.

[96] analysis, Market. n.d. "Pros and cons of Brexit." 2020. https://www.ig.com/uk/financial-events/brexit/ pros-and-cons-of-brexit (უკანასკნელად შემოწმებულია 26.03.2026).

„ბრექსიტი“ დიდ ბრიტანეთს საშუალებას აძლევს, გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელიც თავისუფალია ევროკავშირის კოლექტიური გადაწყვეტილებებისგან. ეს დამოუკიდებლობა დიდ ბრიტანეთს საშუალებას აძლევს, უპასუხოს გლობალურ მოვლენებს და შექმნას ალიანსები თავისი ეროვნული ინტერესების საფუძველზე, რაც პოტენციურად გააძლიერებს მის პოზიციას მსოფლიო ასპარეზზე.

ბევრისთვის „ბრექსიტმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურა ეროვნული იდენტობისა და თვითგამორკვევის განცდა. ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება აღიქმებოდა, როგორც ქვეყნის მომავალზე კონტროლის დაბრუნება.

რაც შეეხება „ბრექსიტის“ უარყოფით მხარეებს,[97] იგი მდგომარეობს შემდეგში – „ბრექსიტის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი მის მიერ შექმნილი ეკონომიკური გაურკვევლობა იყო. ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილებამ გავლენა მოახდინა ინვესტიციებზე, ბიზნესის ნდობასა და ფინანსურ ბაზრებზე. გრძელვადიანი ეკონომიკური გავლენა გაურკვეველი რჩება, რადგან დიდი ბრიტანეთი აგრძელებს ევროკავშირთან და სხვა გლობალურ პარტნიორებთან ახალი ურთიერთობების დამყარებას.

ევროკავშირის ერთიანი ბაზრიდან და საბაჟო კავშირიდან გასვლამ ახალი სავაჭრო ბარიერები შემოიღო, მათ შორის ტარიფები და საბაჟო შემოწმებები. ამ ბარიერებმა შეიძლება გაზარდოს ხარჯები და შეამციროს ვაჭრობის ეფექტურობა, განსაკუთრებით იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც ეყრდნობიან ევროკავშირის ბაზარზე შეუფერხებელ წვდომას. საზღვრისპირა ვაჭრობის დამატებითმა სირთულემ ასევე გამოიწვია შეფერხებები და მიწოდების ჯაჭვების შეფერხებები.

დიდი ბრიტანეთის ბიზნესებმა დაკარგეს შეუფერხებელი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე, რომელიც მრავალი სექტორისთვის უდიდესი სავაჭრო პარტნიორი იყო. ბაზარზე წვდომის ამ დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს ექსპორტის შემცირება, შემოსავლების პოტენციური დანაკარგები და ბაზრის

[97] 2020. "Advantages and Disadvantages of BREXIT to the UK." Demo Essays. https://demoessays.com/advantages-and-disadvantages-of-brexit-to-the-uk/ (უკანასკნელად შემოწმებულია 26.03.2026).

წილის შემცირება, განსაკუთრებით იმ ინდუსტრიებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ევროკავშირთან ვაჭრობაზე.

რადგან დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი ქმნიან ცალკეულ მარეგულირებელ ჩარჩოებს, ორივე ბაზარზე მოქმედი ბიზნესი შეიძლება სირთულისა და დამატებითი ხარჯის წინაშე აღმოჩნდნენ. სხვადასხვა რეგულაციაში არსებულმა განსხვავებამ შეიძლება შექმნას არაერთი ბარიერი ვაჭრობისათვის და გაზარდოს ტვირთი იმ კომპანიებისათვის, რომლებსაც წესების მრავალი ნაკრების დაცვა უწევთ.

ადამიანების თავისუფალი გადაადგილების ნებისმიერმა შეზღუდვამ გამოიწვია მუშახელის დეფიციტი ისეთ სექტორებში, როგორიცაა ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და სტუმართმოყვარეობა, რომლებიც ადრე ევროკავშირის მუშაკებზე იყო დამოკიდებული. ამ დეფიციტმა ზეწოლა მოახდინა ამ ინდუსტრიებზე, რამაც პოტენციურად გამოიწვია ხარჯების ზრდა და მომსახურების დონის შემცირება.

„ბრექსიტმა“ გაამწვავა პოლიტიკური დაყოფა დიდ ბრიტანეთში, გაამწვავა დაძაბულობა სხვადასხვა რეგიონსა და ჯგუფს შორის, რომლებსაც განსხვავებული შეხედულება აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს დაყოფა გამოიხატა პოლიტიკურ არასტაბილურობაში, სოციალურ არეულობასა და ქვეყნის მომავალი მიმართულების შესახებ მიმდინარე დებატებში.

ევროკავშირის რეგულაციებიდან შიდარეგულაციებზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული კორექტირება და რესურსები მოითხოვა. ამ ადმინისტრაციულმა ტვირთმა დაძაბა მთავრობის შესაძლებლობები და შექმნა ბევრი სირთულე მარეგულირებელი ცვლილებების ეფექტურად მართვისას, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა, იმიგრაცია და გარემოსდაცვითი პოლიტიკა.

„ბრექსიტმა“ გაართულა ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის საზღვრის საკითხი. ევროკავშირიდან გასვლისას ღია საზღვრის შენარჩუნებამ შექმნა რთული და საკამათო საკითხები, რამაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ სტაბილურობაზე, ვაჭრობასა და სამშვიდობო პროცესზე ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ბრიტანეთის ევროკავშირიდან ოფიციალურად გასვლიდან ხუთი წლის შემდეგ, „BBC Verify“-მ შეისწავლა „Brexit“-ის რამდენიმე მნიშვნელოვანი გავლენა ბრიტანეთზე[98].

პირველი მნიშვნელოვანი გავლენა სავაჭრო სფეროს შეეხო – ეკონომისტები და ანალიტიკოსები, როგორც წესი, ევროკავშირის ერთიანი ბაზრიდან და საბაჟო კავშირიდან 2021 წლის 1 იანვრიდან გასვლის გავლენას დიდი ბრიტანეთის სასაქონლო ვაჭრობაზე უარყოფითად აფასებენ. ეს იმის მიუხედავად ხდება, რომ დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებები გამართა და თავიდან აიცილა საქონლის იმპორტსა და ექსპორტზე ტარიფების – ანუ გადასახადების – დაწესება. უარყოფითი გავლენა ე. წ. „არასატარიფო ბარიერებიდან“ მოდის – ხანგრძლივი და ზოგჯერ რთული ახალი დოკუმენტაციიდან, რომლის შევსებაც ყველა „ბიზნესს ევროკავშირში იმპორტისა და ექსპორტის დროს უწევთ.

მეორე მნიშვნელოვანი გავლენა იმიგრაციას ეხებოდა. „ბრექსიტის“ შემდგომი იმიგრაციის სისტემა 2021 წლის იანვარში ამოქმედდა. ამ სისტემის თანახმად, როგორც ევროკავშირის, ასევე ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებს დიდ ბრიტანეთში სამუშაო ვიზების მიღება სჭირდებათ (ირლანდიის მოქალაქეების გარდა, რომლებსაც კვლავ შეუძლიათ დიდ ბრიტანეთში ვიზის გარეშე ცხოვრება და მუშაობა). 2020 წლიდან ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების იმიგრაციის ზრდის ორი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია სამუშაო ვიზები (განსაკუთრებით, ჯანდაცვისა და მოვლის სფეროში) და საერთაშორისო სტუდენტები და მათზე დამოკიდებული პირები. დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებმა დაიწყეს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების სტუდენტების მოზიდვა, რადგან მათი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

სამართლებრივი სუვერენიტეტი – დიდი ბრიტანეთის შესაძლებლობა, შექმნას საკუთარი კანონები და არ დაიცვას ევროკავშირის კანონები – „Brexit“-ის რეფერენდუმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინასაარჩევნო დაპირება იყო. 2020 წელს „Brexit“-ის შემდეგ დაუყოვნებლივი დარღვევების მინიმიზაციის მიზნით,

[98] Kovacevic, Ben Chu and Tamara. 2025. "Five key impacts of Brexit five years on." BBC News. https://www.bbc.com/news/articles/cdrynjz1glpo (უკანასკნელად გადამოწმებულია 26.03.2026).

დიდმა ბრიტანეთმა ათასობით ევროკავშირის კანონი შეიტანა დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც „შენარჩუნებული ევროკავშირის კანონი“. სამთავრობო ბოლო დათვლის თანახმად, შენარჩუნებული ევროკავშირის კანონმდებლობის 6,901 ცალკეული ნაწილი იყო, რომლებიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამუშაო დრო, თანაბარი ანაზღაურება, საკვების ეტიკეტირება და გარემოსდაცვითი სტანდარტები. წინა კონსერვატიულმა მთავრობამ თავდაპირველად 2023 წლის ბოლომდე დააწესა ვადა ამ ევროკავშირის კანონების გაუქმებისთვის. მაგრამ ამდენი განსახილველი კანონმდებლობის გამო, გაჩნდა შეშფოთება, რომ არ იყო საკმარისი დრო ყველა კანონის სათანადოდ გადახედვისთვის.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირისთვის გაგზავნილი თანხა საკამათო თემა იყო 2016 წლის რეფერენდუმზე, განსაკუთრებით „გასვლის“ კამპანიის მტკიცებით, რომ დიდი ბრიტანეთი ყოველკვირეულად 250 მილიონ ფუნტს უგზავნიდა ბრიუსელს. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, დიდი ბრიტანეთის მთლიანი სახელმწიფო სექტორის შენატანი ევროკავშირის ბიუჯეტში 2019-20 წლებში, „ბრექსიტამდე“ ბოლო ფინანსურ წელს, 18.3 მილიარდი ფუნტი იყო. დიდი ბრიტანეთი გარდამავალ პერიოდში განაგრძობდა ევროკავშირის ბიუჯეტში შენატანის გადახდას, მაგრამ 2020 წლის 31 დეკემბრიდან ეს შენატანები აღარ განუხორციელებია. გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა „CAP“-ის გადახდები პირდაპირ გადასახადის გადამხდელთა თანხებით ჩაანაცვლეს. მინისტრებმა ასევე ჩაანაცვლეს ევროკავშირის სტრუქტურული დაფინანსების გრანტები, წინა მთავრობამ კი ისინი „დიდი ბრიტანეთის საერთო კეთილდღეობის“ ფონდად გადააკეთა. დიდი ბრიტანეთი ასევე იღებდა მოლაპარაკებების შედეგად ევროკავშირის ბიუჯეტში შეტანილ შენატანებზე წელიწადში დაახლოებით 4 მილიარდი ფუნტის ოდენობის „ფასდაკლებას“ – თანხას, რომელიც რეალურად არასდროს გასულა ქვეყნიდან. ამრიგად, ევროკავშირის ბიუჯეტში შენატანის არარსებობის შედეგად გაერთიანებული სამეფოსთვის წმინდა ფისკალური სარგებელი წელიწადში 9 მილიარდ ფუნტს უახლოვდება, თუმცა, ეს მაჩვენებელი თავისთავად გაურკვეველია, რადგან არ ვიცით, რა იქნებოდა გაერთიანებული სამეფოს შენატანი

ევროკავშირის ბიუჯეტში სხვა შემთხვევაში. „ბრექსიტის“ ძალაში შესვლის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა თავდაპირველად შეწყვიტა „Horizon Europe“-ს სქემაში თანხის გადახდა, რომელიც პანევროპულ სამეცნიერო კვლევებს აფინანსებს. თუმცა, დიდი ბრიტანეთი „Horizon Europe“-ს 2023 წელს დაუბრუნდა და ევროკავშირის პროგნოზით, მონაწილეობისთვის ევროკავშირის ბიუჯეტში საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 2.4 მილიარდ ევროს (2 მილიარდი ფუნტი სტერლინგი) გადაიხდის, თუმცა, ისტორიულად დიდი ბრიტანეთი სქემიდან წმინდა ფინანსური ბენეფიციარი იყო დიდ ბრიტანეთში მოღვაწე მეცნიერების მიერ მოპოვებული გრანტების დიდი წილის გამო.

დასკვნა

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბრექსიტმა“ ფართომასშტაბიანი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე. „ბრექსიტის“ შედეგად გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები მოითხოვს ყველა მხარის ერთობლივ ძალისხმევას, მნიშვნელოვანი როლის შესრულებაში მთავრობას, ბიზნესს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მხარე მიიღებს აქტიურ და გონივრულ ზომებს და ჩამოაყალიბებს მრავალპარტიულ პარტნიორობას, შესაძლებელი იქნება „ბრექსიტის“ შედეგად გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ეფექტურად მოგვარება და ეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები თავისთავად მონაწილეობენ კავშირის შიგნით არსებული ძირითადი სამართლებრივი აქტებით, რომლებიც ხშირად აბრკოლებენ წევრი სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებს. დიდი ბრიტანეთის მიერ განხორციელებული ქმედება კი სწორედ მიმართული იყო სუვერენული უფლებების უკან დაბრუნებისკენ. მართალია, ბრიტანეთს ევროკავშირთან 47 წლიანი ურთიერთობა აკავშირებს, მიუხედავად აღნიშნულისა, მათ შორის თანამშრომლობა ამ წლების განმავლობაში არ ყოფილა მარტივი და უკონფლიქტო. ბრიტანელები ბოლომდე არც არასდროს მიიჩნევდნენ ევროპას მათ თანასწორად.

2026 წლისთვის „ბრექსიტი“ უკვე დასრულებული ისტორიული პროცესია. ნათელია რომ ბრიტანეთის ევროკავშრიდან გამოსვლამ ევოკავშირის განუყოფლობასა და სიმდგრადეს საკმაო ნაპრალი გაუჩნა. ხელი შეუწყო ყველა ნაკლოვანების გამოაშკარავებას და ევროპული იდეაც შეარყია. ევროპას მოუწევს გაერთიანებისა და მოქნილობის ჩვენება, ხოლო ბრიტანეთს იმის დადასტურება, რომ მას ევროკავშირის გარეშეც შეუძლია ევროპული ღირებულებების, მდგრადობისა და კეთილდღეობის გავრცელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს საერთო მისია, ამოცანები და გამოწვევები აქვთ. რეალობას როგორც არ უნდა გავექცეთ მათ მაინც საერთო მომავალი და ხედვები აქვთ. შესაბამისად, ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

Allen, David. 2013. " What Brexit has Revealed: Pride and Prejudice as Political Identity Traits." *SciELO.*

Aylott, Nicholas. 16 April 2025. "The Brexit Effect: How Has British Withdrawal Shaped the EU’s Development? ." 97-121.

Baldini, Gianfranco. 2021. "1. The Brexit effect: Political implications of the exit of the United Kingdom from the European Union ." *Stage Journals.*

Charkaoui, Hadil. 2023. "1. The Impact of Brexit on the Education Sector in the United Kingdom: A Comprehensive Analysis, ."

Gowland, D., & Turner, A. 2000. *Reluctant Europeans: Britain and European integration 1945-1998, .* London and New york: ROUTLEDGE.

Grosek, Giulio Sabbati and Kristina. 2020. *The European parliament after brexit.*

Howorth, J., & Schimdt, V. 2016. "Brexit: What Happened? What is Going to Happen?"

Kovacevic, Ben Chu and Tamara. 2025. "Five key impacts of Brexit five years on." *BBC News.*

Liechfield, John. 2016. "1. After Brexit, I was abused for driving a car with French plates. Britain is on the verge of a nervous breakdown ."

Pruitt, S. 2017. "The History behind Brexit: The often-rocky relationship between Britain and the European Union stretches back nearly half a century."

Simon Hix (Author), Bjørn Høyland (Author). 2022. *The Political System of the European Union.*

Zodarenko, K. 2017. *Impact of Brexit on Britain's Labor and Immigration Policies. (Unpublished thesis).* New York: State Umiversity of New York.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორი და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე

რაულ ფევაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

raul.pevadze@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0008-6103-4868

DOI: 10.52340/splogos.2026.01.07

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების ცვლილება გლობალურ და რეგიონულ აქტორებს შორის. კვლევა ფოკუსირებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნის განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორების ანალიზსა და იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავს მათ სტრატეგიულ არჩევანს. ნაშრომში ყურადღება ეთმობა იმ პოლიტიკურ აქტორებს როგორიცაა: რუსეთი, თურქეთი, ირანი, აშშ, ევროკავშირი და ჩინეთი.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია, რამაც რეგიონში კონკურენციის ახალი ფორმატი შექმნა როგორც რეგიონულ, ისე გარეაქტორებს შორის. საქართველო ინარჩუნებს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების კურსისადმი ერთგულებას, რაც ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. აზერბაიჯანი ახორციელებს მრავალვექტორულ და პრაგმატულ პოლიტიკას, რითაც ინარჩუნებს დისტანციას რუსეთსა და დასავლეთს შორის. აზერბაიჯანი ასევე აძლიერებს სტრატეგიულ პარტნიორობას თურქეთსა და რეგიონულ აქტორებთანაც. სომხეთი, რომელიც ტრადიციულად რუსეთზე იყო დამოკიდებული, ცდილობს საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაციას და დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავებას.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, გეოპოლიტიკა, რეგიონი, უსაფრთხოება, ვექტორი.

Different Foreign Political Vectors of the South Caucasus Countries and their Impact on the Regional Security

Raul Pevadze

PhD Student, Caucasus International University,

raul.pevadze@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0008-6103-4868

Abstract

The article discusses the changes in the geopolitical processes taking place in the South Caucasus region between global and regional actors. The study focuses on the analysis of the different foreign political vectors of the countries of the South Caucasus and the factors that determine their strategic choices. In this paper, particular attention is paid to such political actors as Russia, Turkey, Iran, the USA, the EU, and China.

Following the collapse of the Soviet Union and the restoration of independence, the countries of the Soviet Caucasus chose different political courses, which created a new format of competition among both regional and external actors. Georgia maintains its commitment to the course of joining the Euro-Atlantic structure, which contradicts Russian interests. Azerbaijan implements a multi-vector and pragmatic policy, thereby distancing itself from Russia and the West. Azerbaijan also strengthens its strategic partnership with Turkey and other regional actors. Armenia, which traditionally has been dependent on Russia, seeks to diversify its foreign policy and deepen relations with the West.

Keywords: South Caucasus, geopolitics, region, security, vector.

კვლევის მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია: თვისებრივი კვლევის მეთოდები, ისტორიულ-აღწერილობითი, კონტენტ-ანალიზი, შედარებითი ანალიზი.

კვლევის თეორიული ჩარჩო. კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების, რეგიონული უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკის თეორიულ მიდგომებს, რომლებიც განიხილავენ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ

ქმედებებს, ეროვნული ინტერესებისა და რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. სამხრეთ კავკასია განიხილება, როგორც გეოპოლიტიკური სივრცე, სადაც შიდა ისე გარე რეგიონული ძალები ცდილობენ საკუთარი გავლენის განმტკიცებას. კვლევა ეყრდნობა რეალიზმისა და ნეორეალიზმის კონცეფციებს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები მოქმედებენ საკუთარი უსაფრთხოების, ძალაუფლებისა და გავლენის გაზრდისათვის. აღნიშნული მიდგომა კარგად ხსნის იმ პროცესებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიაში. კვლევაში ასევე გამოყენებულია მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკის თეორიული მიდგომა, რომელიც განმარტავს მცირე და საშუალო სახელმწიფოების სტატეგიას დიდი ძალები კონკურენციის პირობებში.

სამეცნიერო სიახლე. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკის ვექტორების გავლენის სისტემური შეფასება რეგიონულ უსაფრთხოებაზე, სადაც ერთდროულად ანალიზდება საქართველოს პროდასავლური მიდგომა, აზერბაიჯანის ბალანსირების პოლიტიკა რუსეთსა და დასავლეთს შორის და სომხეთის მრავალვექტორიანი სტრატეგია.

შესავალი

სამხრეთ კავკასია ის ერთ-ერთი რეგიონია, სადაც გარე და შიდა რეგიონულ აქტორებს შორის მწვავე კონკურენციაა. ეს რეგიონი ასევე ცნობილია კონფლიქტოგენურობით. სამხრეთ კავკასიაში მთავარი კონკურენტები არიან: რუსეთი, თურქეთი, ირანი, აშშ, ევროკავშირი და ჩინეთი. ისინი სამხრეთ კავკასიაში დომინირებისთვის მთავარ კონკურენტებად განიხილებიან. შესაბამისად, როგორც გეოპოლიტიკური, ისევე რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები სამხრეთ კავკასიას მეტნაკლებად ფეთქებადსაშიშს ხდის, რეგიონულ უსაფრთხოებას კი ძალიან მყიფეს. ამ რეგიონში არსებული საფრთხეები კასპიის ზღვის არეალისა და შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების პრობლემებზეც აისახება. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსისა და მისი გავლენის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყანამ – საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა – საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი როლისა და ფუნქციის განსაზღვრის მიზნით განსხვავებული პოლიტიკური ვექტორი აირჩია. ეს კავკასიის რეგიონის შიდა- და გარევექტორებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა.

საქართველო რუსეთის პოლიტიკური გავლენისგან თანდათანობით გათავისუფლდა 2003 წლის ვარდების რევოლუციისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. რის შედეგადაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის გავლენის მოზაიკა შეიცვალა. ის იძულებული გახდა გავლენა შეესუსტებინა და თანდათან დაბალანსებული პოლიტიკის გატარება დაიწყო „სტრატეგიული პარტნიორების“ – აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ.

სომხეთის რუსეთთან ურთიერთობები გაუარესდა 2018 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ. მთავრობამ, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, უფრო გამჭვირვალე პოლიტიკის გატარება დაიწყო, რამაც მოსკოვის გაღიზიანება გამოიწვია. სომხეთს რეგიონში უშუალო ,,მეგობარი მეზობლები“ არ ჰყავს და ის კვლავ დიდად არის დამოკიდებული რუსეთზე. მას აზერბაიჯანსა და თურქეთთან გარკვეულწილად დაძაბული, ხოლო საქართველოსა და ირანთან – „ბუნდოვანი ურთიერთობები“ აქვს.

აზერბაიჯანისთვის რუსეთის ფაქტორი მნიშვნელოვანია ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში და ასევე რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო, სამხედრო-ტექნიკური და სხვა გავლენის პოტენციალის გათვალისწინებით. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია აზერბაიჯანისთვის გეოპოლიტიკური ალტერნატივის ფუნქციასაც ასრულებს, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანის ურთიერთობები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან უარესდება ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესების გამო. აზერბაიჯანის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით შეიძლება ჩაითვალოს „მშვიდ დიპლომატიად“,

რომლის მეშვეობითაც ბაქო თანდათან ზრდის აზერბაიჯანის როლს რეგიონში გეოპოლიტიკურ ძალებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენებით.[99]

საქართველო სამხრეთ კავკასიაში რუსეთისა და სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების დაპირისპირების ზონადაა ქცეული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ თურქეთი და აზერბაიჯანი აქტიურად დებენ ინვესტიციებს საქართველოში. ამ რეგიონში გავლენისთვის ბრძოლაში თურქეთი რუსეთის ერთ-ერთი ძლიერი კონკურენტია. სამხრეთ კავკასიის პირდაპირი ეკონომიკური მნიშვნელობა შედარებით მცირეა, მაგრამ მისი სატრანზიტო პოტენციალი – უზარმაზარი. თურქეთისთვის სამხრეთ კავკასია კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის კარიბჭეს წარმოადგენ.[100] ამჟამად თურქეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში დიდწილად პერიფერიულია და მხოლოდ მაშინ აქტიურდება, როდესაც თურქეთი პრობლემებს აწყდება შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან მიმართებით.

თურქეთის დიდი ხნის მოკავშირე რეგიონში აზერბაიჯანია. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის მნიშვნელობა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ერთ დროს შედარებით გადაჭარბებული იყო, რის შედეგადაც თურქეთმა სომხეთთან საზღვარი დახურა. როგორც თურქი ექსპერტები აღნიშნავენ, თურქეთის მხარდაჭერა აზერბაიჯანის მიმართ სომხეთთან საზღვრის ჩაკეტვის სახით მხოლოდ სიმბოლური ჟესტით დასრულდა. თურქეთის მიერ სომხეთის ბოიკოტმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შემუშავებას ვერ შეუწყო ხელი.

ანკარის პოლიტიკამ გავლენა ვერ მოახდინა სომხეთზე. სტატუს-კვოს შენარჩუნება თურქეთს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაში არ ეხმარება. სტატუს-კვოს შენარჩუნება აზერბაიჯანის ინტერესებშიც არ შედის.[101]

მიუხედავად ამისა, თურქეთი აგრძელებს სომხეთის წინააღმდეგ ბლოკადის პოლიტიკას, ცდილობს „ყარაბაღის საკითხის“ გადაჭრას და რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული სისტემების

[99] Valiyev A. Azerbaijan-Russia Relations after the Five-Day War: Friendship, Enmity, or Pragmatism?//TPQ. 2011. Vol. 10. № 3. გვ. 135.

[100] Punsmann G. B. Turkey's Interest and Strategies in the South Caucasus//South Caucasus: 20 Years of Independence. B., 2011. გვ. 287.

[101] Punsmann G. B. Turkey's Interest and Strategies in the South Caucasus//South Caucasus: 20 Years of Independence. B., 2011. გვ. 287.

გაზრდას, რომელთა იგნორირება მოსკოვს არ შეუძლია. ამრიგად, რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს ეჯიბრებიან რეგიონში გავლენის გასაძლიერებლად. თურქეთი ასევე ცდილობს საქართველოზე კონტროლის მოპოვებას, ხოლო რუსეთი იბრძვის აზერბაიჯანის თავისი გავლენის სფეროში დატოვებისათვის. ამ მხრივ, როგორც საქართველო, ასევე აზერბაიჯანი უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან, ვიდრე სომხეთი, რადგან მათ შეუძლიათ მოსკოვისა და ანკარის რეგიონული ინტერესების გამოყენება თავიანთ სასარგებლოდ ორ ძალას შორის მანევრირებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი რუსეთს ეწინააღმდეგებიან რეგიონზე გავლენის მოპოვებაში. არც რუსეთი და არც დასავლეთი არ არიან მზად, რეგიონში გავლენა ერთმანეთს დაუთმონ. რუსეთი არ მალავს საკუთარ ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში. მას სურს არამარტო გავლენის აღდგენა და შენარჩუნება, არამედ მისი გაძლიერება. საკუთარი ინტერესები აქვთ რეგიონში აშშ-სა და ევროპასაც.

რუსეთი ცდილობს პარიტეტის შენარჩუნებას სომხეთთან განსაკუთრებული ურთიერთობის გზით. ამ კონტექსტში ხდება ბრძოლა აზერბაიჯანზე მისი გავლენის გასაზრდელად. ამ ფონზე სომხეთი ატარებს ისეთი საგარეო პოლიტიკის კურსს, რომელიც მიზნად ისახავს როგორც რუსეთთან, ისე დასავლეთთან ურთიერთობების შენარჩუნებას. აზერბაიჯანს სურს რუსეთი და დასავლეთი კონტროლირებად დისტანციაზე შეინარჩუნოს. ბაქოსთვის რუსეთთან ურთიერთობა სასარგებლოა იმით, რომ ეს უკანასკნელი, დასავლეთთან შედარებით, უფრო მეტად არის მიდრეკილი არსებული რეჟიმის მხარდაჭერისკენ.

შესაბამისად, მოსკოვი ცდილობს თბილისთან დაძაბულობის შემცირებით ნებისმიერი პოტენციურად დაკარგული დივიდენდის ანაზღაურებას. შემთხვევითი არ არის, რომ, ერთი მხრივ, საქართველო რუსეთს თავის მთავარ საფრთხედ მიიჩნევს, ხოლო, მეორე მხრივ, იზრდება ქართული საზოგადოების მიერ საქართველოს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების მოწონების ტენდენცია.

2008 წელს საქართველოში და 2014 წელს უკრაინაში დაძაბულობის რადიკალურ ესკალაციას ბევრი ექსპერტი რუსეთსა და დასავლეთს შორის

გეოპოლიტიკურ დაპი-რისპირებად მიიჩნევს.[102] შესაბამისად, არსებობდა მოსაზრება, რომ სიტუაცია უფრო მეტად გართულებულიყო და რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამხრეთ კავკასიაში მომხდარიყო სამხედრო ესკლაცია, და რომ ყარაბაღი შესაძლოა ასეთ ესკალაციად ქცეულიყო. ითვლება, რომ დაძაბულობა რუსეთის საზღვრებთან, განსაკუთრებით კი – სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ესაზღვრება არანაკლებ რთულ, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონს, არ შედის რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებში. ეს ფაქტი ხაზგასმულია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში: რუსეთის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისა და ეროვნული პრიორიტის განხორციელების მიზნით, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობა მიზნად ისახავს, მეზობელ სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობების ხელშეწყობას, მათ ტერიტორიებზე არსებული დაძაბულობისა და კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობას. ახალი დაძაბულობისა და კონფლიქტების წარმოშობის თავიდან აცილებას.[103] ამ კონტექსტში სიტუაციის ამჟამინდელი მდგომარეობისა და რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების სულისკვეთების გათვალისწინებით, ითვლება, რომ რუსეთის ეროვნულ ინტერესებს უკეთ ემსახურება, სულ მცირე, ყარაბაღის კონფლიქტის ამჟამინდელი „არც ომი და არც მშვიდობა“ ფორმით შენარჩუნება, ან მაქსიმუმ, მისი ისე მოგვარება, რომ ორი ქვეყნის ქცევა და, მთლიანობაში, სიტუაცია რუსეთისთვის მაქსიმალურად კონტროლირებადი და პროგნოზირებადი გახდეს.

საქართველო. საქართველო სამხრეთ კავკასიაში ყველაზე პროდასავლური სახელმწიფოა. დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველომ პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია და, შესაბამისად, მისი მიზანი ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვა გახდა. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ევროკავშირი და ნატო შეიძლება იყოს საპირწონე

[102] Hill F., Kiri K., Moffatt A. Retracing the Caucasian Circle - Considerations and Constraints for U. S., EU, and Turkish Engagement in the South Caucasus // Policy Paper. 2015. №6, July. გვ. 5. https://surl.li/fvbmbi

[103]Концепция внешней политики Российской Федерации (утверждена Президентом Российской Федерации
В. В. Путиным 30 ноября 2016 г.).

რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო დომინირებისთვის კავკასიის რეგიონში.[104] სამხრეთ კავკასია დასავლეთისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონია. ის ასევე ძალიან მიმზიდველი ენერგეტიკული დერეფანიცაა. ნავთობისა და გაზის ექსპორტის ალტერნატიული მარშრუტები ამ რეგიონზე გადის, რაც ამცირებს ევროპის დამოკიდებულებას რუსულ ნახშირწყალბადებზე.[105] აქედან გამომდინარე, დასავლეთი დაინტერესებულია ამ რეგიონში თავისი გავლენის გაძლიერებით. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო რამდენიმე მნიშვნელოვან გლობალურ ეკონომიკურ რეგიონს აკავშირებს ერთმანეთთან. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპიდან ჩინეთამდე უმოკლესი სავაჭრო გზა საქართველოზე გადის. „აბრეშუმის გზა“ ყოველთვის კავკასიის რეგიონზე გადიოდა.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაყინული კონფლიქტების მიუხედავად, საქართველოს საგარეო პოლიტიკა მაინც პროდასავლურია. მისი მიზანია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაცია. მიუხედავად სხვადასხვა სახის ზეწოლისა და, მათ შორის, საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამოყენებისა, კრემლმა ვერ შეძლო საქართველო რუსეთის სატელიტ სახელმწიფოდ ექცია. საქართველომ თანდათან მოახერხა რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევა და დასავლურ ინსტიტუტებსა და ერებთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარება. 1994 წელს საქართველო შეუერთდა ნატოს მიერ ორგანიზებულ „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამას, რაც საქართველო-ნატოს ურთიერთობების დასაწყისი გახდა. საქართველოსა და ნატოს შორის ოფიციალური ურთიერთობები 1998 წელს დამყარდა, როდესაც საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა დიპლომატიური მისიის გახსნა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ელჩი წარადგინა. საქართველომ ნატოსთან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა 2001 და 2002 წლებში და ასევე ქ. ფოთში ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩაატარა.

[104] Fatih Mehmet Sayın, Valeri Modebadze, Georgia's Pro-Western Path: Analysis of the Georgian Foreign Policy in the Post-Soviet Period. AIBU Journal of Social Sciences, 2014, Volume 14, Issue 1, გვ. 340.

[105] Nikolai Sokov, The South Caucasus Corridor after the Russian-Georgian War, available from World Wide PONARS Eurasia Policy Memo No. 49, 2009. https://surl.li/ogzylw.

ნატოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების გარდა, საქართველო გახდა ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, როგორებიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი („IMF“), მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, სუამი დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია („OSCE“), ევროპის საბჭო, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია („BSEC“), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი („EBRD“) და ა. შ. [106]

1999 წელს სტამბოლში გამართულ ეუთოს სამიტზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის შესახებ, რათა ნავთობი კასპიის რეგიონიდან თურქეთის ჯეიჰანის პორტამდე გადაეტანათ.[107]

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ის ლიდერები, რომლებიც საქართველოს მართავდნენ, რადიკალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. თუმცა, ხელისუფლებების ცვლილებას ქვეყანაში არასდროს გამოუწვევია რადიკალური ცვლილებები საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1990-იანი წლიდან დაწყებული, საქართველოს სტაბილური ევროატლანტიკური კურსი აქვს არჩეული. ევროპელები საქართველოს შუა დერეფნის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევენ. საქართველო ამ სავაჭრო მარშრუტის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სატრანზიტო პარტნიორი და ცენტრალურ აზიასა და ევროპასთან დამაკავშირებელი რგოლია.

აზერბაიჯანი. 2024 წლის 17 აპრილს რუსეთმა გააკეთა განცხადება აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღიდან თავისი სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ. ეს მოულოდნელი განცხადება ნიშნავს, რომ ჯარებმა მანდატის ოფიციალურ დასრულებამდე ერთი წლით ადრე დატოვეს ქვეყანა. ეს ხდება სამხრეთ კავკასიაში ძალთა ბალანსის მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე.

აზერბაიჯანის მომავალი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მის მზარდ ურთიერთობებთან მოკავშირეებსა და პარტნიორებთან, რომელთა შორის

[106] ალექსანდრე რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 2001.

[107] Fatih Mehmet Sayın, Valeri Modebadze, Georgia's Pro-Western Path: Analysis of the Georgian Foreign Policy in the Post-Soviet Period. AIBU Journal of Social Sciences, 2014, Volume 14, Issue 1, გვ. 344.

ყველაზე მნიშვნელოვანია თურქეთი, რუსეთი და ისრაელი. აზერბაიჯანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი, სულ მცირე, ეკონომიკურ სფეროში, არის ევროკავშირი, ამ ქვეყნის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. აზერბაიჯანი ასევე ცდილობს გაზარდოს თანამშრომლობა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან სხვადასხვა სახის კავშირის, ტრანზიტისა და ენერგეტიკის სფეროში, ასევე მნიშვნელოვანი გახადოს თავისი ძალა რეგიონული მასშტაბით.[108]

თურქეთი აზერბაიჯანის უახლოესი პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირეა. ორ ქვეყანას აკავშირებს როგორც საერთო ეთნიკური, კულტურული, ისტორიული და ენობრივი კავშირები, ასევე ძლიერი პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ვითარდებოდა. ისინი განიხილავენ ერთმანეთს, როგორც მომძე ერები ან როგორც „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“ (მაგალითად, ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა).[109]

2021 წლის ივნისში ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა შუშას დეკლარაციას მოკავშირეთა ურთიერთობების შესახებ, რომლითაც მათ შორის ოფიციალურად ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობიდან ალიანსამდე ავიდა.[110] მრავალი წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი კომპონენტია ერთობლივი წვრთნები. რომლებიც ემსახურება ძალის პროვოცირებას ერევნის, მოსკოვისა და თეირანისადმი.

ისრაელი აზერბაიჯანისათვის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო მოკავშირე და პოლიტიკური მხარდამჭერია. თურქეთის მსგავსად, ისრაელი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 1991 წელს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა აღიარა და 1992 წლიდან ბაქოში საელჩო გახსნა. ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც ადასტურებს 2023 წლის იანვარში აზერბაიჯანის პირველი ელჩის დანიშვნა

[108] Hugo von Essen, Azerbaijan's Uncertain Geopolitical Rise in a South Caucasus Maelstrom. SCEEUS Report No. 17, 2023. https://surl.li/swqwqv.

[109] Turkey's Erdogan praises ties with 'sister' nation Azerbaijan in visit to Baku. The New Arab Staff & Agencies
13 June, 2023.

[110] Shusha Declaration on Allied Relations between the Republic of Azerbaijan and the Republic of Turkey 16 June 2021, https://surl.li/nyzxjv.

ისრაელში. 2023 წლის მაისში აზერბაიჯანში პირველი ვიზიტის დროს ისრაელის პრეზიდენტმა ისააკ ჰერცოგმა განაცხადა, რომ ურთიერთობა: „არ არის მხოლოდ ირანი და თავდაცვა, ეს ასევე ეხება ვაჭრობას, ტურიზმსა და ენერგეტიკას.“ [111]

აზერბაიჯანსა და ისრაელს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ცენტრალური ასპექტია ირანის წინააღმდეგ მოქმედების შეკავების ერთობლივი ძალისხმევა. ორივე მათგანისთვის ირანი აღიქმება საშიშ სამხედრო და ჰიბრიდულ საფრთხედ და ამიტომ ის ცენტრალურ ადგილს იკავებს მათი საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკიაში.

ევროკავშირს ბაქოსთან კარგი ურთიერთობა სჭირდება, რათა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სტრატეგიული მიზნების უმეტესობას მიაღწიოს. ესენია: აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მშვიდობა და ნორმალიზაცია; რუსეთის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა და საკუთარი გავლენის გაძლიერება; აღმოსავლეთ სამეზობლოს სტაბილურობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება; და „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ სატრანზიტო „შუა დერეფნის“ ამ მნიშვნელოვან კვანძში საკუთარი წილის განმტკიცება.

ევროკავშირს ბაქოსთან მიმართებით მნიშვნელოვანი ბერკეტები აქვს. პირველ რიგში, აზერბაიჯანი უკვე გარკვეულწილად არის დამოკიდებული ევროკავშირთან ვაჭრობაზე. ბაქოს, სავარაუდოდ, ევროკავშირი სჭირდება ერევანთან მშვიდობისა და ურთიერთობების ნორმალიზების შემდგომი პროგრესის მისაღწევად. ასევე სამხრეთ კავკასიაში ევროპის წონის ზრდა ნიშნავს იმას, რომ ბაქოს სტრატეგიულ ინტერესებშია ევროკავშირთან კონსტრუქციული კავშირების დამყარება. აზერბაიჯანს არ სურს, უბრალოდ ევროკავშირისათვის ბენზინგასამართი სადგური ან რკინიგზა იყოს, არამედ სურს ევროკავშირის მეტი ჩართულობა და თანამშრომლობა რეგიონში.

აზერბაიჯანი (ისევე, როგორც სომხეთი) ერთდროულად ორივე მხარეს თამაშობს: ცდილობს მართოს და მაქსიმალურად გაზარდოს სარგებელი როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთთან ურთიერთობებში. ბაქო ხშირად მკაცრად რეაგირებს როგორც ევროკავშირისა და აშშ-ის კრიტიკაზე, ასევე ევროკავშირის

[111] Julia Frankel, Israel’s defense chief travels to Azerbaijan, reaffirming shared opposition to Iran. July 13, 2023.

მხარდაჭერაზე სომხეთის მიმართაც.[112] აზერბაიჯანს რთული ურთიერთობა აქვს რუსეთსა და ირანთან. ბაქო იძულებულია მოსკოვსა და თეირანთან კავშირები თანამშრომლობის, კონკურენციასა და შეკავების პრინციპების ცვალებადი ბალანსით მართოს.

სომხეთი. სომხეთის მიერ ბოლო წლებში გადადგმული საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების სერია მიუთითებს ქვეყნის ტრადიციული გეოპოლიტიკური პოზიციის გრძელვადიან გადახრაზე – რუსეთზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევასა და დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან მზარდი კავშირები ხშირად აღწერილია, როგორც „მტკიცედ ანტირუსული ნაბიჯები“, რომლებიც მიზნად ისახავს სომხეთის რუსეთის გავლენის სფეროდან „გაქცევას“, სინამდვილეში კი ერევანი ცდილობს დივერსიფიცირებულ, მრავალვექტორიან საგარეო პოლიტიკაზე გადასვლას.[113]

სომხეთის საგარეო პოლიტიკაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნევა, რაც გამოიხატება რუსეთზე ტრადიციული დამოკიდებულებისგან თავის დაღწევითა და ევროკავშირსა და აშშ-სთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებით. 2024 წლის 15 იანვარს შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების ხელმოწერა მათ ორმხრივ ურთიერთობებში ახალი ეტაპია.[114] ყველაზე საინტერესოა ვაშინგტონის მხარდაჭერა სომხეთის სასაზღვრო უსაფრთხოებისა და სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერების მხრივ. რაც შეეხება ევროკავშირს, ამ უკანასკნელმა გააფართოვა თავისი სამოქალაქო მონიტორინგის მისია სომხეთში და დაიწყო ვიზების ლიბერალიზაციის პროცესი ერევანთან. დასავლეთს საკუთარი მიზნები აქვს სომხეთთან უფრო მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად. ერევანი სულ უფრო მეტად ცდილობს თავისი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაციას. სომხეთთან უფრო ფართო ურთიერთობების დამყარებით დასავლეთი

[112] Hugo von Essen, Azerbaijan's Uncertain Geopolitical Rise in a South Caucasus Maelstrom. SCEEUS Report No. 17, 2023. https://surl.li/ajtsgl.

[113] Emil Avdaliani, Armenia's Nascent Multi-Vector Foreign Policy. 14 Apr 2025.

[114] „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია“, აშშ-ის საელჩო სომხეთში, 2025 წლის 17 იანვარი, https://surl.lu/kzktfx.

იმედოვნებს, რომ გააფართოვებს უფსკრულს რუსეთსა და სომხეთს შორის. ეს გათვლები წმინდა გეოპოლიტიკურია. სანამ რუსეთი უკრაინასთან ომით არის დაკავებული, ევროკავშირი და აშშ ცდილობენ რუსეთის გავლენის შესუსტებას სხვაგან და, მათ შორის, სომხეთშიც.[115]

2020 წლიდან სომხეთის რეგიონულ უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკაზე ორმა რეგიონულმა კონფლიქტმა იქონია გავლენა: სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა და რუსეთ-უკრაინის ომმა. ამ კონფლიქტების შედეგად შეიცვალა სომხეთის დამოკიდებულება რუსეთისა და დასავლეთის მიმართ. ნიკოლ ფაშინიანის მთავრობამ 2024 წლის 23 თებერვალს შეაჩერა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში („CSTO“) მონაწილეობა იმ მოტივით, რომ სომხეთს თავს დაესხნენ და მისი სუვერენიტეტი საფრთხის ქვეშ დადგა.[116]

სომხეთმა 2025 წლის 14 იანვარს შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომელიც ფოკუსირებულია ეკონომიკური თანამშრომლობის, უსაფრთხოების, თავდაცვის, დემოკრატიის განმტკიცებისა და ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის გაზრდაზე. თუმცა, სომხეთს კვლავ მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთთან და რუსეთის ხელმძღვანელობით მოქმედ სხვადასხვა რეგიონულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (ეეუ)[117].

„შუა დერეფანი“, სავაჭრო გზაა, რომელიც შავ ზღვას კასპიის ზღვასა და შემდგომ – ცენტრალურ აზიას ევროკავშირთან აკავშირებს, რომელიც გაფართოვდა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ. ჩინეთიდან ევროკავშირამდე ყველა ძირითადი მოთამაშე ამჟამად ინვესტიციებს დებს და პოლიტიკურ კავშირებს აფართოვებს „შუადერეფნის“ მარშრუტის გასწვრივ მდებარე ქვეყნებთან.

მოკლევადიან პერსპექტივაში, სომხეთი, სავარაუდოდ, გააგრძელებს რუსეთსა და დასავლეთს შორის ბალანსის შენარჩუნებას პარალელურად, მაგრამ,

[115] Emil Avdaliani, Armenia’s Nascent Multi-Vector Foreign Policy. 14 Apr 2025.
[116] Emil Avdaliani, Armenia’s Nascent Multi-Vector Foreign Policy. 14 Apr 2025.
[117] Jason Wahlang. South Caucasus Nations’ Foreign Policy Choices amidst the Russia-Ukraine War. April 21, 2025.

ამავდროულად, რუსეთის მიერ ორგანიზებულ ინტეგრაციულ პროექტებში დარჩება. სომხეთის მიერ დასავლეთისკენ სრული გადახრა ნაკლებად სავარაუდოა, თუ ერევანი პროტესტის ნიშნად ალტერნატიული ეკონომიკური და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფას ვერ მიიღებს მისგან.

სომხეთის მთავრობას ნათლად ესმის, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრობა სასარგებლოა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ერევანში კარგად ესმით ისიც, რომ სომხეთის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში წევრობა შეუთავსებელია ევროკავშირის წევრობასთან, რადგან ეს ორი ინსტიტუტი ურთიერთგამომრიცხავია. სომხეთის დასავლეთისკენ სწრაფვას პრობლემურად მიიჩნევს რუსეთი. ევროკავშირის გაფართოებას სამხრეთ კავკასიაში ასევე ღიად ეწინააღმდეგება სომხეთის ყველა მეზობელი (შესაძლოა, საქართველოს გარდა).

ერთ-ერთი ასეთი ძლიერი მოთამაშე ირანია. თეირანსა და ბაქოს შორის უნდობლობის გამო, ისლამური რესპუბლიკა დიდი ხნის განმავლობაში სომხეთს მოკავშირედ მიიჩნევდა. სომხეთის ორიენტაციის ცვლილების შემდეგ ირანმა შეცვალა პოზიცია და ამას პოენიურ პრობლემად მიიჩნევს. როდესაც ევროკავშირმა შეიარაღებული მისია გაგზავნა სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე, ირანი უკმაყოფილო იყო ამით და კრიტიკული განცხადებებიც კი გააკეთა.[118] ერევნის გადაწყვეტილება აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის ხელმოწერის შესახებ ასევე ეწინააღმდეგება ისლამური რესპუბლიკის ძირითად იმპერატივს, რომელიც ეხება ბუფერული ზონის შექმნას საზღვრების გასწვრივ, რათა შეამციროს აშშ-ის გავლენა.

თურქეთი, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის დასავლეთისკენ სწრაფვის მიმართ არც ისე ანტაგონისტურია, სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის გავლენას ყოველთვის სიფრთხილით აკვირდებოდა. მიუხედავად ევროატლანტიკურ სივრცეში ღრმად ინტეგრაციისა, თურქეთს საკუთარი ინტერესები აქვს, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა იმას, რასაც ევროკავშირი ან აშშ სამხრეთ კავკასიაში მიიჩნევენ საჭიროდ. თურქეთსა და სომხეთს საკუთარი მოლაპარაკებების გზა აქვთ საზღვრის

[118] “Iranian Ambassador expresses Tehran’s attitude towards EU mission in Armenia”, Arminfo, February 6, 2025, https://surl.li/hlehat.

პოტენციურ გახსნასა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებითაც კი. [119]

თურქეთის მსგავსად, აზერბაიჯანიც სიფრთხილით და სკეპტიკურად აკვირდება სომხეთის დასავლეთისაკენ მისწრაფებას. ბაქოს ურთიერთობები დასავლეთთან მნიშვნელოვნად გაუარესდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღი დაიკავა და სომხურმა მოსახლეობამ ის ტერიტორია დატოვა. მაგალითად, ევროპარლამენტმა დიდი ხანია დაგმო აზერბაიჯანში არსებული შიდაპოლიტიკური ვითარება და ამიტომ ამ უკანასკნელმა 2024 წლის დასაწყისში დატოვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა („PACE“) ბაქოს მიმართ მტრული განწყობის მოტივით.[120] გარდა ამისა, 2025 წლის თებერვლის დასაწყისში ბაქომ გადაწყვიტა ქვეყანაში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს („USAID“) ოფისის დახურვა. ამ ტენდენციის გათვალისწინებით, აზერბაიჯანის დამოკიდებულება სომხეთის დასავლეთთან კავშირების გაღრმავების მიმართ ნეგატიურია. ამას უკავშირდება ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანმა მოითხოვა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაყვანა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრიდან. ეს ბაქოს მიერ ერევანთან სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად დაასახელა.

საქართველო რჩება სომხეთის ერთადერთ მეზობელად, რომელიც დიდწილად ნეიტრალურია ერევნის საგარეო პოლიტიკური არჩევანის მიმართ. თუმცა, სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მისი სახმელეთო კავშირი ევროკავშირთან გადის საქართველოზე, რომელმაც კანდიდატის სტატუსი 2023 წლის დეკემბერში მიიღო. [121] ის, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ხდება, ერევნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ამგვარად, სომხეთის საგარეო პოლიტიკა უფრო მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკის გატარების მცდელობაა, რაც არ გულისხმობს რუსეთთან ურთიერთობის სრულ გაწყვეტას. სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსი

[119] Turkey, Armenia make progress in normalisation talks," Reuters, July 30, 2024.

[120]"Facing expulsion, Azerbaijan quits European parliamentary body," Eurasianet, January 25, 2024, https://surl.li/vtouon.

[121] „საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებას აღნიშნავს“, Euronews , 2024 წლის 16 დეკემბერი, https://surl.li/mdpdeo.

მოიაზრებს გაცილებით ფართო განვითარებას და რუსეთის ხელახლა პოზიციონირების მეტნაკლებად გამყარებას სამხრეთ კავკასიაში, რათა შეინარჩუნოს თავისი პოზიცია მაშინ, როცა სამხედრო ქმედებების თვალსაზრისით სხვაგანაა დაკავებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სომხეთის მიერ რუსეთთან დიდი ხნის ალიანსიდან გამოსვლა სავსეა გამოწვევებით, რაც ხსნის, თუ რატომ არ განხორციელებულა მოსკოვის ხელმძღვანელობით მოქმედი ინტეგრაციული სტრუქტურებისგან, როგორებიცაა „CSTO“ (კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია) და „EAEU“ (ევრაზიის ეკონომიკური კავშირი) ორგანიზაციები, სომხეთის გამოყოფა. სავარაუდოდ, ამ ორგანიზაციებიდან სრულმა გასვლამ და დასავლეთთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის მხრიდან საპასუხო ზომები, მათ შორის, ეკონომიკური სანქციები ან პოლიტიკური ჩარევა. გარდა ამისა, არც ევროკავშირს და არც აშშ-ს არ სურთ და არც შეუძლიათ სომხეთის უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტა. გეოგრაფიული მანძილი ძლიერ დაბრკოლებას წარმოადგენს, არამეგობრულ გეოპოლიტიკურ გარემოსთან ერთად. თუკი სომხეთი აშკარად პროდასავლურ ორიენტაციას აირჩევს, შესაძლოა ამან ხელი შეუწყოს აზერბაიჯანთან სწრაფი სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას და თურქეთთან კავშირების აღდგენას. ამ გზით ერევანი შეძლებს პოტენციური საფრთხეების მინიმუმამდე შემცირებას და უფრო მეტად ფოკუსირდება პოლიტიკური და, რაც მთავარია, ეკონომიკური კავშირების შემდგომ დივერსიფიკაციაზე, რაც მოხდება რუსეთზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევის შემთხვევაში.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის რეგიონი კვლავ რჩება სტრატეგიულად მნიშვნელოვან და გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონად. საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი მანევრირებენ რუსეთის, თურქეთის, ირანის, აშშ-ის, ევროკავშირისა და ჩინეთის გავლენებს შორის. საქართველო ინარჩუნებს პროდასავლურ კურსს და ეძებს ინტეგრაციის გზებს ევროკავშირსა და ნატოში. აზერბაიჯანი ცდილობს ბალანსის

შენარჩუნებას რუსეთსა და დასავლეთს შორის, ხოლო სომხეთი ბოლო პერიოდში მრავალვექტორულ პოლიტიკას ახორციელებს.

რეგიონში თურქეთი რუსეთის მთავარი კონკურენტია ენერგეტიკისა და სატრანზიტო დერეფნების კონტროლის მიმართულებით. დასავლეთი კი ცდილობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენის გაძლიერებას რუსეთის დომინანტური პოზიციის შეზღუდვით. ამის შედეგად, სამხრეთ კავკასია რჩება უსაფრთხოების გამოწვევების მქონე რეგიონად, სადაც როგორც შიდა, ისე გარე აქტორებს შორის მიმდინარეობს გეოპოლიტიკური დაპირისპირება საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია“, აშშ-ის საელჩო სომხეთში, 2025 წლის 17 იანვარი, https://surl.lu/kzktfx.
2. რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 2001.
3. „საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებას აღნიშნავს“, Euronews, 2024 წლის 16 დეკემბერი, https://surl.li/mdpdeo.
4. Emil Avdaliani, Armenia’s Nascent Multi-Vector Foreign Policy. 14 Apr 2025.
5. Emil Avdaliani, Armenia’s Nascent Multi-Vector Foreign Policy. 14 Apr 2025.
6. Emil Avdaliani, Armenia’s Nascent Multi-Vector Foreign Policy. 14 Apr 2025.
7. Frankel Julia, Israel’s defense chief travels to Azerbaijan, reaffirming shared opposition to Iran. July 13, 2023.
8. “Facing expulsion, Azerbaijan quits European parliamentary body,” Eurasianet, January 25, 2024, https://surl.li/vtouon.
9. Hill F., Kiri K., Moffatt A., Retracing the Caucasian Circle-Considerations and Constraints for U.S., EU, and Turkish Engagement in the South Caucasus // Policy Paper. 2015. №6, July. გვ. 5. https://surl.li/fvbmbi.
10. Hugo von Essen, Azerbaijan’s Uncertain Geopolitical Rise in a South Caucasus Maelstrom. SCEEUS Report No. 17, 2023. https://surl.li/ajtsgl.

11. Hugo von Essen, Azerbaijan's Uncertain Geopolitical Rise in a South Caucasus Maelstrom. SCEEUS Report No. 17, 2023. https://surl.li/swqwqv.
12. "Iranian Ambassador expresses Tehran's attitude towards EU mission in Armenia," Arminfo, February 6, 2025, https://surl.li/hlehat.
13. Mehmet F. S., Valeri Modebadze, Georgia's Pro-Western Path: Analysis of the Georgian Foreign Policy in the Post-Soviet Period. AIBU Journal of Social Sciences, 2014, Volume 14, Issue 1, გვ.340.
14. Mehmet F. S., Valeri Modebadze, Georgia's Pro-Western Path: Analysis of the Georgian Foreign Policy in the Post-Soviet Period. AIBU Journal of Social Sciences, 2014, Volume 14, Issue 1, გვ.344.
15. Punsmann G. B., Turkey's Interest and Strategies in the South Caucasus//South Caucasus: 20 Years of Independence. B., 2011. გვ. 287.
16. Punsmann G. B., Turkey's Interest and Strategies in the South Caucasus//South Caucasus: 20 Years of Independence. B., 2011. გვ. 287.
17. Sokov N., The South Caucasus Corridor after the Russian-Georgian War, available from World Wide PONARS Eurasia Policy Memo No. 49, 2009. https://surl.li/ogzylw.
18. Shusha Declaration on Allied Relations between the Republic of Azerbaijan and the Republic of Turkey16 June 2021, https://surl.li/nyzxjv.
19. Turkey's Erdogan praises ties with 'sister' nation Azerbaijan in visit to Baku. The New Arab Staff & Agencies13 June, 2023.
20. Turkey, Armenia make progress in normalisation talks," Reuters, July 30, 2024.
21. Valiyev A. Azerbaijan-Russia Relations after the Five-Day War: Friendship, Enmity, or Pragmatism?//TPQ. 2011. Vol. 10. № 3. გვ. 135.
22. Wahlang J., South Caucasus Nations' Foreign Policy Choices amidst the Russia-Ukraine War. April 21, 2025.
23. Концепция внешней политики Российской Федерации (утверждена Президентом Российской Федерации В. В. Путиным 30 ноября 2016 г.).

ზანგეზურის დერეფანის პროექტი სამხრეთ კავკასიაში: განხორციელების საჭიროება, პერსპექტივები და რეგიონული გავლენა

ლაშა შავაძე

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Lasha.shavadze@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/**0009-0000-8515-5631**

DOI: 10.52340/splogos.2026.01.08

აბსტრაქტი

სტატია იკვლევს სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო კავშირების განვითარების პოტენციურ როლს, განსაკუთრებით სამხრეთ სომხეთის ტერიტორიაზე გამავალი მარშრუტების კონტექსტში (ხშირად მოხსენიებული, როგორც „ზანგეზურის დერეფანი“). ნაშრომი აანალიზებს მის ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ და რეგიონული ინტეგრაციის შედეგებს ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნების ფართო კონტექსტში, ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტისა („Middle Corridor“) და ბაქო-თბილისი-ყარსი რკინიგზის ჩათვლით. კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, „OECD“, ევროკავშირი) ანგარიშებსა და რეცენზირებულ აკადემიურ ლიტერატურას. შედეგები მიუთითებს, რომ სატრანსპორტო კავშირების გაძლიერება ხელს შეუწყობს ვაჭრობის განვითარებასა და რეგიონულ ინტეგრაციას, თუმცა, მისი ეფექტები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პოლიტიკურ შეთანხმებებზე, სუვერენიტეტის საკითხებსა და გეოპოლიტიკურ გარემოზე.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, სატრანსპორტო კავშირები, შუა დერეფანი, რეგიონული ინტეგრაცია, გეოპოლიტიკა.

The Zangezur Corridor Project in the South Caucasus: Necessity of Implementation, Prospects, and Regional Impact

Lasha Shavadze

PHD Student of Political Science,

Caucasus International University

Lasha.shavadze@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/ **0009-0000-8515-5631**

Abstract

This article explores the potential role of developing transport connectivity in the South Caucasus, specifically within the context of routes passing through southern Armenia (frequently referred to as the **"Zangezur Corridor"**). The paper analyzes the economic, geopolitical, and regional integration implications within the broader framework of Eurasian transport corridors, including the **Middle Corridor** (Trans-Caspian International Transport Route) and the **Baku-Tbilisi-Kars** railway.

The research draws upon reports from international organizations (World Bank, OECD, European Union) and peer-reviewed academic literature. The findings indicate that while enhanced transport links could foster trade development and regional integration, their effectiveness is significantly dependent on political agreements, issues of sovereignty, and the prevailing geopolitical environment.

Keywords: South Caucasus, transport connectivity, Middle Corridor, regional integration, geopolitics.

შესავალი

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელიც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს. 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომისა და 2023 წლის მოვლენების შემდეგ, რეგიონში ჩამოყალიბდა ახალი გეოპოლიტიკური რეალობა. ამ ცვლილებებმა

კვლავ დღის წესრიგში დააყენა სატრანსპორტო კავშირების აღდგენის საკითხი, განსაკუთრებით იმ მარშრუტების, რომელიც აზერბაიჯანის მატერიკულ ნაწილს ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თურქეთთან აკავშირებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინიციატივა ხშირად პოლიტიკურ დისკურსშია წარმოდგენილი, როგორც კონკრეტული პროექტი, აკადემიური თვალსაზრისით, იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც პოტენციური სატრანსპორტო კავშირის მოდელი. მისი რეალიზება კი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის რეგიონულ პოლიტიკურ დინამიკასა და საერთაშორისო აქტორების ინტერესებზე. [122]

კვლევის მიზანია გაანალიზოს ახალი სატრანსპორტო კავშირების ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და რეგიონული გავლენები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს. კვლევაში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შეფასებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური და სატრანსპორტო მაჩვენებლები რეგიონულ ჭრილში.

თეორიული ანალიზის ნაწილში გამოყენებულია საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გავლენა სავაჭრო ნაკადებზე. აღნიშნული მოდელი გამოიყენება კონცეპტუალურ ჩარჩოდ, რათა განისაზღვროს ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების პოტენციური ეფექტი რეგიონულ ვაჭრობაზე.

ემპირიული ანალიზი ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის მსოფლიო ბანკის მონაცემებს, რის საფუძველზეც განხორციელდა ექსპორტის დინამიკის შეფასება 2020–2024 წლებში.

კვლევა ასევე მოიცავს დოკუმენტური ანალიზის მეთოდს, რომელშიც გაანალიზებულია საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, აკადემიური

[122] De Waal, Thomas. 2021. *The Nagorno-Karabakh Conflict in Its Fourth Decade*. Brussels: CEPS.

პუბლიკაციები და ნაშრომები, რაც უზრუნველყოფს კვლევის თეორიულ და ანალიტიკურ სიღრმეს.

წინამდებარე კვლევის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ იგი სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო კავშირების საკითხს განიხილავს პოსტ-2023 გეოპოლიტიკური რეალობის კონტექსტში, რაც არსებითად განსხვავდება დღემდე არსებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილისგან და ძირითადად 2020-2023 წლის პერიოდზეა კონცენტრირებული.

კვლევა აერთიანებს ეკონომიკურ (ვაჭრობისა და ინფრასტრუქტურის გავლენა), გეოპოლიტიკურ (რეგიონული და გლობალური აქტორების ინტერესები) და რეგიონული ინტეგრაციის ასპექტებს ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოში, რაც უზრუნველყოფს საკითხის კომპლექსურ შეფასებას.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელის კონცეპტუალური ინტერპრეტაცია სამხრეთ კავკასიის კონტექსტში, რაც იძლევა სატრანსპორტო კავშირების ეკონომიკური ეფექტების უფრო სისტემური გააზრების შესაძლებლობას.

კვლევის დამატებითი სიახლეა რეგიონული ექსპორტის დინამიკის ანალიზი 2020–2024 წლების პერიოდში, რომელიც აჩვენებს სატრანსპორტო დერეფნების მნიშვნელობის ზრდას გლობალური და რეგიონული ცვლილებების ფონზე.

სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რეგიონული და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში. საბჭოთა პერიოდში არსებული სატრანსპორტო ქსელები უზრუნველყოფდა აზერბაიჯანსა და ნახიჩევანს შორის პირდაპირ კავშირს სომხეთის ტერიტორიის გავლით. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და რეგიონული კონფლიქტების შედეგად ეს კავშირები დაიშალა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა რეგიონული ინტეგრაციის დონე. აღნიშნულმა ისტორიულმა ფუნქციამ აქტუალურობა კვლავ შეიძინა 2023 წლის შემდეგ, როდესაც რეგიონში უსაფრთხოების და კონტროლის პარამეტრები მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ყარაბაღის მეორე ომის შემდგომ, 2020 წელს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მოიცავდა რეგიონში სატრანსპორტო კავშირების აღდგენის პრინციპს, თუმცა, მისი ინტერპრეტაცია და განხორციელების მექანიზმები თავიდანვე სადავო იყო. 2023 წლის მოვლენების შედეგად, როდესაც აზერბაიჯანმა სრულად აღადგინა კონტროლი ყარაბაღის ტერიტორიაზე, რეგიონული პოლიტიკური კონტექსტი მნიშვნელოვნად შეიცვალა და შეიქმნა ახალი ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნულმა ვითარებამ, ერთი მხრივ, გაამარტივა გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური განხორციელების შესაძლებლობა, თუმცა, მეორე მხრივ, კიდევ უფრო გაამწვავა სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სტატუსის საკითხები, განსაკუთრებით სომხეთისთვის. შესაბამისად, სატრანსპორტო კავშირების აღდგენა დღევანდელ პირობებში უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური ან ინფრასტრუქტურული ინიციატივა, არამედ როგორც კომპლექსური პოლიტიკური პროცესი, რომელიც დამოკიდებულია მხარეებს შორის შეთანხმებაზე, რეგიონულ სტაბილურობასა და საერთაშორისო აქტორების ჩართულობაზე.

ამავე დროს, ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი („Middle Corridor“) სულ უფრო მეტად იძენს მნიშვნელობას, როგორც ალტერნატიული გზა ევროპასა და აზიას შორის. მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, ამ მარშრუტის განვითარებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს ტრანსპორტირების დრო და გაზარდოს ვაჭრობის ეფექტიანობა.[123]

სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესება, როგორც წესი, ასოცირდება ეკონომიკური აქტივობის ზრდასთან, ლოგისტიკური ხარჯების შემცირებასა და ვაჭრობის გაფართოებასთან. „OECD“-ის კვლევები აჩვენებს, რომ ინფრასტრუქტურული ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ინტეგრირებულია უფრო ფართო ეკონომიკურ პოლიტიკასთან.[124]

[123] World Bank. 2020. *Improving Freight Transit and Logistics Performance of the Trans-Caucasus Transit Corridor*. Washington, DC: World Bank.
[124] OECD. 2021. *Infrastructure Investment for a Resilient Recovery*. Paris: OECD Publishing.

თუმცა, მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ ინფრასტრუქტურული განვითარება არ წარმოადგენს ავტომატურ ეკონომიკურ შედეგს. ეკონომიკური ეფექტები დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ინსტიტუციურ გარემოზე, რეგულაციებზე, ბაზრებთან წვდომასა და პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

ეკონომიკური ეფექტების უფრო ზუსტი შეფასებისთვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გრავიტაციული მოდელი, რომელიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზში. მოდელი ეფუძნება იდეას, რომ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა პროპორციულია მათი ეკონომიკური ზომისა და უკუპროპორციულია მათ შორის არსებული დისტანციისა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ამცირებს ეფექტურ „დისტანციას“, რაც ზრდის ვაჭრობის ინტენსივობას. ამ კონტექსტში, სამხრეთ კავკასიაში ახალი სატრანსპორტო კავშირების განვითარებამ, შესაძლოა გაზარდოს რეგიონული ვაჭრობა, თუმცა შედეგი დამოკიდებული იქნება დამატებით ფაქტორებზე, როგორიცაა საბაჟო პოლიტიკა და პოლიტიკური სტაბილურობა.

აზერბაიჯანის შემთხვევაში, სატრანსპორტო კავშირების აღდგენამ შეიძლება შეამციროს ირანზე დამოკიდებულება ტრანზიტის თვალსაზრისით. სომხეთისთვის კი მსგავსი კავშირები შეიძლება გახდეს ეკონომიკური შესაძლებლობა, რომელიც გაზრდის ტრანზიტის შემოსავალს და გააუმჯობესებს რეგიონულ ბაზრებზე წვდომას. თუმცა, აღნიშნული სარგებელი დამოკიდებულია შიდა პოლიტიკურ კონსენსუსზე და საერთაშორისო შეთანხმებებზე.

რეგიონულ დონეზე, სატრანსპორტო კავშირების განვითარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მარშრუტების დივერსიფიკაციას, რაც ამცირებს ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე დამოკიდებულებას და ზრდის ეკონომიკურ მდგრადობას.

სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და ძალთა ბალანსის ცვლილებებთან. 2023 წლის მოვლენების შემდეგ ეს კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან რეგიონში ძალთა განაწილებამ ახალი ფორმა მიიღო. ეს კი, რაც პირდაპირ აისახა სატრანსპორტო მარშრუტების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. აღნიშნულ კონტექსტში, ინფრასტრუქტურული პროექტები აღარ განიხილება

მხოლოდ ეკონომიკურ ინსტრუმენტებად, ისინი გარდაიქმნა გეოპოლიტიკური გავლენის მექანიზმებად.

რეგიონში მოქმედი ძირითადი აქტორები, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ევროკავშირი, განსხვავებულ, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებს მისდევენ, რაც ზრდის კონკურენციას სატრანსპორტო დერეფნებზე კონტროლისთვის.

რუსეთი ტრადიციულად ცდილობს შეინარჩუნოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე კონტროლის გზით. მისთვის სატრანსპორტო დერეფნები წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკურ რესურსს, არამედ უსაფრთხოების ინსტრუმენტსაც, რომელიც საშუალებას აძლევს გააკონტროლოს რეგიონული პროცესები. შესაბამისად, ალტერნატიული მარშრუტების გაძლიერება, რომლებიც რუსეთის გვერდის ავლით ფუნქციონირებს, მის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

თურქეთი, პირიქით, აქტიურად ცდილობს საკუთარი პოზიციების გაძლიერებას, როგორც ევრაზიული სატრანზიტო ჰაბი. მისთვის სამხრეთ კავკასიის კავშირები წარმოადგენს შესაძლებლობას, გააფართოვოს ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა ცენტრალურ აზიამდე. ამ კონტექსტში, სატრანსპორტო პროექტები თურქეთის გრძელვადიანი რეგიონული სტრატეგიის ნაწილად უნდა განიხილებოდეს.

ირანისთვის მიმდინარე პროცესები შეიცავს როგორც რისკს, ისე შესაძლებლობებს. ერთი მხრივ, ახალი დერეფნების განვითარებამ შეიძლება შეამციროს მისი სატრანზიტო მნიშვნელობა,[125] ხოლო მეორე მხრივ, იგი ცდილობს ჩაერთოს რეგიონულ პროექტებში, რათა შეინარჩუნოს ეკონომიკური ფუნქცია და არ აღმოჩნდეს იზოლაციაში.

ევროკავშირი და ზოგადად დასავლეთი, სატრანსპორტო კავშირებს განიხილავს, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციისა და სტაბილურობის

[125] Koolaee, Elaheh, and Ahmad Rashidi. 2024. “The Zangezur Corridor and Threats to the Interests of Iran.” *Caucasus Analytical Digest*, no. 136: 3–6.

განმტკიცების ინსტრუმენტს.[126] „შუა დერეფნის“ განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი ქმნის ალტერნატიულ გზას ევროპასა და აზიას შორის, რაც ამცირებს ერთ კონკრეტულ გეოპოლიტიკურ ცენტრზე დამოკიდებულებას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკურ ქსელს, არამედ გეოპოლიტიკური კონკურენციის სივრცეს, სადაც თითოეული პროექტი ასახავს ძალთა ბალანსს და გავლენის გადანაწილებას რეგიონში.

საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამხრეთ კავკასიაში, როგორც სატრანზიტო ქვეყანა. 2023 წლის შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ კიდევ უფრო გაამწვავა კონკურენცია რეგიონულ სატრანზიტო ფუნქციებს შორის, რაც საქართველოსთვის შექმნის როგორც დამატებით შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და შავი ზღვის პორტები წარმოადგენს რეგიონული ლოგისტიკური ქსელის მნიშვნელოვან ელემენტებს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი. ახალი დერეფნების ამოქმედებისას პორტი შეიძლება იქცეს საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პასუხად გაზრდილ კონკურენციაზე. მისი მეშვეობით ქვეყანა შეძლებს მიიღოს დიდი მოცულობის („Panamax“ის ტიპის) გემები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ტვირთბრუნვის ხარჯებს და გაზრდის „შუა დერეფნის“ გამტარუნარიანობას.

ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარებამ შესაძლოა შექმნას კონკურენცია საქართველოსთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტვირთის ნაწილი ალტერნატიულ გზებზე გადაერთვება. თუმცა, ამ ეფექტის მასშტაბი დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის ხარისხზე, ფასებსა და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. შესაბამისად, ანაკლიის პორტის პროექტის რეალიზება არა მხოლოდ ლოგისტიკური, არამედ გეოპოლიტიკური ინსტრუმენტია,[127] რომელიც

[126] European Commission. 2022. *Global Gateway Strategy*. Brussels.

[127] Shavadze, Lasha, and Tamar Kiknadze. “Anaklia Port and Its Impact on Georgia’s Geopolitics.” *Politologos* 2 (2025).

უზრუნველყოფს საქართველოს მარშრუტის უალტერნატივობას დიდი გამტარუნარიანობისა და თანამედროვე სტანდარტების ხარჯზე.

ამავდროულად, რეგიონული კავშირების გაძლიერებამ შეიძლება გაზარდოს საერთო ვაჭრობის მოცულობა, რაც ირიბად სარგებელს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას. შესაბამისად, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იქნება ინფრასტრუქტურული ინვესტიციების გაგრძელება და ლოგისტიკური ეფექტიანობის გაუმჯობესება.

რეგიონული ტენდენციების უკეთ აღსაქმელად მნიშვნელოვანია რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია შეფასდეს ექსპორტის დინამიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

2020-2024 წლებში ექსპორტის მოცულობა სამივე ქვეყანაში გაიზარდა, რაც ნაწილობრივ უკავშირდება გლობალური ეკონომიკის აღდგენას და რეგიონული სატრანსპორტო დერეფნების აქტუალობის ზრდას. თუმცა, ზრდის ტემპები განსხვავებულია და დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაზე.

ქვემოთ მოცემულია ექსპორტის დინამიკის გრაფიკული მოდელი, რომელიც ასახავს ტენდენციას რეგიონში:

(გრაფიკი: ექსპორტის ზრდის ტენდენცია სამხრეთ კავკასიაში, 2020–2024წ.)



წყარო: World Bank 2024.

გრაფიკული ანალიზი აჩვენებს, რომ აზერბაიჯანში ზრდა შედარებით სტაბილურია ენერგორესურსებზე დამოკიდებულების გამო, საქართველოში ზრდა ზომიერია და დაკავშირებულია სატრანზიტო ფუნქციასთან, ხოლო სომხეთში ფიქსირდება შედარებით სწრაფი ზრდა დაბალი საბაზისო მაჩვენებლის ფონზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მონაცემები არ მიუთითებს პირდაპირ მიზეზობრივ კავშირზე კონკრეტულ სატრანსპორტო პროექტებთან, არამედ ასახავს ფართო ეკონომიკურ ტენდენციებს რეგიონში.

სატრანსპორტო კავშირების განვითარება, მიუხედავად მისი ეკონომიკური პოტენციალისა, დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან, რომლებიც შეიძლება გახდეს პროექტების შეფერხების ან არაეფექტური განხორციელების მიზეზი.

პირველ რიგში, პოლიტიკური გაურკვევლობა რჩება ერთ-ერთ მთავარ შეზღუდვად. რეგიონში არსებული კონფლიქტები და მხარეებს შორის უნდობლობა ართულებს გრძელვადიანი შეთანხმებების მიღწევას. სატრანსპორტო პროექტები

საჭიროებს სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს, ხოლო მისი არარსებობა ზრდის როგორც საინვესტიციო, ისე ოპერაციულ რისკს.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია სუვერენიტეტის საკითხი, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია სომხეთის შემთხვევაში. სატრანსპორტო დერეფნების ფუნქციონირების ფორმატზე უთანხმოება (ტრანზიტის კონტროლი, სამართლებრივი სტატუსი) წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ბარიერს, რაც აფერხებს პროექტების პრაქტიკულ განხორციელებას.

გეოპოლიტიკური დაპირისპირება ასევე ზრდის გაურკვევლობას. რეგიონში მოქმედი დიდი ძალების ინტერესთა კონფლიქტი ქმნის გარემოს, სადაც ინფრასტრუქტურული პროექტები შეიძლება გახდეს პოლიტიკური ზეწოლის ან გავლენის ინსტრუმენტი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტები დაკავშირებულია კონკურენტულ გლობალურ ინიციატივებთან (მაგალითად, „სარტყელი და გზა“ და დასავლური ინიციატივები).

ეკონომიკური თვალსაზრისით, მსგავსი პროექტები მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსს და ხასიათდება დიდი კაპიტალური დანახარჯებით. მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია ტვირთბრუნვის სტაბილურობასა და მოთხოვნის არსებობაზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია გლობალურ ეკონომიკურ ტენდენციებზე.[128]

დამატებით, უნდა აღინიშნოს ინფრასტრუქტურული ასიმეტრიის პრობლემა. რეგიონში არსებული ინფრასტრუქტურის განსხვავებული ხარისხი ამცირებს მთლიან ქსელის ეფექტიანობას. ერთ მონაკვეთში განვითარებული ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს მაქსიმალურ შედეგს, თუ სხვა მონაკვეთები სუსტია.

მნიშვნელოვანია ეკოლოგიური რისკის გათვალისწინებაც, რადგან მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები ხშირად დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს დამატებით რეგულაციებს და ზრდის ხარჯებს.

[128] Flyvbjerg, Bent, Nils Bruzelius, and Werner Rothengatter. *Megaprojects and Risk: An Anatomy of Ambition.* Cambridge: Cambridge University Press, 2003.

შედეგად, სატრანსპორტო კავშირის განვითარება უნდა შეფასდეს არა როგორც ავტომატური წარმატება, არამედ როგორც დიდი რისკის მქონე კომპლექსური პროცესი, რომელიც საჭიროებს კოორდინირებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ მიდგომებს.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო კავშირის განვითარება წარმოადგენს მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ და რეგიონულ ფაქტორებს. კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული კავშირი ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ვაჭრობის გაფართოებისთვის, ლოგისტიკური ეფექტიანობის გაზრდისა და რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებისთვის.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ინფრასტრუქტურული განვითარება ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს და ზრდის ბაზრებზე ხელმისაწვდომობას, თუმცა, მისი ეფექტი დამოკიდებულია ინსტიტუციურ გარემოზე, რეგულაციებსა და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. შესაბამისად, ეკონომიკური სარგებელი არ არის ავტომატური და საჭიროებს შესაბამის პოლიტიკურ მხარდაჭერას.

გეოპოლიტიკური კუთხით, სატრანსპორტო დერეფნები გადაიქცა ძალთა კონკურენციის სივრცედ, სადაც რეგიონული და გლობალური აქტორები ცდილობენ საკუთარი გავლენის გაძლიერებას. ეს ზრდის პროექტების სტრატეგიულ მნიშვნელობას, მაგრამ ამავე დროს ზრდის რისკსაც.

საქართველოსათვის, როგორც სატრანზიტო ქვეყნისთვის, მიმდინარე პროცესები ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ისე გამოწვევებს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, განსაკუთრებით ანაკლიის პორტის პროექტის წარმატებით განხორციელებაზე, რომელიც შეიძლება იქცეს სტრატეგიულ ინსტრუმენტად რეგიონულ კონკურენციაში.

ამავდროულად, კვლევა აჩვენებს, რომ სატრანსპორტო პროექტების წარმატება დამოკიდებულია რამდენიმე კრიტიკულ ფაქტორზე: რეგიონულ

პოლიტიკურ სტაბილურობაზე, საერთაშორისო შეთანხმებებზე, ეკონომიკურ მდგრადობასა და გარეაქტორების ინტერესთა ბალანსზე.

შედეგად, სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო კავშირის განვითარება უნდა განიხილებოდეს, როგორც პირობებზე დამოკიდებული სცენარი, სადაც წარმატება განისაზღვრება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის არსებობით, არამედ მისი ეფექტური მართვითა და გეოპოლიტიკური გარემოს სწორად დაბალანსებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. De Waal, Thomas. 2021. *The Nagorno-Karabakh Conflict in Its Fourth Decade*. Brussels: CEPS.
2. European Commission. 2022. *Global Gateway Strategy*. Brussels.
3. Flyvbjerg, Bent, Nils Bruzelius, and Werner Rothengatter. *Megaprojects and Risk: An Anatomy of Ambition.* Cambridge: Cambridge University Press, 2003.
4. Koolaee, Elaheh, and Ahmad Rashidi. 2024. "The Zangezur Corridor and Threats to the Interests of Iran." *Caucasus Analytical Digest*, no. 136: 3–6.
5. OECD. 2021. *Infrastructure Investment for a Resilient Recovery*. Paris: OECD Publishing.
6. Shavadze, Lasha, and Tamar Kiknadze. "Anaklia Port and Its Impact on Georgia's Geopolitics." *Politologos* 2 (2025). https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.23. (უკანასკნელად გადამოწმდა 02.04.2026წ.)
7. World Bank. 2020. *Improving Freight Transit and Logistics Performance of the Trans-Caucasus Transit Corridor*. Washington, DC: World Bank.

პატარა სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინების შემუშავების დილემა (საქართველოს მაგალითზე)

თეიმურაზ შეშაბერიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

temuraz_sheshaberidze@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-4562-8467

DOI: 10.52340/splogos.2026.01.09

აბსტრაქტი

პატარა სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინის შემუშავება ნამდვილად წარმოადგენს დილემას, რომელიც განპირობებულია შეზღუდული რესურსებით, გეოპოლიტიკური მოწყვლადობითა და საერთაშორისო სისტემის ანარქიული ბუნებით. თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში, სადაც დომინირებს ძალთა ასიმეტრია, არაერთი ჰიბრიდული საფრთხე და რეგიონული კონფლიქტი, მცირე სახელმწიფოები იძულებულნი არიან შეიმუშაონ მოქნილი და მრავალფენოვანი თავდაცვითი სტრატეგიები. ნაშრომი აანალიზებს საფრთხეს, შეკავების მექანიზმებს, ასიმეტრიული შესაძლებლობების განვითარებასა და ალიანსებზე დამოკიდებულების სხვადასხვა რისკს და შესაძლებლობას. თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია ნეორეალიზმისა და რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის მიდგომა. კვლევა ეყრდნობა შედარებით ანალიზსა და შემთხვევათა კვლევას. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს მცირე სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინის ფორმირების ინტეგრირებული მოდელის შეთავაზებაში, რომელიც აერთიანებს ეროვნულ რესურსებს, ტექნოლოგიურ ინოვაციასა და საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებს.

საკვანძო სიტყვები: პატარა სახელმწიფოები, სამხედრო დოქტრინა, ასიმეტრიული უსაფრთხოება, შეკავება, ალიანსები.

The Dilemma of Developing Military Doctrines for Small States (on the Example of Georgia)

Teimuraz Sheshaberidze

PhD Student of Political Science,

Faculty of Social and Human Sciences,

Caucasus International University

temuraz_sheshaberidze@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-4562-8467

Abstract

The development of military doctrine in small states represents a strategic dilemma shaped by limited resources, geopolitical vulnerability, and the anarchic nature of the international system. In today's security environment characterized by power asymmetry, hybrid threats, and regional conflicts, small states must design flexible and multi-layered defense strategies. This paper analyzes threat perception, deterrence mechanisms, the development of asymmetric capabilities, and the risks associated with alliance dependency. The theoretical framework draws upon neorealism and regional security complex theory. The research methodology includes comparative analysis and case study approaches. The scientific novelty of the study lies in proposing an integrated model for military doctrine formation in small states, combining domestic resource optimization, technological innovation, and external security guarantees to ensure sustainable national defense and strategic resilience.

Keywords: Small States, Military Doctrine, Asymmetric Security, Deterrence, Alliances

კვლევის მიზანი

პატარა სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინის ფორმირების თავისებურებებისა და დილემების იდენტიფიცირება.

თეორიული ჩარჩო

- რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში (ძალაუფლების გადანაწილება და ასიმეტრიული უპირატესობები);
- უსაფრთხოების სექტორული მიდგომა (პოლიტიკური, სამხედრო და ტექნოლოგიური განზომილებები);
- ჰიბრიდული ომის თეორია, სადაც კიბერშეტევები განიხილება როგორც არატრადიციული საბრძოლო საშუალება.

სამეცნიერო სიახლე

ნაშრომში წარმოდგენილია მცირე სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინის ფორმირების ინტეგრირებული მოდელი, რომელიც აერთიანებს:

1. შიდა რესურსების მაქსიმიზაციას;
2. ტექნოლოგიურ უპირატესობას;
3. საერთაშორისო პარტნიორობების სტრატეგიულ გამოყენებას;
4. ჰიბრიდულ საფრთხეებზე რეაგირების მექანიზმებს.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ძალთა ბალანსი კვლავ განსაზღვრავს სახელმწიფოების ქცევას, თუმცა, გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და ჰიბრიდული საფრთხეების პირობებში პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ესტონეთი, ისრაელი და შვეიცარია, წარმოადგენენ თვალსაჩინო მოდელებს, თუ როგორ შეიძლება მცირე რესურსებით ეფექტიანი სამხედრო დოქტრინის ფორმირება.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე უსაფრთხოების გარემო ხასიათდება არაპროგნოზირებადობით, რეგიონული კონფლიქტებითა და დიდი ძალების კონკურენციით. პატარა სახელმწიფოებისთვის კრიტიკულია სწორი სტრატეგიული არჩევანი – ნეიტრალიტეტი, ალიანსზე დაყრდნობა თუ ასიმეტრიული თავდაცვა.

პატარა სახელმწიფოების თავდაცვის ძალები ხშირად რთული არჩევანის წინაშე დგებიან მაშინ, როდესაც საქმე ეხება სამხედრო დოქტრინების ფორმირებას. ხშირად დილემა გამოწვეულია პოლიტიკური არასტაბილურობით, მცირე რესურსებით და დიდ სახელმწიფოებზე დამოკიდებულებით, ასევე პატარა სახელმწიფოებს კიდევ უფრო ურთულებს საქმეს გეოსტრატეგიული მდებარეობა, როდესაც ისინი დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურ ინტერესების გზაჯვარედინზე იკვეთებიან. ამ კონტექსტში დილემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეიძლება მცირე რესურსებით შექმნან ეფექტური თავდაცვითი სტრატეგია, რომელ სამხედრო-პოლიტიკურ თეორიას შეიძლება დაეყრდნო, არის თუ არა რაიმე სახის რეალური გარანტიები, ან მისაღებია თუ არა სხვა ქვეყნის პრაქტიკული მოდელის კოპირება. ყველაფერ ამას უაღრესად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება აქვს: სწორად ამოცნობილი ტენდენცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის აგებისას, ერთგვარ სააზროვნო ყალიბს ქმნის, რომელიც ქვეყნის თავდაცვის ძალების მშენებლობის ქვაკუთხედია.

სამხედრო დოქტრინა წარმოადგენს სახელმწიფოს თავდაცვის სტრატეგიის საფუძველს – ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებას. სამხედრო დოქტრინის მიზანი არის ეროვნული ინტერესების დაცვა, სტაბილურობის შენარჩუნება და თავდაცვის ძალების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა. თუმცა, პატარა სახელმწიფოებისთვის დოქტრინის შემუშავება არ არის მხოლოდ ტექნიკური ან სამხედრო საკითხი; ეს არის პოლიტიკურად მგრძნობიარე, გეოპოლიტიკურად დატვირთული და ეკონომიკურად შეზღუდული პროცესი, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას.

პატარა სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინის ფორმირებაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი. პირველი და უმთავრესი – **რესურსების შეზღუდულობა**. მცირე სახელმწიფოებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ ფართომასშტაბიანი თავდაცვითი ბიუჯეტი. შესაბამისად, ეს ქვეყნები იძულებულნი არიან, აირჩიონ პრიორიტეტები და მოახდინონ ძალების მაქსიმალურად ოპტიმალური განაწილება. მეორე ფაქტორია **გარე საფრთხეები და საერთაშორისო კონტექსტი** – ხშირ შემთხვევაში, მცირე სახელმწიფოები იმყოფებიან დიდ და გავლენიან მეზობლებთან სიახლოვეს, რაც მათ აიძულებს საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო სტრატეგიის სერიოზულ გადახედვას.

ასევე, გასათვალისწინებელია დილემა **ასიმეტრიული და კონვენციური სტრატეგიების არჩევისას**. პატარა სახელმწიფოები, რომლებიც ვერ ახერხებენ მეტოქეობას უმაღლესი სამხედრო პოტენციალის მქონე მოწინააღმდეგესთან, ხშირად მიმართავენ ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, როგორიცაა ტეროტორიული თავდაცვა, პარტიზანული ტაქტიკა, სპეციალური ძალების განვითარება ან ჰიბრიდული სტრატეგია. ასეთი მიდგომები საშუალებას აძლევს მათ, რეალისტურად განიხილონ ყველა არსებული საფრთხე და მინიმალური რესურსით მიაღწიონ მოწინააღმდეგის ნების შეზღუდვა გააგრძელოს ზეწოლა.

საბოლოო ჯამში, საკითხის სიღრმისეული ანალიზი ხელს შეუწყობს იმ მნიშვნელოვანი პარამეტრების გამოყოფას, რომლებიც პატარა სახელმწიფოებს ეხმარება ეფექტური, მოქნილი და რეალისტური სამხედრო დოქტრინის ჩამოყალიბებაში, ისე რომ მათ შეძლონ საკუთარი სუვერენიტეტისა და სტაბილურობის დაცვა მულტიფაქტორულ საერთაშორისო გარემოში.

საქართველოს გეოსტრატეგიული გარემო და მისგან მომდინარე ნებისმიერი სამხედრო საფრთხე და გამოწვევა (სამხედრო საფრთხის მატრიცა საქართველოს მაგალითზე)

საქართველოს გეოსტრატეგიული გარემო უნდა ვეძებოთ ჩვენს რეგიონულ სივრცეში, რომელიც წარმოადგენს სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ რეგიონს. გარემო, სადაც გლობალური თუ რეგიონალური დონის

გეოპოლიტიკური აქტორები ინტერესებს ხედავენ. ქვეყნის გეოსტრატეგიული გარემო ამით არ მთავრდება, ამას შეიძლება დავუმატოთ ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური აზია, ჩრდილოეთ კავკასია (რუსეთი) და აღმოსავლეთ ევროპა. ქვემოთ შევეხებით ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეს რომელზე რეაგირებისთვისაც საჭიროა ადაპტირებული სამხედრო დოქტინების შექმნა და ქვეყნის თავდაცვის სტრატეგიის ჩამოყალიბება. ეს შეთავსებული იქნება იმ თანამედროვე სამხედრო ტენდენციებთან, რომელსაც გვიჩვენებს მიმდინარე მოვლენები, როგორც უკრაინაში ასევე ახლო აღმოსავლეთსა და ჩვენს რეგიონულ სივრცეში. საფრთხის იდენტიფიცირებისას ყველა თანხმდება იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ეგზისტენციალური საფრთხე მომდინარეობს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისაგან. ამ ყველაფერს კი მკაფიოს ხდის 2022 წლის თებერვალში სრულიად საერთაშორისო საფუძველს მოკლებული სამხედრო აგრესია უკრაინაში. რომელიც რუსეთისთვის დღემდე სპეციალურ სამხედრო ოპერაციად რჩება. ეს კი სხვა არაფერია თუ არა სუვერენული სახელმწიფოების საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების ძალისმიერი შეცვლის მცდელობა, შეფარული სახელწოდებით „უკრაინის დენაციფიკაცია.“[129] ზემოხსენებული მოვლენა სიგნალს აძლევს სხვა, როგორც მცირე, ასევე ძლიერ სახელმწიფოებს, რომ ემზადონ უარესი სცენარისთვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს **2021-2025 წლების თავდაცვის სტრატეგიის მიმოხილვის დოკუმენტში**[130] სწორედ რუსეთის ფედერაციისგან მომდინარე არაერთი საფრთხე იკავებს პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უკრაინის ომის ფონზე რუსეთს გარკვეული ტიპის პოზიციების დათმობებზე წასვლაც მოუწია. ეს შეეხებოდა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს, სადაც აშკარად პოზიციების დათმობა იყო რუსეთის მხრიდან, აზერბაიჯანის გაბედულ ნაბიჯებზე, რომელიც უფრო ნაკლებად ითვალისწინებს ძლიერი მეზობლის ინტერესებს. აქ ისმის კითხვა

[129] European Parliament. (2022). *Resolution of 1 March 2022 on the Russian aggression against Ukraine (2022/2564(RSP)).* Brussels: European Parliament.

[130] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, „Ministry of Defence Vision 2030,“ 2021, გვ. 4–5, https://ccdcoe.org/uploads/2018/10/Gerogia_The-Ministry-of-Defence-Vision-2030_2021_English.pdf.

თუ მოვლენების როგორი განვითარება შეიძლება მოხდეს უკრაინის ომის დასრულების შემდეგ….??? განვიხილოთ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებიდან გამომდინარე რუსეთის სავარაუდო ნაბიჯები კავკასიაში. არსებობს რამდენიმე შესაძლო ვარიანტი რომელიც შეიძლება ვივარაუდოთ:

1. **„დაზარალებული რუსეთი“** – ეს არის პოტენციური საფრთხე საქართველოსათვის იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი წარუმატებელი შედეგებით გამოვა ამ ომიდან. მას მეტად სავარაუდოა, რომ ჰქონდეს მცდელობა გავლენების სივრცის გადანაცვლებისა. ეს შეიძლება იყოს შიდა დაძაბულობის საპირისპიროდ ან საერთაშორისო აუდიტორიას აჩვენოს რომ ჯერ კიდევ შესწევს ძალა იმისა რომ იყოს მსოფლიო გეოპოლიტიკურ სოციუმში. რაც შეეხება სამიზნეს ეს, ალბათ, რთულ ამოცანას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან ყველაზე უფრო მოწყვლადი ამ სცენარისთვის არის საქართველო და შემდეგ სომხეთი, რომელიც ალბათ „დასასჯელი ჰყავს“ დასავლური კურსის არჩევისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში რუსეთს დასჭირდება „ალტერნატიული გამარჯვება“.

2. **„წარმატებული რუსეთი“** – რამდენადაც სახიფათოა დაზარალებული რუსეთი იმდენადვე შესაძლებელია სახიფათო იყოს წარმატებული რუსეთი. პირველი, რაც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს საქართველოსთვის: თუ რუსეთი მოიგებს ომს უკრაინაში და მსოფლიო ნაწილობრივ მაინც მიიღებს ამ შედეგს (მაგ., ყირიმის ან აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიების რუსეთზე მიტაცებას), ამას შესაძლოა მოყვეს:

- **ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის ლეგიტიმაცია;**
- **ცხინვალისა და აფხაზეთის ფორმალური ანექსიის მცდელობა, როგორც „წარმატებული პრეცედენტის“ გაგრძელება;**
- **საერთაშორისო რეაგირების შესუსტება, რადგან პრეცედენტი უკვე ექნებათ აღიარებული.**

ასეთი სცენარის განვითარების შემთხვევაში საქართველო კარგავს საერთაშორისო დღის წესრიგში ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივას. მოსკოვი შეეცდება გამოიყენოს გამარჯვების შედეგად მიღებული გავლენა იმისთვის, რომ შეაფერხოს საქართველოს „NATO“-სა და „EU“-ში გაწევრიანება, სხვადასხვა გზით:

- **შიდა პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დასავლურ ინტეგრაციას;**
- **პირდაპირი ზეწოლით – ეკონომიკური, ენერგეტიკული ან პროპაგანდული ბერკეტებით.** ეს კი ნიშნავს სუვერენული საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვნად შეზღუდვას.

ეს სცენარი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ერთიანობასა და მშვიდობიან განვითარებას. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, საქაართველოს დღევანდელი გეოსტრატეგიული გარემო საკმაოდ კომპლექსურია, სადაც საფრთხის რეალისტური ანალიზი იძლევა საშუალებას გრძელვადიან პერსპექტივაში მომზადებული შეხვდეს ქვეყანა ყველა საფრთხესა და გამოწვევას. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საქართველოს ყველაზე მტკივნეულ და არასასურველ საფრთხედ კვლავ რჩება სამხედრო აგრესია, რომელიც ქვეყნის უკუსვლის მთავარი მიზეზი შეიძლება გახდეს. სწორედ ამიტომ, რადგანაც ჩვენი თემის მთავარი მიზანია თანამედროვე ტენდენციებზე აგებული ქვეყნის საფრთხესთან ადეკვატური სამხედრო დოქტრინების ჩამოყალიბება; მაქსიმალური ყურადღებას დათმობა სამხედრო ესკალაციის საფრთხეების შესწავლასა და მათზე რეაგირებისათვის შესაფერისი დოქტინების შემუშავება.

ახალი თაობის ტექნოლოგიების გავლენა გლობალურ სამხედრო უსაფრთხოებაზე

21-ე საუკუნის გლობალური სამხედრო უსაფრთხოება მნიშვნელოვნად გადაკეთდა ტექნოლოგიური რევოლუციის ფონზე. სამხედრო ძალების მზადყოფნისა და ეფექტურობის განსაზღვრის ტრადიციულ პარამეტრებს – რიცხოვნობას, შეიარაღებასა და ბიუჯეტს – თანდათან ანაცვლებს ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ახალი თაობის ტექნოლოგიები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), კიბერუსაფრთხოება, უპილოტო სისტემები (დრონები), კვანტური კომუნიკაცია და კოსმოსური სენსორიკა, ცვლიან არა მხოლოდ ბრძოლის ველის სახეს, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების წესებსაც.

ტექნოლოგიური პროგრესი ცხადად აისახა როგორც სახელმწიფოებს შორის ტრადიციულ სამხედრო ძალთა ბალანსზე, ისე არარეგულარული სუბიექტების

გაძლიერებაზე, რომლებიც უკვე ახერხებენ ზემოქმედების მოხდენას დიდი არმიების წინააღმდეგ. ეს გარდაქმნები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლო კონფლიქტებში – მაგალითად, უკრაინაში მიმდინარე ომში, სადაც უპილოტო სისტემები, კიბერშეტევები და ღრმა დაზვერვა იქცა სამხედრო წარმატების კრიტიკულ ფაქტორებად.

ამომავალი ტექნოლოგიები შესაძლოა დაიყოს ორ ძირითად გამოყენების სფეროდ:

პირველი – ეს შეიძლება იყოს ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური საშუალებები, რომელთა დანერგვა და გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სტრატეგიული დონის სამხედრო შესაძლებლობებზე, როგორიცაა ჰიპერსონიკური რაკეტები, ბირთვული ენერგიის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენება, სამხედრო რობოტიზაცია, ავტომატიზაცია და სხვა.

მეორე – შესაძლოა იყოს ოპერატიული და ტაქტიკური დონის სამხედრო მიზნების განსახორციელებლად როგორიცაა, ხელოვნური ინტელექტი, უპილოტო საფრენი აპარატები, კიბერუსაფრთხოების თავდაცვითი სისტემა და კიბერშეტევების საწინააღმდეგო პლატფორმები, მობილური ტაქტიკური კომუნიკაცია და „mesh“ ქსელები, სიგნალის ჩამხშობი („Jamming“) ტექნოლოგიები და სხვა.

რეალისტური შეხედულებიდან გამომდინარე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი სამხედრო დოქტრინა, რომლის რეალურად განხორციელება შესაძლებელია. ძვირადღირებული სტრატეგიული შეიარაღების საპირისპიროდ პატარა ქვეყნები ქმნიან ახალ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ასიმეტრიული ბრძოლის შესაძლო დოქტრინებს, ამისი მაგალითები უკვე გამოვლინდა უკრაინის მაგალითზე და მეტიც სამხედრო სფეროში ახალი ტენდენციებიც გააჩინა. შეასუსტა ბრძოლის კლასიკური მოდელი და ბრძოლის ველი დაემსგავსა ვირტუალურ სივრცეს, სადაც ტექნოლოგიამ სხვადასხვა საფეხურზე ჩაანაცვლა ადამიანი, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს „ტექნოლოგია როგორც ამარტივებს ბრძოლის ველს ისევე კომპლექსურს ხდის მას.“ დრონების გამოყენება საომარ მოქმედებებში 21 საუკუნის მნიშვნელოვან ტექნოლოგიად უნდა ჩაითვალოს, რამაც გამოიწვია დოქტრინალური ცვლილებები.

აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის ახალი დოქტრინალური ცვლილება („20-40-40“ სტრატეგია),[131] რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო სტრატეგიის ცვლილებას, ცვლილებები გულისხმობს კონვენციური სამხედრო საშუალებების ნაცვლად, დრონებისა და ავტონომიური სისტემების გამოყენებას.

„20-40-40“ სტრატეგია გათვლილია საკუთარ ჯარისკაცთა მსხვერპლის შემცირებასა და ფოკუსირებულია ავტონომიური სისტემების გამოყენებით მოწინააღმდეგეზე დარტყმების განხორციელებაზე. ჯარისკაცთა მსხვერპლის შემცირების პარალელურად, ამ სტრატეგიისას, მძიმე პლატფორმების (როგორიცაა ახალი „ჩელენჯერ 3“ ტანკები) 20% მობილიზებული იქნება უსაფრთხო მანძილზე მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე ძალის წინააღმდეგ გაშვებული იქნება ერთჯერადი დრონებისა და საბრძოლო მასალის 40%.

ამავდროულად, დარჩენილი 40% მოიცავს მრავალჯერადი გამოყენების სისტემების, მაგალითად, სადაზვერვო და სათვალთვალო დრონების გამოყენებას, რაც გააუმჯობესებს ბრძოლის ველზე არსებული ვითარების აღქმასა და გააადვილებს დიდი სიზუსტის საცეცხლე ზემოქმედებას მოწინააღმდეგეზე.

ეს სტრატეგიული ცვლილება მნიშვნელოვნად იმოქმედებს დიდი ბრიტანეთის არმიის რესურსების განაწილებაზე, წვრთნის პარადიგმებსა და ინდუსტრიულ ბაზაზე, რაც ავტონომიური ტექნოლოგიების კვლევა-განვითარებაზე კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნებს.

რამდენიმე ათეული წლის წინ თუ რობოტიზაცია ჯერ მხოლოდ იუმორის და მრავალწლიანი პერსპექტივის სურათს ქმნიდა დღეს იგი უკვე ფართოდ გამოიყენება მოწინავე სახელმწიფოების, როგორც სამხედრო ასევე საამოქალაქო სფეროში. დღეს თუ ვსაუბრობთ უპილოტო საფრენ აპარატებზე აქვე უნდა ვახსენოთ უპილოტო სახმელეთო აპარატების, ხელოვნური ინტელექტის და სხვა კიდევ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომელიც სულაც აღარაა სამეცნიერო ფანტასტიკა და თუ დღეს არაა ფართოდ გამოყენებული მსოფლიო მასშტაბით, იგი სულ რაღაც ათეული წლის პერსპექტივას წარმოადგენს მოწინავე ტექნოლოგიების მქონე სახელმწიფოებისთვის. სულ რამდენიმე წლის წინ გერმანიამ და

[131] Brooke-Holland, Louisa - Strategic Defence Review 2025: The British Army, pg8, 2025. https://shorturl.at/Yu1kN.

საფრანგეთმა განაცხადეს, ახალი უპილოტო საბრძოლო თვითმფრინავის შექმნის გეგმის შესახებ, რომელსაც ეწოდება „ევროდრონი“, რომელიც 2040 წელს უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში[132].

ცალკე განხილვის თემას წარმოადგენს უახლეს თანამედროვე ტექნოლოგიებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის საკითხი. განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ბრძოლის ველზე. 2017 წელს ამერიკის მთავრობამ გაუშვა ახალი პროექტი „Project Maven“-ის სახელწოდებით, რომელიც ეხებოდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას სამხედრო სფეროში. „Project Maven“, ასევე ცნობილი როგორც „Algorithmic Warfare Cross-Functional Team“,[133] შეიქმნა 2017 წელს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ. მიზანი იყო ხელოვნური ინტელექტის და ღრმა სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება დაზვერვისა და სადაზვერვო მონაცემების ანალიზისთვის, რათა გაუმჯობესდეს სამხედრო ოპერაციების ეფექტურობა და სისწრაფე. პროექტი იყენებს ღრმა სწავლების ალგორითმებს, რათა ავტომატურად გააანალიზოს დიდი მოცულობის ვიდეომასალა, რომელიც მიიღება დრონების, სატელიტებისა და სხვა სადაზვერვო საშუალებებისაგან. ეს საშუალებას აძლევს სამხედროებს სწრაფად ამოიცნონ სამიზნეები და მიიღონ გადაწყვეტილებები რეალურ დროში.

რაც შეეხება ხელოვნური ინტლექტის პრაქტიკულად გამოყენებას ამის მაგალითები უკვე გვაქვს ისრაელის დაზვერვის მხრიდან ღაზის სექტორში მიმდინარე მოვლენების დროს. „Lavender“ და „The Gospel“[134]-ის სახელწოდებით მქონე სისტემები, რომლებიც იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს ინფორმაციების გასაანალიზებლად, საშუალებას აძლევენ სამხედროებს სწრაფად მოახდინონ რეაგირება საფრთხეზე და გაანადგურონ მოწინააღმდეგე რეალურ დროში. უფრო ზუსტად რომ განვიხილოთ „Lavender“ არის „AI“ სისტემა, რომელიც შექმნილია ისრაელის თავდაცვის ძალების ელიტარული სადაზვერვო დანაყოფის, ერთეული

[132] კახაბერ ჭაფოძე – თანამედროვე ომის „მთავარი იარაღი“, XXI საუკუნის გამოწვევები, გვ.9, თბილისი, 2021.

[133] Department of Defense, “Memo: Establishment of an Algorithmic Warfare Cross-Functional Team (Project Maven),” April 26, 2017, National Security Archive, https://nsarchive.gwu.edu/document/18583-national-security-archive-department-defense.

[134] Michael N. Schmitt, “Israel – Hamas 2024 Symposium – The Gospel, Lavender, and the Law of Armed Conflict,” Lieber Institute, West Point, June 28, 2024, https://lieber.westpoint.edu/gospel-lavender-law-armed-conflict/.

8200-ის მიერ. ეს სისტემა აანალიზებს მასიურ მონაცემებს, მათ შორის სატელეფონო კონტაქტებს, სოციალური მედიის აქტივობას და სხვა ინფორმაციის წყაროებს, რათა იდენტიფიცირება მოახდინოს პოტენციური მოწინააღმდეგის წევრების. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია „Lavender“-ის სისტემის სიზუსტე 90%-ს აღწევს.

„როგორ აღმოჩნდა, ასეთი მანქანა მართლაც არსებობს. ისრაელის არმიამ შეიმუშავა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამა, სახელწოდებით „Lavender“. ექვსი ისრაელი დაზვერვის ოფიცრის თქმით, რომლებიც მონაწილეობდნენ მიმდინარე ომის პერიოდში ღაზას სექტორში და უშუალოდ იყვნენ ჩართული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში სამიზნეების დასადგენად, ამტკიცებენ რომ „Lavender“-მა ცენტრალური როლი ითამაშა ოპერაციაში, განსაკუთრებით, ომის საწყის ეტაპებზე. ფაქტობრივად, ამავე წყაროების მიხედვით, სისტემის გავლენა სამხედრო ოპერაციებზე იმდენად დიდი იყო, რომ მათ „AI“-ს მიერ მიცემულ შედეგებს ექცეოდნენ ისე, თითქოს ეს ყოფილიყო ადამიანური გადაწყვეტილება.[135]

დასკვინისთვის შეიძლება ითქვას, რომ ახალი თაობის ტექნოლოგიები გლობალურ სამხედრო უსაფრთხოებას არა მხოლოდ ამდიდრებს, არამედ გამოწვევების წინაშეც აყენებს. ტრადიციული ომის წესები იცვლება, ხოლო სახელმწიფოთა შორის ძალთა განაწილება სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ტექნოლოგიურ პოტენციალზე და არა მხოლოდ რაოდენობრივ ძალაზე. ამ რეალობაში, მცირე და საშუალო სახელმწიფოებისთვის ტექნოლოგიური ადაპტაცია გარდაუვალი სტრატეგიული ამოცანაა.

ახალი თაობის ტექნოლოგიებმა არსებითად შეცვალა სამხედრო კონფლიქტების ხასიათი და სახელმწიფოების უსაფრთხოების გეგმების ფორმირება. გლობალურ დონეზე, ტექნოლოგიური პროგრესი – როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, უპილოტო სისტემები, კიბერუნარიანობა, ზუსტი სამიზნეების ტექნოლოგიები და დიდი მონაცემების ანალიტიკა – უკვე გამოიყენება

[135] Michael N. Schmitt, “Israel – Hamas 2024 Symposium – The Gospel, Lavender, and the Law of Armed Conflict,” Lieber Institute, West Point, June 28, 2024, https://lieber.westpoint.edu/gospel-lavender-law-armed-conflict/.

როგორც შეტევითი, ისე შეკავების ინსტრუმენტად. თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების პირობებში, ტექნოლოგია არა მხოლოდ იარაღია, არამედ – **გადარჩენის სტრატეგია.**

დასკვნა

პატარა სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინის ჩამოყალიბება წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ პროცესს, რომელიც მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებით არ განისაზღვრება. მცირე ქვეყნები დგანან რთული დილემის წინაშე: როგორ უზრუნველყონ თავიანთი ეროვნული უსაფრთხოება მსოფლიოში, სადაც ძალთა ბალანსი აშკარად დიდ სახელმწიფოების სასარგებლოდ არის გადახრილი. რესურსების, ადამიანური კაპიტალისა და ტექნოლოგიური პოტენციალის სიმწირე მათ აიძულებს იმოქმედონ მაქსიმალურად რაციონალურად, ფრთხილად და გარე მხარდაჭერაზე ორიენტირებულად. ამ დილემის ფარგლებში პატარა სახელმწიფოები ირჩევენ ან შეკავების სტრატეგიას („deterrence“), ან თავდაცვით-დიპლომატიური გზით უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ხშირად ისინი ეყრდნობიან საერთაშორისო ალიანსებს, განსაკუთრებით ნატოს ტიპის სამხედრო ბლოკებს, რადგან კოლექტიური თავდაცვის პრინციპი მათ გარკვეული დონის სტაბილურობას ანიჭებს. თუმცა, ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ამგვარ ალიანსებში არ შედიან (მაგალითად, საქართველო), სამხედრო დოქტრინის შემუშავება უფრო რთულ და რისკიან კონტექსტში მიმდინარეობს.

დასასრულად, შეიძლება ითქვას, რომ პატარა სახელმწიფოებისათვის სამხედრო დოქტრინა არ არის მხოლოდ სამხედრო საკითხი – ის მოიცავს პოლიტიკურ, დიპლომატიურ და საზოგადოებრივ კომპონენტებს. დოქტრინის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ არსებულ საფრთხეებზე, არამედ სახელმწიფოს უნარზე, რეალისტურად შეაფასოს თავისი შესაძლებლობები, გააწონასწოროს შიდა- და გარეგამოწვევები და მოახდინოს საკუთარი უსაფრთხოების სისტემის მობილიზება ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით. ასეთ რეალობაში მოქნილობა, სტრატეგიული ხედვა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება სამხედრო დოქტრინის მთავარი საყრდენებია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭაფოძე კ. თანამედროვე ომის „მთავარი იარაღი“, XXI საუკუნის გამოწვევები, გვ.9, თბილისი, 2021;
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. „Ministry of Defence Vision 2030“;
3. European Parliament. (2022). *Resolution of 1 March 2022 on the Russian aggression against Ukraine (2022/2564(RSP)).* Brussels: European Parliament;
4. Brooke-Holland, Louisa - Strategic Defence Review 2025: The British Army, pg. 8, 2025. https://shorturl.at/Yu1kN;
5. Department of Defense, “Memo: Establishment of an Algorithmic Warfare Cross-Functional Team (Project Maven),” April 26, 2017, National Security Archive, https://nsarchive.gwu.edu/document/18583-national-security-archive-department-defense;
6. Michael N. Schmitt, “Israel – Hamas 2024 Symposium – The Gospel, Lavender, and the Law of Armed Conflict,” Lieber Institute, West Point, June 28, 2024, https://lieber.westpoint.edu/gospel-lavender-law-armed-conflict/.

ცხრილი 1.1

საფრთხე	საფრთხის გამოვლინება	რისკის დონე	რისკის შემცირების ზომები	დარჩენილი რისკი
ეკონომიკური საფრთხე	სატრანზიტო ფუნქციის შემცირების რისკი	საშუალო	რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის განვითარება; დემოკრატიული კურსის შენარჩუნება; სტრატეგიული პარტნიორების შენარჩუნება/ძიება; შიდა პოლიტიკური სტაბილურობა;	დაბალი
• სამხედრო აგრესიის საფრთხე; • სეპარატისტული საფრთხე	რუსეთის ფედერაციის მცდელობა რეგიონში უპირატესობის მისაღწევად/შავ ზღვაზე გავლენების ზრდა	დიდი	სტრატეგიული პარტნიორების შენარჩუნება/ძიება; სტაბილური სამოქალაქო თავდაცვის განვითარება; გრძელვადიანი სამხედრო შესაძლებლობების განვითარება; თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების ფეხის აწყობა/განვითარება; ასიმეტრიული სამხედრო დოქტრინის შემუშავება განვითარება; რეგიონული სამხედრო ალიანსების შექმნა	საშუალო
	„ბორდერიზაცია“	დიდი	საერთაშორისო საზოგადოებასთან მჭირდო კავშირი; ეკონომიკური შეთანხმებები; მიმზიდველი შეთავაზებები; არააგრესიული სასაუბრო ტონი	საშუალო
რეგიონული არასტაბილურობა	სამხედრო დაპირისპირებები რეგიონში	ძლიერი	შუამავლის როლის კისრება; ნეიტრალიტეტის შენარჩუნება; მშვიდობის ხელშეწყობა; რეგიონული სამხედრო ალიანსების შექმნა	მაღალი
ჰიბრიდული/კიბერ-საფრთხე	დეზინფორმაცია, კიბერშეტევები და საინფორმაციო ომები	მაღალი	კიბერუსაფრთხოების ბიუროს გაძლიერებით; მსოფლიოს კიბერუსაფრთხოების თანამედროვე ტენდენციების ათვისებით კიბერუსაფრთხოების და საინფორმაციო ომის ცნობირების ამაღლებით;	საშუალო
შიდა პოლიტიკური	პოლიტიკური პოლარიზაცია, პოლიტიკურ ძალებს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა	დიდი	თანამშრომლობა; ქვეყნის წინაშე არსებულ სხვადასხვა საფრთხესთან ერთობლივი მიდგომა	საშუალო
ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები	საომარი თეატრის გავრცელება რეგიონში	დიდი	ნეიტრალიტეტის შენარჩუნება	საშუალო

პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების არჩევანი დიდი ძალების კონკურენციისას

ნიკოლოზი ჯაჭვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მეცნიერებების

სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

jachvadzenicholos@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0009-4652-0718

თამარ კიკნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,

tamara_kiknadze@yahoo.com

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0007-1071-6490

DOI: 10.52340/splogos.2026.01.10

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების არჩევანის თავისებურებები დიდი ძალების კონკურენციისას. ნაშრომში ასევე ნაჩვენებია, რომ თანამედროვე საერთაშორისო გარემოში პატარა სახელმწიფოები დგანან ისეთი სტრატეგიული დილემის წინაშე, რომელიც ერთდროულად მოიცავს უსაფრთხოების, სუვერენიტეტის, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა და შიდამდგრადობის საკითხებს. სტატია ყურადღებას ამახვილებს პატარა სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკური აქტორის, ბუნებაზე, უსაფრთხოების არჩევანის ძირითად მოდელებსა და იმ გარე- თუ შიდაფაქტორებზე, რომლებიც ამ არჩევანს განსაზღვრავს. გაანალიზებულია ბალანსირების, ალიანსური ჩართულობის, ნეიტრალიტეტისა და მრავალვექტორული პოლიტიკის ლოგიკა. აქვე დასაბუთებულია, რომ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების ეფექტიანი სტრატეგია ვერ განისაზღვრება მხოლოდ სამხედრო გარანტიებით; იგი თანაბრად არის დამოკიდებული პოლიტიკური

სტაბილურობის, ეკონომიკური მდგრადობის, ინსტიტუციური სიმტკიცის, დიპლომატიური მოქნილობისა და საზოგადოებრივი კონსენსუსის ხარისხზე.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გარემოებასაც, რომ პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების არჩევანი თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად უკავშირდება კომპლექსურ გამძლეობას. დასკვნის სახით გამოკვეთილია, რომ დიდი ძალების კონკურენციისას პატარა სახელმწიფოების წარმატებული უსაფრთხოების არჩევანი ეფუძნება გარეპარტნიორობის, შიდამდგრადობისა და სტრატეგიული ადაპტაციის შეთავსებას.

საკვანძო სიტყვები: პატარა სახელმწიფო, უსაფრთხოება, დიდი ძალები, ბალანსირება, მრავალვექტორულობა.

Security Choices of Small States under Conditions of Great-Power Competition

Nicholos Jachvadze

Ph.D. Student of Political Science

Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences

Georgian Technical University

jachvadzenicholos@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0009-4652-0718

Tamar Kiknadze

Professor, Georgian Technical University

tamara_kiknadze@yahoo.com

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0007-1071-6490

Abstract

The article examines the security choices of small states under conditions of great-power competition. It shows that in the contemporary international environment, small states face a strategic dilemma that simultaneously involves security, sovereignty, foreign policy orientation, and internal resilience. The article focuses on the nature of the small state as a specific actor in international relations, the main models of security choice, and the

external and internal factors shaping those choices. It analyzes the logic of balancing, alliance involvement, neutrality, and multi-vector foreign policy. The article argues that an effective security strategy for a small state cannot be defined only by military guarantees; it also depends on political stability, economic resilience, institutional capacity, diplomatic flexibility, and the degree of social consensus.

Special attention is paid to the idea that, under contemporary conditions, the security choice of small states is increasingly linked to complex resilience. The conclusion emphasizes that the successful security choice of small states under great-power rivalry is based on combining external partnerships, internal resilience, and strategic adaptation.
Keywords: small state, security, great powers, balancing, multi-vector policy.

კვლევის მეთოდოლოგია: მოცემული ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თვისებრივი კვლევითი მიდგომა. სტატიის მომზადებისას გამოყენებულია კონცეპტუალური ანალიზი, რომლის მეშვეობითაც განმარტებულია პატარა სახელმწიფოს, უსაფრთხოების არჩევანის, ბალანსირების, ნეიტრალიტეტისა და მრავალვექტორული პოლიტიკის ძირითადი ცნებები. ამასთან ერთად, გამოყენებულია შედარებითი ანალიზის ელემენტები, რათა გამოიკვეთოს პატარა სახელმწიფოების ქცევის საერთო ტენდენციები დიდი ძალების კონკურენციის პირობებში.

კვლევა ასევე ეყრდნობა თეორიულ-ანალიტიკურ მეთოდს, რადგან სტატია ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული მიდგომების საფუძველზე აანალიზებს პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების არჩევანის ლოგიკას. გამოყენებულია დოკუმენტური და ბიბლიოგრაფიული ანალიზიც, რაც გულისხმობს როგორც უცხოენოვანი თეორიული ლიტერატურის, ისე ქართული აკადემიური წყაროების დამუშავებას. აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა შესაძლებელს ხდის საკითხის განხილვას როგორც თეორიულ, ისე პოლიტიკურ-პრაქტიკულ ჭრილში.

კვლევის თეორიული ჩარჩო: კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს რეალიზმისა და ნეორეალიზმის მიდგომები, რომლებიც სახელმწიფოთა ქცევას

უსაფრთხოების, ძალაუფლებისა და საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის კონტექსტში განმარტავს. ამ თეორიული პერსპექტივის ფარგლებში პატარა სახელმწიფოს არჩევანი განიხილება არა როგორც აბსოლუტურად თავისუფალი სუვერენული გადაწყვეტილება, არამედ როგორც ისეთი ქცევა, რომელსაც მნიშვნელოვნად აყალიბებს გარემალთა განაწილება, უსაფრთხოების დილემა და რეგიონული გავლენისათვის ბრძოლა. ასეთ გარემოში უფრო ძლიერი აქტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მათთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებს და ცდილობენ იქ ძალთა მათთვის ხელსაყრელი ბალანსის შენარჩუნებას. შესაბამისად, პატარა სახელმწიფო, რომელიც ასეთ სივრცეში მდებარეობს, იშვიათად მოქმედებს მხოლოდ საკუთარი შიდაინტერესების საფუძველზე; მისი არჩევანის სივრცე უკვე წინასწარ არის შეზღუდული სისტემური ფაქტორებით.

ამავე თეორიულ ჩარჩოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ალიანსების თეორიასა და უსაფრთხოების დილემის კონცეფციას. პატარა სახელმწიფოსთვის გარემხარდაჭერა ხშირად აუცილებელია, თუმცა, მისი ძიება ყოველთვის არ იძლევა სტაბილურ შედეგს, რადგან უსაფრთხოების განმტკიცების მცდელობამ თავადვე შეიძლება წარმოშვას ახალი არაერთი საფრთხე. ამიტომ უსაფრთხოების არჩევანი პატარა სახელმწიფოსათვის ხშირად ნიშნავს არა სრულიად უსაფრთხო გზის პოვნას, არამედ შედარებით ნაკლებად სარისკო და უფრო მდგრადი სტრატეგიის შერჩევას.

სტატია ასევე ეყრდნობა ურთიერთდამოკიდებულების იმ მიდგომას, რომლებიც აჩვენებს, რომ თანამედროვე სინამდვილეში უსაფრთხოება აღარ არის მხოლოდ სამხედრო კატეგორია. ეკონომიკური დამოკიდებულება, ენერგეტიკული მოწყვლადობა, ინსტიტუციური სიმტკიცე და საზოგადოებრივი მდგრადობაც პირდაპირ მოქმედებს უსაფრთხოების რეალურ ხარისხზე. ამიტომ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების ანალიზი მოითხოვს სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური განზომილებების ერთმანეთთან დაკავშირებულად განხილვას.

სამეცნიერო სიახლე: კვლევის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ სტატიაში პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების არჩევანი განხილულია უფრო ფართო,

კომპლექსური უსაფრთხოების გაგების ფარგლებში. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ პატარა სახელმწიფოს სტრატეგიული არჩევანი დამოკიდებულია გარესაფრთხის ხასიათზე, პარტნიორთა სანდოობაზე, შიდაპოლიტიკური სტაბილურობის ხარისხზე, ეკონომიკურ გამძლეობასა და ინსტიტუციურ სიმტკიცეზე. ამგვარი მიდგომა პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოებას წარმოაჩენს როგორც მრავალდონიან პროცესს, სადაც საგარეო ორიენტაცია და შიდა მდგრადობა ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. საერთაშორისო გარემოს პოლარიზაცია, რეგიონული დაძაბულობის ზრდა, სამხედრო და არასამხედრო ზეწოლის ინსტრუმენტების გამრავლება, გეოპოლიტიკური კონკურენციის გამწვავება და ძალთა ახალი გადანაწილება პატარა სახელმწიფოებს რთული სტრატეგიული არჩევანის წინაშე აყენებს. ასეთ ვითარებაში მათ უწევთ გარესაფრთხის შეფასება, სუვერენიტეტის დაცვა, საგარეო-პოლიტიკური მანევრის შენარჩუნება და შიდამდგრადობის გაძლიერება. ამიტომ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების არჩევანი თანამედროვე პირობებში სამხედრო შესაძლებლობებით ან ფორმალური ალიანსური კუთვნილებით ვერ ამოიწურება.

დიდი ძალების კონკურენციისას პატარა სახელმწიფოები ხშირად ინტერესთა გადაკვეთის სივრცეში ექცევიან. ასეთ გარემოში მათ სჭირდებათ უსაფრთხოების გარანტიები, პარტნიორული ჩარჩოები და პოლიტიკური მხარდაჭერა, თუმცა, იმავდროულად აუცილებელია ისეთი სტრატეგიის შენარჩუნება, რომელიც მათ ერთი ძალის მიბმულ დანამატად არ გადააქცევს და მეორე ძალის ზეწოლის ქვეშაც არ დატოვებს. ამიტომ პატარა სახელმწიფოს არჩევანი იშვიათად არის სწორხაზოვანი. უმეტეს შემთხვევაში, იგი რამდენიმე

არასრულყოფილ ალტერნატივას შორის მოქმედებას, რისკის მუდმივ შეფასებასა და გარემოს ცვლილებებთან ადაპტაციას გულისხმობს.[136]

პოსტსაბჭოთა სივრცის გამოცდილება ამ პრობლემას განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს. შესაბამის ქართულ მონოგრაფიულ კვლევაში გამოკვეთილია, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებისა და ძალთა ახალი გადანაწილებისას არჩევანის დილემის წინაშე აღმოჩნდნენ; ამავე დროს, სახელმწიფოებრივი პრაქტიკის, გამოცდილებისა და ინსტიტუციური სიმტკიცის ნაკლებობა მათთვის უსაფრთხო საშინაო და საგარეო პოლიტიკის დაგეგმვას ართულებდა.[137] ამგვარი დაკვირვება პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს, რადგან არჩევანი აქ საგარეო ორიენტაციის ფარგლებს სცდება და უშუალოდ სახელმწიფოებრივი მდგრადობის ხარისხს უკავშირდება.

სტატიის მიზანია დიდი ძალების კონკურენციისას პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების არჩევანის ანალიზი. ნაშრომი იკვლევს, როგორ ფორმირდება პატარა სახელმწიფოს სტრატეგიული ქცევა იმ გარემოში, სადაც გარეზეწოლა, პარტნიორული ჩართულობა და შიდარესურსული შეზღუდვა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

პატარა სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში პატარა სახელმწიფოს ცნება მხოლოდ რაოდენობრივად არ უნდა გავიგოთ. მართალია, მოსახლეობის სიმცირე, ტერიტორიის შეზღუდულობა და ეკონომიკური მასშტაბი მისი მნიშვნელოვანი ნიშნებია, მაგრამ პატარა სახელმწიფოს არსი უფრო მკაფიოდ აიხსნება შესაძლებლობათა შედარებითი შეზღუდულობით.[138] ასეთი სახელმწიფო მეტად

[136] Annette F., Baker Fox, *The Power of Small States: Diplomacy in World War II* (Chicago: University of Chicago Press, 1959), 1–18;

[137] კიკნაძე თ., კუხალაშვილი დ. და ორთანეზაშვილი თ., *პოსტსაბჭოთა ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო კონტურები* (თბილისი: „მწიგნობარი“, 2024).

[138] Keohane, “Lilliputians’ Dilemmas”, 291-294; Thorhallsson, “The Size of States in the European Union”, 7-10;

არის დამოკიდებული გარეგარემოზე, შეზღუდული აქვს სამხედრო თვითკმარობა და ნაკლებად შეუძლია საერთაშორისო სივრცეში დამოუკიდებელი ძალისმიერი პოლიტიკის გატარება.

თუმცა პატარა სახელმწიფოს შეზღუდული რესურსები მის სრულ პასიურობას არ ნიშნავს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი სახელმწიფოები ხშირად ავითარებენ დიპლომატიურ მოქნილობას, სტრატეგიულ სიფრთხილესა და ადაპტაციის მაღალ უნარს. დიდი ძალებისგან განსხვავებით, ისინი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ვერ ეყრდნობიან მხოლოდ უხეშ ძალას და ამიტომ მეტი ყურადღება სჭირდებათ პოლიტიკურ გათვლაზე, პარტნიორობის არჩევანსა და შიდამდგრადობაზე. ამ თვალსაზრისით, პატარა სახელმწიფოს მთავარი რესურსი ხშირად არა მასშტაბური ძალა, არამედ გარემოს სწორი შეფასება და არჩევანის სიზუსტეა.[139]

პატარა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი თავისებურება არის ისიც, რომ მისი უსაფრთხოების პრობლემა სწრაფად სცდება სამხედრო ჩარჩოს. მისთვის სუვერენიტეტის დაცვა გულისხმობს ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ინსტიტუციური სტაბილურობის შენარჩუნებას, ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაცვას და პოლიტიკური გადაწყვეტილების სივრცის გაფართოებას.

დიდი ძალების კონკურენცია და არჩევანის დილემა

დიდი ძალების კონკურენცია პატარა სახელმწიფოსთვის ქმნის ისეთ გარემოს, სადაც უსაფრთხოების არჩევანი ერთდროულად აუცილებელიც არის და სარისკოც. როდესაც კონკრეტული რეგიონი ორი ან მეტი ძლიერი აქტორისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს, პატარა სახელმწიფო მათ ინტერესთა გადაკვეთის ზონაში ექცევა. ასეთ პირობებში სრული ნეიტრალიტეტი იშვიათად არის ადვილად მისაღწევი, ხოლო ერთ მხარესთან მკვეთრმა დაახლოებამ შეიძლება მეორე მხრიდან პოლიტიკური, ეკონომიკური ან სამხედრო ზეწოლა გაზარდოს.[140]

[139] Baker Fox, *The Power of Small States*, 24–31.

[140] Steven E. Lobell, Neal G. Jesse, and Kristen P. Williams, eds., *Beyond Great Powers and Hegemons: Why Secondary States Support, Follow, or Challenge* (Stanford, CA: Stanford University Press, 2015), 1–22;

ამ ვითარებაში პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების არჩევანი მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, რომ უფრო ძლიერი აქტორები მცირე და საშუალო შესაძლებლობების მქონე ქვეყნებს ხშირად განიხილავენ რეგიონული ბალანსის ელემენტებად. თუ პატარა სახელმწიფო გეოგრაფიულად მდებარეობს ისეთ სივრცეში, რომელსაც დიდი ძალები საკუთარ უსაფრთხოებასა და გავლენასთან აკავშირებენ, მისი სტრატეგიული ქცევა მნიშვნელოვნად იზღუდება. არჩევანი ასეთ შემთხვევაში აღარ არის მხოლოდ შინაგანად განსაზღვრული პროცესი; იგი უფრო ფართო ძალაუფლებრივი დაპირისპირების ნაწილად იქცევა.

ამიტომ პატარა სახელმწიფოს მთავარი დილემა იმაში მდგომარეობს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მცდელობამ თავადვე შეიძლება წარმოშვას ახალი დაუცველობა. გარემხარდაჭერის ძიება ხშირად აუცილებელია, მაგრამ ამავე დროს იგი ზღუდავს დამოუკიდებელ მანევრს და ზოგჯერ ახალ კონფრონტაციულ ხაზებსაც აჩენს. ამიტომ უსაფრთხოების არჩევანი პატარა სახელმწიფოსათვის ნიშნავს არა სრულად უსაფრთხო გზის პოვნას, არამედ ნაკლებად საზიანო და შედარებით უფრო მდგრადი სტრატეგიის შერჩევას.[141]

ამგვარ დილემას განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს პოსტსაბჭოთა სივრცის გამოცდილება. აქ უსაფრთხოების არჩევანი ხშირად ხდებოდა მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები ჯერ კიდევ არასაკმარისად გამართული იყო, პოლიტიკური ელიტა ვერ ფლობდა ხანგრძლივ სტრატეგიულ გამოცდილებას და გარეაქტორები აქტიურად ცდილობდნენ საკუთარი გავლენის გაფართოებას. ასეთ ფონზე პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოება პირდაპირ დაუკავშირდა საგარეო ორიენტაციას, სახელმწიფოებრიობის სიმტკიცესა და სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას.[142]

უსაფრთხოების არჩევანის ძირითადი მოდელები

პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების არჩევანი საერთაშორისო პრაქტიკაში რამდენიმე ძირითად მოდელში იკითხება.

[141] Walt, *The Origins of Alliances*, 148–178.

[142] კიკნაძე თ., კუხალაშვილი დ. და ორთანეზაშვილი, *პოსტსაბჭოთა ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო კონტურები*;

პირველი მოდელია **ბალანსირება**. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ცდილობს თავი დაიცვას პოტენციური საფრთხისგან სხვა ძალებთან ან ალიანსებთან თანამშრომლობის მეშვეობით. ეს სტრატეგია განსაკუთრებით მიმზიდველია მაშინ, როდესაც საფრთხე მკაფიოდ არის გამოკვეთილი და სახელმწიფოს საკუთარი თავდაცვითი შესაძლებლობa შეზღუდულია. ბალანსირება პატარა სახელმწიფოს საშუალებას აძლევს საკუთარი უსაფრთხოება უფრო ფართო კოლექტიურ ჩარჩოში ჩასვას.[143]

მეორე მოდელია **ძლიერ მხარესთან მიერთება**. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ცდილობს უფრო ძლიერ აქტორთან დაახლოების გზით შეამციროს ზეწოლის მასშტაბი ან მოიპოვოს უსაფრთხოების გარკვეული გარანტია. ასეთი არჩევანი შესაძლოა მოკლევადიან პერსპექტივაში პრაგმატულად გამოიყურებოდეს, მაგრამ მას ახლავს ავტონომიის შემცირების, პოლიტიკური დამოკიდებულების ზრდისა და გრძელვადიანი სუვერენული სივრცის შევიწროების რისკი.[144]

მესამე მოდელია **ნეიტრალიტეტი**. თეორიულად იგი პატარა სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, არ ჩაერთოს დიდი ძალების პირდაპირ დაპირისპირებაში და შეინარჩუნოს მანევრის გარკვეული სივრცე. მაგრამ ნეიტრალიტეტი ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გარე აქტორებიც აღიარებენ და თავად სახელმწიფოსაც აქვს საკმარისი პოლიტიკური, სამხედრო და ინსტიტუციური შესაძლებლობა ამ სტატუსის დასაცავად.[145]

მეოთხე მოდელია **მრავალვექტორული პოლიტიკა**. ამ შემთხვევაში პატარა სახელმწიფო ცდილობს ურთიერთობები ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ააწყოს და თავიდან აირიდოს სრული მიბმა ერთ ძალასთან. მრავალვექტორულობა ეფექტიანი შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფლობს საკმარის დიპლომატიურ სიფრთხილეს, ეკონომიკურ მოქნილობასა და მკაფიო სტრატეგიულ ხედვას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება გადაიქცეს გაურკვეველ პოლიტიკად, რომელიც აძლიერებს როგორც პარტნიორთა უნდობლობას, ისე ოპონენტთა ზეწოლას.[146]

[143] Walt, *The Origins of Alliances*, 21–33;
[144] Lobell, Jesse, and Williams, *Beyond Great Powers and Hegemons*, 55–79.
[145] Karsh, *Neutrality and Small States*;
[146] Hey, *Small States in World Politics*, 1–14;

ამ მოდელებს შორის არჩევანი არასოდეს არის აბსოლუტურად თავისუფალი. მას განსაზღვრავს გეოგრაფიული მდებარეობა, საფრთხის ბუნება, პარტნიორთა სანდოობა, ეკონომიკური დამოკიდებულება, ისტორიული გამოცდილება და შიდაპოლიტიკური გარემო. ამიტომ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრაქტიკული სტრატეგია ხშირად სხვადასხვა მოდელის კომბინაციას წარმოადგენს და არა რომელიმე ერთის წმინდა ფორმას.[147]

შიდაფაქტორების მნიშვნელობა

პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების არჩევანი მხოლოდ გარეგარემოთი არ აიხსნება. ამ პროცესში გადამწყვეტია შიდაპოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური გარემოც. ხშირად სწორედ შიდასისუსტე ზრდის გარეზეწოლის ეფექტიანობას და ამცირებს სახელმწიფოს შესაძლებლობას, არჩეული სტრატეგია თანმიმდევრულად განახორციელოს.[148]

პირველ რიგში, ხაზგასასმელია **პოლიტიკური სტაბილურობა**. თუ სახელმწიფოში არ არსებობს თანხმობა უსაფრთხოების ძირითად პრიორიტეტებზე, საგარეო-პოლიტიკური არჩევანი ადვილად იქცევა შიდადაპირისპირების საგნად. ასეთ პირობებში ქვეყანა უფრო მოწყვლადი ხდება გარე გავლენის მიმართ, რადგან უსაფრთხოების საკითხი საერთო ეროვნული მიზნის ნაცვლად პარტიული ან ელიტური ბრძოლის ინსტრუმენტად გარდაიქმნება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია **ეკონომიკური მდგრადობა**. პატარა სახელმწიფო, რომელიც ძლიერ არის დამოკიდებული გარეფინანსურ მხარდაჭერაზე, ენერგეტიკულ იმპორტზე ან კონკრეტულ ბაზრებზე, ნაკლებად თავისუფალია უსაფრთხოების დამოუკიდებელი არჩევანისას. ამ შემთხვევაში უსაფრთხოება აღარ არის მხოლოდ სამხედრო ან დიპლომატიური კატეგორია; იგი პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკური გამძლეობის ხარისხსაც.[149]

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **ინსტიტუციურ სიმტკიცესაც**. პროფესიული დიპლომატია, ეფექტიანი საჯარო მმართველობა, კრიზისების

[147] Thorhallsson and Wivel, “Small States in the European Union,” 651–668;
[148] Keohane, “Lilliputians’ Dilemmas,” 301–304.
[149] Keohane and Nye, *Power and Interdependence*, 10–15;

მართვის უნარი და სამართლებრივი გარემოს სტაბილურობა პატარა სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას შეზღუდული რესურსები უფრო შედეგიანად გამოიყენოს. პირიქით, ინსტიტუციური სისუსტე ამცირებს ნებისმიერი უსაფრთხოების სტრატეგიის პრაქტიკულ ეფექტიანობას.

ქართული აკადემიური კვლევებიც ხაზს უსვამს, რომ რეგიონული უსაფრთხოების რთულ გარემოში გარე ზეწოლა განსაკუთრებით პრობლემურია მაშინ, როდესაც მას შიდაინსტიტუციური სისუსტე, პოლიტიკური გაურკვევლობა და სტრატეგიული ხედვის დეფიციტი ემატება. რუსეთის თანამედროვე გეოპოლიტიკისა და სამხრეთ კავკასიისადმი მისი პოლიტიკის ანალიზი სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს: პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია მას საკუთარ შიდარესურსებზე დაყრდნობით საგარეო წნეხის მართვა.[150]

ალიანსი, პარტნიორობა და კომპლექსური უსაფრთხოება

პატარა სახელმწიფოებისთვის ალიანსი ხშირად უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად საშუალებად რჩება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ მეზობლად არსებობს უფრო ძლიერი და პოტენციურად აგრესიული აქტორი, ალიანსი მათთვის სამხედრო მხარდაჭერის წყაროც არის და პოლიტიკური ჩარჩოც, რომლის საშუალებითაც ისინი ცდილობენ საკუთარი უსაფრთხოება უფრო ფართო კოლექტიურ სისტემაში ჩასვან.[151]

თუმცა, ალიანსი ყოველთვის მხოლოდ დადებითი არჩევანი არ არის. იგი შეზღუდვებსაც მოიცავს. პატარა სახელმწიფოს შეიძლება მოუხდეს საკუთარი საგარეო პოლიტიკის ნაწილის კოორდინაცია უფრო ძლიერ პარტნიორებთან, უსაფრთხოების პოლიტიკის მიბმა კოლექტიურ წესებთან და ზოგჯერ ისეთი სტრატეგიული რისკის გაზიარებაც, რომლებიც უშუალოდ მისი ეროვნული

[150] გურგენიძე თ., *რუსეთის თანამედროვე გეოპოლიტიკა და მისი იდეოლოგიური საფუძვლები* (თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2020); ხევცურიანი ა., *რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში* (თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019).

[151] Robert L. Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 1–25;

ინტერესებიდან არ გამომდინარეობს. ამიტომ ალიანსური ჩართულობა პატარა სახელმწიფოსთვის ერთდროულად არის შესაძლებლობაც და შეზღუდვაც.

თანამედროვე საერთაშორისო გარემოში უსაფრთხოების საკითხი კიდევ უფრო ფართოვდება. ეკონომიკური ზეწოლა, ენერგეტიკული დამოკიდებულება, საინფორმაციო გავლენა, ტექნოლოგიური მიბმა და პოლიტიკური ნარატივების ფორმირება პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს ნიშნავს, რომ უსაფრთხოების არჩევანი აღარ შეიძლება მხოლოდ სამხედრო პარტნიორობის თვალსაზრისით განიმარტოს. ეფექტიანი სტრატეგია მოითხოვს კომპლექსურ გამძლეობას – ენერგეტიკულ სტაბილურობას, ეკონომიკურ მოქნილობას, ინსტიტუციურ მდგრადობას, საზოგადოებრივ თანხმობასა და ინფორმაციულ დაცვით უნარებს.[152]

ამ კონტექსტში საყურადღებოა რბილი ძალისა და არაპირდაპირი ზემოქმედების საკითხიც. პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება სამხედრო საფრთხესთან ერთად ისეთი გავლენის ფორმებითაც, რომლებიც მოქმედებს საზოგადოებრივ აზრზე, პოლიტიკურ გარემოსა და საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შიდალეგიტიმაციაზე. ამიტომ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების არჩევანი თანამედროვე პირობებში უნდა მოიცავდეს როგორც საგარეო კურსის შერჩევას, ისე შიდაპოლიტიკური და საზოგადოებრივი გამძლეობის გაძლიერებას.[153]

დასკვნა

დიდი ძალების კონკურენციისას პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების არჩევანი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს. პატარა სახელმწიფოები არ ფლობენ იმ მასშტაბის სამხედრო, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ რესურსებს, რომლებიც მათ სრულ თვითკმარობას უზრუნველყოფდა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არჩევანის გარეშე რჩებიან. მათი მთავარი შესაძლებლობა ხშირად მდგომარეობს

[152] Keohane and Nye, *Power and Interdependence*, 30–33;

[153] ფხალაძე თ., „Soft Power რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში,“ *მთაწმინდელი* 1 (2014).

სტრატეგიულ მოქნილობაში, გარემოს სწორ შეფასებაში, პარტნიორობის გონივრულ გამოყენებასა და ადაპტაციის უნარში.

სტატიამ აჩვენა, რომ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების არჩევანი ვერ დაიყვანება მხოლოდ ერთ სტრატეგიულ მოდელამდე. ბალანსირება, ალიანსური ჩართულობა, ნეიტრალიტეტი და მრავალვექტორულობა სხვადასხვა გარემოში განსხვავებულად მუშაობს და მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია როგორც გარეძალთა განაწილებაზე, ისე კონკრეტული სახელმწიფოს შიდამდგომარეობაზე. უსაფრთხოების უფრო მდგრადი ფორმა იქმნება მაშინ, როდესაც გარეპარტნიორობა შიდამდგრადობას ეყრდნობა და არა მას ანაცვლებს.

თანამედროვე პირობებში პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოება სამხედრო დაცვით არ შემოიფარგლება. იგი მოიცავს პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური გამძლეობის, ინსტიტუციური სიმტკიცის, ენერგეტიკული მდგრადობისა და საზოგადოებრივი კონსენსუსის საკითხებსაც. ამიტომ პატარა სახელმწიფოს ეფექტიანი უსაფრთხოების სტრატეგია გულისხმობს როგორც საგარეო პარტნიორის არჩევას, ისე შიდასახელმწიფოებრივი სიმტკიცის თანმიმდევრულ გაძლიერებას.

ამრიგად, დიდი ძალების კონკურენციისას პატარა სახელმწიფოს წარმატებული უსაფრთხოების არჩევანი ეფუძნება გარე- და შიდაფაქტორების თანაარსებობას. სახელმწიფო მით უფრო მდგრადია, რაც უფრო სწორად ახერხებს დიპლომატიური მოქნილობის, პარტნიორული ჩართულობის, ეკონომიკური გამძლეობისა და ინსტიტუციური სტაბილურობის ერთმანეთთან შეთავსებას. სწორედ ამ ერთობლიობაში იკვეთება პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების არჩევანის რეალური შინაარსი თანამედროვე საერთაშორისო გარემოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურგენიძე თათია, *რუსეთის თანამედროვე გეოპოლიტიკა და მისი იდეოლოგიური საფუძვლები*, დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2020;
2. კიკნაძე თამარი, კუხალაშვილი დავითი და ორთანეზაშვილი არჩილი, *პოსტსაბჭოთა ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო კონტურები*, თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2024;
3. ფხალაძე თენგიზი, *„Soft Power რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში“,* მთაწმინდელი, 2014;
4. ხევცურიანი ამირანი, *რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში* დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2019;
5. Baker Fox, Annette F., *The Power of Small States: Diplomacy in World War II*. Chicago: University of Chicago Press, 1959;
6. Hey Jeanne A. K., ed. *Small States in World Politics: Explaining Foreign Policy Behavior*. Boulder, CO: Lynne Rienner, 2003;
7. Karsh Efraim, ed. *Neutrality and Small States*. London: Routledge, 1988;
8. Keohane Robert O., “Lilliputians’ Dilemmas: Small States in International Politics”. *International Organization* 23, no. 2 (1969): 291–310;
9. Keohane Robert O. and Joseph S. Nye Jr., *Power and Interdependence*. 4th ed. Boston: Longman, 2011;
10. Lobell Steven E., Neal G. Jesse and Kristen P. Williams, eds. *Beyond Great Powers and Hegemons: Why Secondary States Support, Follow, or Challenge*. Stanford, CA: Stanford University Press, 2015;
11. Mearsheimer John J., *The Tragedy of Great Power Politics*, New York: W. W. Norton, 2001;
12. Rothstein Robert L., *Alliances and Small Powers*, New York: Columbia University Press, 1968;
13. Thorhallsson Baldur, “The Size of States in the European Union: Theoretical and Conceptual Perspectives”, *Journal of European Integration* 28, no. 1 (2006): 7–31;

14. Thorhallsson Baldur and Anders Wivel, “Small States in the European Union: What Do We Know and What Would We Like to Know?” *Cambridge Review of International Affairs* 19, no. 4 (2006): 651–668;
15. Walt Stephen M., *The Origins of Alliances*. Ithaca, NY: Cornell University Press, 1987;
16. Waltz Kenneth N., *Theory of International Politics*. Reading, MA: Addison-Wesley, 1979;
17. Wivel Anders, Alyson J. K. Bailes and Clive Archer, eds. *Small States and International Security: Europe and Beyond*. London: Routledge, 2014.

დაზვერვის სააგენტო და საერთაშორისო ურთიერთობები

პაატა ბატიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

paata.batiashvili@yahoo.com

ORCID iD: *https://orcid.org/0009-0005-4101-098X*

DOI: 10.52340/splogos.2026.01.11

აბსტრაქტი

სტატია განიხილავს დაზვერვის სამსახურების როლს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში. აქტიური საერთაშორისო ურთიერთობების წარმოება და მჭიდრო ორმხრივი თუ მრავალმხრივი კავშირი სახელმწიფოების განვითარების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მეტწილად, სწორედ, ამ ურთიერთობების ეფექტურობა განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას.

ისეთი პატარა ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა, ეფექტური საგარეო პოლიტიკის განხორციელება და საერთაშორისო ურთიერთობის სწორი წარმართვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თანამედროვე მსოფლიოში სადაზვერვო სამსახურები ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რაც მათ საერთაშორისო ურთიერთობების „უხილავ მმართველებად“ აქცევს.

საკვანძო სიტყვები: დაზვერვა, სახელმწიფო, საქართველო, საგარეო პოლიტიკა, „უხილავი მმართველი“.

Intelligence Agency and International Relations

Paata Batiashvili,

PhD Student of International Relations,

Georgian Technical University

paata.batiashvili@yahoo.com

ORCID iD: *https://orcid.org/0009-0005-4101-098X*

Abstract

The article discusses the role of intelligence services in the foreign policy of the state and international relations. Active international relations and close bilateral or multilateral ties play an important role in the development of states. It is precisely the effectiveness of these relations that largely determines the domestic and foreign policy strategies of the country.

For small countries like Georgia, the implementation of an effective foreign policy and the correct conduct of international relations are vital. In the modern world, intelligence services play an important role in these processes, which makes them the “invisible rulers” of international relations.

Keywords: intelligence, state, Georgia, foreign policy, “invisible ruler.”

კვლევის მიზანი – დაზვერვის სააგენტოს როლის წარმოჩენა ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში.

სამეცნიერო სიახლე – სტატიის სამეცნიერო სიახლე განისაზღვრება საქართველოს კონტექსტში, დაზვერვის სააგენტოს როლის კომპლექსური ანალიზით საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში, რეალიზმის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით.

კვლევის მეთოდები

შემთხვევის კვლევა („case study“) – საქართველოს დაზვერვის სააგენტოს საქმიანობის დეტალური ანალიზი, როგორც პატარა, გეოპოლიტიკურად დახურული სახელმწიფოს მაგალითი. ამ ფარგლებში განიხილება სააგენტოს ფუნქციები ოკუპირებული ტერიტორიების უღიარებლობის პოლიტიკის მხარდაჭერაში, ჰიბრიდული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში, პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლაში და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობაში.

დოკუმენტური ანალიზი – საჯარო წყაროების (სამეცნიერო ლიტერატურა, ოფიციალური დოკუმენტები, ანგარიშები), აგრეთვე არსებული კვლევების (მათ შორის Marinho et al., Kirchweger & Eder Taylor) შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია – რეალიზმის თეორიის მიხედვით, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ ჩარჩოს ქმნის, სახელმწიფოები მუდმივ ბრძოლაში არიან ეროვნული უსაფრთხოებისა და გავლენისთვის. ამ კონტექსტში დაზვერვა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინფორმაციულ უპირატესობას, არამედ სტრატეგიულ ბერკეტს საგარეო პოლიტიკაში. დაზვერვა, როგორც პროცესი და პროდუქტი, მოიცავს ფარულ ოპერაციებს, რომლებიც პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს მიიღონ ობიექტური გადაწყვეტილებები გლობალური სხვადასხვა საფრთხისა და შესაძლებლობის შესახებ.

საერთაშორისო პრაქტიკა

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში დაზვერვის სამსახურები წარმოადგენენ სახელმწიფოს ძალაუფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ცივი ომის პერიოდში დაზვერვა გახდა საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ელემენტი. აშშ-ის „CIA“-ს და საბჭოთა „KGB“-ს დაპირისპირება ნათლად აჩვენებს, თუ როგორ იყენებდნენ დაზვერვის სამსახურებს იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური ბრძოლისთვის. თანამედროვე

მაგალითია ხუთი თვალის („Five Eyes“) ალიანსი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია), რომელიც წარმოადგენს უდიდეს ინტელექტუალურ თანამშრომლობას ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოებისა და გლობალური საფრთხის წინააღმდეგ. თურქეთის ეროვნული დაზვერვის ორგანიზაცია („MIT“) აქტიურად იყენებს „დაზვერვის დიპლომატიას“ მრავალმხრივ ფორმატში, მათ შორის ტყვეთა გაცვლაში, რაც აჩვენებს დაზვერვის როლს რეგიონული ძალაუფლების დინამიკაში.

ბევრ სახელმწიფოში დაზვერვის სამსახურები საერთაშორისო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და მათი ფუნქციები მოიცავს როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერატიულ ამოცანებს:

– სადაზვერვო ორგანიზაციები აგროვებენ და აანალიზებენ ინფორმაციას, რომელიც ეხება უცხო სახელმწიფოების პოლიტიკას, ეკონომიკურ ინტერესებს, სამხედრო შესაძლებლობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხს;

– მონაწილეობენ დიპლომატიურ პროცესში საგარეო საქმეთა უწყებების საქმიანობის მხარდაჭერით და ახორციელებენ ფარულ დიპლომატიურ ღონისძიებებს, მათ შორის საიდუმლო მოლაპარაკებების გზებით;

– კრიზისულ სიტუაციებში აწვდიან სახელმწიფოს ხელმძღვანელობას ოპერატიულ და ანალიტიკურ ინფორმაციას, რაც მათ ეხმარება დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაში;

– ახორციელებენ კონტრდაზვერვით საქმიანობას, რათა აღკვეთონ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მოქმედებები;

– მონაწილეობენ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში;

– ატარებენ ფარულ ოპერაციებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს გავლენის ოპერაციებს, დისკრედიტაციის მცდელობებსა და ჰიბრიდულ ოპერაციებს;

– ატარებებენ ანალიტიკურ საქმიანობას, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო ეკონომიკურ ტენდენციებს, არაერთ საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესს, სანქციების ეფექტებსა და ბუნებრივი რესურსების პოლიტიკას.

– თანამშრომლობენ საერთაშორისო პარტნიორებთან ტერორიზმის, ნარკოტრაფიკისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.

ზემოთ აღნიშნული მექანიზმები აჩვენებენ, თუ როგორ ხდება დაზვერვის ინსტიტუტების ინტეგრირება საგარეო პოლიტიკურ პროცესებში. მათი საქმიანობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს პოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე.

თანამედროვე როლი: დაზვერვის დიპლომატია

დღეს დაზვერვის სამსახურები აქტიურად მონაწილეობენ დიპლომატიაში. „დაზვერვის დიპლომატია“ გულისხმობს დაზვერვის მაღალი რანგის ოფიცრების გამოყენებას საიდუმლო კომუნიკაციის არხებისთვის, როდესაც ტრადიციული დიპლომატია შეზღუდულია (მაგ. აშშ-ის „CIA“-ს დირექტორის შეხვედრა რუს კოლეგასთან უკრაინის კონფლიქტის კონტექსტში). ეს მიდგომა საშუალებას იძლევა შეინარჩუნოს კონტაქტი მოწინააღმდეგეებთანაც კი, რაც ზრდის სახელმწიფოს გავლენას და ამცირებს რისკს.

ქართული რეალობა

საქართველოს დაზვერვის სააგენტო (დღეს უკვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ინტეგრირებული) წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერ ინსტიტუტს. მისი ფუნქციები მოიცავს საგარეო საფრთხის იდენტიფიცირებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და ეკოლოგიურ სფეროებში ინფორმაციის შეგროვებას, აგრეთვე საზღვარგარეთ კონტრდაზვერვას. საქართველოსათვის დაზვერვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიების უღიარებლობის პოლიტიკის მხარდასაჭერად, სხვადასხვა ჰიბრიდული საფრთხის (დეზინფორმაცია, კიბერშეტევები) წინააღმდეგ ბრძოლაში და პარტნიორებთან (“NATO“, აშშ) ინფორმაციის გაცვლაში.

სააგენტო უზიარებს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ მასალებს, იცავს დიპლომატიურ მისიებს და მონაწილეობს რეგიონული კონფლიქტების

მართვაში. მისი ძირითადი გამოწვევაა, სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის მსგავსად პროფესიული კადრების დეფიციტი.

საქართველოში დაზვერვის როლი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, თუმცა, მისი მნიშვნელობა საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო მეტად იზრდება. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული დაზვერვის სისტემა იყოს ორიენტირებული რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე:

საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერა:

– სტრატეგიულ პარტნიორებთან სადაზვერვო ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

– მტრულად განწყობილი ქვეყნების პოლიტიკის პროგნოზირება და შესაძლო რეაგირების ფორმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

– საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ეროვნული უსაფრთხოება:

– მტრული სახელმწიფოების მიზნებისა და აქტივობების გამოვლენა;

– საერთაშორისო ტერორიზმის ტენდენციების მონიტორინგი;

– კიბერუსაფრთხოების მხარდაჭერა.

რეგიონული კონფლიქტების მართვა:

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების ანალიზი;

– საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინაცია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით;

– საერთაშორისო ინსტიტუტებში საქართველოს ინტერესების დაცვა.

ჰიბრიდული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა:

– დეზინფორმაციის გამოვლენა;

– საზოგადოებრივ აზრზე მტრული სახელმწიფოების გავლენის შემცირება;

– უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობის კონტროლი.

ეკონომიკური უსაფრთხოება:

– უცხოური საინვესტიციო პროექტების შესწავლა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

– საქართველოს სტრატეგიული პოზიციის გაძლიერება საერთაშორისო პროექტებში.

დაზვერვისა და დიპლომატიის კავშირი

დაზვერვისა და საგარეო საქმეთა უწყებების ურთიერთთანამშრომლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეროვნული ინტერესების დაცვის პროცესში. დაზვერვის სააგენტოს შეუძლია:

– საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის რეგიონული კონფლიქტებისა და გლობალური პოლიტიკური ტენდენციების შესახებ ანალიტიკური და ოპერატიული მასალის მიწოდება;

– დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირების ინიცირებისა და განმტკიცების მხარდაჭერა;

– უღიარებლობის პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა;

– საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს პოზიციების გაძლიერება;

– დიპლომატიური მისიებისა და წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

– საგარეო კონტრდაზვერვითი ოპერაციების ხელმძღვანელობა.

დაზვერვისა და საგარეო საქმეთა უწყებების კოორდინაცია აუცილებელია, რათა საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე უფრო მოქნილ და ეფექტიან მოთამაშედ იქცეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დაზვერვის სააგენტოს რესურსების, საერთაშორისო სადაზვერვო საზოგადოებაში არსებული ავტორიტეტისა და კავშირების გათვალისწინებით, აქვს შესაძლებლობა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციაში, იმუშაოს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ოკუპირებული ტერიტორიების უღიარებლობის პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერა, ცალკეულ სახელმწიფოსთან ურთიერთობების პოზიტიურ ჭრილში გადაყვანა, რაც ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის ასევე გამოწვევაა.

გამოწვევები და შესაძლებლობები

დაზვერვის, საერთაშორისო ასპარეზზე ეფექტური საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს:

- მტრულად განწყობილი სახელმწიფოების გავლენა;
- დეზინფორმაციული კამპანიები და უცხოელი აქტორების ჩარევა;
- შიდაპოლიტიკური არასტაბილურობის შექმნის მცდელობა (ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ საქართველოს მიმართ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ მავნებლური და პრესტიჟის შემლახველი ქმედებები);
- ტექნოლოგიური გამოწვევები (კიბერუსაფრთხოება);
- გეოპოლიტიკური დაძაბულობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გამოვლენა და გადაჭრა შესაძლებელია, ვინაიდან არსებობს ყველაზე მთავარი, ჯანსაღი სახელმწიფოებრივი მიდგომა ქვეყნის სპეცსამსახურებზე, მათ შორის, დაზვერვის სააგენტოს გასაძლიერებლად, როგორც ანალიტიკურ, ასევე ოპერატიულ დონეზე, რისთვისაც საჭიროა დაზვერვის სისტემის მუდმივ განვითარებასა და რეფორმირებაზე ზრუნვა,

მისთვის კვალიფიციური კადრების მოზიდვა და აღზრდა, ასევე – სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ზრუნვა მშვიდობის შესანარჩუნებლად.

დასკვნა

დაზვერვის სააგენტო არ უნდა იყოს მხოლოდ ინფორმაციის შემგროვებელი ინსტიტუტი (ძვირადღირებული ბიბლიოთეკა), არამედ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის აქტიური ინსტრუმენტი. მისი ფუნქციები უნდა ეფუძნებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. როდესაც არსებობს პოლიტიკური ნება, დაზვერვა შეიძლება იქცეს ძლიერ და ეფექტიან მექანიზმად, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმატებას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევად. საქართველოსთვის, როგორც პატარა სახელმწიფოსთვის, დაზვერვის ეფექტიანი გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასიმეტრიული საფრთხისას. ყოველივე ზემოაღნიშნული არის რეალური გარანტია დაზვერვის, როგორც საგარეო პოლიტიკის ძლიერ ინსტრუმენტად გარდასაქმნელად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კიკნაძე თ., კუხალაშვილი დ. – „პოსტსაბჭოთა ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო კონტურები“, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2024, ISBN 978-9941-8-7050-7.
2. Council on Foreign Relations. (n.d.). Tools of Foreign Policy: What Is Intelligence?
3. Kirchweger S. & Eder F. (2025). The role of intelligence agencies' international relations in foreign policy.
4. Marinho J. et al. (2024). The Role of Intelligence Services as Part of Foreign Policy. Diplomat Magazine.
5. Taylor Ch. (2023). Doing good deeds quietly: The rise of intelligence diplomacy. ASPI.

სოციალური ფაქტორების გავლენა კომუნიკაციურ სისტემებზე: საერთაშორისო და ქართული კვლევების შედარებითი ანალიზი

ირინე გოგიჩაიშვილი

სოციალური მეცნიერებების დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

gogichaishvili.irine24@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0001-7418-3028

DOI: 10.52340/splogos.2026.01.12

აბსტრაქტი

სტატია იკვლევს თანამედროვე კომუნიკაციის სოციალურ ფაქტორებს საერთაშორისო და ქართული კვლევების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. თეორიული ჩარჩო ეფუძნება იურგენ ჰაბერმასის, ირვინგ გოფმანისა და ნიკლას ლუმანის თეორიებს, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის მრავალგანზომილებიან ინტერპრეტაციას.

მეთოდოლოგიურად გამოყენებულია ანალიტიკური, შედარებითი, სისტემური და ექსტრაპოლაციური მიდგომები, რომელთა მეშვეობითაც საერთაშორისო კვლევების შედეგები ინტერპრეტაციულადაა ადაპტირებული ქართულ სოციალურ კონტექსტზე.

ინტეგრირებული ანალიზი აჩვენებს, რომ კომუნიკაციის სტრუქტურაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სოციალური უთანასწორობა, კულტურული კოდები და ციფრული წვდომა. ექსტრაპოლაციური მიდგომა იძლევა პროგნოზს გლობალური ტენდენციების გავრცელების შესახებ ქართულ საზოგადოებაში, სადაც კომუნიკაციის სისტემა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, სოციალური ფაქტორები, ექსტრაპოლაცია, დისკურსი, ციფრული ჩართულობა.

The Impact of Social Factors on Communication Systems: a Comparative Analysis of International and Georgian Studies

Irine Gogichaishvili
PhD Student of Political Science,
Georgian Technical University
gogichaishvili.irine24@gtu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0001-7418-3028

Abstract

This article analyzes the social factors shaping modern communication through a comparative perspective between international and Georgian studies. The framework draws on Jürgen Habermas, Erving Goffman, and Niklas Luhmann, enabling a multidimensional interpretation of communication. Analytical, comparative, systemic, and extrapolative methods are used to interpret and adapt international findings to the Georgian context.

The analysis reveals that communication structures are shaped by social inequality, cultural codes, and digital access. The extrapolative approach highlights the diffusion potential of global trends within Georgian society, where communication systems remain under formation.

Keywords: communication, social factors, extrapolation, discourse, digital inclusion.

თანამედროვე სამყაროში კომუნიკაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის სწრაფი მიმოცვლის მექანიზმს, არამედ სოციალურ პროცესს, რომლის სტრუქტურასა და დინამიკას განსაზღვრავს ზოგი სოციალური ფაქტორი. კომუნიკაციურ ქცევაზე გავლენას ახდენს **ასაკი და თაობათა სხვაობა,** რაც განსაზღვრავს როგორც ტექნოლოგიების გამოყენების უნარს, ისე საკომუნიკაციო არხების არჩევანს: ახალგაზრდები მეტად მიმართავენ ციფრულ პლატფორმებს,

ხოლო უფროსი თაობა – ტრადიციულ მედიას, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიურ ბარიერებსა და მედიაწიგნიერების დეფიციტთან. **გენდერული განსხვავებები** ასახავს კულტურულად ჩამოყალიბებულ როლებს: ქალები, როგორც კვლევები მიუთითებს, ხშირად იყენებენ კომუნიკაციას ემოციური ურთიერთობებისა და სოციალური მხარდაჭერის გასაძლიერებლად, მაშინ, როცა მამაკაცები უფრო ორიენტირებულნი არიან ინფორმაციულ და საჯარო დისკურსზე.

კომუნიკაციის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს **განათლების დონე,** რომელიც განსაზღვრავს როგორც ინფორმაციის კრიტიკული აღქმის უნარს, ისე მრავალარხიანი კომუნიკაციის შესაძლებლობას; შესაბამისად, განათლება პირდაპირ კავშირშია როგორც მედიაწიგნიერებასთან, ისე დისკურსულ ჩართულობასთან. სოციალური სტატუსი და პროფესიული გარემო ასევე ჩამოაყალიბებს კომუნიკაციურ უნარებსა და საჭიროებებს – მაღალი ეკონომიკური და პროფესიული რესურსები, როგორც წესი, უზრუნველყოფს ტექნოლოგიებზე უფრო ღრმა წვდომას და ციფრული ჩართულობის მაღალ დონეს, მაშინ, როცა დაბალი სტატუსი ხშირად დაკავშირებულია ინფორმაციული ბარიერებითა და შეზღუდული საკომუნიკაციო შესაძლებლობებით.

საბაზისო მნიშვნელობა აქვს **ციფრულ წვდომასა და ტექნოლოგიურ უნარებს,** რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში კომუნიკაციის წინაპირობად იქცა: ინფრასტრუქტურული შეზღუდვები, მოწყობილობების ხელმისაწვდომობა და ციფრულიწიგნიერების ნაკლებობა პირდაპირ ზღუდავს ინდივიდის უნარს სრულფასოვნად ჩაერთოს საინფორმაციო სივრცეში. ასევე, **სოციალური კაპიტალი** – სოციალური ქსელების სიმტკიცე და ურთიერთობების მრავალფეროვნება – ზრდის ინფორმაციის მიმოცვლის ინტენსივობას და ხელს უწყობს სოციალური ინტეგრაციის პროცესს, მაშინ როცა სუსტი ქსელები დაკავშირებულია ინფორმაციული იზოლაციის რისკთან.

მედიაგარემო და მედიაწიგნიერება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, როგორ აღიქვამენ ინდივიდები ციფრული მედიის შინაარსს: მაღალი მედია-კრიტიკული უნარი ამცირებს დეზინფორმაციისადმი მგრძნობელობას და

აყალიბებს უფრო სტაბილურ, დემოკრატიულ კომუნიკაციურ გარემოს. კულტურული ნორმები და ღირებულებები განსაზღვრავს საკომუნიკაციო ქცევის მოდელებსა და სოციალურ მოლოდინს – ინდივიდუალისტურ კულტურებში კომუნიკაციაში დომინირებს თვითგამოხატვა, ხოლო კოლექტივისტურ სივრცეში მნიშვნელობა ენიჭება ჰარმონიის შენარჩუნებასა და როლების სტაბილურობას.

ამ ფაქტორების ერთობლივი მოქმედება ქმნის ანალიტიკურ საფუძველს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კვლევების ინტერპრეტაცია და იმის შეფასება, თუ როგორ აყალიბებს სოციალური სტრუქტურა თანამედროვე საკომუნიკაციო პრიორიტეტებს და დისკურსის ფორმებს.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება მეორადი მონაცემების ანალიზს (სამაგიდო კვლევა), რომლის ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო და ეროვნული კვლევების სისტემური მიმოხილვა, შედარება და ინტერპრეტაცია. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა საშუალებას იძლევა, სოციალური ფაქტორების ზეგავლენა კომუნიკაციურ პროცესებზე შეფასდეს უკვე არსებული ემპირიული მონაცემების საფუძველზე, ახალი მონაცემების შეგროვების გარეშე. კვლევაში გამოყენებული მეორადი წყაროები განიხილება როგორც ანალიტიკური რესურსი, რომლის მეშვეობითაც გამოიკვეთება სოციალური ფაქტორების მოქმედების მექანიზმები სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში.

აღნიშნული სტატიის **სამეცნიერო სიახლე** ისაა, რომ იგი ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოში აერთიანებს გერმანელი სოციოლოგების იურგენ ჰაბერმასისა და ნიკლას ლუმანის და ამერიკელი სიოციოლოგის ირვინგ გოფმანის თეორიულ მიდგომებს და მათ საფუძველზე ახორციელებს თანამედროვე კომუნიკაციის სოციალური ფაქტორების ინტეგრირებულ ინტერპრეტაციას.

კვლევის სიახლე გამოიხატება ასევე საერთაშორისო და ქართული კვლევების ერთობლივ ანალიზში, რომლის საფუძველზეც გლობალური ტენდენციები შეფასებულია ქართულ სოციალურ კონტექსტში.

სტატიაში კომუნიკაციის სოციალური ფაქტორები გააზრებულია როგორც ურთიერთდაკავშირებული სისტემა, სადაც ასაკი, განათლება, სოციალური სტატუსი, გენდერი და ციფრული წვდომა ერთობლივად ახდენს გავლენას კომუნიკაციური სისტემების ფორმირებასა და დინამიკაზე.

თანამედროვე კომუნიკაციის სოციალური ფაქტორების შესასწავლად სტატიაში განვიხილავთ სამ ძირითად **საერთაშორისო კვლევას.** ესენია Quan-Haase, Harper & Wellman (2021)[154], "Pew Research Center" (2024)[155] და "*Digital 2025 Global Overview Report*"[156] ჩატარებული კვლევები. მათი შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს გლობალური ტენდენციები, რომლებიც შემდგომ ექსტრაპოლირებულია ქართულ სოციალურ კონტექსტზე.

Quan-Haase, Harper და Wellman-ის კვლევა "Communication in the Life Course: Social Support in East York" (2021) წარმოადგენს თვისებრივ ანალიზს ციფრულ ეპოქაში სოციალური ურთიერთობების შესასწავლად. კვლევა მოიცავდა 101 რესპონდენტს ტორონტოს "East York"-ის რაიონიდან და ეფუძნებოდა ნახევრადსტრუქტურირებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს. მიზანი იყო სოციალური მხარდაჭერის ფორმებისა და კომუნიკაციის არხების შეფასება თაობათა ჭრილში.[157]

მთავარმა მიგნებამ აჩვენა, რომ კომუნიკაციის არხების არჩევანი მჭიდროდაა დაკავშირებული ასაკთან: ახალგაზრდები ინტენსიურად იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს ("Facebook", "FaceTime", "Skype") თვითპრეზენტაციისა და სოციალური კავშირის გასაძლიერებლად, ხოლო ხანდაზმულები ამჯობინებენ

[154] *ანაბელ ქუან-ჰეისი – ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური ქსელებისა და ციფრული კომუნიკაციის მკვლევარი; ტიფანი ჰარპერი – კომუნიკაციის კვლევების სპეციალისტი; ბარი უელმანი – სოციოლოგი, სოციალური ქსელების ანალიზის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი.*

[155] "Pew Research Center" – დამოუკიდებელი ამერიკული კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სოციოლოგიურ, მედია და ტექნოლოგიური ტენდენციების მასშტაბურ გამოკითხვებს. 2024 წლის ანგარიში წარმოადგენს სოციალური მედიის გამოყენებისა და დემოგრაფიული სხვაობების რაოდენობრივ ანალიზს აშშ-ში.

[156] "Digital 2025 Global Overview Report" წარმოადგენს ყოველწლიურ საერთაშორისო მიმოხილვას, რომელსაც ამზადებენ "DataReportal, We Are Social და Meltwater". ანგარიში აერთიანებს გლობალური ციფრული ეკოსისტემის ძირითად ტენდენციებს, მათ შორის ინტერნეტზე წვდომის დინამიკას, სოციალური მედიის გამოყენების სტატისტიკას და მომხმარებელთა ქცევის ცვლილებების ანალიზს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით.

[157] Quan-Haase, Anabel, Harper, Todd, Welman, Barry 2021

სატელეფონო ზარებსა და პირად შეხვედრებს ტექნოლოგიური უნარის ნაკლებობის გამო.

გოფმანის დრამატურგიული მოდელის თვალსაზრისით, ახალგაზრდების ქცევა შეიძლება ჩაითვალოს სოციალური „სცენის“ ახალ ფორმად, სადაც თვითპრეზენტაცია იქცა კომუნიკაციის ძირითად მიზნად. ლუმანის სისტემური მიდგომა კი, ხანდაზმულთა ციფრულ ჩართულობას განმარტავს, როგორც სისტემურ ბარიერს – მათ ხშირად არ გააჩნიათ საჭირო „კოდები“ ციფრულ სისტემაში ეფექტური კომუნიკაციისთვის.[158] ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება ე. წ. "*warm experts*"-ების (ოჯახის წევრები, ახლობლები) როლი, რომლებიც ხელს უწყობენ ხანდაზმულთა ინტეგრაციას ტექნოლოგიურ გარემოში.

კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ სატელეფონო კომუნიკაცია რჩება ყველაზე ემოციურად მჭიდრო არხად ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ეს მიგნება თანხვდება ჰაბერმასის ხედვას, რომლის მიხედვითაც რეალური ურთიერთგაგება ხშირად მიიღწევა უშუალო, ორმხრივ ურთიერთობებში, ვიდრე ტექნოლოგიურად შუამავალ არხებში.[159]

საერთო ჯამში, Quan-Haase et al. (2021) ადასტურებს, რომ სოციალური ფაქტორები – ასაკი, სტატუსი და განათლება – განსაზღვრავს არა მხოლოდ კომუნიკაციის არხებს, არამედ თავად კომუნიკაციური ურთიერთობის შინაარსს. საშუალო ასაკის მონაწილეები ამ მხრივ წარმოადგენენ „გარდამავალ ფენას“, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ და ციფრულ კომუნიკაციურ ფორმებს – ეს კი, ასახავს ლუმანის სისტემურ ხედვას სოციალური სუბსისტემების ფუნქციურ ურთიერთგადაკვეთაზე.

ასევე მიმოვიხილავთ მეორე კვლევას, რომელიც "Pew Research Center"-მა 2024 წელს ჩაატარა. ეს მასშტაბური რაოდენობრივი კვლევა (N = 5,733) შეისწავლის სოციალური მედიის გამოყენების დემოგრაფიულ და ქცევით განსხვავებებს.

[158] Luhmann, Niklas. 1995. *Social Systems.* Stanford: Stanford University Press.

[159] Habermas, Jürgen. 1984. *The Theory of Communicative Action.* Boston: Beacon Press.

შედეგებმა ცხადყო, რომ ასაკი, განათლება და გენდერი გადამწყვეტ როლს ასრულებენ პლატფორმების შერჩევასა და გამოყენების ინტენსივობაში: "YouTube"-ს იყენებს აშშ-ის მოსახლეობის 83%, "TikTok"-ს – 62% ახალგაზრდების სეგმენტში, მაშინ როცა 65+ ასაკობრივ ჯგუფში მაჩვენებელი მხოლოდ 4%-ია.

ეს ასახავს იმ დისკურსულ უთანასწორობას, რასაც ჰაბერმასი აღწერს, როგორც ინფორმაციული თანასწორობის დეფიციტს – ასაკობრივი და ტექნოლოგიური სხვაობა ზღუდავს მოქალაქეთა მონაწილეობას საჯარო დისკურსში.

განათლების ფაქტორი კიდევ უფრო ამძაფრებს განსხვავებებს: „LinkedIn"-ის მომხმარებელთა უმეტესობა უმაღლესი განათლების მქონეა, ხოლო "Reddit"-ისა და X-ის აუდიტორია შედგება ინფორმაციულად აქტიური და კრიტიკულად მოაზროვნე ინდივიდებისგან. ჰაბერმასის თეორიის ჭრილში, ინტელექტუალური რესურსებით უზრუნველყოფილი ადამიანები უკეთ არიან პოზიციონირებულნი საჯარო კომუნიკაციის სივრცეში და ახდენენ დისკურსის ტონალური დომინირების ფორმირებას.

გენდერული განსხვავებები გამოიხატა კომუნიკაციის შინაარსშიც: ქალები მეტწილად იყენებენ ვიზუალურ თვითპრეზენტაციის პლატფორმებს ("Pinterest", "Instagram"), მამაკაცები კი – ინფორმაციულ და ანალიტიკურ სივრცეებს ("YouTube", "Reddit"). გოფმანის მიდგომით ეს ასახავს სოციალური როლების შესრულების განსხვავებულ სტრატეგიებს, სადაც გენდერული ნარატივები განსაზღვრავს თვითპრეზენტაციის სტილსა და მიზანს.

კვლევა ცხადყოფს, რომ ციფრული წიგნიერება და თაობათა განსხვავება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომუნიკაციურ ჩართულობაზე: ახალგაზრდებისთვის სოციალური მედია თვითრეალიზაციისა და იდენტობის კონსტრუირების ინსტრუმენტია, ხოლო უფროსი თაობისთვის – ინფორმაციის მიღების საშუალება. ლუმანის სისტემური ხედვით, ეს განსხვავება წარმოადგენს კომუნიკაციური სუბსისტემების კოდების ცვლას – ემოციური თვითგამოხატვისა და ინფორმაციული მიზნების თანაარსებობას.

საერთო ჯამში, “Pew Research Center“-ის კვლევა ადასტურებს, რომ სოციალური მედია იქცა არა მხოლოდ კომუნიკაციის არხად, არამედ სოციალურ სივრცედ, სადაც იდენტობა, სტატუსი და ჩართულობა ურთიერთდაკავშირებულად მოქმედებენ. ეს დასკვნა აერთიანებს ჰაბერმასის მაკროსოციალურ და გოფმანის მიკროსოციალურ პერსპექტივებს, აჩვენებს რა, რომ სოციალური ფაქტორები ქმნის კომუნიკაციის შინაარსობრივ სტრუქტურას და განსაზღვრავს ინდივიდთა პოზიციას თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში.

სწორედ ამ გლობალური ტენდენციების ფართო მასშტაბით გასააზრებლად მნიშვნელოვანია ისეთი კომპლექსური ანგარიშების განხილვა, როგორიცაა “Meltwater“-ისა და “We Are Social“-ის “Digital 2025 Global Overview Report“, რომელიც ციფრული კომუნიკაციის დინამიკას უკვე გლობალურ დონეზე ასახავს. ანგარიშის მიხედვით, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 5 მილიარდს აჭარბებს, ხოლო სოციალური მედიის მომხმარებლები 4.7 მილიარდზე მეტს შეადგენს, რაც მიუთითებს ციფრული კომუნიკაციის მასშტაბურ გავრცელებაზე.

ანგარიში ასევე აჩვენებს, რომ სოციალური მედია თანამედროვე საზოგადოებაში იქცა არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ სოციალური ინტერაქციის, თვითპრეზენტაციისა და ინფორმაციის გავრცელების ძირითად სივრცედ. ამ კონტექსტში ციფრული წვდომა და ტექნოლოგიური ჩართულობა განიხილება როგორც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის კომუნიკაციურ შესაძლებლობებსა და სოციალურ პოზიციას.

გლობალური ტენდენციების ეროვნულ დონეზე გააზრება საჭიროებს მათ ემპირიულ ხელახლა შემოწმებას კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში, რაც განაპირობებს ქართული მონაცემების ანალიზის აუცილებლობას. ქართული ემპირიული მონაცემების ანალიზი ეფუძნება სამ ძირითად წყაროს: 1) კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (“CRRC“) – კავკასიის ბარომეტრისა და მედიის კვლევას; 2) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კვლევებს ციფრულ ჩვევებზე და 3) სახალხო დამცველის ანგარიშებს, რომლებიც შეეხება ინფორმაციული თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის საკითხებს. მათი

შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში კომუნიკაციის სოციალურ სტრუქტურაზე გავლენას ახდენს როგორც ტექნოლოგიური, ისე კულტურული და ნორმატიული ფაქტორები.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (“CRRC“) კავკასიის ბარომეტრის კვლევის ბოლო მონაცემებით (2022–2024), მოსახლეობის 69% ძირითად ინფორმაციას იღებს ტელევიზიიდან, 22% – ონლაინ მედიიდან, ხოლო 19% – სოციალური ქსელებიდან.

ეს მიუთითებს, რომ ტრადიციული მედია კვლავ დომინირებს, თუმცა, ციფრული არხების გამოყენება მკვეთრად იზრდება ახალგაზრდებში (18–34 წელი). თაობათა შორის განსხვავება ცხადია: ახალგაზრდა თაობა ინტერნეტს იყენებს ახალი ამბების, კულტურული შინაარსისა და თვითგამოხატვისთვის, მაშინ როცა უფროსი ასაკის ჯგუფები (55+) უპირატესობას სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობას ანიჭებენ.

ჰაბერმასის თეორიის მიხედვით, ეს ასიმეტრია ასახავს საჯარო დისკურსში წვდომის უთანასწორობას – ტექნოლოგიური უნარი და სოციალური კაპიტალი განსაზღვრავს მოქალაქეთა მონაწილეობას კომუნიკაციურ სივრცეში. განათლების დონე პირდაპირ კავშირშია ინფორმაციის წყაროების მრავალფეროვნებასთან: უმაღლესი განათლების მქონე პირები იყენებენ მინიმუმ სამ არხს, მაშინ როცა საშუალო განათლების მქონე მოქალაქეები ხშირად შემოიფარგლებიან მხოლოდ ტელევიზიით. ეს ადასტურებს, რომ ინფორმაციული მრავალფეროვნება სოციალური კაპიტალის ფორმაა, ხოლო გოფმანის ხედვით – სოციალური როლების გაფართოების საშუალება: ინდივიდები, რომლებიც ერთდროულად მოქმედებენ მრავალ კომუნიკაციურ „სცენაზე“, უკეთ ახერხებენ საკუთარი პოზიციის დამკვიდრებას საზოგადოებრივ დისკურსში.

გენდერული სხვაობებიც შესამჩნევია: ქალები უფრო აქტიურები არიან სოციალურ ქსელებში ემოციური თვითგამოხატვის თვალსაზრისით, ხოლო მამაკაცები – პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დისკუსიებში. ეს ასახავს გოფმანის მიერ აღწერილ როლურ განსხვავებებს, სადაც სოციალური მოლოდინი განსაზღვრავს ქცევის სტილსა და თვითპრეზენტაციის ფორმას.

საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის (“GNCC“) კვლევების (“2023–2024“) მიხედვით, ინტერნეტზე წვდომა საქართველოს მოსახლეობის 88%-ს აქვს, თუმცა, ჩართულობის ხარისხი განსხვავდება რეგიონების, ასაკისა და სოციალური სტატუსის მიხედვით: დედაქალაქში – 95%, ქალაქებში – 91%, სოფლებში – მხოლოდ 72%.

ლუმანის სისტემური თეორიის მიხედვით, ეს განსხვავება ასახავს სოციალური სისტემის დიფერენცირებას: ციფრული რესურსების არათანაბარი განაწილება ქმნის „ჩაკეტილი სისტემების“ ჯიბეებს, სადაც ინფორმაცია ნაკლებად ცირკულირებს.

საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის ანგარიშების მიხედვით, ყველაზე პოპულარული პლატფორმებია “Facebook“ (77%), “YouTube“ (64%) და “TikTok“ (42%), ხოლო “Telegram“-ის გამოყენება იზრდება (22%-მდე). სოციალური ქსელები საქართველოში იქცა არა მხოლოდ გართობის, არამედ ინფორმაციული და პოლიტიკური კომუნიკაციის ინსტრუმენტად, რაც ადასტურებს ჰაბერმასის ხედვას საჯარო სივრცის ტრანსფორმაციაზე – მედია გადადის ტრადიციული მაუწყებლობიდან ინტერქტიულ და მოქალაქეზე ორიენტირებულ მოდელზე.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის 64%-ს არ აქვს მიღებული მედიაწიგნიერების განათლება, რაც ზრდის დეზინფორმაციისადმი მგრძნობელობას. ჰაბერმასის ტერმინოლოგიით, ეს წარმოადგენს „დისკურსულ დეფიციტს“, სადაც მოქალაქეები ვერ ახერხებენ კრიტიკულ მონაწილეობას საჯარო დისკუსიებში.
ამიტომ, ციფრული წვდომა განიხილება არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ სოციალურ ფაქტორად – დემოკრატიული ჩართულობის საფუძვლად.

სახალხო დამცველის ანგარიშები (2022–2024) წარმოაჩენს ინფორმაციული თანასწორობის სერიოზულ პრობლემებს რეგიონულ, გენდერულ და ეთნიკურ ჭრილში. სიღარიბე, განათლების დაბალი დონე და ენობრივი ბარიერები ზღუდავს მოქალაქეთა მონაწილეობას ციფრულ მედიასივრცეში. გენდერული ასპექტი განსაკუთრებით მწვავედ ჩანს რეგიონებში, სადაც ქალები ნაკლებად არიან

ჩართულნი საჯარო კომუნიკაციაში ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების გამო.

სახალხო დამცველის შეფასებით, აუცილებელია სახელმწიფო და არასამთავრობო დონეზე ინტერვენციები: მედიაწიგნიერების პროგრამების გაფართოება, რეგიონული ინტერნეტ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საინფორმაციო მრავალფეროვნების ხელშეწყობა. ეს მიზნები სრულად შეესაბამება ჰაბერმასის პრინციპს, რომლის თანახმადაც დემოკრატიული კომუნიკაცია მოითხოვს თანასწორ წვდომას ინფორმაციაზე და საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობას დისკურსში.

საერთაშორისო და ეროვნული კვლევების ანალიზი ცხადყოფს, რომ სოციალური ფაქტორები არა მხოლოდ თან ახლავს კომუნიკაციურ პროცესებს, არამედ უშუალოდ განსაზღვრავს მათ სტრუქტურას, ინტენსივობასა და ხარისხს. ასაკი და თაობათა განსხვავება ზეგავლენას ახდენს ციფრულ ჩართულობასა და საკომუნიკაციო არხების არჩევანზე; განათლების დონე განსაზღვრავს ინფორმაციის კრიტიკული აღქმის უნარსა და დისკურსულ სივრცეში მონაწილეობის ხარისხს; სოციალური სტატუსი და პროფესიული გარემო გავლენას ახდენს ტექნოლოგიურ რესურსზე წვდომასა და კომუნიკაციის შესაძლებლობებზე.

გენდერული ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თვითპრეზენტაციის ფორმებისა და საჯარო როლების განაწილებაში, ხოლო ციფრული წვდომა და მედიაწიგნიერება იქცევა კომუნიკაციური თანასწორობის ძირითად წინაპირობად. კვლევების მიხედვით, ამ ფაქტორების ერთობლივი მოქმედება განსაზღვრავს, ვინ და რა ფორმით შეძლებს ჩაერთოს თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცეში, რაც კომუნიკაციას გარდაქმნის სოციალური ინტეგრაციის ან, პირიქით, სოციალური გამორიცხვის მექანიზმად.

საერთაშორისო და ქართული კვლევების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სოციალური ფაქტორების გავლენა კომუნიკაციის სისტემებზე უნივერსალურია, თუმცა, მისი ინტენსივობა და ფორმა განსხვავდება კულტურულ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პირობებზე დამოკიდებულებით. გლობალურ დონეზე კომუნიკაცია თანდათან იქცა სოციალურ კაპიტალად – რესურსად,

რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის პოზიციას საზოგადოებრივ სივრცეში. საქართველოში კი კომუნიკაციის სოციალური ფუნქცია ჯერ კიდევ დიდწილად დამოკიდებულია ტრადიციულ მედიასა და ტექნოლოგიურ წვდომაზე, რაც ქმნის სისტემურ ასიმეტრიას.

“Quan-Haase et al“. (2021) და “CRRC“-ის მონაცემები აჩვენებს, რომ ასაკი ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია კომუნიკაციური ქცევისა. კანადასა და აშშ-ში ხანდაზმულთა ციფრული ინტეგრაცია მიმდინარეობს თანდათანობით, სოციალური მხარდაჭერის მეშვეობით, ხოლო საქართველოში მათი ჩართულობა კვლავ დაბალია და დამოკიდებულია პირად ინიციატივასა და გარემო ფაქტორზე. ლუმანის სისტემური ხედვით, ეს ასახავს კომუნიკაციური სისტემის ნაწილობრივ ჩაკეტილობას, სადაც გარკვეული სეგმენტები ინფორმაციულად იზოლირებულნი არიან.

ექსტრაპოლაციური ანალიზი მიუთითებს, რომ ამ პროცესის პროგრესისათვის აუცილებელია მიზნობრივი პოლიტიკა – ციფრული განათლებისა და სოციალური ჩართულობის ზრდა ხანდაზმულ მოსახლეობაში.

როგორც “Pew Research“ (2024), ისე “GNCC“-ის მონაცემები ადასტურებს, განათლება და სოციალური სტატუსი გავლენას ახდენს ციფრულ ჩართულობასა და ინფორმაციის დამუშავების უნარზე. აშშ-ში განათლება ქმნის დემოკრატიული მონაწილეობის სტრუქტურას, ხოლო საქართველოში განათლება და მედიაწიგნიერება ჯერ კიდევ ელიტური რესურსია, რომელიც ზღუდავს მოქალაქეთა მონაწილეობას საჯაროდისკურსში.

ჰაბერმასის თეორიის მიხედვით, ეს წარმოადგენს დისკურსულ უთანასწორობას – ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის უქონლობა აფერხებს კომუნიკაციის ნორმატიულ მიზანს. ექსტრაპოლაციურად, ამ განსხვავების დაძლევა მოითხოვს განათლებისა და ციფრული წიგნიერების სისტემურ ინტეგრაციას, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს თანასწორად ჩაერთოს გლობალურ კომუნიკაციურ დისკურსში.

გენდერული განსხვავებები საერთაშორისო და ადგილობრივ კონტექსტში ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფაქტორად რჩება. Pew Research-ისა და CRRC-ის მონაცემებით, ქალები უფრო მეტად იყენებენ ვიზუალურ თვითპრეზენტაციასა და სოციალურ ურთიერთობებზე დაფუძნებულ კომუნიკაციას, ხოლო მამაკაცები – ინფორმაციულ და პოლიტიკურ არხებს. თუმცა, საქართველოში ეს სხვაობა უფრო მკვეთრია, რადგან კულტურული ნორმები ქალთა როლს ხშირად განსაზღვრავენ კერძო სივრცეში. გოფმანის დრამატურგიული მიდგომით, ქალთა საჯარო „სცენა“ საქართველოში ჯერ კიდევ შეზღუდულია და დამოკიდებულია სოციალურ გარემოსა და ეკონომიკურ რესურსზე. გლობალური ტენდენციის ექსტრაპოლაცია მიუთითებს, რომ გენდერული ბალანსის გაუმჯობესება უკავშირდება ციფრული წვდომისა და განათლების დონის ზრდას – პროცესები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში უკვე გამყარებული, ხოლო საქართველოში – ფორმირების ეტაპზეა.

“GNCC“-ის კვლევების თანახმად, ინტერნეტზე წვდომა დედაქალაქსა და სოფელს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც ქმნის „ინფორმაციულ უფსკრულს“. ლუმანის თეორიის საფუძველზე, ეს ასახავს სისტემურ ჩაკეტილობას, სადაც ინფორმაციული ნაკადები არ არის თანაბრად განაწილებული. გლობალური გამოცდილება აჩვენებს, რომ დეცენტრალიზებული ინფრასტრუქტურა და საჯარო წვდომის პროგრამები ეფექტიანად ამცირებს ამ განსხვავებებს – პრინციპი, რომლის ექსტრაპოლაციაც საქართველოს შემთხვევაში მოითხოვს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის კოორდინაციას.

ჰაბერმასის თეორიის გამოყენებით ნათელია, რომ გლობალურ და ეროვნულ დონეზე კომუნიკაცია ტრადიციული მედიის დისკურსიდან თანდათან გადადის ინტერქტიულ, მოქალაქეზე ორიენტირებულ მოდელზე. თუმცა, განსხვავება დისკურსის ხარისხშია: დასავლურ საზოგადოებებში კომუნიკაცია ემყარება კრიტიკულ აზროვნებასა და მედიაწიგნიერებას, მაშინ როცა ქართულ სივრცეში დომინირებს ემოციური და პერსონალიზებული საუბრის ფორმები. ეს განსხვავება მიუთითებს, რომ გლობალური პრაქტიკების გადმოღება მოითხოვს კულტურულ ადაპტაციას – საჯარო დისკურსის გაძლიერება საქართველოში ვერ

განხორციელდება მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესით; აუცილებელია კრიტიკული აზროვნებისა და დიალოგური კულტურის განვითარება.

დასკვნა

შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ გლობალური ტენდენციების პირდაპირი ექსტრაპოლაცია ქართულ რეალობაზე შეუძლებელია შესაბამისი ინტერპრეტაციული ადაპტაციის გარეშე, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სპეციფიკას. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პარალელი: ასაკი და თაობათა განსხვავება განსაზღვრავს ციფრულ ჩართულობას; განათლება და სოციალური სტატუსი ქმნის ინფორმაციული შესაძლებლობების უთანასწორობას; გენდერული ფაქტორი გავლენას ახდენს თვითპრეზენტაციის ფორმებზე; ხოლო ციფრული წვდომა წარმოადგენს სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას.

კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოს კომუნიკაციური სისტემა ვითარდება გლობალური ტენდენციების პარალელურად, თუმცა, დროითი და სტრუქტურული ასიმეტრიებით. კომუნიკაცია თანამედროვე პირობებში გარდაიქმნა სოციალურ რესურსად, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის პოზიციას ინფორმაციულ სივრცეში, მაშინ, როცა ციფრული უთანასწორობა და მედიაწიგნიერების დეფიციტი კვლავ ზღუდავს სრულფასოვან ჩართულობას.

თეორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ კომუნიკაცია ერთდროულად მოქმედებს როგორც სოციალური ინტერაქციის, ისე სისტემური ორგანიზების მექანიზმად, რაც ხაზს უსვამს სოციალური ფაქტორების ურთიერთდაკავშირებულ და კომპლექსურ ბუნებას.

საბოლოოდ, კომუნიკაციური თანასწორობის მიღწევა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ხელმისაწვდომობას, არამედ სოციალური ჩართულობის კულტურის, კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერების განვითარებას. აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენს საფუძველს უფრო ინკლუზიური და თანასწორობაზე დაფუძნებული კომუნიკაციური გარემოს ჩამოყალიბებას საქართველოში.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაციის ფორმულირება. პირველ რიგში, პრიორიტეტული უნდა გახდეს მედიაწიგნიერებისა და ციფრული განათლების სისტემური ინტეგრაცია როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში, განსაკუთრებით ხანდაზმული და მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

მეორე მხრივ, აუცილებელია რეგიონული ციფრული ინფრასტრუქტურის გაძლიერება, რათა შემცირდეს ინფორმაციული უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა ჩართულობის ზრდას საჯარო და ციფრულ კომუნიკაციურ სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს გენდერული ასიმეტრიების შემცირებას.

აღნიშნული ნაბიჯები შექმნის საფუძველს უფრო ინკლუზიური, დემოკრატიული და თანასწორობაზე დაფუძნებული კომუნიკაციური გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც სოციალური ფაქტორი აღარ იქნება ბარიერი, არამედ რესურსი საზოგადოებრივი დისკურსის განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Caucasus Research Resource Centers (CRRC). 2024. *Caucasus Barometer 2022–2024: Media and Communication Indicators.* Research Report, Tbilisi: Caucasus Research Resource Centers (CRRC).

Georgian National Communications Commission (GNCC). 2024. *Annual Report on Media Consumption and Digital Inclusion in Georgia, 2023–2024.* Research Report, Tbilisi: Georgian National Communications Commission (GNCC).

Goffman, Erving. 1959. *The Presentation of Self in Everyday Life.* Garden City, NY: Doubleday.

Habermas, Jürgen. 1984. *The Theory of Communicative Action.* Boston: Beacon Press.

Luhmann, Niklas. 1995. *Social Systems.* Stanford: Stanford University Press.

Meltwater and We Are Social. 2025. *Digital 2025 Global Overview Report.* Research Report, Singapore: We Are Social.

Office of the Public Defender of Georgia (Ombudsman). 2024. *Equality and Access to Information: Annual Human Rights Report 2024.* Annual Report, Tbilisi: Office of the Public Defender of Georgia.

Pew Research Center. 2024. *Social Media Use in 2024.* Research Report, Pew Research Center: Washington, D.C.

Quan-Haase, Anabel, Harper, Todd, Welman, Barry. 2021. "Communication in the Life Course: Social Support in East York." *Canadian Journal of Communication* 46 (3): 521–544. doi:10.22230/cjc.2021v46n3a4001.

ხმა ქაღალდისა და ეთერის გარეშე

თამარ დოლაბერიძე

სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

dolaberidze.tamar@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0005-9076-7567

რუსუდან ლორთქიფანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

Rusudani.lortqifanidze@mail.ru

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0003-9983-9526

DOI: 10.52340/splogos.2026.01.13

აბსტრაქტი

სტატია იკვლევს ტრადიციული მედიის (გაზეთი და რადიო) ტრანსფორმაციისა და მარგინალიზაციის პროცესებს თანამედროვე ციფრული ეკოსისტემისას. ნაშრომის მიზანია გააანალიზოს მედიაპლატფორმების ცვლილების გავლენა საზოგადოების ფსიქო-სოციალურ განწყობაზე, განსაკუთრებით საგანგებო სიტუაციების დროს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მომზადებული სადოქტორო კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა რაოდენობრივმა გამოკითხვამ გამოავლინა შემდეგი სურათი: რესპონდენტთა 0% იყენებს ბეჭდურ მედიას, ხოლო მხოლოდ 3% მდე მიმართავს რადიოს ინფორმაციის მისაღებად. აუდიტორიის აბსოლუტური უმრავლესობა კონცენტრირებულია ინტერნეტ-პლატფორმებზე.

კვლევამ დაადასტურა ჰიპოთეზა, რომ ციფრულ სივრცეში დომინანტური, შოკსა და ტრავმაზე ორიენტირებული, ემოციური ნარატივები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ზრდის მოსახლეობის ფსიქოლოგიურ დისტრესს. სტატიაში

დასაბუთებულია, რომ ტრადიციული, რაციონალური საინფორმაციო ფილტრების შესუსტება მედიაბაზრის ეკონომიკური კრიზისის ფონზე, პირდაპირ საფრთხეს უქმნის საზოგადოების მენტალურ მდგრადობას. დასკვნის სახით შემოთავაზებულია მედიაპასუხისმგებლობისა და მედიაწიგნიერების ამაღლების სტრატეგიები კრიზისულ პერიოდში ნეგატიური გავლენის შესამცირებლად.

საკვანძო სიტყვები: ტრადიციული მედია, ციფრული ტრანსფორმაცია, ფსიქო-სოციალური განწყობა, მედიანარატივები, ფსიქოლოგიური დისტრესი.

A Voice without Paper and Ether

Tamar Dolaberidze,

PhD Student in International Relations

Georgian Technical University

dolaberidze.tamar@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0005-9076-7567

Rusudan Lortqifanidze

Associate Professor,

Georgian Technical University

Rusudani.lortqifanidze@mail.ru

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0003-9983-9526

Abstract

This article explores the processes of transformation and marginalization of traditional media (newspapers and radio) within the context of the modern digital ecosystem. The work aims to analyze the impact of changes in media platforms on the psycho-social well-being of society, particularly during emergencies.

A quantitative survey conducted as part of doctoral research at the Georgian Technical University reveals the following: 0% of respondents use print media, while only up to 3% turn to the radio for information. The absolute majority of the audience is concentrated on internet platforms.

The research confirmed the hypothesis that emotional narratives focused on shock and trauma in the digital space significantly increase psychological distress, anxiety, and social apathy among the population. The article argues that the weakening of traditional, rational information filters amidst the economic crisis of the media market poses a direct threat to the mental resilience of society.

In conclusion, strategies for increasing media responsibility and media literacy are proposed to mitigate negative influences during crisis periods.

Keywords: Traditional media, digital transformation, psycho-social state, media narratives, psychological distress.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევა ეყრდნობა რამდენიმე სხვადასხვა მეთოდის ერთობლიობას, რამაც საშუალება მოგვცა დაგვემტკიცებინა მედიის როლის ფუნდამენტური ცვლილება:

- რაოდენობრივი გამოკითხვა: ჩვენ გამოვკითხეთ 400-ზე მეტი ადამიანი, რათა გაგვეგო, რეალურად როგორ იღებენ ისინი ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების დროს. სწორედ ამ გამოკითხვამ აჩვენა, რომ გაზეთსა და რადიოს, როგორც ინფორმაციის პირველად წყაროს, ხალხი აღარ იყენებს;
- **ოფიციალური მონაცემების შესწავლა:** ჩვენ გამოვიყენეთ კომუნიკაციების კომისიის (“ComCom“), “Reuters“-ის ინსტიტუტისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკა. ამ მონაცემებმა დაგვიდასტურა,

რომ მედიის შემოსავლები რეკლამიდან შემცირდა და ინტერნეტში გადაინაცვლა;

- **სიღრმისეული ინტერვიუები:** ვესაუბრეთ მედიის ექსპერტებს, რაც დაგვეხმარა გაგვეგო ის „უხილავი“ პროცესები, როგორიცაა რეკლამის სტატიებში ჩამალვა და ინფორმაციის ხელახალი შემოწმების ხარისხის დაცემა.

ეს მიდგომა დაგვეხმარა დაგვემტკიცებინა, რომ მედიის ტრანსფორმაცია მხოლოდ ტექნიკური სიახლე არ არის; პროცესი, სადაც გაზეთმა და რადიომ დაკარგეს თავისი მთავარი საქმე – ინფორმაციის გადარჩევა და ხალხისთვის სწორად მიწოდება.

კვლევის თეორიული ჩარჩო

ჩვენი ნაშრომი ეყრდნობა რამდენიმე მთავარ თეორიას, რომლებიც ხსნის, თუ რატომ დაკარგა ტრადიციულმა მედიამ ძველი ფუნქცია:

- **ქსელური საზოგადოების თეორია (მანუელ კასტელსი):** ეს თეორია გვეუბნება, რომ ინტერნეტმა შეცვალა არა მხოლოდ ის, თუ როგორ ვკითხულობთ ამბებს, არამედ ისიც, თუ როგორ ვურთიერთობთ ერთმანეთთან. მედია გახდა ერთიანი ქსელის ნაწილი, სადაც გაზეთი და რადიო ცალკე აღარ აღიქმება;
- **ინფორმაციული ფილტრის (“Gatekeeping“) თეორია:** ადრე რედაქტორები იყვნენ „კარიბჭის მცველები“, რომლებიც წყვეტდნენ, რა იყო მართალი და რა ტყუილი. დღეს ეს ბარიერი მოხსნილია, ამან გამოიწვია ინფორმაციის ქაოტური გავრცელება და სიმართლის დადგენის გართულება;
- **მედიის ეკონომიკური კრიზისის თეორია (რობერტ მაკჩესნი):** ეს თეორია ხსნის, რომ ინტერნეტმა ჟურნალისტიკას წაართვა მთავარი შემოსავალი – რეკლამა. ამის გამო, მედია იძულებული გახდა, გადარჩენისთვის სხვა გზები ეძებნა, მაგალითად, სტატიებში რეკლამის ჩამალვა;
- **ინფორმაციული ნაკადის ცვლილება (სტივენ კუშიონი):** თეორიულად დასაბუთებულია, რომ ჩვენ გადავედით ამბების პერიოდული მიღებიდან

(მაგალითად, დილის გაზეთი) „უწყვეტ საინფორმაციო ნაკადზე“. ამ სისწრაფეში ტრადიციულმა მედიამ დაკარგა თავისი მთავარი იარაღი – დაფიქრებული და გაანალიზებული ინფორმაციის მიწოდება.

ეს მიდგომები გვეხმარება, დავინახოთ, რომ გაზეთისა და რადიოს „გაუფასურება“ არ არის შემთხვევითი, ეს არის ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროცესების შედეგი, რამაც მედიას თავისი მთავარი ფუნქცია დაუკარგა.

სამეცნიერო სიახლე

კვლევამ აჩვენა, რომ ტრადიციულმა მედიამ (გაზეთმა და რადიომ) დაკარგა თავისი ძველი როლი. სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. **ინფორმაციის გადარჩევის ფუნქციის გაქრობა:** ადრე გაზეთისა და რადიოს მთავარი საქმე ინფორმაციის შემოწმება და მნიშვნელოვანი ამბების შერჩევა იყო. დღეს ეს ფუნქცია შესუსტდა. ამ დროს კი ინტერნეტში ინფორმაცია დაუზუსტებლად და ქაოტურად ვრცელდება;
2. **პირველადი წყაროს სტატუსის დაკარგვა:** ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, რომ ხალხი ახალ ამბებს პირველად ინტერნეტში იგებს. გაზეთი და რადიო ინფორმაციის მისაღებად აღარ გამოიყენება;
3. **დამოუკიდებლობის შესუსტება შემოსავლების გამო:** რადგან გაზეთებსა და რადიოს ფული აღარ აქვთ, მათ დაიწყეს რეკლამის სტატიებში ჩამალვა ან ფასიანი მომსახურების დაწესება. ეს ცვლის ჟურნალისტიკის არსს – ის ხდება არა საზოგადოების სამსახური, არამედ ბიზნესზე ორიენტირებული პლატფორმა;
4. **მედიის სახეების გაერთიანება:** გაზეთი, რადიო და ტელევიზია აღარ არსებობს ცალ-ცალკე. ისინი ერთიან ციფრულ სივრცეში გადავიდნენ, სადაც ტექსტი, ხმა და ვიზუალი ერთმანეთს შეერწყა. ამან მედიას თავისი ინდივიდუალური სახე დაუკარგა.

ნაშრომის აქტუალობა

ჩვენი კვლევის მთავარი პრობლემა არის ის, რომ ტრადიციულმა მედიამ (გაზეთმა და რადიომ) დაკარგა თავისი ფუნდამენტური დანიშნულება, რამაც საზოგადოება საინფორმაციო ქაოსის წინაშე დატოვა. პრობლემა რამდენიმე ნაწილისგან შედგება:

1. **ნდობისა და ხარისხის კრიზისი:** მას შემდეგ, რაც გაზეთები და რადიო აღარ არის ინფორმაციის მთავარი წყარო, გაქრა ხარისხის კონტროლი. ინტერნეტში ინფორმაცია ვრცელდება შემოწმების გარეშე, რაც ხალხს აბნევს და სიმართლის დადგენას შეუძლებელს ხდის;
2. **ინფორმაციის ფასი და დამალული ინტერესი:** მედიის ეკონომიკურმა ჩამოშლამ წარმოშვა ახალი პრობლემა „ფარული რეკლამა“. როდესაც მედია გადარჩენისთვის რეკლამას სტატიაში მალავს, ის კარგავს ობიექტურობას. მკითხველი ვეღარ ხვდება, რეალურ ამბავს კითხულობს თუ ვიღაცის მიერ შეკვეთილ ინფორმაციას;
3. **მედიის სახის დაკარგვა:** ციფრულმა ეპოქამ გააუქმა ზღვარი გაზეთს, რადიოსა და ტელევიზიას შორის. ყველაფერი ერთიან პლატფორმებზე აირია, სადაც პროფესიული ჟურნალისტიკა ხშირად იკარგება გასართობ და არასერიოზულ შინაარსში.
4. **მოსახლეობის დაუცველობა კრიზისის დროს:** საგანგებო სიტუაციების დროს (ომი, პანდემია) ტრადიციული მედიის დასუსტება პირდაპირ აისახება ხალხის განწყობაზე. ინფორმაციის პირველადი წყაროს გარეშე დარჩენილი საზოგადოება უფრო მარტივად ხდება დეზინფორმაციის მსხვერპლი.

მოკლედ რომ ვთქვათ: პრობლემა ის კი არ არის, რომ გაზეთი აღარ იბეჭდება ან რადიოს ნაკლები ადამიანი უსმენს, არამედ ის, რომ მათთან ერთად გაქრა სანდო ინფორმაციის მიღების გარანტია.

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მიღების ფორმები რადიკალურად შეიცვალა. ციფრულმა ეპოქამ ტრადიციული მედია, გაზეთი და რადიო, ახალი რეალობის წინაშე დააყენა. თუ ადრე ეს პლატფორმები საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მთავარი ინსტრუმენტები იყო, დღეს მათი როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად შესუსტდა. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს სწორედ ამ ტრანსფორმაციის გაანალიზებას და იმის ჩვენებას, თუ როგორ იცვლება მედიის ფუნქცია ინტერნეტ-ტექნოლოგიების ზეწოლის შედეგად.

ჩვენი კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მედიაპლატფორმების ცვლილება პირდაპირ აისახება საზოგადოების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე. ტრადიციული საინფორმაციო ფილტრების შესუსტებამ და ეკონომიკურმა კრიზისმა მედია აიძულა, გადარჩენის ახალი, ხშირად არაეთიკური გზები ეძებნა. ეს პროცესი არ ნიშნავს მედიის უბრალო გაქრობას, არამედ მის რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ტრანსფორმაციას.

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ გადავიდა აუდიტორია ინტერნეტ-სივრცეში, სადაც ინფორმაციის შემოწმების სტანდარტი დაბალია, ხოლო ემოციური და შოკისმომგვრელი ნარატივების გავლენა დიდი. ჩვენი მიზანია დავასაბუთოთ, რომ გაზეთისა და რადიოს ფუნქციური ცვლილება მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლე არ არის, არამედ ეს არის ფუნდამენტური გარდატეხა, რომელიც საზოგადოებისგან ახალ მედიაწიგნიერებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ტრადიციული მედია ახალი რეალობის წინაშე

XXI საუკუნის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც „ციფრული რევოლუციის“ ხანა, რომელმაც ფუნდამენტურად შეცვალა ინფორმაციის შექმნის, გავრცელებისა და მოხმარების პარადიგმა. ტრადიციული მედია – ბეჭდური პრესა და რადიომაუწყებლობა – რომლებიც ათწლეულების განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მთავარი ინსტრუმენტი იყო, აღმოჩნდა ეგზისტენციალური გამოწვევის წინაშე. ინტერნეტის

ხელმისაწვდომობამ და სოციალური პლატფორმების დომინირებამ გამოიწვია მედიის ერთ ციფრულ სივრცედ გაერთიანება, სადაც ძველი და ახალი მედიაფორმები ერთმანეთს ერწყმის და კონკურენციას უწევს.[160]

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ის სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებები, რაც განიცადა ტრადიციულმა მედიამ ციფრული ტექნოლოგიების ზეწოლის შედეგად. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, ტრადიციული მედიის კრიზისი არ ნიშნავს მის გაქრობას, არამედ მის ტრანსფორმაციას ახალ, უფრო დინამიკურ ფორმატში, თუმცა, ეს პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჟურნალისტური სტანდარტების ეროზიასა და ეკონომიკურ არასტაბილურობასთან.

მედიის ისტორიაში ტექნოლოგიური პროგრესი ყოველთვის იყო ცვლილებების კატალიზატორი, თუმცა, ციფრულმა ეპოქამ ეს პროცესი არნახულად დააჩქარა. მანუელ კასტელსი თავის ნაშრომში „ქსელური საზოგადოების აღზევება“ აღნიშნავს, რომ ახალი ტექნოლოგიური პარადიგმა არ ეხება მხოლოდ იმას, თუ რას

ვაკეთებთ, არამედ იმას, თუ ვინ ვართ ჩვენ, როგორც კომუნიკაციის მონაწილენი.[161]

ბეჭდური მედიისათვის ეს ცვლილება ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა. თუ ადრე გაზეთი იყო ინფორმაციის ერთადერთი და სარწმუნო წყარო, დღეს მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს „მყისიერ ინფორმაციას“ (“Instant News“), რომელსაც ის სოციალური ქსელების საშუალებით იღებს. სტივენ კუშიონი

[160] Henry Jenkins, *Convergence Culture: Where Old and New Media Collide* (New York: New York University Press, 2006), 2-3.

[161] Manuel Castells, *The Rise of the Network Society* (Oxford: Blackwell, 2010), 31.

განმარტავს, რომ ამან გამოიწვია გადასვლა „24-საათიანი ახალი ამბების ციკლიდან“ „უწყვეტ საინფორმაციო ნაკადზე“.[162]

ტრადიციული რადიო, რომელიც ოდესღაც ეთერის მონოპოლისტი იყო, დღეს კონკურენციას უწევს პოდკასტინგს და ონლაინ სტრიმინგ პლატფორმებს. ეს პროცესი არ არის მხოლოდ ფორმატის ცვლილება; ეს არის აუდიტორიის ფრაგმენტაცია, სადაც მასობრივი აუდიტორია იცვლება ვიწრო, ინტერესებზე დაფუძნებული ჯგუფებით.[163]

ტრადიციული მედიის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ასპექტი ფინანსური დესტაბილიზაციაა. ათწლეულების განმავლობაში გაზეთებისა და რადიოსადგურების არსებობის მთავარი წყარო სარეკლამო შემოსავლები იყო. თუმცა, ციფრულმა ეპოქამ ეს მოდელი დაანგრია. რობერტ მაკჩესნი თავის ნაშრომში “Digital Disconnect“ აღნიშნავს, რომ ინტერნეტმა არათუ გადაარჩინა ჟურნალისტიკა, არამედ წაართვა მას ეკონომიკური საფუძველი, რადგან სარეკლამო შემოსავლების უდიდესი ნაწილი ტექნოლოგიურ გიგანტებზე

“Google“-სა და “Meta“-ზე (“Facebook“) გადაინაცვლა.[164]

ამ პროცესმა მედია ორგანიზაციები აიძულა ეძებნათ გადარჩენის ახალი გზები:

1. **ინტერნეტ-გამოცემების ფასიანი მომსახურება:** მას შემდეგ, რაც გაზეთებმა და ჟურნალებმა ინტერნეტში გადაინაცვლეს, მათი სტატიების ნაწილი ფასიანი გახადეს. მაგალითად, ისეთი მსოფლიო გიგანტები, როგორიცაა “*The New York Times“*, მკითხველს სტატიის სრულად წასაკითხად ფულს სთხოვენ

[162] Stephen Cushion, *The Democratic Value of News: Why Public Service Media Matter* (London: Palgrave Macmillan, 2012), 45.

[163] John V. Pavlik, *Journalism and New Media* (New York: Columbia University Press, 2001), 118.

[164] Robert W. McChesney, *Digital Disconnect: How Capitalism Is Turning the Internet Against Democracy* (New York: New Press, 2013), 174-175.

(ციფრული გამოწერა) თუმცა, მცირე მედიისთვის ეს მოდელი ნაკლებეფექტური აღმოჩნდა;[165]

2. **„არაპირდაპირი რეკლამა“** გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მკითხველი ენდობა ინფორმაციას, თუმცა, ის სინამდვილეში მხოლოდ კომერციული შეკვეთაა. მაგალითად, ჯანმრთელობის შესახებ მომზადებულ სერიოზულ სტატიაში შესაძლოა ჩაიმალოს კონკრეტული ბრენდის ვიტამინის რეკომენდაცია. მომხმარებელს ეს ჟურნალისტის ობიექტური რჩევა ჰგონია, მაშინ, როცა მედიასაშუალებამ ამ წინადადების ტექსტში ინტეგრირებისთვის ფინანსური სარგებელი მიიღო. ფინანსური დეფიციტის შესავსებად, მედიამ დაიწყო სარეკლამო და სარედაქციო მასალების აღრევა, რაც ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ობიექტურობას.[166]

ეკონომიკური წნეხი პირდაპირ აისახება შინაარსის ხარისხზე. როდესაც მედიის გადარჩენა დამოკიდებულია „ნახვის“ (“Clicks“) რაოდენობაზე, ხდება გადასვლა სერიოზული ანალიტიკური ჟურნალისტიკიდან სენსაციალიზმსა და ე. წ. “Clickbait“ სათაურებზე;[167]

3. ჟურნალისტური დამოუკიდებლობა და ინფორმაციის შემოწმების პრობლემა

ციფრული ეპოქის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ინფორმაციის გადამოწმების პროფესიული სტანდარტის შესუსტებაა. თუ ტრადიციულ მედიაში არსებობდა „კარიბჭის მცველის“ (“Gatekeeping“) ფუნქცია – რედაქტორთა ჯგუფი, რომელიც ფილტრავდა ინფორმაციას, სოციალურმა მედიამ ეს ბარიერი მოხსნა.[168]

დღეს ნებისმიერი მომხმარებელი ინფორმაციის წყაროა. ამან გამოიწვია „პოსტ-სიმართლის“ (“Post-truth“) ფენომენის აღზევება, სადაც ემოციურ მიმართვებს უფრო მეტი გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე, ვიდრე ობიექტურ

[165] Nic Newman, *Reuters Institute Digital News Report 2023* (Oxford: Reuters Institute for the Study of Journalism, 2023), 22.

[166] Cushion, *The Democratic Value of News*, 89.

[167] Pavlik, *Journalism and New Media*, 142.

[168] Pamela J. Shoemaker and Tim P. Vos, *Gatekeeping Theory* (New York: Routledge, 2009), 33.

ფაქტებს. ნიკ ნიუმენი როიტერის ინსტიტუტის კვლევაში ხაზს უსვამს, რომ ტრადიციული მედიის მიმართ ნდობა კლებულობს სწორედ იმის გამო, რომ მათ უჭირთ კონკურენცია გაუწიონ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ სწრაფ, ხშირად მანიპულაციურ ნარატივებს.[169]

პარალელურად, იზრდება მედიის პოლარიზაცია. ფინანსური დამოკიდებულება კონკრეტულ ბიზნეს- ან პოლიტიკურ ჯგუფებზე აიძულებს ტრადიციულ მედიას, გახდეს მხარე, რაც კიდევ უფრო ასუსტებს მის როლს, როგორც დემოკრატიის „დარაჯის“.[170]

მედიამოხმარების ტენდენციები: კვლევები და სტატისტიკური ანალიზი

ტრადიციული მედიის ტრანსფორმაციის მასშტაბების გასაგებად აუცილებელია ციფრული მონაცემების ანალიზი. როიტერის ინსტიტუტის (“Reuters Institute“) 2023 წლის ანგარიშის თანახმად, გლობალურად გამოკითხულთა მხოლოდ **22%** ამჯობინებს ახალი ამბების მიღებას უშუალოდ მედიის ვებგვერდებიდან ან აპლიკაციებიდან, რაც 2018 წელთან შედარებით 10 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.[171] ამავე კვლევით, სოციალური მედია გახდა ინფორმაციის პირველადი წყარო რესპონდენტთა **48%**-ისათვის.

4.1. ქართული მედიაბაზრის სპეციფიკა:

საქართველოში სურათი კიდევ უფრო დრამატულია. “NDI“-ისა და “CRRC“-ის 2022-2023 წლების კვლევების თანახმად:

[169] Newman, *Digital News Report 2023*, 15.

[170] Castells, *The Rise of the Network Society*, 412.

[171] Nic Newman, *Reuters Institute Digital News Report 2023* (Oxford: Reuters Institute for the Study of Journalism, 2023), 11-12.

- **ტელევიზია:** კვლავ რჩება ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ მოსახლეობის **53-55%**-ისათვის, თუმცა, ეს მაჩვენებელი 2014 წელს **85%**-ს შეადგენდა.[172]
- **ინტერნეტი და სოციალური ქსელები:** მეორე ადგილზეა და მოსახლეობის **35-40%** მას ყოველდღიურად იყენებს ახალი ამბების გასაგებად.
- **ბეჭდური მედია:** საქართველოში გაზეთებისა და ჟურნალების მოხმარება კრიტიკულ ნიშნულზეა – მოსახლეობის მხოლოდ **1-2%** ასახელებს მას ინფორმაციის წყაროდ.[173]

4.2. სარეკლამო შემოსავლების დინამიკა

ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოში კომუნიკაციების კომისიის ("ComCom") მონაცემებით, ბოლო 5 წელიწადში ტრადიციული მაუწყებლების (ტელე-რადიო) სარეკლამო შემოსავლები სტაგნაციას განიცდის, მაშინ როცა ციფრული რეკლამის ბაზარი ყოველწლიურად საშუალოდ **15-20%**-ით იზრდება.[174]

ეს ნიშნავს, რომ ფინანსური რესურსი მიყვება აუდიტორიას, რაც ტრადიციულ მედიას მწვავე დეფიციტის წინაშე აყენებს.

4.3. ნდობის ფაქტორი

კვლევები აჩვენებს პარადოქსულ სურათს: მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედია უფრო პოპულარულია, მასზე ნდობის ხარისხი გაცილებით დაბალია (**დაახლოებით 25%**), ვიდრე ტრადიციული ბრენდების მიმართ (**დაახლოებით 40-45%**).[175] ეს მიუთითებს იმაზე, რომ მომხმარებელი სოციალურ

[172] Nic Newman, *Reuters Institute Digital News Report 2023* (Oxford: Reuters Institute for the Study of Journalism, 2023), 11-12.

[173] CRRC Georgia, *Caucasus Barometer 2022 Georgia* (Tbilisi, 2022).

[174] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, *წლიური ანგარიში 2022* (თბილისი, 2023), 85-87.

[175] Newman, *Digital News Report 2023*, 19.

ქსელს იყენებს სისწრაფისთვის, ხოლო ტრადიციულ მედიას – ინფორმაციის ვერიფიკაციისთვის.

ემპირიული კვლევა: მედიანარატივების გავლენა და მოხმარების პარადიგმა

ავტორის მიერ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მომზადებული სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, კვლევამ გამოავლინა ტრადიციული მედიის (ბეჭდური პრესა და რადიო) სრული მარგინალიზაცია თანამედროვე საინფორმაციო ველში:

- **ბეჭდური მედიის:** 400-ზე მეტი რესპონდენტიდან **არცერთმა (0%)** არ დაასახელა გაზეთი ან ჟურნალი ინფორმაციის წყაროდ საგანგებო სიტუაციების დროს.
- **რადიოს მინიმალური გავლენა:** რადიოინფორმაციის წყაროდ, საგანგებო სიტუაციების დროს მხოლოდ **3%-მდე** მონიშნა.
- **დომინანტური სეგმენტი:** რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა – **97.2%** – ინფორმაციას მხოლოდ ტელევიზიისა და ინტერნეტ-პლატფორმების საშუალებით იღებს.

თამარ დოლაბერიძე აღნიშნავს, რომ ეს სტატისტიკა პირდაპირ კავშირშია საზოგადოების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობასთან. როდესაც აუდიტორია თითქმის 100%-ით კონცენტრირებულია ისეთ მედიაარხებში, სადაც ინფორმაციის მიწოდება ხდება ვიზუალური შოკისა და სენსაციური ნარატივების მეშვეობით, საზოგადოების ფსიქოლოგიური დისტრესის დონე საგანგებო სიტუაციების დროს მკვეთრად იზრდება. ბეჭდური მედიის ნულოვანი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ მომხმარებელს აღარ გააჩნია წვდომა რაციონალურ ინფორმაციაზე, რაც მას ემოციური გადაწვისგან დაიცავდა.[176]

[176] National Democratic Institute (NDI). Public Opinion in Georgia, March 2023. Tbilisi: CRRC Georgia, 2023, 34.

დასკვნა

ჩვენი შეხედულებით, ტრადიციული მედიის ტრანსფორმაცია ციფრული ეპოქის ზეწოლის ქვეშ არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნოლოგიურ გადაინაცვლებას; ეს არის ფუნდამენტური სოციალური და ფსიქოლოგიური გარდატეხა, რომელმაც საზოგადოება ინფორმაციის მიღების სრულიად ახალი პარადიგმის წინაშე დააყენა. წინამდებარე სტატიაში განხილულმა თეორიულმა ბაზამ და ჩატარებულმა კვლევამ და თეორიულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეტანა დასკვნა, რომელიც ტრადიციული მედიის (გაზეთი და რადიო) ახალ რეალობას ასახავს:

- **ფუნქციური ტრანსფორმაცია:** ჩვენ დავადასტურეთ, რომ გაზეთმა და რადიომ დაკარგეს თავისი უმთავრესი – ინფორმაციის „ფილტრის“ როლი. დღეს მედია აღარ არის ამბების გადამრჩევი; ის გახდა უწყვეტი და ხშირად ქაოტური საინფორმაციო ნაკადის ნაწილი, სადაც პროფესიული რედაქტირება მინიმუმამდეა დაყვანილი.
- **პირველადი წყაროს სტატუსის დაკარგვა:** კვლევამ აჩვენა, რომ ინფორმაციის მისაღებად ბეჭდურ მედიას რესპონდენტთა 0% იყენებს, ხოლო რადიოს – მხოლოდ 3%. ეს ნიშნავს, რომ ტრადიციულმა ფორმატებმა დაკარგეს ოპერატიულობა და ისინი ხალხისთვის აღარ აღიქმებიან ახალი ამბების პირველად წყაროდ.
- **ეკონომიკური იძულება და ობიექტურობის რისკი:** სარეკლამო შემოსავლების ინტერნეტ-გიგანტებზე გადასვლამ მედია გადარჩენის კრიზისის წინაშე დააყენა. ამან წარმოშვა „არაპირდაპირი რეკლამის“ პრობლემა, როდესაც ფინანსური სარგებლის გამო ხდება სარედაქციო და კომერციული მასალების აღრევა, რაც პირდაპირ აზიანებს ჟურნალისტურ დამოუკიდებლობას.
- **მედიის სახის გაუფასურება:** ციფრულმა კონვერგენციამ წაშალა ზღვარი მედიის სხვადასხვა ფორმებს შორის. გაზეთი და რადიო აღარ არსებობს როგორც დამოუკიდებელი ძალა – ისინი ინტერნეტსივრცის ნაწილებად იქცნენ, სადაც ხშირად სენსაციალიზმი უფრო ფასობს, ვიდრე ხარისხიანი ანალიზი.

საბოლოო ჯამში, მედიის მომავალი დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ადაპტაციაზე, არამედ იმ ფუნდამენტური ფუნქციების დაბრუნებაზე, როგორიცაა ინფორმაციის შემოწმება და ეთიკური ჟურნალისტიკა. აუცილებელია საზოგადოების მედიაწიგნიერების ამაღლება, რათა ციფრულ ქაოსში დაცული იყოს მომხმარებლის უფლება – მიიღოს მართალი და გააზრებული ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში 2022. თბილისი, 2023.
2. Castells, Manuel. The Rise of the Network Society. 2nd ed. Oxford: Blackwell, 2010.
3. CRRC Georgia. Caucasus Barometer 2022 Georgia. Tbilisi, 2022. [Online resource].
4. Cushion, Stephen. The Democratic Value of News: Why Public Service Media Matter. London: Palgrave Macmillan, 2012.
5. Jenkins, Henry. Convergence Culture: Where Old and New Media Collide. New York: New York University Press, 2006.
6. McChesney, Robert W. Digital Disconnect: How Capitalism Is Turning the Internet Against Democracy. New York: New York Press, 2013.
7. National Democratic Institute (NDI). Public Opinion in Georgia, March 2023. Tbilisi: CRRC Georgia, 2023.
8. Newman, Nic, et al. Reuters Institute Digital News Report 2023. Oxford: Reuters Institute for the Study of Journalism, 2023.
9. Pavlik, John V. Journalism and New Media. New York: Columbia University Press, 2001.
10. Shoemaker, Pamela J. and Tim P. Vos. Gatekeeping Theory. New York: Routledge, 2009.

ბიოტერორიზმი და არასახელმწიფო აგრესიული აქტორებისაგან მომდინარე საფრთხე

მაია კაპანაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

maia.kapanadze.1@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0006-1426-4113

DOI: 10.52340/splogos.2026.01.14

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ბიოტერორიზმისგან და არასახელმწიფო აგრესიული აქტორებისაგან მომდინარე სხვადასხვა საფრთხე საერთაშორისო პოლიტიკაში. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე იზრდება საფრთხის განზომილება. საერთაშორისო ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, ასიმეტრიული საფრთხე, საინფორმაციო ომი და ბიოტერორიზმი მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებთან ერთად წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას გლობალური უსაფრთხოებისათვის. სულ უფრო იზრდება აგრესიული არასახელმწიფო აქტორებისგან მომდინარე მრავალი საფრთხის მასშტაბები. ბიოლოგიური ტერორიზმის შედეგად შესაძლებელია გლობალური მასშტაბის საფრთხის გამოწვევა, რაც დაკავშირებულია მრავალ სფეროსა და დარგთან. ამით პარალიზება მოხდება და ასევე დაავადებებთან ერთად უდიდესი მსხვერლი მოჰყვება. სწორედ „COVID“-19-ის პანდემიამ დაანახა მთელ მსოფლიოს, თუ როგორ სწრაფად არის შესაძლებელი ბიოლოგიური აგენტის გავრცელება და როგორი უმართვი შეიძლება იყოს. ნაშრომის მიზანია ბიოტერორიზმისა და არასახელმწიფო აგრესიული აქტორებისგან მომდინარე საფრთხის წარმოჩენა საერთაშორისო პოლიტიკაში. ნაშრომის კვლევის პროცესში გამოყენებულია პოლიტიკის კვლევის, კონტენტანალიზის, შედარებითი ანალიზის მეთოდები. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს სეკიურიტიზაციის თეორია, ბიოლოგიური უსაფრთხოების თეორია, რეალიზმის თეორია და ახალი

ტერორიზმის თეორია. ნაშრომის შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება თუ რამდენად დიდი საფრთხის შემცვლელია ბიოტერორიზმი სახელმწიფოთა ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის, მაშინ როდესაც იზრდება არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორებისგან მომდინარე გამოწვევები. ნაშრომის დასკვნით ნაწილში გამოკვეთილია ნაშრომის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციის სახით ჩამოყალიბებულია მულტიდისციპლინარული მიდგომა ბიოტერორიზმის რისკის შემცირებისა და მსოფლიო უსაფრთხოების გაძლირების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ბიოტერორიზმი, არასახელმწიფო აგრესიული აქტორები, საერთაშორისო უსაფრთხოება, ასიმეტრიული საფრთხე, საერთაშორისო ტერორიზმი.

Bioterrorism and Threats Posed by Aggressive Non-State Actors

Maia Kapanadze
PhD Student in Political Science,
Faculty of Social and Humanitarian Sciences,
Caucasus International University
maia.kapanadze.1@ciu.edu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0006-1426-4113

Abstract

This article examines the threats posed by bioterrorism and aggressive non-state actors in international politics. Against the backdrop of ongoing global political processes, the scale of these threats continues to expand. International terrorism, cyberterrorism, asymmetric threats, information warfare, and bioterrorism, alongside current global conflicts, constitute significant challenges to global security.

The magnitude of threats originating from aggressive non-state actors is steadily increasing. Bioterrorism, in particular, has the potential to generate large-scale global risks, affecting

multiple sectors and potentially leading to systemic disruption. In addition to the spread of disease, such threats could result in substantial human casualties.

The COVID-19 pandemic has demonstrated to the entire world how rapidly a biological agent can spread and how difficult it can be to control. This study aims to highlight the threats posed by bioterrorism and aggressive non-state actors within the framework of international politics.

The research employs methods such as policy analysis, content analysis, and comparative analysis. The theoretical framework of the study is based on securitization theory, biosecurity theory, realism, and the theory of new terrorism.

The findings of the study underline the extent to which bioterrorism represents a serious threat to both national and international security, particularly in the context of the growing challenges posed by aggressive non-state actors.

The concluding section summarizes the main findings and offers recommendations, emphasizing the importance of a multidisciplinary approach to reducing bioterrorism risks and strengthening global security.

Keywords: Bioterrorism, aggressive non-state actors, international security, asymmetric threats, international terrorism.

შესავალი

ბიოტერორიზმი 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების გამოწვევად იქცა. ეს ფენომენი წარმოადგენს ბიოლოგიური აგენტების – ბაქტერიების, ვირუსების ან ტოქსინების – გამოყენებას ადამიანთა მასობრივი დაზიანების, შიშისა და არასტაბილურობის გამოსაწვევად. თანამედროვე ეპოქაში, სადაც ბიოტექნოლოგიები და გენური ინჟინერია სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება, არა-სახელმწიფო აქტორების მიერ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობა მკვეთრად იზრდება.

ბიოტერორიზმის საფრთხე არ არის მხოლოდ აბსტრაქტული ჰიპოთეზა. მცირე მასშტაბის ბიოლოგიური შეტევაც კი დიდ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგებს იწვევს. არასახელმწიფო აქტორები, როგორიცაა ტერორისტული ორგანიზაციები, რადიკალური პოლიტიკური მოძრაობები და ბიოჰაკერები, იწვევენ საფრთხეს, რომლის საწინააღმდეგო სტრატეგია არაერთგვარ და ინოვაციურ მიდგომებს მოითხოვს.

ბიოლოგიური იარაღი მოიცავს პათოგენურ მიკროორგანიზმებსა და ბიოლოგიურ ტოქსინებს, რომლებსაც აქვთ ადამიანებში, ცხოველებში ან მცენარეებში დაავადების ან სიკვდილის გამოწვევის უნარი[177]. ასეთ აგენტებად შეიძლება ჩაითვალოს:

- ბაქტერიები (მაგ., Bacillus anthracis – ანთრაქსი);
- ვირუსები (მაგ., Variola major – ყვავილი);
- ტოქსინები (მაგ., ბოტულინის ტოქსინი).

ამ აგენტების უნიკალური მახასიათებელია მათი გავრცელების სიმარტივე და დაბალი ხარჯით წარმოების შესაძლებლობაა. მაგალითად, ბოტულინის ტოქსინის წარმოება მცირე ლაბორატორიულ პირობებშია შესაძლებელია, რაც ზრდის მისი გამოყენების რისკს არა-სახელმწიფო აქტორების მიერ[178].

XXI საუკუნის უსაფრთხოების სფეროში ბიოტერორიზმი არა მხოლოდ სახელმწიფო აქტორებს უკავშირდება; არამედ არასახელმწიფო აგრესიულ აქტორებს ტერორისტებს, ბიოჰაკერებს და რადიკალურ დაჯგუფებებს ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბიოლოგიური იარაღის პოტენციურ მომხმარებელთა შორის. ამ აქტორების მოტივაცია, შესაძლებლობები და ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა ქმნის ახალ გამოწვევებს, რომლებიც მართვაც სახელმწიფოებს და საერთაშორისო საზოგადოებას დიდ თავსატეხს უქმნის.

[177] მაისაია ვ., გუჩუა ა. „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები: („ისლამური სახელმწოფო“, „ალ კაიდა“ და „თალიბანი“) – მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები 2010-2019)“, გამომცემლობა თბილისელები პრინტი, თბილისი, 2020, გვ. 222-223.

[178] Becker, S. M., & Slovic, P. Perceptions of the risks of bioterrorism and public health preparedness. Risk Analysis, 21(5), 2001. Pp.893–902.

არა-სახელმწიფო აქტორების მიერ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების საფრთხე

ტერორისტული ორგანიზაციები, განსაკუთრებით ალ-ქაიდა და ისლამური სახელმწიფო (ISIS), არაერთხელ გამოხატავდნენ ინტერესს ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის მიმართ. 2001 წლის ანთრაქსის შეტევა აშშ-ში წარმოადგენს ნათელ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ინდივიდებმა სახელმწიფო სტრუქტურებისგან დამოუკიდებლად ბიოლოგიური აგენტი გამოიყენონ ტერორისტული მიზნებით. ამის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ ბიოლოგიური იარაღის საფრთხე რეალურია და მოითხოვს ახალ სტრატეგიებს.

კვლევებით დადგენილია, რომ ალ-ქაიდა ცდილობდა ბიოლოგიური იარაღის მიღებას და ექსპერიმენტებს ახორციელებდა ბიოლოგიური აგენტების გამოყენებით. 2003 წელს გაჟონა ინფორმაციამ, რომ ორგანიზაციამ დაიქირავა მეცნიერები ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად[179]. თუმცა, ბირთვული და ქიმიური იარაღისგან განსხვავებით, ბიოლოგიური იარაღის ეფექტიანად გამოყენება უფრო რთულია და ამას ბევრი ტექნიკური უნარი სჭირდება, რაც ზოგჯერ ხელს უშლის მათ სწრაფ რეალიზაციას.

ISIS-ის დოკუმენტირებული მცდელობები მოიცავდა ბიოლოგიური აგენტების შეძენას და გამოყენების მცდელობას საბრძოლო არეალებში, თუმცა მათი სისტემატური და მასშტაბური გამოყენების ფაქტები ჯერ არ არსებობს. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ასეთი ჯგუფები შეიძლება უფრო გააქტიურდნენ და მათი ქმედებაც ეფექტიანები გახდეს[180].

DIY (Do It Yourself) ბიოლოგიის მოძრაობა ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებით გამოირჩევა, რომელიც ცვლის ბიოტექნოლოგიის ლანდშაფტს. ბიოჰაკერები იყენებენ ლაბორატორიულ ტექნიკას და ხელს უწყობენ გენეტიკური ინჟინერიის

[179] Carus, W. S. Bioterrorism and biocrimes: The illicit use of biological agents since 1900. Center for Counterproliferation Research, National Defense University. 2014. P.34.
[180] Eckstein, M. Biological weapons threat in the 21st century: The new face of terrorism. Journal of Strategic Security, 1(3), 2008. Pp.50–69.

ექსპერიმენტებს, რომლებიც ზოგჯერ სარგებელს აძლევენ სამედიცინო და ტექნოლოგიურ განვითარებას. თუმცა, ამავე დროს, ამ მოძრაობაში არსებობს მაღალი რისკი ბიოუსაფრთხოების თვალსაზრისით.

ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი მაგალითად არის 2019 წლის ინციდენტი, როდესაც კერძო ლაბორატორიაში გენური ინჟინერიის საშუალებით იქნა გადაკეთებული პათოგენი, რომელიც უფრო ეფექტური იყო ადამიანის იმუნური სისტემის წინააღმდეგ. ეს შემთხვევა აჩვენებს, რომ არაკონტროლირებადი ბიოტექნოლოგიური ექსპერიმენტებს შეუძლიათ შექმნან ახალი საფრთხეები, რომლებიც შეიძლება მოულოდნელად გავრცელდეს.[181] ექსპერტთა შეფასებით, აუცილებელია საერთაშორისო რეგულაციების გამკაცრება DIYBio მოძრაობის კონტროლისთვის, ასევე ინფორმაციისა და ტექნოლოგიების მონიტორინგი, რათა თავიდან ავიცილოთ ბიოლოგიური იარაღის არაკონტროლირებადი გავრცელება.

პოლიტიკურად მოტივირებული ექსტრემისტული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ რეგიონალურ კონფლიქტებში, ხშირად იყენებენ ყველა შესაძლო გზას ხელისუფლების დასამხობად და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის. ბიოლოგიური იარაღის პოტენციური გამოყენება მათთვის განსაკუთრებით მიმზიდველია, რადგან ამ იარაღით შესაძლებელია მეზობელი სახელმწიფოების ან სხვადასხვა ჯგუფებში შიშის გაღვივება და პოლიტიკურ-ეკონომიკური ზიანის მიყენება.

მკვლევარების მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში არაერთმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ გამოავლინა ინტერესი ბიოლოგიური აგენტების მიმართ. მათი ფინანსური და ტექნიკური რესურსები შეზღუდულია, მაგრამ მიკროორგანიზმების გავრცელების სიმარტივე და დაბალი ხარჯი ქმნის რეალურ საფრთხეს[182].

[181] Fukuyama, F. Biotechnology and security: The challenge of new technologies. Survival, 44(1), 2002. Pp.19–32.
[182] Koblentz, G. D. Living weapons: Biological warfare and international security. Cornell University Press. 2010. P.64.

არა-სახელმწიფო აქტორების მიერ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების რისკის შემცირების მექანიზმები

ბიოლოგიური აგენტები, მათი ბუნების გამო, განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნიან კონტროლის და რეგულაციის თვალსაზრისით. ბევრი აგენტი მოიცავს ბუნებრივად გავრცელებად პათოგენებს, რომელთა ცალკეული ნიმუშები ხელმისაწვდომია სამეცნიერო ლიტერატურაში ან ბიოლოგიურ ლაბორატორიებში.

გარდა ამისა, ტექნოლოგიური განვითარება, კერძოდ გენომიკისა და სინთეზური ბიოლოგიის სფეროებში, შეამცირებს ბარიერებს ბიოლოგიური იარაღის წარმოებისა და მოდიფიკაციისთვის. CRISPR ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელს ხდის გენების სწრაფ და იაფ პროცესს, რაც აუმჯობესებს არა მხოლოდ სამედიცინო მიმართულებას, არამედ ზრდის ბიოუსაფრთხოების გამოწვევებს[183]. ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ასეთი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა აუცილებელია მკაცრად კონტროლდებოდეს და უნდა შეიქმნას უფრო ხისტი სამართლებრივი ჩარჩოები, რათა შეამცირონ ბიოლოგიური იარაღის არასწორი გამოყენების რისკი.

არა-სახელმწიფო აქტორების მიერ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების რისკის შესამცირებლად, საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად მუშაობს ახალი მექანიზმების შემუშავებაზე. მართალია, ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენცია (BWC) ძირითადად სახელმწიფოთა შორის არეგულირებს კონტროლის მექნიზმებს, ამავე დროს დღეს საჭიროებაა არა-სახელმწიფო აქტორების ქმედებათა მკაცრი მონიტორინგისა და პრევენციისთვის დამატებითი საერთაშორისო ჩარჩოების შექმნა[184].

გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა WHO, INTERPOL და UNODC, აქტიურად თანამშრომლობენ ინფორმაციის გაცვლაზე და კრიზისების მართვაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების და

[183] Leitenberg, M. Assessing the biological weapons and bioterrorism threat. Strategic Studies Quarterly, 1(2), 2005. Pp.73–94.
[184] Lillibridge S. R., et al. Public health response to biological terrorism and bioterrorism preparedness in the United States. Emerging Infectious Diseases, 10(5), 2004. Pp.1019–1023.

სპეციალური ორგანოების მზადყოფნის და საპასუხო სისტემების გაძლიერება, რადგან არა-სახელმწიფო აქტორები ხშირად იყენებენ ბიოლოგიურ იარაღს ისეთ ფორმებში, რომელიც საკმაოდ საშიშია და სწრაფად გავრცელებადია[185].

ბიოტერორიზმის საფრთხის ზრდასთან ერთად, საერთაშორისო საზოგადოებამ მნიშვნელოვნად გაამძაფრა პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა. პრევენცია გულისხმობს არა მხოლოდ ბიოლოგიური იარაღის შექმნის, შენახვისა და გამოყენების აღკვეთას, არამედ აქტიურ მონიტორინგს, ადრეულ გამოვლენას და სწრაფ რეაგირებას შესაძლო საფრთხეზე. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანი როლი ერგება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტსა და სტრუქტურებს. ერთ-ერთი ცენტრალური საერთაშორისო დოკუმენტი ამ მიმართულებით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, არის ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენცია (“BWC“). ის 1972 წელს მიიღეს და დღესაც რჩება უმთავრეს სამართლებრივ ჩარჩოდ ბიოტერორიზმის წინააღმდეგ. თუმცა, ტექნოლოგიური პროგრესის გამო, კონვენციის ეფექტიანობის განმტკიცება და მისი ხელახალი ადაპტაცია არის საჭირო.[186] სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ, რათა შექმნან და განახორციელონ ახალი სტანდარტები, რომლის შედეგადაც შეძლებენ ახალი საფრთხის დროულ აღმოჩენასა და მასზე რეაგირებას.

ასევე, მნიშვნელოვანია სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სექტორების ინტეგრაცია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში. ვირუსებისა და ბაქტერიების გავრცელების პრევენციისათვის უმნიშვნელოვანესია, რომ სამედიცინო ინფრასტრუქტურამ სწრაფად შეძლოს საფრთხის გამოვლენა, კრიზისის მართვა და მოსახლეობის ეფექტური დაცვა[187].

ბიოტერორიზმის ყველაზე რთული ასპექტი მდგომარეობს არა მხოლოდ სახელმწიფო აქტორებისგან, არამედ არასახელმწიფო აგრესიულ სუბიექტებში –

[185] Sell T. K., & Leitenberg M. The history of bioweapons: From prehistory to the present. Annual Review of Public Health, 35(1), 2014. Pp.123–143.
[186] Centers for Disease Control and Prevention. Bioterrorism: Preparedness and response. 2023. P.1. https://www.cdc.gov/bioterrorism/index.html (ბ.ნ. 22.04.2025).
[187] Gostin L. O., & Katz R. – The International Health Regulations: The governing framework for global health security. The Milbank Quarterly, 94(2), 2016. Pp. 264–313.

ტერორისტულ ჯგუფებში, ექსტრემისტულ დაჯგუფებებში და კრიმინალურ ორგანიზაციებში. მათი საქმიანობის მონიტორინგი მოითხოვს მრავალმხრივ და მაღალტექნოლოგიურ მეთოდებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები იყენებენ კიბერზედამხედველობას, დაზვერვას, გენეტიკურ და ბიოლოგიურ მონაცემთა ანალიზს, რათა დროულად გამოავლინონ შესაძლო საფრთხე. თუმცა, არასახელმწიფო აგენტებს ხშირად აქვთ ადაპტაციის დიდი უნარი, რაც ქმნის მუდმივ გამოწვევას. ისინი იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მაგალითად, სოციალური ქსელების მეშვეობით კომუნიკაციას და დეზინფორმაციას, რაც ართულებს მათ მონიტორინგს. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად აუცილებელია სახელმწიფოებს შორის ინტერნაციონალური კოორდინაცია, ინფორმაციის გაცვლა და ერთობლივი ოპერაციები.

ბიოუსაფრთხოებისა და პრევენციის თანამედროვე მიდგომები მჭიდროდ არის დაკავშირებული ტექნოლოგიურ ინოვაციებთან. მოლეკულარული ბიოლოგია, გენომიკა, სინთეზური ბიოლოგია, ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა ქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიოლოგიური აგენტების დროულად გამოვლენასა და გავრცელების პრევენციაში. მაგალითად, კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი დიაგნოსტიკა საშუალებას აძლევს სამედიცინო დაწესებულებებსა და სპეციალურ უწყებებს სწრაფად დაადგინონ დაავადების გამომწვევი მიზეზი და შეაჩერონ ეპიდემიის გავრცელება[188].

გარდა ამისა, განვითარება სენსორებისა და ავტომატიზებული სისტემების, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში აკვირდება გარემოსა და შეტყობინებას აგზავნიან შესაძლო ბიოლოგიურ საფრთხეზე. თუმცა, ტექნოლოგიების ასეთი გამოყენება ასევე საჭიროებს მკაცრ ეთიკურ და სამართლებრივ რეგულაციას, რათა აღირიცხოს ბიოუსაფრთხოების კონტროლის სფეროში შესაძლო გაუმართლებელი ექსპერიმენტისა და მათ დაუშვებელ გამოყენებათა რისკი.

[188] Henderson D. A., Inglesby T. V., & O'Toole T. – Bioterrorism as a public health threat. Emerging Infectious Diseases, 24(2), 2018. Pp.256–261.

რაც შეეხება საერთაშორისო სამართლის როლისა და სამართლებრივ ჩარჩოებს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს ბიოტერორიზმის პრევენციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენცია ("BWC") მოიცავს სახელმწიფოებს, რომლებიც ვალდებულები არიან არ გამოიყენონ, არ შეინახონ და არ გაავრცელონ ბიოლოგიური იარაღი. თუმცა, "BWC"-ს არ გააჩნია მყარი კონტროლის მექანიზმები, რის გამოც დღევანდელი გამოწვევები მოითხოვს დამატებით საერთაშორისო შეთანხმებებს და თანამშრომლობას.[189] თანამედროვე სამართლებრივი ჩარჩოები ცდილობენ მოიცვან არა მხოლოდ სახელმწიფო აქტორები, არამედ არასახელმწიფო აგენტები, მათ შორის ტერორისტები და კრიმინალები, რომლებიც ახორციელებენ ბიოლოგიური აგენტების არალეგალურ გამოყენებას. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლის სინქრონიზაცია ეროვნულ კანონმდებლობებთან, რათა ეფექტური და სწრაფი რეაგირება იყოს შესაძლებელი საფრთხის დროს.

სამომავლო გამოწვევებსა და კვლევით პრიორიტეტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი სწრაფად ცვლის ბიოტერორიზმის საფრთხის ხასიათს. ახალი ტექნოლოგიები, როგორიცაა გენომიკის რედაქტირება ("CRISPR"), ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა დიდი მოცულობის ანალიზი, იძლევა როგორც პრევენციული მექანიზმების გაძლიერების შესაძლებლობებს, ასევე ზრდის რისკს მათი არასწორი გამოყენებისას.[190]

სამომავლოდ აუცილებელია:

- ახალი ტექნოლოგიების განვითარების ეთიკური მონიტორინგი;
- ბიოუსაფრთხოების ინოვაციური მეთოდების კვლევა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;

[189] Koblentz G. D. – Preventing biological threats: The challenge of strengthening the Biological Weapons Convention. Strategic Studies Quarterly, 13(1), 2019. Pp. 20–44.
[190] World Health Organization – Biological weapons and their prohibition. 2022. P.1. https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/biological-weapons-and-their-prohibition (ბ.წ. 15.05.2025)

- მომზადებული და ადაპტირებული სასწავლო პროგრამების შექმნა.

გარდა ტექნიკური და სამართლებრივი მხარეებისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოლოგიურ, სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს ბიოტერორისტული აქტივობის რისკი.

რაც შეეხება კოოპერაციისა და ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელობას საერთაშორისო დონეზე უნდა აღინიშნოს, რომ ბიოტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს გლობალურ გამოწვევას, რომელსაც ვერ შეაჩერებს ერთი სახელმწიფო ან ორგანიზაცია მარტო. საერთაშორისო თანამშრომლობა, ინფორმაციის სწრაფი გაცვლა და კრიზისებზე ერთიანი რეაგირება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა WHO, UNODC, INTERPOL და სხვა საერთაშორისო პლატფორმები, ერთვებიან კოორდინაციას, სანიტარულ და სამართლებრივ ღონისძიებებს შორის[191]. ინფორმაციის დროული გაცვლა ასევე ეხმარება აგრესიული ჯგუფების აღკვეთას, მათ მოქმედების სისტემურ იდენტიფიცირებას და ეფექტურ კონტროლს.

ზემოთ აღნიშნულ მექანიზმებთან ეთად მნიშვნლოვანია საზოგადოებრივი განათლება და მზადყოფნის პროგრამების განხორციელება. ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური პრევენციის ერთ-ერთი მთავარ მექანიზმად ითვლება საზოგადოებრივი განათლების ამაღლება და მოსახლეობის ინფორმირებულობა. ამისთვის აუცილებელია:

- გამართული ტრენინგები სამედიცინო და უსაფრთხოების პერსონალისთვის;
- საინფორმაციო კამპანიები მოსახლეობისათვის, რათა შემცირდეს პანიკა და გაზარდოს კრიზისულ სიტუაციებში სწორი ქცევის უნარი;
- სკოლებისა და უნივერსიტეტების პროგრამებში ბიოუსაფრთხოების საკითხების ინტეგრირება.

[191] Zanders J. P. – The evolving challenges to the Biological Weapons Convention. Nonproliferation Review, 27(1–2), 2020. Pp.1–20.

მხოლოდ ინფორმირებულ და მომზადებულ საზოგადოებას შეუძლია ეფექტურად უპასუხოს და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება ბიოლოგიურ საფრთხეებზე.

დასკვნა

ბიოტერორიზმის საფრთხეები და არასახელმწიფო აგრესიული აქტორების აქტივობა თანამედროვე მსოფლიოში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში. ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალიზაციის პირობებში ბიოლოგიური იარაღის ხელმისაწვდომობა და მის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკი საგრძნობლად გაიზარდა. ეს ქმნის ახალ გამოწვევებს, რომელთა მართვა მოითხოვს სრულად ახალი მიდგომების შემუშავებას.

ბიოტერორიზმისა და არასახელმწიფო აგრესიული აქტორების მიერ გამოწვეული საფრთხის პრევენცია მოითხოვს მრავალმხრივ და ინოვაციურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ განვითარებას, საერთაშორისო სამართალს, სახელმწიფო და არა-სახელმწიფო აქტორების კონტროლს, საერთაშორისო კოოპერაციას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. მომავალში ეს გამოწვევები კიდევ უფრო გამწვავდება, ამიტომ მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაგეგმვა და კვლევების აქტიური მხარდაჭერა.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბიოტერორიზმის პრევენცია არის არა მხოლოდ სამხედრო ან უსაფრთხოების საკითხი, არამედ ის მოითხოვს თანამშრომლობას სამედიცინო, სამეცნიერო, სამართლებრივი და პოლიტიკური სფეროების წარმომადგენლებს შორის. არარეგულარული აქტორების მხრიდან ბიოლოგიური იარაღის გამოყენების საფრთხე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ასეთი ჯგუფები ხშირად მოქმედებს კანონგარეშე, იყენებენ სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიებს და ამძიმებენ მონიტორინგის და პრევენციის შესაძლებლობებს.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მულტიდი-სციპლინარული მიდგომების მნიშვნელობის განზომილება. მსოფლიოში

მიმდინარე ვითარება ცხადყოფს, რომ ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ იქნება ეფექტური მხოლოდ ერთი მიმართულებით. საჭიროა მულტიდისციპლინარული მიდგომა, რომელიც მოიცავს:

- **ტექნოლოგიურ ინოვაციებს**, როგორიცაა გენომური სეკვენირება და ხელოვნური ინტელექტი, რომელიც ეხმარება ბიოლოგიური საფრთხის დროულ გამოვლენას და მათზე რეაგირებას;
- **სამართლიან სამართლებრივ ჩარჩოებს**, რომლებიც დაარეგულირებენ არა მხოლოდ სახელმწიფოებს, არამედ არასახელმწიფო აქტორებსაც;
- **სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა**, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ გაცვლასა და ერთიან მოქმედებებს;
- **საზოგადოების განათლება და მზადყოფნა**, რათა გაიზარდოს საზოგადოების დაცვა და შემცირდეს პანიკა კრიზისულ სიტუაციაში.

ასეთმა ფართომასშტაბიანმა და კომბინირებულმა სტრატეგიებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს ბიოტერორიზმის რისკი და გააძლიეროს მსოფლიო უსაფრთხოება.

ბიოლოგიური ტექნოლოგიების განვითარებამ, მათ შორის “CRISPR“-მა და სინთეზურმა ბიოლოგიამ, გააფართოვა როგორც შესაძლებლობები, ისე რისკი. ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, უფრო ეფექტურად გამოვლინდეს და აღმოვფხვრათ ბიოლოგიური საფრთხე, თუმცა, ისინი ასევე ქმნიან ახალი საფრთხის შესაძლებლობას ბიოტერორისტული ჯგუფების ხელში. ამ გარემოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეთიკურ და სამართლებრივ რეგულაციებს, რომლებიც უნდა იყვნენ ადაპტირებულნი სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ გარემოსთან. აუცილებელია ისეთი საერთაშორისო სამართლის ფორმირება, რომელიც შეძლებს მკაცრად აკონტროლოს ბიოლოგიური ტექნოლოგიების არასწორი გამოყენება.

ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს საერთაშორისო სამართლის მუდმივ გაუმჯობესებას და პოლიტიკის განახლებას. ბიოლოგიური იარაღის

აკრძალვის კონვენცია (“BWC“) რჩება ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად, მაგრამ მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექსტის, არამედ რეალურ შემოქმედებით საერთაშორისო თანამშრომლობასა და მექანიზმებზე. საკმარისი არაა მხოლოდ შეთანხმების არსებობა – აუცილებელია მისი თანმიმდევრული განხორციელება, მექანიზმების გაუმჯობესება და ახალი საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება, რომლებიც გააკონტროლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

სამომავლოდ, ბიოტერორიზმის პრევენციის სფეროში კიდევ უფრო მზარდი მნიშვნელობა ექნება:

- **კვლევებსა და ინოვაციებს**, რომლებიც შექმნის ახალ მეთოდებს ბიოლოგიური საფრთხის გამოვლენასა და კონტროლისთვის;
- **დაწყებითი მექანიზმების შემუშავებას**, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს სწრაფი რეაგირება გაუწიოს აგრესიული არა-სახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებულ ბიოლოგიურ აქტებს;
- **კიბერუსაფრთხოების გაძლიერებას**, რადგან ბიოლოგიური ტექნოლოგიების მართვა უფრო ხშირად მიკუთვნებული აქვს ციფრულ სისტემებს, რომლებიც შეიძლება გახდეს სამიზნე;
- **საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და ცნობიერების ამაღლებას**, რაც არის კრიტიკული საკითხი კრიზისული სიტუაციების მართვისას.

მომავალი გამოწვევები ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოითხოვს მუდმივ მზადყოფნას, ინოვაციებსა და მრავალმხრივ თანამშრომლობას. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ტექნოლოგიური და სამართლებრივი საკითხები – საზოგადოებრივი განათლებისა და ინფორმირებულობის გარეშე არ შეიძლება უსაფრთხოების ეფექტური უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები სამედიცინო და სამეცნიერო სექტორებმა გააერთიანოს ძალები და განახორციელოს ერთიანი, სამართლიანი და ეფექტური პოლიტიკა ბიოტერორიზმის წინააღმდეგ. ამ გზით შესაძლებელია

შეიქმნას უსაფრთხო გარემო, სადაც როგორც სახელმწიფოები, ისე საზოგადოება დაცული იქნება თანამედროვე ბიოლოგიური საფრთხისგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაისაია ვ., გუჩუა, ა. – „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები: („ისლამური სახელმწოფო“, „ალ კაიდა“ და „თალიბანი“) – მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები 2010-2019)“, გამომცემლობა თბილისელები პრინტი, თბილისი 2020.
2. Becker S. M., & Slovic P. – Perceptions of the risks of bioterrorism and public health preparedness. Risk Analysis, 21(5), 2001.
3. Carus, W. S. Bioterrorism and biocrimes: The illicit use of biological agents since 1900. Center for Counterproliferation Research, National Defense University. 2014.
4. Centers for Disease Control and Prevention. Bioterrorism: Preparedness and response. 2023. P.1. https://www.cdc.gov/bioterrorism/index.html (ბ.წ. 22.04.2025).
5. Eckstein, M. Biological weapons threat in the 21st century: The new face of terrorism. Journal of Strategic Security, 1(3), 2008.
6. Fukuyama, F. Biotechnology and security: The challenge of new technologies. Survival, 44(1), 2002.
7. Gostin, L. O., & Katz, R. The International Health Regulations: The governing framework for global health security. The Milbank Quarterly, 94(2), 2016.
8. Henderson, D. A., Inglesby, T. V., & O'Toole, T. Bioterrorism as a public health threat. Emerging Infectious Diseases, 24(2), 2018.
9. Koblentz, G. D. Living weapons: Biological warfare and international security. Cornell University Press. 2010.
10. Koblentz, G. D. Preventing biological threats: The challenge of strengthening the Biological Weapons Convention. Strategic Studies Quarterly, 13(1), 2019.

11. Leitenberg, M. Assessing the biological weapons and bioterrorism threat. Strategic Studies Quarterly, 1(2), 2005.
12. Lillibridge, S. R., et al. Public health response to biological terrorism and bioterrorism preparedness in the United States. Emerging Infectious Diseases, 10(5), 2004.
13. Sell, T. K., & Leitenberg, M. The history of bioweapons: From prehistory to the present. Annual Review of Public Health, 35(1), 2014.
14. World Health Organization. Biological weapons and their prohibition. 2022. https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/biological-weapons-and-their-prohibition (ბ.წ. 15.05.2025).
15. Zanders, J. P. The evolving challenges to the Biological Weapons Convention. Nonproliferation Review, 27(1–2), 2020.

ქცევითი სტილის განმსაზღვრელი ფაქტორები სოციალურ კონტექსტებში: ემპათიის განზომილებების, პიროვნული თვისებებისა და ქცევითი რეაგირების სტრუქტურული ანალიზი

კახი კოპალიანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

kkopaliani17@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-0597-2306

ნინო კიკნაველიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

n.s.kiknavelidze@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0006-0482-8317

DOI: 10.52340/splogos.2026.01.15

აბსტრაქტი

სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია ემპირიული კვლევის შედეგები, კერძოდ, ქცევითი სტილის განმსაზღვრელი ფაქტორები სოციალურ კონტექსტებში. ამასთანავე, ნაშრომში გადმოცემულია ემპათიის განზომილებების, პიროვნული თვისებებისა და ქცევითი რეაგირების სტრუქტურული ანალიზი. ემპირიული კვლევა ასახავს ქცევითი სტილის ფსიქოლოგიურ განმსაზღვრელ ფაქტორებს სოციალურ და კრიზისულ კონტექსტებში, განსაკუთრებული აქცენტით ემპათიისა და პიროვნული თვისებების როლზე. სოციალური ქცევის თანამედროვე მოდელებზე დაყრდნობით, კვლევა აერთიანებს თომასის (Thomas) ქცევითი სტილის ჩარჩოს, დევისის (M. H. Davis) მრავალგანზომილებიან ემპათიის მოდელს და „დიდი ხუთეულის“ (“the Big Five“) პიროვნების თეორიას, რათა უზრუნველყოს კონფლიქტურ, კრიზისულ და სტრესულ სიტუაციებში ქცევითი რეაქციების სტრუქტურული ანალიზი. მეთოდოლოგიურად, კვლევა ეფუძნება ემპირიულ რაოდენობრივ დიზაინს, რომელიც იყენებს ინტერპერსონალური რეაქტიულობის

ინდექსის (“IRI“) ქართულ ადაპტირებულ ვერსიას, თომასის ქცევითი სტილის საკვლევ ინსტრუმენტს და „დიდი ხუთეულის“ პიროვნების კითხვარს. კვლევის სამეცნიერო სიახლე არის ემპათიის ინტეგრაციული შესწავლა, როგორც ცენტრალური მარეგულირებელი მექანიზმისა, რომელიც აკავშირებს პიროვნების თვისებებს ადაპტაციურ (ადაპტურ) და არაადაპტურ ქცევით სტრატეგიასთან. ნაშრომის დასკვნები ადასტურებს, რომ ემპათია ფუნქციონირებს, როგორც ქცევითი სტილის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პროგნოზირების ფაქტორი, განსაკუთრებით კრიზისულ და კონფლიქტურ სიტუაციებში, და ხელს უწყობს უფრო კონსტრუქციული გამკლავების სტრატეგიების ჩამოყალიბებას, სოციალურ ადაპტაციას და ეფექტურ ინტერპერსონალურ ფუნქციონირებას.

საკვანძო სიტყვები: ქცევითი სტილი, ემპათია, პიროვნული თვისებები, კრიზისთან გამკლავება, სოციალური ადაპტაცია.

Determinants of Behavioral Style in Social Contexts: a Structural Analysis of Empathy Dimensions, Personality Traits, and Behavioral Responses

Kakhi Kopaliani

Professor of Sokhumi State University

kkopaliani17@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-0597-2306

Nino Kiknavelidze

PhD student of Faculty of

Engineering, Economics, Media Technologies and Social Sciences

Georgian Technical University.

n.s.kiknavelidze@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0006-0482-8317

Abstract

This article examines the psychological determinants of behavioral styles in social and crisis-related contexts, with particular emphasis on the role of empathy and personality traits. Drawing on contemporary models of social behavior, the study integrates Thomas’s

behavioral style framework, Davis's multidimensional model of empathy, and the Big Five personality theory to provide a structural analysis of behavioral responses in conflict and stress situations. Methodologically, the research is based on an empirical quantitative design employing the Georgian-adapted versions of the Interpersonal Reactivity Index (IRI), Thomas's behavioral style inventory, and the Big Five personality questionnaire. The scientific novelty of the study lies in its integrative examination of empathy as a central regulatory mechanism linking personality traits to adaptive and maladaptive behavioral strategies. The findings confirm that empathy functions as a significant psychological predictor of behavioral style, particularly in crisis and conflict situations, and contributes to more constructive coping strategies, social adaptation, and effective interpersonal functioning.

Keywords: Behavioral Style, Empathy, Personality Traits, Crisis Coping, Social Adaptation

კვლევის მიზანი

ჩვენი ემპირიული კვლევის მიზანია სოციალურ და კრიზისულ კონტექსტებში ქცევითი სტილის ფსიქოლოგიური განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ემპათიის განზომილებებს, პიროვნულ თვისებებსა და ქცევით რეაქციებს შორის სტრუქტურულ ურთიერთობებს. კერძოდ, კვლევის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ პროგნოზირებენ ემპათიის კოგნიტური და აფექტური კომპონენტები, ხუთ დიდ პიროვნულ თვისებასთან (დიდი ხუთეული) ურთიერთქმედებით, ინდივიდუალურ პრეფერენციებს მეტოქეობის, თანამშრომლობის, კომპრომისის, თავის არიდების და შეგუების მიმართ. ამ კონსტრუქტების ერთიან ემპირიულ ჩარჩოში ინტეგრირებით, კვლევა ცდილობს განმარტოს ემპათიის მარეგულირებელი როლი სტრესისა და ინტერპერსონალური კონფლიქტის პირობებისას ადაპტური და არაადაპტური ქცევითი სტრატეგიის

ჩამოყალიბებისათვის (დევისი 1983; თომასი და კილმანი[192] 1974. Davis 1983; Thomas and Kilmann 1974).[193]

კვლევის თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება ინტეგრაციულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ქცევის სოციალურ-კოგნიტურ თეორიებს, ემპათიის მრავალგანზომილებიან მოდელებსა და თვისებებზე დაფუძნებულ პიროვნების თეორიას. კვლევა ეფუძნება თომასის ქცევითი სტილის მოდელს, რომელიც კონფლიქტზე ქცევით რეაქციებს განიხილავს, როგორც სტრატეგიულ ნიმუშებს, რომლებიც ასახავს ბალანსს თვითორიენტირებულ და სხვაზე ორიენტირებულ შეშფოთებას შორის (თომასი და კილმანი, 1974). ემპათია კონცეპტუალიზებულია დევისის მრავალგანზომილებიანი მოდელის გამოყენებით, რომელიც განასხვავებს ფანტაზიას, ემპათიურ შეშფოთებას, პერსპექტივის აღქმას (დეცენტრაციას) და ემპათიურ დისტრესს, რაც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს როგორც კოგნიტური, ასევე აფექტური მექანიზმები სოციალურ ქცევაში (დევისი, 1983). პიროვნების განწყობა შესწავლილია „დიდი ხუთის“ ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილური განწყობის კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენს ემოციურ რეაქტიულობაზე, სოციალურ ორიენტაციასა და ქცევის რეგულირებაზე (მაკკრეი და კოსტა, 2008).[194] ერთად, ეს მოდელები ქმნის თანმიმდევრულ თეორიულ სტრუქტურას, რომელშიც ემპათია ფუნქციონირებს, როგორც შუამავალი მექანიზმი პიროვნების თვისებებსა და ქცევითი სტილის შერჩევას შორის სოციალურ და კრიზისულ სიტუაციებში.

[192] **Thomas, Kenneth W., and Ralph H. Kilmann.** 1974. *Thomas–Kilmann Conflict Mode Instrument*. Palo Alto, CA: Consulting Psychologists Press.
[193] **Davis, Mark H.** 1983. “Measuring Individual Differences in Empathy: Evidence for a Multidimensional Approach.” *Journal of Personality and Social Psychology* 44 (1): 113–126.
[194] **McCrae, Robert R., and Paul T. Costa Jr.** 2008. “The Five-Factor Theory of Personality.” In *Handbook of Personality: Theory and Research*, edited by Oliver P. John, Richard W. Robins, and Lawrence A. Pervin, 159–181. New York: Guilford Press.

სამეცნიერო სიახლე

წინამდებარე კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს ემპათიის, პიროვნული თვისებებისა და ქცევითი სტილის სტრუქტურულ ინტეგრაციაში (შესწავლა/ანალიზი) ერთ ემპირიულ მოდელში. უკვე არსებული კვლევებისგან განსხვავებით, რომლებიც ამ კონსტრუქტებს დამოუკიდებლად იკვლევდნენ, ამჟამინდელი კვლევა ემპათიას ცენტრალურ ფსიქოლოგიურ რეგულატორად განიხილავს, რომელიც დისპოზიციურ პიროვნულ მახასიათებლებს სიტუაციურ ქცევით რეაქციებთან აკავშირებს. ემპათიის მრავალი განზომილების ემპირიული შესწავლით, განსხვავებულ ქცევით სტილებთან ერთად, კვლევა ხელს უწყობს მრავალგანზომილებიან გაგებას იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებენ ემოციური და კოგნიტური პროცესები ერთობლივად სოციალურ ქცევას კრიზისულ და კონფლიქტურ კონტექსტებში. გარდა ამისა, კულტურულად ადაპტირებული ფსიქომეტრიული ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს ემოციური და სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის გაფართოებას საქართველოს კონტექსტში, აძლიერებს არსებული თეორიული მოდელების კულტურათშორის ვალიდურობას.

სამეცნიერო მნიშვნელობა და პრაქტიკული შესაბამისობა

ჩვენი კვლევის სამეცნიერო მნიშვნელობა მდგომარეობს მის წვლილში სოციალურ და კრიზისულ კონტექსტებში ქცევითი რეგულირების უფრო ზუსტ კონცეპტუალიზაციაში. ემპათიისა და პიროვნული თვისებების პროგნოზირებადი როლის გარკვევით ქცევითი სტილის შერჩევაში, კვლევა უზრუნველყოფს ემპირიულად დასაბუთებულ ჩარჩოს ადაპტური და არაადაპტური სოციალური რეაქციების გასაგებად. პრაქტიკული თვალსაზრისით, დასკვნებს პირდაპირი გავლენა აქვს განათლებაში, კლინიკურ ფსიქოლოგიასა და ორგანიზაციულ გარემოში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციების შემუშავებაზე. შედეგებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სოციალურ-ემოციური ტრენინგის პროგრამებზე, კონფლიქტების მართვის სტრატეგიებსა და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისებზე, რომლებიც მიზნად ისახავს ემპათიის, ემოციური რეგულირებისა და კონსტრუქციული ინტერპერსონალური ქცევის გაძლიერებას. საქართველოს კონტექსტში, სადაც ინდივიდები და ინსტიტუტები მზარდი

სოციალურ-ემოციური გამოწვევების წინაშე დგანან, გლობალური სამეცნიერო მოდელების ინტეგრაცია ადგილობრივ ემპირიულ მონაცემებთან ხელს უწყობს კულტურულად მგრძნობიარე და ეფექტური ფსიქოლოგიური პრაქტიკის განვითარებას (Mayer, Salovey, and Caruso 2008).[195]

შესავალი

თანამედროვე სოციალური ცხოვრების მზარდმა სირთულემ, რომელიც ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, ინტერპერსონალური დაძაბულობითა და გაზრდილი გაურკვევლობით (ქაოსური, არაპროგნოზირებადი სიტუაციებით), გააძლიერა სამეცნიერო ინტერესი ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური განმსაზღვრელი ფაქტორების მიმართ სოციალურ და კრიზისულ კონტექსტებში. ასეთ გარემოში ინდივიდებს სულ უფრო მეტად მოეთხოვებათ არა მხოლოდ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება, არამედ ემოციების რეგულირება, სხვების პერსპექტივების გაგება და ეფექტური ქცევითი სტრატეგიების შერჩევა. ამიტომ, ქცევითი სტილი – რომელიც განისაზღვრება, როგორც სოციალურ გამოწვევებსა და კონფლიქტებზე რეაგირების შედარებით სტაბილური ნიმუში – ფსიქოლოგიურ კვლევაში, განსაკუთრებით ემპათიასა და პიროვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით, მთავარ კონსტრუქტად იქცა.

კვლევის შესაბამისობა ისაა, რომ საჭიროა, გავიგოთ, თუ როგორ ქმნის ემპათია და პიროვნების თვისებები ერთობლივად ქცევით სტილებს სტრესთან, კონფლიქტსა და კრიზისთან დაკავშირებულ სიტუაციებში. მიუხედავად იმისა, რომ წინა კვლევებმა ეს კონსტრუქტები ცალ-ცალკე შეისწავლა, უფრო ნაკლებად იკვლევენ მათ სტრუქტურულ ურთიერთკავშირს ერთიან ემპირიულ ჩარჩოში. ამჟამინდელი კვლევა ამ ხარვეზს (მცირე რაოდენობის კვლევების არსებობას) მცირედით ავსებს, ემპათიის განზომილების, პიროვნების თვისების და ქცევითი სტრატეგიის ერთ ანალიტიკურ მოდელში შესწავლით.

მეთოდოლოგიურად, კვლევა იყენებს სტანდარტიზებულ ფსიქომეტრიულ ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ რაოდენობრივ ემპირიულ დიზაინს. თეორიული

[195] **Mayer, John D., Peter Salovey, and David R. Caruso.** 2008. "Emotional Intelligence: New Ability or Eclectic Traits?" *American Psychologist* 63 (6): 503–517.

ჩარჩო აერთიანებს თომასის ქცევითი სტილის მოდელს, დევისის მრავალგანზომილებიან კონცეფციას ემპათიის შესახებ და „დიდი ხუთეულის“ პიროვნების თეორიას. კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს ემპათიის, როგორც ცენტრალური ფსიქოლოგიური განმსაზღვრელი ფაქტორის სტრუქტურულ ინტერპრეტაციაში, რომელიც შუამავლობს პიროვნულ თვისებასა და კრიზისულ სიტუაციაში ქცევით რეაქციებს შორის. სტატიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს თეორიულ საფუძველს, მეთოდოლოგიას, ემპირიულ დასკვნებსა და გამოყენებით შედეგებს, რასაც მოჰყვება დასკვნითი სინთეზი და მომავალი კვლევის მიმართულებები.

კვლევის **თეორიული საფუძველი** ეფუძნება სოციალური ფსიქოლოგიის, პიროვნების ფსიქოლოგიისა და სტრესთან გამკლავების კვლევის ინტერდისციპლინურ ინტეგრაციას. ჩარჩოს ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს თომასის ქცევითი სტილის მოდელი, რომელიც კონფლიქტურ სიტუაციებში სოციალურ ქცევას ხუთი ძირითადი სტრატეგიის მეშვეობით განიხილავს: მეტოქეობა (კონკურენცია), თანამშრომლობა, კომპრომისი, თავის არიდება და შეგუება. მოცემული ქცევის სხვადასხვა სტილი ასახავს დაძაბულობისას პირადი მიზნებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების დაბალანსების სხვადასხვა მიდგომებს.

ემპათია კონცეპტუალიზებულია მ. ჰ. დევისის მრავალგანზომილებიანი მოდელის გამოყენებით, რომელიც განასხვავებს ფანტაზიას, ემპათიურ შეშფოთებას, პერსპექტივის აღქმას (დეცენტრაციას) და ემპათიურ დისტრესს. ეს მოდელი საშუალებას იძლევა, ემპათია გაანალიზდეს არა როგორც ერთიანი თვისება, არამედ როგორც კოგნიტური და აფექტური პროცესების რთული სისტემა, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ გაგებასა და ემოციურ რეგულირებაზე.

პიროვნების მახასიათებლები შესწავლილია დიდი ხუთეულის მოდელის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ექსტრავერსიას, თანხმობას, კეთილსინდისიერებას, ნევროტიზმს და ახალი გამოცდილებისადმი ღიაობას. ეს ჩარჩო უზრუნველყოფს სტაბილურ დისპოზიციურ კონტექსტს, რომელშიც ემპათია და ქცევითი სტილები ვითარდება და მოქმედებს. სისტემური პერსპექტივიდან, ქცევითი სტილი ემპათიურ პროცესებსა და პიროვნულ თვისებებს შორის დინამიკური

ურთიერთქმედების შედეგად ჩნდება, განსაკუთრებით სტრესულ, გაურკვევლობასთან ან ინტერპერსონალურ (ან ჯგუფურ) კონფლიქტთან დაკავშირებულ სიტუაციებში.

სოციალურ-კოგნიტური პერსპექტივიდან გამომდინარე, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში ქცევითი სტილები შეიძლება გავიგოთ, როგორც შეფასების პროცესების, ემოციური რეგულირებისა და შეძენილი ინტერპერსონალური სქემების შედეგი. სტრესისა და გამკლავების ტრანზაქციული მოდელების მიხედვით, ინდივიდები აფასებენ სოციალურ სიტუაციებს აღქმული საფრთხის, კონტროლირებადობისა და პროგნოზირების მნიშვნელობის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, აყალიბებს ქცევით რეაქციებს (ლაზარუსი და ფოლკმანი 1984).[196] აღნიშნულ თეორიულ მოდელში, ემპათია მნიშვნელოვან შუამავლურ როლს ასრულებს, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ განმარტავენ ინდივიდები სხვების განზრახვებს, ემოციურ მდგომარეობებსა და ქცევით სიგნალებს. კოგნიტური ემპათია, რომელიც წარმოდგენილია პერსპექტივის აღქმისა და დეცენტრაციის გზით, აძლიერებს სიტუაციურ გაგებას და ხელს უწყობს თანამშრომლობითა და კომპრომისზე ორიენტირებულ სტრატეგიებს. ემპათიურმა დისტრესმა, შეიძლება გადატვირთოს ემოციური რეგულირების სისტემები, რაც იწვევს გარიყვას ან არაადაპტურ გამკლავებას მაღალი სტრესის მქონე ინტერპერსონალურ კონტექსტებში (აიზენბერგი და სხვ. 2007).[197]

გარდა ამისა, პიროვნების ფსიქოლოგია უზრუნველყოფს დისპოზიციურ საფუძველს ქცევითი სტილის შერჩევაში ინდივიდუალური განსხვავებების გასაგებად. „დიდი ხუთეულის“ მოდელი ვარაუდობს, რომ სტაბილური პიროვნული თვისებები გავლენას ახდენს ემოციურ მგრძნობელობაზე, იმპულსების კონტროლსა და ინტერპერსონალურ ორიენტაციაზე, რითაც ყალიბდება სასურველი ქცევითი სტრატეგიები სხვადასხვა სიტუაციაში (მაკრეი და კოსტა 2008). თანხმობა და კეთილსინდისიერება მუდმივად ასოცირდება

[196] Lazarus, Richard S., and Susan Folkman. 1984. *Stress, Appraisal, and Coping*. New York: Springer.
[197] Eisenberg, Nancy, Richard A. Fabes and Tracy L. Spinrad. 2007. “Prosocial Development.” In *Handbook of Child Psychology*, edited by William Damon and Richard M. Lerner, 646–718. New York: Wiley.

პროსოციალურ ქცევასთან, თანამშრომლობა და კონსტრუქციული კონფლიქტების მართვასთან, ხოლო ნევროტიზმი დაკავშირებულია ემოციური რეაქტიულობის მომატებასა და თავის ასარიდებლად ორიენტირებულ რეაქციებთან (ჯონი, ნაუმანი და სოტო 2008).[198] მნიშვნელოვანია, რომ ბოლოდროინდელი ინტეგრაციული მოდელები ხაზს უსვამენ, რომ პიროვნული თვისებები პირდაპირ არ განსაზღვრავს ქცევას, არამედ მოქმედებენ სოციალურ-ემოციური მექანიზმების მეშვეობით, როგორიცაა თანაგრძნობა და ემოციების რეგულირება (მაიერი, სალოვეი და კარუსო 2008). ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, თანაგრძნობა ფუნქციონირებს როგორც დინამიკური გარემო დისპოზიციურ თვისებებსა და სიტუაციურ მოთხოვნებს შორის, რაც საშუალებას იძლევა ქცევითი სტილის მოქნილი ადაპტაციისა რთულ სოციალურ გარემოში.

პრაქტიკული განხორციელების მაგალითები ტრეინინგი/სწავლება/შრომები.

საქართველოს აკადემიურ გარემოში ემოციურ ინტელექტსა და მასთან დაკავშირებულ სოციალურ-ემოციურ თემებთან ფორმალური ჩართულობის მნიშვნელოვან პრაქტიკულ ილუსტრაციას წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ("EEU")[199] განათლების ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სტუდენტური და ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენცია. ამ ღონისძიებაზე, სახელწოდებით „ახალგაზრდობა და მომავლის განათლება – ხელოვნური ინტელექტის ეპოქის შეტყობინებები", სხვადასხვა უნივერსიტეტისა და სკოლის მონაწილეებმა განიხილეს შესაბამისი საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის ემოციური ინტელექტი და ფსიქიკური ჯანმრთელობა საგანმანათლებლო გარემოში. კონფერენციამ შეკრიბა სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და ექსპერტები, რათა გაეზიარებინათ იდეები თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებსა და ინოვაციებზე, ხაზი გაუსვა ემოციური ინტელექტის, როგორც თემის ინტეგრაციას საქართველოში უფრო ფართო საგანმანათლებლო დისკურსში. ემოციური ინტელექტის თემების პროგრამაში ჩართვა ასახავს სოციალურ-

[198] John Oliver P., Laura P. Naumann and Christopher J. Soto. 2008. "Paradigm Shift to the Integrative Big Five Trait Taxonomy." In *Handbook of Personality: Theory and Research*, edited by Oliver P. John, Richard W. Robins and Lawrence A. Pervin, 114–158. New York: Guilford Press.

[199] https://eeu.edu.ge/portfolio/conferenceandauction/?utm_source=chatgpt.com

ემოციური კომპეტენციების მზარდ აღიარებას კვლევასა და პრაქტიკაში საქართველოს უნივერსიტეტების კონტექსტში.

მიუხედავად იმისა, რომ თავად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ("GTU")[200] ძირითადად აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს ტექნიკურ და გამოყენებით სფეროებში. "GTU"-ის სოციალურ მეცნიერებათა გამოცემაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ კვლევით სტატიაში იკვლევდა ემოციურ ინტელექტს დაკავშირებულს ადამიანსა და რობოტს შორის ურთიერთქმედებისას, რაც უკავშირდება ემოციური გაგების, თანაგრძნობისა და სოციალური ქცევის შესახებ უფრო ფართო დისკუსიებს ტექნოლოგიურად გაშუალებულ გარემოში.

სტატიის **სამეცნიერო სიახლე**ა ქცევითი სტილის განმსაზღვრელი ფაქტორების ინტეგრაციული სტრუქტურული ანალიზი. საქართველოსა თუ დასავლეთში, უკვე არსებული კვლევებისგან განსხვავებით, რომლებიც ემპათიას, პიროვნებას ან ქცევით სტრატეგიებს იზოლირებულ ცვლადებად განიხილავენ, ამჟამინდელი კვლევა ემპათიას ცენტრალურ მარეგულირებელ მექანიზმად განიხილავს, რომელიც პიროვნების თვისებებს კონკრეტულ ქცევით რეაქციებთან აკავშირებს. კვლევა ხაზს უსვამს ემპათიის მრავალგანზომილებიან ბუნებას და აჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება მისი კოგნიტური და აფექტური კომპონენტები განსხვავებულად ადაპტაციურ და არაადაპტაციურ ქცევით სტილებს. გარდა ამისა, საქართველოს კონტექსტთან ადაპტირებული სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით, კვლევა ხელს უწყობს კულტურულად მგრძნობიარე ემპირიული ფსიქოლოგიის მიმართულებას და აფართოებს დასავლური თეორიული მოდელების გამოყენებადობას ადგილობრივ სოციალურ რეალობებზე.

თემის აქტუალობა

კვლევის აქტუალობა განისაზღვრება თანამედროვე სოციალურ, საგანმანათლებლო და ორგანიზაციულ გარემოში ინდივიდებზე დაწესებული მზარდი ფსიქოლოგიური და სოციალური მოთხოვნებით, სადაც კონფლიქტურ და

[200] https://shromebi.gtu.ge/admin/uploads/3%28525%29/017-tedoradze-qavtaradze.pdf?utm_source=chatgpt.com

კრიზისულ სიტუაციებში ეფექტური ქცევა წარმატებული ადაპტაციის კრიტიკულ ინდიკატორად იქცა. სწრაფი სოციალური ცვლილებები, გაზრდილი ინტერპერსონალური სტრესი და კოლექტიური და ინდივიდუალური კრიზისების მზარდი სიხშირე მოითხოვს არა მხოლოდ კოგნიტური პრობლემების გადაჭრის უნარებს, არამედ კარგად განვითარებულ სოციალურ-ემოციურ შესაძლებლობებს. ამ კონტექსტში, ქცევითი სტილის განმსაზღვრელი ფაქტორების – განსაკუთრებით ემპათიისა და პიროვნული თვისებების როლის – გაგებას მნიშვნელოვანი თეორიული და გამოყენებითი ღირებულება აქვს. ემპათია ფუნქციონირებს, როგორც ძირითადი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები განმარტავენ სოციალურ გზავნილებს, არეგულირებენ ემოციურ რეაქციებს და ირჩევენ ქცევით სტრატეგიებს, ხოლო პიროვნული თვისებები უზრუნველყოფს სტაბილურ დისპოზიციურ ჩარჩოს, რომელიც გავლენას ახდენს ამ პროცესებზე (დევისი 1983; მაკკრეი და კოსტა 2008). კონფლიქტური ქცევისა და პიროვნების შესახებ ვრცელი კვლევის მიუხედავად, მათი ინტეგრირებული შესწავლა ერთიან ემპირიულ მოდელში კვლავ შეზღუდულია, განსაკუთრებით არადასავლურ კულტურულ კონტექსტებში. ამიტომ, ემპათიის განზომილებებს, პიროვნულ თვისებებსა და ქცევით სტილებს შორის სტრუქტურული ურთიერთობის შესწავლა როგორც დროულია, ასევე აუცილებელია. ეს ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციების შემუშავებას, ქართული პოპულაციისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალური ადაპტაციის, კონფლიქტების მოგვარებისა და ფსიქოლოგიური მდგრადობის გაუმჯობესებას თანამედროვე საზოგადოებებში.

მეთოდოლოგია

ემპირიული კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის დიზაინის გამოყენებით. ნიმუში შედგებოდა ქართველი მონაწილეებისგან (18-36 წ.), რომლებიც შეფასდნენ შემდეგი ფსიქომეტრიული ინსტრუმენტების ქართული ვერსიებით:

თომასის ქცევითი სტილის საკვლევი ინსტრუმენტი, რომელიც ზომავს მეტოქეობას, თანამშრომლობას, კომპრომისს, თავის არიდებას და შეგუებას.

დევისის ინტერპერსონალური რეაქტიულობის ინდექსი (“IRI“), რომელიც აფასებს ფანტაზიას, ემპათიურ შეშფოთებას, დეცენტრაციას (პერსპექტივის აღქმა) და ემპათიურ დისტრესს.

„დიდი ხუთეულის“ პიროვნების საკვლევი ტესტი, რომელიც ზომავს ექსტრავერსიას, თანხმობას, კეთილსინდისიერებას, ნევროტიზმს და ახალი გამოცდილებისადმი გახსნილობას.

სტატისტიკური ანალიზი ფოკუსირებული იყო ემპათიის განზომილებებს, პიროვნების თვისებებსა და ქცევით სტილებს შორის ურთიერთობების იდენტიფიცირებაზე კრიზისულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავების კონტექსტში.

ემპირიული შედეგები და განხილვა

ემპირიული კვლევის შედეგები ადასტურებს თეორიულ ვარაუდს, რომ ემპათია ფუნქციონირებს, როგორც ქცევითი სტილის ძირითადი ფსიქოლოგიური განმსაზღვრელი ფაქტორი. კოგნიტური და აფექტური ემპათიის მაღალი დონე მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული უფრო ადაპტაციურ და კონსტრუქციულ ქცევით სტრატეგიებთან, როგორიცაა თანამშრომლობა და კომპრომისი. ამის საპირისპიროდ, ემპათიური დისტრესის და ნევროტიზმის მაღალი დონე უფრო მჭიდრო კავშირში იყო თავის არიდებასთან და ნაკლებად ეფექტურ გამკლავების სტრატეგიასთან.

საქართველოში ჩატარებული ემპირიული კვლევის მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ უფრო მაღალი ემპათიის მქონე პირები ავლენენ უფრო ეფექტურ კრიზისების მართვის სტრატეგიას როგორც ინტერპერსონალურ, ასევე ჯგუფურ დონეზე. ნაჩვენები იყო, რომ ემპათია მოქმედებს არა მხოლოდ როგორც ემოციური რეაქცია, არამედ როგორც მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც გავლენას ახდენს ემოციურ კონტროლზე, სოციალურ ურთიერთქმედებასა და სტრესისა და გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილების მისაღებად. პიროვნული თვისებები, როგორიცაა თანხმობა და კეთილსინდისიერება, კიდევ უფრო აძლიერებს ემპათიასა და ადაპტაციურ ქცევით სტილებს შორის ურთიერთობას, რაც ხაზს უსვამს ამ ფსიქოლოგიური განმსაზღვრელი ფაქტორების ინტეგრაციულ ბუნებას.

აღნიშნულ დასკვნებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საგანმანათლებლო, კლინიკურ და ორგანიზაციულ გარემოზე. ქცევითი სტილის განმსაზღვრელი ფაქტორების გაგებას შეუძლია გავლენა მოახდინოს სოციალურ-ემოციური ტრენინგპროგრამების, კონფლიქტების მოგვარების ინტერვენციებისა და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისების შემუშავებაზე. საქართველოს კონტექსტში, სადაც ინდივიდები ხშირად აწყდებიან სოციალურ სტრესორებს, რომლებიც დაკავშირებულია სწრაფ ცვლილებებთან და კოლექტიურ გამოწვევებთან, განსაკუთრებით ღირებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომები, რომლებიც დაფუძნებულია ემპათიასა და პიროვნების კვლევაზე.

დასკვნა

სტატია აჩვენებს, რომ სოციალურ და კრიზისულ კონტექსტებში ქცევითი სტილი ყალიბდება ემპათიის განზომილებებისა და პიროვნული თვისებების რთული ურთიერთქმედებით. თომასის ქცევითი სტილის მოდელის, დევისის ემპათიის ჩარჩოსა და „დიდი ხუთეულის“ ინტეგრირებით, კვლევა იძლევა ქცევითი რეაქციების ყოვლისმომცველ სტრუქტურულ ანალიზს. ემპირიული მონაცემები ადასტურებს, რომ ემპათია ქცევითი სტილის ცენტრალური ფსიქოლოგიური განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ადაპტაციურ გამკლავებას, სოციალურ ადაპტაციას და კონფლიქტების ეფექტურ მოგვარებას. სამომავლო კვლევებმა უნდა გააგრძელოს კულტურულად მგრძნობიარე შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა და ემპათიაზე დაფუძნებული ქცევითი რეგულირების კვლევების გაფართოება. სოციალურ და კრიზისულ კონტექსტებში ქცევითი სტილი მრავალგანზომილებიანი ფსიქოლოგიური კონსტრუქტია, რომელიც ემპათიის განზომილებებსა და სტაბილურ პიროვნულ თვისებებს შორის დინამიკური ურთიერთქმედებით არის ჩამოყალიბებული და ასახავს, თუ როგორ არეგულირებენ ინდივიდები ემოციებს და ირჩევენ ქცევით რეაქციებს სტრესისა და გაურკვევლობის პირობებში.

სტატიის ძირითადი გზავნილები

ემპათია ფუნქციონირებს როგორც ცენტრალური მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც აკავშირებს დისპოზიციურ პიროვნულ მახასიათებლებს

სიტუაციურ ქცევით სტრატეგიასთან, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს გამკლავების პროცესებზე, კონფლიქტების მოგვარებასა და სოციალურ ადაპტაციაზე. ამავდროულად, კვლევა ხაზს უსვამს, რომ ქცევითი სტილისა და მათი ფსიქოლოგიური განმსაზღვრელი ფაქტორების ზუსტი შეფასება მოითხოვს მრავალი, სტანდარტიზებული და კულტურულად ადაპტირებული ფსიქომეტრიული ინსტრუმენტის გამოყენებას, რომელსაც შეუძლია როგორც ემოციური, ასევე დისპოზიციური პროცესების აღბეჭდვა. საქართველოს კონტექსტში, დასკვნები ხელს უწყობს გლობალური ფსიქოლოგიური თეორიების ლოკალიზაციას, უკეთ შესწავლას, ანალიზს და მხარს უჭერს კულტურულად მგრძნობიარე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების შემუშავებას, რომლებიც მიზნად ისახავს მდგრადობის, კონსტრუქციული ინტერპერსონალური ქცევისა და ეფექტური სოციალური ფუნქციონირების გაძლიერებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Cherniss Cary, 2010, “Emotional Intelligence: Toward Clarification of a Concept.” *Industrial and Organizational Psychology* 3 (2): 110–126.
2. Costa Paul T. and Robert R. McCrae, 1992, *Revised NEO Personality Inventory (NEO PI-R)*. Odessa, FL: “Psychological Assessment Resources“.
3. Davis Mark H., 1983, “Measuring Individual Differences in Empathy: Evidence for a Multidimensional Approach.” *Journal of Personality and Social Psychology* 44 (1): 113–126.
4. Eisenberg Nancy, Richard A. Fabes and Tracy L. Spinrad. 2007. “Prosocial Development”. In *Handbook of Child Psychology*, edited by William Damon and Richard M. Lerner, 646–718. New York: Wiley.
5. John Oliver P., Laura P. Naumann and Christopher J. Soto, 2008, “Paradigm Shift to the Integrative Big Five Trait Taxonomy”, In *Handbook of Personality: Theory and Research*, edited by Oliver P. John, Richard W. Robins, and Lawrence A. Pervin, 114–158. New York: Guilford Press.
6. Lazarus Richard S. and Susan Folkman, 1984, *Stress, Appraisal, and Coping*. New York: Springer.

7. Mayer John D., Peter Salovey and David R. Caruso, 2008, “Emotional Intelligence: New Ability or Eclectic Traits?” *American Psychologist* 63 (6): 503–517.
8. McCrae Robert R. and Paul T. Costa, 2008, “The Five-Factor Theory of Personality”, In *Handbook of Personality: Theory and Research*, edited by Oliver P. John, Richard W. Robins, and Lawrence A. Pervin, 159–181. New York: Guilford Press.
9. Thomas Kenneth W. and Ralph H. Kilmann, 1974, *Thomas–Kilmann Conflict Mode Instrument*. Palo Alto, CA: Consulting Psychologists Press.

აშშ-რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესები შავი ზღვის რეგიონში ტრანსფორმირებადი მსოფლიო წესრიგის პირობებში

ირინა მიქავა

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

irina.mikava.1@iliauni.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0008-5147-6451

DOI: 10.52340/splogos.2026.01.16

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია შავი ზღვის გეოსტრატეგიული მდებარეობა აშშ-ისა და რუსეთის კონკურენტულ საგარეო და თავდაცვით პოლიტიკაში. სხვადასხვა სამეცნიერო დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია თანამედროვე და ისტორიული გეოპოლიტიკური თეორიები, რომელიც წარმოაჩენს შავი ზღვის როლს ტრანფორმირებადი მსოფლიო წესრიგისას რეგიონულ და გლობალურ დონეზე. კვლევის პროცესში გამოყენებულია რეგიონული და გლობალური აქტორების ინტერესების შედარებითი ანალიზი.

წარმოდგენილი სტატია პასუხობს კითხვას თუ რა ფაქტორები განაპირობებს რეგიონში ამ ორი გეოსტრატეგიული მეტოქის ინტერესების ტრანსფორმაციას ახალი მსოფლიო წესრიგის ცვლილებების პირობებში, სადაც სხვა აქტორები (ჩინეთი, თურქეთი, ნატო ევროკავშირი) ცდილობენ შეცვალონ ძალთა ბალანსი რეგიონში?

კვლევა ეყრდნობა შედარებითი ანალიზის მეთოდს. აშშ-ისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესების მიმოხილვისას გამოყენებულია ჰართლენდის თეორია, ძალთა ბალანსის თეორია, რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია, რაც შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას წარმოაჩენს საერთაშორისო დონეზე. მიმოხილულია შავი ზღვის რეგიონში აშშ-ის, რუსეთისა და ახალი აქტორის – ჩინეთის ინტერესები და რეგიონში მიმდინარე დაპირისპირება, რამაც რეგიონი

აქცია ბიპოლარული კონურენციის სივრციდან საერთაშორისო კონფროტაციის ახალ ტალღად, სადაც თითოეული ლოკალური ქმედება წარმოშობს გლობალურ შედეგებს.

კვლევა, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ტრანსფორმირებადი მსოფლიო წესრიგისას რეგიონში საერთაშორისო და რეგიონული აქტორების სტრატეგიული ქმედებების კვლევაში.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვის რეგიონი, გეოსტრატეგიული მდებარეობა, აშშ-ს ინტერესები, ტრანსფორმირებადი მსოფლიო წესრიგი, რეგიონული უსაფრთხოება.

US-Russian Geostrategic Interests in the Black Sea Region in a Transforming World Order

Irina Mikava

PhD Student in International Relations,

Georgian Technical University,

irina.mikava.1@iliauni.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0008-5147-6451

Abstract

The article analyzes the geostrategic position of the Black Sea within the context of the competing foreign and defense policies of the United States and Russia. Based on the analysis of various scholarly documents, both contemporary and historical geopolitical theories are outlined, demonstrating the role of the Black Sea at regional and global levels within a transforming world order.

The research employs a comparative analysis of the interests of regional and global actors. The article addresses the question of which factors determine the transformation of the interests of these two geostrategic rivals in the region under conditions of changes in the new world order, where other actors (China, Turkey, NATO, and the European Union) are also attempting to alter the balance of power in the region.

The study is grounded in the comparative analysis method. In reviewing the foreign policy interests of the United States and Russia, it draws upon the Heartland Theory, Balance of Power Theory, Regional Security Complex Theory, and Cooperative Security Theory, thereby highlighting the strategic importance of the Black Sea region at the international level.

The article further examines the interests of the United States, Russia, and a new actor, China, in the Black Sea region, as well as the ongoing confrontation in the area, which has transformed the region from a space of bipolar competition into a new wave of international confrontation, where each local action generates global consequences.

The research itself makes a significant contribution to the study of the strategic behavior of international and regional actors in the Black Sea region within the context of a transforming world order.

Keywords: Black Sea Region, Geostrategic Location, U.S. Interests, Transforming World Order, Regional Security.

კვლევის მეთოდები და კვლევის თეორიული ჩარჩო

შავი ზღვის რეგიონში აშშ-ისა და რუსეთის ინტერესების შესასწავლად ტრანფორმირებად ახალ მსოფლიო წესრიგში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდი, გარდა ამისა, კვლევა ეყრდნობა პირველად და მეორეულ წყაროებს, ქართულ და უცხოურ მასალებს, დოკუმენტების შესწავლასა და ისტორიულ კვლევას, წარსული მოვლენების გაანალიზებისა და შემდგომ შესაბამისი დასკვნების გამოსატანად.

სტატიაში გამოყენებულია საერთაშორისო ურთერთობებში არსებული კლასიკური თეორიები, როგორიცაა:

კლასიკური უსაფრთხოების კომპლექსური თეორია, რომელიც რეგიონულ ქვესისტემებს უსაფრთხოების კონტექსტში დიდი როლს აკისრებს. ამ თეორიის წარმომადგენელი ბუზანი გამოჰყოფს სამ ძირითად კომპონენტს, როგორიცაა: ერთეულებს შორის შეთანხმება და არსებული განსხვავება, მეგობრობისა და მტრობის ნიმუშები და ძალთა გადანაწილება ამავე ერთეულებს შორის.

ჰართლენდის თეორიით გლობალური დომინირების წინაპირობა ჰართლენდის (ევრაზიის ცენტრის) კონტროლშია. შავი ზღვის რეგიონის კონტექსტში კი, მასზე კონტროლის დამყარება ნიშნავს აზიის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის დაკავშირებას და წვდომას ენერგეტიკულ რესურსებზე. აღნიშნული თეორიის გამოძახილია რუსეთის მცდელობა შავი ზღვა აქციოს ,,რუსულ ტბად'' და მოახდინოს რეგიონში მნიშვნელოვანი სტრატეგიულ ობიექტებზე, პორტებზე კონტროლი და ტერიტორიების ოკუპაცია, როგორც ეს მოახერხა 2014 წელს ყირიმის ანექსიით. ჩინეთის, როგორც ახალი ეკონომიკური აქტორის ინიციატივები ,,ერთი გზა – ერთი სარტყელი'' კი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ჰართლენდზე (ევრაზიაზე) კონტროლის საშუალება.

რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია – "RSCT" – გათვალისწინებით რომ საფრთხეთა უმეტესი ნაწილს უკავშირებს გეოგრაფიულ სიახლოვესა და უსაფრთხოების მიმართულებით ურთიერდაკავშირება სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბებულია რეგიონული კლასტერების სახით, რომელიც ეყრდნობა შეჯიბრობითობის, ძალთა ბალანსისა და ალიანსების სისტემას რეგიონულ აქტორებს შორის, რასაც თან ერთვის გარეშე პირების/აქტორების ჩარევა. აღნიშნული თეორია ხაზს უსვამს რეგიონალიზმის ფორმირების საშუალებებს ცივი ომის გლობალური (სსრკ, აშშ) სტრუქტურების ტრანსფორმაციას ბიპოლარულობამდე (სსრკ, აშშ + ჩინეთი, გერმანია, იაპონია). ამასთანავე, ამ თეორიის კლასიკური გამოვლინებაა რუსეთ-უკრაინის, რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება, აშშ-ისა და ნატო-ს წევრი სახელმწიფოების პარტნიორობის ფონზე.

თანამშრომლობითი უსაფრთხოება – თეორიის მთავარი ქვაკუთხედია სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ცნება ინსტიტუციურ დონეზე, რომელთაც საერთო ღირებულებები აკავშირებთ. აღნიშნული თეორია საგულისხმოა აშშ-ის სტრატეგიული პოლიტიკისა და ნატოს კონტექსტში, რომელიც ცდილობს დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც რუსეთის აგრესიული პოლიტიკის პირდაპირი სამიზნე არიან. ნატო-ს შავი ზღვის უსაფრთხოების აქტი და ,,სამი ზღვის

ინიციატივა" წარმოადგენს თანამშრომლობის მაგალითს საერთო უსაფრთხოებისათვის.

ძალთა ბალანისის თეორიის ილუსტრირებაა აშშ-ის მხარდაჭერა რუმინეთისა და ბულგარეთის მიმართ, რათა შეზღუდოს რუსეთის გავლენა შავიზღვისპირა სახელმწიფოებზე, ხოლო ,,შუა დერეფანი" წარმოადგენს დასავლური და ჩინური ინტერესების გადაკვეთის არეალს.

შესავალი

შავი ზღვის რეგიონი ერთმანეთთან აკავშირებს შავიზღვისპირა სახელმწიფოებს: საქართველოს, თურქეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, რუსეთსა და უკრაინას. რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არაერთი რეგიონული და საერთაშორისო აქტორია ჩართული მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე. სსრკ-ის დაშლის შემდეგ რეგიონში წარმოქმნილმა კონფლიქტებმა, მილიტარიზებულმა გარემომ შავი ზღვის რეგიონი გარდაქმნა არასტაბილურ გარემოდ.

ისტორიულად შავი ზღვის რეგიონში რეგიონული თანამშრომლობის შესაძლებლობები მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა. ამ მხრივ, გამონაკლისი არც მიმდინარე ეტაპია, სადაც უფრო მეტად კონფრონტაციული პროცესები ვითარდება, ვიდრე თანამშრომლობაზე ორიენტირებული რეგიონული ინიციატივები. ცივი ომის შემდგომ რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებმა მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში ჩამოაყალიბა ძალთა ბალანსი რეგიონში, წარმოშვა მეტოქე რეგიონული და საერთაშორისო აქტორები და ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი რეგიონი, რომელიც ცენტრალურ აზიას ევროპასთან აკავშირებს. 2022 წელს რუსეთის მიერ განხორციელებულმა სრულმასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინაში შემოგვთავაზა ახალი რეალობა, სადაც გადამწყვეტი როლი ენიჭება აშშ-სა და რუსეთის ინტერესებს და სტრატეგიულ ქმედებებს.

შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა უფრო აქტიური გახდა ახალი პოტენციური სატრანზიტო მარშუტების წყალობით, რომლებიც ენერგორესურსების ტრანზიტს შეძლებს კასპიის ზღვიდან ცენტრალურ აზიაში, ხოლო, თავის მხრივ, რეგიონული უსაფრთხოების სტაბილიზაცია დამოკიდებული იქნება ენერგორესურსების ტრანსპორტირების შერჩეულ ვარიანტებზე.

ამჟამინდელმა გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ რეგიონი აქცია გეოპოლიტიკური კონფროტაციის ცენტრად. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ხაზი გაუსვა მის სტრატეგიულ მნიშვნელობას რუსეთის, ჩინეთის, ირანის, ევროპისა და შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში. რუსეთის მთავარი მიზანია მოიპოვის რეგიონში ,,ექსკლუზიური გავლენები“ და შავი ზღვა ტრანსფორმირდეს ,,რუსულ ტბად“. გარდა აღნიშნულისა, ის ცდილობს გახდეს დომინანტი ,,შუა დერეფნის“ პროექტში, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებს.

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიით იგი რეგიონში მთავარი ჰეგემონი გახდა, ხოლო საერთაშორისო აქტორებმა შეცვალეს თავიანთი სტრატეგია და დაიწყეს ახალი ნაბიჯების გადადგმა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მოსკოვის პარტნიორობა ჩინეთთსა და ირანთან ამის დასტურია. ვინაიდან, ჩინეთი აფართოვებს თავის ეკონომიკურ ყოფნას შავი ზღვის რეგიონში ენერგეტიკული პროექტებითა და მონაწილოებს ანაკლიის ღრმაწლოვანი პორტის მშენებლობაში. მსგავი ინიციატივების მხარს უჭერს ,,ერთი სარტყელის გზის'' ინიციატივას, რათა გააძლიეროს გეოპოლიტიკური გავლენა შუა დერეფანზე. საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობა ინფრასტრქტურულ პროექტებში ხაზს უსვამს მის გრძელვადიან ინტერესებს რეგიონში.

თურქეთი ცდილობს შეინარჩუნოთ მედიატორის ფუნქცია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში, დაამყაროს თანამშრომლობა აშშ-სთან და შეინარჩუნოს თავისი პრივილიგებული მდგომარეობა შავი ზღვის რეგიონში. ტრამპის ადმინისტრაცია ჩინეთის ეკონომიკურ ექსპანსიას შეერთებული შტატებისთვის მთავარ გამოწვევად თვლის (მეგრელიშვილი, 2023). სახელმწიფო მდივანმა რუბიომ დაასახელა ის აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებისათვის უდიდეს საშიშროებად. 2022 წლის ივლისში უხელმძღვანელა შავი ზღვის მარცვეულის ინიციატივას, ასევე მხარს უჭერდა

უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, უზიარებდა სამხედრო დაზვერვის მონაცემებს და მონაწილეობდა ერთობლივ სამხედრო წვრთნებში. შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივამ უზრუნველყო უკრაინის 67% მარცვლეულის ექსპორტი ბოსფორის სრუტის გავლით.[201]

რუსეთის მიერ 2022 წელს უკრაინაში შეჭრამ შეცვალა შავი ზღვის რეგიონული აღქმა და ის საერთაშორისო რეტროსპექტივაში წარმოჩნდა რეგიონული სახელმწიფოების, ბულგარეთისა და რუმინეთის მნიშვნელობა. შავი ზღვა ამჟამად წარმოადგენს კრიტიკულ რეგიონს, სადაც უსაფრთხოების არაერთ გამოწვევას განაპირობებს საერთაშორისო აქტორების განსხვავებული ინტერესები.

გლობალიზაციისას საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნები წარმოადგენს ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სტრატეგიის ინსტრუმენტებს, მათ შორისაა შავი ზღვის რეგიონი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც სატრანზიტო ცენტრი, სადაც წარმოდგენილია ევროკავშირის, ნატოს, აშშ-ის, რუსეთის, თურქეთისა და ჩინეთის სტრატეგიული ინტერესები. იგი წარმოადგენს დამაკავშირებელ ხიდს ევროპასა და აზიას შორის, საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომლის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს როლს ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანში.

შავი ზღვის აუზში წარმოდგენილია საზღვაო პორტები, რომელიც რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტაა, როგორიცაა: კონსტანცა (რუმინეთი), ვარნა (ბულგარეთი), ოდესა (უკრაინა), ნოვოროსიისკი (რუსეთი), სამსუნი და ტრაბიზონი (თურქეთი), ბათუმი და ფოთი (საქართველო). აღნიშნულ პორტებზე წვდომა კი ევროკავშირის, ნატოს, აშშ-ის, რუსეთის, თურქეთისა და ჩინეთის სტრატეგიული ინტერესებს წარმოადგენენ.

[201] ხუციბერიძე ლიკა, „თურქეთის როლი ევროპის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში“, 2025. https://gnomonwise.ug.edu.ge/ge/publications/analytics/256.

ზემოგანხილული ფაქტორები, სსრკ-ის დაშლიდან დღემდე, ენერგეტიკული და სატრანზიტო ინტერესები ერთობლივად წარმოგვიდგენს შავი ზღვის რეგიონს, როგორც გეოსტრატეგიული კონკურენციის ეპიცენტრს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძირითადი აქტორი აშშ და რუსეთი განსხვავებული სტრატეგიით. შემდეგ ქვეთავში განხილულია შეერთებული შტატების ინტერესები და მოქმედებები, რაც განსაზღვრავს მის სტრატეგიულ ყოფნას შავი ზღვის რეგიონში.

შავი ზღვის რეგიონი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში

შეერთებული შტატები შავი ზღვით ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული გლობალური ომის შემდეგ დაინტერესდა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოუცხადეს რუმინეთსა და ბულგარეთში განთავსებულმა აშშ-ის ბაზებმა ავღანეთსა და ერაყში ომის ლოჯისტიკის ნაწილში. შემდგომ მნიშვნელოვანი გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა 2014 წლის ყირიმის ანექსია. აშშ-სათვის დღემდე რეგიონი რჩება მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიებთან – ბალკანეთთან, ახლო აღმოსავლეთთსა და ცენტრალურ აზიასთან ახლოს მდებარე არეალად.

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრამ რეგიონის ყურადღება მიიქცია აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში. რეგიონი რჩება აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს შორის გეოსტრატეგიული კონკურენციის აქტიურ არეალად. 2023 წელს მიღებული შავი ზღვის უსაფრთხოების კონცეფცია ამის დასტურია.

აშშ-ის ინტერესები რეგიონში ნატოს წევრი სამი სახელმწიფოსგან – რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი – მომდინარეობს. შეერთებული შტატების ინტერესშია საზღვაო უსაფრთხოების გაუმჯობესება, რადგან 1936 წლის მონტრეს კონვენცია არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს უზღუდავს შეინარჩუნოს მუდმივი საზღვაო ყოფნა. რუსეთის მიერ 2022 წელს უკრაინაში შეჭრიდან მალვე თურქეთმა გამოიყენა საკუთარი უფლებამოსილებები და ჩაკეტა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები შავ ზღვაში სამხედრო გემებისთვის, რაც, თავის მხრივ, არ უშვებს

რუსეთის საზღვაო ძალებს საომარ ზონაში. 2022 წელს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი „მოსკვა“ ჩაიძირა, რასაც მოჰყვა 2 რუსული გემის, სარაკეტო კრეისერის შავ ზღვაში გადაადგილების შეზღუდა თურქეთის მიერ და რუსული გემების გასვლა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვიდან (Soylu, 2023). შეერთებული შტატები დაინტერესბულია შავ ზღვაში მუდმივი საზღვაო ყოფნით და ამავდროულად სამი სანაპირო სახელმწიფოს დაცვით. 2023 წელს მიღებული შავი ზღვის კონცეფცია ხაზს უსვამს შავ ზღვაში ნატოს რეგულარული, როტაციული საზღვაო ყოფნის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. გარდა ამისა, მოიაზრებს მრავალეროვნული შტაბის შექმნას, რომელმაც უნდა გააძლიეროს შავი ზღვის რეგიონში პარტნიორობა მოკავშირეებს შორის.

როგორც “Heritage Foundation“-ის ანალიტიკოსები აღნიშნავენ აშშ-ს სამხედრო უპირატესობს ანიჭებს მუდმივი ყოფნა, რაც მონტრეს კონვენციის მე-19 მუხლით არ ეზღუდება თუკი თურქეთი მეომარ სახელმწიფოს არ წარმოადგენს და დაკმაყოფილებულია ტრანზიტთან დაკავშირებული სხვა პირობები.

2025 წელს “Hudson Institue“-ის საიტზე მეთიუ ბოისის მიერ გამოქვეყნებულ წერილობით ჩანაწერზე დაყრდნობით ვლინდება ამ უკანასკნელის როლი შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში. ავტორი მიმოიხილავს აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის შეხვედრას, რომელიც შეეხება შავი ზღვის სტრატეგიას (Boyse 2025). მეთიუ ბოისი სიტყვით გამოვიდა, სადაც შეეხო აშშ-ისათვის შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობას, რუსეთის შეკავების პოლიტიკასა და რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერების საკითხებს. აღნიშნული კიდევ ერთხელ წარმოაჩენს რეგიონის როლს აშშ-ის სტრატეგიულ პოლიტიკაში.

საგულისხმოა, აშშ-ის შავი ზღვის სტრატეგია, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს რუსულ მავნე ზეგავლენას რეგიონის ენერგეტიკულ ბაზრებზე. შეერთებულმა შტატებმა უნდა გააძლიეროს შავიზღვისპირა სახელმწიფოების მხარდაჭერა, რათა ისინი დივერსიფიცირდნენ რუსული ბუნებრივი რესურსებისგან და ჩაერთონ ,,სამი ზღვის ინიციატივაში''.

შტატების ინტერესშია, რომ შავი ზღვის რეგიონის ბუნებრივი აირების დიდი მარაგები – რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის წყლებში განვითარდეს, რათა შემცირდეს რუსულ ენერგეტიკულ რესურსებზე დამოკიდებულება და გაძლიერდეს ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოება. შავი ზღვის უსაფრთხოება მის ინტერესშია, რადგან ის წარმოადგენს სატრანზიტო რეგიონს, რომლის მეშვეობით ენერგეტიკული რესურსები, მათ შორის, რუსული გაზი მიეწოდება ევროპას, ხმელთაშუა ზღვას და მის ფარგლებს გარეთაც. 2027 წლისთვის მისი მოკავშირე, რუმინეთი, ევროკავშირის გაზის უდიდესი მწარმოებელი გახდება 7,500 კვადრატული კილომეტრის ფართობის ნეფტუნის ღრმა საბადოს ექსპლუატაციით, რომელსაც წელიწადში 7-8 მილიარდი შემოსავლის მიღება შეუძლია. რუმინეთი მიდეას პროექტიდან აშშ-ის ინვესტიციებით რამდენიმე წელია აწარმოებს. ხოლო ბულგარეთი ტერველისა და ასპარუჰის საბადოებში დაახლოებით 60 მილიარდი კუბური მეტრის ექსპლუატაციას დაიწყებს, რაც გაზრდის რეგიონში შიდაწარმოებასა და ექპორტს. თურქეთის საკარიას საბადო 540 მილიარდ კუბურ მეტრს შეიცავს, რაც შავი ზღვის გაზის მარაგებიდან ყველაზე დიდია. რუსეთი აკონტროლებს უკრაინის გაზის რეზერვების საბადოს და მის მიერ ჩამორთმეულ საბურღ პლატფორმებს, რომელსაც იყენებს სამხედრო და ენერგეტიკული მიზნებისთვის.

შავი ზღვის რეგიონს შეუძლია ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების მხარდაჭერა წყალქვეშა ელექტროკაბელების მეშვეობით, რომელიც აზერბაიჯანის, საქართველოს, უნგრეთისა და რუმინეთის მონაწილეობით უნდა გაიყვანონ. ბულგარეთის გადაწყვეტილება 2026 წლისთვის შეწყვიტოს რუსული გაზის ტრანზიტი, სრულად გავიდეს რუსული გაზის ბაზრიდან 2028 წლისთვის და გადავიდეს თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯია მოსკოვის ენერგეტიკული ,,შანტაჟის“ შესამცირებლად.

2026 წლის 26 მარტს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ სატელეფონო ზარით ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, სადაც განიხილეს სხვა საკითხებთან ერთად, შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული საკითხები. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ აქცენტს სტრატეგიულ ლოჯისტიკურ დერეფნებზე აკეთებს. ამ კონტექსტში კი საქართველოს, როგორც შავი ზღვისპირა სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა არ კარგავს აქტუალურობას. რუსეთსა და ირანს შორის, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე საქართველო კვლავ სატრანზიტო ცენტრად რჩება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ,,შუა დერეფნის“ პროექტის განხორციელებას. ის წარმოადგენს სავაჭრო მარშუტს, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებს ერთმანეთთან და გვერდს უვლის მოსკოვსა და თეორანს. გარდა აღნიშნულისა, სამხრეთ კავკასიაში აშშ-მა მხარი დაუჭირა “TRIPP“-ის პროექტს (ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის) რომელიც აზერბაიჯანს სომხეთის გავლით, აზიდან საქონელს ევროპასთან აკავშირებთ.

აშშ-ის ატლანტიკურმა საბჭომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც აშშ-ს შავი ზღვის სტრატეგიის ქონისკენ მოუწოდებს, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელია შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში რიჩარდ ჰუკერ უმცროსი.

აღსანიშნია, რკინიგზა და ბორნები წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპორტო წყაროს, რომელიც აკავშირებს აზიელ და ევროპელ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შავი ზღვის გამოყენებით. ახალი პორტები, მაგალითად, ანაკლიის პორტი, კონსტანცა და ვარნადა აჩქარებს საერთაშორისო ვაჭრობასა და თანამშრომლობას. სამი ზღვის ინიციატივაში აშშ-ის მხარდაჭერას კი შეუძლია შავ ზღვაზე მდებარე კონსტანცას ბალტიის ზღვაზე მდებარე გდანსკთან დაკავშირება, ხოლო, თავის მხრივ, საკითხი აქტუალურია საქართველოსათვის, სადაც ბორნისა და რკინიგზის განვითარება მისცემს საშუალებას ევროკავშირს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შორის დამყარდეს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები. აშშ-ის მიერ ენერგეტიკული პროექტების მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მაგლითისთვის – 2022 წელს ელექტროკაბელების მშენებლობის

ინიციატივა აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით (შავი ზღვის ფსკერზე) რუმინეთამდე. აშშ-ს შეუძლია შეასრულოს დიდი როლი ენერგორესურსების დივერსიფიკაციის საკითხში.

რუსეთის ქმედებები შავი ზღვის რეგიონში პირდაპირ ახდენს გავლენას აშშ-ის მოკავშირე ბულგარეთსა და რუმინეთზე. 2023 წელს რუსეთმა განაცხადა შავ ზღვაში დროებითი გამაფრთხილებელი ზონა საზღვაო წვრთნების ჩატარების მიზნით, რომელიც მოიცავს ბულგარეთის ეკონომიკური ზონის ნაწილებს. ბულგარეთის საზღვაო ფლოტი კი მზადაა მიიღოს საპატრულო ხომალდები, რომლის საკომუნიკაციო სისტემების შეძენა იგგეგემება აშშ-ისაგან. ხოლო რუმინეთმა განალაგა F16 მას შემდეგ რაც რუსეთმა დაარღვია მათი საჰაერო სივრცე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის შავი ზღვის სტრატეგია სამ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას ეყრდნობა: სამხედრო ყოფნის გაძლიერება ნატო-ს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების მეშვეობით, ენერგეტიკული რესურსების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შესამცირებლად და სატრანზიტო დერეფნების განვითარების მხარდაჭერა, რომელიც დამოკიდებულია, რას მოიმოქმედებს რუსეთი და სხვა დაინტერესებული აქტორები თურქეთი და ჩინეთი, რომელთაც ამბიცია აქვთ რეგიონში ტრანფორმაციულ გარდაქმნებზე.

შავი ზღვის რეგიონი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში

შავი ზღვის რეგიონში მრავალი წყაროს ანალიზი XVII-XVIII საუკუნეებს მიაკუთვნებს და ის რუსეთის იმპერიის აღზევებას უკავშირდება. პუტინმა ყირიმის ანექსიის შემდეგ განაცხადა ,,ყირიმში ყველაფერი ჩვენს საერთო ისტორიასა და სიამაყეზე მეტყველებს. ეს არის უძველესი ხერსონესის ადგილმდებარეობა, სადაც პრინცი ვლადიმერი მოინათლა“. (Office of the President of Russia, 2014). კიევის რუსეთმა მართლმადიდებლობა დაარსებიდან ერთ წელში მიიღო, 988 წელს. პრინცი ვლადიმერი უმეტესწილად ადგილობრივ წარმართულ რელიგიას მისდევდა, სამეფოს მოქცევამდე გამოსცადა მონოთეისტური რელიგიები –

კათოლიციზმი, ისლამი და მართლმადიდებლობა, თუმცა, დიდწილად ბერძნულ ვარიანტს ირჩევდა შავი ზღვის გადაღმა მდებარე ბიზანტიის იმპერიის ძლიერების გამო.

რუსეთს მუდმივად ჰქონდა მცდელობა შავი ზღვის რეგიონში ფლოტი ჰქონოდა. აღნიშნული მიზნის მიღწევაში კი ხელს ოსმალეთის იმპერია უშლიდა. სიტუაცია იცვლება მას შემდეგ რაც 1774 წელს დაიდო ქუჩუკ-კაინარჯის ზავი და რუსეთს სავაჭრო ნაოსნობის საშუალება მიეცა. მოგვიანებით რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების შემდეგ, ეკატერინე II-მ მოიპოვა ზღვაზე გასასვლელის უფლება, რითაც რუსეთის დროშით მცურავი გემებისთვის გაიხსნა შავი ზღვის რეგიონი. (გაბელია, 2023). ივანე IV მრისხანეს შემდგომ აქტიურ სამხედრო კამპანიას შავი ზღვის რეგიონში იწყებს პეტრე დიდი. 1770 წლისთვის შავი ზღვის რეგიონში რუსული ინტერესები შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით: 1. შავი ზღვის რეგიონის გახსნა ევროპული ვაჭრებისთვის, რომელსაც გააკონტროლებს რუსეთის იმპერია; 2. ოსმალეთის სულთნის ჩამოგდება და რუსი პრინცის მიერ ბიზანტიის იმპერიის მართვა.

1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომმა გამოიწვია ორი მნიშვნელოვანი ხელშეკრულების დადება, რამაც გაამყარა რუსული გავლენა შავი ზღვის რეგიონში: 1. 1878 წელს დადებული სან-სტეფანოს ხელშეკრულება, რამაც გაამაყრა რუსული გავლენა შავ ზღვაზე, ეგეოსის ზღვაზე, ირიბად მცირე აზიასა და კონსტანტინოპოლზე 2. ბერლინის კონგრესს მოჰყვა ბათუმის შეერთება და რუსული გემების შავ ზღვაში შეღწევა ბათუმის პორტის დაკავებით. რუსეთი მუდმივად ცდილობდა მოეპოვებინა შავ ზღვაზე გასასვლელი, რასაც ადასტურებს ეკატერინე II-ის მიერ ყირიმის ანექსია, რათა დაეკავებინა თბილი პორტები.

,,უკვე უდაოა, რომ შავ ზღვაში აბსოლუტური სუვერენიტეტის მოპოვება ერთ-ერთი მოტივია, რის გამოც რუსეთის იმპერატრიცა თურქეთის მიმართ მტრულად არის განწყობილი“. ეს სტატია 1783 წელს დაიწერა რუსული სამეფოს შექმნიდან 200 წლის შემდეგ, ოქსფორდის გაზეთის ბრიტანულ გამოცემაში, რომელშიც გაანალიზებული იყო ეკატერინე მეორე დიდის ქმედებები ყირიმში. როგორც ჩანს 2014 წელს რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხისას მოსკოვის

სტრატეგიული მიზანი ყირიმის ნახევარკუნძულის დაკავება იყო. თავის მხრივ, ეკატერინე II-ის მიზანიც ძლიერი რუსული საზღვაო ფლოტის შექმნა იყო, რასაც ვერ მიაღწევდა თბილი პორტების დაკავების გარეშე, რომელსაც გრძელადიან პერსპექტივაში შეეძლო რუსული ძალაუფლების პროექცია ევრაზიაში, ყირიმის საზღვაო ბაზების გამოყენება კონსტანტინეპოლსა და თურქული სრუტეების ოსმალეთის იმპერიისგან გასათავისუფლებლად (Jackson's Oxford Journal, 1783). აღნიშნული, თავის მხრივ, რუსეთს მიანიჭებდა მეტ ძალაუფლებას ხმელთაშუა ზღვასა და აფრიკაში, საბოლოოდ კი მის სრულ ბატონობას შავ ზღვაზე.

შავი ზღვის რეგიონი ისტორიულად იყო დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთის სივრცე, რასაც ადასტურებს 1922-1923 წლებში ლოზანის ხელშეკრულების საკითხიც, სადაც რუსეთი ინტენსიურად მოითხოვდა ჩაეკეტათ სრუტე ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისთვის, რაც წინააღმდეგობაში იყო დიდი ბრიტანეთის ინტერესებთან. 1939 წელს სსრკ მოითხოვდა მონტროს კონვენციის გადასინჯვას და სრუტეებზე თურქეთისა და სსრკ-ის საერთო კონტროლის დაწესებას. აღნიშნული მოთხოვნა განაპირობა იტალიისა და ნაცისტური გერმანიის, მოგვიანებით აშშ-ის გემების გამოჩენამ, რის საპასუხოდ რუსეთმა გაზარდა საზღვაო ძალები რეგიონში, ხოლო თურქეთმა დასახმარებად აშშ-ს მიმართა. ცივი ომის დროს სსრკ-ისთვის ძალთა ბალანსი 1946 წელს იქნა მიღწეული, როდესაც იოსებ სტალინმა თურქეთისგან მოითხოვა ომის მუქარით საბჭოთა გემებს ჰქონოდათ თურქეთის სრუტეებში გავლის უფლება, რაზეც ანკარა დათანხმდა.

მოგვიანებით, ოსმალეთის იმპერიის დაშლისა და თურქული გავლენის შემცირების შედეგად აშშ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოთამაშე აქტორად იქცა, თუმცა სსრკ-ს წვდომა ჰქონდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე შავი ზღვის კონტროლის შედეგად. ამის საილუსტრაციოდ თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს გავლენა სსრკ-ისთვის საერთაშორისო დონეზე ცხადყოფს სსრკ-ის მიერ კუბაში შავი ზღვის გავლით გაგზავნილი რაკეტები, რამაც კუბის სარაკეტო კრიზისი გამოიწვია ყირიმის გემებზე ჩაიტვირთა, რითაც აშშ-ს პირდაპირ დაემუქრა ბირთვული იარაღით.

ისტორიულად, რუსეთისთვის შავი ზღვის რეგიონში დომინანტობა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი იყო. დღესდღეობით, რეგიონს იგი განიხილავს როგორც საშუალებას, დაამყაროს კონტროლი ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვაში, სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. უკრაინაში შეჭრის დასასაბუთებლად პუტინმა საკუთარი თავი შეადარა პეტრე დიდს, როდესაც განაცხადა: ,,პეტრე დიდმა 21 წლის განმავლობაში აწარმოა ჩრდილოეთის ომი. როგორც ჩანს, როდესაც ის შევედეთთან ომობდა, მათ არაფერი წაართვა, დაიბრუნა, ის რაც რუსეთს ეკუთვნოდა“. მისი ეს კომენტარი შავი ზღვის გასწვრივ უკრაინის ტერიტორიის ანექსიის განხილვისას გააკეთა, რითაც ხაზი გაუსვა ისტორიულად ფესვგადადგმულ იმპერიულ პოლიტიკას.

სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთის ფედერაცია 2007 წლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შავ ზღვას, რათა ხელახლა დაემკვიდრებინა თავისი პოზიციები რეგიონში, როგორც ანგარიშგასაწევ ძალას. აღნიშნულს ადასტურებს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, სადაც მსოფლიოს რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინა წარადგინა, როდესაც ,,სსრკ-ის დაშლა დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად“ მოიხსენია. მომავალში მისი ამბიციები აღედგინა რუსეთის საბჭოური გავლენები 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული შეტევით დაადასტურა, შემდეგ კი 2014 წელს ყირიმის ანექსიით. ამით მოსკოვმა აშშ-ს მიანიშნა რომ არ დათმობდა თავის ,,ისტორიულ გავლენებს“.[202]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა დაიწყო თანამედროვე შესაძლებლობების განვითარება კომბინირებული საზღვაო მისიებისთვის. სწორედ 2008 წლის შემდეგ დაიწყო შავი ზღვის ფლოტის გაფართოვება და ნოვოროსიისკის სამხედრო პორტის განვითარების დაჩქარება, რადგან ამ დროისთვის მოსკოვს არ შეეძლო გაეძლიერებინა თავისი საზღვაო ყოფნა სევასტოპოლში უკრაინასთან

[202] კოპალიანი კარლო და კვეტენაძე ზურაბი, „2007 წლის მიუნხენის კონფერენცია და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები“, 2021. https://shromebi.gtu.ge/admin/uploads/ shroma%20N2(2021)/011-kopaliani.pdf.

შესაბამისი შეთანხმებით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით (ბატაშვილი, 2021).

2014 წელს ყირიმის ანექსიით კი რუსეთმა გეოსტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა შავი ზღვის რეგიონში, ნახევარკუნძული მალევე აქცია საზღვაო და საჰაერო ძალების ბასტიონად, განათავსა A2/AD სისტემები. საგულისხმოა, 2015 წლის ბოლოსთვის რუსეთის შავი ზღვის ფლოტს ჰყავდა 9 წყალქვეშა ნავი, 41 ზედაპირული გემი, 34 თვითმფრინავი და დაახლოებით 40 ვერტმფრენი, ასევე საზღვაო ქვეითთა პოლკი (Russian Navy Black Sea capabilities in case of conflict against NATO, TASS Defenc, 2016). საზღვაო ძალებს მხარს უჭერდა საჰაერო თავდაცვის კორპუსი, რომელიც შედგებოდა 2 გამანადგურებელი პოლკისგან, კერძოდ, 50-60 SU-27 (“Flanker“) და “MIG-29“ (“Fulcrum“) თვითმფრინავებისგან, ასევე 2 პოლკისგან. გარდა აღნიშნულისა, 2016 წლის ოქტომბეზზრში და 2016 წლის ნოემბერში „შავი ზღვის ფლოტმა“ მიიღო თავდასხმის წყალქვეშა ნავები „ველიკი ნოვგოროდი“ და „კოლპინო’’.

შავი ზღვის სტრატეგიული ღირებულება მის წვდომაში, შესაბამისად, რუსეთმა მიაღწია დომინანტობას ყირიმის ანექსიის შემდეგ და ახლა ცდილობს ჰქონდეს სრული წვდომა რეგიონზე, რადგან ზღვის სანაპიროებზე განლაგებული ძალებისთვის რეგიონი ძალაუფლების პროექციისთვის მნიშვნელოვანია. ამას ცხადყოფს რუსეთის ქმედებები სირიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ამჟამად უკრაინაში არის 10 გემთშენებლობის სივრცე, რაც რუსეთს შეუძლია მიისაკუთროს უკრაინის ანექსიის შემდეგ. რუსეთის 6 გემთშენებლობისა და სარემონტო ეზოზე ამყარებს კონტროლს, აქედან 3 ყირიმის ანექსიის შემდეგ მოიპოვა. ზემოდასახელებულ გემთშენებლობის სიმძლავრეებზე დომინანტობა კი ნიშნავს, სამხრეთ რეგიონში გაბატონებას, ხერსონის გემთსაშენი ქარხნის გამოყენება შავი ზღვის ფლოტის წარმოება-მოვლისთვის ამის ნათელი მაგალითია, სადაც ხსენებული 3 გემთსაშენია.

რუსეთის ამბიციები რეგიონში დასტურდება 2021 წელს ნატოს მიმართ მისი გაჟღერებული მოთხოვნით, გაათავისუფლოს ბულგარეთი და რუმინეთი ალიანსის ჯარის, იარაღისა და სამხედრო ტექნიკისგან, რითაც აღდგება ნატოს 1997 წლის

კონფიგურაცია. აღნიშნული მოთხოვნა უარყო ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ, მირჩა ჯოანამ. რუსეთმა 2021 წელს გამოაქვეყნა რუსეთსა და შეერთებული შტატებს შორის უსაფრთხოების გარანტიების წინადადება, სადაც ის აღმოსავლეთ ევროპას ,,რუსეთის გავლენის სფეროდ'' მოიხსენიებს. აღნიშნული განცხადება რუსულმა მხარემ მას შემდეგ გააკეთა რაც აშშ-მა და საფრანგეთმა რუმინეთში ნატო-ს დამატებითი ჯარების განლაგების შესახებ განაცხადეს.

ბუქარესტი შეერთებული შტატებისთვის წარმოადგენს რეგიონში მთავარ საყრდენს, რასაც ცხადყოფს შემდეგი: რუმინეთი აშშ-ის 1000-მდე როტაციულ ძალებს "Mihail Kogălniceanu" ("MK")-ს საჰაერო ბაზაზე იღებს. ასევე, დევესელუს სამხედრო-საჰაერო ბაზაზე განთავსებულია "egis Ashore" რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები. რუმინეთში განთავსდა შტატებისგან მიღებული „Patriot PAC 3+" და ამერიკულ-ნორვეგიულ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები.[203]

შავი ზღვის რეგიონში რუსული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს მის სტრატეგიულ უწყვეტობას. ყოველი ქმედება განპირობებულია წინა ქმედებების ლოგიკური გაგრძელებით. არ შეგვიძლია განვიხილოთ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ შეტევა 2014 და 2022 წლებში უკრაინის მიმართ განხორციელებული სრულმასშტაბიანი შეტევების მიღმა. აღნიშნულმა უფრო გაამყარა მოსკოვის სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები, მეორე მხრივ, კი შექმნა ახალი აქტორებისთვის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ჩინეთისთვის, რომელიც ცდილობს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინსტრუმენტებით შექმნას ჩინეთის მზარდი ყოფნის შესაძლებლობები შავი ზღვის რეგიონში.

ჩინეთი, როგორც ახალი აქტორი შავი ზღვის რეგიონში

შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფანი წარმოადგენს კრიტიკულ კავშირს ევროპას, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს შორის. ანაკლიის პორტის პროექტის

[203] სურმავა გიორგი, „*შავი ზღვა, მოთამაშეთა ინტერესები და შესაძლებლობები*", თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2021.

უპირატესობას გემების გამტაუნარიანობა წარმოადგენს, რასაც საქართველოს ამჟამინდელი პორტები (ბათუმისა და ფოთისა) ვერ უზრუნველყოფენ, რუმინეთის საზღვაო სააგენტოს ინფორმაციით ანაკლიის პორტი შეძლებს ააღორძინოს შუა დერეფანი. 4 „პანამაქსისა“ და „პოსტპანამაქსის“ გემი, როემლთაც შეუძლიათ 50000 ტონაზე მეტი ტვირთის გადაზიდვა, რომელთა ტევადობა 10000-20000 ტონამდე მერყეობს. გარდა ამისა, ანაკლიის პორტი წარმოადგენს ,,სარტყელი და გზის“ ინიციატივის ფარგლებში საქართველოს აქვს შესაძლებლობა გახდეს შუამავალი ჩინეთს, ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის.

შავი ზღვის რეგიონი ჩინეთისთვის წარმოადგენს სატრანსპორტო , დამაკავშირებელ გზას ევროპისკენ. მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია საბერძნეთის პირეოსის პორტი, როგორც ჩინური უმსხვილესი გადამზიდი კომპანიის “COSCO SHIPPING“-ის ხმელთაშუა ზღვის ბაზა. გარდა აღნიშნულისა, ის ზრდის თავის მონაწილეობას პირეოსის პორტში, რითაც კავშირს ამყარებს ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში. ხოლო ბულგარეთის ,,ბურგასის პორტი“ წარმოადგენს ლოჯისტიკურ ცენტრს ევროკავშირის ბაზრებზე შესაღწევად. (Kerano & Metodieva, 2025). ახალი აბრეშუმის გზა უფრო გაზრდის ჩინეთის გავლენას რეგიონში და გაართულებს რუსეთსა და დასავლეთს შორს ურთიერთობებს, ხოლო ჩინეთ-აშშ-ის ან ჩინეთ-რუსეთის დაპრისპირებას კი შეუძლია რეგიონის დესტაბილიზაცია მოახდინოს.

ჯერ კიდევ 2016 წელს ჩინეთი დასთანხმდა განევითარებინა ბულგარეთის შავი ზღვის პორტი, ბურგასი. იგი როგორც ლოგისტიკური ცენტრი, წარმოადგენდა ხელსაყრელ სივრცეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორებთან საქონლით ვაჭრობისთვის 17+1 ფარგლებში. 2019 წლისთვის, მანქანათმშენებლობის კორპორაციამ ხელი მოაწერა 120 მილიონი აშშ დოლარის სააქციო საზოგადოება “Logistical Center-Varna“-სთან, ვარნაში, პორტის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. რაც, თავის მხრივ, სოფიის პორტისთვის წარმოადგენდა ტვირთების გადასაზიდად ხელსაყრელ შესაძლებლობას. სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ბულგარეთმა ხელი მოაწერა ჩინეთის მთავრობასთან ჩარჩო შეთანხმებას,

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მათ შორის ოთხი მაგისტრალისა და გვირაბის ასაშენებლად.

ჩინეთმა, გარდა ზემოთ აღნიშნული შავი ზღვის სახელმწიფოებისა, მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა თურქეთში, სადაც ასევე დაინტერესებულია საპორტო საშუალებებითა და კავშირის გაზრდით. თურქეთ-ჩინეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვან სტიმულატორს წარმოადგენს თურქეთის დაძაბული ურთიერთობა აშშ-სთან, ევროპასთან და მისი განვითარებადი, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა. ჯერ კიდევ 2015 წელს ჩინურმა კონსორციუმა კუმპორტის ტერმინალის 65% იყიდა თურქეთის ამბრალის პორტის კომპლექსში, რომელიც მდებარეობს მარმარილოს ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, სტამბოლში. საგულისხმოა, ჩინეთ-თურქეთის ურთიერთობებში შუა დერეფნის ინიციატივა, რომელიც გადის თურქეთიდან ცენტრალურ აზიამდე.

2013 წელს პრეზიდენტმა სინ ძიმ წამოიწყო ამბიციური ინფრასტრუქტურული პროექტი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი, აზიის ევროპასთან დასაკავშირებლად, იგი მოიცავდა ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახმელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის ქვეყნებთან. ხოლო ინვესტიციები შავი ზღვის რეგიონის პორტებში პეკინს განიხილავს მნიშვნელოვან აქტორად ევროპულ ბაზრებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. შავი ზღვის წევრი სახელმწიფოებიდან ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა საქართველოში, საქართველოს მთავრობა განიხილავდა მულტიმოდალური სატრანსპორტო ტერმინალის მშენებლობის შესაძლებლობას, ასევე ფოთის ზღვის ტერმინალის გაფართოვებას.

2019 წლისთვის უკრაინისათვის ჩინეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო. უკრაინის პორტები და ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი იყო ჩინეთისთვის, რადაგან მისი გამოყენებით პეკინი სოფლის მეურნეობის ექსპორტს აწარმოებდა. 2016 წელს პეკინმა გახსნა მარცვლელულის ტერმინალი უკრაინაში, მიკოლაივის პორტში. შემდეგ ხელი მოაწერა, მარიუპოლში, აზოვის ზღვაზე, საპორტო ინფრაქსტრუქტურის განვითარების მიზნით ურთიერთანამშრომლობის

მემორანდუმს. განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ხელს უწყობდა უკრაინის ლოჯისტიკურ ჰაბად გადაქცევას, მაგრამ ისევე როგორც საქართველოსათვის, ასევე უკრაინისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან გამოწვეევას აშშ-ჩინეთის კონკურენცია. 2022 წლიდან უკრაინაში მიმდინარე ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა შავი ზღვის რეგიონის წევრი სახელმწიფოების რეგიონული უსაფრთხოების რუკა, სადაც ჩინეთ-რუსეთი რჩებიან სტრატეგიულ მოკავშირეებად, ხოლო ჩინეთი თავს მოიაზრებს არსებულ კონფლიქტურ მდგომარეობაში დამაბალანსებელ აქტორად. გარდა ამისა, საგულსხმოა, აშშ-თან არსებული ურთიერთობები, რომელიც რუსეთსა და ჩინეთს აქცევს მოკავშირეებად საერთო მოწინააღმდეგის პირისპირ.

ჩინეთი შავი ზღვის რეგიონს განიხილავს მნიშვნელოვან ძალად, რომელსაც შეუძლია მისი გლობალური ინიციატივისა და სტრატეგიული მიზნის განხორციელება ,,ერთი გზა – ერთი სარტყელი“ ინიციატივის ფარგლებში, რასაც ადასტურებს ორმხრივი და მრავალმხირივი თანამშრომლობის შესაძლებლოებები, რომელსაც ის იყენებს თურქეთის, საქართველოს, ბულგარეთისა და რუსეთის მიმართ. 2023 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და ჩინეთს შორის. რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები უკრაინასთან, ასევე სტარტეგიულ კონკურენტთან აშშ-თან და ევროპის სანქციებმა კი განსაზღვრა მისი ალტერნატიული ორმხრივი ურთიერთობების დამყარების მცდელობები გავლენის მოსაპოვებლად.

ამავდროულად, ჩინეთი ცდილობს განახორციელოს ,,ერთი გზა – ერთი სარტყელი“ ინიციატივა, რომელსაც აქვს გლობალური მნიშვნელობა, მაგრამ ამავდროულად მისი სტრატეგიული მიზანია გაზარდოს გავლენა შავი ზღვის რეგიონის წევრი-სახელმწიფოების მიმართ და აითვისოს ახალი სივრცეები, რომელიც, თავის მხრივ, აშშ-ისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესის სფეროებშია. ,,ერთი გზა – ერთი სარტყელი“ ინიციატივის კვლავ წინ წამოწევა, რომელიც გულისხმობს ევრაზიის 60-მდე ქვეყნის თანამშრომობას და ,,ახალი აბრეშუმის გზის“ აღორძინებას. სავაჭრო ურთიერთოებების გარდა ჩინეთი

საქართველოში დაინტერესებულია ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებითა და ანაკლიის პორტით.

საგულისხმოა, რუსეთ-ჩინეთის მზარდი თანამშრომლობა პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სამხედრო კონტექსტში რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომიდან. ჩინეთსა და რუსეთს შორის ტვირთბრუნვა 30 %-მდე გაიზარდა. დასავლეთის სანქციების ფონზე, ერთადერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირეს რუსეთისათვის ჩინეთი წარმოადგენს. აშშ-მა 2022 წელს ჩინურ კომპანიებს რუსეთის სამხედრო ძალების მხარდაჭერისათვის სანქციები პირველად დაუწესა, ხოლო 2023 წელს ჩინური კომპანიის "Spacety China"-ს მიერ უკრაინის სატელიტური ფოტოების ვაგნერის ჯგუფისთვის მიწოდების გამო კიდევ ახალი სანქციები დაუწესდა, აქედან კი შესამჩნევი გახდა პეკინის მიერ რუსეთის სამხედრო მხარდაჭერა.

ჩინეთის სტრატეგია აშშ-ისა და რუსეთის ინსტრუმენტებისგან განსხვავებულია. მას არ სურს სამხედრო ყოფნა რეგიონში, არამედ ორიენტირებულია გამოიყენოს მულტილატერალური ფორმატები. ამ სამი სახელმწიფოს ინტერესების გადაკვეთა გვიჩვენებს ძალთა ბალანსის ცვლილებას რეგიონში. 2024 წელს განმეორებით ტენდერში ჩინურ-სინგაპურული კომპანიის მოგებამ (აშშ-ის, ჰელსინკის კომისია 2025) უფრო გაამწვავა აშშ-ის რეაქცია, რასაც მოჰყვა 2026 წლის მარტში აშშ-ის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი ანაკლიის ღრმაწლოვან პორტში და მათი განცხადებები, რომ ,,პორტის ფუნქციონირება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტებს". (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2026). ანაკლიის პორტი შუა დერეფნის პროექტის გამტარუნარიანობას გაზრდის და მოგებას მოუტანს საქართველოს, რადგან ამ პორტით შესაძლებელია მეტი ტვირთი გადაიზიდოს შავი ზღვიდან ევროპაში, რაც კონკურენციას უწევს თურქეთს, ხოლო აშშ შუა დერეფნის პროექტს ჩინურ პროექტად განიხილავს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, რომ შავი ზღვის რეგიონი ტრანსფორმირებადი ახალ მსოფლიო წესრიგში გადაიქცა ბიპოლარული

დაპირისპირების ცენტრიდან საერთაშორისო კონფრონტაციის კერად, სადაც არა მხოლოდ ორი სახელმწიფოს ინტერესები იკვეთება, არამედ კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ რეგიონი კვლავ აქტუალურია აშშ-ის, რუსეთის, თურქეთისა და ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაში.

როგორც დავინახეთ, რუსეთისთვის შავი ზღვის მნიშვნელობის გააზრება არ დაწყებულა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან ან 2014 წლის ყირიმის ანექსიით, განსხვავებით შეერთებული შტატებისგან. კონფრონტაცის ფესვები ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან უნდა ვეძიოთ, სადაც დიდი იმპერიების ინტერესები იკვეთებოდა ზღვაზე ბატონობისთვის, სადაც დომინატობა ჩაანაცვლა სრუტეებზე წვდომის განზრახვამ. ზემოხსნებეული 2014 წლის ყირიმის ანექსიით და 2022 წელს უკრაინაში შეჭრით რუსეთმა კიდევ ერთხელ განაცხადა შავი ზღვის ,,რუსულ ტბად“ გადაქცევის მიზანი, რითაც დაამყარებდა გავლენას ხმელთაშუა ზღვასა და აფრიკაზე. რუსეთის იმპერიული პოლიტიკა კი ნასაზრდოვებია პეტრე II-ისა და ეკატერინე დიდის საგარეო პოლიტიკიური სტრატეგიებით, სადაც ყოველი ახალი ქმედება წინას გამოძახილია.

რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, იგი ცდილობს სამხედრო ყოფნის გაძლიერებას შავი ზღვის რეგიონში, რათა მეტი პირდაპირი კონტაქტი და კავშირები ჰქონდეს ნატო-ს ევროსახელმწიფოების მიმართ, ასევე მხარს უჭერს ახალ ენერგეტიკულ პროექტებს და ცდილობს განავითაროს სტრატეგიული ლოჯისტიკური დერეფნები, რათა შეზღუდოს დამოკიდებულება რუსულ ენერგეტიკულ რესურსებზე, ეს კი პირდაპირ ნიშნავს პოლიტიკური გავლენის შესუსტუებას.

კვლევის ერთ-ერთ მიგნებად ჩაითვლება ჩინეთის, როგორც ახალი გეოკონომიკური მოთამაშის ეკონომიკური ინიციატივები, რომელიც ,,ერთი გზა – ერთი სარტყელის“ ინიციატივით და ,,შუა დერეფნის“ პროექტებით ცდილობს გავლენის მოპოვებას, ხოლო ინტერესთა გადაკვეთა აშშ-ჩინეთს შორის საქართველოს ახალი გეოპოლიტიკური რეალობისა და არჩევნის წინაშე აყენებს. მომავალში რეგიონის სტაბილიზაცია დამოკიდებული იქნება როგორ შეძლებენ

რეგიონული აქტორები თანამშრომლობას და საერთაშორისო აქტორები ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებას ცვალებად ახალ მსოფლიო წესრიგში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრამიძე თინათინი, „*შავი ზღვის სრუტეების საკითხი წამყვან სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში XX–XXI საუკუნეთა მიჯნაზე*“, ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_16162_2.pdf .
2. ბატაშვილი დავითი, „*რუსეთის სტრატეგია და შავი ზღვა*“, თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2021. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/.
3. გაბელია ირაკლი, „*ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში*“, თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019. https://openscience.ge/bitstream/1/1691/1/Irakli%20Gabelia%20Samagistro.pdf.
4. გაბელია ირაკლი, „*შავი ზღვის უსაფრთხოება თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში*“, სადოქტორო ნაშრომი, 2023.
5. სურმავა გიორგი, „*შავი ზღვა, მოთამაშეთა ინტერესები და შესაძლებლობები*“, თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2021.
6. “Black Sea Fleet: Complete Ship List.” Kchf.ru. Accessed April 16, 2026. https://www.kchf.ru/eng/ship/.
7. მეგრელიშვილი ეკა, „თურქეთის დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა და მედიატორის როლი უკრაინა-რუსეთის ომის კონტექსტში“, 2023. https://di.gov.ge/publications/analytical-collection/thurqethis-dabalansebuli-sagareo-politika-da-mediatoris-roli-ukraina-rusethis-omis-konteqstshi.
8. კოპალიანი კარლო და კვეტენაძე ზურაბი, „2007 წლის მიუნხენის კონფერენცია და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები“, 2021. https://shromebi.gtu.ge/admin/uploads/ shroma%20N2(2021)/011-kopaliani.pdf.
9. კიკნაძე თამარი და შავაძე ლაშა, „*ანაკლიის პორტი და მისი გავლენა საქართველოს გეოპოლიტიკაზე*“, 2025.
10. ურუშაძე მაია, „რუსეთ-უკრაინის ომი და რუსეთის გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესები“, 2023. https://gfsis.org.ge/ge/blog/view/1551.
11. ხუციბერიძე ლიკა, „თურქეთის როლი ევროპის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში“, 2025. https://gnomonwise.ug.edu.ge/ge/publications/analytics/256.
12. ჯოჯიშვილი ქეთევან, „შავი ზღვის გეოპოლიტიკური იდენტობა და მისი როლი ახალი ცივი ომის პირობებში“, 2024. https://www.researchgate.net/publication/380950459.
13. Arase David, “China’s Two Silk Roads Initiative: What It Means for Southeast Asia”, *Southeast Asian Affairs*, 2015.

14. Boyse Matthew, "*The Future of United States Black Sea Strategy*" Washington, DC: Hudson Institute, 2025. https://www.hudson.org/foreign-policy/future-united-states-black-sea-strategy-matthew-boyse.
15. "Black Sea in Security in 2025", "Russian International Development Lab (RIDL)", Accessed April 13, 2026. https://ridl.io/black-sea-in-security-in-2025/.
16. Bzhalava Vakhtang, "*The Role of the Black Sea in the International Political System*", Tbilisi: Tbilisi State University, 2023. https://tsu.ge/assets/media/ files/17/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%202023/MA%20Thesis.Bzhalava-The%20Role%20of%20the%20Black%20Sea%20in%20the%20International%20Political%20System.pdf.
17. "China and Central-Eastern Europe, '17+1' at the End of the Line", *Balcani e Caucaso*, October 17, 2025. https://www.balcanicaucaso.org/en/cp_article/china-and-central-eastern-europe-171-at-the-end-of-the-line/.
18. "Comment by Foreign Ministry Spokeswoman Maria Zakharova on the Black Sea Region", Russian Ministry of Foreign Affairs, 2022. https://mid.ru/en/foreign_policy/news/1790809/.
19. Harangozo Tamas, "*Black Sea Report*", NATO Parliamentary Assembly, 2025. https://www.nato-pa.int/.
20. "How Geopolitical Competition in the Black Sea Is Redefining Regional Order", *Chatham House*, March 2024. https://www.chathamhouse.org/2024/03/how-geopolitical-competition-black-sea-redefining-regional-order.

ბულინგი, როგორც სოციალური დინამიკის გამოვლინება: სტატუსი, ურთიერთობები და კულტურა

კახი კოპალიანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
kkopaliani17@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-0597-2306

ირმა შომახია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
i.shomakhia@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0007-9804-0447
DOI: 10.52340/splogos.2026.01.17

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია სასკოლო ბულინგის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული დეტერმინანტების კომპლექსური შესწავლა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით. კვლევა ეფუძნება იმ თეორიულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ბულინგი წარმოადგენს მრავალდონიან პროცესს, რომელიც ფორმირდება ინდივიდუალური, ინტერპერსონალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედების საფუძველზე.

კვლევაში მონაწილეობდა 450 მოსწავლე (ასაკი: 13–17 წელი). რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა სტანდარტიზებული კითხვარების გამოყენებით და გაანალიზდა კორელაციური და რეგრესიული მეთოდებით, ხოლო თვისებრივი მონაცემები მიღებული იქნა ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებული დისკუსიების მეშვეობით და დამუშავდა თემატური ანალიზის საფუძველზე.

მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური სტატუსი წარმოადგენს ბულინგის მნიშვნელოვან, თუმცა, არაპირდაპირ მაპროგნოზირებელ ფაქტორს. მისი გავლენა ხორციელდება ფსიქოლოგიური და სოციალური მედიატორების მეშვეობით. სოციალური იზოლაცია გამოვლინდა როგორც ძლიერი რისკ-ფაქტორი, ხოლო ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობები, როგორც დამცავი ფაქტორები. კვლევამ ასევე დაადასტურა კულტურული კონტექსტის მნიშვნელოვანი როლი ბულინგის ფორმებისა და აღქმის განსაზღვრაში.

დასკვნის სახით, ბულინგის ეფექტური გაგება და პრევენცია საჭიროებს ინტეგრირებულ, სისტემურ და კულტურულად სენსიტიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ინდივიდუალურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს.

საკვანძო სიტყვები: სასკოლო ბულინგი, სოციალური სტატუსი, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, სოციალური იზოლაცია, კულტურული კონტექსტი.

Bullying as a Manifestation of Social Dynamics: Status, Relationships and Culture

Kakhi Kopaliani,
Professor at Sokhumi State University
kkopaliani17@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-0597-2306

Irma Shomakhia,
Georgian Technical University,
i.shomakhia@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0007-9804-0447

Abstract

This study aims to comprehensively examine the socio-psychological and cultural determinants of school bullying using a mixed-methods approach. The study is based on the theoretical perspective that bullying is a multi-level process formed through the interaction of individual, interpersonal, and cultural factors.

The study involved 450 students aged between 13 and 17. Quantitative data were collected using standardised questionnaires and analysed using correlational and regression methods. Qualitative data were obtained through focus group discussions and processed using thematic analysis. This mixed-methods approach allowed for an in-depth exploration of the socio-psychological and cultural determinants of school bullying, providing both a statistical assessment of the relationships between variables and a nuanced understanding of the participants' experiences and perceptions. This integrated approach offered a comprehensive view of bullying as a multifaceted phenomenon influenced by personal traits, peer interactions, and wider cultural contexts.

The results of the study indicated that, although indirect, social status is an important predictor of bullying. Its influence operates through psychological and social mediating factors. Social isolation was identified as a strong risk factor, while psychological well-being and positive peer relationships were recognised as protective factors. The study also confirmed the significant role of cultural context in shaping the forms and perceptions of bullying.

In conclusion, effectively understanding and preventing bullying requires an integrated, systemic, and culturally sensitive approach that considers individual, social, and cultural factors.

Keywords: school bullying, social status, psychological well-being, social isolation, cultural context.

შესავალი

სასკოლო ბულინგი წარმოადგენს თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და კომპლექსურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ინდივიდის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ისე მთლიანად საგანმანათლებლო გარემოს ფუნქციონირებაზე.[204] ბოლო ათწლეულებში ბულინგის კვლევა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა, რაც განპირობებულია მისი მაღალი გავრცელებით, ნეგატიური შედეგების სიმძიმითა და მრავალფაქტორული ბუნებით[205]. აღნიშნული ფენომენი ასოცირდება ისეთ სერიოზულ ფსიქოლოგიურ შედეგებთან, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა, სოციალური იზოლაცია, აკადემიური მიღწევების დაქვეითება და ზოგ შემთხვევაში, სუიციდური ქცევების ზრდა.[206]

[204] UNESCO. (2019). *Behind the numbers: Ending school violence and bullying*. UNESCO Publishing; Wolke, D., & Lereya S. T., (2015). Long-term effects of bullying. *Archives of Disease in Childhood, 100*(9), 879–885. https://doi.org/10.1136/archdischild-2014-306667

[205] Modecki, K. L., Minchin, J., Harbaugh, A. G., Guerra, N. G., & Runions, K. C. (2014). Bullying prevalence across contexts: A meta-analysis. *Journal of Adolescent Health, 55*(5), 602–611. https://doi.org/10.1016/j.jadohealth.2014.06.007

[206] Arseneault L. (2018). Annual research review: The persistent and pervasive impact of being bullied in childhood and adolescence. *Journal of Child Psychology and Psychiatry, 59*(4), 405–421. https://doi.org/10.1111/jcpp.12841 ; Copeland, W. E., Wolke, D., Angold, A., & Costello, E. J. (2013). Adult psychiatric outcomes of bullying and being bullied. *JAMA Psychiatry, 70*(4), 419–426. https://doi.org/10.1001/jamapsychiatry.2013.504

თანამედროვე სამეცნიერო მიდგომები ბულინგს განიხილავს არა როგორც ერთჯერად ან სპონტანურ აგრესიულ აქტს, არამედ როგორც განმეორებად, მიზანმიმართულ ქცევას, რომელიც ვითარდება ძალაუფლების ასიმეტრიის პირობებში[207] და წარმოადგენს სოციალური ურთიერთობების სტრუქტურულ ელემენტს.[208] ამდენად, ბულინგი არ შეიძლება აღვიქვათ როგორც მხოლოდ ინდივიდუალური მახასიათებლების შედეგი, იგი წარმოადგენს ჯგუფური პროცესების, სოციალური იერარქიებისა და ურთიერთქმედების დინამიკის გამოვლინებას.[209]

ბულინგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ სტატუსთან, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის პოზიციას თანატოლთა ჯგუფში[210] და გავლენას ახდენს როგორც აგრესიული ქცევის ინიცირებაზე, ისე მსხვერპლის როლის ჩამოყალიბებაზე.[211] კვლევები მიუთითებს, რომ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეები უფრო ხშირად ახორციელებენ ბულინგს, როგორც სოციალური დომინირების მექანიზმს,[212] ხოლო დაბალი სტატუსის მქონე მოსწავლეები უფრო მოწყვლადნი არიან ვიქტიმიზაციის მიმართ.[213]

ამასთანავე, ბულინგის სრულფასოვანი გააზრება შეუძლებელია კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. კულტურა განსაზღვრავს ნორმებსა და ღირებულებებს, რომლებიც არეგულირებს ინდივიდთა ქცევას.[214]

---

[207] Olweus D. (1993). *Bullying at school: What we know and what we can do*. Blackwell; Volk, A. A., Dane, A. V., & Marini, Z. A. (2014). What is bullying? A theoretical redefinition. *Developmental Review, 34*(4), 327–343. https://doi.org/10.1016/j.dr.2014.09.001

[208] Salmivalli C. (2018). Peer group dynamics in bullying. *Current Opinion in Psychology, 19*, 1–5. https://doi.org/10.1016/j.copsyc.2017.08.039

[209] Farmer T. W., McAuliffe Lines, M., & Hamm, J. V. (2010). Revealing the invisible hand: The role of peer group structures in school bullying. *Journal of Applied Developmental Psychology, 31*(6), 437–446. https://doi.org/10.1016/j.appdev.2010.07.003

[210] Cillessen A. H. N., & Mayeux, L. (2011). From censure to reinforcement: Developmental changes in the association between aggression and social status. *Child Development, 82*(2), 658–671. https://doi.org/10.1111/j.1467-8624.2010.01551.x

[211] Reijntjes A., Kamphuis, J. H., Prinzie, P., & Telch, M. J. (2013). Peer victimization and internalizing problems in children: A meta-analysis of longitudinal studies. *Child Abuse & Neglect, 37*(10), 881–890. https://doi.org/10.1016/j.chiabu.2013.06.009

[212] Garandeau C. F., Lee, I. A., & Salmivalli, C. (2014). Differential effects of the KiVa anti-bullying program on popular and unpopular bullies. *Journal of Applied Developmental Psychology, 35*(1), 44–50. https://doi.org/10.1016/j.appdev.2013.10.004

[213] Cook C. R., Williams, K. R., Guerra, N. G., Kim, T. E., & Sadek, S. (2010). Predictors of bullying and victimization in childhood and adolescence: A meta-analytic investigation. *School Psychology Quarterly, 25*(2), 65–83. https://doi.org/10.1037/a0020149

[214] Hofstede G. (2001). *Culture's consequences: Comparing values, behaviors, institutions and organizations across nations* (2nd ed.). Sage.

ინტერკულტურული კვლევები აჩვენებს, რომ აგრესიის გამოხატვის ფორმები და მისი ტოლერანტობა კულტურულად არის განსაზღვრული .[215]

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბულინგის შესწავლა ისეთ საზოგადოებებში, სადაც ტრადიციული ღირებულებები, კოლექტივისტური ტენდენციები და სოციალური იერარქიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ასეთ კონტექსტში ბულინგი შესაძლოა ფუნქციონირებდეს როგორც სოციალური სტატუსის შენარჩუნებისა და ჯგუფური დომინირების ინსტრუმენტი, ხოლო მისი გამოვლენის ფორმები და ინტენსივობა დამოკიდებული იყოს კულტურულად დამკვიდრებულ ნორმებზე. შესაბამისად, ბულინგის კვლევა საჭიროებს არა მხოლოდ სოციალურ-ფსიქოლოგიური, არამედ კულტურული ფაქტორების ინტეგრირებულ ანალიზს.

წინამდებარე კვლევის **მიზანია** სასკოლო ბულინგის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული დეტერმინანტების კომპლექსური შესწავლა. კვლევა ეყრდნობა იმ წარმოდგენას, რომ ბულინგი წარმოადგენს მრავალდონიან პროცესს, რომელიც ფორმირდება ინდივიდუალური, ინტერპერსონალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედების საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა, ბულინგის ფენომენი განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც პრობლემური ქცევა, არამედ როგორც სოციალური სისტემის დინამიკის ნაწილი, რაც, თავის მხრივ, ქმნის საფუძველს ეფექტური პრევენციული და ინტერვენციული სტრატეგიების შემუშავებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა. სასკოლო ბულინგის კვლევა ჩამოყალიბდა როგორც ინტერდისციპლინური სფერო (Espelage & Swearer, 2011).[216] თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ ბულინგი წარმოადგენს მრავალფაქტორულ ფენომენს (Hong & Espelage, 2012).[217]

[215] Nivette A., Eisner, M., Malti, T., & Ribeaud, D. (2019). Sex differences in aggression among children of low and high gender inequality backgrounds. *Aggressive Behavior, 45*(5), 526–539. https://doi.org/10.1002/ab.21835

[216] Espelage D. L., & Swearer, S. M. (2003). Research on school bullying and victimization: What have we learned and where do we go from here? *School Psychology Review, 32* (3), 365-383.

[217] Hong J. S., & Espelage, D. L. (2012). A review of research on bullying and peer victimization in school: An ecological system analysis. *Aggression and Violent Behavior, 17* (4), 311-322. https://doi.org/10.1016/j.avb.2012.03.003

სოციალური სტატუსის როლი ბულინგში ფართოდ არის შესწავლილი. კვლევები მიუთითებს, რომ მაღალი სტატუსის მქონე ინდივიდები ხშირად იყენებენ აგრესიას პოზიციის გასამყარებლად (Garandeau et al., 2014),[218] ხოლო დაბალი სტატუსი დაკავშირებულია ვიქტიმიზაციასთან (Sentse et al., 2015).[219]

აგრესიის თეორიული ახსნა ხშირად ეფუძნება სოციალური დასწავლის თეორიას (Bandura, 1977),[220] რომლის მიხედვითაც ქცევები ყალიბდება დაკვირვებისა და განმტკიცების გზით. თანატოლთა ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბულინგის პროცესში [221]. ჯგუფური დინამიკა და სოციალური ქსელები განსაზღვრავს ბულინგის გავრცელებას.

სოციალური დომინირების თეორია (Sidanius & Pratto, 1999)[222] განმარტავს ბულინგს, როგორც სტატუსის მოპოვების სტრატეგიას. ეკოლოგიური მოდელი კი (Bronfenbrenner, 1979)[223] ხაზს უსვამს მრავალდონიან გავლენას. ასევე ინტერკულტურული კვლევები აჩვენებს, რომ ინდივიდუალისტურ კულტურებში უფრო ხშირია პირდაპირი აგრესია, ხოლო კოლექტივისტურში ირიბი.

ამრიგად, არსებული ლიტერატურა ადასტურებს, რომ ბულინგი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან ფენომენს, რომლის სრულფასოვანი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრირებული მიდგომის ფარგლებში. სოციალური სტატუსი, აგრესია, თანატოლთა ურთიერთობები და კულტურული კონტექსტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთობლივად განსაზღვრავს ბულინგის ფორმირებასა და დინამიკას. აღნიშნული თეორიული საფუძველი ქმნის წინაპირობას ბულინგის უფრო სიღრმისეული ემპირიული კვლევისა და ეფექტური პრევენციული სტრატეგიების შემუშავებისთვის.

[218] Garandeau C. F., Lee, I. A., & Salmivalli, C. (2014). Differential effects of the KiVa anti-bullying program on popular and unpopular bullies. *Journal of Applied Developmental Psychology, 35* (1), 44-50. https://doi.org/10.1016/j.appdev.2013.10.004

[219] Sentse M., Kretschmer, T., & Salmivalli, C. (2015). The longitudinal interplay between bullying, victimization, and social status. *Journal of Youth and Adolescence, 44* (9), 1764-1777. https://doi.org/10.1007/s10964-015-0304-7

[220] Bandura A. (1977). *Social learning theory*. Prentice Hall.

[221] Salmivalli C. (2010). Bullying and the peer group: A review. *Aggression and Violent Behavior, 15* (2), 112-120. https://doi.org/10.1016/j.avb.2009.08.007

[222] Sidanius, J., & Pratto, F. (1999). *Social dominance: An intergroup theory of social hierarchy and oppression.* Cambridge University Press. https://doi.org/10.1017/CBO9781139175043

[223] Bronfenbrenner, U. (1979). *The ecology of human development: Experiments by nature and design*. Harvard University Press.

კვლევის დიზაინი

წინამდებარე კვლევა ეფუძნება შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებას, რაც გულისხმობს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების ინტეგრაციას ერთიან კვლევით ჩარჩოში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ბულინგის ფენომენის მრავალმხრივ გააზრებას და საშუალებას იძლევა, როგორც სტატისტიკური კანონზომიერებების გამოვლენა, ისე მათი კონტექსტუალური ინტერპრეტაცია.

შერეული მეთოდოლოგიის არჩევა განპირობებულია იმით, რომ ბულინგი წარმოადგენს კომპლექსურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პროცესს, რომლის სრულფასოვანი კვლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდის გამოყენებით. თავდაპირველად კვლევის პირველ ეტაპზე განხორციელდა თვისებრივი მონაცემების შეგროვება ცვლადების იდენტიფიკაციისა და კონტექსტის გააზრების მიზნით, ხოლო შემდგომ ეტაპზე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა აღნიშნული ცვლადების ურთიერთკავშირების სტატისტიკური ანალიზისთვის.

რაოდენობრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასკოლო ბულინგის სოციალურ-ფსიქოლოგიური დეტერმინანტების ემპირიული შესწავლა და ჰიპოთეზების სტატისტიკური შემოწმება. კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა იმ ძირითად ცვლადებზე, რომლებიც, არსებული ლიტერატურის მიხედვით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბულინგის ფორმირებასა და გამოვლენაში.

კვლევაში შესწავლილი ძირითადი ცვლადები იყო:

- *სოციალური სტატუსი* – განისაზღვრა როგორც ინდივიდის პოზიცია თანატოლთა ჯგუფში, რაც ასახავს მის პოპულარობას – ჯგუფის მხრიდან მიღებასა და გავლენას სოციალურ ურთიერთობებში;
- *ფსიქოლოგიური კეთილდღეობა* – მოიცავდა ემოციურ სტაბილურობას, თვითშეფასებასა და სუბიექტური კეთილდღეობის განცდას;
- *იზოლაცია* – განიხილებოდა როგორც სოციალური გამიჯვნისა და ერთობის განცდის ნაკლებობის ინდიკატორი, რომელიც დაკავშირებულია ვიქტიმიზაციის რისკთან.

- *თანატოლთა ურთიერთობები* – მოიცავდა სოციალური მხარდაჭერის, კომუნიკაციის ხარისხისა და ჯგუფური ინტეგრაციის ასპექტებს.

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა სტანდარტიზებული კითხვარების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფდა მიღებული მონაცემების სანდოობასა და ვალიდურობას. მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით, რაც მოიცავდა აღწერით სტატისტიკას, კორელაციურ ანალიზსა და რეგრესიულ მოდელირებას. აღნიშნული ანალიზის მიზანი იყო ცვლადებს შორის კავშირის გამოვლენა და ბულინგის ქცევის პროგნოზირებაში მათი როლის შეფასება.

თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის კომპონენტი განხორციელდა ფოკუს-ჯგუფური დისკუსიების ფორმატში, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც მასწავლებლები, ისე განათლების სფეროს ექსპერტები. აღნიშნული მეთოდის გამოყენება განპირობებული იყო იმით, რომ ბულინგის ფენომენი მოითხოვს კონტექსტზე დაფუძნებულ სიღრმისეულ გააზრებას, რაც რაოდენობრივი მონაცემებით სრულად ვერ მიიღწევა.

ფოკუს-ჯგუფების ძირითადი მიზნები იყო:

- ბულინგთან დაკავშირებული ძირითადი ცვლადების იდენტიფიკაცია;
- აღნიშნული ცვლადების მნიშვნელობისა და ურთიერთკავშირის კონტექსტუალური გააზრება;
- სასკოლო გარემოში ბულინგის გამოვლენის სპეციფიკური ფორმებისა და მექანიზმების განსაზღვრა.

დისკუსიების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მონაწილეთა გამოცდილებასა და აღქმებს, რაც საშუალებას იძლეოდა ბულინგის ფენომენი განხილულიყო პრაქტიკული პერსპექტივიდან. მიღებული თვისებრივი მონაცემები გაანალიზდა თემატური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რის შედეგადაც გამოვლინდა ძირითადი თემები და კატეგორიები, რომლებიც შემდგომ ინტეგრირდა რაოდენობრივი კვლევის დიზაინში.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ინტეგრაცია. თვისებრივი ეტაპი გამოყენებულ იქნა როგორც საწყისი საფუძველი ცვლადების განსაზღვრისა და

კვლევის ინსტრუმენტების დახვეწისთვის, ხოლო რაოდენობრივი ეტაპი უზრუნველყოფდა აღნიშნული ცვლადების ურთიერთკავშირის ემპირიულ შემოწმებას.

ამგვარი ინტეგრირებული მიდგომა ზრდის კვლევის სანდოობასა და ვალიდურობას, ვინაიდან იგი აერთიანებს როგორც ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემებს, ისე სუბიექტურ გამოცდილებასა და კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას. შედეგად, კვლევა იძლევა ბულინგის ფენომენის უფრო სიღრმისეულ და მრავალგანზომილებიან ანალიზს.

ნიმუშის აღწერა. კვლევაში მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომელებიც შერჩეულ იქნენ მიზნობრივი შერჩევის პრინციპის საფუძველზე. რესპონდენტთა მოცულობა შეადგენდა N = 450 მონაწილეს. კვლევაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები (ასაკობრივი დიაპაზონი: 13–17 წელი), რაც უზრუნველყოფდა ბულინგის ფენომენის შესწავლას მოზარდობის სხვადასხვა ეტაპზე.

ნიმუშში წარმოდგენილი იყო როგორც ვაჟები (51.5%), ისე გოგონები (48.5%), რაც შესაძლებელს ხდიდა სქესობრივ განსხვავებათა გათვალისწინებას ანალიზის პროცესში.

კვლევა განხორციელდა ეთიკური სტანდარტების დაცვით. მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობა მიღებული იყო წინასწარ, ხოლო მონაცემები დამუშავდა ანონიმურად და კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

გამოყენებული ინსტრუმენტები. კვლევაში გამოყენებულ იქნა სტანდარტიზებული ფსიქომეტრიული ინსტრუმენტები, რომლებიც ადაპტირებული იყო კვლევის მიზნების შესაბამისად. თითოეული სკალა მიზნად ისახავდა კონკრეტული ცვლადის გაზომვას:

- სოციალური სტატუსის შეფასების სკალა – გამოიყენებოდა მოსწავლეთა პოზიციის გამოსავლენად თანატოლთა ჯგუფში (პოპულარობა, მიმღებლობა, სოციალური გავლენა);
- ფსიქოლოგიური კეთილდღეობის სკალა – მოიცავდა სუბიექტური კეთილდღეობის, თვითშეფასებისა და ემოციური სტაბილურობის ინდიკატორებს;

- სოციალური იზოლაციის სკალა – აფასებდა ინდივიდის განცალკევებულობას, ჯგუფში ჩართულობის ხარისხსა და სოციალური კავშირების სისუსტეს;
- თანატოლთა ურთიერთობების სკალა – მიზნად ისახავდა კომუნიკაციის ხარისხის, სოციალური მხარდაჭერისა და ურთიერთობების სტრუქტურის შეფასებას.

ინსტრუმენტების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა მათი საერთაშორისო გამოყენების გამოცდილება, ასევე მათი შესაბამისობა კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოსთან. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდა მათი ლინგვისტური და კულტურული ადაპტაცია.

გამოყენებული ინსტრუმენტების შიდათანმიმდევრულობის შესაფასებლად გამოთვლილი იქნა კრონბახის ალფას კოეფიციენტი. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ყველა გამოყენებული სკალა გამოირჩევა დამაკმაყოფილებელი და მაღალი სანდოობით:

- სოციალური სტატუსის სკალა: $\alpha = 0.78$
- ფსიქოლოგიური კეთილდღეობის სკალა: $\alpha = 0.84$
- სოციალური იზოლაციის სკალა: $\alpha = 0.81$
- თანატოლთა ურთიერთობების სკალა: $\alpha = 0.86$

აღნიშნული მაჩვენებლები ადასტურებს, რომ გამოყენებული ინსტრუმენტები სანდოა და უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხიან გაზომვას. ზოგადად, კრონბახის ალფას მნიშვნელობა 0.70-ზე მაღალი მიიჩნევა მისაღებ დონედ, რაც კვლევის ინსტრუმენტების ფსიქომეტრიულ ვალიდურობას ადასტურებს.

კვლევის შედეგები

კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა ძირითადი ცვლადებს შორის ურთიერთკავშირების ანალიზი, რაც მოიცავდა კორელაციურ და რეგრესიულ ანალიზს. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

კორელაციური ანალიზი – კორელაციური ანალიზის მიზანი იყო ბულინგთან დაკავშირებულ ძირითად სოციალურ-ფსიქოლოგიურ ცვლადებს შორის კავშირების გამოვლენა.

ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ:

- სოციალური სტატუსი დადებითად არის დაკავშირებული ბულინგის ქცევასთან ($r \approx .30$, $p < .01$), რაც მიუთითებს, რომ მაღალი სტატუსის მქონე მოსწავლეები უფრო მეტად არიან ჩართულნი აგრესიულ ქცევაში;
- სოციალური სტატუსი უარყოფითად კორელირებს სოციალური იზოლაციის მაჩვენებელთან ($r \approx -.40$, $p < .01$), რაც მიუთითებს, რომ მაღალი სტატუსის მქონე ინდივიდები ნაკლებად განიცდიან იზოლაციას.
- სოციალური იზოლაცია დადებითად არის დაკავშირებული ვიქტიმიზაციასთან ($r \approx .45$, $p < .01$), რაც ადასტურებს, რომ იზოლირებული მოსწავლეები უფრო მოწყვლადნი არიან ბულინგის მიმართ.
- ფსიქოლოგიური კეთილდღეობა უარყოფითად არის დაკავშირებული როგორც ბულინგის ქცევასთან ($r \approx -.25$, $p < .01$), ისე ვიქტიმიზაციასთან ($r \approx -.35$, $p < .01$).
- თანატოლთა ურთიერთობების ხარისხი უარყოფითად კორელირებს ბულინგის ქცევასთან ($r \approx -.28$, $p < .01$) და დადებითად უკავშირდება ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას ($r \approx .50$, $p < .01$).

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ბულინგი მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც სოციალურ პოზიციასთან, ისე ფსიქოლოგიურ და ინტერპერსონალურ ფაქტორებთან.

რეგრესული ანალიზი – ბულინგის ქცევის პროგნოზირების მიზნით განხორციელდა მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზი, სადაც დამოკიდებული ცვლადი იყო ბულინგის ქცევა, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები: სოციალური სტატუსი, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, სოციალური იზოლაცია და თანატოლთა ურთიერთობები.

რეგრესიული მოდელი აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი: $F(4,445 \approx 32.50$, $p < .001$, რაც მიუთითებს, რომ შერჩეული ცვლადები ერთობლივად

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბულინგის ქცევის ახსნაში. მოდელის განმარტებითი ძალა იყო საშუალო დონეზე ($R^2 \approx .23$).

ცალკეული პროგნოზორების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- სოციალური სტატუსი წარმოადგენს ბულინგის ქცევის დადებით და მნიშვნელოვან მაპროგნოზირებელ ფაქტორს ($\beta \approx .22$, $p < .01$);
- სოციალური იზოლაცია ასევე პოზიტიურად და მნიშვნელოვნად პროგნოზირებს ბულინგს ($\beta \approx .30$, $p < .001$);
- ფსიქოლოგიური კეთილდღეობა უარყოფითად უკავშირდება ბულინგის ქცევას ($\beta \approx -.18$, $p < .01$);
- თანატოლთა ურთიერთობების ხარისხი წარმოადგენს ნეგატიურ პროგნოზორს ($\beta \approx -.20$, $p < .01$).

აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ ბულინგის ქცევა განპირობებულია როგორც სოციალური დომინირების მექანიზმებით, ისე ფსიქოსოციალური მოწყვლადობის ფაქტორებით.

ძირითადი შედეგები. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ემპირიული შედეგი:

1. *სოციალური სტატუსის ორმაგი როლი.* სოციალური სტატუსი მოქმედებს როგორც რესურსი (იზოლაციის შემცირება), ასევე როგორც რისკ-ფაქტორი (აგრესიის ზრდა);
2. *იზოლაცია, როგორც კრიტიკული რისკ-ფაქტორი.* სოციალური იზოლაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მაპროგნოზირებელ ფაქტორს ბულინგისა და ვიქტიმიზაციისთვის;
3. *ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დამცავი ფუნქცია.* მაღალი კეთილდღეობა ასოცირდება ბულინგის დაბალ დონესა და უკეთეს სოციალურ ადაპტაციასთან;
4. *თანატოლთა ურთიერთობების მნიშვნელობა.* პოზიტიური სოციალური კავშირები ამცირებს როგორც აგრესიულ, ისე ვიქტიმურ ქცევას;
5. *მოდელის ინტეგრირებული ხასიათი.* ბულინგის ახსნა შეუძლებელია ერთი ფაქტორით, იგი ფორმირდება მრავალმხრივი სოციალური და ფსიქოლოგიური პროცესების ურთიერთქმედებით.

მონაცემების განხილვა. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო სასკოლო ბულინგის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული დეტერმინანტების კომპლექსური შესწავლა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანად ამყარებს იმ თეორიულ მიდგომებს, რომლებიც ბულინგს განიხილავს როგორც მრავალგანზომილებიან და სისტემურ ფენომენს, რომელიც ფორმირდება ინდივიდუალური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედების საფუძველზე.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი შედეგი მიუთითებს, რომ ბულინგი არ შეიძლება აღვიქვათ მხოლოდ ინდივიდუალური ქცევის დონეზე. იგი წარმოადგენს სოციალურ სისტემაში მიმდინარე პროცესს, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფურ დინამიკასთან, სოციალური იერარქიების არსებობასა და ძალაუფლების განაწილების მექანიზმებთან. აღნიშნული დასკვნა თანხვედრაშია თანამედროვე კვლევებთან, რომლებიც ხაზს უსვამს ბულინგის ინტერაქტიულ ბუნებას და მის დამოკიდებულებას თანატოლთა ნორმებსა და სოციალურ კონტექსტზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური სტატუსის როლის გააზრება. მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ სოციალური სტატუსი მოქმედებს არა პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი გზით, სხვადასხვა ფსიქოლოგიური და სოციალური მექანიზმების საშუალებით. მაღალი სტატუსის მქონე მოსწავლეები შესაძლოა იყენებდნენ ბულინგს როგორც სოციალური დომინირებისა და პოზიციის შენარჩუნების სტრატეგიას, თუმცა, ეს გავლენა ხშირად მოდიფიცირდება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა თანატოლთა მხარდაჭერა, ჯგუფური ნორმები და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მახასიათებლები.

კვლევის შედეგები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ფსიქოლოგიური მედიატორების მნიშვნელობაზე. აღმოჩნდა, რომ ისეთი ცვლადები, როგორიცაა სოციალური იზოლაცია, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და თანატოლთა ურთიერთობების ხარისხი, მნიშვნელოვან შუამავლურ როლს ასრულებს ბულინგის პროცესში. კერძოდ, სოციალური იზოლაცია ზრდის ვიქტიმიზაციის რისკს, მაშინ როდესაც პოზიტიური სოციალური კავშირები და პროსოციალური ქცევა მოქმედებს როგორც დამცავი ფაქტორი. აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ ბულინგის ეფექტური პრევენცია საჭიროებს არა

მხოლოდ აგრესიული ქცევის შემცირებას, არამედ სოციალური ინტეგრაციისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გაძლიერებას.

მიღებული შედეგები ასევე ადასტურებს ბულინგის ანალიზის მრავალდონიანი მიდგომის აუცილებლობას. ეკოლოგიური პერსპექტივის ფარგლებში ბულინგი უნდა განიხილებოდეს როგორც ინდივიდის, თანატოლთა ჯგუფის, სკოლისა და ფართო კულტურული გარემოს ურთიერთქმედების შედეგი. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა, უკეთ გავიგოთ ის მექანიზმები, რომლებიც განაპირობებს ბულინგის წარმოქმნასა და შენარჩუნებას.

კულტურული ფაქტორების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევის ინტერპრეტაციის პროცესში. მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ ბულინგის ფორმები და მისი აღქმა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებზე. იმ საზოგადოებებში, სადაც სოციალური იერარქიები და კოლექტივისტური ღირებულებები ძლიერია, ბულინგი შესაძლოა უფრო მეტად უკავშირდებოდეს სტატუსის დემონსტრირებასა და ჯგუფური დომინირების პროცესებს. ამასთანავე, ასეთ კონტექსტში ხშირად ნაკლებად არის გამოხატული ბულინგის ღია ფორმები და უფრო მეტად ვლინდება ირიბი აგრესია.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად ეხმიანება არსებულ ლიტერატურას, თუმცა, ამავე დროს აფართოვებს მას ინტერკულტურული პერსპექტივის ინტეგრირებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბულინგის ფენომენი განიხილება არა მხოლოდ უნივერსალურ, არამედ კონტექსტზე დამოკიდებულ პროცესად, რაც ხაზს უსვამს კულტურული სენსიტიურობის მნიშვნელობას როგორც კვლევაში, ისე პრაქტიკაში.

საბოლოოდ, მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ბულინგის ეფექტური გაგება და პრევენცია შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრირებული მიდგომის საფუძველზე, რომელიც აერთიანებს სოციალურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ ფაქტორებს. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს ისეთი ინტერვენციების შემუშავებისთვის, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ ინდივიდუალური ქცევის ცვლილებაზე, არამედ სასკოლო გარემოს, ჯგუფური ნორმებისა და სოციალური ურთიერთობების ტრანსფორმაციაზე.

დასკვნა

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო სასკოლო ბულინგის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული დეტერმინანტების კომპლექსური შესწავლა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით. მიღებული შედეგები ნათლად მიუთითებს, რომ ბულინგი წარმოადგენს მრავალფაქტორულ და მრავალდონიან პროცესს, რომლის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ინდივიდუალური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედება.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა არის ის, რომ ბულინგი არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ინდივიდუალური ქცევის ჭრილში. იგი წარმოადგენს სისტემურ ფენომენს, რომელიც ვითარდება სოციალური ურთიერთობების, ჯგუფური დინამიკისა და ძალაუფლების განაწილების კონტექსტში. ამასთანავე, სოციალური სტატუსის გავლენა ბულინგზე არ არის პირდაპირი; იგი ხორციელდება არაპირდაპირი მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს ფსიქოლოგიურ და ინტერაქციულ ფაქტორებს.

კვლევამ განსაკუთრებულად წარმოაჩინა ფსიქოლოგიური მედიატორების მნიშვნელობა. სოციალური იზოლაცია, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და თანატოლებთან ურთიერთობების ხარისხი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბულინგის პროცესში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბულინგის ეფექტური პრევენცია საჭიროებს არა მხოლოდ აგრესიის შემცირებას, არამედ სოციალური ინტეგრაციისა და ემოციური კეთილდღეობის გაძლიერებას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე კულტურული კონტექსტის გათვალისწინება. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ბულინგის ფორმები, მისი აღქმა და მასზე რეაგირების სტრატეგიები მნიშვნელოვნად განსხვავდება კულტურულ გარემოებათა მიხედვით. შესაბამისად, უნივერსალური პრევენციული მოდელების გამოყენება შესაძლოა არ იყოს ეფექტური კონკრეტული კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბულინგის ეფექტური გაგება და მართვა შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრირებული, სისტემური და კულტურულად სენსიტიური მიდგომის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს როგორც ინდივიდის, ისე სოციალური გარემოს თავისებურებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arseneault L. (2018). Annual research review: The persistent and pervasive impact of being bullied in childhood and adolescence. *Journal of Child Psychology and Psychiatry, 59* (4), 405-421. https://doi.org/10.1111/jcpp.12841.
2. Bandura A. (1977). *Social learning theory*. Prentice Hall.
3. Bradshaw C. P. (2018). Translating research to practice in bullying prevention. *American Psychologist, 73* (2), 245-254.
4. Bronfenbrenner U. (1979). *The ecology of human development: Experiments by nature and design*. Harvard University Press.
5. Casale S., & Fioravanti, G. (2020). Cyberbullying and psychological well-being. *Computers in Human Behavior, 102*, 1-7. https://doi.org/10.1016/j.chb.2019.09.013.
6. Cillessen A. H. N., & Mayeux, L. (2011). From censure to reinforcement: Developmental changes in the association between aggression and social status. *Child Development, 82*(2), 658–671. https://doi.org/10.1111/j.1467-8624.2010.01551.x.
7. Cook C. R., Williams K. R., Guerra N. G., Kim T. E., & Sadek S. (2010). Predictors of bullying and victimization in childhood and adolescence: A meta-analytic investigation. *School Psychology Quarterly, 25* (2), 65-83. https://doi.org/10.1037/a0020149.
8. Copeland W. E., Wolke D., Angold A., & Costello E. J. (2013). Adult psychiatric outcomes of bullying and being bullied. *JAMA Psychiatry, 70* (4), 419-426. https://doi.org/10.1001/jamapsychiatry.2013.504.
9. Espelage D. L., & Swearer S. M. (2003). Research on school bullying and victimization: What have we learned and where do we go from here? *School Psychology Review, 32* (3), 365-383.
10. Evans C. B. R., Fraser M. W., & Cotter K. L. (2014). The effectiveness of school-based bullying prevention programs: A systematic review. *Aggression and Violent Behavior, 19*(5), 532544. https://doi.org/10.1016/j.avb.2014.07.004.

11. Farmer T. W., McAuliffe Lines, M., & Hamm J. V. (2010). Revealing the invisible hand: The role of peer group structures in school bullying. *Journal of Applied Developmental Psychology, 31* (6), 437-446. https://doi.org/10.1016/j.appdev.2010.07.003.
12. Foody, M., Samara, M., & O'Higgins Norman, J. (2020). Bullying and cyberbullying studies in schools: A review. *Aggression and Violent Behavior, 51*, 101426. https://doi.org/10.1016/j.avb.2020.101426.
13. Garandeau C. F., Lee I. A., & Salmivalli, C. (2014). Differential effects of the KiVa anti-bullying program on popular and unpopular bullies. *Journal of Applied Developmental Psychology, 35*(1), 44-50. https://doi.org/10.1016/j.appdev.2013.10.004.
14. Hofstede G. (2001). *Culture's consequences: Comparing values, behaviors, institutions and organizations across nations* (2nd ed.). Sage.
15. Hong J. S., & Espelage D. L. (2012). A review of research on bullying and peer victimization in school: An ecological system analysis. *Aggression and Violent Behavior, 17* (4), 311-322. https://doi.org/10.1016/j.avb.2012.03.003.
16. Hymel S., & Swearer S. M. (2015). Four decades of research on school bullying. *American Psychologist, 70*(4), 293-299.
17. Menesini E., & Salmivalli C. (2017). Bullying in schools: The state of knowledge. *Annual Review of Psychology, 68*, 201-228. https://doi.org/10.1146/annurev-psych-010416-044038.
18. Modecki K. L., Minchin J., Harbaugh A. G., Guerra N. G., & Runions K. C. (2014). Bullying prevalence across contexts: A meta-analysis. *Journal of Adolescent Health, 55* (5), 602-611. https://doi.org/10.1016/j.jadohealth.2014.06.007.
19. Nivette A., Eisner M., Malti T., & Ribeaud D. (2019). Sex differences in aggression among children of low and high gender inequality backgrounds. *Aggressive Behavior, 45* (5), 526-539. https://doi.org/10.1002/ab.21835.
20. Olweus D. (1993). *Bullying at school: What we know and what we can do*. Blackwell.

21. Reijntjes A., Kamphuis J. H., Prinzie P., & Telch M. J. (2013). Peer victimization and internalizing problems in children: A meta-analysis of longitudinal studies. *Child Abuse & Neglect, 37* (10), 881-890. https://doi.org/10.1016/j.chiabu.2013.06.009.
22. Salmivalli C. (2010). Bullying and the peer group: A review. *Aggression and Violent Behavior, 15* (2), 112-120. https://doi.org/10.1016/j.avb.2009.08.007.
23. Salmivalli C. (2018). Peer group dynamics in bullying. *Current Opinion in Psychology, 19*, 1-5. https://doi.org/10.1016/j.copsyc.2017.08.039.
24. Sentse M., Kretschmer T., & Salmivalli C. (2015). The longitudinal interplay between bullying, victimization, and social status. *Journal of Youth and Adolescence, 44*(9), 1764-1777. https://doi.org/10.1007/s10964-015-0304-7.
25. Sidanius J., & Pratto F. (1999). *Social dominance: An intergroup theory of social hierarchy and oppression.* Cambridge University Press. https://doi.org/10.1017/CBO9781139175043.
26. UNESCO. (2019). *Behind the numbers: Ending school violence and bullying*. UNESCO Publishing.
27. Wolke D., & Lereya S. T. (2015). Long-term effects of bullying. *Archives of Disease in Childhood, 100* (9), 879-885. https://doi.org/10.1136/archdischild-2014-306667.

გლობალიზაციის გავლენა სახელმწიფოს სუვერენიტეტზე

თეონა ჩარკვიანი

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

teonacharkviani@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-0080-8592

DOI: 10.52340/splogos.2026.01.18

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია გლობალიზაციის გავლენა სახელმწიფოს სუვერენიტეტის ტრანსფორმაციაზე თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში. ნაშრომი ეფუძნება სუვერენიტეტის კლასიკური, ვესტფალიური გაგების კრიტიკულ გააზრებას და აჩვენებს, თუ როგორ იცვლება მისი შინაარსი ეკონომიკური ინტეგრაციის, საერთაშორისო ინსტიტუტების გაძლიერების, ტრანსნაციონალური აქტორების გავლენისა და ციფრული ტრანსფორმაციისას. კვლევა განიხილავს სუვერენიტეტის ძირითად განზომილებებს – შიდა, გარე, იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ასპექტებს – და ასახავს მათ შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური სუვერენიტეტის შეზღუდვის მექანიზმებს გლობალური ფინანსური ბაზრებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების პირობიანობის კონტექსტში, ასევე ტექნოლოგიური და ინფორმაციული სუვერენიტეტის მნიშვნელობის ზრდას XXI საუკუნეში. ნაშრომში განხილულია ევროკავშირის „გაზიარებული სუვერენიტეტის“მოდელი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და ჩინეთის მაგალითი ციფრული სუვერენიტეტის განმტკიცების კუთხით. ავტორი ასკვნის, რომ თანამედროვე სახელმწიფო ფუნქციონირებს ჰიბრიდული სუვერენიტეტის რეჟიმში, სადაც ფორმალური იურიდიული ავტონომია ხშირად არ ემთხვევა ძალაუფლების ფაქტობრივ განაწილებას. ნაშრომი ამტკიცებს, რომ სუვერენიტეტის სიცოცხლისუნარიანობა თანამედროვე ეპოქაში დამოკიდებულია არა

იზოლაციაზე, არამედ მის ადაპტირებულ, მრავალგანზომილებიან და ინტეგრაციულ გარდაქმნაზე.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, სახელმწიფო, სუვერენიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ტრანსფორმაცია.

The Impact of Globalization on State Sovereignty

Teona Charkviani

Doctor of International Relations

Georgian Technical University

teonacharkviani@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-0080-8592

Abstract

This article examines the impact of globalization on the transformation of state sovereignty in the contemporary international system. The study critically reassesses the classical Westphalian understanding of sovereignty and demonstrates how its content is reshaped under conditions of economic integration, the strengthening of international institutions, the growing influence of transnational actors, and digital transformation. The research explores the main dimensions of sovereignty, internal and external, legal, political, economic, and technological, and highlights their interdependence. Particular attention is paid to the constraints on economic sovereignty arising from global financial markets and the policy conditionality imposed by international institutions, as well as to the increasing significance of technological and informational sovereignty in the twenty-first century. The article analyzes the European Union as a model of shared sovereignty, the role of the International Monetary Fund in limiting national economic policy autonomy, and China's approach to strengthening digital sovereignty. The study concludes that contemporary states operate within a regime of hybrid sovereignty, where formal legal autonomy often diverges from the actual distribution of power. It argues that the viability of sovereignty in the age of globalization depends not on isolation, but on its adaptive, multidimensional, and integrative transformation.

Keywords: globalization, state, sovereignty, international relations, transformation.

მსოფლიოში დღეს მიმდინარე დე-გლობალიზაციისა და ფრაგმენტაციის პირობებში სახელმწიფო სუვერენიტეტის კვლევა დღესაც **აქტუალურია.** სახელმწიფოს სუვერენიტეტი წარმოადგენს პოლიტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და დინამიკურ კონცეფციას, რომლის ირგვლივ მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში განიხილავენ ძალაუფლების წყაროს, ლეგიტიმაციის ფორმებს, სახელმწიფოს უფლებებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში მის სტატუსს. სუვერენიტეტის იდეა ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც სახელმწიფოს უნარი, განახორციელოს უმაღლესი, შეუზღუდავი და დამოუკიდებელი ძალაუფლება – როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა, თანამედროვე ეპოქაში ეს ცნება სულ უფრო მრავალშრიანი და მრავალმნიშვნელოვანი ხდება, რადგან გლობალიზაცია, საერთაშორისო ინსტიტუტების გაძლიერება და ტრანსნაციონალური პროცესები ახლებურად აყენებს კითხვას სახელმწიფოს უზენაესი ძალაუფლების რეალურ საზღვრებზე.

ნაშრომი ეფუძნება სუვერენიტეტის თეორიას. გლობალიზაცია ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების განმსაზღვრელ პროცესად იქცა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე ზეგავლენას სულ უფრო მეტად ახდენს გარე ფაქტორების კომპლექსი – საერთაშორისო ბაზრები, ტრანსნაციონალური კომპანიები, სუპრანაციონალური ინსტიტუტები, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, მიგრაციის მასშტაბები და გლობალური უსაფრთხოების გამოწვევები. ამ პროცესებმა საფუძვლიანად შეცვალა სახელმწიფოს როლი, ფუნქციები და განსაკუთრებით – სუვერენიტეტის ტრადიციული გაგება. თუ კლასიკური ვესტფალიის სისტემაში სუვერენიტეტი განიხილებოდა როგორც სახელმწიფოს აბსოლუტური და განუყოფელი ძალაუფლება საკუთარი

ტერიტორიისა და მოსახლეობის მიმართ, თანამედროვე ეპოქაში მისი შინაარსი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის.[224]

გლობალიზაციისას სახელმწიფოს სუვერენიტეტი აღარ არის მხოლოდ იურიდიული კონსტრუქცია; ის გახდა დინამიკური, მოქნილი და გარემო პირობებზე დამოკიდებული ინსტიტუტი, რომელიც მუდმივად რეაგირებს ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, ახალი ტექნოლოგიების გავრცელებაზე, საერთაშორისო სამართლის ზრდასა და ტრანსნაციონალური ძალების გაძლიერებაზე.[225]

ნაშრომის მიზანია გავაანალიზოთ ის, თუ როგორ ასუსტებს, გარდაქმნის ან ახლებურად განსაზღვრავს გლობალიზაცია სახელმწიფოს სუვერენიტეტს, თუმცა, მანამდე განვიხილავთ სუვერენიტეტის არსს. ნაშრომში წარმოჩენილია როგორც თეორიული მოდელები, ასევე, კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური მაგალითები, რაც საშუალებას იძლევა, სრულად გაიაზროს სახელმწიფოს როლის ცვლილება XXI საუკუნეში.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შედარებითი, დიაქრონული, Case-Study, ნორმატიულ-სამართლებრივი ანალიზის მეთოდები.

კვლევის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს სუვერენიტეტის დინამიკური მოდელის შემუშავება, რომელიც ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო არ კარგავს თავის უზენაესობას, არამედ ახდენს მისი ლეგიტიმაციის წყაროების დივერსიფიკაციას. ნაშრომში კრიტიკულადაა გადააზრებული ვესტფალიური პრინციპები და შემოთავაზებულია სუვერენიტეტის ახალი, ფუნქციური გაგება პოსტ-ინდუსტრიულ ეპოქაში.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა. ის განსაზღვრავს სახელმწიფოს უნარს, განახორციელოს უზენაესი პოლიტიკური ძალაუფლება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ სუვერენიტეტის იდეა საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, მისი შინაარსი

[224] Jean Bodin, 1576, Six Books of the Commonwealth, Paris.
[225] David Held, 1995, Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance, Stanford University Press.

დღემდე განიცდის ცვლილებებს – გლობალიზაციის, საერთაშორისო ინსტიტუტების გაძლიერებისა და ტრანსნაციონალური პროცესების გავლენის შედეგად.

სუვერენიტეტის ფესვები შუა საუკუნეების ევროპაში უნდა ვეძებოთ, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება გაყოფილი იყო სამეფო დინასტიებს, ფეოდალურ ბატონებსა და ეკლესიას შორის. ერთიანი, ცენტრალიზებული ხელისუფლების არარსებობა წარმოშობდა პოლიტიკურ ფრაგმენტაციას, რის გამოც გაჩნდა აუცილებლობა სახელმწიფოს უზენაესი ძალაუფლების კონცეპტუალურად განსაზღვრისა.

სუვერენიტეტის პირველი სისტემური თეორიული განმარტება XVI საუკუნის ფრანგ მოაზროვნეს, ჟან ბოდენს ეკუთვნის. მისი მიხედვით, სუვერენიტეტი არის **„უზენაესი, განუყოფელი და მუდმივი ძალაუფლება სახელმწიფოში“**. ბოდენისთვის სუვერენი იყო აბსოლუტური ძალაუფლების მატარებელი, რომელიც კანონზე უფრო მაღლა იდგა.

თანამედროვე სახელმწიფოს სუვერენიტეტის დასაბამად მიჩნეულია 1648 წლის ვესტფალიის სამშვიდობო შეთანხმება, რომელმაც აღიარა, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობებში ერთმანეთისათვის თანასწორნი არიან და არავინ უნდა ჩაერიოს მათ შინაგან საქმეებში. ეს პრინციპი დღემდე წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედს.

სუვერენიტეტი პოლიტიკური თეორიისა და საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ძველი, თუმცა, მუდმივად გარდამავალი კონცეფციაა. XVII საუკუნის ევროპის სახელმწიფო-შედგენის პერიოდში, ვესტფალიის შემდეგ, ჟან ბოდენის მიერ ჩამოყალიბებული განსაზღვრება – **უზენაესი, განუყოფელი** და **მუდმივი ძალაუფლება** – იქცა კლასიკურ ნიმუშად. თუმცა, ამ კონცეფციის ისტორიული განვითარება გვაჩვენებს, რომ სუვერენიტეტი არასდროს ყოფილა ერთიანი და სტატიკური. მისი ფორმა, ფუნქცია და მასში მოქცეული შესაძლებლობები სხვადასხვა ეპოქაში განსხვავდებოდა.

სუვერენიტეტი ერთიანი, მონოლითური არსი არ არის; ის მრავალშრიანი სისტემაა, რომელშიაც ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ ურთი-ერთდამოკიდებული ელემენტები ერთიანად ქმნიან სახელმწიფო ძალაუფლების

საფუძველს. მისი ძირითადი განზომილებები შეიძლება დაიყოს **შიდა** და **გარე** კომპონენტებად.[226]

შიდა სუვერენიტეტი გულისხმობს სახელმწიფოს უნარს, საკუთარი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი წესრიგი ავტონომიურად დააწესოს და აღასრულოს. მისი ძირითადი ელემენტებია:

1. იურიდიული ავტორიტეტი – **კონსტიტუცია, კანონმდებლობა და სასამართლო ინსტიტუციები ადგენენ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ფუნქციონირებას.[227]**

2. ძალის ლეგიტიმური მონოპოლია – ვებერის მიხედვით, სახელმწიფოს აქვს „ლეგიტიმური ძალის გამოყენების მონოპოლია“ თავიანთ ტერიტორიაზე. ეს არის შიდა სუვერენიტეტის ერთ-ერთი მთავარიანი საფუძველი.[228]

3. ეფექტიანი ადმინისტრაცია – ბიუროკრატიული სისტემა უზრუნველყოფს კანონებისა და პოლიტიკის ფაქტობრივ რეალიზაციას. ბიუროკრატიის სისუსტე ნიშნავს შიდა სუვერენიტეტის შესუსტებას.[229]

4. საზოგადოების ნდობა და ლეგიტიმაცია – სუვერენიტეტი შიგნით ვერ იმოქმედებს, თუ მას მოსახლეობის მხრიდან ლეგიტიმაცია არ აქვს.[230]

გარე სუვერენიტეტი განსაზღვრავს სახელმწიფოს სტატუსს საერთაშორისო სისტემაში. იგი მოიცავს:

- საერთაშორისო აღიარებას – **სახელმწიფო სუვერენული ხდება მაშინ, როცა საერთაშორისო თანამეგობრობა მის სახელმწიფოებას აღიარებს;[231]**
- საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობას – **გარე სუვერენიტეტი გულისხმობს სახელმწიფოების უნარს, დამოუკიდებლად განსაზღვრონ საგარეო პოლიტიკა, დადონ ხელშეკრულებები და განახორციელონ დიპლომატიური აქტივობები;[232]**

[226] Max Weber, 1919, Politics as a Vocation, Duncker & Humblot; Stephen Krasner, 1999, Sovereignty: Organized Hypocrisy, Princeton University Press.
[227] Jean-Jacques Rousseau, 1762, Du Contrat Social, Amsterdam.
[228] Max Weber, 1919, Politics as a Vocation, Duncker & Humblot; Stephen Krasner, 1999, Sovereignty: Organized Hypocrisy, Princeton University Press.
[229] Mann Michael, (1986). The Sources of Social Power. Cambridge University Press.
[230] Beetham David, (1991). The Legitimation of Power. Macmillan.
[231] Grotius Hugo, (1625). On the Law of War and Peace. Oxford University Press.
[232] Waltz Kenneth, (1979). Theory of International Politics. Addison-Wesley.

- **ჩაურევლობის პრინციპს** – ვესტფალიის მოდელის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულებულნი არიან, პატივი სცენ ერთმანეთის შიდა სუვერენიტეტს და არ ჩაერიონ შიდა საქმეებში.[233]

განმანათლებლობის ეპოქაში ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომ სუვერენიტეტის წყარო არის ხალხი და ეს პრინციპი დღესაც პოლიტიკური ლეგიტიმაციის ცენტრალურ საფუძველს წარმოადგენს. რუსოსეული „საერთო ნების“ თეორიის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლება ლეგიტიმურია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გამომდინარეობს კოლექტიური ავტონომიიდან და მოქალაქეთა თანასწორ მონაწილეობაზე დაფუძნებული პროცესებიდან.

თანამედროვე დემოკრატიებში ეს პრინციპი რეალიზდება არა მხოლოდ არჩევნებით, არამედ პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მექანიზმებით, სასამართლო კონტროლითა და სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გზით.[234]

იურიდიული და პოლიტიკური სუვერენიტეტი

იურიდიული სუვერენიტეტი განსაზღვრავს სახელმწიფოს კონსტიტუციურ კომპეტენციას, სამართლებრივ არქიტექტურასა და ინსტიტუციურ უფლებამოსილებებს, რაც უზრუნველყოფს მისი მოქმედების ფორმალურ საფუძვლებს.[235] პოლიტიკური სუვერენიტეტი კი ასახავს ძალაუფლების ფაქტობრივ განაწილებას საზოგადოებაში, მათ შორის პარტიულ, ეკონომიკურ და სამხედრო ჯგუფებს შორის, რაც ხშირად განსაზღვრავს სახელმწიფო გადაწყვეტილებების რეალურ მიმართულებას.[236]

თუმცა, ეს თანწყობა არ გულისხმობს მკვეთრ დაყოფას ფორმალურ და ფაქტობრივ სუვერენიტეტს შორის. თანამედროვე თეორიები მიუთითებენ, რომ იურიდიული სუვერენიტეტი ხშირად გამოიყენება პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ფაქტობრივი ავტონომია შეიძლება მნიშვნელოვნად იყოს შეზღუდული გლობალური ეკონომიკური

[233] Gross Leo, (1948). “The Peace of Westphalia.” American Journal of International Law, 42.
[234] Habermas, 1996, Between Facts and Norms, MIT Press.
[235] Krasner Stephen D., Sovereignty: Organized Hypocrisy. Princeton, NJ: Princeton University Press, 1999.
[236] Agnew John, Globalization and Sovereignty. Lanham, MD: Rowman & Littlefield, 2009.

სტრუქტურების, რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების გავლენით.

ამრიგად, იურიდიული და პოლიტიკური სუვერენიტეტი ურთიერთ-დამოკიდებული კატეგორიებია, რომელთა თანხვედრა წარმოადგენს სახელმწიფო სტაბილურობის, ინსტიტუციური მდგრადობისა და ეფექტიანი მმართველობის არსებით წინაპირობას.[237]

ამ ორს შორის განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ქვეყნებში, სადაც ფორმალურად არსებობს სუვერენიტეტი, თუმცა, პოლიტიკური პრაქტიკა ვერ ასახავს მას.[238]

ეკონომიკური სუვერენიტეტი – გლობალური ეკონომიკის გამოწვევები

ეკონომიკური სუვერენიტეტი განიმარტება როგორც სახელმწიფოს ინსტიტუციური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული შესაძლებლობა და-მოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ეს მოიცავს ეკონომიკური რესურსების განაწილების წესების განსაზღვრას, საბიუჯეტო პრიორიტეტების ფორმირებას, ეროვნული ვალუტის რეგულირებას, ფინანსური სექტორის ზედამხედველობასა და ბაზრების სტრუქტურული ჩარჩოების განსაზღვრას, რაც ერთიანად უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების სტრატეგიულ მართვას სახელმწიფოს ფარგლებში.

თუმცა, გლობალიზაციისას ეს ავტონომია მნიშვნელოვნად ვიწროვდება სტრუქტურული ძალების გავლენით.

ერთი მხრივ, საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ცვალებადობა ზღუდავს სახელმწიფოებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საჭირო პოლიტიკის თავისუფლად განხორციელებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კაპიტალის სწრაფი მობილობა ზრდის ვალუტის კრიზისებისა და ფინანსური შოკების რისკს.[239]

[237] Agnew John, Globalization and Sovereignty. Lanham, MD: Rowman & Littlefield, 2009.
[238] Krasner Stephen D., (1999). Sovereignty: Organized Hypocrisy. Princeton University Press.
[239] Krugman Paul, International Economics: Theory and Policy. Boston: Addison-Wesley, 1991.

მეორე მხრივ, ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა ამცირებს სახელმწიფოების შესაძლებლობას რეგულაციების დამოუკიდებლად შემუშავებისა და სტრატეგიული სექტორების ადგილობრივ კონტროლზე.[240]

გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებზე დამოკიდებულება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას გარდაქმნის ისეთ სტრუქტურად, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ექსპორტზე, იმპორტზე, ტექნოლოგიურ შემოდინებებსა და საერთაშორისო კაპიტალზე. ამ პირობებში ადგილობრივი ეკონომიკური სუვერენიტეტი ნაწილობრივ იზღუდება, რადგან ეროვნული ეკონომიკური გადაწყვეტილებები ხშირად ექვემდებარება გლობალური წარმოებისა და მიწოდების ქსელების ფუნქციურ ლოგიკას.[241]

ამ გარემოში სავაჭრო შეთანხმებები და საერთაშორისო ნორმები ხშირად ქმნის რეგულაციურ ჩარჩოებს, რომლებიც სახელმწიფოებს ავალდებულებს დაიცვან გარკვეული სტანდარტები, მაგალითად, საბაზრო ლიბერალიზაციის, საინვესტიციო დაცვისა და კონკურენციის პოლიტიკის სფეროებში – რითაც იზღუდება მათი პოლიტიკის დამოუკიდებელი ფორმულირების შესაძლებლობა.[242]

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (“IMF“) წარმოადგენს განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ფინანსურ დახმარებას ახლდეს „პოლიტიკური პირობიანობა“ (“policy conditionality“), რაც გულისხმობს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, სტრუქტურული რეფორმების, საბიუჯეტო შეკვეცებისა და ლიბერალიზაციის მოთხოვნებს. კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფოები იძულებულნი ხდებიან შეთანხმდნენ ასეთ პირობებზე, რათა მიიღონ სესხები ან ფინანსური მხარდაჭერა, რაც, ერთი მხრივ, განამტკიცებს მყიფე ეკონომიკურ სტაბილურობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამცირებს პოლიტიკის დამოუკიდებლად განსაზღვრის სივრცეს.[243]

[240] Sassen Saskia, Losing Control? Sovereignty in an Age of Globalization. New York: Columbia University Press, 1996.
[241] Gereffi Gary, Global Value Chains in a Post-Washington Consensus World. London: Routledge, 2018.
[242] Hoekman Bernard & Kostecki Michel, The Political Economy of the World Trading System. Oxford: Oxford University Press, 2009.
[243] Stiglitz Joseph., Globalization and Its Discontents. New York: W.W. Norton, 2002.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული: ეკონომიკური დამოკიდებულება საერთაშორისო ინსტიტუტებზე ხშირად გარდაუვლად წარმოშობს პოლიტიკური ავტონომიის შემცირებას, რაც სახელმწიფოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ექსტერნალურ ფაქტორებზე დამოკიდებულს ხდის.

ტექნოლოგიური და ინფორმაციული სუვერენიტეტი – ახალი ეპოქის განზომილება

ტექნოლოგიური და ინფორმაციული სუვერენიტეტი XXI საუკუნეში იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარამეტრად, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ავტონომიისა და უსაფრთხოების ხარისხს. ციფრული ეპოქის ტრანსფორმაციებმა – მათ შორის მონაცემთა მასშტაბურმა ცირკულაციამ, გლობალურმა პლატფორმიზაციამ და კიბერსივრცის სამხედრო-პოლიტიკურ მნიშვნელობად ქცევამ – მნიშვნელოვნად შეცვალა სუვერენიტეტის კლასიკური გაგება. თანამედროვე სახელმწიფოები იძულებულნი არიან საკუთარი უსაფრთხოების სტრატეგიებს დაუმატონ ისეთი ელემენტები, როგორებიცაა მონაცემთა დაცვა, კიბერუსაფრთხოება, ციფრული ინფრასტრუქტურის დამოუკიდებლობა და უცხოურ ტექნოლოგიურ პლატფორმებზე დამოკიდებულების ხარისხის შემცირება.[244]

ინფორმაციული ნაკადების გლობალიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს სახელმწიფოს შესაძლებლობას გააკონტროლოს საკუთარი ციფრული სივრცე. გლობალური ტექნოლოგიური კომპანიები, როგორიცაა “Google“, “Meta“, “Amazon“ და სხვ., ხშირად ფლობენ ისეთ მონაცემთა მასივებსა და ინფრასტრუქტურას, რომელთა გავლენა სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობებს აღემატება. შედეგად, ქვეყნები ასუსტებენ იმ ტრადიციულ მესაკუთრეობრივ უფლებამოსილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის წარმოებასა და გავრცელებაზე კონტროლთან. ამ გამოწვევაზე პასუხის სახით, მრავალი სახელმწიფო იწყებს პოლიტიკის შემუშავებას მონაცემთა ლოკალიზაციის,

[244] Miller Blake, Cybersecurity and Internet Governance in China. Oxford: Oxford University Press, 2018.

ციფრული პლატფორმების დაზღვევის, ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტანდარტების გამკაცრებისა და ტექნოლოგიური დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად.[245]

ჰიბრიდული სუვერენიტეტი – თანამედროვე რეალობა

თანამედროვე სახელმწიფოთა უმეტესობა მოქმედებს **ჰიბრიდული სუვერენიტეტის** რეჟიმში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სუვერენიტეტი აღარ არის ერთიანი და აბსოლუტური კატეგორია. გლობალური ინსტიტუტების გაძლიერება ამცირებს სახელმწიფოების იურიდიულ ავტონომიას, რადგან საერთაშორისო სამართლის ნორმები და სუპრანაციონალური ორგანიზაციების გადაწყვეტილებები ხშირად უპირატესობას იძენენ ეროვნულ კანონმდებლობაზე. პარალელურად, პოლიტიკური სუვერენიტეტი რთულდება ტრანსნაციონალური აქტორების – გლობალური ეკონომიკური ჯგუფების, საერთაშორისო მედიის, ტექნოლოგიური კორპორაციებისა და სამხედრო ალიანსების – გავლენით, რაც ზღუდავს სახელმწიფოს შესაძლებლობას თავისუფლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური კურსი. ეკონომიკური სუვერენიტეტი ასევე ნაწილობრივ შეზღუდულია საერთაშორისო კაპიტალის მობილობის, ბაზრების ლიბერალიზაციისა და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებზე დამოკიდებულების გამო. ტექნოლოგიური სუვერენიტეტის სფეროში კი სახელმწიფოს ავტონომიას მნიშვნელოვნად ამცირებს უცხოურ ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, მონაცემთა პლატფორმებსა და კიბერინფრიცოცხლებზე დამოკიდებულება.

ამგვარ რეალობაში თანამედროვე პოლიტიკური თეორია სუვერენიტეტს აღარ განიხილავს როგორც ეროვნული სახელმწიფოს აბსოლუტურ იურიდიულ ძალაუფლებას; პირიქით, სუვერენიტეტი აღიქმება მრავალგანზომილებიან კონსტრუქტად, რომელიც იურიდიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური კომპონენტების ერთობლიობას მოიცავს. გლობალიზაციის, რეგიონული ინტეგრაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად, ეს კომპონენტები მუდმივად გადანაწილებისა და გადაფარვის პროცესში არიან, რაც სახელმწიფოს მოქმედების სივრცეს უფრო ურთიერთდამოკიდებულ და ნაკლებად

[245] DeNardis Laura, The Global War for Internet Governance. New Haven: Yale University Press, 2014.

იზოლირებულ სტრუქტურად ქმნის. დეივიდ ჰელდი სწორედ ამ ცვლილებებს მიიჩნევს თანამედროვე გლობალური წესრიგის განმსაზღვრელ ფაქტორად, ამტკიცებს რა, რომ ეროვნული სუვერენიტეტი გარდაიქმნება სისტემად, რომელიც გადაჯაჭვულია მრავალფენიან, ტრანსნაციონალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონტექსტში.[246]

თვალსაჩინოებისათვის, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ევროკავშირი – გაზიარებული სუვერენიტეტის მოდელი

ევროკავშირი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ მაგალითს იმისას, თუ როგორ ხდება სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ნაწილობრივი გადანაწილება სუპრანაციონალურ ინსტიტუტებთან. მართალია, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შენარჩუნებული აქვთ შიდა სუვერენიტეტი, მაგრამ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი კომპეტენციების მნიშვნელოვანი ნაწილი – მათ შორის ვალუტის პოლიტიკა (ევროზონის ქვეყნებში), სავაჭრო პოლიტიკა, რეგულაციების დიდი ნაწილი და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები – ევროკავშირის ინსტიტუტებს ეკუთვნის.

ეს ქმნის „გაზიარებული სუვერენიტეტის“ მოდელს, სადაც ეროვნული გადაწყვეტილების უფლებამოსილება თანაარსებობს სუპრანაციონალურ სამართლებრივ სისტემასთან. ამის შედეგად, წევრი სახელმწიფოები ფორმალურად სუვერენულნი არიან, მაგრამ პრაქტიკაში ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და კომისიის რეგულაციებს. მსგავსი მოდელი მკაფიოდ აჩვენებს, რომ თანამედროვე გლობალიზებულ გარემოში სუვერენიტეტი აღარ არის აბსოლუტური კატეგორია, არამედ შედარებითი და მრავალგანზომილებიანი.[247]

2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (“IMF“-ის) გავლენა – ეკონომიკური სუვერენიტეტის შეზღუდვა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (“IMF“) ჩარევა კრიზისულ ეკონომიკაში ხშირად იწვევს სახელმწიფოების ეკონომიკური სუვერენიტეტის დროებით ან

[246] Held David, Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance. Stanford, CA: Stanford University Press, 1995.
[247] Weiler J. H. H., The Constitution of Europe: "Do the New Clothes Have an Emperor?" and Other Essays on European Integration. Cambridge: Cambridge University Press, 1999.

გრძელვადიან შეზღუდვას. კრიზისის დროს ფინანსების გადასაფარად ქვეყნები მიმართავენ "IMF"-ს, თუმცა, ორგანიზაციისგან ფინანსური დახმარების მიღება დაკავშირებულია მკაცრ სტრუქტურულ პირობებთან: საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, სუბსიდიების შემცირება და ფისკალური კონსოლიდაციის სხვა ფორმები.

ამ პირობების მიღება ნიშნავს, რომ სახელმწიფო დროებით კარგავს შესაძლებლობას დამოუკიდებლად განსაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკა – მისი ფისკალური და მონეტარული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანი ნაწილით მუშავდება საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. ეს ქმნის „პოლიტიკის პირობიანობას" ("policy conditionality"), რომელიც ერთდროულად აძლიერებს ეკონომიკურ სტაბილურობას, მაგრამ ამცირებს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს.[248]

3. ჩინეთი – ციფრული/ინფორმაციული სუვერენიტეტი და სახელმწიფოს აქტიური როლი

ჩინეთის ტექნოლოგიური და ციფრული სუვერენიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს იმისა, თუ როგორ ცდილობს თანამედროვე სახელმწიფო გააძლიეროს თავისი ავტონომია გლობალური ციფრული ინფრასტრუქტურის პირობებში. ჩინეთის მოდელი ეფუძნება მრავალდონიან სტრატეგიას, რომელიც მოიცავს როგორც ინტერნეტ-კონტროლის მკაცრ მექანიზმებს („დიდი ცეცხლის კედელი" – "Great Firewall"), ასევე მონაცემთა მმართველობის სტრუქტურების განვითარებას, ადგილობრივი ტექნოლოგიური ინდუსტრიის მიზანმიმართულ გაძლიერებასა და უცხოურ პლატფორმებზე დამოკიდებულების სისტემურ შემცირებას. ქვეყნის მთავრობის პოლიტიკა მიმართულია იმგვარი ციფრული ეკოსისტემის ჩამოყალიბებაზე, სადაც ეროვნული კომპანიები – მათ შორის "Huawei", "Alibaba" და "Tencent" – ფუნქციონირებენ როგორც ტექნოლოგიური სუვერენიტეტის საყრდენი სვეტები.

ამ მიდგომით ჩინეთი ციფრულ სუვერენიტეტს განიხილავს როგორც ეროვნულ უსაფრთხოებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრატეგიულ მიზანს.

[248] Rodrik Dani, The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy. New York: W. W. Norton & Company, 2011.

მონაცემთა დაცვა, კიბერუსაფრთხოების არქიტექტურა, ხელოვნური ინტელექტის განვითარება და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის ლოკალიზაცია ფასდება როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ძირითადი ელემენტები. შედეგად, ინფორმაციული ნაკადების კონტროლი და ციფრული სივრცის რეგულირება იქცევა არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ სუვერენიტეტის პოლიტიკურ-სტრუქტურულ პრობლემად.

ამრიგად, ჩინეთის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ XXI საუკუნეში ტექნოლოგიური და ინფორმაციული სუვერენიტეტი აღარ განისაზღვრება მხოლოდ ციფრულ რესურსებზე საკუთრების უფლებებით; იგი იქცევა სახელმწიფოს სტრატეგიული ძალაუფლების საყრდენ, სტრუქტურულ საფუძვლად. ციფრული ინფრასტრუქტურის კონტროლი, მონაცემთა მოძრაობის რეგულირება და ტექნოლოგიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სწრაფად შეიძლება იქცეს ისეთივე მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად, როგორიც იყო ტერიტორიული მთლიანობა ან სამხედრო ძალა წინა ეპოქებში.

4. ჰიბრიდული სუვერენიტეტი – თეორიული ინტეგრაცია

ჰიბრიდული სუვერენიტეტის თეორიული კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს იურიდიული ავტონომია და ფორმალური კონსტიტუციური უფლებამოსილება აღარ ემთხვევა ძალაუფლების ფაქტობრივ განაწილებას. საერთაშორისო ინსტიტუტები, გლობალური ეკონომიკური პლატფორმები, რეგიონული ინტეგრაციის პროექტები და ტრანსნაციონალური პოლიტიკური ქსელები ქმნის მრავალცენტრიან მმართველობით გარემოს, სადაც სახელმწიფო მოქმედებს სტრუქტურულად შეზღუდული უნარით. ამ მდგომარეობაში იურიდიული სუვერენიტეტი ფორმალურად არსებობს, მაგრამ რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები ხშირად მიიღება გლობალური სისტემების ჩარჩოში, რაც სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლებას მნიშვნელოვნად ზღუდავს. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია დეივიდ ჰელდის და კეოჰეინ-ნაის თეორიულ პოზიციებთან, რომლებიც სუვერენიტეტს ახასიათებს

როგორც ურთიერთდამოკიდებული, ქსელურ გარემოში ჩაჭდობილი ხელისუფლების ფორმას.[249] [250]

ჰიბრიდული სუვერენიტეტისას რამდენიმე კრიტიკული შედეგი იჩენს თავს. *პირველ რიგში,* სამართლებრივი ლეგიტიმურობის პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც სახელმწიფო გადაწყვეტილებები მიღებულია საერთაშორისო, ტექნოკრატიულ ან სუპრანაციონალურ დონეზე, სადაც ეროვნული დემოკრატიული მანდატი სუსტდება. *მეორე,* სოციალური და პოლიტიკური ინტერესთა ჯგუფები ფართოვდება და ახდენს ზეწოლას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ინსტიტუტებზე, რაც პოლიტიკურ პროცესს უფრო პლურალიზებულ, მაგრამ ხშირად ნაკლებად სტაბილურს ხდის. *მესამე,* იმატებს საკონსტიტუციო პროტესტის ფორმები, რომლებიც მიმართულია სუვერენიტეტის „დაკარგვის“ ან „გადანაწილების“ წინააღმდეგ. ამ კონტექსტში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება კითხვა: როგორ უნდა შექმნას სახელმწიფომ ისეთი ინსტიტუციური არქიტექტურა, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს მმართველობის ეფექტიანობას, საერთაშორისო ჩართულობას და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების შენარჩუნებას? აღნიშნულ დილემას ფართოდ განიხილავენ როგორც ჰელდი, ასევე როდრიკი, რომლებიც მიუთითებენ, რომ გლობალური ინტეგრაციისას სუვერენიტეტის ტრანსფორმაცია გარდაუვალია, ხოლო მისი დემოკრატიული ლეგიტიმაცია – აუცილებელი.[251] [252]

მაშასადამე, გლობალიზაციისას სახელმწიფოს სუვერენიტეტის კლასიკური, ვესტფალიური გაგება ფუნდამენტურ სტრუქტურულ ტრანსფორმაციას განიცდის. თუ ისტორიულად სუვერენიტეტი განისაზღვრებოდა როგორც სახელმწიფოს აბსოლუტური, ზედამხედველობითი და განუყოფელი ძალაუფლება საკუთარ ტერიტორიაზე, თანამედროვე ეპოქაში ეს კონცეფცია გარდაიქმნა რთულ, მრავალგანზომილებიან და ურთიერთდამოკიდებულ სისტემად. წარმოდგენა

[249] Held, David. Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance. Stanford, CA: Stanford University Press, 1995.
[250] Keohane, Robert O. & Nye, Joseph S. Power and Interdependence: World Politics in Transition. Boston: Little, Brown and Company, 2000.
[251] Held David, Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance. Stanford, CA: Stanford University Press, 1995.
[252] Rodrik Dani, The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy. New York: W. W. Norton & Company, 2011.

სახელმწიფოს „უზენაესობის“ შესახებ კომპლექსური გლობალური პროცესების ფონზე ემყარება არა მხოლოდ იურიდიულ ნორმებს, არამედ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და ინფორმაციულ რეალობას, რომელთა შეუქცევადი ინტეგრაცია მნიშვნელოვნად ცვლის ძალაუფლების განაწილების ლოგიკას.

სუვერენიტეტის შიდა და გარე განზომილებათა კონკურენტული დინამიკა თანამედროვე გარემოში სულ უფრო მეტად ასუსტებს სახელმწიფოს უნარს, შეუზღუდავად განახორციელოს იურისდიქცია და პოლიტიკური ავტონომია. შიდა სუვერენიტეტი კვლავ ეფუძნება ძალის ლეგიტიმურ მონოპოლიას, სამართლებრივ ინსტიტუტებსა და ადმინისტრაციულ შესაძლებლობებს, თუმცა, ამ კომპონენტებს უკვე ემუქრება როგორც გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის, ისე ტრანსნაციონალური ინფორმაციული ნაკადების გავლენა. გარე სუვერენიტეტი კი თითქმის მთლიანად დამოკიდებულია საერთაშორისო ნორმებზე, ეკონომიკურ წესრიგსა და რეგიონულ თუ გლობალურ ინსტიტუტებთან სახელმწიფოების ჩართულობაზე. შედეგად, სუვერენიტეტი მოქმედებს არა იზოლირებული ძალაუფლების, არამედ ურთიერთდამოკიდებულებების ქსელში ჩაჭდობილი სისტემის სახით.

ეკონომიკური სუვერენიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ განზომილებას, რადგან გლობალური ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა და ღირებულებათა ჯაჭვების ფუნქციური ლოგიკა ქმნის გარემოს, სადაც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა მუდმივად ექვემდებარება ექსტერნალურ ზეწოლას. “IMF“-ის პირობიანობა, საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტები და კაპიტალის დიდი მობილობა აშკარად აჩვენებს, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება ხშირად მხოლოდ ფორმალურ რიტორიკად რჩება. რეალური ავტონომიის ფარგლები განისაზღვრება გლობალური ეკონომიკური წესრიგის მიერ, რაც ასუსტებს სახელმწიფოს თვითწესრიგების შესაძლებლობას.

ტექნოლოგიური და ინფორმაციული სუვერენიტეტი XXI საუკუნეში იქცა ახალი ეპოქის საკვანძო პარამეტრად. ციფრული ინფრასტრუქტურა, მონაცემთა კონტროლი, კიბერუსაფრთხოება და გლობალური პლატფორმების მმართველობითი ძალაუფლება სახელმწიფოებს ახვევს სრულიად ახალ

დამოკიდებულებებში. “Big Tech“ კომპანიები ფლობენ ისეთ ძალებს – საინ-ფორმაციო ნაკადების მართვა, ალგორითმული მართვა, მონაცემთა მასივებზე წვდომა – რომლებიც ხშირად აღემატება ცალკეული სახელმწიფოების ინსტიტუციურ შესაძლებლობებს. შედეგად, ეროვნული უსაფრთხოება გადაიქცა არა მხოლოდ სამხედრო თუ პოლიტიკური, არამედ ციფრული ინფრასტრუქტურის, მონაცემთა დაცვისა და ტექნოლოგიური დამოუკიდებლობის პრობლემად. ჩინეთის მაგალითი განსაკუთრებით ნათლად მიუთითებს, რომ ტექნოლოგიური სუვერენიტეტი შეიძლება იქცეს სახელმწიფო სტრატეგიული ავტონომიის ხერხემლად.

ამ პროცესების ფონზე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ჰიბრიდული სუვერენიტეტის ფორმირება – მდგომარეობა, როდესაც იურიდიული ავტონომია ფორმალურად არსებობს, მაგრამ პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური რეალობა მნიშვნელოვნად ზღუდავს მის პრაქტიკულ განხორციელებას. ასეთი მდგომარეობა იწვევს კრიტიკულ გამოწვევებს:

ლეგიტიმაციის პრობლემა – როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება სა-ერთაშორისო ან სუპრანაციონალურ დონეზე, ეროვნული დემოკრატიული კონტროლი სუსტდება;

პოლიტიკური ზეწოლების მრავალცენტრიანობა – ადგილობრივი და გლობალური ინტერესთა ჯგუფები ერთდროულად ახდენენ ზეგავლენას პოლიტიკურ პროცესზე;

ინსტიტუციური შეუსაბამოსობა – ეროვნული მმართველობითი სტრუქტურები ხშირად ვერ ერგებიან გლობალური წესრიგის მოთხოვნებს;

სუვერენიტეტის სიმბოლურ და რეალურ ფორმებს შორის აცდენა – სახელმწიფოს შეუძლია ჰქონდეს ფორმალური იურიდიული უფლებამოსილებები, მაგრამ პრაქტიკული ავტონომია მკვეთრად შემცირდეს.

ამრიგად, თანამედროვე რეალობაში სუვერენიტეტი აღარ შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთიანი და აბსოლუტური მოცემულობა. ის გარდაიქმნა დინამიკურ, მრავალშრიან, პლურალურ და ფუნქციურად გადაჯაჭვულ სისტემად, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ ტერიტორიულ ავტონომიას, არამედ ეკონომიკურ მდგრადობას, ტექნოლოგიურ დამოუკიდებლობას, საერთაშორისო

ჩართულობას და გლობალურ მმართველობაში გათვითცნობიერებულ მონაწილეობას.

ამ პირობებში სახელმწიფოს წინაშე დგას სტრატეგიული ამოცანა: არა გლობალიზაციისგან იზოლაცია და სუვერენიტეტის „დაბრუნება“, რაც თანამედროვე რეალობაში შეუძლებელია, არამედ მისი რესტრუქტურიზაცია, ადაპტირება და გაძლიერება იმგვარად, რომ ერთდროულად უზრუნველყოს ეროვნული ინტერესების დაცვა და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების ქსელში ეფექტიანი მოქმედება.

სუვერენიტეტის მომავალი, შესაბამისად, განისაზღვრება არა ძალაუფლების იზოლირებული კონცენტრაციით, არამედ მისი მოქნილი, ფუნქციურად დაბალანსებული და სტრატეგიულად დაგეგმილი განაწილებით – სახელმწიფოს შიგნით, რეგიონულ ორგანიზაციებსა და გლობალურ სისტემებთან. XXI საუკუნის გამოწვევებისას სწორედ ასეთი ჰიბრიდულ-ინტეგრაციული მოდელი წარმოადგენს სუვერენიტეტის სიცოცხლისუნარიან ფორმას, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს იმოქმედოს როგორც ავტონომიურმა, მაგრამ ამავდროულად გლობალურ გარემოში ჩართულმა პოლიტიკურმა ერთეულმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Agnew John, Globalization and Sovereignty. Lanham, MD: Rowman & Littlefield, 2009.
2. Beetham David, (1991). The Legitimation of Power. Macmillan.
3. David Held, 1995, Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance, Stanford University Press.
4. DeNardis Laura, The Global War for Internet Governance. New Haven: Yale University Press, 2014.
5. Gereffi Gary, Global Value Chains in a Post-Washington Consensus World. London: Routledge, 2018.
6. Gross Leo, (1948). “The Peace of Westphalia.” American Journal of International Law, 42.
7. Grotius Hugo, (1625). On the Law of War and Peace. Oxford University Press.

8. Habermas, 1996, Between Facts and Norms, MIT Press.
9. Hoekman Bernard & Kostecki Michel, The Political Economy of the World Trading System. Oxford: Oxford University Press, 2009.
10. Jean Bodin, 1576, Six Books of the Commonwealth, Paris.
11. Jean-Jacques Rousseau, 1762, Du Contrat Social, Amsterdam.
12. Keohane Robert O. & Nye Joseph S., Power and Interdependence: World Politics in Transition. Boston: Little, Brown and Company, 2000.
13. Krasner Stephen D., Sovereignty: Organized Hypocrisy. Princeton, NJ: Princeton University Press, 1999.
14. Krugman Paul, International Economics: Theory and Policy. Boston: Addison-Wesley, 1991.
15. Mann Michael, (1986). The Sources of Social Power. Cambridge University Press.
16. Max Weber, 1919, Politics as a Vocation, Duncker & Humblot; Stephen Krasner, 1999, Sovereignty: Organized Hypocrisy, Princeton University Press.
17. Miller Blake, Cybersecurity and Internet Governance in China. Oxford: Oxford University Press, 2018.
18. Rodrik Dani, The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy. New York: W. W. Norton & Company, 2011.
19. Sassen Saskia, Losing Control? Sovereignty in an Age of Globalization. New York: Columbia University Press, 1996.
20. Stiglitz Joseph, Globalization and Its Discontents. New York: W.W. Norton, 2002.
21. Waltz Kenneth, (1979). Theory of International Politics. Addison-Wesley.
22. Weiler J. H. H., The Constitution of Europe: "Do the New Clothes Have an Emperor?" and Other Essays on European Integration. Cambridge: Cambridge University Press, 1999.

აშშ-ჩინეთის ბრძოლა ჰეგემონიისათვის ახალი ტექნოლოგიების პირობებში

ოთარ შატაკიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დოქტორანტი

shatakishviliotar24@gtu.ge

ORCID: https://orcid.org/0009-0005-1030-3157

DOI: 10.52340/splogos.2026.01.19

აბსტრაქტი

სტატია განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გლობალურ დაპირისპირებას ტექნოლოგიური ჰეგემონიისთვის, რომელიც XXI საუკუნის საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ მთავარ ტრანსფორმაციას წარმოადგენს. ტექნოლოგია თანამედროვე ეპოქაში იქცა ძალაუფლების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად და განსაზღვრავს როგორც ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ისე გეოპოლიტიკურ გავლენას. კვლევის მიზანია გაანალიზოს ჰეგემონიის ტრანსფორმაცია სამხედრო და ეკონომიკური სფეროებიდან ციფრულ და ტექნოლოგიურ სივრცეში, სადაც კონკურენცია მიმდინარეობს ხელოვნური ინტელექტის, 5G ქსელების, ნახევარგამტარი ინდუსტრიისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

კვლევა ეფუძნება აკადემიური და ანალიტიკური წყაროების ანალიზს და აჩვენებს, რომ ტექნოლოგიური უპირატესობა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. აშშ ცდილობს შეინარჩუნოს ლიდერობა ინოვაციების, ღია ბაზრებისა და დემოკრატიული სტანდარტების მხარდაჭერით, ხოლო ჩინეთი ავითარებს სახელმწიფო-დირექტიულ მოდელს, რომელიც ორიენტირებულია ტექნოლოგიური ავტონომიისა და მონაცემთა კონტროლზე.

დასკვნის მიხედვით, ტექნოლოგიური კონკურენცია განსაზღვრავს XXI საუკუნის ჰეგემონიას და წარმოადგენს ახალი გლობალური ტექნოლოგიური წესრიგის ჩამოყალიბების საფუძველს.

საკვანძო სიტყვები: ჰეგემონია, ტექნოლოგიური კონკურენცია, აშშ–ჩინეთის ურთიერთობები, ხელოვნური ინტელექტი, გლობალური უსაფრთხოება.

The US-China Struggle for Hegemony in the Context of New Technologies

Otar Shatakishvili

PhD Student,

Faculty of Law and International Relations,

Georgian Technical University

shatakishviliotar24@gtu.ge

ORCID: https://orcid.org/0009-0005-1030-3157

Abstract

The article discusses the global rivalry between the United States and the People's Republic of China for technological hegemony, which is one of the main transformations of the international system of the 21st century. Technology has become an important instrument of power in the modern era and determines both economic opportunities and geopolitical influence. The study aims to analyze the transformation of hegemony from the military and economic spheres to the digital and technological space, where competition is taking place in the direction of artificial intelligence, 5G networks, the semiconductor industry, and cybersecurity.

The study, based on an analysis of academic and analytical sources, shows that technological superiority is one of the main determinants of contemporary international politics. The US seeks to maintain leadership by supporting innovation, open markets, and democratic standards, while China develops a state-directed model focused on technological autonomy and data control.

According to the conclusion, technological competition determines the hegemony of the 21st century and is the basis for the formation of a new global technological order.

Keywords: Hegemony, technological competition, US-China relations, artificial intelligence, global security.

შესავალი

XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფი ტემპი და მისი გავლენა გლობალურ ძალთა განაწილებაზე. თანამედროვე ეპოქაში, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ტექნოლოგიურმა პოტენციალმა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა შესაძლებლობას შეინარჩუნონ ან მოიპოვონ ლიდერობა საერთაშორისო სისტემაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ისეთი ტექნოლოგიური მიმართულებები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მეხუთე თაობის მობილური ქსელები, "Big Data", კიბერუსაფრთხოება და ნახევარგამტარი ინდუსტრია. სწორედ აღნიშნულ სფეროებში მიმდინარეობს დღეს გლობალური კონკურენცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ძალთა ბალანსსა და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის ფორმირებაზე. ამ პროცესის ცენტრში აღმოჩნდა ორი გლობალური ძალა, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელთა შორის ტექნოლოგიური კონკურენცია XXI საუკუნის გეოპოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა.[253]

თემის აქტუალობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ტექნოლოგიური განვითარება თანამედროვე მსოფლიოში გადაიქცა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ პოლიტიკური გავლენისა და უსაფრთხოების მთავარ წყაროდ. თუ

[253] Rahman M. – *Tech Supremacy and Economic Warfare: The US-China Trade Battle in the 21st Century* (2025): 1-18.

XX საუკუნეში სახელმწიფოების ძალაუფლება უმეტესწილად სამხედრო შესაძლებლობებითა და ტერიტორიული კონტროლით განისაზღვრებოდა, XXI საუკუნეში ლიდერობის განმსაზღვრელი ფაქტორი სულ უფრო მეტად ხდება ტექნოლოგიური ინოვაცია და მონაცემთა მართვის შესაძლებლობა. სწორედ ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის მიმდინარე ტექნოლოგიურმა დაპირისპირებამ, რომელიც მოიცავს როგორც ეკონომიკურ და ინდუსტრიულ პოლიტიკას, ისე კიბერუსაფრთხოებას, ინფორმაციულ გავლენასა და გლობალური ტექნოლოგიური სტანდარტების განსაზღვრას. მკვლევართა შეფასებით, ხელოვნური ინტელექტისა და 5G ტექნოლოგიების განვითარება უკვე იქცა საერთაშორისო ძალთა ბალანსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორად, რადგან ინოვაციური შესაძლებლობები პირდაპირ კავშირშია სამხედრო და ეკონომიკურ უპირატესობასთან.[254]

კვლევის მიზანია გაანალიზოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მიმდინარე ტექნოლოგიური კონკურენცია და გამოავლინოს, თუ როგორ გარდაქმნის ეს პროცესი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძალთა განაწილებას. კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ გადაინაცვლა ჰეგემონიისთვის ბრძოლამ ტრადიციული სამხედრო და ეკონომიკური სფეროებიდან ციფრულ და ტექნოლოგიურ სივრცეში. აღნიშნული პროცესის ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან ტექნოლოგიური კონკურენცია დღეს უკვე განსაზღვრავს არა მხოლოდ ეკონომიკურ პოლიტიკას, არამედ გლობალური უსაფრთხოების სისტემის განვითარებასაც. ამასთანავე, კვლევა მიზნად ისახავს გაანალიზოს ორი განსხვავებული განვითარების მოდელი, რომელთა საფუძველზეც ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი ცდილობენ ტექნოლოგიური ლიდერობის მოპოვებას.

კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიები, განსაკუთრებით სტრუქტურული რეალიზმისა და გეოეკონომიკური ანალიზის მიდგომები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ

[254] Fricke B., – *Artificial Intelligence, 5G and the Future Balance of Power* (2020): 5-22.

ძალაუფლების განაწილებასა და სახელმწიფოთა სტრატეგიულ კონკურენციაზე. აღნიშნული თეორიული პერსპექტივა საშუალებას იძლევა უკეთ გაიაზროს, თუ როგორ იქცა ტექნოლოგია საერთაშორისო პოლიტიკაში ძალაუფლების ერთ-ერთ ძირითად რესურსად. თანამედროვე კვლევებში ხშირად აღინიშნება, რომ ტექნოლოგიური ინოვაცია სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის, არამედ გლობალური გავლენის გაფართოების მიმართულებითაც.[255]

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ხარისხობრივი ანალიზის მეთოდი, რომელიც ეფუძნება აკადემიური ლიტერატურის, ანალიტიკური ანგარიშებისა და საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე კვლევების სისტემურ შესწავლას. გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდიც, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ტექნოლოგიური პოლიტიკის განსხვავებები და მათი გავლენა გლობალურ ძალთა ბალანსზე. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა უზრუნველყოფს საკითხის კომპლექსურ და მრავალმხრივ ანალიზს.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეა ის, რომ იგი ტექნოლოგიურ კონკურენციას განიხილავს არა მხოლოდ ეკონომიკური ან ინდუსტრიული პოლიტიკის კონტექსტში, არამედ საერთაშორისო ძალაუფლების სტრუქტურის ტრანსფორმაციის ფარგლებში. კვლევა აჩვენებს, რომ ტექნოლოგიური განვითარება იქცა სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური გავლენის მთავარ ინსტრუმენტად და განსაზღვრავს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესს. ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო მკაფიოდ შეფასდეს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებები და ტექნოლოგიური ჰეგემონიის მნიშვნელობა.

სტრუქტურულად ნაშრომი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისგან. ძირითადი ნაწილი განიხილავს ტექნოლოგიური ჰეგემონიის თეორიულ საფუძვლებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ტექნოლოგიური კონკურენციის ძირითად

[255] Abrams A. B. – *China and America's Tech War from AI to 5G: The Struggle to Shape the Future of World Order* (2022): 30-47.

მიმართულებებს და ამ პროცესის გავლენას გლობალურ უსაფრთხოებასა და საერთაშორისო პოლიტიკაზე. დასკვნაში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები და შეფასებულია ტექნოლოგიური კონკურენციის მნიშვნელობა XXI საუკუნის საერთაშორისო სისტემის განვითარების კონტექსტში

თავი I. აშშ-ჩინეთის ბრძოლა ჰეგემონიისათვის ახალი ტექნოლოგიების პირობებში

21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაცია ძირითადად განპირობებულია ტექნოლოგიური რევოლუციით, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი და გლობალური ეკონომიკური წესრიგის სტრუქტურა. იმ ეპოქაში, როდესაც ინფორმაციის, ციფრული ინფრასტრუქტურისა და ხელოვნური ინტელექტის ფლობა განისაზღვრება როგორც სტრატეგიული უპირატესობა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა გადავიდა კონკურენციის ახალ ფაზაში. ტექნოლოგიური ჰეგემონიისთვის ბრძოლა აღარ შემოიფარგლება ეკონომიკური ან სამხედრო მიზნებით; იგი მოიცავს პოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და კულტურულ განზომილებებსაც, რაც ახალ ტიპის გლობალურ ორმხრივ დაპირისპირებას ქმნის.[256]

აშშ ტრადიციულად იყო ტექნოლოგიური ინოვაციების ლიდერი, დაწყებული სილიკონის ველის ეპოქიდან, დასრულებული ინფორმაციული უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით. თუმცა, 2000-იანი წლების შემდეგ ჩინეთის ეკონომიკურმა ზრდამ, შიდაინოვაციურმა პოლიტიკამ და სახელმწიფოს აქტიურმა ჩარევამ ტექნოლოგიურ სექტორში მნიშვნელოვნად შეარყია აშშ-ის უპირატესობა. როგორც Abrams-ი (2022) აღნიშნავს, ჩინეთმა „განავითარა სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელი, რომელიც აერთიანებს ბაზრის მექანიზმებსა და სახელმწიფო კონტროლს, რაც ტექნოლოგიურ განვითარებას აქცევს ეროვნულ

[256] Rahman M. – *Tech Supremacy and Economic Warfare: The US-China Trade Battle in the 21st Century* (2025), pp. 1-18.

ინტერესად“. სწორედ ეს მოდელი გახდა დასავლური ღირებულებებისა და აზიური განვითარების ალტერნატიული გზის სიმბოლო.[257]

ტექნოლოგიური დომინაციისკენ ჩინეთის სწრაფვა სისტემურად დაიწყო პროგრამით “*Made in China 2025*“, რომლის მიზანია ქვეყნის გარდაქმნა დაბალტექნოლოგიური წარმოებიდან მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელ გიგანტად.[258] ამ სტრატეგიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ნახევარგამტარები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგია, და კომუნიკაციის ქსელები. პროგრამამ გამოიწვია დასავლეთის შიში იმის გამო, რომ ჩინეთი შესაძლოა იქცეს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ციფრულ ჰეგემონადაც, რაც შეამცირებს აშშ-ის გლობალურ გავლენას.

აშშ-ის რეაქცია იყო მკაფიოდ სტრუქტურირებული. 2018 წლიდან დაიწყო ტექნოლოგიური სანქციების მექანიზმის გამოყენება, განსაკუთრებით “Huawei“-ისა და “ZTE“-ს წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ექსპორტის შეზღუდვები ნახევარგამტარი მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფისა და მაღალი ტექნოლოგიური კომპონენტების მიწოდებაზე. Fricke (2020) ხაზს უსვამს, რომ ეს ნაბიჯი იყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომლის მიზანია შეაფერხოს ჩინეთის წვდომა იმ ტექნოლოგიურ ბაზრებზე, სადაც ინოვაცია განსაზღვრავს გლობალურ უსაფრთხოებას.[259]

თავი II. სტრატეგიული, ეკონომიკური და უსაფრთხოების ასპექტები ტექნოლოგიურ კონკურენციაში

აშშ–ჩინეთის ტექნოლოგიური დაპირისპირება წარმოადგენს მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც აერთიანებს სტრატეგიულ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს. ტექნოლოგია იქცა არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალად, არამედ სახელმწიფოთა

[257] Abrams A. B. – *China and America's Tech War from AI to 5G: The Struggle to Shape the Future of World Order* (2022), pp. 30-47.
[258] Zhang K. H. – “Geoeconomics of US-China Tech Rivalry and Industrial Policy” (2024), pp. 12-28.
[259] Fricke B. –*Artificial Intelligence, 5G and the Future Balance of Power* (2020), pp. 5-22.

თავდაცვის, დაზვერვისა და გლობალური გავლენის განმსაზღვრელ ბირთვად. ამ მხრივ, ტექნოლოგიური კონკურენცია უკვე გასცდა ინოვაციური ინდუსტრიის ფარგლებს და გადაიზარდა გეოპოლიტიკურ სისტემურ დაპირისპირებაში, სადაც თითოეული ტექნოლოგიური მიღწევა აღიქმება როგორც ძალაუფლების ინსტრუმენტი.[260]

აშშ-ის სტრატეგიული მიზანი, როგორც წამყვანი ჰეგემონისა, ისტორიულად ეფუძნებოდა ტექნოლოგიურ დომინაციასა და გლობალური სტანდარტების ფორმირებას. ჩინეთის ამ ასპარეზზე ამოსვლა კი ამ მიზანს არსებითად ასუსტებს. Rim-ი (2023) აღნიშნავს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ტექნოლოგია იქცა „სტრატეგიული სტაბილურობის“ კომპონენტად, რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სამხედრო ბალანსსაც. აშშ-ის სტრატეგია მიმართულია გლობალური პარტნიორობის ქსელის გაძლიერებაზე, რომელიც აერთიანებს იაპონიას, სამხრეთ კორეას, ინდოეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს, რათა შეიქმნას „ტექნოლოგიური ალიანსი“, რომელიც გააკონტროლებს სტანდარტებს, მონაცემთა ნაკადებსა და საინვესტიციო მარშრუტებს.[261]

მეორე მხრივ, ჩინეთი იყენებს ე. წ. „ტექნოლოგიური დიპლომატიის“ მექანიზმებს, განსაკუთრებით აფრიკისა და აზიის ქვეყნებში, სადაც “Digital Silk Road“-ის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს. ამ გზით, ჩინეთი ქმნის ახალ გლობალურ ქსელს, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ საინფორმაციო სივრცის კონტროლს უზრუნველყოფს. Fricke (2020) აღნიშნავს, რომ ეს მოდელი წარმოადგენს „სტრატეგიული გავლენის გეოტექნოლოგიურ ფორმას“, რომელიც საშუალებას აძლევს ჩინეთს გააფართოვოს პოლიტიკური გავლენა ისეთ რეგიონებშიც, სადაც სამხედრო ძალა შეზღუდულად მოქმედებს.[262]

[260] Zhang K. H. – “Industrial Policy in the Competition Between an Existing Hegemon and a Rising Superpower: The Case of the US and China.” *The Chinese Economy* (2025), pp. 10-27.
[261] Rim, H. J.– “The US-China Strategic Competition and Emerging Technologies in the Indo-Pacific Region.” In *Indo-Pacific Strategies and Foreign Policy Challenges* (2023), pp. 55-72.
[262] Fricke, B. – *Artificial Intelligence, 5G and the Future Balance of Power* (2020), pp. 5-22.

აშშ კი ცდილობს ინვესტიციების გადატანას შინაური წარმოების სტიმულირებითა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეწყობით. 2022 წელს მიღებულმა "*CHIPS and Science Act*"-მა მიზნად დაისახა ნახევარგამტარი წარმოების აღდგენა ამერიკის შიგნით, რითაც შემცირდებოდა დამოკიდებულება აღმოსავლეთ აზიის ბაზრებზე. ამ ნაბიჯმა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უსაფრთხოების მიზნებიც მოიცვა – ნახევარგამტარების მიწოდების კონტროლი ნიშნავს კრიტიკული ტექნოლოგიური ჯაჭვის გაძლიერებას და პოტენციური კრიზისის პრევენციას.[263]

ჩინეთი კი ნელ-ნელა ამკვიდრებს საკუთარ ხედვას, რომელიც ემყარება „ციფრული სუვერენიტეტის" პრინციპს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოები უნდა ფლობდნენ სრულ კონტროლს საკუთარ მონაცემებზე, კომუნიკაციის არხებსა და ციფრულ ინფრასტრუქტურაზე. Golota (2023) აღნიშნავს, რომ ამ მოდელის წარმატება განსაკუთრებით თვალსაჩინოა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ჩინური ტექნოლოგიები – განსაკუთრებით „Huawei"-ს ინფრასტრუქტურა – იქცა ეკონომიკური განვითარების აუცილებელ კომპონენტად.[264]

დასკვნა

აშშ-ჩინეთის ტექნოლოგიური კონკურენცია წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ სტრუქტურულ პროცესს, რომელმაც ფაქტობრივად განსაზღვრა XXI საუკუნის გლობალური წესრიგის ახალი ლოგიკა. მისი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჰეგემონიის არსი გარდაიქმნა: თუ წარსულში ძალაუფლების მთავარი წყარო იყო სამხედრო ან ეკონომიკური პოტენციალი, დღეს იგი დამოკიდებულია ტექნოლოგიურ უნარზე – იმაზე, თუ რომელი სახელმწიფო შეძლებს ცოდნის, მონაცემებისა და ინოვაციური რესურსების მობილიზებას გლობალური გავლენის მისაღწევად.

[263] Rahman M. – *Tech Supremacy and Economic Warfare: The US-China Trade Battle in the 21st Century* (2025), pp. 1-18.
[264] Golota L. – "The Role of 5G Technology in Superpower Rivalry Between the United States and China: An Offensive Realist Approach." *Polish Political Science Yearbook* (2023), pp. 145-162.

პირველი მნიშვნელოვანი დასკვნაა, რომ **ტექნოლოგია იქცა ძალაუფლების ბირთვად**. ინოვაციური შესაძლებლობები, ხელოვნური ინტელექტის განვითარება, ნახევარგამტარული წარმოება და მონაცემთა კონტროლი პირდაპირ განსაზღვრავს ეკონომიკურ სტაბილურობასა და პოლიტიკურ სუვერენიტეტს. სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, ახერხებენ გლობალური ინფორმაციული არხებისა და ფინანსური ნაკადების კონტროლს, რაც მათ აძლევს სტრატეგიულ უპირატესობას.

მეორე დასკვნა უკავშირდება **ღირებულებათა და მოდელურ დაპირისპირებას**. აშშ იცავს ღია ბაზრის, ინოვაციის თავისუფლებისა და დემოკრატიული მმართველობის მოდელს, მაშინ როცა ჩინეთი ემყარება სახელმწიფო-დირექტიულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ პროგრესს პოლიტიკურ კონტროლთან. ეს ორი მოდელი იბრძვის არა მხოლოდ ეკონომიკურ უპირატესობაზე, არამედ მსოფლიო ტექნოლოგიური წესრიგის ფორმირებაზე – როგორ უნდა განაწილდეს მონაცემები, ვინ უნდა აკონტროლებდეს ციფრულ ინფრასტრუქტურას და რა უნდა იყოს ტექნოლოგიური ეთიკის საზღვრები.

მესამე დასკვნა ეხება **ეკონომიკურ განზომილებას**. ტექნოლოგიურმა ომმა შეცვალა გლობალური ვაჭრობის დინამიკა: გაჩნდა ტექნოლოგიური ბლოკები, გაძლიერდა ექსპორტის კონტროლი და ინვესტიციების შიდა პოლიტიზაცია. ამით დადასტურდა, რომ გეოეკონომიკა გარდაიქმნა გეოპოლიტიკის გაგრძელებად – ეკონომიკური პოლიტიკა გახდა პოლიტიკური სტრატეგიის იარაღი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abrams A. B. –*China and America's Tech War from AI to 5G: The Struggle to Shape the Future of World Order* (2022). https://books.google.com/books?id=D8N6EAAAQBAJ.
2. Al-Hasnawi A. H. M. – "America-China Technology Competition and Its Geopolitical Dimensions." *Multicultural Education* (2021). https://www.researchgate.net/publication/366596633.
3. Fricke B. – *Artificial Intelligence, 5G and the Future Balance of Power* (2020). JSTOR. https://www.jstor.org/stable/resrep25281.

4. Golota L. – "The Role of 5G Technology in Superpower Rivalry Between the United States and China: An Offensive Realist Approach." *Polish Political Science Yearbook* (2023). https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/ppsy52&i=357.

5. Jaffer N. – *Sino-US Competition in Global Information Infrastructure, Critical Technologies and Its Implications* (2024). Institute of Regional Studies. https://regionalstudies.com.pk/wp/wp-content/uploads/2024/07/4.-SINO-US-COMPETITION-3.pdf.

6. Rahman M. – *Tech Supremacy and Economic Warfare: The US-China Trade Battle in the 21st Century* (2025). ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/391835669.

7. Rim H. J. – "The US–China Strategic Competition and Emerging Technologies in the Indo-Pacific Region." In *Indo-Pacific Strategies and Foreign Policy Challenges* (2023). https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9781003377061-6.

8. Walker R. M. – *5G Technology, US-China Race, and the Competition for Dominance* (2021). University of Mississippi Honors Thesis. https://egrove.olemiss.edu/hon_thesis/1742/.

9. Zhang K. H. – "Geoeconomics of US-China Tech Rivalry and Industrial Policy." *Asia and the Global Economy* (2024). https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2667111524000227.

10. Zhang K. H. – "Industrial Policy in the Competition Between an Existing Hegemon and a Rising Superpower: The Case of the US and China." *The Chinese Economy* (2025). https://doi.org/10.1080/10971475.2025.2469198.

დემოგრაფიული გამოწვევები

მაია თოფურია

სოციალური მეცნიერებების დოქტორანტი

topuriamaia12@gtu.ge

ORCID: https://orcid.org/0009-0006-4166-6601

DOI: 10.52340/splogos.2026.01.20

აბსტრაქტი

დღეს მსოფლიო სერიოზული დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე დგას. განვითარებულ ქვეყნებში ახალშობილთა რიცხვი საგრძნობლად კლებულობს, მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის გამრავლების ტემპი უკონტროლოდ იზრდება.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვში აღმოჩნდა, რომლებიც დღეს სერიოზული დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგანან. სტატიაში განხილულია საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მისი დაძლევის გზები ევროპის ზოგი ქვეყნისა, და კერძოდ, ჰოლანდიის მაგალითზე. ნიდერლანდები (ჰოლანდია) წარმატებული მაგალითია იმ ქვეყნებს შორის, რომელებიც აქტიურად მუშაობენ დემოგრაფიული გამოწვევების მართვასა და გადაჭრაზე. სწორედ ნიდერლანდების პოლიტიკის მაგალითის გათვალისწინებით სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველოს მთავრობამ, რათა გაუმკლავდეს არსებულ დემოგრაფიულ გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფია, შობადობის ამაღლების პოლიტიკა, კომპლექსური გეგმა, დემოგრაფიული კრიზისი, მიგრაცია.

Demographic Challenges

Maia Topuria

PhD Student in International Relations,

Georgian Technical University

topuriamaia12@gtu.ge

ORCID: https://orcid.org/0009-0006-4166-6601

Abstract

The contemporary world is confronted with profound demographic challenges. While developed countries are experiencing a significant decline in birth rates, developing countries continue to face uncontrolled population growth. Georgia is among the states currently struggling with acute demographic issues. This article examines the underlying causes of these challenges in Georgia and explores possible solutions by drawing on the experience of several European countries, with particular emphasis on the Netherlands. The Dutch case provides a notable example of effective strategies for managing and addressing demographic pressures. Building on this model, the paper outlines policy recommendations for the Government of Georgia to help mitigate and respond to its demographic crisis.

Keywords: Demography, fertility policy, comprehensive planning, Demographic crisis, migration.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოში არსებული დემოგრაფიული გამოწვევების სისტემური ანალიზი, მათი გამომწვევი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების იდენტიფიცირება, ასევე საერთაშორისო გამოცდილების (განსაკუთრებით ნიდერლანდების მაგალითის) საფუძველზე ეფექტიანი, გრძელვადიანი და კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდები

კვლევა ეფუძნება სოციალურ კვლევის მეთოდებს და აერთიანებს როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მიდგომას. გამოყენებულია დოკუმენტური ანალიზი და „ქეის სთადი“ (ნიდერლანდების მაგალითზე), როგორც თვისებრივი მეთოდები, ხოლო სტატისტიკური მონაცემების ანალიზი – როგორც რაოდენობრივი მეთოდი. დამატებით გამოყენებულია შედარებითი ანალიზი და თეორიული ინტერპრეტაცია დემოგრაფიული და გენდერული თეორიების საფუძველზე.

სამეცნიერო სიახლე

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეა დემოგრაფიული პროცესების ინტერდისციპლინარული ანალიზი, სადაც საქართველოის დემოგრაფიული გამოწვევები განხილულია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციოკულტურული და გენდერული ფაქტორების ჭრილში.

შესავალი

მოსახლეობის არათანაბარი ზრდა დღეს მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. სპეციალიტების პროგნოზით განვითარებული ქვეყნები დაბერების საფრთხის წინაშე დგანან, მაშინ, როცა განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის გამრავლების ტემპი უკონტროლოდ იზრდება. დღეს ევროპა ძლიერი დემოგრაფიული კრიზისის წინაშე დგას. ევროპას ყველაზე დაბალი შობადობის მაჩვენებელი აქვს ნებისმიერ სხვა კონტინენტთან შედარებით. ამჟამინდელი შობადობა იმდენად დაბალია, რომ თითოეული თაობა წინა თაობაზე უფრო მცირეა.

სპეციალისტების პროგნოზის მიხედვით, თუ მოსახლეობის გამრავლება განვითარებულ ქვეყნებში (ევროპა, რუსეთი და სავარაუდოდ საქართველო) თანამედროვე ტემპით გაგრძელდა, დაახლოებით 130-180 წლის შემდეგ იქ მკვიდრი მოსახლეობიდან აღარავინ დარჩება.[1]

კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში, გლობალური მოსახლეობა დღევანდელი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა. ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ადამიანთა პოპულაციამ არაჩვეულებრივი ცვლილება

განიცადა. 1800 წელს მსოფლიო პოპულაცია ერთი მილიარდი ადამიანი იყო, დღეს კი ჩვენ 8 მილიარდზე მეტი ვართ. მოსახლეობის ასეთი სწრაფი ზრდის შედეგად, დემოგრაფები ვარაუდობენ, რომ მსოფლიოს მოსახლეობა პიკს ამ საუკუნის ბოლოსთვის მიაღწევს.[2]

ჩინეთი და ინდოეთი, დღეს მსოფლიოს ორი ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა, თითოეული მათგანი 1,4 მილიარდ ადამიანს აღემატება. ჩინეთი მსოფლიოს მოსახლეობის 17,7%-ს შეადგენს, ინდოეთი კი ოდნავ უფრო მეტს 17,8%-ს. ჩინეთის მოსახლეობის კლება გამოწვეული იყო სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით. 1948 წელს კომუნისტურმა ჩინეთმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩადო ინფრასტრუქტურასა და ჯანდაცვის სფეროში, რისთვისაც საჭირო გახდა შობადობის სწრაფი შემცირება. 1970-იან წლებში ქვეყანამ დააწესა ქორწინების ასაკის ახალი ზღვარი: ქალებისთვის მინიმუმ 23 წელი, კაცებისთვის – 25, რის შედეგადაც შობადობის მაჩვენებელი 1971 წელს არსებული 5.5 ახალშობილიდან ერთ ქალზე, 1979 წლისთვის 2.7-მდე დაეცა.

თუმცა ჩინეთისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. 1979 წელს შემოღებული იქნა ერთშვილიანობის ნორმა. დაწესდა ჯარიმები იმ წყვილების მიმართ, რომლებსაც ორი ან მეტი შვილი ჰყავდათ. გარდა ამისა, შობადობის შემცირების მიზნით ხორციელდებოდა იძულებითი სტერილიზაცია და აბორტები.

1980-იან წლებში შობადობის მაჩვენებელი მერყეობდა და უმეტესად ოდნავ აღემატებოდა რეპროდუქციულ დონეს – 2.1 ბავშვი ერთ ქალზე, თუმცა 1990-იანი წლების დასაწყისი გადამწყვეტი აღმოჩნდა – შობადობა დაეცა რეპროდუქციულ დონეზე ქვემოთ და მას შემდეგ განაგრძო კლება.

ჩინეთმა გააცნობიერა, რომ ამ პოლიტიკამ უკუეფექტი გამოიღო, გამოიწვია რა სქესთა დისბალანსი (მამაკაცების სიჭარბით ქალებთან შედარებით) და ასაკოვანი მოსახლეობის მკვეთრი ზრდა. 2016 წელს ქვეყანამ გააუქმა ერთშვილიანობის პოლიტიკა და დაუშვა ორშვილიანობა, ხოლო 2021 წელს ეს ზღვარი სამ ბავშვამდე აიწია.

თუმცა ათწლეულების განმავლობაში მოქმედმა დამსჯელმა შეზღუდვებმა იმდენად ძირეულად შეცვალა ქვეყნის დემოგრაფია, რომ ამ ეფექტების შერბილება,

აღარაფერს ვამბობთ მათ შემოტრიალებაზე, მარტივი არ იქნება. 2022 წელს, პირველად ბოლო 60 წლის განმავლობაში, ჩინეთის მოსახლეობა შემცირდა და ეს კლება თითქმის ერთ მილიონ ადამიანს მოიცავს.[3]

აფრიკა ყველაზე სწრაფად მზარდი რეგიონია მსოფლიოში, მისი წლიური ზრდა დაახლოებით 2.4%-ს შეადგენს. ევროპა კი მსოფლიოში ერთადერთი რეგიონია, რომელიც ყოველწლიურად 0,17%-ით მცირდება.[4]

საქართველო, სამწუხაროდ, იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც სერიოზული დემოგრაფიული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს პრობლემა დაკავშირებულია, როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ფაქტორთან, მათ შორის მიგრაციასთან, დაბალ შობადობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდში – 1989 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონ 400 ათას კაცს შეადგენდა. ამის შემდგომ იწყება დემოგრაფიული პროცესების დაღმასვლა. ამის მიზეზები გახლდათ სამოქალაქო ომი, შეიარაღებული კონფლიქტები, მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და გაზრდილი მიგრაცია.[5]

დემოგრაფიული პროცესები თავისი ბუნებით ინერციულია და აქვს ხანგრძლივი დროის ლაგი (პერიოდი), ამიტომ მათი შედეგები აშკარა ხდება მხოლოდ ათწლეულების შემდეგ. სწორედ ეს გარემოება ხდის დემოგრაფიულ პრობლემატიკას არა მხოლოდ სოციალურ, არამედ სტრუქტურულ-სახელმწიფოებრივ ამოცანად.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის დონეზე აქტიურად მიმდინარეობს დემოგრაფიული პრობლემების განხილვა, მათ შორის:

- დაბალი შობადობა და უარყოფითი ბუნებრივი მატება;
- ემიგრაციის ფაქტორი და ახალგაზრდების გადინება;
- მოსახლეობის დაბერება და მისი ეკონომიკურ-საზოგადოებრივ შედეგებზე გავლენა.

საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს დაამტკიცა დადგენილება „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის შესახებ.“[6] დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დემოგრაფიული პროცესები გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, შრომის ბაზარზე, სოციალურ დაცვასა და ტერიტორიულ უსაფრთხოებაზე.

დოკუმენტი ითვალისწინებდა 2017–2030 წლების სტრატეგიის შემუშავებას, რომლის ძირითადი მიმართულებები იყო:

- ოჯახისა და შობადობის მხარდაჭერა:
  - ფინანსური და სოციალური დახმარებები მრავალშვილიანი ოჯახებისთვის;
  - დედობისა და ბავშვთა დაცვის პროგრამები;
  - სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების პოლიტიკა.
- მიგრაციული პოლიტიკა;
  - მიგრაციის შემცირების მექანიზმები;
  - მიგრანტების დაბრუნების ხელშეწყობა;
  - დიასპორის ჩართულობა.
- აქტიური დაბერების პოლიტიკა:
  - ხანდაზმულთა დასაქმებისა და სოციალური დაცვის პროგრამები;
  - ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- რეგიონული განვითარება:
  - სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონების მხარდაჭერა;
  - ინფრასტრუქტურის განვითარება დემოგრაფიული გადინების შესამცირებლად.

მიუხედავად კონცეფციის მიღებისა, სრულფასოვანი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და რეგულარულად განახლებული დემოგრაფიული სტრატეგია არ ჩამოყალიბდა გრძელვადიანი ინსტიტუციური ფორმით. პოლიტიკა ნაწილობრივ ხორციელდება სოციალური პროგრამების, ჯანდაცვისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფარგლებში. დემოგრაფიული საკითხები პერიოდულად განიხილება საპარლამენტო კომიტეტებში, თუმცა, ცალკე ძლიერი ინსტიტუციური მექანიზმი არ ფუნქციონირებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2025 წლის იანვრის მონაცემებით საქარათველოს მოსახლეობა 3 704.5 მლნ. შეადგენს. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 2024 წლის მონაცმებით 39 483 შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 1916 წლიდან მოყოლებული. ასევე მზარდია განქორწინებულთა რიცხვი – 13 520, რაც წინა წელთან შედარებით მცირედით ნაკლებია. ოდნავ შემცირდა იმიგრანტთა რიცხოვნობა 135 811 წინა წელთან შედარებით – 2023 წ. იყო 205877.[7]

ზემოთ მოყვანილი ციფრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა უარესდება. ამის შედეგია დღეს საქართველოში არსებული არაეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკაა. 100-200 ლარის ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელიც 2014 წლის 31 მარტის #262 დადგენილებით დამტკიცდა, ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას და შობადობის წახალისებას.

საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში გაიზარდა უშვილო წყვილების რიცხვი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემა ყოველ მეექვსე ადამიანს აქვს. საქართელოში ინვიტროგანაყოფიერების სრული პროცესი 12 ათასიდან 18 ათას ლარამდე ჯდება. საქართველოს ეკონომიკის გათვალისწინებით ეს თანხა ძალიან დიდია და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია. 2024 წლის ბიუჯეტის განხილვისას დაისვა საკითხი, რომ სახელმწიფოს თავის თავზე აეღო ინვიტრო განაყოფიერების პროცედურა, მაგრამ ეს საკითხი წინა წლის ბიუჯეტში არ იქნა გათვალისწინებული. დღეს არც სახელმწიფო და არც კერძო სადაზღვევო კომპანიები არ აფინანსებენ ინვიტრო პროგრამას. ერთადერთი ფონდი, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს 1019 წელს ქართულ-გერმანული კლინიკის ბაზაზე შეიქმნა „შენთვის“, რომელიც უშვილო წყვილებს სამედიცინო მომსახურებას უფინანსებს. ამ ფონდის თანადაფინანსებით საქართველოში 800-მდე ბავშვი დაიბადა.

საქართველოსგან განსხვავებით, საფრანგეთში რეპროდუქციული ჯანმრთელობის მკურნალობას და ასევე ინვიტრო განაყოფიერებას სახელმწიფო 100%-ით აფინანსებს. სრულად ფინანსდება ინვიტრო განაყოფიერების 4 მცდელობა

43 წლამდე ასაკის ქალებისთვის. ბელგიაში 50 წლამდე ქალებისთვის არის შესაძლებელი ინვიტრო პროგრამით სარგებლობა. ეს პროგრამა ასევე კარგადაა განვითარებული ესპანეთში, იტალიასა და ნიდერლანდში.[8]

ნიდერლანდი (ჰოლანდია) წარმატებული მაგალითია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც აქტიურად მუშაობენ დემოგრაფიული გამოწვევების მართვასა და გადაჭრაზე. მათი მიდგომები მოიცავს შობადობის წახალისებას, მიგრაციის ეფექტურ მართვას და შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდას. ნიდერლანდში, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, მოსახლეობის საშუალო ასაკი იზრდება. შობადობის მაჩვენებელი შეადგენს 2.1, რაც ბუნებრივი ზრდისთვის არის აუცილებელი. მართალია, მიგრაციის ზრდამ გაზარდა მოსახლეობის რაოდენობა, მაგრამ ამან ასევე დღის წესრიგში დააყენა ინტეგრაციის საჭიროება.

ნიდერლანდი ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა მსოფლიოში. მოსახლეობის ზრდის დღევანდელი ტემპი 0,8 პროცენტია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპაში. ნიდერლანდის მოსახლეობა 1960 წლის მონაცემებით შეადგენდა 11,486,631 მოსახლეს. 2023 წლის მონაცემებით ეს რიცხვი 17,877,117 -ით გაიზარდა და ზრდის ტენდენცია შეინიშნება ყოველწლიურად.[9]

მოსახლეობის ბოლოდროინდელი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ნიდერლანდში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებაა, რაც საერთაშორისო მიგრაციითაა გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ამ ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში, მისი გავლენა არსებითად გაიზარდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მოსახლეობის ზრდა, საერთაშორისო მიგრაციის ფონზე და ასევე რეზიდენტი მიგრანტი მოსახლეობის შემდგომი ზრდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ჰოლანდის დემოგრაფიაში. უცხოური წარმოშობის ამჟამინდელი მოსახლეობა ქვეყანაში 2,7 მილიონია, რაც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 17 პროცენტს შეადგენს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში შობადობის მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალი იყო (2.1 ბავშვი ქალზე). ნიდერლანდში, შობადობის მაჩვენებელი მაღალი რჩებოდა 1960-იან წლებამდე, მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო მკვეთრი კლება. მკვეთრად შემცირდა მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა და ორი შვილი გახდა ოჯახის იდეალური ზომა.

ასევე იზრდება უშვილო ოჯახების რიცხვი, რაც გამოწვეულია განათლების დონის ზრდით. უმაღლესი განათლების მქონე პირთა შორის უშვილოდ დარჩენის დიდი ალბათობაა.

რა ფაქტორებმა განაპირობა ნიდერლანდის შობადიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროპაში? შესაძლოა ეს იყოს მთავრობის კეთილდღეობის პოლიტიკა, მაგრამ ფართოდ მიღებული კულტურული ნორმები, როგორიცაა – ქალის როგორც დედისა და აღმზრდელის მხარდაჭერა უფრო მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არ არსებობს შობადობის გაზრდის სპეციალური პროგრამები, ჰოლანდიის მთავრობა მოსახლეობას სთავაზობს ისეთ ბენეფიტებს, რაც უადვილებს მათ ოჯახის შექმნასა და შვილების აღზრდას. ასე მაგალითად, ჰოლანდია ახალგაზრდებს სთავაზობს საკმაოდ ხელსაყრელ იპოთეკას და თანადაფინანსების პოლიტიკას, რათა მათ შეიძინონ სასურველი სახლი ან ისარგებლონ მათთვის ხელმისაწვდომი საჯარო საცხოვრებლით.

დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ნიდერლანდებს აქვს მოკლე 16-კვირიანი სრულად ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება. ეს შვებულება ეკუთვნის როგორც დედებს, ასევე მამებს. მთავრობა ასევე სთავაზობს ბავშვის შემწეობას. 2005 წელს შემოღებული იქნა ცენტრალიზებული ბავშვთა მოვლის აქტი, რომლის მიხედვით მთავრობა, დამსაქმებელი და ოჯახი იხდის ბავშვის მოვლის ხარჯების მესამედს თოთოეული. ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ნიდერლანდელი ბავშვები ძალიან ცოტა დროს ატარებენ სახელმწიფო ბავშვთა მოვლის დაწესებულებებში. ამგვარი დაწესებულებები ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ კვირაში განსაზღვრული შეზღუდული საათებით და ხშირად ბავშვებზე ზრუნვას ბებია-ბაბუები ეწევიან. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიურმა საზოგადოებამ განიცადა უკიდურესი სეკულარიზაცია და დღეს ევროპაში ითვლება სეკულარულ საზოგადოებად, გენდერული როლები ტრადიციული რჩება და ბევრ ოჯახში მამაკაცი არის მარჩენალი, ხოლო ქალი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში რესპონდენტთა უმეტესობა ემხრობა იმ აზრსს, რომ ქალები, მშობიარობის შემდგომ სრულ სამუშაო განაკვეთზე არ უნდა მუშაობდნენ. ნიდერლანდი მართლაც გამორჩეულია ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს დიდი წილით და დედები, როგორც

წესი, თავიანთ სამუშაო საათებს შვილების სკოლის დღის განრიგით გეგმავენ. 2005 წელს 61 პროცენტი ქალები და კაცების 15 პროცენტი ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა. მამაკაცები მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად სულ უფრო ხშირად იღებენ კვირაში ერთ დღეს ბავშვების მოსავლელად, რასაც „მამის დღე“ ეწოდება.

ნიდერლანდმა შეინარჩუნა არასრულ განაკვეთზე მუშაობის უფლება მრავალი წლის განმავლობაში და ნახევარ განაკვეთზე მომუშავეები სარგებლობენ იმავე შეღავათებით, როგორც სრულ განაკვეთზე მომუშავეები. ენიჭებათ იგივე შეღავათები – როგორიცაა ჯანდაცვის დაზღვევა და პენსიები.[10]

პირველი გაკვეთილი, რომელიც ნიდერლანდიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ, არის ის, რომ შობადობის ასამაღლებლად ორიენტირებული საოჯახო პოლიტიკა ყოველთვის არ არის აუცლელებლი, რომ ხელი შეეწყოს შობადობის ზრდას. ასევე მნიშვნელოვანია ძლიერი სოციალური ნორმები და ღირებულებები. მეორე გაკვეთილი არის ის, რომ მოქნილი შრომის ბაზარი, ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობით ქალებისთვის, ამკარად უწყობს ხელს შობადობის ზრდას.

დასკვნა

საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანა იმყოფება დემოგრაფიული გადასვლის გვიან ეტაპზე, რომელსაც ახასიათებს შობადობის მდგრადი შემცირება, ემიგრაციის ზრდა და მოსახლეობის დაბერება. ამასთან, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული სტატიაში, ეკონომიკური ფაქტორები მხოლოდ პრობლემის ნაწილია. არსებით გავლენას ახდენს სოციოკულტურული ცვლილებები, რომლებიც შეესაბამება მეორე დემოგრაფიული გადასვლის ლოგიკას: ღირებულებების ტრანსფორმაცია, ინდივიდუალიზმის ზრდა, გენდერული როლების ცვლილება და ოჯახის ტრადიციული მოდელის გადახედვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დემოგრაფიული პოლიტიკის გენდერულ განზომილებას. საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ შობადობის დონე უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც მიღწეულია ბალანსი ქალების პროფესიულ რეალიზაციასა და დედობას შორის. პარადოქსულია, მაგრამ გენდერული თანასწორობის მაღალი დონის მქონე ზოგ ქვეყანაში (საფრანგეთი, სკანდინავიის ქვეყნები, ნიდერლანდი) შობადობა უფრო

მაღალია, ვიდრე უფრო ტრადიციული მოდელის მქონე ქვეყნებში. ეს აიხსნება იმით, რომ სახელმწიფო პოლიტიკა იძლევა პროფესიული რეალიზაციისა და დედობის შეთავსების საშუალებას მოქნილი სამუშაო გრაფიკის, ორივე მშობლისთვის ბავშვის მოვლის შვებულებისა და სკოლამდელი მოვლის განვითრებული სისტემის მეშვეობით. შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს არა როგორც პირდაპირი ფინანსური სტიმულების სისტემა, არამედ როგორც კომპლექსური სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახისა და დასაქმების თავსებადობას. ამ კონტექსტში, ნიდერლანდების გამოცდილება გვიჩვენებს შრომის ბაზრის მოქნილობის, ნახევარ განაკვეთზე დასაქმების ინსტიტუციური მხარდაჭერის და ბავშვების აღზრდაში ორივე მშობლის თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობას. საქართველოსთვის დამატებით სტრუქტურულ გამოწვევას წარმოადგენს შრომისუნარიანი მოსახლეობის სელექციური ემიგრაცია, რაც იწვევს რეპროდუქციული პოტენციალის შემცირებას და ასაკობრივი სტრუქტურის დისბალანსის ფორმირებას. ეს აძლიერებს დემოგრაფიულ დატვირთვას და ქმნის გრძელვადიან რისკს საპენსიო სისტემისთვის, ჯანდაცვისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის. ანალიზის ცალკე მიმართულება დაკავშირებულია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან. უშვილო წყვილების რიცხვის ზრდა მოითხოვს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების პროგრამების ჩართვას სახელმწიფო დემოგრაფიული სტრატეგიის სისტემაში. ასეთი პროგრამების მხარდაჭერა უნდა განიხილებოდეს როგორც ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში და არა როგორც მეორეხარისხოვანი სოციალური ღონისძიება. მოცემული სტატიის სამეცნიერო მნიშვნელობა ისაა, რომ დემოგრაფიული პრობლემა განიხილება არა იზოლირებულად, არამედ ინტერდისციპლინარულ კონტექსტში – ეკონომიკის, სოციოლოგიის, გენდერული კვლევებისა და სახელმწიფო პოლიტიკის გადაკვეთაზე. ამავდროულად, შემდგომი კვლევები შეიძლება დაემატოს ახალგაზრდების დამოკიდებულებების ემპირიულ ანალიზს, რეგიონულ შედარებით მონაცემებსა და დემოგრაფიული განვითარების სხვადასხვა სცენარის პროგნოზირების მოდელირებას. მთლიანობაში, დემოგრაფიული კრიზისი უნდა აღვიქვათ არა როგორც მოკლევადიანი სოციალური პრობლემა, არამედ როგორც

საზოგადოების სტრუქტურული ტრანსფორმაცია. მისი დაძლევა მოითხოვს დემოგრაფიული პოლიტიკის გრძელვადიან ინსტიტუციონალიზაციას, უწყებათაშორისი კოორდინაციის მდგრად მექანიზმებსა და ახალი საზოგადოებრივი კულტურის ფორმირებას, რომელიც მხარს უჭერს ოჯახსა და სოციალურ სოლიდარობას. ამრიგად, დემოგრაფია ხდება სახელმწიფოს მომავლის საკვანძო ინდიკატორი. იმაზე, თუ რამდენად დროულად და სისტემურად იქნება მიღებული გადაწყვეტილებები დღეს, დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობა უახლოეს ათწლეულებში.

რეკომენდაციები:

ნიდერლანდის მაგალითი აჩვენებს, რომ დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის სახელმწიფომ შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგას:

- ოჯახების ფინანსური და სოციალური მხარდაჭერა, რაც შეამცირებს ოჯახის ფინანსურ ტვირთს ბავშვების აღზდაში;
- მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ფინანსური და სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება;
- დაბადების ხელშეწყობის პროგრამების დანერგვა, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც შობადობა დაბალია;
- მიგრაციის შემცირების მიზნით, შრომის ბაზრის გაუმჯობესება და სამუშაო ადგილების შექმნა;
- დაბრუნებული ემიგრანტებისთვის რეინტეგრაციის პროგრამების განვითარება;
- დასაქმების შესაძლებლობების შექმნა, განსაკუთრებით რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა; რეგიონებში, რათა შემცირდეს ურბანული მიგრაცია;
- განათლებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა;

- ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, რაც შეამცირებს ქალთა კარიერულ შეზღუდვებს და გაზრდის შობადობის მაჩვენებლებს;
- ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო სისტემის პოპულარიზაცია, რაც უზრუნველყოფს უფრო მეტი დროის დათმობას ოჯახისთვის მუშაობის შეწყვეტის გარეშე;
- გრძელვადიანი მოქნილი შვებულება ორივე მშობლისთვის;
- მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომი ბავშვთა მოვლის სერვისები, რაც გაამარტივებს მუშაობას და მშობლების მონაცვლეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაფრინდაშვილი, რ. – *„დემოგრაფიული აფეთქების მოგვარების მექანიზმები“*, თბილისი, სტუ „განათლება“, 2021, 114.
2. თარხნიშვილი ნინო – „შვილებზე მეოცნებე ქალებს სახელმწიფო ვერ ხედავს”, რადიო თავისუფლება, 2024 წლის 1 თებერვალი, https://publika.ge/article/ratom-ar-mravldeba-saqartvelos-mosakhleoba/.
3. საქართველოს მთავრობის N 262 დადგენილება, 2014 წლის 31 მარტი.
4. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, *„საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“,* Accessed November 12, 2025. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420?publication=0.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „მოსახლეობა“, Accessed November 12, 2025. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba.
6. Al Jazeera. “Why China Got Population Control Wrong, India Got It Right.” May 4, 2023. https://www.aljazeera.com/opinions/2023/5/4/why-china-got-population-control-wrong-india-got-it-right.
7. Our World in Data. “Population Growth.” Accessed November 12, 2025. https://ourworldindata.org/grapher/population.

8. United Nations. *Policy Brief No. 12: Fertility and Family Policies*. November 2015. https://www.un.org/development/desa/pd/sites/www.un.org.development.desa.pd/files/undp_egm_201511policy_brief_no._12.pdf.
9. Visual Capitalist. "Mapped: The Scale of China & India's Population." Accessed November 12, 2025. https://www.visualcapitalist.com/mapped-the-scale-of-china-indias-population.
10. World Bank. "Population, Total – Netherlands." Accessed November 12, 2025. https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?end=2023&locations=NL&start=1960&view=chart.

ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის (“TRIPP“) - მოლოდინი და რეალობა

პაპუნა ციმინტია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი
papunatsimintia@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0002-5158-8273
DOI: 10.52340/splogos.2026.01.21

აბსტრაქტი

სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესის თანმდევი გამოვლინებები, კერძოდ, ახალი საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების შექმნა. დაწვრილებით არის შეწავლილი და გაანალიზებული „ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის (“TRIPP”)”. აღნიშნულია მარშრუტის როგორც დადებითი მნიშვნელობა, ასევე ხელისშემშლელი ფაქტორები ადგილობრივი, ასევე გეოსტრატეგიული თვალსაზრისით. ნაშრომში ხაზგასმულია, საქრთველოზე გამავალი შუა დერეფნის მნიშვნელობის საერთაშორისო, სამეზობლო, ეკონომიკური და პოლიტიკური განზომილება. აღნიშნულია აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის და სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის მოსაზრებები, ტრამპის და შუა დერეფნების შესახებ. რომ ორივე მარშრუტის არსებობა ერთდროულად უფრო ეფექტური იქნება და რომ ტრამპის მარშრუტის ამოქმედება, რომელიც რამდენიმე წელიწადში შეიძლება განხორციელდეს, მხოლოდ შეავსებს შუა დერეფანს და მისი ალტერნატივა არ იქნება.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო წესრიგი, მშვიდობა, სტაბილურობა, გეოეკონომიკა, გეოსტრატეგია.

Trump's Roadmap for International Peace and Prosperity (TRIPP) - Expectations and Reality

Papuna Tsimintia
PhD Student in International Relations,
Georgian Technical University
papunatsimintia@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0002-5158-8273

Abstract

This research article presents the associated manifestations of the process of forming a new world order, in particular, the creation of new international transit corridors. It examines and analyzes the "Trump Route for International Peace and Prosperity (TRIPP)" in detail. It highlights both the positive significance of the route and the factors hindering it, both from a local and geostrategic perspective. The paper emphasizes the international, neighboring, economic, and political aspects of the Middle Corridor, which passes through Georgia. It also notes the opinions of Azerbaijani President Ilham Aliyev and Armenian Prime Minister Nikol Pashinyan on Trump and the Middle Corridor. It argues that the simultaneous existence of both routes will be more effective, and that the implementation of the Trump Route, which could be completed within a few years, will merely complement the Middle Corridor rather than serve as an alternative.

Keywords: World Order, Peace, Stability, Geoeconomics, Geostrategy.

კვლევის მეთოდები: გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობებში აპრობირებული კვლევის ძირითადი მეთოდები – ისტორიული, შედარებითი, ლოგიკური, სიტუაციური, სისტემური,კონტენტ-ანალიზი, შემთხვევის ანალიზი – “caze study”, პირველადი წყაროების კვლევის საკითხში, ოფიციალური დოკუმენტების, ანგარიშებისა და სამართლებრივი აქტების ანგარიში, ასევე ქართული და უცხოური ლიტერატურის შინაარსობრივი ანალიზი.

კვლევის თეორიული ჩარჩო: ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური რეალიზმის და ჰეგემონობის სტაბილურობის თეორიები. პოლიტიკური რეალიზმის ამოსავალი დებულება, სახელმწიფოს თვითგადარჩენა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებია, ნაშრომი ჰანს მორგენთაუს, კენეტ უოლცის, რობერტ გილპინის, ჯონ მერშაიმერის თეორიების კონტექსტშია გაანალიზებული.

სამეცნიერო სიახლე: ნაშრომის სიახლეა, არამარტო – ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის (“TRIPP”), ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სარგებელი სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისს საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილების დინამიკის გაანალიზება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თემაზე მრავალი სამეცნიერო კვლევა არსებობს, ამ კონკრეტულ პოლიტიკურ ეტაპზე, როდესაც ძველი წესრიგი ბოლომდე არ არის დაშლილი, ხოლო ახალი ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ჩვენს მიერ შექმნილ ნაშრომში გამოტანილი დასკვნები ნამდვილად უახლესი და საყურადღებოა.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში გლობალური ცვლილებები მიმდინარეობს. უნიპოლარული წესრიგი სულ უფრო სუსტდება და თანდათანობით მულტიპოლარული სისტემა ყალიბდება. ახალი მსოფლიო წესრიგი მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს, ძველი წესრიგი ახლით იცვლება. მსოფლიო დღეს ისეთ ფაზაშია, სადაც გეოპოლიტიკა უაღრესად აქტუალური გახდა, ჩნდება ახალი ძალის ცენტრები, ახალი სატრანზიტო მარშრუტები, ალტერნატიული დერეფნები.

დღეისათვის ძალთა ბალანსი, უსაფრთხოება, სტაბილურობა, პროგნოზირებადობა ყველაზე უფრო ძნელად მისაღწევი და დასაფასებელია. სახელმწიფოთა უმრავლესობა ცდილობს პრაგმატული ნაბიჯების გადადგმას, რათა, უპირველეს ყოვლისა, თავი გადაირჩინოს, ხოლო შემდგომ მწყობრი

პოლიტიკა და ეკონომიკა აწარმოოს. დღეს სამხრეთ კავკასია ყურადღების ეპიცენტრში მოექცა, როგორც დიდი ძალების კონკურენციის ეპიცენტრი.

ჩვენს სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილი საკითხი – ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის (“201CTRIPP”), გვინდა პოლიტიკური რეალიზმის ჭრილში განვიხილოთ. აღნიშნულ კონტექსტში შევაფასოთ ამ ახალი მარშრუტის ავკარგიანობა, მოლოდინი და რეალობა.

ძირითადი ტექსტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებმა საგარეო პოლიტიკაში სხვადასხვა გზა აირჩიეს – საქართველომ დასავლური ორიენტაცია აირჩია, სომხეთმა რუსული, აზერბაიჯანმა თურქული და უფრო მეტად მრავალვექტორული დიპლომატია. ახალმა მსოფლიო წესრიგმა თანდათანობით ასახვა ჰპოვა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებზეც, რომელმაც ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ვექტორის მიმართულებები შეცვალა.[265]

საკითხში სიღრმისეულად გარკვევის მიზნით, შევისწავლეთ უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა, დოკუმენტური მასალა, გავაანალიზეთ ექსპერტთა მოსაზრებები. აგრეთვე, თვალს ვადევნებთ დინამიკურად მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებს, სადაც იკვეთება, რომ დადებული შეთანხმებები სხვადასხვა მიზეზთა გამო ან ვერ ხორციელდება ან გადავადებას მოითხოვს. აღნიშნული საკითხი სპეციფიკურია ახალი წესრიგის ფორმირების პროცესისათვის, ყველაფერი საბოლოო სახეს წესრიგის ჩამოყალიბების შემდეგ მიიღებს. ასეთი განსაკუთრებული პროცესების გათვალისწინების საფუძველზე, წარმოვადგინეთ ჩვენი დასკვნები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, უაღესად მნიშვნელოვანია მშვიდობის შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 8 აგვისტოს, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა და

[265] **კიკნაძე თამარ** – „ინტერვიუ მედიასაშუალება „ჯორჯიან ტაიმსთან“, (31.03.2026);

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის შუამავლობის შედეგად, ხელი მოაწერეს შეთანხმებას გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების შესახებ, რითაც ამ ქვეყნებს შორის არსებული 35 წლიანი სამხედრო კონფლიქტი საბოლოოდ უნდა დასრულდეს.

მანამდე აზერბაიჯანი გამოთქვამდა სურვილს, რომ თავის ექსკლავ ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის გავლით თურქეთს დაუკავშირდებოდა – სომხეთის სასაზღვრო ზონის სიუნიქის გავლით. ილჰამ ალიევი, მას ზანგეზურის დერეფანს უწოდებდა და აცხადებდა, რომ სომხეთი თუ არ მიიღებდა ამ წინადადებას, მიზანს სამხედრო გზით მიაღწევდა, თუმცა, გამოჩნდა თუ არა ალტერნატივა, აზერბაიჯანმა პრაგმატულ პოლიტიკას მიმართა. აშშ-ის შუამავლობით სომხეთ-აზერბაიჯანს შორის გაფორმდა სამშვიდობო შეთანხმება და პროექტი, რომელიც ალიევის სასურველ ზანგეზურის დერეფნის ფუნქციას იტვირთებს და ერქმევა – ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის (“TRIPP“).[266]

2026 წლის 13 იანვარს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მარკო რუბიოსა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს არარატ მირზოიანს შორის გამართული მოლაპარაკების შემდეგ, გამოქვეყნდა სატრანზიტო დერეფანთან დაკავშირებული პირველი დეტალები.

ეს შეთანხმება, მისი სრულად ამოქმედების შემთხვევაში, ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, რაც დადებითად აისახება საქართველოზეც სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურ-პოლიტიკურ პრიზმაში. ოფიციალურად დადასტურებულია, რომ შეიქმნება სპეციალური კომპანია, რომელსაც სომხეთი გადასცემს კონტროლს სატრანზიტო გზაზე, რომელსაც, თავის მხრივ, გრძელვადიანი ექსკლუზიური უფლებებით გააკონტროლებს ამერიკის შეერთებული შტატები.

პროექტის აღსრულების გეგმის შესაბამისად, ამერიკულ-სომხური კომპანია მთელ შეთანხმებულ მონაკვეთზე ააშენებს რკინიგზას, სამანქანო გზას,

[266] **გოგავა გიორგი** – „ინტერვიუ მედიასაშუალება „ჯორჯიან ტაიმსთან“ (20.08.2025);

ენერგომომარაგების ხაზებს, ნავთობისა და გაზსადენებს, ელექტროგადამცემ ხაზებს, ინტერნეტკაბელებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას სატრანზიტო დერეფნისთვის. 49 წლის განმავლობაში, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი შემოსავლების მენეჯმენტზე. სატრანზიტო დერეფნის განვითარების კომპანიაში, დოკუმენტის თანახმად, აშშ-ს ექნება 74%-იანი წილი, ხოლო სომხეთს 26%-იანი. თუმცა, დოკუმენტის თანახმად, ამ ვადის გასვლის შემდეგ, შეთანხმება კიდევ 50 წლით გახანგრძლივდება და სომხეთის წილი კომპანიაში გაიზრდება 49%-მდე. სომხეთს ექნება საზღვარსა და საბაჟოზე სრული კონტროლი, მისი იურისდიქცია სასაზღვრო და საბაჟო ოპერაციებზე გავრცელდება. საბუთების პირველადი შეგროვება და შემოწმება, მგზავრებისა და ტვირთის სატრანზიტო გადასახადების, შემოსავლების აღრიცხვა მოხდება სახელმწიფოს მიერ დაქირავებული კერძო ოპერატორების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელზე ორიენტირებულ ხარისხიან და სწრაფ მომსახურებას. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ "TRIPP"-ი უტოლდება ზანგეზურის დერეფანს, რომელსაც ის 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომიდან მოყოლებული ითხოვდა.

"TRIPP"-ის მიზანია სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მულტიმოდალური, შეუფერხებელი სატრანზიტო კავშირის დამყარება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონულ მშვიდობას, სტაბილურობასა და ინტეგრაციას სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და იურისდიქციის პატივისცემის საფუძველზე. შეთანხმება განამტკიცებს, როგორც სომხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო კავშირებს, ასევე ერთმანეთთან დააკავშირებს აზერბაიჯანის ძირითად ნაწილს ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან და შექმნის ტრანსკასპიური სავაჭრო მარშრუტის სასიცოცხლო რგოლს.

შეთანხმების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების სურვილია, 2025 წლის 8 აგვისტოს ერთობლივი სამშვიდობო დეკლარაციის პროგრესის მიღწევა მდგრადი მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში, სავაჭრო კავშირის და ღია კომუნიკაციით რეგიონში მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის შექმნა, ტრანსკასპიის რეგიონში ბაზარზე წვდომის და კრიტიკული მიწოდების ჯაჭვების გაუმჯობესება.

სომხეთის მიზანი და სურვილია, მისი როგორც რეგიონული ეკონომიკური და სატრანზიტო ცენტრის როლის გაძლიერება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სომხეთის ინფრასტრუქტურაში, ვაჭრობის ხელშეწყობისა და თანამედროვე საზღვრების მართვის სფეროში ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება. ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება, სომხეთის რესპუბლიკისთვის მდგრადი შემოსავლების ნაკადების გენერირება, რეგიონული ინტეგრაციის და პროცესების ნორმალიზაციის ხელშეწყობა, სომხეთის ექსპორტის პოტენციალის გაზრდა-გაფართოება ახალ ბაზრებზე.

ეკონომიკურ სარგებელს რაც შეეხება, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ეს იქნება ინვესტიციების, ბიზნესისა და საქონლისათვის ახალი ბაზრების გახსნა, რეგიონის მასშტაბით ვაჭრობისთვის. იშვიათი ლითონების, კრიტიკული მინერალებისა და სხვა ნედლეულის ამერიკულ ბაზრებზე მოსახვედრად კავშირის უზრუნველყოფა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირსა და აზიას შორის სავაჭრო მარშრუტების ვარიანტების გაზრდა, რაც, მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, ხელს შეუწყობს ადამიანებისა და ტვირთნაკადის მიმოსვლას რეგიონებს შორის.

სომხეთის რესპუბლიკისათვის და სომეხი ხალხისთვის “TRIPP“-ი სერიოზულ სარგებელს და შესაძლებლობებს მოიტანს, როგორიცაა მნიშვნელოვანი საბიუჯეტო შემოსავლები, სომეხი მოქალაქეების დასაქმება მაღალანაზღაურებად სამსახურებში, საერთაშორისო ტრენინგების გზით, სამუშაო ძალის უნარის და ცოდნის განვითარება, ერთობლივი საწარმოები – სომხურ და საერთაშორისო ფირმებს შორის ტექნოლოგიების გადაცემის შესაძლებლობები – სომხური ბიზნესის შესაძლებლობების განვითარება.

დერეფნები, იქნება ეს სატრანსპორტო თუ ენერგეტიკული, ხელშეუხებელია ომებისა და კონფლიქტების მიუხედავად, ეს დაუწერელი წესია სახელმწიფოებს შორის, თუმცა, რუსეთ-უკრაინის ომისას, მას შემდეგ რაც აფეთქებულ იქნა „ჩრდილოეთის ნაკადის“ ორი მილი, ანტირუსული სანქციების გამო, ჩინეთიდან ევროპაში რუსეთის გავლით „ჩრდილოეთის მარშრუტმა“ ადგილი დაუთმო შუა დერეფანს – მარშრუტს ჩინეთიდან (ლიანიუნგანგის პორტიდან სიანის გავლით

ურუმჩიმდე) – ყაზახეთის გავლით (ხორგოსის და დოსტიკის მშრალი პორტებიდან აქტაუსა და კურიკის პორტებამდე) – აზერბაიჯანსა (ალიატის პორტი) – და საქართველომდე (თბილისი), შემდეგ ფოთის პორტამდე და შავი ზღვის გავლით, ევროპის სიღრმეში (რუმინეთისა და ბულგარეთის პორტებში კონსტანცა, ბურგასი და ვარნა), ან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის რკინიგზით თურქეთში – (ყარსი, იზმირი, მერსინი, ჩერქეზკოი) და ხმელთაშუა ზღვით, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გავლით, ევროპაში.

არსებობს მოსაზრება, რომ თუ დიდი აბრეშუმის ქვეყნები ზანგეზურის (“TRIPP“) დერეფნის სასარგებლოდ საქართველოს გზის გამოყენებაზე უარს იტყვიან, ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტები დაცარიელდება, საქართველო სატრანზიტო მონოპოლიას დაკარგავს და სატრანსპორტო ჰაბის ფუნქცია აზერბაიჯანს და სომხეთს გადაეცემა.

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, მსოფლიო დღეს ბევრი გამოწვევის წინაშეა და გამონაკლისი არც სამხრეთ კავკასიაა. რეგიონისთვის სატრანსპორტო დერეფნები, არა მხოლოდ ლოგისტიკური მარშრუტებია, არამედ პოლიტიკურ-სტრატეგიული გავლენის ინსტრუმენტი. იგივე შეიძლება ითქვას ზანგეზურის დერეფანზეც, რომელიც, შესაძლოა, საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო არტერიების ერთგვარ კონკურენტად ჩამოყალიბდეს და ქვეყანამ აზია-ევროპის დამაკავშირებელი უალტერნატივო ხიდის სტატუსიც დაკარგოს. ბუნებრივია, ეს საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზეც უარყოფითად აისახება და ქვეყანა ნაკლებ ფინანსურ და მატერიალურ სარგებელს მიიღებს. პირველ რიგში, ქართულ პორტებს და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას მოაკლდება დასავლეთისათვის განკუთვნილი სომხური ტვირთები, შემცირდება ასევე რუსეთისა და ცენტრალური აზიისათვის განკუთვნილი ტვირთებიც. იგივე შეიძლება ითქვას ჩინეთიდან, ცენტრალური აზიიდან და აზერბაიჯანიდან დასავლეთის მიმართულებით წამოსულ ტვირთზეც.

მარტივად რომ ვთქვათ, შემცირებული ეკონომიკური სარგებელი, კონკურენციის ზრდა და გეოპოლიტიკური წონის დაკარგვა – ეს ის სურათია, რაც, შესაძლოა, ჩვენს ქვეყანას დაუდგეს. ამ შემთხვევაში ქვეყნის მთავარი ამოცანა უნდა

იყოს – შუა დერეფნის გაძლიერება, ანაკლიის პროექტის განხორციელება, შიდა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებული მუშაობა, რათა საქართველო დარჩეს არა ალტერნატიული, არამედ ცენტრალური რგოლი რეგიონის სატრანსპორტო სისტემაში.

სასურველია, განვითარებულ მოვლენებს დიდ სურათში შევხედოთ. კერძოდ, ჩინეთიდან საქართველოს ნავსადგურებში ტვირთების გადაზიდვებს. ჩვენი შუა დერეფანია და გარკვეულწილად, თუ ამ ჭრილში შევხედავთ „ტრამპის მარშრუტი“ შემავსებელია, მაგრამ თუ კონკრეტულად აზერბაიჯანიდან ჩვენს პორტებამდე შევხედავთ – ის კონკურენტია. კონკურენციით, თუ რა მოცულობის ტვირთს წაიღებს შუა დერეფნიდან ზანგეზურის დერეფანი, კვლევა ესაჭიროება, მაგრამ დღეს უკვე ცხადია, რომ სომხეთის ტერიტორიაზე დერეფნების დებლოკირების საკითხი მნიშვნელოვნად აამოქმედებს იმ საწარმოებს, რომლებიც აზერბაიჯან-სომხეთის დაპირისპირების შედეგად გაჩერებული იყო. ეს არის, პირველ რიგში, ლითონის მომპოვებელი საბადოები, ეს მცირე რაოდენობებია, რაც ჩინეთისაკენ უნდა წავიდეს. მაგალითად, ზანგეზურის მოლიბდენის კომბინატი არსებობს, რომელიც ზანგეზურის დერეფნის თავზეა განლაგებული. დღეს ეს კომბინატი მუშაობს, მაგრამ თავისი ტვირთი მოაქვს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში და იქიდან ჩინეთში მიდის. ამ კომბინატს სომხეთის მშპ-ში 7% უკავია. გარდა ამისა, დაახლოებით ანალოგიური 5 კომბინატია მხოლოდ სომხეთის ტერიტორიაზე, რომლებიც დერეფნების დებლოკირებას უცდიან. ამ კომბინატებიდან ტვირთი ჩინეთისაკენ უნდა მიიმართოს და საქართველოს ნავსადგურებიდან კი არ წამოვა, არამედ პირდაპირ ზანგეზურის დერეფნის გამოყენებით წავა. აქედან გამომდინარე, ამ მოკლე სეგმენტში საკითხს რომ სრულყოფილად ვუპასუხოთ – აზერბაიჯანიდან საქართველოს ნავსადგურებამდე, ზანგეზურისა და შუა დერეფნის საქართველოზე გამავალი ეს მონაკვეთი, უდავოდ კონკურენტები არიან. **თუმცა, აზია-ევროპას შორის ტვირთნაკადის მოძრაობა იმდენად მასშტაბური იქნება, რომ ზანგეზური და შუა დერეფანი შეიძლება განვიხილოთ ერთი საერთო, დიდი დერეფნის ორ განშტოებად.** სწორედ ამას მოწმობს სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის, სხვადასხვა პასუხისმგებელ პირთა და ექსპერტთა მოსაზრებები.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის განცხადებით, რომელმაც „აბრეშუმის გზის ფორუმის“ გახსნით პანელზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა, ტვირთების ტრანზიტისთვის რკინიგზა რეკონსტრუქციას საჭიროებს (რეკონსტრუქციას 3-4 წელი დასჭირდება პ. ც.), თუმცა, ეს საკითხი უახლოეს მომავალში გადაიჭრება. აზერბაიჯანი უკვე ხსნის შეზღუდვას, თავისი ტერიტორიის გავლით სომხეთის მიმართულებით საქონლის ბრუნვაზე, ეს თვეების წინ ყველას წარმოუდგენლად მიაჩნდა. ყაზახეთიდან საქონელი საქართველოს გავლით შემოდიოდა. სომხეთის რესპუბლიკა იმუშავებს აშშ-ის მთავრობასთან და მესამე მხარესთან იმისთვის, რომ ტრამპის მარშრუტი იქცეს რეალობად მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის, უზრუნველყოფილი იყოს სომხეთის ტერიტორიაზე დაკავშირებადობის უნარის ზრდა.

გაზვიადების გარეშე შეიძლება დადასტურება იმისა, რომ არამარტო პოლიტიკურად, არამედ ტექნიკურად სომხეთი მზადაა იმისთვის, რომ დღეიდან ტვირთი გატარდეს სომხეთის გავლით თურქეთისკენ, სახმელეთო და სასაზღვრო გზის მეშვეობით, თუმცა, სარკინიგზო ინფრასტრუქტურით, მისი უქონლობის გამო, სომხეთი ჯერ მზად არაა, მაგრამ პოლიტიკური სამზადისი არსებობს უზრუნველყოფილ იქნას სარკინიგზო ტრანზიტი ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანის ძირითადი ტერიტორიიდან. რკინიგზა ამ ფრაგმენტებში რეკონსტრუქციას საჭიროებს. ეს ტექნიკური საკითხები მოგვარდება 2-3 წლის განმავლობაში და ელექტროენერგიის ქსელიც აზერბაიჯანიდან სომხეთის ტერიტორიაზე ნახიჩევანის გავლით გაიგზავნება. ეს საგზაო და ელექტრონული ინფრასტრუქტურა სამმხრივი პროექტის ფარგლებში განვითარდება, რომელიც უკვე დიალოგის საგნად იქცა, ორივე სახელმწიფო მუშაობს იმაზე, რომ მშვიდობა აზერბაიჯანთან უფრო მეტად ინსტიტუციონალურ დონეზე გადავიდეს და ეს შეთანხმება უფრო ხელშესახები გახდეს, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები განვითარდეს და გამოსწორდეს. ეს ვაშინგტონში იქნა ინიცირებული. ამის პარალელურად, გაიხსნება ყველა სატრანსპორტო მარშრუტი ერთი მეორის მიყოლებით, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონს ისტორიულ ცვლილებას მოუტანს.

ორმაგად საინტერესოა სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის განცხადება, საქართველოსთან მიმართებით, შუა დერეფნის შესახებ – ,,მე რეგიონში სატრანსპორტო დერეფნებს შორის კონკურენციის შესახებ კომენტარებს გავეცანი, არ ვეთანხმები ამ კომენტარებს და მიმაჩნია, რომ ეს კონკურენტული მარშრუტები არ არის. ისინი ერთი მეორის შემავსებელი მარშრუტებია, რაც სამხრეთ კავკასიის პოტენციალს კიდევ უფრო მეტად ზრდის. ვაშინგტონში მიღებული დეკლარაციის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, შავი ზღვის რკინიგზაც გაიხსნება და სატრანზიტო პოტენციალს გაზრდის არამხოლოდ სომხეთის, არამედ საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართულებითაც. ეს სამშვიდობო დიალოგი, რომელიც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დამყარდა, ის პროექტია, რომელიც სამეზობლო ურთიერთობებს დაამყარებს საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის და სამხრეთ კავკასიას დასავლეთის მიმართულებით ყველაზე მიმზიდველ მარშრუტად გადააქცევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურა ამ ქვეყნების ტერიტორიებზე გაიზრდება, განვითარდება და დაიტვირთება. იმასაც ვიტყვი, რომ ეს არ იქნება საკმარისი იმ საერთაშორისო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელიც უკვე აშკარაა. **ეს ის ურთიერთობაა, რომელიც ჩვენ – საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა უნდა განვავითაროთ და კაპიტალად ვაქციოთ, იმისთვის, რომ ჩვენს რეგიონს მუდმივი სტაბილურობა ჰქონდეს“.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის მოლოდინით, ჩინეთიდან და ცენტრალური აზიიდან ტვირთი ზანგეზურის დერეფანზეც გაივლის. ამის შესახებ მან აზერბაიჯანულ ტელეარხებთან ინტერვიუში არაერთხელ განაცხადა: „რა თქმა უნდა, ჩვენ ველით, რომ გარკვეული ტვირთი ჩინეთიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ზანგეზურის დერეფნითაც გაივლის. ჩვენ მას, ბუნებრივია, განვიხილავთ, პირველ რიგში, როგორც ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დამაკავშირებელ გზას, მაგრამ ასევე, როგორც **საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანს**.“ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აღნიშნა – ,,დღეს აზერბაიჯანიდან დასავლეთის მიმართულებით ერთი სარკინიგზო ხაზი არსებობს – იქნება ორი. ორი ყოველთვის სჯობს ერთს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ გაქვს გასასვლელი ღია ოკეანეში და გიწევს მეზობელი ქვეყნების გავლა. ყოველთვის უკეთესია გქონდეს ალტერნატივა მოცულობისათვის, კონკურენტუნარიანობისთვის,

იმისთვის, რომ არავინ მოახდინოს სატრანზიტო მარშრუტის მონოპოლიზება და იმისთვის რომ, ბუნებრივია, იყოს უფრო კონკურენტუნარიანი სატარიფო პირობები. ეს ჩვენი ურთიერთქმედების ძალიან დიდი სექტორია და ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის აქ, ამ რეგიონში, აზერბაიჯანი ვფიქრობ პრიორიტეტული პარტნიორია, როგორც საქონელბრუნვის მოცულობის, ასევე პოტენციალის თვალსაზრისით და თუ შეიძლება ასე ითქვას, სამხრეთ კავკასიიდან შემდგომი მიმართულებებით, ნაკადის გამანაწილებელი ქვეყნის თვალსაზრისით და ეს ნაკადები შეიძლება წავიდეს, როგორც ყველამ ვიცით, მრავალი მიმართულებით. აქედან **ორი მიმართულებით დასავლეთით, შემდეგ კი ორი მიმართულებით** კვლავ ზანგეზურის დერეფნის გავლით სამხრეთით, ახლო აღმოსავლეთის სპარსეთის ყურისკენ და, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთის მიმართულებაც სრულად იქნება გამოყენებული.“

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ,,აზერბაიჯანმა უნდა შეასრულოს ფასილიტატორის, ტვირთნაკადის ზრდის ხელშემწყობი ქვეყნის, საკუთარი და **მეზობელი ქვეყნების ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განმახორციელებელი ქვეყნისა და ნაკადების გამანაწილებლის როლი, რა თქმა უნდა, კომერციული მიზანშეწონილობისა და მრავალი სხვა ფაქტორიდან გამომდინარე. ამიტომ აზერბაიჯანის, როგორც სატრანსპორტო ცენტრის როლი, რომელსაც ღია ზღვაზე გასასვლელი არ აქვს, ბუნებრივია გაიზრდება, „შუა დერეფნის“ განვითარება და ახალი საერთაშორისო მარშრუტის ჩამოყალიბება ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს**. როგორც ირკვევა, საწყის ეტაპზე გამტარუნარიანობა წლიურად 15 მილიონ ტონა ტვირთს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ აზერბაიჯანული მხარე ტვირთბრუნვის მოცულობის კიდევ უფრო გაზრდას არ გამორიცხავს.“

ალიევმა აღნიშნა, რომ ,,აზერბაიჯანისთვის პრიორიტეტს რეგიონი და უახლოესი მეზობლები წარმოადგენენ და ძალიან მოხარულია, რომ დამოუკიდებლობის წლებში, აზერბაიჯანმა შეძლო ძალიან მჭიდრო სამუშაო ურთიერთობების დამყარება, თავის ყველა მეზობელთან, რა თქმა უნდა, სომხეთის გარდა – ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო. მას შემდეგ, რაც დე ფაქტო

მშვიდობა დამყარდა, ჩვენ ასევე დავიწყეთ ეკონომიკური თანამშრომლობა და საექსპორტო ოპერაციები.“

პროექტი მნიშვნელოვანია თურქეთისთვისაც. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში უკვე დაიწყო მნიშვნელოვანი სარკინიგზო ინფრასტრუქტურის პროექტი, რომლის ღირებულება 2.4 მილიარდი ევროა და მისი დასრულება 2030 წლისთვის იგეგმება.

ყარსი-იღდირი-არალი-დილუჩუს რკინიგზის ხაზი, პირდაპირ დაკავშირებულია ზანგეზურის დერეფანთან. 224 კილომეტრიან მონაკვეთს წლიურად 5.5 მილიონი მგზავრისა და 15 მილიონი ტონა ტვირთის გატარების შესაძლებლობა ექნება და მოიცავს 5 გვირაბს, 19 ნახევარგვირაბს, 10 ხიდს, 144 სარკინიგზო გვირაბს, 27 გადასასვლელსა და 480 მილსადენს.

ქვეყნის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა განაცხადა, რომ პროექტი გააძლიერებს თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას და მშვიდობასა და სტაბილურობას უზრუნველყოფს სამხრეთ კავკასიაში. თურქეთი დიდ როლს ასრულებს შუა დერეფანში ისეთი მეგაპროექტების მეშვეობით, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზი, ევრაზიის გვირაბი და სულთან სელიმ იავუზის ხიდი. რაც შეეხება ზანგეზურის დერეფანს, მინისტრმა აღნიშნა, რომ პროექტი ჩინეთიდან დიდ ბრიტანეთამდე საერთაშორისო სავაჭრო გზას უფრო ეფექტურს გახდის.

რაც შეეხება რუსეთისა და ირანის განწყობას, მათი პოზიცია საწინააღმდეგოა ზანგეზურის დერეფნის ამოქმედებასთან მიმართებაში. ირანი დაჟინებით ამტკიცებს, რომ სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების შესაბამისად იმოქმედებს, რუსეთთან ერთად ან მის გარეშე. მათი აზრით, რუსეთიც ასევე სტრატეგიულად ეწინააღმდეგება ამ დერეფანს, აღნიშნული დერეფანი არა ჩვეულებრივი სავაჭრო მარშრუტი, არამედ პოლიტიკური შეთქმულებაა ირანისა და სხვა მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. თურქეთის გარდა, რომელიც ნატოს წევრია, ნატოს სხვა ქვეყნებსაც სურთ ამ რეგიონში წარმომადგენლობა. ნატოს სურს შემოაღწიოს ირანსა და რუსეთს შორის, მაგრამ ირანი ამას არ დაუშვებს – განაცხადა ირანის უზენაესი ლიდერის მთავარმა მრჩეველმა, ალი აკბარ ველაიათიმ და ამით გამოხატა ირანის დღევანდელი ხელისუფლების მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება იმასთან

დაკავშირებით, რომ 42 კმ-იანმა ზანგეზურის სატრანსპორტო დერეფანმა (რომელმაც უკვე მიიღო ახალი არაოფიციალური სახელწოდება „ტრამპის დერეფანი“), სომხეთის სიუნიქის რაიონზე გავლით, აზერბაიჯანი თავის ანკლავ ნახიჩევანს უნდა დააკავშიროს.

ირანის ხელისუფლების კატეგორიული წინააღმდეგობა რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული:

პირველი – „ტრამპის დერეფანი“, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით გაივლის აზერბაიჯანსა და ნახიჩევანს შორის, გადაკვეთს ირანიდან სომხეთში მიმავალ სამხრეთ-ჩრდილოეთის გზას, რაც ადრე თუ გვიან გამოიწვევს დიდ პრობლემებს ირანისთვის, თუკი „ტრამპის დერეფნის“ ფუნქციონირება და უსაფრთხოების დაცვა, მართლაც ამერიკულ ფირმებს ჩაბარდებათ 99 წლის ვადით.

მეორე – „ტრამპის დერეფანი“ მხოლოდ აზერბაიჯანს როდი შეაერთებს მის ანკლავ ნახიჩევანთან. ნახიჩევანამდე, თურქეთიდან მიდის სულ რაღაც სამიოდე კმ-ის სიგანის დერეფანი, **სომხეთ-ირანის** საზღვრებს შორის და თუკი გაიხსნება „ტრამპის დერეფანი“, შესაბამისად ამოქმედდება თურქეთიდან პირდაპირი კავშირი მის მოძმე აზერბაიჯანამდე და შემდგომ კი ცენტრალური აზიის თურქულეროვან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებამდეც (პირველ რიგში, იგულისხმება თურქმენეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი). ეს კი, თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის მთავარი მიზანია – თავის სიცოცხლეშივე მოასწროს „დიდი ოსმალეთის იმპერიის“ აღდგენის დაწყება, რაც ბუნებრივია არანაირად არ აწყობთ იმ თეირანში, რომელსაც ასევე მოსვენებას არ აძლევს „დიდი სპარსეთის“ ისტორიული მოგონებები.

მესამე – ირანის დღევანდელი ხელისუფლება უფრთხის „ტრამპის ამერიკასთან“ აზერბაიჯანისა და სომხეთის დაახლოებას, რამაც შესაძლოა შემდეგომში გამოიწვიოს ამერიკული სამხედრო ბაზების გამოჩენა ირანის უშუალო მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე, რაც ირანს გაუჩენს ისრაელ-ამერიკის ერთობლივი ძალებით ჩრდილოეთის მხრიდან – სამხრეთ კავკასიიდან სავარაუდო შეტევების საფრთხესაც, მითუმეტეს, ისრაელ-აზერბაიჯანის დაბალანსებული ურთიერთობის ფონზე.

რაც შეეხება რუსეთის რეაქციას, სამხრეთ კავკასიაში „ტრამპის დერეფნის“ შესაძლო ამოქმედებასთან დაკავშირებით, ის ჯერ მოზომილი გახლდათ და არ შეიცავდა ირანის მსგავს ღია მუქარას. პუტინი თავად იყო ერთ-ერთი ინიციატორი ზანგეზურის დერეფნის ამოქმედებისა, რათა რუსული ტვირთების ტრანზიტი განეხორციელებინა აზერბაიჯანის რკინიგზის საშუალებით, თურქეთის ხმელთაშუა ზღვის პორტებისაკენ. ოღონდ, კრემლის მოთხოვნით, ზანგეზურის დერეფნის კონტროლი აუცილებლად უნდა ჩაბარებოდა, სომხეთში ოფიციალურად მოქმედ რუს მესაზღვრეებს, რომლებიც რუსეთის „ეფ-ეს-ბეს“ ექვემდებარებიან, „ტრამპის დერეფანში“ კი, რუს მესაზღვრეებსა და „ეფ-ეს-ბე“-ს თანამშრომლებს არავინ ელოდება. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ადრე თუ გვიან მოსკოვიც, თეირანის მსგავსად „ტრამპის დერეფნის“ ამოქმედების წინააღმდეგი წავა, თუმცა, ირან-აშშ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების შემდეგ, ადვილი სავარაუდოა, რომ „ტრამპის დერეფანი“ ამოქმედდება, ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ის სრული სიმძლავრით ექსპლოატაციაში დაახლოებით 2030 წლიდან შევა და იფუნქციონირებს საქართველოზე გამავალ „შუა დერეფანთან“ ერთად. საქართველოს „ზანგეზურის დერეფნის“ ამოქმედების შედეგად ტვირთნაკადების გაყოფას საშიშროება უახლოეს 5 წელიწადში არ ემუქრება.

ამ ერთგვარი სკეპტიციზმის მიუხედავად, ფაქტია, რომ საქართველოსა და მასზე გამავალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მიმართ ინტერესი არ განელებულა. ამას ადასტურებს სტატისტიკაც, 2025 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში, „შუა დერეფანზე“ ჩინეთიდან და, პირიქით, ჩინეთისკენ საქართველოს გავლით გადაზიდულმა კონტეინერების რაოდენობამ 9,849 “TEU“-ს მიაღწია, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 173%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

ამავდროულად ბაქოში, საქართველოს, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის რკინიგზის წარმომადგენლებს შორის, 2025 წლის 19-20 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა, სადაც ერთობლივი საწარმოს “Middle Corridor Multimodal Ltd“ საქმიანობის დეტალები და მასში ჩინეთის “China Railway Container Transport Corp Ltd“-ის თანამონაწილეობა გადაწყდა. აზერბაიჯანულმა მედიამ დაწერა, რომ

მხარეები უკვე განიხილავენ სარკინიგზო გადაზიდვებისა და ლოგისტიკური თანამშრომლობის გაფართოებას, მათ შორის შუა დერეფნის ფარგლებში. ეს გაფართოება კი ხელს შეუწყობს ტრანზიტის მოცულობისა და ტვირთბრუნვის ზრდას, ასევე იმსჯელეს, მარშრუტის კონკურენტუნარიანობაზე, შუა დერეფნის სამხრეთი ფრთის განვითარებასა და ჩინეთი-ცენტრალური აზია-ევროპის სწრაფ და უსაფრთხო სატვირთო გადაზიდვებზე.

საყურადღებო გზავნილია ისიც, რომ 2025 წლის 18 ნოემბერს, საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი ჯონათან ასკონასი, რათა განეხილა, თუ როგორ შეეძლო საქართველოს მხარი დაეჭირა „მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის ტრამპის საერთაშორისო მარშრუტისთვის“ (“TRIPP“ No. 741, 42-კილომეტრიანი ზანგეზურის დერეფანი, რომელიც ამერიკულ კომპანიას 99 წლით სამართავად გადაეცა). საქართველოს მთავრობაში გამართული შეხვედრების გარდა, ჯონათან ასკონასმა საქართველო-სომხეთის საზღვარზე მდებარე „სადახლო-ბაგრატაშენის“ სასაზღვრო გამშვები პუნქტი მოინახულა, რომელიც აშშ-ის ფულადი დახმარებით აშენდა.

2025 წლის 21 ნოემბერს, საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ალან პერსელმა, შავი ზღვის პლატფორმის ფარგლებში გამართულ კონფერენციაზე, შუა დერეფნის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოს და მთელი რეგიონის მხარდაჭერას კონკრეტული ინვესტიციებით. მათ შორის „ფოთის ახალი საზღვაო პორტის“ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილიც ივარაუდა. ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ინიციატივა „ტრამპის საერთაშორისო მარშრუტი მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის (“TRIPP“), რომელიც შემუშავებულია აშშ-ის შუამავლობით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, კიდევ უფრო გააძლიერებს შავი ზღვის რეგიონს.“

ზანგეზურის სარკინიგზო დერეფნის იდეა, არ არის ახალი ამ თვალსაზრისით, რადგან იგი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის დამაკავშირებელი გზა იყო. „ზანგეზურის დერეფანი გეოგრაფიით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მსგავსია და ამ დერეფნის 80%-ზე მეტი ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლაა. იქ

ინფრასტრუქტურა საბჭოთა პერიოდიდან შენარჩუნებულია და მცირედ განახლებას საჭიროებს, სწორედ ამიტომ ეს აძლევს ბევრს იმის თქმის საშუალებას, რომ ზანგეზურის დერეფანი ადვილად განსახორციელებელია, ბევრი დრო და თანხები საჭირო არ იქნება. შუა დერეფნის ალტერნატივად ზანგეზურის დერეფნის წარმოსახვა რთულად წარმოსადგენია, ჩინურ-რუსული ვაჭრობის სტრუქტურული მექანიზმებისა და ლოგისტიკის თვალსაზრისით, და დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ ასეთი, ზღვა ტვირთის მხოლოდ ზანგეზურის დერეფანში შეუფერხებლად გატარება რეალურად შეუძლებელია.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ახლი მსოფლიო წესრიგის ფორმირება რთული და მრავალგანზომილებიანი პროცესია, სადაც გასათვალისწინებელია გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ფაქტორები. ინტერესთა დამთხვევის გარეშე, ვერცერთი პროექტი ვერ განხორციელდება. ,,ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის (“TRIPP”) შეიძლება მოკლე ვადებში ვერ ამოქმედდეს, შეიძლება საერთოდ ვერ ამოქმედდეს, (აშშ-ისრაელ-ირანის მიმდინარე ომის შედეგების გათვალისწინებით) მაგრამ რომც ამოქმედდეს ის ნამდვილად ვერ იქცევა შუა დერეფნის ალტერნატივად, არამედ შემავსებელი სატრანზიტო დერეფანი იქნება, რომელიც კიდევ უფრო მეტად დააკავშირებს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს. ,,ტრამპის მარშრუტი“ და შუა დერეფანი შეიძლება განვიხილოთ ერთი საერთო, დიდი დერეფნის ორ განშტოებად. ამ ეტაპზე, საქართველოს როლი საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო და უფრო იზრდება, ქვეყანაში ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის გათვალისწინების ფონზე. მეზობელი სახელმწიფოების ლიდერების დამოკიდებულება საქართველოსადმი პოზიტიურია, რასაც ადასტურებს უკანასკნელ პერიოდში სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების უმაღლეს ხელისუფალთა ვიზიტები საქართველოში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ამოცანა უნდა იყოს – შუა დერეფნის გაძლიერება, ანაკლიის პროექტის განხორციელება, ინვესტიციების მოზიდვა, შიდა

ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებული მუშაობა, რათა საქართველო ცენტრალურ რგოლად გარდაიქმნეს რეგიონის სატრანსპორტო სისტემაში, მით უმეტეს რომ ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად მზად არის, მაშინ როდესაც ,,ტრამპის მარშრუტის“ ასამოქმედებლად მინიმუმ რამდენიმე წელია საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კიკნაძე თამარ** – „ინტერვიუ მედიასაშუალება „ჯორჯიან ტაიმსთან“, (31.03.2026);
2. **კიკნაძე თამარ** – „ინტერვიუ მედიასაშუალება „ჯორჯიან ტაიმსთან“ (07.04.2026);
3. **გოგავა გიორგი** – „ინტერვიუ მედიასაშუალება „ჯორჯიან ტაიმსთან“ (20.08.2025);
4. **ყიფიანი მაია –** ,,მსოფლიო ახალი წესრიგის ფორმირების კონტექსტში“, სამეცნიერო ჟურნალი ,,თემიდა“**,** თბ. 2024;
5. **ხიდირბეგიშვილი არნო –** „ჩამოდით ზანგეზურში“, საინფორმაციო სააგენტო საქინფორმი (25.11.2025);
6. **ცაგარეიშვილი პაატა** მედიასაშუალება ინტერპრესნიუსი – „სომხეთის
7. ტერიტორიაზე სატრანსპორტო დერეფნების დებლოკირებით, მეზობელი ქვეყანა სატრანზიტო სტატუსს შეიძენს“ (15.12.2025);
8. მედიაგამომცემლობა – „კვირის პალიტრა“ (10.08.2025);
9. მედიაგამომცემლობა – „ბათუმელები“, ინტერვიუ პაატა ცაგარეიშვილთან (14.08.2025);
10. მედიასაშუალება „რეალპოლიტიკა“ – აშშ-მა სომხეთსა და აზერბაიჯანს ზანგეზურის დერეფნის მართვა შესთავაზა (14.07.2025);
11. გაზეთი რეზონანსი „ახალი რეალობა და „ტრამპის მარშრუტი“, როგორ აისახება ეს საქართველოზე“ (09.08.2025);
12. მედიაგამოცემა „კომერსანტი“ – „პერსპექტივა, რისკი თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის“ (16.11.25);

13. **Atlantic council** -How Trump's 'TRIPP' triumph can advance US interests in the South Caucasus (20.01.2026);

14. **Morgenthau Hans**, Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace, revised by Kenneth Thompson (New York: McGraw-Hill, Sixth Edition, 1985);

15. **Mathisen Trygve**, The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers (Oslo: Universitetsvorlaget, 1971).

ციფრული დიპლომატიის როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში: შესაძლებლობები და გამოწვევები

ალეკო ქურიძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

aleko.kuridze9@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0002-2325-3679

თამარ დარჩია

ასოცირებული პროფესორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

darchiatamari07@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-6988-288

DOI: 10.52340/splogos.2026.01.22

აბსტრაქტი

ციფრული დიპლომატია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის ინტენსიურმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სახელმწიფოთა შორის კომუნიკაციის ფორმები, დიპლომატიური პრაქტიკა და საგარეო პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები. ნაშრომის მიზანია ციფრული დიპლომატიის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი, მისი გავლენის შეფასება საერთაშორისო პოლიტიკაზე და იმ ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც თან ახლავს მის განვითარებას.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, აკადემიური ლიტერატურის ანალიზს, თეორიულ მიდგომებსა და პრაქტიკული მაგალითების განხილვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომუნიკაციის სისწრაფეს, საზოგადოების ჩართულობას, გამჭვირვალობის ზრდასა და „რბილი ძალის“ გაძლიერებას.

ამავდროულად, განხილულია დეზინფორმაცია, კიბერუსაფრთხოების არერთი საფრთხე და ზედაპირული კომუნიკაციის რისკი.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ციფრული დიპლომატია ორმხრივი ფენომენია, რომელიც ერთდროულად ქმნის სხვადასხვა შესაძლებლობასაც და რისკსაც. მისი ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს სტრატეგიულ მართვას, ინსტიტუციურ მდგრადობასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: ციფრული დიპლომატია, საერთაშორისო ურთიერთობები, სოციალური მედია, კიბერუსაფრთხოება, დეზინფორმაცია.

The Role of Digital Diplomacy in Modern International Relations: Opportunities and Challenges

Aleko Kuridze
PhD Student in International Relations,
Georgian Technical University
aleko.kuridze9@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0002-2325-3679

Tamar Darchia,
Associate Professor,
Faculty of Law and International Relations
Georgian Technical University
darchiatamari07@gtu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-6988-288

Abstract

Digital diplomacy has become one of the most dynamic instruments of contemporary international relations. The development of information technologies and social media has significantly transformed the forms of interstate communication, diplomatic practice, and the mechanisms of foreign policy implementation. This paper aims to analyze the advantages and disadvantages of digital diplomacy, assess its impact on international politics, and identify the main challenges associated with its development. The research

employs a qualitative methodology, incorporating a review of academic literature, theoretical approaches, and selected practical examples. Particular attention is given to communication speed, public engagement, transparency, and the strengthening of soft power. At the same time, the paper discusses the risks of disinformation, cybersecurity threats, and superficial communication. The findings demonstrate that digital diplomacy is a dual phenomenon that simultaneously creates both opportunities and risks. Its effective use requires strategic management, institutional resilience, and strengthened international cooperation.

Keywords: digital diplomacy, international relations, social media, cybersecurity, disinformation.

ნაშრომის მიზანია ციფრული დიპლომატიის დადებითი და უარყოფითი მხარეების აკადემიური ანალიზი, მისი გავლენის შეფასება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე და იმ ძირითადი გამოწვევების გამოვლენა, რომლებიც თან ახლავს მის განვითარებას.

კვლევის ამოცანებია: ციფრული დიპლომატიის არსის განსაზღვრა, მისი შესაძლებლობების გამოკვეთა, ძირითადი რისკის ანალიზი და იმ პირობების იდენტიფიცირება, რომლებიც მისი ეფექტიანი გამოყენებისთვის აუცილებელია.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ციფრული გარემო დღეს უკვე წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სივრცეს. ამასთან, კვლევის **სამეცნიერო სიახლე** ისაა, რომ ციფრული დიპლომატია გაანალიზებულია არა მხოლოდ როგორც კომუნიკაციის ტექნოლოგიური ფორმა, არამედ როგორც ძალაუფლების, ნარატივების, გავლენისა და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკური ველი, რომელიც ერთდროულად მოქმედებს როგორც თანამშრომლობის ხელშემწყობი მექანიზმი და ამავე დროს ზრდის კონფლიქტის წარმოშობის სხვადასხვა რისკს.

კვლევის მეთოდები და თეორიული ჩარჩო

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს აკადემიური ლიტერატურის ანალიზს, შედარებით მიდგომას და კონკრეტული პრაქტიკული ტენდენციების შეფასებას ("case studies"). გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები **(ბარამიძე 2018)**, მათ შორის ლიბერალიზმი და კონსტრუქტივიზმი, რომლებიც ხაზს უსვამენ კომუნიკაციისა და ნარატივების მნიშვნელობას გლობალურ პოლიტიკაში.

ლიბერალური მიდგომა ციფრულ დიპლომატიას განიხილავს როგორც თანამშრომლობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და კომუნიკაციური ინტეგრაციის ხელშემწყობ ინსტრუმენტს, ხოლო კონსტრუქტივისტული პერსპექტივა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ქმნის ციფრული სივრცე ახალ იდენტობას, ნარატივებსა და დისკურსებს.[267]

ამ ორი თეორიული ჩარჩოს კომბინირება საშუალებას იძლევა, ციფრული დიპლომატია შეფასდეს როგორც ერთდროულად თანამშრომლობის საშუალება და კონკურენტული ნარატიული ბრძოლის არეალი.

შესავალი

XXI საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათი მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის პროცესშია. გლობალიზაციამ, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და სოციალური მედიის ფართო გავრცელებამ შეცვალა როგორც სახელმწიფოთა შორის კომუნიკაციის ფორმები, ისე დიპლომატიური საქმიანობის პრაქტიკული მექანიზმები.[268]

თუ კლასიკური დიპლომატია დიდწილად ეფუძნებოდა დახურულ მოლაპარაკებებს, ოფიციალურ წარმომადგენლობებსა და ინსტიტუციურად მკაცრად რეგულირებულ არხებს, თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო მეტად იკვეთება ციფრული სივრცის როლი.**[269]** ამ ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა

[267] Melissen Jan. *The New Public Diplomacy: Soft Power in International Relations*. New York: Palgrave Macmillan, 2005.

[268] Bjola Corneliu, and Marcus Holmes. *Digital Diplomacy: Theory and Practice*. New York: Routledge, 2015.

[269] გოგუაძე ნინო. „ციფრული დიპლომატია და თანამედროვე კომუნიკაცია". *სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალი* 5, №2 (2021): 45–62.

ციფრული დიპლომატია, როგორც საგარეო პოლიტიკის განხორციელების შედარებით ახალი, მოქნილი და მრავალფუნქციური ფორმა.

ციფრული დიპლომატიის ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა სოციალური მედიის პლატფორმების პოლიტიკურ კომუნიკაციაში ინტეგრაციის შემდეგ. სახელმწიფოები, საგარეო საქმეთა სამინისტროები, საელჩოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და თავად დიპლომატებიც აქტიურად იყენებენ ციფრულ არხებს.

როგორც ინფორმაციის სწრაფი გავრცელებისათვის, ისე საკუთარი პოლიტიკური გზავნილების ფორმირებისა და საერთაშორისო აუდიტორიაზე ზემოქმედებისათვის. ამ პროცესმა არა მხოლოდ გაზარდა კომუნიკაციის სისწრაფე, არამედ მნიშვნელოვნად შეცვალა დიპლომატიის სოციალური ბუნება: საერთაშორისო პოლიტიკა უფრო საჯარო, ინტენსიური და ინტერაქციული გახდა.

თუმცა, ციფრული დიპლომატია მხოლოდ ახალი შესაძლებლობების სივრცე არ არის. მას თან ახლავს ისეთი სერიოზული გამოწვევები, როგორიცაა დეზინფორმაციის გავრცელება, კიბერუსაფრთხოების რისკი, ინფორმაციის გადატვირთვა და დიპლომატიური კომუნიკაციის ზედაპირულობის ზრდა. შესაბამისად, აღნიშნული ფენომენის შეფასება მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის აღნიშვნას, არამედ მის კრიტიკულ გაანალიზებასაც.

ციფრული დიპლომატიის როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში

ციფრული დიპლომატია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან მან ძირეულად შეცვალა დიპლომატიური კომუნიკაციის ტემპი, ფორმატი და აუდიტორია. ტრადიციული დიპლომატიისაგან განსხვავებით, სადაც კომუნიკაცია ძირითადად სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენლობებს შორის მყარდებოდა, ციფრული გარემო მნიშვნელოვნად აფართოვებს მონაწილეთა წრეს. დღეს საერთაშორისო დისკურსში ერთდროულად მონაწილეობენ სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მედია, არასამთავრობო სექტორი, კერძო პლატფორმები და ინდივიდუალური აქტორები.[270] ამ ცვლილებამ დიპლომატია უფრო საჯარო გახადა. ციფრულ

[270] დვალიშვილი ირაკლი. *„გლობალიზაცია და საერთაშორისო პოლიტიკა“.* თბილისი: მერიდიანი, 2017.

სივრცეში ოფიციალური პოლიტიკური გზავნილები ხშირად უშუალოდ ფართო აუდიტორიას მიემართება და აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი კონტაქტებით. შესაბამისად, დიპლომატია იქცა არა მხოლოდ მოლაპარაკების, არამედ აღქმების მართვის, ნარატივებისა და საერთაშორისო იმიჯის ფორმირების პროცესად.[271]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და განვითარებადი სახელმწიფოების როლის ზრდა. ციფრული ინსტრუმენტების საშუალებით მათ შეუძლიათ უფრო ეფექტიანად წარმოაჩინონ საკუთარი ინტერესები და გავლენა იქონიონ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე. ეს ქმნის უფრო დემოკრატიულ და მრავალპოლუსიან კომუნიკაციურ გარემოს.

ამავდროულად, იზრდება მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური აქტორების მნიშვნელობა. ისინი ხშირად ქმნიან ნარატივებს, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ციფრული დიპლომატია ამგვარად აღარ არის მხოლოდ სახელმწიფოების პრივილეგია, არამედ მრავალაქტორული პროცესია.

თუმცა, აღნიშნული ცვლილებები ასევე ზრდის არასტაბილურობის რისკს. ინფორმაციის სწრაფი გავრცელება ხშირად იწვევს დაუზუსტებელი ან მცდარი ინფორმაციის გავრცელებას, რაც შეიძლება პოლიტიკური დაძაბულობის მიზეზი გახდეს. გარდა ამისა, კიბერუსაფრთხოების საკითხები კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რადგან სახელმწიფოები და სხვა აქტორები ცდილობენ ციფრული სივრცის გამოყენებას როგორც გავლენის, ისე ზიანის მიყენების მიზნით.

საბოლოოდ, ციფრული დიპლომატია წარმოადგენს ორმხრივ პროცესს, რომელიც ერთდროულად ზრდის სხვადასხვა შესაძლებლობას და ამავე დროს წარმოშობს არაერთ ახალ გამოწვევას საერთაშორისო სისტემაში.

ციფრული დიპლომატიის შესაძლებლობები

ციფრული დიპლომატიის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და რეალურ დროში კომუნიკაციის შესაძლებლობაა.

[271] Castells Manuel. *Networks of Outrage and Hope: Social Movements in the Internet Age*. 2nd ed. Cambridge: Polity Press, 2015.

თანამედროვე ტექნოლოგიები სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება საერთაშორისო მოვლენებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისულ სიტუაციაში. მაგალითად, სამხედრო კონფლიქტების, პანდემიების ან ბუნებრივი კატასტროფების დროს ინფორმაციის სწრაფი გავრცელება ხელს უწყობს როგორც მოქალაქეთა ინფორმირებას, ასევე საერთაშორისო კოორდინაციას.

ამასთანავე, ციფრული არხები ამცირებს ბიუროკრატიულ შეფერხებებს, რაც ტრადიციული დიპლომატიისთვის დამახასიათებელია. შედეგად, გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უფრო მოქნილი და ეფექტიანი ხდება.

მეორე მნიშვნელოვანი უპირატესობა საზოგადოების ჩართულობის ზრდაში გამოიხატება. ციფრული დიპლომატია მნიშვნელოვნად აფართოვებს მოქალაქეთა მონაწილეობას საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში.

სოციალური მედიის პლატფორმები მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ ინფორმაცია უშუალოდ პირველწყაროდან და აქტიურად ჩაერთონ საჯარო დისკუსიებში.

აღნიშნული პროცესი აძლიერებს დემოკრატიას, ვინაიდან იზრდება სახელმწიფოების პასუხისმგებლობა საკუთარი მოსახლეობის წინაშე. ამასთანავე, მოქალაქეთა ჩართულობა ქმნის მრავალფეროვან დისკურსს, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური პროცესის ინკლუზიურობას.

ციფრული დიპლომატია ასევე ზრდის გამჭვირვალობას, რადგან საჯარო კომუნიკაცია და ციფრული ანგარიშგება საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, დააკვირდეს სახელმწიფოების ქცევას. ეს აძლიერებს პასუხისმგებლობასა და ნდობას ინსტიტუტების მიმართ.[272]

ამასთანავე, მედია და დამოუკიდებელი ორგანიზაციები უფრო ეფექტიანად აკვირდებიან ხელისუფლების საქმიანობას, რაც ამცირებს კორუფციის რისკს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციფრული დიპლომატიის როლი „რბილი ძალის“ გაძლიერების თვალსაზრისით (Nye 2004). ციფრული პლატფორმები წარმოადგენს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ფორმირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს,

[272] Pamment James. *Digital Diplomacy*. London: Routledge, 2013.

ვინაიდან სოციალური მედიის საშუალებით კულტურული დიპლომატიის, განათლების, ტურიზმისა და ღირებულებითი ნარატივების გავრცელება ზრდის სახელმწიფოს გავლენას საერთაშორისო ასპარეზზე.

ამასთანავე, მიზნობრივ აუდიტორიაზე მორგებული კომუნიკაცია ზრდის საგარეო პოლიტიკის მიმზიდველობას და აძლიერებს გავლენას სხვა ქვეყნებზე.

გარდა ამისა, ციფრული ფორმატები მნიშვნელოვნად ამცირებს დიპლომატიური საქმიანობის ფინანსურ ხარჯებს. ონლაინშეხვედრები, ვირტუალური ფორუმები, დისტანციური საჯარო კომუნიკაცია და ციფრული კამპანიები შედარებით ნაკლებ რესურსს მოითხოვს, ვიდრე მუდმივი ფიზიკური წარმომადგენლობები ან ხშირი საერთაშორისო ვიზიტები. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, რომელთაც შეზღუდული ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობები აქვთ, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს საერთაშორისო სისტემის ინკლუზიურობის ზრდას.

ციფრული დიპლომატიის ძირითადი გამოწვევები

მიუხედავად მრავალმხრივი შესაძლებლობებისა, ციფრულ დიპლომატიას თან ახლავს ბევრი მნიშვნელოვანი საფრთხეც. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა დეზინფორმაციაა. ციფრულ გარემოში ინფორმაციის გავრცელების სისწრაფე ხშირად აღემატება მისი შემოწმების შესაძლებლობას, რის გამოც ყალბი, მანიპულაციური ან მიზანმიმართულად დამახინჯებული გზავნილები სწრაფად აღწევს ფართო აუდიტორიამდე. საერთაშორისო ურთიერთობებში ეს განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან დეზინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტი, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობისა და კონფლიქტების ზრდას, აზიანებს სახელმწიფოთა საერთაშორისო იმიჯს და ქმნის საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების შესაძლებლობას.

მეორე ფუნდამენტური გამოწვევა კიბერუსაფრთხოებაა. ციფრული დიპლომატია დამოკიდებულია ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე, რაც მას მოწყვლადს ხდის ჰაკერული თავდასხმების, მონაცემთა გაჟონვის,

კიბერშპიონაჟისა და კომუნიკაციის ხელოვნური ჩარევის მიმართ. ეს საფრთხე სცდება მხოლოდ ტექნიკურ დონეს და პირდაპირ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს, რადგან დაზიანებული ან კომპრომეტირებული ინფორმაცია შესაძლოა გავლენას ახდენდეს როგორც სახელმწიფოს რეპუტაციაზე, ასევე კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებზე.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დიპლომატიური კომუნიკაციის ზედაპირულობის ზრდაც. სოციალური მედიის ლოგიკა ხშირად ორიენტირებულია მოკლე, სწრაფ და ემოციურად დამუხტულ გზავნილებზე, მაშინ როდესაც დიპლომატია თავისი ბუნებით მოითხოვს სიფრთხილეს, მრავალშრიან ანალიზსა და გრძელვადიან სტრატეგიულ აზროვნებას. ამ წინააღმდეგობამ შესაძლოა დიპლომატიური ურთიერთობები გახადოს მეტად დამოკიდებული სწრაფ რეაქციაზე ვიდრე გრძელვადიან სტრატეგიაზე.

ციფრული ეპოქის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ინფორმაციის გადატვირთვაა. მონაცემების, შეფასებებისა და ნარატივების უზარმაზარი მოცულობა ართულებს სანდო ინფორმაციის დროულ იდენტიფიცირებას, ამცირებს ანალიზის ხარისხს და ზრდის ე. წ. ინფორმაციული ქაოსის რისკს. საერთაშორისო პოლიტიკაში, სადაც გადაწყვეტილებების სისწრაფე და სიზუსტე კრიტიკულია, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება.

დაბოლოს, ციფრული კომუნიკაცია ხშირად ასუსტებს ტრადიციული დიპლომატიური ეტიკეტის მექანიზმებს. დაუფიქრებელმა ან არაზუსტმა საჯარო პოსტმა, ემოციურმა კომენტარმა ან არასწორად ფორმულირებულმა განცხადებამ შესაძლოა სწრაფად გამოიწვიოს საერთაშორისო გაუგებრობა, დაძაბულობა ან რეპუტაციული ზიანი. განსხვავებით დახურული დიპლომატიური არხებისგან, ციფრულ სივრცეში ინფორმაციის გავრცელება თითქმის მყისიერია და მისი სრული კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია.

დასკვნა

ციფრული დიპლომატია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების განუყოფელ და სწრაფად განვითარებად კომპონენტად ჩამოყალიბდა. მისი გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა კომუნიკაციის სისწრაფეში, საზოგადოების

ჩართულობის ზრდასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში. აღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობს უფრო გამჭვირვალე და ინკლუზიური საერთაშორისო გარემოს ფორმირებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა დემოკრატიული პროცესების გაძლიერებისთვის. თუმცა, ციფრული დიპლომატიის განვითარება არ არის მხოლოდ პოზიტიური პროცესი. დეზინფორმაციის გავრცელება, კიბერუსაფრთხოების საფრთხე და ზედაპირული კომუნიკაციის ტენდენცია მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ეს პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება გლობალური კრიზისების დროს, როდესაც ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამ კონტექსტში, აუცილებელია სახელმწიფოთა მხრიდან სტრატეგიული მიდგომის შემუშავება. ციფრული დიპლომატიის ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ რესურსებს, არამედ შესაბამისი პოლიტიკისა და რეგულაციების არსებობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კიბერუსაფრთხოების გაძლიერებას, მედია განათლების განვითარებასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მექანიზმებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება აღნიშნულ სფეროში. ციფრული სივრცე გლობალურია და მისი ეფექტიანი მართვა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. ამიტომ აუცილებელია კოორდინირებული მოქმედებები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს შორის. დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ციფრული დიპლომატია წარმოადგენს როგორც შესაძლებლობას, ისე გამოწვევას. მისი წარმატებული გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ სახელმწიფოები და სხვა აქტორები ბალანსის დაცვას ტექნოლოგიური პროგრესისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის. მომავალში მისი როლი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც საჭიროებს მუდმივ ადაპტაციასა და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარამიძე ლევანი. *„საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.

გოგუაძე ნინო. „ციფრული დიპლომატია და თანამედროვე კომუნიკაცია“. *სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალი* 5, №2 (2021): 45–62.

დვალიშვილი ირაკლი. *„გლობალიზაცია და საერთაშორისო პოლიტიკა“*. თბილისი: მერიდიანი, 2017.

კვინიკაძე თამარი. „სოციალური მედიის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე“. *პოლიტიკის კვლევის მიმოხილვა* 3, №1 (2020): 77–95.

მესხიშვილი გიორგი. *„საერთაშორისო უსაფრთხოება და კიბერსივრცე“*. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019.

ნადირაძე ეკატერინე. „დეზინფორმაცია და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა“. *მედიის კვლევები* 4, №3 (2022): 101–120.

Akrivopoulou Christina. *Digital Democracy and the Impact of Technology on Governance and Politics*. Hershey, PA: Information Science Reference, 2013.

Bjola Corneliu, and Marcus Holmes. *Digital Diplomacy: Theory and Practice*. New York: Routledge, 2015.

Castells Manuel. *Networks of Outrage and Hope: Social Movements in the Internet Age*. 2nd ed. Cambridge: Polity Press, 2015.

Chopra Shashi. *The Big Connect: Politics in the Age of Social Media*. New Delhi: Random House India, 2014.

Maillart Thomas, et al. “Computational Diplomacy: How ‘Hackathons for Good’ Feed a Participatory Future for Multilateralism in the Digital Age.” *arXiv*, 2024.

Manor Ilan. *The Digitalization of Public Diplomacy*. Cham: Palgrave Macmillan, 2019.

Melissen Jan. *The New Public Diplomacy: Soft Power in International Relations*. New York: Palgrave Macmillan, 2005.

Nye Joseph S., Jr. *Soft Power: The Means to Success in World Politics*. New York: PublicAffairs, 2004.

Pamment James. *Digital Diplomacy*. London: Routledge, 2013.

Wang Jay, and Jan Melissen, eds. *Digital Diplomacy Bibliography*. Los Angeles: USC Center on Public Diplomacy, 2014.

Westcott Nicholas. “Digital Diplomacy: The Impact of the Internet on International Relations.” Oxford Internet Institute, 2008.

ეკონომიკური სოციალიზაცია და მოტივაციური სტრუქტურა საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებში

ნინო ფუტკარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი,

putkarashvili.nino24@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0007-5449-4308

DOI: 10.52340/splogos.2026.01.23

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებში ეკონომიკური სოციალიზაციის პროცესში მოტივაციური ფაქტორების ანალიზი. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდოლოგიას და მოიცავს 528 რესპონდენტის მონაცემებს, რომლებიც წარმოადგენენ 18-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს. გამოყენებულია პროფესიული მოტივაციის შესწავლის მეთოდიკა (ზამფირი, მოდიფიცირებული რეანის მიერ), რომელიც აფასებს შინაგან, გარე დადებით და გარე უარყოფით მოტივაციას. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა აღწერითი სტატისტიკისა და დისპერსიული ანალიზის (“ANOVA“) გამოყენებით. შედეგები მიუთითებს, რომ ახალგაზრდებში დომინანტურია გარე დადებითი მოტივაცია, ხოლო შინაგანი მოტივაცია ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. კვლევა ადასტურებს ეკონომიკური ქცევის მრავალფაქტორულ ბუნებას და ხაზს უსვამს როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური სოციალიზაცია, ეკონომიკური ქცევა, მოტივაცია, შინაგანი მოტივაცია, გარე მოტივაცია.

Economic Socialization and Motivational Structure among Young People Living in Georgia

Nino Putkarashvili,
PhD Student,
Georgian Technical University
putkarashvili.nino24@gtu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0007-5449-4308

Abstract

The present study aims to examine the role of motivational factors in the process of economic socialization among young people living in Georgia. The research uses a quantitative methodology and includes data from 528 respondents aged 18 to 40. The study employs the professional motivation assessment method developed by Zamfir and later modified by Rean, which measures intrinsic motivation, positive extrinsic motivation, and negative extrinsic motivation. Data analysis was conducted using descriptive statistics and analysis of variance (ANOVA). The findings reveal that extrinsic positive motivation is predominant among young individuals, while intrinsic motivation tends to increase with age. The study confirms the multifactorial nature of economic behavior and emphasizes the significant role of both psychological and social factors in shaping economic socialization.

Keywords: Economic socialization, economic behavior, motivation, intrinsic motivation, extrinsic motivation.

შესავალი

თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში ეკონომიკური ქცევა აღიარებულია, როგორც მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც ფორმირდება როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ახალგაზრდების ეკონომიკური სოციალიზაციის პროცესის შესწავლა, რადგან სწორედ ამ ეტაპზე ყალიბდება ის ღირებულებები, დამოკიდებულებები და ქცევითი სტრატეგიები, რომლებიც განსაზღვრავს ინდივიდის მომავალ ეკონომიკურ აქტივობას. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სადაც სოციალურ-

ეკონომიკური ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალგაზრდების მოტივაციურ სტრუქტურასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური წარმატება აღარ არის მხოლოდ რესურსებზე დამოკიდებული, არამედ დიდწილად უკავშირდება ინდივიდის მოტივაციას, პროფესიულ არჩევანსა და ქცევით მოდელებს. ახალგაზრდებში ეკონომიკური მოტივაციის ტიპების: შინაგანი, გარე დადებითი და გარე უარყოფითი, გააზრება მნიშვნელოვანია როგორც საგანმანათლებლო სისტემის განვითარებისთვის, ისე შრომითი ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. ამასთან, გლობალიზაციისა და შრომითი კონკურენციის ზრდისას იზრდება მოთხოვნა იმ ცოდნაზე, რომელიც ხსნის, რა ფაქტორები განსაზღვრავს ეკონომიკურ აქტივობას და როგორ შეიძლება მათი ოპტიმიზაცია.

კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ქართულ კონტექსტში კომპლექსურად აანალიზებს ეკონომიკური სოციალიზაციის პროცესში მოტივაციური ფაქტორების სტრუქტურას და მათ კავშირს დემოგრაფიულ მახასიათებლებთან. კვლევა იყენებს მოტივაციის დიფერენცირებულ მოდელს, რომელიც განასხვავებს გარე მოტივაციის პოზიტიურ და ნეგატიურ ფორმებს, რაც იძლევა შესაძლებლობას უფრო სიღრმისეულად შეფასდეს ეკონომიკური ქცევის განმსაზღვრელი მექანიზმები. გარდა ამისა, კვლევა ავლენს ასაკისა და განათლების გავლენას მოტივაციის ტრანსფორმაციაზე, რაც დამატებით მნიშვნელობას სძენს მიღებულ შედეგებს.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდოლოგიას და მოიცავს 528 რესპონდენტის მონაცემებს 18-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. მონაცემთა შეგროვებისათვის გამოყენებულია პროფესიული მოტივაციის შეფასების სტანდარტიზებული მეთოდიკა (ზამფირი, მოდიფიცირებული რეანის მიერ), რომელიც ზომავს შინაგან, გარე დადებით და გარე უარყოფით მოტივაციას. მიღებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა აღწერითი სტატისტიკისა და დისპერსიული ანალიზის (“ANOVA“) გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს

სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირებას და შედეგების სანდო ინტერპრეტაციას.

ამრიგად, წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ეკონომიკური მოტივაციის სტრუქტურის სიღრმისეულ გაანალიზებას და იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკური ქცევის ფორმირებას თანამედროვე ქართულ რეალობაში.

თეორიული ჩარჩო

თვითდეტერმინაციის თეორია: თვითდეტერმინაციის თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევა რეგულირდება შინაგანი და გარე მოტივაციური ძალების ურთიერთქმედებით. თეორია გამოყოფს სამ ძირითად ფსიქოლოგიურ საჭიროებას: ავტონომიას, კომპეტენციასა და კავშირს, რომლებიც განაპირობებს შინაგანი მოტივაციის განვითარებას.

ეკონომიკური მოტივაციის მოდელები: ეკონომიკური ქცევის კლასიკური მოდელები (Becker 1993) აქცენტს აკეთებს რაციონალურ არჩევანსა და სარგებლის მაქსიმიზაციაზე. თუმცა, თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ ინდივიდები ხშირად მოქმედებენ არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის, არამედ ღირებულებებისა და პიროვნული მიზნების მიხედვით.[273]

ზამფირის მეთოდიკა: ზამფირის მეთოდიკა გარე მოტივაციას განიხილავს, როგორც მრავალკომპონენტიან კონსტრუქტს და განასხვავებს მის ორ ძირითად ფორმას: გარე დადებით და გარე უარყოფით მოტივაციას. აღნიშნული დიფერენციაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ქცევის ანალიზში, რადგან განსხვავებული ტიპის გარე სტიმულები განსხვავებულ ფსიქოლოგიურ და ქცევით შედეგებს იწვევს.

[273] Akerlof George A. and Rachel E. Kranton. 2010. Identity Economics. Princeton: Princeton University Press.

გარე დადებითი მოტივაცია დაკავშირებულია ისეთი სტიმულების არსებობასთან, რომლებიც ინდივიდისთვის სასურველი შედეგის მიღწევას უკავშირდება. ეს შეიძლება იყოს ფინანსური სარგებელი (ხელფასი, ბონუსები), კარიერული წინსვლა, სოციალური სტატუსი და აღიარება. კვლევები აჩვენებს, რომ გარე დადებითი მოტივაცია განსაკუთრებით ეფექტიანია მოკლევადიან ამოცანებში, პროდუქტიულობის გაზრდასა და მიზნისკენ სწრაფვაში (Gneezy et al. 2011). ეკონომიკურ კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ ინდივიდები აქტიურად რეაგირებენ მატერიალურ წახალისებაზე და ხშირად არჩევანს აკეთებენ უფრო დიდი ანაზღაურების მქონე საქმიანობის სასარგებლოდ.

გარე უარყოფითი მოტივაცია ეფუძნება არასასურველი შედეგების თავიდან აცილებას. ეს მოიცავს შიშს, სანქციას, კრიტიკის თავიდან აცილებას, სოციალური წნეხის გავლენასა და დასჯის მოლოდინს. აღნიშნული ტიპის მოტივაცია დაკავშირებულია ექსტერნალური რეგულაციის ფორმასთან, სადაც ქცევა სრულად განპირობებულია გარე კონტროლით.[274]

ფსიქოლოგიური კვლევები მიუთითებს, რომ გარე უარყოფითი მოტივაცია ნაკლებად სტაბილურია და ხშირად იწვევს სტრესს, დაბალ ჩართულობასა და შინაგანი მოტივაციის დაქვეითებას.[275] ამასთან, იგი შეიძლება ეფექტიანი იყოს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში.

ზამფირის მოდელი ხაზს უსვამს, რომ გარე დადებითი მოტივაცია უფრო კონსტრუქციული და განვითარების ხელშემწყობია, მაშინ როდესაც გარე უარყოფითი მოტივაცია ხშირად იწვევს იძულებით ქცევას.

ამრიგად, გარე მოტივაციის ტიპების დიფერენციაცია მნიშვნელოვანია ეკონომიკური ქცევის უკეთ გასაგებად და ეფექტიანი მოტივაციური სისტემების შესაქმნელად.

[274] Deci Edward L. and Richard M. Ryan. 1985. Intrinsic Motivation and Self-Determination in Human Behavior. New York: Springer.
[275] Frey Bruno S. and Reto Jegen. 2001. “Motivation Crowding Theory.” Journal of Economic Surveys 15 (5): 589–611.

ემპირიული კვლევის შედეგები

სქესობრივი სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილეთა 67.0%-ს შეადგენენ ქალები, ხოლო 33.0%-ს – მამაკაცები. აღნიშნული განაწილება თანხვედრაშია სოციალური მეცნიერებების ემპირიულ კვლევებში ხშირად დაფიქსირებულ ტენდენციასთან, რომლის მიხედვითაც ქალები კვლევებში მონაწილეობის უფრო მეტ აქტივობას ავლენენ.

ემპირიული კვლევის მონაწილეთა მოტივაციის შედეგების ანალიზმა (ნახ. 2) ცხადყო, რომ რესპონდენტთა ეკონომიკური მოტივაციის სტრუქტურაში მკაფიოდ დომინირებს გარე დადებითი მოტივაცია. მისი საშუალო მაჩვენებელი (M = 43.90) მნიშვნელოვნად აღემატება როგორც შინაგანი მოტივაციის (M = 12.23), ასევე გარე უარყოფითი მოტივაციის (M = 14.60) მაჩვენებლებს.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ეკონომიკური ქცევა ძირითადად განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ სარგებელთან, კარიერულ წინსვლასა და სოციალურ აღიარებასთან. მაღალი მაჩვენებელი გარე დადებითი მოტივაციის მიმართულებით ასახავს იმ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას, სადაც ფინანსური სტაბილურობა და პროფესიული წარმატება წარმოადგენს მნიშვნელოვან ღირებულებას.

შინაგანი მოტივაციის შედარებით დაბალი საშუალო მაჩვენებელი (M = 12.23) მიუთითებს, რომ რესპონდენტთა ნაწილისთვის ეკონომიკური საქმიანობა ნაკლებად არის დაკავშირებული თვითრეალიზაციასთან, ინტერესთან ან საქმიანობისგან მიღებულ შინაგან კმაყოფილებასთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტანდარტული გადახრის დიდი მაჩვენებელი (SD ≈ 15.68) მიანიშნებს ინდივიდუალურ განსხვავებებზე – რაც ნიშნავს, რომ გარკვეული ჯგუფებისთვის შინაგანი მოტივაცია მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გარე უარყოფითი მოტივაციის მაჩვენებელი (M = 14.60) შედარებით დაბალია, რაც მიუთითებს, რომ ახალგაზრდების ეკონომიკური ქცევა ნაკლებად

არის განპირობებული შიშით, სანქციებით ან სოციალური წნეხით. ეს შედეგი შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც პოზიტიური ტენდენცია, რადგან გარე უარყოფით მოტივაციაზე დაფუძნებული ქცევა, როგორც წესი, ნაკლებად სტაბილურია და ხშირად დაკავშირებულია სტრესსა და დაბალ მოტივაციურ ჩართულობასთან.

ამგვარად, მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ ახალგაზრდების ეკონომიკური სოციალიზაციის პროცესში წამყვან როლს ასრულებს გარე დადებითი მოტივაცია, რაც შეესაბამება თანამედროვე ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ მოდელებს, სადაც მატერიალური და სოციალური სტიმულები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქცევის ფორმირებაზე.

დიაგრამა ნათლად ასახავს სამი ტიპის მოტივაციის საშუალო მნიშვნელობებს და ვიზუალურად უსვამს ხაზს გარე დადებითი მოტივაციის დომინანტურ პოზიციას, რაც კვლევის ერთ-ერთ მთავარ ემპირიულ დასკვნას წარმოადგენს.

ნახ 2. მოტივაციის მაჩვენებლები



ასაკობრივი განსხვავებები მოტივაციაში (“ANOVA“). რესპონდენტთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოტივაციის განსხვავებების დასადგენად

განხორციელდა დისპერსიული ანალიზი (“ANOVA), რომლის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 1. მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ მოტივაციის სხვადასხვა ტიპი განსხვავებულად არის დაკავშირებული ასაკთან.

შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ასაკობრივ ჯგუფებს შორის ($F = 2.807$, $p = .040$). ეს შედეგი მიუთითებს, რომ ასაკი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შინაგანი მოტივაციის ფორმირებაში. კერძოდ, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება იმ ფაქტორების მნიშვნელობა, რომლებიც დაკავშირებულია თვითრეალიზაციასთან, პიროვნულ ინტერესებთან და საქმიანობის შიდა ღირებულებასთან. აღნიშნული ტენდენცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ ასაკთან ერთად ინდივიდები იძენენ მეტ გამოცდილებას, უკეთ აცნობიერებენ საკუთარ პროფესიულ ინტერესებს და უფრო მეტად ორიენტირდებიან შინაგან კმაყოფილებაზე, ვიდრე მხოლოდ გარე სტიმულებზე.

გარე დადებითი მოტივაციის შემთხვევაშიც დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($F = 3.003$, $p = .031$), რაც მიუთითებს, რომ ასაკობრივი ფაქტორი გავლენას ახდენს მატერიალური და სოციალური სტიმულების აღქმასა და მნიშვნელობაზე. შესაძლებელია, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპზე განსხვავებული იყოს კარიერული მიზნები და ფინანსური პრიორიტეტები: ახალგაზრდებში უფრო ძლიერი შეიძლება იყოს მატერიალური სტიმულების როლი, მაშინ, როდესაც ასაკის მატებასთან ერთად ეს მოტივაცია შედარებით სტაბილურ და გააზრებულ ფორმას იღებს.

რაც შეეხება გარე უარყოფით მოტივაციას, მიღებული შედეგები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($F = 1.681$, $p = .171$), რაც მიუთითებს, რომ ასაკობრივი ჯგუფები ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებიან შიშზე, სანქციაზე ან სოციალური წნეხის თავიდან აცილებაზე დაფუძნებული მოტივაციის მიხედვით. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ გარე უარყოფითი მოტივაცია შედარებით სტაბილური და ნაკლებად ცვალებადი კომპონენტია, რომელიც ნაკლებად არის დამოკიდებული ასაკობრივ განვითარებაზე.

ცხრილში წარმოდგენილი დისპერსიის მაჩვენებლები ასევე ადასტურებს, რომ შინაგანი და გარე დადებითი მოტივაციის შემთხვევაში ჯგუფთაშორისი ვარიაცია საკმარისად დიდია, რათა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდეს, მაშინ, როდესაც გარე უარყოფითი მოტივაციის შემთხვევაში ვარიაცია ძირითადად ჯგუფშიდა დონეზე რჩება.

ამრიგად, ანალიზის შედეგები მიუთითებს, რომ ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ეკონომიკური მოტივაციის სტრუქტურის ფორმირებაში, განსაკუთრებით შინაგანი და გარე დადებითი მოტივაციის მიმართულებით. აღნიშნული დასკვნა შეესაბამება განვითარების ფსიქოლოგიისა და მოტივაციის თეორიებს, რომლის მიხედვითაც ასაკთან ერთად იზრდება ქცევის ავტონომია და შინაგანი რეგულაციის დონე.

ცხრილი1. ასაკი - მოტივაცია

		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
შინაგანი მოტ	Between Groups	2036.667	3	678.889	2.807	.040
	Within Groups	78357.723	524	241.845		
	Total	80394.390	527			
გარეგანი მოტივაცია	Between Groups	346.360	3	115.453	3.003	.031
	Within Groups	12457.320	524	38.449		
	Total	12803.680	527			
გარე უარ	Between Groups	1280.301	3	426.767	1.681	.171
	Within Groups	82238.379	524	253.822		
	Total	83518.680	527			

სქესობრივი განსხვავებები მოტივაციაში (ცხრილი 2). რესპონდენტთა სქესის მიხედვით მოტივაციის განსხვავებების დასადგენად განხორციელდა დისპერსიული ანალიზი (“ANOVA“), რომლის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 2. მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ სქესობრივი განსხვავებები მოტივაციის ტიპებს შორის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, თუმცა, შეინიშნება გარკვეული ტენდენციები.

შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში ქალებში საშუალო მაჩვენებელი შედარებით დიდია, ვიდრე მამაკაცებში, თუმცა, აღნიშნული განსხვავება არ აღწევს სტატისტიკურ მნიშვნელობას ($F = 2.989$, $p = .085$). ეს მიუთითებს, რომ მიუხედავად

არსებული ტენდენციისა, სქესი არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს შინაგანი მოტივაციის ფორმირებაში. აღნიშნული შედეგი შეიძლება აიხსნას იმით, რომ თანამედროვე სოციალურ კონტექსტში როგორც ქალები, ისე მამაკაცები თანაბრად არიან ჩართული პროფესიულ და ეკონომიკურ საქმიანობაში და შესაბამისად, მათ მოტივაციურ სტრუქტურაშიც მნიშვნელოვანი გადაკვეთა ფიქსირდება.

გარე დადებითი მოტივაციის შემთხვევაში განსხვავება ასევე არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($F = 1.192$, $p = .276$), რაც მიუთითებს, რომ ფინანსური სარგებელი, კარიერული წინსვლა და სოციალური აღიარება თანაბრად მნიშვნელოვანია ორივე სქესისთვის. ეს შედეგი ადასტურებს იმ ტენდენციას, რომ ეკონომიკური სტიმულები უნივერსალურ მოტივაციურ ფაქტორებს წარმოადგენს და ნაკლებად არის დამოკიდებული სქესობრივ თავისებურებაზე.

გარე უარყოფითი მოტივაციის შემთხვევაშიც არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება ($F = 0.162$, $p = .687$), რაც მიუთითებს, რომ შიშზე, სანქციასა და სოციალური წნეხის თავიდან აცილებაზე დაფუძნებული მოტივაცია ერთნაირად არის წარმოდგენილი როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში.

ამრიგად, სქესობრივი განსხვავებების ანალიზი აჩვენებს, რომ მოტივაციის სტრუქტურა ძირითადად მსგავსია ორივე სქესში, ხოლო დაფიქსირებული მცირე განსხვავებები არ არის საკმარისად ძლიერი, რათა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა დავადასტუროთ. აღნიშნული შედეგი მიუთითებს, რომ ეკონომიკური სოციალიზაციის პროცესში სქესი შედარებით ნაკლებად განმსაზღვრელი ფაქტორია, ვიდრე სხვა ცვლადები, როგორიცაა ასაკი ან განათლება.

ცხრილი 2. მოტივაცია-სქესი

		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
შინაგანი მოტ	Between Groups	730.424	1	730.424	2.989	.085
	Within Groups	79663.966	526	244.368		
	Total	80394.390	527			
გარეგანი მოტივაცია	Between Groups	46.654	1	46.654	1.192	.276
	Within Groups	12757.026	526	39.132		
	Total	12803.680	527			
გარე უარ	Between Groups	41.556	1	41.556	.162	.687
	Within Groups	83477.124	526	256.065		
	Total	83518.680	527			

განათლების გავლენა მოტივაციაზე (ცხრილი 3). რესპონდენტთა განათლების დონის მიხედვით ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოტივაციის სტრუქტურაზე განათლებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, თუმცა ეს გავლენა განსხვავებულია მოტივაციის ტიპების მიხედვით.

შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($p = .012$), რაც მიუთითებს, რომ განათლების დონე მნიშვნელოვან როლს ასრულებს თვითრეალიზაციაზე, ინტერესსა და საქმიანობის შიდა ღირებულებაზე დაფუძნებული მოტივაციის ფორმირებაში. კერძოდ, ყველაზე დიდი შინაგანი მოტივაცია დაფიქსირდა სტუდენტებსა და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებში, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ აღნიშნულ ეტაპზე ინდივიდები აქტიურად არიან ჩართული პროფესიული იდენტობის ფორმირებასა და თვითრეალიზაციის პროცესში.

გარე უარყოფითი მოტივაციის შემთხვევაშიც გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($p = .001$), რაც მიუთითებს, რომ განათლების დონე გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად მოქმედებს ინდივიდზე შიში, სანქციები და სოციალური წნეხი. შესაძლებელია, რომ განათლების ზრდასთან ერთად ინდივიდები უფრო დამოუკიდებლები ხდებიან გადაწყვეტილებების მიღებაში და ნაკლებად არიან დამოკიდებული გარე ნეგატიურ სტიმულებზე.

რაც შეეხება გარე დადებით მოტივაციას, განათლების მიხედვით განსხვავება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, რაც მიუთითებს, რომ ფინანსური და სოციალური სტიმულები უნივერსალური მნიშვნელობის მატარებელია და თანაბრად მოქმედებს სხვადასხვა საგანმანათლებლო ჯგუფებზე.

მიღებული შედეგები შეესაბამება საერთაშორისო კვლევების ტენდენციებს, სადაც გარე მოტივაცია, განსაკუთრებით ფინანსური სტიმულები, დომინანტურ როლს ასრულებს ეკონომიკურ ქცევაში (Gneezy et al. 2011). ეს მიუთითებს, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილებები ხშირად ეფუძნება რაციონალურ გათვლებსა და მატერიალური სარგებლის მაქსიმიზაციას.

ამავე დროს, კვლევა აჩვენებს, რომ შინაგანი მოტივაცია მნიშვნელოვან როლს იძენს ასაკის მატებასთან ერთად, რაც შეიძლება აიხსნას პროფესიული გამოცდილების დაგროვებით, თვითცნობიერების ზრდით და ღირებულებითი სისტემის ფორმირებით. ეს ტენდენცია შეესაბამება თვითდეტერმინაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც ასაკთან ერთად იზრდება ქცევის ავტონომია და შინაგანი რეგულაცია.

გარე უარყოფითი მოტივაციის შედარებით დაბალი დონე მიუთითებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად მოქმედებენ შიშისა და სანქციის საფუძველზე. აღნიშნული შედეგი შეიძლება შეფასდეს, როგორც პოზიტიური სოციალური ტენდენცია, რადგან ასეთი ტიპის მოტივაცია, როგორც წესი, ნაკლებად მდგრადია და ხშირად დაკავშირებულია სტრესთან, დაბალ ჩართულობასა და ქცევის იძულებით რეგულაციასთან.

ამრიგად, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ეკონომიკური მოტივაციის სტრუქტურა საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებში წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას, სადაც დომინირებს გარე დადებითი მოტივაცია, თუმცა, შინაგანი მოტივაცია მნიშვნელოვან როლს იძენს განვითარების პროცესში, განსაკუთრებით ასაკისა და განათლების ზრდასთან ერთად.

ცხრილი 3. მოტივაცია - განათლება

		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
შინაგანი მოტ	Between Groups	3965.692	6	660.949	2.776	.012
	Within Groups	76428.698	521	238.096		
	Total	80394.390	527			
გარეგანი მოტივაცია	Between Groups	327.321	6	54.554	1.404	.213
	Within Groups	12476.359	521	38.867		
	Total	12803.680	527			
გარე /უარ	Between Groups	5424.419	6	904.070	3.716	.001
	Within Groups	78094.261	521	243.284		
	Total	83518.680	527			

კვლევის შედეგების ინტეგრირებული განხილვა. ემპირიული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ეკონომიკური ქცევა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მატერიალური სტიმულებით. იგი წარმოადგენს შინაგანი და გარემოტივაციური ფაქტორების დინამიკურ ურთიერთქმედებას, სადაც სხვადასხვა ფაქტორი სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებში ეკონომიკური მოტივაციის სტრუქტურა წარმოადგენს მრავალგანზომილებიან და დინამიკურ სისტემას, სადაც დომინანტურ როლს ასრულებს გარე დადებითი მოტივაცია, თუმცა, პარალელურად იკვეთება შინაგანი მოტივაციის მზარდი მნიშვნელობაც. აღნიშნული მიგნება თანხვედრაშია როგორც კლასიკურ ეკონომიკურ თეორიებთან, ისე თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიდგომებთან, თუმცა, საჭიროებს უფრო ღრმა კრიტიკულ გააზრებას.

პირველ რიგში, გარე დადებითი მოტივაციის დომინანტობა შეიძლება აიხსნას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტით. გარდამავალი ეკონომიკისას მატერიალური სტიმულები, კარიერული წინსვლა და სოციალური სტატუსი ხშირად წარმოადგენს ქცევის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებს. თუმცა,

ამ შედეგის ინტერპრეტაცია არ უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი. კლასიკური ეკონომიკური მოდელები, რომლებიც ეფუძნება რაციონალური არჩევანის პრინციპს (Becker 1993), ვერ ასახავს სრულად იმ ფსიქოლოგიურ და სოციალურ მექანიზმებს, რომლებიც რეალურად განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას. ამ თვალსაზრისით, იდენტობის ეკონომიკის მიდგომა[276] გვთავაზობს უფრო კომპლექსურ ჩარჩოს, სადაც ინდივიდის გადაწყვეტილებები დაკავშირებულია არა მხოლოდ სარგებლის მაქსიმიზაციასთან, არამედ სოციალურ ნორმებთან, როლებსა და თვითიდენტობასთან.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი უკავშირდება შინაგანი მოტივაციის ზრდას ასაკისა და განათლების მატებასთან ერთად. აღნიშნული ტენდენცია შეესაბამება თვითდეტერმინაციის თეორიას,[277] თუმცა, აქაც საჭიროა კრიტიკული შეფასება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი მოტივაციის ზრდა მიუთითებს უფრო ავტონომიურ ქცევაზე, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ იგი მაინც არ წარმოადგენს დომინანტურ ფაქტორს. ეს შეიძლება მიუთითებდეს განათლების სისტემის შეზღუდულ შესაძლებლობებზე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სრულად თვითრეალიზაციაზე ორიენტირებული ღირებულებების ფორმირებას. შესაბამისად, განათლების როლი საჭიროებს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ გააზრებას.

გარე უარყოფითი მოტივაციის დაბალი დონე, ერთი მხრივ, შეიძლება შეფასდეს, როგორც პოზიტიური ტენდენცია, რადგან იგი მიუთითებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად მოქმედებენ შიშისა და სანქციის საფუძველზე. თუმცა, მეორე მხრივ, ეს შედეგი შეიძლება ასევე ასახავდეს ინსტიტუციური კონტროლის სისუსტეს ან დაბალ ნდობას სოციალურ ინსტიტუტების მიმართ. შესაბამისად, აღნიშნული მიგნება საჭიროებს ალტერნატიული ინტერპრეტაციების გათვალისწინებას და დამატებით კვლევას.

[276] Akerlof George A. and Rachel E. Kranton. 2010. Identity Economics. Princeton: Princeton University Press.
[277] Deci Edward L. and Richard M. Ryan. 1985. Intrinsic Motivation and Self-Determination in Human Behavior. New York: Springer.

სქესობრივი განსხვავების არარსებობა მოტივაციის ტიპებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომელიც მიუთითებს ეკონომიკური ქცევის უნივერსალიზაციის ტენდენციაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შედეგი შესაძლოა განპირობებული იყოს მეთოდოლოგიური შეზღუდვებით, მათ შორის შერჩევის თავისებურებებით ან საზომი ინსტრუმენტების სენსიტიურობით. შესაბამისად, აღნიშნული დასკვნა საჭიროებს სიფრთხილით ინტერპრეტაციას.

კვლევის მნიშვნელოვანი შეზღუდვაა მისი კროსსექციური დიზაინი, რომელიც არ იძლევა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის შესაძლებლობას. აგრეთვე, თვითრეპორტული მონაცემების გამოყენება ზრდის სოციალური სასურველობის ეფექტის რისკს, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდეს შედეგების სიზუსტეზე. დამატებით, კვლევა კონცენტრირებულია მხოლოდ ახალგაზრდებზე, რაც ზღუდავს შედეგების გენერალიზაციას ფართო პოპულაციაზე.

მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვებისა, კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეკონომიკური სოციალიზაციისა და მოტივაციის კვლევაში ქართულ კონტექსტში. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ ეკონომიკური ქცევა ვერ აიხსნება მხოლოდ მატერიალური სტიმულებით და საჭიროებს მრავალფაქტორულ ანალიზს, რომელიც მოიცავს როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სოციალურ და კულტურულ განზომილებებს.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ახალგაზრდების ეკონომიკური ქცევა განპირობებულია შინაგანი და გარე მოტივაციური ფაქტორების ურთიერთქმედებით, სადაც დომინანტურ როლს ასრულებს გარე დადებითი მოტივაცია. მიუხედავად ამისა, ასაკისა და განათლების ზრდასთან ერთად იზრდება შინაგანი მოტივაციის მნიშვნელობა, რაც მიუთითებს ეკონომიკური ქცევის უფრო ავტონომიურ და გააზრებულ ფორმებზე გადასვლას.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს განათლების სისტემის, სოციალური გარემოსა და ინსტიტუციური ფაქტორების მნიშვნელოვან როლს მოტივაციური

სტრუქტურის ფორმირებაში. ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ ეკონომიკური მოტივაცია წარმოადგენს დინამიკურ და მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც საჭიროებს ინტერდისციპლინურ მიდგომას.

სამომავლო კვლევებისთვის მიზანშეწონილია ლონგიტუდური დიზაინის გამოყენება, რაც საშუალებას მისცემს მკვლევრებს, დააკვირდნენ მოტივაციის ცვლილებას დროში, ასევე ექსპერიმენტული მეთოდების ჩართვა, რათა უკეთ გაირკვეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

რეკომენდაციები

მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ზოგი პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საგანმანათლებლო, ისე ორგანიზაციულ და სოციალურ პოლიტიკაში:

განათლების სფერო. სასწავლო პროგრამებში უნდა გაძლიერდეს ისეთი კომპონენტები, რომლებიც ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, თვითრეფლექსია და პროფესიული იდენტობის ფორმირება.

მნიშვნელოვანია სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენება, რაც ზრდის ჩართულობასა და თვითრეალიზაციის განცდას.

კარიერული კონსულტირების სისტემების განვითარება დაეხმარება ახალგაზრდებს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების უკეთ გააზრებაში.

შრომითი და ორგანიზაციული გარემო. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ მოტივაციის კომბინირებული მოდელები, რომლებიც აერთიანებს ფინანსურ წახალისებასა და პიროვნული განვითარების შესაძლებლობებს.

რეკომენდებულია სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ავტონომიას, პროფესიულ ზრდასა და თანამშრომელთა ჩართულობას.

გარე უარყოფით სტიმულებზე (სანქციები, კონტროლი) დაფუძნებული მართვის სტილი უნდა შემცირდეს და შეიცვალოს მხარდაჭერაზე ორიენტირებული მიდგომებით.

სახელმწიფო და სოციალური პოლიტიკა. ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებაზე, რაც გაზრდის გარე დადებითი მოტივაციის ეფექტიანობას.

აუცილებელია დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების განვითარება, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის კარიერული დასაწყისის ეტაპზე.

უნდა გაძლიერდეს არაფორმალური განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს როგორც ეკონომიკურ აქტივობას, ასევე შინაგანი მოტივაციის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

Akerlof George A. and Rachel E. Kranton. 2010. Identity Economics. Princeton: Princeton University Press.

Becker Gary S. 1993. Human Capital: A Theoretical and Empirical Analysis. Chicago: University of Chicago Press.

Deci Edward L. and Richard M. Ryan. 1985. Intrinsic Motivation and Self-Determination in Human Behavior. New York: Springer.

Frey Bruno S. and Reto Jegen. 2001. “Motivation Crowding Theory.” Journal of Economic Surveys 15 (5): 589–611.

Ryan Richard M. and Edward L. Deci. 2000. “Intrinsic and Extrinsic Motivations: Classic Definitions and New Directions.” Contemporary Educational Psychology 25 (1): 54–67.

Zamfir Constantin. 1976. Motivation and Work. Bucharest: Political Publishing House.

ჩარკვიანი დავითი. 2001. ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში: თეორია, კვლევა, პრაქტიკა. თბილისი.

სატრანსპორტო ლოჯისტიკა და ურბანული მართვა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების კონტექსტში

ნანა შაშიაშვილი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სპორტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ფაკულტეტი

nana.shashiashvili@sportuni.ge

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0003-5239-5905

DOI: 10.52340/splogos.2026.01.24

აბსტრაქტი

სტატია იკვლევს სატრანსპორტო ლოჯისტიკისა და ურბანული მართვის ურთიერთკავშირს საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების კონტექსტში და აანალიზებს მათ სოციალურ, პოლიტიკურ და ინფრასტრუქტურულ გავლენას ქალაქის ფუნქციონირებაზე. კვლევა ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ მოქმედებს მასშტაბური სპორტული ღონისძიებების დროს სატრანსპორტო სისტემების ორგანიზება ქალაქის მოსახლეობის მობილობაზე, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასა და სოციალური თანასწორობის დონეზე.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს ლიტერატურის ანალიზს, შედარებით კვლევას, კონცეპტუალურ შეფასებასა და შემთხვევების ინტერპრეტაციას. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკა წარმოადგენს არა მხოლოდ ოპერაციულ მექანიზმს, არამედ ურბანული მმართველობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც გავლენას ახდენს ქალაქის სივრცით ორგანიზებასა და რესურსების განაწილებაზე.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების დროს სატრანსპორტო პოლიტიკა ხშირად იწვევს მობილობის დროებით შეზღუდვებს და არათანაბარ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის, რაც ზრდის ურბანული უთანასწორობის რისკს.

ამავდროულად, სწორად დაგეგმილი ლოჯისტიკა ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ქალაქის გრძელვადიან გაუმჯობესებას.

სტატია ხაზს უსვამს ინკლუზიური ურბანული მართვის, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და სოციალური ეფექტების წინასწარი შეფასების მნიშვნელობას, როგორც ეფექტიანი სატრანსპორტო პოლიტიკის აუცილებელ კომპონენტებს.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო ლოჯისტიკა, ურბანული მართვა, სპორტული ღონისძიებები, მობილობა, სოციალური უთანასწორობა

Transport Logistics and Urban Governance in the Context of International Sports Events

Nana Shashiashvili

Faculty of Sports Management and Administration,

Georgian State University of Sport

nana.shashiashvili@sportuni.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-5239-5905

Abstract

This article examines the interrelationship between transport logistics and urban governance in the context of international sports events and analyzes their social, political, and infrastructural impacts on urban functioning. The study focuses on how the organization of transport systems during large-scale sports events influences population mobility, the implementation of state policies, and the level of social equity within urban environments.

The research is based on a qualitative methodological approach, including literature analysis, comparative analysis, conceptual assessment, and case study interpretation. The findings reveal that transport logistics represents not only an operational mechanism but also an important instrument of urban governance, significantly affecting spatial organization and resource distribution within cities.

The results indicate that during international sports events, transport policies often lead to temporary mobility restrictions and unequal accessibility for different social groups, thereby increasing the risk of urban inequality. At the same time, well-planned transport logistics contributes to infrastructure development and the long-term improvement of urban systems.

The article emphasizes the importance of inclusive urban governance, data-driven decision-making, and ex-ante assessment of social impacts as essential components of effective transport policy in the context of large-scale events.

Keywords: Transport logistics, urban governance, sports events, mobility, social inequality.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია სატრანსპორტო ლოჯისტიკისა და ურბანული მართვის ურთიერთკავშირის ანალიზი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების კონტექსტში და მისი სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენების შეფასება.

კვლევის ამოცანები

- როგორ მოქმედებს სატრანსპორტო ლოჯისტიკა ქალაქის მოსახლეობაზე?
- რა როლი აქვს სახელმწიფოს ტრანსპორტის მართვაში?
- იწვევს თუ არა ასეთი ღონისძიებები ურბანულ უთანასწორობას?

კვლევის მეთოდები / მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება თვისებრივ კვლევით მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს სატრანსპორტო ლოჯისტიკისა და ურბანული მართვის ურთიერთკავშირის ანალიზს საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების კონტექსტში.

1. ლიტერატურის ანალიზი. კვლევის ფარგლებში განხორციელდა თანამედროვე აკადემიური ნაშრომებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მიმოხილვა, რომლებიც ეხება ურბანულ მართვას (“urban governance“), სატრანსპორტო ლოჯისტიკას, მასობრივი ღონისძიებების მართვას;

2. შედარებითი ანალიზი. გამოყენებულ იქნა შედარებითი მიდგომა სხვადასხვა ქალაქში ჩატარებული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მაგალითების შეფასების მიზნით. ანალიზი მოიცავდა სატრანსპორტო პოლიტიკას, ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს, მოსახლეობაზე ზემოქმედებას;

3. კონცეპტუალური ანალიზი. კვლევა ეფუძნება ისეთი ცნებების ანალიზს, როგორიცაა ურბანული მართვა, სოციალური უთანასწორობა, მობილობის ხელმისაწვდომობა;

4. შემთხვევების ანალიზი. განხილულია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების პრაქტიკული მაგალითები, სადაც შეფასდა სატრანსპორტო შეზღუდვები, სპეციალური მარშრუტები, მოსახლეობის გადაადგილების ცვლილებები;

5. სისტემური მიდგომა. კვლევა ეფუძნება სისტემურ ხედვას, რომლის მიხედვით სატრანსპორტო ლოჯისტიკა განიხილება როგორც: ურთიერთდაკავშირებული პროცესების სისტემა (ინფრასტრუქტურა + პოლიტიკა + საზოგადოება).

შესავალი

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები თანამედროვე ურბანულ სივრცეში განიხილება როგორც რთული სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული სისტემები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქების განვითარების დინამიკაზე. ასეთი ღონისძიებები წარმოშობს მასშტაბური მობილობის მოთხოვნას, რაც სატრანსპორტო ლოჯისტიკას აქცევს ურბანული მართვის ერთ-ერთ ცენტრალურ კომპონენტად. თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ მასობრივი სპორტული ღონისძიებები არა მხოლოდ დროებით ზრდის სატრანსპორტო დატვირთვას, არამედ ცვლის ქალაქის სივრცით ორგანიზებას და მმართველობით სტრუქტურებს [1].

ბოლო წლებში სატრანსპორტო ლოჯისტიკის კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „მობილობის როგორც სერვისის“ (“MaaS“) კონცეფციას, რომელიც ეფუძნება ციფრული პლატფორმების საშუალებით ტრანსპორტის ინტეგრირებულ მართვას. კვლევები აჩვენებს, ასეთი სისტემები განსაკუთრებით ეფექტიანია მასობრივი ღონისძიებების დროს, რადგან უზრუნველყოფს მოთხოვნის სწრაფ ადაპტაციას და მობილობის ოპტიმიზაციას [2]. თუმცა, მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა, ურბანული სატრანსპორტო სისტემები კვლავ რჩება მაღალი კომპლექსურობისა და დაუბალანსებელი მოთხოვნის გარემოში.

სატრანსპორტო ლოჯისტიკა სპორტულ ღონისძიებებში ასევე განიხილება როგორც ურბანული განვითარების კატალიზატორი, რომელიც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და ქალაქის გლობალურ ინტეგრაციას [3]. ამავე დროს, ლიტერატურა ხაზს უსვამს, რომ ასეთი ღონისძიებები ხშირად ქმნის დროებით დისბალანსს სატრანსპორტო მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რაც იწვევს გადატვირთვასა და რესურსების არაეფექტიან განაწილებას [4].

სისტემური კვლევები აჩვენებს, რომ სპორტული ღონისძიებების სატრანსპორტო მართვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ურბანულ პოლიტიკასა და სახელმწიფო გადაწყვეტილებებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მმართველობითი სტრუქტურების როლი, რომლებიც განსაზღვრავენ ინფრასტრუქტურულ პრიორიტეტებს და სატრანსპორტო ნაკადების რეგულირების მექანიზმებს [5]. ამ კონტექსტში, ურბანული მართვა არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ტექნიკური ჭრილში, რადგან იგი პირდაპირ უკავშირდება სოციალურ სამართლიანობასა და სივრცით თანასწორობას.

კვლევები ასევე მიუთითებს, რომ სატრანსპორტო სისტემებში არსებული უთანასწორობა ხშირად გადაიზრდება სოციალურ უთანასწორობაში, რადგან მობილობა წარმოადგენს ქალაქში რესურსებზე წვდომის ძირითად წინაპირობას [6]. განსაკუთრებით სპორტული ღონისძიებების დროს, სხვადასხვა სატრანსპორტო

პრიორიტეტის განაწილება ხშირად იწვევს გარკვეული სოციალური ჯგუფების მარგინალიზაციას [7].

ამავე დროს, ურბანული სატრანსპორტო სისტემების ანალიზი აჩვენებს, რომ მობილობა არ არის მხოლოდ ფიზიკური გადაადგილება, ის სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განმსაზღვრელი ფაქტორიცაა [8]. შესაბამისად, სატრანსპორტო პოლიტიკის დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ოპერაციულ ეფექტიანობას, არამედ სოციალურ შედეგებსაც.

ბოლო წლებში განვითარებული კვლევები ხაზს უსვამს, რომ სპორტული ღონისძიებების სატრანსპორტო მართვა წარმოადგენს მრავალდონიან სისტემას, სადაც ერთმანეთს ერწყმის ტექნოლოგიური ინოვაციები, ურბანული დაგეგმვა და სოციალური პოლიტიკა [9]. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და რეალურ დროში მართვის სისტემების გამოყენება [10].

სისტემური მიდგომის მიხედვით, სატრანსპორტო ლოჯისტიკა უნდა განიხილებოდეს როგორც ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ქსელი, სადაც ინფრასტრუქტურა, პოლიტიკა და საზოგადოებრივი ქცევა ქმნის ერთიან ურბანულ ეკოსისტემას [11]. სწორედ ამ ინტეგრირებული ხედვის საფუძველზე შესაძლებელია ქალაქის სატრანსპორტო სისტემების მდგრადი განვითარება.

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების სატრანსპორტო ლოჯისტიკა წარმოადგენს არა მხოლოდ ოპერაციულ გამოწვევას, არამედ სოციოპოლიტიკურ საკითხს, რომელიც მოითხოვს მრავალდონიან ანალიზს, ინკლუზიურ მმართველობას და მდგრადი ურბანული პოლიტიკის შემუშავებას [12].

ძირითადი ნაწილი

სატრანსპორტო ლოჯისტიკა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების კონტექსტში წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნიკურ და ოპერაციულ პროცესს, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც

განსაზღვრავს ქალაქის ფუნქციონირების სპეციფიკას, მოსახლეობის მობილობასა და რესურსებზე წვდომას. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ლიტერატურის, შედარებითი და შემთხვევების ანალიზი აჩვენებს, რომ სატრანსპორტო სისტემების ორგანიზება მჭიდროდ არის დაკავშირებული ურბანული მართვის მოდელებთან და სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებთან.[278]

I. სატრანსპორტო ლოჯისტიკის გავლენა ქალაქის მოსახლეობაზე

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების განმავლობაში სატრანსპორტო ლოჯისტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სატრანსპორტო ნაკადების გადანაწილება, სპეციალური მარშრუტების შექმნა და გზების დროებითი დაკეტვა იწვევს მობილობის სტრუქტურის ცვლილებას, რაც პირდაპირ აისახება ქალაქის ფუნქციონირებასა და მოსახლეობის გადაადგილების შესაძლებლობებზე. ამ პროცესის სისტემური ანალიზისთვის მნიშვნელოვანია მისი ეფექტების დიფერენცირება როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე სოციალურ ჭრილში (იხ. ცხრილი 1).[279]

[278] Covelli Garrido C. I., Giovannini A., Mangone A., & Silvestri F. (2023). *Managing urban mobility during big events through living lab approach*. Sustainability, 15(19), 14566.
[279] Balletto G., & Borruso G. (2023). *Mobility and land-use system in sport mega-events*. European Transport.

ცხრილი 1 — სატრანსპორტო ლოჯისტიკის გავლენა ქალაქის მოსახლეობაზე

გავლენის მიმართულება	დადებითი ეფექტი	უარყოფითი ეფექტი	სოციალური შედეგი
სატრანსპორტო ნაკადების განაწილება	მოძრაობის ოპტიმიზაცია ღონისძიების ზონებში	გადატვირთვა ალტერნატიულ მარშრუტებზე	მობილობის დისბალანსი
სპეციალური მარშრუტების შექმნა	სწრაფი გადაადგილება მონაწილეებისა და სტუმრებისათვის	ადგილობრივი მარშრუტების შეზღუდვა	ხელმისაწვდომობის შემცირება
გზების დროებითი დაკეტვა	უსაფრთხოების გაზრდა	გადაადგილების შეფერხება	დროებითი სოციალური იზოლაცია
საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეორგანიზაცია	სერვისის გაუმჯობესება	დაგვიანებები და გადატვირთვა	მომსახურების არათანაბარი ხელმისაწვდომობა
ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება	გრძელვადიანი გაუმჯობესება	მოკლევადიანი დისკომფორტი	განვითარების/შეზღუდვის პარალელური ეფექტი

ცხრილი 1 აჩვენებს, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკის გავლენა არის ორმხრივი და მოიცავს როგორც განვითარების, ისე შეზღუდვის კომპონენტებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროითი განზომილება – დადებითი ეფექტები ხშირად გრძელვადიან პერსპექტივაში ვლინდება, ხოლო უარყოფითი გავლენები ძირითადად ღონისძიების მიმდინარეობისას კონცენტრირდება. ერთი მხრივ, აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოდერნიზაციასა და ქალაქის გრძელვადიან განვითარებას. მეორე მხრივ, მოკლევადიან პერიოდში ხშირად იკვეთება გადაადგილების შეზღუდვები, რაც განსაკუთრებით პრობლემურია იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც დამოკიდებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე.

კვლევის სიღრმისეულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკის გავლენა მოსახლეობაზე ერთგვაროვნად არ გამოისახება და იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება სოციალური და ეკონომიკური ჯგუფების მიხედვით. ამ განსხვავებების უკეთ წარმოსაჩენად წარმოდგენილია ცხრილი N2.

ცხრილი 2 — სოციალური ჯგუფების გავლენა სატრანსპორტო ლოჯისტიკაზე

სოციალური ჯგუფი	**სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა**	**გავლენის ხასიათი ღონისძიების პერიოდში**	**ძირითადი შედეგი**
მაღალი შემოსავლის ჯგუფი	მაღალი	მინიმალური შეფერხებები	სტაბილური მობილობა
საშუალო ფენა	საშუალო	ნაწილობრივი შეზღუდვები	დროებითი დისკომფორტი
დაბალი შემოსავლის ჯგუფი	დაბალი	მნიშვნელოვანი შეზღუდვები	სერვისებზე წვდომის შემცირება
პერიფერიული მოსახლეობა	ძალიან დაბალი	სისტემური იზოლაციის რისკი	სოციალური მარგინალიზაცია

ცხრილი N2 ხაზს უსვამს, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკის ეფექტები პირდაპირ უკავშირდება სოციალურ უთანასწორობას. მობილობაზე ხელმისაწვდომობა განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის არ არის თანაბარი, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ღონისძიებების პიკის პერიოდში.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკის დაგეგმვა ხშირად პრიორიტეტს ანიჭებს ღონისძიების მონაწილეებსა და ვიზიტორებს, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები ნაწილობრივ იგნორირებულია. ეს ქმნის მობილობის დისბალანსს და ამცირებს ქალაქის გარკვეული ჯგუფების ხელმისაწვდომობას ძირითად სერვისებზე ამ კონტექსტში აშკარად იკვეთება, რომ სატრანსპორტო სისტემების მართვა საჭიროებს არა მხოლოდ ოპერაციულ ოპტიმიზაციას, არამედ სოციალური თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას,

რათა შემცირდეს ურბანული უთანასწორობის რისკი და უზრუნველყოფილ იქნას უფრო ინკლუზიური მობილობის სისტემა.

II. სახელმწიფოს როლი სატრანსპორტო მართვაში

სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება ასრულებს ცენტრალურ როლს სატრანსპორტო ლოჯისტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. კვლევის ფარგლებში ჩატარებული შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ წარმატებული პრაქტიკა ეფუძნება კოორდინირებულ პოლიტიკას, სადაც სახელმწიფო ახორციელებს ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს, სატრანსპორტო ნაკადების რეგულირებას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ბალანსირებას. ამ ფუნქციების კომპლექსურობა უკეთ ჩანს ცხრილში N3.

ცხრილი 3— სახელმწიფოს როლი სატრანსპორტო ლოჯისტიკის მართვაში

სახელმწიფო ფუნქცია	**შინაარსი**	**მოსალოდნელი შედეგი**	**შესაძლო გამოწვევა**
ინფრასტრუქტურული ინვესტიციები	გზების, ტრანსპორტის და საკვანძო ობიექტების განვითარება	გრძელვადიანი ურბანული განვითარება	მაღალი ფინანსური ხარჯები
სატრანსპორტო ნაკადების რეგულირება	მარშრუტების მართვა და დროებითი შეზღუდვები	ოპერაციული ორგანიზებულობა ღონისძიებების დროს	მოსახლეობის დისკომფორტი
უსაფრთხოების უზრუნველყოფა	პოლიციისა და მონიტორინგის სისტემების ჩართულობა	საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზრდა	ზედმეტი კონტროლი
ინტერესთა ჯგუფების ბალანსირება	სტუმრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინება	სოციალური სტაბილურობა	ინტერესთა კონფლიქტი
პოლიტიკის კოორდინაცია	ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის თანამშრომლობა	ეფექტიანი მმართველობა	ბიუროკრატიული შეფერხებები

ცხრილი N3 აჩვენებს, რომ სახელმწიფოს როლი სატრანსპორტო ლოჯისტიკაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ოპერაციული მართვით, არამედ მოიცავს სტრატეგიულ, სოციალურ და პოლიტიკურ კომპონენტებსაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თითოეული ფუნქცია ერთდროულად ქმნის როგორც პოზიტიურ ეფექტს, ისე პოტენციურ რისკს, რაც საჭიროებს დაბალანსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. თუმცა, ასევე გამოვლინდა, რომ ზოგ შემთხვევაში გადაწყვეტილებები მიიღება ცენტრალიზებულად, საზოგადოებრივი ჩართულობის დაბალი დონით. ეს ზრდის სოციალური უკმაყოფილების რისკს და ამცირებს გადაწყვეტილებების მიმღებლობას, განსაკუთრებით იმ ჯგუფებში, რომლებზეც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს სატრანსპორტო შეზღუდვები.

შემთხვევების ანალიზმა აჩვენა, რომ ეფექტიანი ურბანული მართვა საჭიროებს არა მხოლოდ ტექნიკურ დაგეგმვას, არამედ მონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებულ მმართველობას, სადაც მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასეთი მიდგომა ზრდის როგორც პოლიტიკის გამჭვირვალობას, ისე სოციალური თანხმობის ხარისხს და ამცირებს სხვადასხვა კონფლიქტურ რისკს ურბანულ სივრცეში. განსხვავებული მართვის მოდელების უკეთ გასაანალიზებლად შესაძლებელია მათი შედარება (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4 – ცენტრალიზებული და მონაწილეობითი სატრანსპორტო მართვის შედარება

მახასიათებელი	**ცენტრალიზებული მართვა**	**მონაწილეობითი მართვა**
გადაწყვეტილების მიღება	სახელმწიფოს/მთავრობის დონე	მრავალმხრივი ჩართულობა (მოსახლეობა, ექსპერტები, მუნიციპალიტეტი)
მოქნილობა	დაბალი	მაღალი
რეაგირების სისწრაფე	მაღალი მოკლევადიან კრიზისებში	საშუალო, მაგრამ სტაბილური
სოციალური ლეგიტიმურობა	შედარებით დაბალი	მაღალი
კონფლიქტის რისკი	მაღალი	დაბალი
პოლიტიკის მდგრადობა	საშუალო	მაღალი გრძელვადიან პერსპექტივაში

ცხრილი N4 აჩვენებს, რომ ცენტრალიზებული მართვა უფრო ეფექტიანია სწრაფი და კრიზისული გადაწყვეტილებების მიღებისას, თუმცა, ხშირად სუსტდება სოციალური ლეგიტიმურობისა და ჩართულობის კუთხით. მეორე მხრივ, მონაწილეობითი მმართველობა უზრუნველყოფს უფრო მდგრად და ინკლუზიურ შედეგებს, თუმცა, საჭიროებს მეტ დროსა და კოორდინაციას.

ამგვარად, კვლევა ადასტურებს, რომ თანამედროვე სატრანსპორტო ლოჯისტიკის მართვა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების კონტექსტში მოითხოვს ჰიბრიდულ მიდგომას, სადაც ცენტრალური ხელისუფლების სტრატეგიული გადაწყვეტილებები შერწყმულია ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობასა და ექსპერტულ ანალიზთან.[280]

III. ლოჯისტიკა და ურბანული უთანასწორობა

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკა ხშირად წარმოშობს ან ამძაფრებს სოციალურ უთანასწორობას. კონცეპტუალური ანალიზი აჩვენებს, რომ მობილობა წარმოადგენს არა მხოლოდ გადაადგილების შესაძლებლობას, არამედ სოციალურ რესურსს, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის მონაწილეობას ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

სპორტული ღონისძიებების დროს შეინიშნება შემდეგი ტენდენციები:

- სატრანსპორტო პრიორიტეტი ენიჭება ღონისძიების მონაწილეებსა და სტუმრებს
- ქალაქის ცენტრალური ზონები უკეთ არის უზრუნველყოფილი ტრანსპორტით
- პერიფერიული უბნები და დაბალი შემოსავლის ჯგუფები ნაკლებად სარგებლობენ გაუმჯობესებული სერვისებით

[280] Pache G. (2024). *Urban logistics challenges in mega-events: The case of Olympic Games*. Transportation Research Procedia.

ამ ტენდენციების სისტემური ანალიზისთვის წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული ცხრილი N5.

ცხრილი N5 – სატრანსპორტო პრიორიტეტების განაწილება ქალაქში

სივრცითი ზონა / ჯგუფი	სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა	პრიორიტეტის დონე	შედეგი
ღონისძიების არეალი	ძალიან მაღალი	მაქსიმალური	პრივილეგირებული მობილობა
ცენტრალური უბნები	მაღალი	მაღალი	გაუმჯობესებული მომსახურება
საშუალო ურბანული ზონები	საშუალო	საშუალო	ნაწილობრივი შეზღუდვები
პერიფერიული უბნები	დაბალი	დაბალი	სერვისის შეზღუდვა

ცხრილი N5 აჩვენებს, რომ სატრანსპორტო სისტემების დაგეგმვა ხშირად კონცენტრირებულია ღონისძიების გეოგრაფიულ ცენტრზე, რაც ქმნის სივრცით არათანაბარ მობილობას ქალაქის შიგნით. ეს დისბალანსი პირდაპირ აისახება სოციალურ სტრუქტურაზე. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე, რომელთაც ნაკლები წვდომა აქვთ კერძო ტრანსპორტზე და დამოკიდებულნი არიან საზოგადოებრივ სისტემაზე. ამ პროცესის სოციალური შედეგების უკეთ გასაანალიზებლად წარმოდგენილია ცხრილი N6.

ცხრილი N6 – მობილობის უთანასწორობის სოციალური შედეგები

სოციალური ჯგუფი	**მობილობის დონე**	**გავლენა ღონისძიების განმავლობაში**	**გრძელვადიანი შედეგი**
მაღალი შემოსავალი	მაღალი	მინიმალური შეფერხება	სტაბილური წვდომა რესურსებზე
საშუალო ფენა	საშუალო	დროებითი დისკომფორტი	ნაწილობრივი ადაპტაცია
დაბალი შემოსავალი	დაბალი	მნიშვნელოვანი შეზღუდვა	სოციალური მოწყვლადობა
პერიფერიული მოსახლეობა	ძალიან დაბალი	იზოლაციის რისკი	ეკონომიკური და სოციალური მარგინალიზაცია

ცხრილი N6 ხაზს უსვამს, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკის გავლენა არ არის ნეიტრალური და იგი პირდაპირ უკავშირდება სოციალურ სტრუქტურას. მობილობის შეზღუდვა განსაკუთრებით მძიმედ აისახება დაბალი შემოსავლისა და პერიფერიული მოსახლეობის ჯგუფებზე, რაც ზრდის ურბანული უთანასწორობის რისკს. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკა სპორტული ღონისძიებების კონტექსტში წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ სოციოპოლიტიკურ ფენომენს, რომელიც საჭიროებს თანაბრობის პრინციპებზე დაფუძნებულ დაგეგმვასა და ინკლუზიურ ურბანულ პოლიტიკას.

IV. სისტემური ანალიზი: ინფრასტრუქტურა, პოლიტიკა და საზოგადოება

სისტემური მიდგომის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა სატრანსპორტო ლოჯისტიკა როგორც მრავალკომპონენტიანი სისტემა. ლოჯისტიკის განხილვა შესაძლებელია როგორც მრავალკომპონენტიანი სისტემა, სადაც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო პოლიტიკა და სოციალური პროცესები. აღნიშნული კომპონენტები ქმნის ერთიან ურბანულ ეკოსისტემას, რომლის ფუნქციონირება დამოკიდებულია მათ შორის ბალანსსა და კოორდინაციაზე. ამ სისტემური ურთიერთკავშირის უკეთ აღსაქმელად წარმოდგენილია ცხრილი N7.

ცხრილი 7 – სატრანსპორტო ლოჯისტიკის სისტემური კომპონენტები

კომპონენტი	**ძირითადი ფუნქცია**	**გავლენის სფერო**	**შესაძლო რისკი დისბალანსის შემთხვევაში**
ინფრასტრუქტურა	სატრანსპორტო ქსელის ფიზიკური უზრუნველყოფა	გადაადგილება, მობილობა	არაეფექტიანი ან არასაკმარისი გამოყენება
სახელმწიფო პოლიტიკა	რეგულაცია, დაგეგმვა და კოორდინაცია	მართვა და ორგანიზება	ცენტრალიზაცია ან არათანაბარი გადაწყვეტილებები
სოციალური პროცესები	მოსახლეობის ქცევა და სხვადასხვა საჭიროება	საზოგადოებრივი მობილობა	სოციალური უკმაყოფილება და უთანასწორობა

ანალიზი აჩვენებს, რომ ამ კომპონენტებს შორის დისბალანსი იწვევს სისტემურ პრობლემებს. მაგალითად, ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება, რომელიც არ არის მორგებული მოსახლეობის რეალურ საჭიროებებზე, ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან ეფექტს და ხშირად ხდება რესურსების არაეფექტიანი გამოყენების მიზეზი. ამასთანავე, ტექნიკური გადაწყვეტილებების მიღება სოციალური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე იწვევს პოლიტიკურ და სოციალურ დაძაბულობას, რაც ამცირებს ურბანული მართვის ლეგიტიმურობას და ეფექტიანობას.

შესაბამისად, სატრანსპორტო ლოჯისტიკის ეფექტიანი მართვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ინტეგრირებულია ურბანული მართვის ფართო სტრატეგიაში, სადაც სამივე კომპონენტი განიხილება როგორც ერთიანი და ურთიერთდამოკიდებული სისტემა.[281]

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების კონტექსტში არ შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ როგორც ტექნიკური ან ოპერაციული სისტემა. იგი წარმოადგენს

[281] Zhang X., Li, Y., & Wang H. (2023). *The application potential of Mobility as a Service (MaaS) at mega events: A case study of Hangzhou Asian Games*. Journal of Cleaner Production, 427, 139211.

კომპლექსურ სოციალურ-პოლიტიკურ მექანიზმს, რომელიც აქტიურად ზემოქმედებს ქალაქის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე, ურბანულ სტრუქტურასა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ურთიერთობაზე.

პირველ რიგში, სატრანსპორტო ლოჯისტიკის გავლენა მკაფიოდ აისახება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. გადაადგილების სხვადასხვა შეზღუდვა, ნაკადების გადანაწილება და ინფრასტრუქტურული ცვლილებები ხშირად ცვლის მოქალაქეების ყოველდღიურ რუტინას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებები გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა იწვევდეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მოკლევადიანი ეფექტი ხშირად დაკავშირებულია დროებით დისკომფორტსა და მობილობის შემცირებასთან.

მეორე მნიშვნელოვანი განზომილება არის სოციალური სამართლიანობა. სატრანსპორტო სისტემების ორგანიზება ხშირად ასახავს რესურსების არათანაბარ განაწილებას ქალაქში. ცენტრალური ზონები და ღონისძიების ლოკაციები, როგორც წესი, იღებენ პრიორიტეტულ მომსახურებას, მაშინ როდესაც პერიფერიული უბნები ნაკლებად არიან ინტეგრირებული სატრანსპორტო ქსელში. ეს ქმნის ე. წ. მობილობის უთანასწორობას, რაც პირდაპირ აისახება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შესაძლებლობებზე – მათ შორის დასაქმებაზე, განათლებასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

მესამე მნიშვნელოვანი ასპექტია სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა. სატრანსპორტო ლოჯისტიკა სპორტული ღონისძიებების დროს ხშირად წარმოადგენს სახელმწიფოს შესაძლებლობას, მოახდინოს ურბანული ინფრასტრუქტურის სწრაფი მოდერნიზაცია და მართვის სისტემების ოპტიმიზაცია. თუმცა, თუ ეს პროცესი არ არის სწორად დაგეგმილი და არ ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს, შესაძლებელია წარმოიქმნას სოციალური უკმაყოფილება და გადაწყვეტილებების მიმღებლობის შემცირება.

მიღებული შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ აუცილებელია ბალანსის დაცვა ღონისძიების ორგანიზაციულ წარმატებასა და ქალაქის მოსახლეობის ინტერესებს შორის. მხოლოდ ტექნიკური ეფექტიანობა არ არის საკმარისი ურბანული სატრანსპორტო პოლიტიკის შეფასებისთვის – საჭიროა მისი სოციალური შედეგების გათვალისწინება.[282]

ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი ძირითადი მიმართულება:

- ინკლუზიური ურბანული მართვა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამცირებს მობილობის უთანასწორობას;
- მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რაც გულისხმობს სატრანსპორტო ნაკადების ანალიზს, პროგნოზირებას და რეალურ დროში მართვას;
- სოციალური ეფექტების წინასწარი შეფასება, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ღონისძიების შესაძლო გავლენა მოსახლეობაზე ჯერ კიდევ დაგეგმვის ეტაპზე.

შესაბამისად, სატრანსპორტო ლოჯისტიკა უნდა განიხილებოდეს როგორც მრავალგანზომილებიანი სისტემა, სადაც ტექნიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთობლივად განსაზღვრავს ქალაქის მდგრად განვითარებას.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების კონტექსტში წარმოადგენს მრავალგანზომილებიან სისტემას, რომელიც სცდება მხოლოდ გადაადგილების ორგანიზების ტექნიკურ ამოცანას და მჭიდროდ უკავშირდება ურბანული მართვის, სოციალური სტრუქტურისა და

[282] Lauermann J. (2022). *The declining appeal of mega-events in entrepreneurial cities*. Cities, 40(6), 239-252.

სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებს. მისი ფუნქციონირება ერთდროულად მოიცავს ინფრასტრუქტურულ დაგეგმვას, მობილობის რეგულირებას და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების დაბალანსებას.

კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკის გავლენა ქალაქის მოსახლეობაზე არის როგორც დადებითი, ისე გამოწვევებით სავსე. ერთი მხრივ, სპორტული ღონისძიებები ხშირად იწვევს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოდერნიზაციას და ქალაქის საერთაშორისო იმიჯის გაძლიერებას. მეორე მხრივ, დროებითი შეზღუდვები, გადაადგილების სირთულეები და სატრანსპორტო ნაკადების გადანაწილება ქმნის გარკვეულ დისკომფორტს მოსახლეობისთვის, რაც განსაკუთრებით მძიმედ აისახება მოწყვლად სოციალურ ჯგუფებზე.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა არის ის, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკა პირდაპირ არის დაკავშირებული სოციალურ სამართლიანობასთან. ქალაქის სივრცის დროებითი რეორგანიზაცია ხშირად იწვევს მობილობის უთანასწორობას, როდესაც სხვადასხვა სოციალური ჯგუფი არათანაბრად სარგებლობს სატრანსპორტო რესურსებით. ეს მიუთითებს, რომ სატრანსპორტო პოლიტიკა არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ტექნიკური ეფექტიანობის ჭრილში და აუცილებელია მისი სოციალური შედეგების გათვალისწინება.

გამოვლინდა, რომ სახელმწიფოს როლი კრიტიკულია სატრანსპორტო ლოჯისტიკის წარმატებაში. ეფექტიანი ურბანული მართვა საჭიროებს კოორდინირებულ პოლიტიკას, სადაც ინფრასტრუქტურული განვითარება, ოპერაციული გადაწყვეტილებები და სოციალური ინტერესები ერთიან სისტემად არის განხილული. ცენტრალიზებული და არასაკმარისად ინკლუზიური მიდგომები ზრდის სოციალური დაძაბულობისა და პოლიტიკის არაეფექტიანობის რისკს.

საბოლოო ჯამში, კვლევა აჩვენებს, რომ სატრანსპორტო ლოჯისტიკის მართვა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინკლუზიური ურბანული

მართვის განვითარება, მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვის გაძლიერება და სოციალური ეფექტების წინასწარი შეფასების პრაქტიკის დანერგვა.

ამგვარად, სატრანსპორტო ლოჯისტიკა განიხილება არა მხოლოდ როგორც ოპერაციული სისტემა, არამედ როგორც ქალაქის განვითარების სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომლის ეფექტიანი მართვა განსაზღვრავს როგორც ღონისძიების წარმატებას, ისე ურბანული გარემოს მდგრადობასა და სოციალური სამართლიანობის ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alessandretti L., & Szell M. (2022). *Urban mobility: A complexity science perspective*. arXiv preprint.
2. Balletto G., & Borruso G. (2023). *Mobility and land-use system in sport mega-events*. European Transport.
3. Baroghi F., Ribeiro P. J. G. & Fonseca F. (2024). *Towards a holistic framework for Olympic-led sustainable urban planning*. Sustainability.
4. Covelli Garrido C. I., Giovannini A., Mangone A., & Silvestri F. (2023). *Managing urban mobility during big events through living lab approach*. Sustainability, 15(19), 14566.
5. Iyer N., Menezes R. & Barbosa H. (2023). *Mobility and transit segregation in urban spaces*. arXiv preprint.
6. Lauermann J. (2022). *The declining appeal of mega-events in entrepreneurial cities*. Cities, 40(6), 239-252.
7. Macedo M., Lotero L., Cardillo A., Menezes R., & Barbosa H. (2022). *Urban mobility inequalities and socioeconomic differences*. arXiv preprint.
8. Pache G. (2024). *Urban logistics challenges in mega-events: The case of Olympic Games*. Transportation Research Procedia.
9. Pott C., Spiekermann C., & Breuer C. (2023). *Managing logistics in sport: A systematic literature review*. Management Review Quarterly.
10. Salazar-Serna K., Cadavid L., & Franco, C. J. (2024). *Modeling urban transport choices: Sociocultural aspects*. arXiv preprint.
11. Wolfe S. D., Gogishvili D., Chappelet J. L., & Müller, M. (2022). *Urban and economic impacts of mega-events*. Sport in Society.
12. Zhang X., Li, Y., & Wang H. (2023). *The application potential of Mobility as a Service (MaaS) at mega events: A case study of Hangzhou Asian Games*. Journal of Cleaner Production, 427, 139211.

გლობალიზმის საერთო გამოწვევები და შრომის სამყაროს ევოლუცია უთანასწორო ეკონომიკური ინტერნაციონალიზაციის ტენდენციების ფონზე

მალხაზ სამაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ფაკულტეტის დოქტორანტი

malkhazsamashvili@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0000-7797-9358

DOI: 10.52340/splogos.2026.01.25

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია გლობალიზაცია, როგორც საკაცობრიო მასშტაბის რთული, მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობრივი პროცესი. ავტორი აანალიზებს გლობალიზაციის ისტორიულ ფესვებს (კოლონიალიზმიდან თანამედროვე ფორმებამდე), მის კონცეპტუალურ დებატებს გლობალისტებსა და სკეპტიკოს/ანტიგლობალისტებს შორის, ეკონომიკურ უთანასწორობას, ტრანსნაციონალური კორპორაციების (კორპორატოკრატიის) მზარდ გავლენას და შრომის სამყაროს ევოლუციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გლობალური ეკონომიკური ინტერნაციონალიზაციის უარყოფით შედეგებს – შრომის ექსპლუატაციას, უთანასწორობის გაღრმავებასა და სოციალურ დისბალანსს. სტატიის დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია გლობალური სოციალური დიალოგისა და საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის როლი, როგორც გლობალიზაციის უარყოფითი მხარეების შემამსუბუქებელი და უფრო სამართლიანი მოდელის ჩამოყალიბების მექანიზმი.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზმი, შრომის სამყარო, უთანასწორო ეკონომიკური ინტერნაციონალიზაცია, ტრანსნაციონალური კორპორაციები, ეკონომიკური უთანასწორობა.

General Challenges of Globalization and the Evolution of the World of Work in the Context of Trends of Uneven Economic Internationalization

Malkhaz Samashvili

PhD Student, Faculty of Law and International Relations,

Georgian Technical University

malkhazsamashvili@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0000-7797-9358

Abstract

The article discusses globalization as a complex, multifaceted, and contradictory process on a human scale. The author analyzes the historical roots of globalization (from colonialism to modern forms), its conceptual debates between globalists and skeptics/anti-globalists, economic inequality, the growing influence of transnational corporations (corporatocracy), and the evolution of the world of work. Particular attention is paid to the negative consequences of global economic internationalization - labor exploitation, deepening inequality, and social imbalance. The conclusion emphasizes the role of global social dialogue and the international trade union movement as a mechanism for mitigating the negative aspects of globalization and establishing a more just model.

Keywords: Globalism, world of work, unequal economic internationalization, transnational corporations, economic inequality

სტატიის მიზანი

სტატიის მთავარი მიზანია გლობალიზაციის, როგორც ორმხრივი (პოზიტიურ-ნეგატიური) ფენომენის კომპლექსური ანალიზი უთანასწორო ეკონომიკური ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში და შრომის სამყაროს (“labor world“) ევოლუციის გამოკვეთა.

კონკრეტული ამოცანებია

გლობალიზაციის თეორიული საფუძვლებისა და ისტორიული განვითარების წარმოჩენა;

გლობალისტურ და ანტიგლობალისტური დებატების შედარებითი ანალიზი;

ტრანსნაციონალური კორპორაციების დომინირებისა და მისგან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის დემონსტრაცია;

გლობალური პროფკავშირული მოძრაობისა და სოციალური დიალოგის როლის გამოკვეთა, როგორც საპასუხო მექანიზმისა და ალტერნატიული გზისა.

მეცნიერული სიახლე

ინტერდისციპლინური მიდგომა – ავტორი აერთიანებს საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიისა და შრომის ურთიერთობების თეორიებს.

აქცენტი შრომის სამყაროზე – გლობალიზაცია განიხილება, პირველ რიგში, შრომითი ურთიერთობების, პროფკავშირებისა და სოციალური დიალოგის გლობალიზაციის კუთხით, რაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა წარმოდგენილი.

კორპორატოკრატიის კრიტიკული ანალიზი – მულტინაციონალური კორპორაციების პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალაუფლების დეტალური განხილვა (“Apple“, “Foxconn“, “H&M“ და სხვ.) და მათი გავლენა სახელმწიფო სუვერენიტეტზე.

პრაქტიკული ორიენტაცია – გლობალური პროფკავშირული მოძრაობის როლისა და სოციალური დიალოგის „გლობალური“ ფორმატის პერსპექტივების წარმოჩენა, როგორც გლობალიზაციის უფრო ჰუმანური და სამართლიანი მოდელის შექმნის საშუალება.

თანამედროვე მაგალითების (“COVID-19“-ის, “G7“-ის გადასახადების შეთანხმება, ტექნოლოგიური გიგანტების ცენზურა) ინტეგრაცია კლასიკურ თეორიებთან (ფუკუიამა, ჰანტინგტონი, ბაუმანი, მანი, პოლანი).

გლობალიზაცია საკაცობრიო მსოფლიო ხასიათის მოვლენაა... თითქოს უხილავია... ჰიპოთეტური... უმართავი, მაგრამ ამასთან რეალურ სისტემათა და მართული მექანიზმების ერთობლიობაა და მისი საცეცები ყველგან და ყველაფერშია, რაც კი სფერო და დარგია მატერიალურ თუ არამატერიალურ ჭრილში მთელი დედამიწის ზურგზე. აქამდე, გლობალიზაციის არაერთი კლასიკური განმარტება შექმნილა, რითაც ყველა მის საერთაშორისო მასშტაბური ნაირფერადობის პალიტრაზე მიგვითითებს. მისი საწყისისა და განვითარების დინამიკის დათქმა შეუძლებელია, რამეთუ მისი ამჟამინდელი ყოვლისმომცველობა და საუკუნეების მანძილზე გაწოლილი დინება იმდენად მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი განვითარების დიაპაზონის გამომხატველია, რომ ასე წვრილ მასშტაბში საწყისისა და სასრულის მცირედი არსით ვერ განვიხილავთ მას. ცნობილი ქართველი მეცნიერი რევაზ მიშველაძე თავის ნაშრომში „საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო“ გლობალიზაციის შესახებ აყალიბებს შემდეგი აზრის თეორიულ ჰიპოთეზას, საკუთრივ – მეცნიერული აზრი გლობალიზაციის შესახებ ორად იყოფა: ერთნი ამბობენ, რომ გლობალიზაცია გარდაუვალია, სხვანაირად მუდმივგამრავლებადი მსოფლიო ვერ მოწესრიგდება და ადამიანებს შიმშილი წალეკავს, გლობალიზაციის გარეშე საყოველთაო ვერ გახდება ტექნიკის მიღწევები; მეორენი კი ფიქრობენ, რომ გლობალიზაცია, ეს არის პატარა ერთა და სახელმწიფოთა წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება ეგრეთწოდებულ ჭრელა-ჭრელა კულტურებისგან თავგაბეზრებული ზესახელმწიფოებისა, რათა მსოფლიო ერთ ლარ-თარგზე გაასწორონ, რაც გლობალურ იმპერიათა მართვას გააადვილებს. მცირერიცხოვან ერთა ეგრეთ წოდებულ დიდ ერთა წიაღში ათქვეფის, ეროვნული ატრიბუტების და თვით რელიგიათა თავსმოხვევის მსახვრალი პოლიტიკა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა პირველი დამპყრობლები გამოჩნდნენ დედამიწაზე და კოლონიური პოლიტიკის მრისხანე ეპოქა დაიწყო. ნაციონალური საზღვრების მოშლისა და ენობრივი ბარიერის მოხსნის მეთოდს მიმართავდა უკლებლივ ყველა იმპერია მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე. სწორედ აქედან დაიწყო ეგრეთწოდებული გლობალიზაცია, მაგრამ იმისათვის, ვინც დამპყრობლის მტკიცე ნებით ახორციელებდა საბედისწერო გლობალიზაციას, ეს ტერმინი უცნობი იყო.

ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობის ძირითადი სამიზნე სამი რამ გახლდათ: ტერიტორია, რელიგია და ენა, ანუ იგივე „ენა, მამული, სარწმუნოება“. მსოფლიოსათვის ცნობილი დამპყრობლები, სხვადასხვა დროს, რომ იდგნენ იმპერიათა სათავეში, თავიანთ ძლევამოსილ ლაშქრობას სხვადასხვა მიზნით ნიღბავდნენ. ერთნი ამბობდნენ, რომ ცივილიზაცია უნდა შეეტანათ ნახევრად ველურ ტომებში და ისინი კულტურის გზაზე შეეყენებინათ; მეორენი სხვა სახელმწიფოთა ეგრეთწოდებული ტირანიისგან გასათავისუფლებლად მიისწრაფოდნენ; მესამენი კი, და ეს უფრო იშვიათად ხდებოდა, პირდაპირ რელიგიურ ომებში ებმებოდნენ. საერთო მიზანი კი ყველა შემთხვევაში ერთი იყო – მსოფლიო ბატონობა. საქმე ტერიტორიის წართმევით იწყებოდა და მერე ამუშავდებოდა დაპყრობილი ქვეყნის კულტურულ-რელიგიური დაუთოების სასტიკი მანქანა. ამ დაუთოებას დამპყრობელი ახერხებდა იმ ფორმითა და მეთოდით, ცივილიზაციის რა დონეზეც თავად იდგა: ზოგჯერ შენიღბულად (ვორონცოვი), ზოგჯერ კი ე. წ. ნაჯახური პოლიტიკით. ასე რომ გლობალიზაცია მსოფლიო მოვლენაა და იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სახელმწიფოთა ერთ სააზროვნო სისტემაზე, ერთა ატრიბუტიკის სტანდარტიზაციასა და საერთო ტექნიზაციაზე მსოფლიოს მორგების ტენდენციასთან.[283]

საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალიზაციის ურთიერთმიმართება საინტერესოდაა წარმოჩენილი ჰარვარდელი პროფესორის ერნსტ ჰოფმანის მიერ წამოყენებულ თეზისებში, რომლის აზრითაც 90-იანი წლებისთვის სახელმწიფოებს / სახელმწიფოთა სისტემის ფრაგმენტაციასა და მზარდ გლობალიზაციას – ეკონომიკურ / კულტურულ / პოლიტიკურ ინტეგრაციას შორის უკვე დომინანტური იყო ერთგვარი წინააღმდეგობა, რის გამოც ამ ათწლეულში მრავლად შეიქმნა თეორიები, რომლებიც ღაღადებდა გლობალიზმის საერთაშორისო ურთიერთობებისადმი გავლენაზე, სწორედ ეს პერიოდი

[283] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კულტუროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, წიგნი – საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო, თავი „გლობალიზაცია და ეროვნული ფენომენი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2018 წ.

წარმოშობს რამდენიმე ისეთ თეორიას, რომლებიც საუბრობენ მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობებისადმი გლობალიზაციის არსებით შედეგებზე, სახელდობრ გავიხსენოთ ფრენსის ფუკუიამა და მისი თეზა ისტორიის დასასრულის შესახებ, რითაც იგი ერთგვარად წინასწარმეტყველებს იდეოლოგიურ კონფლიქტთა აღმოფხვრას და პოლიტიკური / ეკონომიკური ლიბერალიზმის გავრცელებას მთელს მსოფლიოში, რაც მისი თვალთახედვით საწინდარი გახდებოდა მსოფლიოში არსებული კონფლიქტების დასასრულისა [2, 155-188], ამ აზრთან ერთგვარ შეპირისპირებაში მოდის სემუელ ჰანთინგტონი თავისი ნაშრომით „ცივილიზაციათა შეჯახება“, რომელშიც ხაზია გასმული მომავლის პერსპექტივაში ცივილიზაციებს შორის დაპირისპირების გარდაუვალობის ფაქტოლოგიაზე ცივილიზაციებს შორის გამყოფი ხაზების ასრებობის გამო კონფლიქტების კერების წარმოშობის სახით, სადაც იგი ვარაუდობს, რომ კულტურა / ენა / ცივილიზაციური კუთვნილება არის ის შემაერთებელი ფაქტორთა ერთობლიობა, რამაც უნდა გააერთიანოს სახელმწიფოები ამ ცივილიზაციური ნიშნით, რაც შემდგომში მათ მოიყვანს შეპირისპირებაში სხვა ცივილიზაციებთან, რასაც ბუნებრივად მოჰყვება ახალი ტიპის კონფლიქტები მსოფლიოში, თუმცა, მან დაზუსტებული საიდენტიფიკაციო ნიშანი ვერ მოუძებნა ცივილიზაციურ დიფინიციურ არსობრივ შინაგან განსაზღვრებას, რა დროსაც განსაკუთრებულად გამოკვეთა რელიგიური ფაქტორი, მაშინ როდესაც არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ არადასავლური სამყაროს ელიტური ძალები იგნორს უკეთებენ რელიგიებს და ვესტერნიზებულად საერთო მეთოდებით მართავენ სახელმწიფოებს, ასევე რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ორთოდოქსულ-მართლმადიდებლური სლავური ცივილიზაციის შიგნით წარმოშობილი კონფლიქტის ფონზეც და სხვა ანალოგიების გათვალისწინებით მან უპასუხოდ დატოვა თვითონ ცივილიზაციების შიგნით მიმდინარე არსებულ დაპირისპირებებთან დაკავშირებული კითხვები [2, 9-40]. ჰოფმანის მიერ ამასთანავე აღნიშნულია სხვა მოდელებიც, აი, როგორიცაა რეალისტების რწმენა, რომ არაფერი არ გარდაქმნილა მსოფლიოში თუკიდიდეს პერიოდიდან, რამეთუ ისევ სახელმწიფოს ხელშია კონტროლის სადავეები მიმდინარე პროცესებისა, მაგრამ ამ აზრის სუსტი არგუმენტაცია მდგომარეობს თვალნათლივ იმაში, რომ მის რეალობაში

შეუძლებელია ინტეგრირებულ იქნას გლობალიზაციის მიერ მოტანილი ცვლილებები. შესაბამისად ამისა, მისი მიხედვით იგნორირებულია ასევე რაიმონ არონის „სამყაროს ცნობიერების ნაწილის“ საზრისი, რის თანახმადაც ეს დღესდღეობით სამყაროს მეტი ნიწილისთვის ღირებულებაა, ხოლო უფრო პოზიტივისტური მიდგომის მქონე მეცნიერების აზრით კი, დღეს მსოფლიო მიჩნეულია გლობალიზაციის ტრიუმფის ასპარეზად, რომელთა შორისაა ნიუ იორკ ტაიმსის ჟურნალისტი ტომას ფრიდმანი. იგი გლობალიზაციას ანიჭებს დღევანდელ ეპოქალურ გადამრჩენელ მნიშვნელობას, რამეთუ მის წიაღში წარმოიშობა სწორედაც დემოკრატია და მშვიდობა, რის საპირისპიროდაც ომი მხოლოდ და მხოლოდ ხელისშემშლელი პირობაა გლობალიზაციისა და პროგრესისა, ინოვაციური ტექნოლოგიები კი, ხელისშემწყობია ინდივიდუალური ავტონომიურობისა თუ ინიციატივებისა. ეს მამოძრავებელი ღერძია დემოკრატიისა. ამ მხრივ უნდა ითქვას ისიც, რომ ჰოფმანისეული აზრი გლობალიზაციაზე იმგვარი ვარდისფერი არაა, როგორსაც ფრიდმანი ხატავს ამ მოვლენას. მისი გაგებით გლობალიზმი სამი ფორმისაა, რომელთაგან თითოეული თავისი პრობლემატიკით ხასიათდება, უპირველესად, ესაა ეკონომიკური გლობალიზაცია, რაშიც გამოხატულია ტექნოლოგიური / საინფორმაციო / სავაჭრო და სხვა ხასიათის ბოლო დროის აქტივობები. ამან ეფექტურობასა და სამართლიანობას შორის წარმოშვა ერთგვარი დილემა კაპიტალიზმის ამგვარი ზრდის ფონზე, რაზეც ამ ეკონომიკური ხასიათის გლობალიზაციამ სიკეთის გარდა ქვეყნებს შორის მოიტანა მზარდი უთანასწოროება, კულტურული გლობალიზაცია კი, მისი აზრით, ეკონომიკური გლობალიზაციის / ტექნოლოგიური პროგრესის შედეგადაა წარმოქმნილი, რომლის დილემაა უნიფორმიზაცია და მრავალგვაროვნება, რაც იწვევს შედეგად მსოფლიოს დანაწევრებას (“disenchantment of the world – webber“) და ერთგვაროვნების საწინააღმდეგო რეაქციებს. ამისი დასტურია სწორედაც ადგილობრივი კულტურების რენესანსის ხანა და ადგილობრივი ენების აღორძინება, რა დროსაც არის ხოლმე ასევე პერიოდულად დასავლეთის კულტურის წინააღმდეგ გალაშქრებებაც. თუმცა, ისიც უნდა ითქვას ამის ფონზე, რომ, გლობალიზმის მომხრეთა თვალსაზრისით, ადამიანებს აქვთ სხვა კულტურებისადმი იოლი წვდომა. ამით ბევრად კარგად ეცნობიან სხვა ერთა

ტრადიციებს, რითაც ეფექტური გზა იქმნება საყოველთაო ტოლერანტული კულტურის განვითარებისათვის. რაც შეეხება პოლიტიკურ გლობალიზაციას, რომელიც ამ ორის პროდუქტია, აქ გამოსარჩევია აშშ-ის პოლიტინსტიტუტების და ზოგადად მისი პოლიტიკის საგრძნობი დომინირება. ამ გზაზე ასევე შესამჩნევია არასახელმწიფო ინსტიტუციების სიმრავლე და აქტიურობა მსოფლიო ასპარეზზე, შესაბამისად, მისი აზრით, გლობალიზაციასთან დაკავშირებულ რამდენიმე გამოკვეთილ გარემოებას აქვს ნიშანდობლივი მნიშვნელობა, კერძოდ – გლობალიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა პოპულარული, რომელიც იხსენიება აშშ-ის ნაწარმად, ვინაიდან მასში პატარა და ღარიბი ქვეყნების მონაწილეობა მინიმუმდეა დაყვანილი, შესაბამისად ის არ არის ყოვლისმომცველი და ბაზრებიც არაინტეგრირებულია, საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა ჯერ არასრულყოფილია და ეს იდეა ემბრიონულ მდგომარეობაშია. შედეგად არასამთავრობო სექტორი ხშირ შემთხვევებში ერთგვარად მთავრობების სუროგატ შვილებს წარმოადგენს, ასევე საერთაშორისო ინსტიტუციები გარკვეულ შემთხვევებში იჩენს მიკერძოებულობას, რითაც ხელი ეშლება დემოკრატიზაციასა და ემანსიპაციას. ეს კი, დემოკრატიზაციისაკენ მიმართული რეჟიმებისათვის არ ქმნის თანსართ აუცილებლობას ინდივიდუალური ემანსიპაციის მიმართულებით. ამასთან საეჭვო იდეად მოჩანს ბარიერების მოხსნის შედეგად ადამიანთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. მისი აზრით, მხოლოდ სხვადასხვა ტექნიკის ჯამს შეიძლება ეწოდოს გლობალიზაცია (კომუნიკაციები / ინტერნეტი / აუდიო და ვიდეოკასეტები), რომელთა მფლობელობაც სახელმწიფოთა და კერძო სექტორის ხელთ არის, რამეთუ მათი მამოძრავებელი ინტერესები და იდეოლოგია ძირითადად არ არის ჰუმანიტარული ხასიათისა და გამოძახილია საკუთარი მოსაზრებებისა თუ ინტერესებისა, ამიტომაც ქმედებები, რასაც ისინი ახორციელებენ, განსხვავებულია გლობალიზმის იმ ხედვისგან, რაც მას წარმოაჩენს, როგორც განმანათლებლურ / ერთდროულად მეცნიერულ / რაციონალურ / უნივერსალურ ფენომენს [3, 71-73].

ქვემორე მოცემულ ცხრილში აღწერილია გლობალიზაციასთან დაკავშირებით გამართული საერთაშორისო დიდი დებატები გლობალისტებსა და სკეპტიკოსებს / ანტიგლობალისტებს შორის მათ მიერ წამოყენებულ ძირითად სამეცნიერო

თეზისებზე დაყრდნობით, რომლებიც ეხება კონცეფციური, ძალის, ეკონომიკის, უთანასწორობის, წესრიგის კომპონენტიკას, რაც პრაქტიკულად უკვე ცვლის მსოფლიო პალიტრას ამგვარი დრამატიკით:

		სკეპტიკოსები/ანტიგლობალისტები	გლობალისტები
1	კონცეფციები	ინტერნაციონალიზაცია და არა გლობალიზაცია	მსოფლიო იძერწება ძლიერი ექსტენსიური, ინტენსიური და სწრაფი დინებებით, რომლებიც კვეთენ რეგიონებსა და კონტინენტებს
2	ძალა	სახელმწიფო არის მთავარი აქტორი ინტერგავერნმენტალიზმი	სახელმწიფოს სუვერენულობის ეროზია, ავტონომია და ლეგიტიმურობა სახელმწიფოს გავლენის შემცირება მულტილატერალიზმის აღზევება
3	კულტურა	ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტურობის აღზევება	გლობალური პოპულარული კულტურის აღზევება მუდმივი პოლიტიკური იდენტურობის ეროზია ჰიბრიდიზაცია
4	ეკონომიკა	რეგიონალური ბლოკების განვითარება ტრიადიზაცია ახალი იმპერიალიზმი	გლობალური საინფორმაციო კაპიტალიზმი ტრანსნაციონალური ეკონომიკა სამუშაოს ახალი, გლობალური დაყოფა
5	უთანასწორობა	ჩრდილოეთისა და სამხრეთის მზარდი განხეთქილება	მზარდი უთანასწორობა საზოგადოებებს შორის და შიგნით ძველი იერარქიების ეროზია

		ინტერესთა კონფლიქტების შეუთავსებლობა	
6	წესრიგი	სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოება პოლიტიკური კონფლიქტების გარდაუვალობა საერთო მმართველობა და გეოპოლიტიკა კომუნიტარიანიზმი	მულტიშრეებიანი გლობალური მმართველობა გლობალური სამოქალაქო საზოგადოება გლობალური საზოგადოება კოსმოპოლიტანიზმი

ნიშანდობლივია, მოყვანილ იქნას – თვითონ გლობალიზაციის მოვლენის მიერ მულტინაციონალური კორპორატოკრატიის გავლენების ზრდის სასარგებლოდ მოტანილი შედეგების არატენდენციური სოციალური-ეკონომიკური-პოლიტიკური-კულტურული სტატისტიკური თუ სხვა მეთოდიკის კვლევითი ხასიათის ანალიზი მსოფლიოში ცხოვრების ზოგ მიმართულებასთან მიმართებაში, რაც თვალნათლივ ცხადყოფს საზოგადოების ფენებს შორის ამგვარად შექმნილ რესურსობრივი მონაცემებისა და შესაძლებლობების ერთგვარი გლობალური უთანასწორობის ამსახველი ეკლექტური ფაქტობრივი უსამართლო გადანაწილების სურათს, საკუთრივ:

- ღარიბებისა და მდიდრების ქონების ღირებულებებს შორის, 80 წლის წინ სხვაობა 1/3-ზე იყო, ეს მაჩვენებელი დღეს საშუალოდ 1/50-ზეა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში 1/80-მდე ადის;
- როგორც ამბობენ დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა არის 8 200 000 000, საიდანაც 1 800 000 000-მა არ იცის რა არის ელექტროენერგია;
- 1 200 000 000 ადამიანს ხელი არ მიუწვდება სუფთა დასალევ წყალზე;
- მსოფლიოში წარმოებული შოკოლადის ნაწარმის 90%-ში აფრიკის კონტინენტზე მოყვანილი კაკაო გამოიყენება, თუმცა, აფრიკელი ბავშვების 90%-ს შოკოლადი გასინჯულიც კი არ აქვს;
- 3 000 000 000 ადამიანი ვერ სარგებლობს სამედიცინო დაზღვევით;
- 1 400 000 000 ადამიანის დღიური შემოსავალი 2 აშშ დოლარამდეა;

- 900 000 000 ადამიანი დღეს იწყებს საუზმის გარეშე, საიდანაც 642 000 000 ადამიანი ცხოვრობს აზიაში / 260 000 000 – შორეულ აღმოსავლეთში / 53 000 000 – ლათინურ ამერიკაში / 42 000 000 – აფრიკაში / 15 000 000 – განვითარებულ ქვეყნებში;
- შიმშილითა და შიმშილით გამოწვეული დაავადებებით ყოველ 5 წუთში იღუპება 10 წლამდე 1 ბავშვი;
- ყოველწლიურად 11 000 000 ადამიანი იღუპება შიმშილით და შიმშილით გამოწვეული დაავადებებით;
- ყოველ 40 წუთში ერთი ადამიანი სიცოცხლეს ამთავრებს თვითმკვლელობით;
- მსოფლიოს 225 ყველაზე მდიდარი ადამიანი ფლობს იმდენ ქონებას, რომლითაც შეიძლება გამოიკვებოს დანარჩენი მსოფლიო;
- მსოფლიოს 10 ყველაზე მდიდარი ადამიანი ფლობს იმდენ ქონებას, რომ 1 000 000 000 ადამიანს 250 წლის განმავლობაში გამოკვებავს;
- საუდის არაბეთის მონარქი ფლობს 1,3 ტრილიონი აშშ დოლარის ქონებას, ამ თანხით მთელ აღმოსავლეთშია სიღარიბის დაძლევაა შესაძლებელი;
- 2013 წელს მსოფლიოში შეიარაღებისათვის დაიხარჯა 1,7 ტრილიონი აშშ დოლარი, მაშინ როდესაც 60 000 000 000-ია საჭირო მსოფლიოში მშიერი ადამიანი, რომ არ იყოს;
- განვითარებულ ქვეყნებში ყოველდღიურად 31 000 ტონა საკვები იყრება სანაგვე ურნებში;
- კომპანია „მაკდონალდს“-მა 150 დასაქმებული ერთად გაათავისუფლა სამსახურიდან მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი საკვების ნარჩენებს გაჭირვებულ ადამიანებს აძლევდნენ;
- 2022 წელს დიასახლისები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ დღეში 1 მლრდ ულუფა საკვებს ყრიდნენ, მაშინ, როდესაც 783 მლნ ადამიანი შიმშილობს, ხოლო მოსახლეობის მესამედი სურსათის უკმარისობის წინაშე იმყოფება;
- კომპანია მერსედეს-ბენცი საკუთარ პროდუქციას აწარმოებს მსოფლიოს 8 ქვეყანაში: გერმანია (საშუალო ხელფასი 3000 $), მექსიკა (საშუალო ხელფასი 800 $), ბრაზილია (საშუალო ხელფასი 600 $), ინდოეთი (საშუალო ხელფასი 200 $), ჩინეთი (საშუალო ხელფასი 400 $), თურქეთი (საშუალო ხელფასი 1000 $) –

ინდოეთსა და ჩინეთში ჯერჯერობით კომპანია ვერ ახერხებს ხარისხის აწევას, შესაბამისად, როგორც კი ამქვეყნებში ხარისხის მაჩვენებლები დარეგულირდება, სამუშაო ადგილებიც სწორედ ამ ქვეყნებში გადაინაცვლებს, რადგან ამ ქვეყნებში იაფი მუშახელია, ეს კი გლობალური ბიზნესისა და კაპიტალისთვის ძალიან მიმზიდველია;

- კომპანია მერსედეს-ბენცი-ს აქციების 40% არაბი ბიზნესმენების ხელშია, სწორედ ამიტომ გერმანიაში, მერსედეს-ბენცის კომპანიაში 17 000 დასაქმებულიდან 12 000-მდე შემცირდა, სამაგიეროდ თურქეთში 2000-დან 4000-მდე გაიზარდა;
- XXI-ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკური იმპერიალიზმით გამოწვეული დაპირისპირებაა გლობალურ კაპიტალსა და სამხრეთულ შრომას შორის, რითაც კაპიტალი იწყებს გადასვლას ისეთ ადგილებში, სადაც უფრო სუსტია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ხარისხი და სუსტია პროფკავშირული მოძრაობა, დაბალია შრომის ანაზღაურება ანუ სადაც ბიზნესს იაფი მუშახელის დიდი რეზერვები ეგულება, კაპიტალის სწორედ ამგვარი მოგზაურობის ერთ-ერთი ბოლო გაჩერება აღმოჩნდა ბანგლადეში (დედაქალაქი – დაკა / მოსახლეობა – 165 მილიონი / სიღარიბის ზღვარს ქვემოთ – 43% / რელიგიური მრწამსი – ისლამი, ქრისტიანობა, ბუდიზმი, ინდუიზმი), შესაბამისად – საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასების, რისკის შემცველი სამუშაო ადგილებისა და უკიდურესი სიღარიბის საპოვნელად დაკას ურბანულ ჯურღმულებში ჩასული მილიონობით ბანგლადეშელი მშრომელის ექსპლუატაციაზეა დამოკიდებული დასავლური განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკების სიჯანსაღე;
- ტანსაცმლის ინდუსტრია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც წარმოება საზღვრებს გარეთ გაიტანა, დღეს იმ ტანსაცმლის, რომელიც ამერიკელებს აცვიათ, მხოლოდ 2% იწარმოება ამერიკაში, დანარჩენს კი ბანგლადეშის მსგავსი განვითარებადი ქვეყნების იაფი მუშახელი ქმნის;
- რას ნიშნავს წარმოების საზღვრებს გარეთ გატანა?... შედეგად ვინ რჩება მოგებული?!... მაგალითისთვის – შვედური კომპანია "H&M" ბანგლადეშში მაისურს აწარმოებს: კომპანია ერთ ერთეულ მაისურს ყიდის გერმანიაში 4,95

ევროდ, ბანგლადეშელი მწარმოებლისგან კი 1,35 ევროდ ყიდულობს, ეს 1,35 ევრო ბანგლადეშში შემდეგნაირად ნაწილდება: 40 ევროცენტი – 400 გრამი აშშ-იდან იმპორტირებული ბამბა, 6 ევროცენტი – თითო მაისურის ჰამბურგამდე ტრანსპორტირება, 95 ევროცენტი – ქარხნის მფლობელი, მუშები, მასალის მიმწოდებლები და სახელმწიფო, შესაბამისად ბანგლადეშის მშპ იზრდება 95 ევროცენტით, დანარჩენი 3,54 ევრო გერმანიის ეკონომიკაში კონცენტრირდება;

- კომპანია "FOXCON": დასაქმებულთა რაოდენობა კომპანიის საწარმოებში – 1,23 მლნ ადამიანი, საქმიანობა – ხელს აძლევს მსოფლიო ელექტრონული მოწყობილობების 40%-ს, საშუალო ანაზღაურება – 200 "USD", შრომის ორგანიზება – დასაქმებულთა უმეტესობა ქარხნებში მოწყობილ საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობენ / პერიმეტრს მუდმივად აკონტროლებენ შეიარაღებული დაცვის წევრები / ხშირად მოულოდნელი შეკვეთის მიღების შემთხვევაში ცვლიდან ახლად მოსულ მშრომელებს აღვიძებენ და მთლიან ცვლას ამუშავებენ / "FOXCON"-ის არცერთ ქარხანაში არ არის პროფკავშირები ან რაიმე სახის მშრომელთა გაერთიანებები, ზეგანაკვეთური შრომა – 130-დან 180-მდე საათი თვეში (კომპანიის საწარმოებში უამრავი სუიციდის ფაქტი ფიქსირდება – დასაქმებულები, რომლებიც ამგვარი სამუშაო რეჟიმის გამო სტრესში ცვივდებიან, კომპანიის საწარმოების შენობებიდან ხტებიან), კომპანია "FOXCON"-ის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამკვეთია კომპანია "APPLE", რომლის ერთი ერთეული აიფონის თვითღირებულება – 178,96 "USD" შეადგენს, აიფონის საბაზრო ღირებულება კი – 500,00 USD, შესაბამისად 64%-იანი მთლიანი მოგება ნაწილდება "APPLE"-ის, მისი დისტრიბუტორების, მომწოდებლებისა და აშშ-ს სახელმწიფოს შორის, შესატყვისად ეს აისახება ამერიკის მშპ-ში, ჩინელი მშრომელის წილი კი თითოეულ აიფონში 6,5 "USD"-ს შეადგენს (სოციოლოგიური და ეკონომიკური მკვლევარების აზრით, იმ შემთხვევაში თუ "APPLE"-ის აიფონებს ამერიკაში ააწყობდნენ, ამერიკელი მშრომელის ხელფასი მინიმუმ ათჯერ მეტი იქნებოდა), „APPLE"-ის და "FOXCON"-ის შედარება 2013 წლის კვლევების მონაცემებით ამგვარია: "FOXCON"-ის მოგებამ 10,7 მლრდ "USD" შეადგინა ანუ ერთ დასაქმებულზე 8,6 "USD" (კომპანიაში მუშაობს 1,23 მლნ ადამიანი), "APPLE"-ის მოგებამ 41,7 მლრდ

შეადგინა ანუ ერთ დასაქმებულზე 572,8 USD (კომპანიაში მუშაობს 73 ათასი ადამიანი), კომპანია "FOXCON"-ის ღირებულება შეადგენს – 32,1 მლრდ "USD", კომპანია "APPLE"-ის ღირებულება კი – 416,6 ლრდ "USD" ("APPLE" დღემდე ყველაზე ძვირად ღირებულ კომპანიად არის მიჩნეული და მისი ღირებულება წლიდან წლამდე იზრდება, ხოლო "FOXCON"-ის ღირებულება და მოგება უფრო და უფრო იკლებს, რაც გამოწვეულია ჩინეთში საშუალო ხელფასის ზრდით. ამიტომ კომპანია წარმოების რობოტიზაციას და ქარხნების ისეთ რეგიონებში გადატანას მიმართავს, სადაც უფრო იაფი მუშახელია, მიუხედავად იმისა, რომ "APPLE" დიდ მოგებას ნახულობს "FOXCON"-თან თანამშრომლობით. მეორე მხრივ, ის ზედმეტად დამოკიდებულია მასზე, სწორედაც ამის გამო 2014 წლიდან "APPLE" აიფონ 6-ის წარმოების გარკვეულ ნაწილს ტაივანურ კომპანია "PEGATRON"-ს ანდობს);

- ის ქვეყნები, რომლებიც ყავის კულტივირებას და მოყვანას აწარმოებენ, ყავის საბოლოო ფასის მხოლოდ 3%-ს იღებენ, დანარჩენი თანხა რჩება იმ ქვეყნებში, სადაც ყავას მოიხმარენ (მაგალითისთვის – რუანდის ეკონომიკა დიდწილად დამოკიდებული იყო ყავის ექსპორტით მიღებულ შემოსავლებზე, ყავის ფასის დაცემის შედეგად სახელმწიფომ დიდი სახსრები დაკარგა, სახელმწიფო კომპანიები გაკოტრდა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემა, შემდეგ კი სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიც ჩამოიშალა და ქვეყანა შიმშილობის ზღვარზე მივიდა, მსოფლიოს სავალუტო ფონდის სტრუქტურულმა რეფორმებმა ეს პროცესი მხოლოდ დააჩქარა). ყავა მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში მილიონობით პატარა ფერმერსა და მათ ოჯახებს მოჰყავთ, თუმცა, მისით ვაჭრობაზე მონოპოლია 2 (ორი) ამერიკულ ფირმას "Sara Lee"-ს და "Kraft"-ს და ასევე 2 (ორი) ევროპულ ფირმას "Nestle"-ს და "Procter&Gamble"-ს აქვს. ერთი ფინჯანი ან ერთი შეკვრა ყავის საბოლოო ფასი, ყველა სხვა გლობალური საქონლის მსგავსად, მუდმივად იზრდება და იმ ქვეყნების მშპ-ს ზრდის, სადაც მოიხმარენ ამ პროდუქტს, ყავის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით 9 (ცხრა) დიდ ქვეყანაში ყავაზე ფასნამატი 1975-1989 წლებში 235%-ს შეადგენდა, 1990-1999 წლებში 382%-ს, ხოლო 2000-2009 წლებში 429%-ს, თუმცა, ეს მონაცემები კიდევ საკმარისად ნათლად ვერ წარმოადგენს მთლიან სურათს,

რადგან არ ითვალისწინებს რესტორნებისა და კაფეების მიერ ფასნამატებს, მაგალითად, კომპანია “BARISTA“ საშუალოდ 60 (სამოცი) ცალ ესპრესოს ამზადებს ერთი შეფუთვა ყავისგან, რომლის თვითღირებულება თითო ერთეულზე 30 ცენტია (15 ცენტი ყავა, რომელსაც ემატება ყავის, შაქრის და ჭიქის 15 ცენტი), ხოლო საბოლოო გასაყიდი ფასი 3 “USD“, შესაბამისად ფასნამატი 900%-ს შეადგენს, მოცემული პერიოდისთვის ყავის კულტურის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი მსოფლიოში თანხობრივი საერთო ბრუნვით შეადგენს – 100 მილიარდ აშშ დოლარს [4, 2-17].

დღეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ გლობალიზაციის თაობაზე – მის არსობრივ რაობაზე, როგორც ერთგვარ იდეასა და როგორც პროცესზე, შესაბამისად სავსებით ლოგიკურად იბადება კითხვა ზოგადად თუ რასთან გვაქვს საქმე, ამის სიღრმისეული გაანალიზებისათვის, რომ გავიაზროთ სამეცნიერო ლიტერატურა, საკითხის შესახებ კონკრეტულ სოციალურ მენიერებებში გლობალიზაცია განიხილება სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვაგვარი პერსპექტივებიდან, რის თანახმადაც გლობალიზაცია, მათ შორის, უწინარესად, მოიცავს – ადამიანების კაპიტალისა და ინფორმაციის თავისუფალ უსაზღვრო მოძრაობასა და გეოგრაფიული შეზღუდვების შემცირებას / კრიტიკული სოციალური პერსპექტივიდან დანახულ – ეკონომიკურ ლიბერალიზაციას, ლიბერალურ კაპიტალიზმს, ნეოლიბერალიზაციას, კორპორატიული კაპიტალიზმის ექსპანსიას და ა. შ... ამდენად, გლობალიზმის საზრისი მდგომარეობს ერთგვარ სოციალურ პროცესში, როგორც მდგომარეობაში, როგორც სისტემაში და როგორც ეპოქაშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ის მაინც ასოცირდება თანამედროვე მდგომარეობასთან. თუმცა, როდესაც თანამედროვეობაზე ვსაუბრობთ აწმყოში ვითარების გააზრებით უნდა ითქვას ისიც, რომ გლობალიზაციის საძირკვლები თავის მხრივ უძველეს წარმოშობაშია დავანებული ძველ მსოფლიოში არქაული სამყაროდან, შესაბამისად ამისა – დამწერლობის გამოგონებამ მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და ჩინეთში და ბორბლის გამოგონებამ აზიაში ერთგვარად ხელი შეუწყო და თავისებური ჩანასახოვანი ფორმა მისცა გლობალიზაციას ამ სამყაროში. შემდეგ უკვე მოდის ადრეული მოდერნულობის ეპოქა ევროპაში, რადგან გაძლიერდა ვაჭრობა და გაჩნდა მსოფლიოში კაპიტალისტური სისტემა, ვინაიდან დასავლური იმპერიები

იწყებენ საკუთარი კოლონიებიდან რესურსების გაზიდვას, რითაც აგროვებენ ძალზედ დიდ დოვლათს და ანვრცობენ გლობალური მასშტაბით მთელს მსოფლიოში, შემდგომ ამისა დგება მე-19-20 საუკუნეები თავისი ტექნოლოგიური პროგრესის / ინოვაციების ეპოქით, რამაც მოიტანა გლობალური კაპიტალისტური ურთიერთობების ინტენსიფიკაცია, რის შესატყვისადაც უკვე გასულ საუკუნეში, განსაკუთრებულად კი, 1960-იანი წლებიდან ჩნდება ტერმინი „გლობალიზაცია“, რაც როგორც ავღნიშნეთ უკვე გაიგივებულია პროცესთან, რომელზეც საუბარი დღემდე მიმდინარეობს კულტურულ / პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რამეთუ ამ ეპოქაში ყველაფერი გლობალიზებულია, მათ შორის – ღირებულებები, აზროვნების სტრუქტურა, ადამიანთა ქცევები, მიზნები და სხვა. ყოველივე კი, ადამიანს საშუალებას აძლევს იაზროვნოს და მოიქცეს განსხვავებულად, როგორიც არის – მიმდინარე გარკვეული პროცესების ხელის შეწყობა ადამიანთა თითქოსდა ერთიანი ქცევების ჩამოყალიბებისადმი. ეს გამოიხატება სხვადასხვაგვარად – კაპიტალიზმის კულტურული გლობალიზაციის ერთგვარი „შოპინგის“ კულტურის ფორმაში / ერთგვარ უნივერსალურ პრაქტიკასა და ტექნოლოგიური პროგრესის მიერ მოტანილი შედეგებით ჩამოყალიბებული თანამედროვე მომხმარებელი საზოგადოების მოცემულობაში. ამაზე დაყრდნობითაც ამ უნივერსალურ კულტურულ ელემენტოლოგიას და მოქმედებათა გარკვეულ წესებს ითვისებს სხვადასხვა კულტურა – ესე იგი ერთი საზოგადოებიდან ეს ყოველივე გადაეცემა მეორე საზოგადოებას და ყალიბდება უნივერსალური პრაქტიკოლოგია და მოქმედებათა არაერთი წესთა კასკადი. ასე და ამგვარად, სოციოლოგი ზიგმუნდ ბაუმანი აღნიშნავს, რომ – გლობალიზაცია ვიღაცას სიხარულს ჰგვრის, ვიღაცას კი დარდს, თუმცა, მისი თქმით, ფაქტი ის არის, რომ ჩვენ ყველანი ვგლობალიზდებით და, ბაუმანისეული ახსნით, აი, ამ გლობალიზაციის ეპოქაში ლოკალურობის განცდა ქმნის ერთგვარი სოციალური დაკარგულობისა და დეგრადაციის გარკვეულ ნიშნებს. ეს კიდევ და კიდევ უფრო მეტად ადარდიანებს ადამიანს და ქმნის ერთგვარ სოციალურ დრამას ლოკალიზებული ადამიანის ცხოვრებისეულ საზრისში. სწორედ ამიტომაცაა, რომ ლოკალიზებული ადამიანი ცდილობს მით უფრო მეტ გლობალიზებას და გაქცევას იმ, ასე ვთქვათ, აუტანელი ყოფიერებისაგან, რაშიც იგულისხმება ლოკალიზება

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში [5, 9-15]. ასევე სოციოლოგი მაიკლ მანი გლობალიზაციას აღიქვამს, როგორც მკაფიო კავშირს და ერთგვარი კორელაციური ურთიერთობების მთელ პროცესს – იდეოლოგიურ, ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის, რა დროსაც იგი იდეოლოგიურ ძალაუფლებას განმარტავს, როგორც ადამიანის საჭიროებებიდან წამოსულ გაზიარებულ ნორმებს / ღირებულებებს, ერთგვარ რიტუალში მონაწილეობის პრაქტიკას, ეკონომიკური ძალაუფლება კი ემყარება ადამიანის სხვადასხვა საჭიროებას მიიღოს / მოიხმაროს და გასცეს, რასაც ქმნის ბუნება და რასაც ამასთანავე თვითონ ქმნის ბუნებაში, რისი ორგანიზებაც თანამედროვე ეპოქაში ხდება ინდუსტრიული კაპიტალიზმის საშუალებით და პასუხისმგებელია, როგორც ტექნოლოგიურ პროგრესზე, ისე ეკოლოგიურ კატასტროფაზეც. რაც შეეხება სამხედრო ძალაუფლებას – იგი განმარტავს, როგორც კონცენტრირებული და ლეტალური ძალადობის სოციალურ ორგანიზებას, ხოლო პოლიტიკურ ძალაუფლებას მიიჩნევს ჩვენი სოციალური ცხოვრების ცენტრალიზებულ და ტერიტორიულ რეგულაციად. რა გაგებითაც გლობალიზაცია არის ძალაუფლების ამ ოთხი ფორმაციის ერთმანეთთან ურთიერთობის ერთგვარი პროცესი, რაც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი გლობალური წესრიგისას და მოახდინა შერწყმა სხვადასხვა იდეებისა და სხვადასხვა ძალაუფლების ფორმებისა. აი, თუნდაც, რომ ავიღოთ იდეოლოგიური დიფუზია სოციალიზმისა და ლიბერალიზმის, რისთვისაც უნდა ვიცოდეთ, რომ გლობალიზაციის საყოველთაო იდეას ხშირად პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტრუმენტალიზაცია ახასიათებს [6, 14-25], ამ კუთხით 1996 წელს ქალაქ ათენში საბერძნეთის პროფკავშირებისადმი გაკეთებულ მიმართვაში დიდმა ფრანგმა სოციოლოგმა პიერ ბურდიემ ამ გარემოებაზე გააკეთა ერთგვარი აქცენტირება, რა დროსაც მან აღნიშნა, რომ – გლობალიზაცია ხშირად გამოყენებულია როგორც ერთგვარი მითი / ძლიერი დისკურსი / იდეა ფორსი, იდეა რომელსაც სოციალური ძალისხმევით ძალუძს შექმნას გარკვეული წარმოდგენები და რწმენები, რისი საშუალებითაც, სწორედ გლობალიზაციის მეშვეობით, ნეოლიბერალური წესრიგი ებრძვის სახელმწიფოს მონაპოვარ კეთილდღეობას. ამის შესახებ, მისი მტკიცებით, ევროპელ მშრომელებს ეუბნებიან, რომ მათ უნდა გაუწიონ კონკურენცია ნაკლებად უპირატეს მდგომარეობაში მყოფ მშრომელთა კლასს სხვა ქვეყნებში. ამ

კონტექსტში მოჰყავთ ხოლმე სხვა ქვეყნის საჩვენებელი მაგალითები ქვეყნებისა, სადაც არ არსებობს პროფკავშირები, რომელთა მუშაკებს დღეში ამუშავებენ 12 საათზე მეტს, რომელთათვისაც არ არსებობს მინიმალური ხელფასის მცნება და ბავშვთა შრომა პრაქტიკად არის მიღებული. ამიტომაც მისი მტკიცებით გლობალიზაცია ხშირად არის გამოყენებული ნეოლიბერალური წესრიგის მიერ, როგორც საშუალება იმისათვის, რომ უფრო მეტად განმტკიცდეს ეს წესრიგი, რასაც ეწოდება ნეოლიბერალური კაპიტალიზმი, რაც მისთვის არის ნეოლიბერალიზმის სახით ძველი კაპიტალისტური იდეებისადმი / წესრიგისადმი შემობრუნების პროცესი ახალი ფორმით. ეს კი შენიღბულია / შეხვეულია / შეფუთულია ახალი აზროვნების სტრუქტურაში. კერძოდ, ჩვენს თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციას აქვს უნივერსალური მეტყველების ფორმა, რითაც ის ახდენს დომინანტური ხედვის უნივერსალიზაციის კულტურას. ამ კულტურის შექმნით ხშირად ის ასოცირდება ნეოლიბერალურ კაპიტალიზმთან / კაცობრიობის გლობალური ცხოვრების ნეოლიბერალიზაციასთან. ეს არის ის სოციალური დოქტრინა, რომლითაც ის წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ღერძს კულტურული / ეკონომიკური / პოლიტიკური გლობალიზაციის ფორმებისა. აქედან გამომდინარეა სწორედაც თანამედროვე გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის ზრდაც სოციალურ-პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკურ ჭრილში ნეოლიბერალიზმის მამოძრავებელი ძალმოსილების გამო. იდეა, რომელიც ნეოლიბერალური გლობალიზმის / ნეოლიბერალური იდეოლოგიის სახით უწინ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სულაც ითვლებოდა მარგინალურ იდეად, რომელიც ჯერ კიდევ იმ პერიოდში მაშინვე ისახებოდა. თუმცა, შესაძლებლობა არ ჰქონდა გლობალური ექსპანსიისა, რადგან მაშინ სამყარო ცხოვრობდა სულ სხვა ეპოქაში, სადაც იყო განსხვავებული იდეალები. შემდეგ, უკვე გასული საუკუნის 70-იანი / 80-იანი წლებიდან, იწყება ნეოლიბერალიზმის აღზევების მცდელობა, რაც უფრო აქტუალური გახდა ცივი ომის დასრულებისთანავე, რომელმაც დღეს შეიძინა, ერთი მხრივ, დომინანტური ფორმა გლობალური მოქმედებისა, მეორე მხრივ კი, ის კრიზისულიცაა მისი ბუნების სახასიათო მდგომარეობიდან გამომდინარე, რამეთუ საქმე გვაქვს, როგორც დომინაციასთან, ისე კრიზისთან [9]. ასე რომ, ვინაიდან თემატიკის აკადემიური

მიმოხილვის ანალიზს ვახდენთ ზოგად პოლიტეკონომიური თეორეტიკის პერსპექტივიდან, ნიშანდობლივია საერთაშორისო პოლიტეკონომიის ჭრილში დავინახოთ, თუ რა ურთიერთქმედებაში არის ერთმანეთთან, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ეკონომიკა. ამიტომაც ეკონომიკური გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხის მიმოხილვისას რელევანტურია შევეხოთ პოლიტიკური ეკონომიკის საკითხებს, თუ რას გვეუბნება იგი, რომ ჩვენი არსებობა ფუნდამენტალურად დამოკიდებულია პოლიტიკურ ეკონომიკაზე და არა ცალკეულად პოლიტიკაზე ან ეკონომიკაზე. რა დროსაც ხშირად საერთაშორისო გარემო ზღუდავს და მიმართულებებს აძლევს ეროვნულ გადაწყვეტილებებს, რამეთუ სავსებით ბუნებრივია მთავრობების ლტოლვა ეროვნული ეკონომიკის კონტროლის შენარჩუნებისა და ამავე დროს საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად შესაძლო სარგებლის მიღებისათვის. თუმცა, მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულება ამ ძალისხმევას კიდევ უფრო მეტად ართულებს და სათუოს ხდის. ჩვენი არსებობა ფუნდამენტალურად არის დამოკიდებული პოლიტიკურ ეკონომიკაზე და არამც და არამც ცალკეულ პოლიტიკაზე ან ეკონომიკაზე. ადამიანთა გადარჩენისა და არსებობისათვის საჭიროა საკვები / ჩასაცმელი და ბევრი სხვა რამ, რისი შეძენაც მათ მიერ ხდება ფულის საშუალებით, რასაც გამოიმუშავებენ მშრომელი ადამიანები. თანამედროვე ბაზრის მთავარი დასაყრდენი კი პოლიტიკურ წესებზეა დაფუძნებული, პოლიტიკური წესებითა და რეგულაციებით კი განსაზღვრულია ის ჩარჩოები, რომელთა შიგნითაც ფუნქციონირებადია ბაზარი, ამასთანავე ეკონომიკური სიმტკიცე პოლიტიკური ძალაუფლების ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტია. რობერტ გილპინის გაგებით – ეკონომიკა არის სწრაფვა სიმდიდრისათვის, პოლიტიკა კი – ძალაუფლებისათვის და ამ ორ ფენომენს შორის ურთიერთქმედება არის რთული და გამაოგნებელი, სწორედაც ეს რთული ურთიერთქმედება აძლევს პოლიტიკას და ეკონომიკას / სახელმწიფოებს და ბაზრებს საერთაშორისო კონტექსტში აკადემიური დისციპლინის ცალკე შესწავლის სამეცნიერო პოლიტეკონომიურ ხასიათს, ამ კუთხით უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური ეკონომიკა აღმოცენდა საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში. ამიტომაც წინამდებარე სამეცნიერო სტატიის

ცენტრიდანული თემატიკის სიახლოვის აღნიშვნის ჭრილში ამ მიმართულებით მნიშვნელოვან სამეცნიერო დებულებებსა თუ პოსტულატებს შეიცავს სხვა სამეცნიერო დისციპლინების გამოყენებულ თეორიებთან ერთად, მათ შორის პოლიტეკონომიის, როგორც კლასიკური, ისე უფრო თანამედროვე თეორიები. ამათგან კლასიკური თეორიებიდან ხაზგასასმელია – ეკონომიკური ლიბერალიზმის, მარქსიზმისა და, შესაბამისად, ნეომარქსიზმის, ხოლო უფრო თანამედროვეობიდან კი ჰეგემონური სტაბილურობის, ეკონომიკური გლობალიზაციისა და დამოკიდებულების თეორიები. რომელთა ჰორიზონტიც – მათ შორის შეეხება, როგორც გლობალურ კაპიტალიზმზე, ისე მის მიერ გამოწვეულ სოციალურ უთანასწორობაზე საუბარს. აქედან ძლიერ საყურადღებო და გამოსაყოფია მარქსიზმის თეორიიდან მისეული პოლიტიკური ეკონომიკის ხედვის საფუძველდებული ჩარჩოები – რომ როგორც ეკონომიკური სისტემა, კაპიტალიზმი არის ექსპანსიონისტური. ეს გამოიხატება გასაღების ბაზრებისა და მოგების გაუთავებელ ძიებაში, რასაც ისტორიულად ჰქონდა იმპერიალიზმის, შემდეგ კი კოლონიალიზმის ფორმა, რომელიც დეკოლონიზაციის შემდეგაც გაგრძელდა და ამჟამად ეკონომიკური გლობალიზაციის ფორმა მიიღო. მათ მართავენ გიგანტური ტრანსნაციონალური კორპორაციები. შესაბამისად, გლობალური კაპიტალიზმი, მარქსიზმის მიხედვით, არის პროცესი, რითაც, ერთი მხრივ, წარმოიშობა განვითარება და სიმდიდრე ინდუსტრიულ სამყაროში, მათ შორის, უპირველესად, გლობალური ჩრდილოეთის განვითარებულ ქვეყნებში, მეორე მხრივ კი, წარმოიქმნება უკიდურესი სიღარიბე და ჩამორჩენილობა მესამე სამყაროში, მათ შორის გლობალური სამხრეთის განუვითარებელ ქვეყნებში [3, 74-89].

როგორც უკვე ითქვა, გლობალიზაცია თავისი მასშტაბური ხასიათით მრავალწახნაგოვანი მოვლენაა და ტექნოლოგიური / ტექნიკური პროგრესის პერიპეტიების მიხედვით, გეოგრაფიულადაც ადუღაბებს არც ისე ახლოს მდგარ კონტინენტებსაც კი. მისი გარდაუვალობა უთუოა კაცობრიობის ტრანსფორმაციის მოცემულ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს დროში განგრძობადი პროცესი მიმდინარეობს მისი მომხრეებისა თუ მოწინააღმდეგეების აქტიური დებატების ფონზე. გლობალიზაციის მომხრეთა თვალთახედვით, ამ ფენომენმა განუზომელი შესაძლებლობათა არეალი გააჩინა, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების მცირე

მწარმოებელთათვის. ამის შედეგად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში საერთო ბაზრების მეშვეობით დანერგილი ერთიანი წესებითა და რეგულაციებით ამ ქვეყნების წარმომადგენელთათვის შესაძლებლობების ფართო სივრცე წარმოიშვა საკმაოდ მისაღებ ფასებში საკუთარი პროდუქციის სხვა ქვეყნების მომხმარებელთათვის შეთავაზებისა. ასევე გლობალიზმმა წარმოშვა შრომითი ბაზრების ფართოდ გახსნის ქმედითი შესაძლებლობები, რაც ძალზედ ხელსაყრელ პირობებს ქმნის განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელთათვის. ამავდროულად გლობალიზაციამ ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის გააჩინა შესაძლებლობები მსხვილი ინვესტორების მხრიდან დიდი ინვესტიციების დაბანდებებისა, რადგან მათთან იაფი მუშახელი და ინფასტრუქტურაა. ეს კი საერთო ჯამში იწვევს ეკონომიკურ განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნას. თუმცა, გლობალიზმის მოწინააღმდეგეები / ანტიგლობალისტები ცალსახად მიუთითებენ იმ ფაქტორებზე, რომ ახალ შესაძლებლობათა გაჩენამ და უცხოურ ბაზრებზე წვდომამ ვერ უზრუნველყო ქვეყნების განვითარების დონეების დაახლოება. პირიქით, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის არსებული უთანასწორობის უფსკრული კიდევ უფრო გააღრმავა, რამაც საერთო ბაზრებს და გლობალურ ეკონომიკურ პროცესებს მდიდარი და მმართველი კლასების სასარგებლო ფუნქცია უფრო შესძინა, ვიდრე შედარებით დაბალ ფენებს და მათ კვლავ ძველებურად უწევთ არსებობისათვის ბრძოლა. ასე რომ დღევანდელი კლასიკური გაგებით ტერმინი „გლობალიზაცია“ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში წარმოიშვა და მის გამოჩენას ამერიკელი მეცნიერის, ეკონომისტის ტ. ლევიტის სახელს უკავშირებენ, რომელმაც 1983 წელს „Harward Business Review“-ში გამოაქვეყნა სტატია და ამ ტერმინით აღნიშნა მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ სხვადასხვა პროდუქციის ბაზრების შერწყმის ფენომენი. ამ დედააზრით ერთგვარად დღეს ზოგიერთი კორპორაცია გარკვეულ ქვეყნებს უკვე უთანაბრდება და ზოგ შემთხვევებში საგრძნობლადაც აჭარბებს კიდეც, როგორც შემოსავლებით, ისე საზოგადოებრივ აზრზე გავლენით. ეს კი, აჩენს სავსებით ლოგიკური თანადროულობით კითხვას თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ამ ძვრების ფონზე მსოფლიო წესრიგი?.. უკვე მსოფლიოს რეალური

მოცემულობაა, რომ სუპერნაციონალური და გლობალური ძალაუფლების გარდა, არსებობს სხვა, შესაძლოა, კიდევ უფრო ძლიერი ძალაუფლების წყაროც – მულ-ტინაციონალური კორპორაციები. კორპორატოკრატია – ეს ტერმინი, რომელიც იშიფრება, როგორც „კორპორატიული ძალაუფლება“, სწორედ ისეთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას აღნიშნავს, რომელსაც კორპორაციები ან კორპორატიუ-ლი ინტერესები აკონტროლებენ. სწორედ ტექნოლოგიური განვითარებისა და წარმატებული ბიზნესიდეების შედეგად, დღეს აღარ გვჭირდება კომპასი და რუკა, როცა არსებობს “Google Maps“ და “GPS“, აღარ გვჭირდება ფოსტა, როცა არ-სებობს ელფოსტა, აღარ გვჭირდება ფორუმები, როდესაც პრობლემატური თემის განხილვა „ფეისბუქზეც“ მშვენივრადაა შესაძლებელი, ომისთვის საჭირო აღარაა ავტომატი, არამედ – „დრონი“ და დისტანციური მართვის აპარატიც საკმარისია. სხვა ქვეყანაზე თავდასხმა ბომბის ნაცვლად კომპიუტერულ სისტემებში შეღწე-ვით ხდება და მას არა ჯარისკაცები, არამედ ჰაკერები ახორციელებენ. ყველელი ჩამონათვალის „ბოსები“ კი, არა ქვეყნის მეთაურები, პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, არამედ, მსოფლიოში ყველაზე დიდი კომპანიების მფლობელები არიან. კონსულტაციების შედეგად, მარკ ცუკერბერგმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს „ფეისბუქზე “„სიტყვა არ ეთქმის“, რადგან ხალხისადმი ძალადობისკენ მოწოდებებმა „წითე-ლი ხაზი გადაკვეთა“. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო „ტვიტერის“ დამფუძნე-ბელმა, ჯეკ დორსიმაც. შედეგად, ამერიკაში ერთადერთ ადამიანს, რომელსაც ატომური ბომბის ჩამოგდებაზე ბრძანების გაცემის უფლება აქვს, სოციალურ ქსელში „დაპოსტვის“ უფლება ჩამოერთვა. თუმცა, ალბათ, ისიც გასათვალისწი-ნებელია, რომ პირადად დონალდ ტრამპის არჩევანი იყო, საკუთარი გზავნილები, ძირითადად, „ტვიტერის“ და „ფეისბუქის“ საშუალებით გაევრცელებინა და არა უფრო ტრადიციული მეთოდებით, როგორიც მაგალითად, ტელევიზია და ოფი-ციალური ბრიფინგებია. დღეს შეგვიძლია, ბევრი ისეთი კომპანია გამოვყოთ, რო-მელიც ზოგიერთ სახელმწიფოზე ძლიერიც კია. უცხოურ მედიაში სტატიების უმეტესობა სახელმწიფოებსა და კომპანიებს იმის მიხედვით ადარებს, თუ რამდე-ნად სავსეა მათი „ჯიბეები“. ამ კუთხით ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა ახა-ლი მიდგომაა, რომლითაც კომპანიები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახით

ფუძნდებიან. მაგალითად, “foreignpolicy.com“-ის თანახმად, კომპანიები, როგორიცაა: “ExxonMobil“, “Unilever“, “BlackRock“, “HSBC“, “DHL“, “Visa“ – ირჩევენ პერსონალის, ქარხნების, აღმასრულებელი ნაწილის ან საბანკო ანგარიშების განთავსე-ბის ადგილებს იმის მიხედვით, თუ სად არის „კეთილგანწყობილი“ რეგულაცია, უხვი რესურსი და უპრობლემო კავშირგაბმულობა. „ჭკვიანი“ კორპორაციები ხში-რად იურიდიულად ერთ ქვეყანაში არის განთავსებული, კორპორატიული მენე-ჯმენტი მეორეში აქვთ, ფინანსური აქტივები – მესამეში, ადმინისტრაციული პერ-სონალი კი კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყანაში. თუმცა, ამგვარი კომპანიების ზრდა მხოლოდ ფულის გამომუშავების ახალ გზებს კი არ ნიშნავს, არამედ „გლობალუ-რი ზესახელმწიფოს“ მნიშვნელობას ცვლის. მულტინაციონალური კომპანიები, როგორიცაა “Apple“ და “Starbucks“, ფენომენალურ ძალას ფლობენ. ისინი აკონ-ტროლებენ უზარმაზარ მომარაგების ჯაჭვებს, ყიდიან პროდუქტებს მთელს მსოფლიოში და საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში საკუთარი ინტერე-სების შესაბამისად შეაქვთ წვლილი. 2016 წლის ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ამ წლის შემოსავლების მიხედვით 100 უდიდეს კორპორაციასა და ქვეყანას შორის (რომელსაც სახელმწიფოები ძირითადად, გადასახადების აკრებით იღებენ), აშშ პირველ ნომრად გვევლინება, მას ჩინეთი და იაპონია მოსდევს (თუ ევროზონას განვიხილავთ, როგორც ერთ პოლიტიკურ ერთეულს, ის 5 600 მილიარდ დოლა-რით პირველ ადგილზეა), მაგრამ უამრავი კორპორაცია მსოფლიოში ყველაზე მსხვილ ეკონომიკას უთანაბრდება: მაგალითად – “Walmart“ უკან იტოვებს ესპა-ნეთსა და ავსტრალიას. საერთო ჯამში, კვლევაში შემოსავლების 100 უმთავრესი მსოფლიო გენერატორიდან 71 მათგანი კორპორაციაა. თანხების გარდა, კვლევების თანახმად, გლობალიზაციამ ისეთი გლობალური სტრუქტურა მოიტანა, რომელშიც სახელმწიფო ძალა მმართველი ექსკლუზიური პრინციპი აღარაა, რითაც კორპორაციები ერთგვარ პოლიტიკურ აქტორებად იქცნენ. გლო-ბალური კორპორაციების ამჟამინდელი პოზიცია სხვა აქტორებთან შედარებით უპრეცედენტოა სიდიდისა და მოცულობის თვალსაზრისით. უბრალოდ დავფიქ-რდეთ ისეთი გლობალური გიგანტების კერძო და საჯარო ძალაზე, როგორიცაა “Google“ ან “Apple“. პრეზიდენტი დონალდ ტრამპი “Apple“-ის აღმასრულებელ დირექტორს, ტიმ კუკს შეხვდა იმის განსახილველად, თუ როგორ იმოქმედებს ჩი-

ნეთთან სავაჭრო ომი “Apple“-ის ინტერესებზე. აქედან თვალსაჩინოდ გამოჩნდა, რომ წამყვანი მულტინაციონალური კომპანიები პოლიტიკური აქტორებიც არიან. აი, მაგალითად, „ჯეოქეისის“ მკვლევარი / პროფესორი ხათუნა ბურკაძე განსხვავებულ ხედვას აყალიბებს და ზოგადად ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე სამყაროში ციფრულ საკითხებსა და კიბერგამოწვევებზე. იქვე დასძენს, რომ მისი შეხედულებით, კორპორაციების თითქოს, განუსაზღვრელი სიმძლავრე სახელმწიფოების როლს მომავალში არ დააკნინებს და, პირიქით, შესაძლოა, მათი ერთმანეთთან ინტეგრირება გარკვეული მიზნების მისაღწევად და პრობლემებზე საპასუხოდ კიდევ უფრო ნაყოფიერიც იყოს. მკვლევრის თქმით, გლობალურმა კრიზისმა დაგვანახა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კიბერსივრცის შესაძლებლობები, გამოწვევები, რომლებიც კონკრეტული პოლიტიკური და გეოგრაფიული საზღვრებით არაა შემოფარგლული. ეს მოცემულობა კი აჩენს არაერთ კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება ციფრული მსოფლიო და რამდენად უპასუხებს დღევანდელი სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები ახალი მსოფლიო მოთხოვნებს, რომელიც მონაცემებზეა კონცენტრირებული. ციფრული მონაცემების ეპოქაში მცირე სახელმწიფოებს მოუწევთ თავიანთი ახალი მდგომარეობის გამოკვეთა და თანამედროვე ციფრული პოლიტიკის ისე განვითარება, რომ კიბერსივრცის დიდ მოთამაშეებს საკუთარი საჭიროება დაანახონ. რაც შეეხება კორპორაციებს, დღეს მულტინაციონალურ კორპორაციებს საკმაოდ დიდი რესურსი აქვს. ეს რესურსი ფლობს მონაცემებს, აქვს ფინანსური და სხვა ტიპის შესაძლებლობები და პროცესებზე გავლენას ახდენენ. მიუხედავად ამისა, მომავალშიც სახელმწიფოების როლი გამოკვეთილი იქნება და აღნიშნული კომპანიები იმოქმედებენ იმ კანონმდებლობების ფარგლებში, რომელსაც სუვერენული სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიებზე ფუნქციონირებადი კორპორაციებისათვის დააწესებენ. თუ სახელმწიფოებს სწორი პოლიტიკა ექნებათ, პირიქით, კორპორაციების მხარდაჭერით შესაძლებელი იქნება მეტი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა, რაც განვითარებისათვის აუცილებელია. აქვე, შევეხოთ მსხვილი ინტერნეტკორპორაციების საზოგადოებრივ / პოლიტიკურ გავლენებს პანდემიის პერიოდში სოციალური პლატფორმების მეშვეობით, კერძოდ, “TheAtlantic.com“-ის

სტატიაში სახელდებით – „ინტერნეტის ტიტანები ძალაუფლებას იკრებენ“, აღწერილია პანდემიით გამოწვეული კრიზისი და სოციალური პლატფორმების რეალური ძალაუფლების გამოჩენა, სადაც ყურადღება გამახვილებულია პანდემიაზე – როგორც კრიზისზე. ამის გამო ახალი წესები იწერება და აჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია რეალურად, სოციალური პლატფორმები, რომლებიც ეროვნული საზღვრების მიღმა ფუნქციონირებს კერძო კომპანიების სახით. მათ აქვთ უფლება, გადაწყვიტონ, რა უნდა განთავსდეს მათ სერვისებზე. მაგრამ ამ ძალაუფლების გასაოცარმა ხასიათმა შესაძლებლობამ, გადაწყვიტონ მათ, რა არის სიძულვილის ენა, დასაშვები პოლიტიკური კამპანია ან ზედმეტად გაშიშვლებული კანი – განაპირობა პლატფორმებისთვის მეტ გამჭვირვალობაზე მოთხოვნა იმაზე თუ როგორ ხდება ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება. „ფეისბუქსა“ და სხვა ქსელებს უარი აქვთ ნათქვამი „სიმართლის არბიტრების“ როლზე, მაგრამ “Covid-19“-ის პანდემიის პირობებში ეს შეიცვალა. მსხვილმა ტექნიკურმა კომპანიებმა – მხოლოდ “Facebook“-მა, “Twitter“-მა და „Google“-მა, პანდემიას ისეთი ხერხებით უპასუხეს, რომლითაც გამოჩნდა, თუ რამხელა ძალა აქვთ მათ ამ ყველაფრის გადაწყვეტისას. მაგალითად, “Pinterest“-ი კორონავირუსზე ძიების შედეგებს ზღუდავს, მხოლოდ “საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამედიცინო ორგანიზაციების“ ინფორმაციის გარდა. მეორე ფაქტორია, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს აღსრულება სწრაფი, შესაბამისად უხეშია. იმის გამო, რომ მოდერატორები სახლში არიან და ლოგისტიკური მიზეზების გამო ვერ მუშაობენ, მთავარი პლატფორმები ავტომატიზირებულ ინსტრუმენტებს ეყრდნობია. “Facebook“-მა, “Twitter“-მა და „Youtube“-მ აღიარეს კიდეც, რომ შედეგად, ისინი მეტ შეცდომას დაუშვებენ – ანუ, შესაძლოა, ისეთი ინფორმაციები წაშალონ, რაც, წესით, არ უნდა წაიშალოს. გარდა ამისა, იმ „წმინდა“ პრინციპსაც, რომ პლატფორმები პო-ლიტიკური ფიგურების გამოსვლებში არ ჩაერევიან, ზიანი მიადგა. „ტვიტერმა“ ბრაზილიის პრეზიდენტის, ჟაირ ბოლსონაროს „ტვიტები“ წაშალა, იმის გამო, რომ მან “Covid-19“-ზე დეზინფორმაცია თუ შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია გა-ავრცელა. „ფეისბუქი“ და „იუთუბიც“ მალევე ანალოგიურად მოიქცნენ. დემოკრატიულად არჩეული ლიდერის განცხადებების დახშობა ტექნოლოგიური პლატფორმების მიერ უპრეცედენტო ნაბიჯია. ამასთან, ისევ ტრამპსა და მასთან „ტვიტერისა“ და

„ფეისბუქის“ ურთიერთობას თუ დავუბრუნდებით, შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი აშშ-ის 45-ე პრეზიდენტად საკუთარი საქმიანობის განხორციელებას შეუდგა, მარკ ცუკერბერგი ცდილობდა, არჩევნებში მისი წარმატება რაც შეიძლება, ნაკლებად მიეწერა „ფეისბუქის“ რო-ლისთვის. თუმცა, ეს მას შემდეგ გაძნელდა, რაც თვითონ პრეზიდენტმა ტრამპმა აღნიშნა, რომ პლატფორმას მის გამარჯვებაში არსებითი როლი მიუძღვოდა. “Facebook“-ისა და “Twitter“-ის გვიანდელი ქმედება, დაებლოკათ ტრამპის ანგა-რიში, აშშ-ის სოციალური მედიის გიგანტების მიერ უპრეცედენტო ნაბიჯი და მათი ძალაუფლების ჯერჯერობით ყველაზე თვალსაჩინო დემონსტრირება იყო. რამდენიმე ცალმხრივი გადაწყვეტილებით, ტექნიკური აღმასრულებლების მცი-რე ჯგუფმა შეერთებული შტატების პრეზიდენტს ყველაზე გავლენიანი სამაუ-წყებლო ხელსაწყოები ჩამოართვა, რამაც მის მიერ ტელეფონში ერთ წუთში დაწერილი რამდენიმე წინადადებით მთელი მედიის ყურადღების მიპყრობის შესაძლებლობა შეამცირა. მათ გარდა, “Google“-მა ტრამპის ანგარიში “Youtube“-ს არხზე შეაჩერა, “Reddit“-მა ტრამპის მომხრე რამდენიმე ფორუმი დაბლოკა, “Snapchat“-მა, რომელსაც საკუთარ ქსელში ტრამპის აქტივობა უკვე შეზღუდული ჰქონდა, პროფილი მისი პრეზიდენტობის ბოლო დღის შემდეგ დაბლოკა – აღნიშნულია ამ თემაზე “nbcnews.com“-ის სტატიაში. ასეა თუ ისე, რამდენად შე-იძლება, გადააჭარბოს მომავალში გიგანტური კომპანიების ძალამ სახელმწიფოე-ბისას – ამაზე ალბათ, დრო გასცემს პასუხს, თუმცა, აშკარად ჩანს, რომ ზოგიერ-თი კორპორაცია ზოგიერთ ქვეყანას ძალით ნამდვილად უთანაბრდება, იქნება ეს ფინანსური შემოსავლები თუ გავლენა საზოგადოებრივ აზრზე. ცხადია, რომ რო-გორც, ერთი მხრივ, ზესახელმწიფოებრივი ორგანოები, ისე, მეორე მხრივ, მსოფ-ლიოში ყველაზე მძლავრი მულტინაციონალური კორპორაციები ერსახელმწიფო-ებს უკვე ღირსეულ კონკურენციას უწევენ [10, 1-9]. ამ მხრივ ერსახელმწიფოთა მხრიდან ტრანსნაციონალური კორპორაციებისადმი დამოკიდებულების არც ისე პასიურ მდგომარეობაში ყოფნის თვალსაჩინო მოვლენა მოხდა გასულ წლებში, როდესაც მსოფლიოში დომინანტური მძლავრი ერსახელმწიფოების მხრიდან გიგანტური მულტინაციონალური კორპორაციების ერთგვარ ჩარჩოებში მოქცევის თვალსაჩინო დეკლარირება იყო 2021 წლის 05 ივნისს ლონდონში გამართული

შეხვედრა დიდი შვიდეულის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებს შორის. ამის თაობაზეც საზოგადოებრივი მაუწყებლის – პირველი არხის 42 პარალელის გადაცემის მკვლევარ-ანალიტიკოსის მათე გაბიცნაშვილის წამყვანობით მომზადებულ შესაბამის ტელესიუჟეტშიც – „ისტორიული „გარიგება“?! – გლობალური გადასახადი კორპორაციებისთვის / „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები შეთანხმდნენ მულტინაციონალური კორპორაციებისთვის გადასახადების გაზრდის შესახებ“. მოყვანილია მთელი ის მიზეზშედეგობრივი გარემოებები, რისთვისაც G7-ის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა მსოფლიოს, როგორც თავად უწოდებენ, ე. წ. ისტორიული შეთანხმების შესახებ ამცნეს. ეს ისტორიული შეთანხმება გულისხმობს მულტინაციონალური კორპორაციებისთვის დამატებითი მოგების გადასახადის დაწესებას, საკუთრივ – მულტინაციონალური კორპორაციების ბიზნესსაქმიანობიდან მოგების გადასახადის სახით მეტი თანხების ამოღებას. მინისტრების ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიურმა გიგანტებმა უფრო მეტი გადასახადი უნდა გადაიხადონ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი უშუალოდ საქმიანობენ და ყიდიან თავიანთ პროდუქციას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ გადასახადებისგან თავის არიდების აქამდე კარგად აპრობირებული პრაქტიკა, როდესაც ისინი გაყიდვებს ახორციელებდნენ სხვაგან და მოგების დეკლარირებას ახდენდნენ დაბალი გადასახადების მქონე ქვეყნებში ან საგადასახადო თავშესაფრებში. ამით კი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნები ამბობენ, რომ ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა მოგების გადასახადი უნდა გადაიხადონ იქ, სადაც მათი მოგების წყაროა და არა იქ, სადაც მათი რეგისტრაციის ადგილია, სადაც ისინი აქამდე ცდილობდნენ მოგების გადასახადის დეკლარირებას. 2021 წლის 05 ივნისს დიდი შვიდეულის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების მიერ გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში, ასევე აღნიშნულია, რომ უნდა დაწესდეს, როგორც მინიმუმ 15%-იანი გლობალური კორპორატიული გადასახადი. კერძოდ, დიდი შვიდეულის ქვეყნების მიერ მიღწეული შეთანხმება, რომ მეტად დაბეგრონ ტექნოლოგიური გიგანტები შედგება ორი ძირითადი სვეტისაგან: პირველი სვეტი – დაკავშირებულია იმასთან, რომ მულტინაციონალური კორპორაციები, როგორც ავღნიშნეთ, მოგების გადასახადს გადაიხდიან იმ ქვეყნებში, სადაც ამ მოგების

წყაროა, სახელდობრ, სადაც ყიდიან და არა იმ ქვეყნებში, სადაც ისინი აფორმებენ მოგებას. შეთანხმების მეორე სვეტი კი, როგორც კომუნიკეშია აღნიშნული, გულისხმობს – ქვეყნების მხრიდან ვალდებულებას, რომ ისინი დააწესებენ გლობალური კორპორატიული მოგების გადასახადის მინიმუმ 15%-იან დონეს. ამით თავიდან აცილებულ იქნება ქვეყნების ერთმანეთთან კონკურენცია – თუ ვინ უფრო შეეცდება მულტინაციონალური კომპანიების მოზიდვას კორპორატიული მოგების გადასახადის შემცირების გზით. ამ ინიციატივით მდიდარ ქვეყნებს სურთ უპასუხონ თანამედროვე გლობალიზაციიდან მომდინარე გამოწვევას, როდესაც ეროვნული მთავრობები ჩართულნი არიან ე. წ. ფსკერისკენ რბოლაში, როცა ისინი კაპიტალის მოზიდვის სანაცვლოდ იძულებულნი არიან გააუქმონ ბიზნესრეგულაციები, კორპორატიული გადასახადები მულტინაციონალური კორპორაციებისათვის და სხვა ტიპის შეზღუდვები, რათა გაზარდონ მათი ეკონომიკების კორპორატიული კონკურენტუნარიანობა გლობალურ კონკურენციაში. ამრიგად, ვფიქრობთ, მივუახლოვდით იმ წერტილს, რომ დაისვას თემატიკის მთავარი შეკითხვა – რატომ გამოდიან მდიდარი ქვეყნები ახლა ამ წესების შეცვლის ინიციატივით?!... პასუხი მარტივია – პანდემიის საპასუხოდ სახელმწიფოებმა განახორციელეს უზარმაზარი მოცულობის მონეტარული და ფისკალური სტიმული. მთავრობებმა თავიანთი ეკონომიკის დესტაბილიზაციის გასანეიტრალებლად და ერთდროულად მიწოდების და მოთხოვნის შოკით გაჩერებული ეკონომიკის სტიმულირებისთვის უზარმაზარი ვალები აიღეს. ცხადია, ამ საკითხებზე არაერთგზის აღინიშნა, რომ დასავლეთის მდიდარი ქვეყნები, როგორიცაა – აშშ და ევროზონა, უკვე 12 წელია თავიანთი ეკონომიკის უზარმაზარი მოცულობის მონეტარულ სტიმულს ახორციელებენ 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ. შესაბამისად, მიუხედავად მრავალი ინიციატივისა, მეტად დაებეგრათ მულტინაციონალური კორპორაციები, აქამდე ასეთ დონეზე ამ ინიციატივით გამოსვლა არ მომხდარა. ამისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახლავთ ის, რომ კოვიდის კრიზისმა დასავლური ეკონომიკისათვის რთული სიტუაცია შექმნა – ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროზონაში უმუშევრობის დონე ჯერ კიდევ მაღალია, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი ბოლო პერიოდში მაღალი ინფლაციური წნეხის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. აშშ-ის

ფედერალური რეზერვი, ისევე როგორც ევროპის ცენტრალური ბანკი 10 წლის მანძილზე ახორციელებდა რბილ მონეტარულ პოლიტიკას, რაზეც მათ ჰქონდათ თითქმის ნულოვანი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა. შედეგად ამან აშშ-ში 2020 წლამდე უმუშევრობის 3%-ზე შემცირებაც კი გამოიწვია. ესე იგი, მათ ჰქონდათ სრული დასაქმება, მაგრამ მიუხედავად დიდი მასშტაბის ფულის ბეჭდვის პოლიტიკისა, ინფლაციური წნეხი არ ჰქონდათ. ახლა კი ეს ქვეყნები ინფლაციის წნეხის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ მაღალი უმუშევრობის პირობებში. რაც, ბუნებრივია, ზღუდავს ამ ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს და ასევე მთავრობებს, რომ უზარმაზარი ვალების აღებისასას სრულფასოვნად განახორციელონ ეკონომიკური აღდგენისთვის საჭირო სტიმულირების პოლიტიკა. რისთვისაც მათ სჭირდებათ აქტიური ფისკალური პოლიტიკა, როდესაც მთავრობები კრიზისიდან გამოსასვლელად და ბაზრის გამოსაცოცხლებლად ახორციელებენ აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში. ამისათვის მათ სამიზნე არეალში მოექცა ტექნოლოგიური გიგანტები, რომლებიც კარგად აპრობირებული პრაქტიკის მიხედვით მდიდრდებიან მდიდარ ქვეყნებში თავიანთი ბიზნესსაქმიანობით, მაგრამ გადასახადებისგან თავიანთი კორპორატიული მოგების თავის არიდებას ახდენენ იმ ქვეყნებში დეკლარირებით, სადაც საგადასახადო შეღავათებს აწესებენ მთავრობები ან საგადასახადო „ოფშორები“. თუმცა, ამ ახალ ინიციატივას უკვე მრავალი კრიტიკოსიც ჰყავს, და განსაკუთრებით იმ ჯგუფებში, ვინც წლებია ითხოვს კორპორატიული გიგანტებისთვის გლობალური გადასახადების დაწესებას. ამ კრიტიკოსთა რიცხვშია თავად “Oxfam“-იც, რომელიც ასე გამოეხმაურა აღნიშნული ინიციატივის მიღებას: „აბსურდია „დიდი შვიდეულისგან“ იმის მტკიცება, რომ ეს შეთანხმება არის „გაბზარული საგადასახადო რეფორმის სისტემის“ გამოსწორება გლობალური კორპორატიული გადასახადის მინიმალური დონის შექმნით. მსგავსია სწორედ საგადასახადო თავშესაფრების ქვეყნების კორპორატიული მოგების გადასახადის განაკვეთისა, როგორებიცაა – ირლანდია, შვეიცარია და სინგაპური. ისინი იმდენად დაბალ ზღურბლს ადგენენ, რომ მულტინაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ უბრალოდ მარტივად გადააბიჯონ მას. “COVID-19“-ით გამძაფრებული მზარდი უთანასწორობის უფსკრულის შეჩერება და კლიმატის კრიზისის დაძლევა შეუძლებელი იქნება თუ კორპორაციები გააგრძელებენ გადასახადისგან თავის

არიდებას... ეს არ არის სამართლიანი გარიგება“ – განაცხადა “Oxfam“-მა. მულტინაციონალური ფირმები თანამედროვე გლობალიზებული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძირითადი საყრდენები არიან, მათ გლობალურ საქმიანობას ჰყავს როგორც აქტიური მომხრეები, ისე აქტიური კრიტიკოსებიც. მულტინაციონალური კომპანიები მრავალი ქვეყნისათვის კაპიტალის მოზიდვისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წყაროა, მეორე ხედვით კი, ისინი ძალიან აქტიურად არიან ჩართული ღარიბი ქვეყნების ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაში. ამ თემატიკის სიღრმისეული ანალიზი მოითხოვს კვლევას იმ გზით, რომ ყურადღება დაეთმოს, ჩვენი მხრივ, ვრცლად – ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნის ისტორიას და მის ევოლუციას, რათა მათი საქმიანობა გადააზრებულ იქნას სხვადასხვა ეკონომიკური ჩარჩოს ხედვიდან. მაგალითად, ნეოკლასიკური ეკონომიკა როგორ განიხილავს შესატყვის კომპანიებს, როგორ განიხილავს მას ჰეტეროდოქსული ეკონომიკური აზროვნება. სწორედ ამის მიხედვით, მეცნიერული მიდგომით გასიგრძეგანებულ უნდა იქნას, თუ რა როლს თამაშობს მულტინაციონალური კორპორაციული სისტემა გლობალური ეკონომიკის ღირებულებათა ჯაჭვში.[284]

გლობალიზმის საფუძვლებისა და ეკონომიკური ინტერნაციონალიზაციის ისტორიიდან რელევანტური იქნებოდა გავიხსენოთ XIX საუკუნის ეპოქა, რადგან გლობალიზაციის პროცესი განსაკუთრებულად იკრებს ძალებს XIX საუკუნეში. ეს საუკუნე ხასიათდებოდა გარდაქმნებისა და გეოპოლიტიკურ/ეკონომიკური ტრანსფორმაციული ძვრების არაერთი კასკადის ევოლუციური აგებულების ერთგვარი საჭადრაკო დაფით, რასაც მიუძღვნა კლასიკად აღიარებული მსოფლიო გლობალური წესრიგის ტრანსფორმაციის კვლევის ამსახველი შესანიშნავი პოლიტეკონომიური სამეცნიერო წიგნი „დიდი ტრანსფორმაცია“ ეკონომიკის ისტორიკოსმა კარლ პოლანმა. ნაშრომის პირველ თავში, „ასწლიანი მშვიდობა“, ნათლად ასახავს მოვლენის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საწყისებს და მისი თანმხლები დიდი ტრანსფორმაციის პროცესის პერიპეტიებს, სადაც

[284] “Globalization”, The Human Conzequences / ZYGMUNT BAUMAN, „გლობალიზაცია“ ადამიანის შედეგები / სოციოლოგი – ზიგმუნტ ბაუმანი, დიდი ბრიტანეთი, ოქსფორდი / კემბრიჯი 1998 წელი.

სიღრმისეულად აღწერილია, რომ XIX საუკუნის ცივილიზაცია ოთხ ინსტიტუციას ეყრდნობოდა: პირველი იყო ძალთა ბალანსის სისტემა, რომელმაც მთელი საუკუნის განმავლობაში თავიდან აიცილა ხანგრძლივი და გამანადგურებელი ომი საერთაშორისო ძალებს შორის, მეორე – საერთაშორისო ოქროს სტანდარტი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის უნიკალურ ორგანიზებას განასახიერებდა, მესამეს წარმოადგენდა თვითრეგულირებადი ბაზარი, რომელმაც იქამდე გაუგონარი მატერიალური კეთილდღეობა შექმნა, მეოთხე საყრდენი კი, იყო ლიბერალური სახელმწიფო. ერთი ტიპის კლასიფიკაციით, ამ ოთხი ინსტიტუციიდან ორი წარმოადგენდა ეკონომიკური, ხოლო ორი – პოლიტიკური ხასიათის მოვლენას. სხვაგვარი კლასიფიკაციით კი, ორი მათგანი ეროვნული და ორიც საერთაშორისო ინსტიტუტი იყო. მათ შორის ურთიერთობა განსაზღვრავდა ჩვენი ცივილიზაციის ისტორიის სახასიათო შტრიხებს [12, 1-3 / 16-24]. აქედან ნათლად ვხედავთ კარლ პოლანის მეცნიერული თეზის „დიდი ტრანსფორმაციის“ ნაშრომისეული თვალსაწიერით – თუ როგორ იკრებდა ძალებს ტრანსფორმირების გზით ეკონომიკური გლობალიზაციის დინება და სულ უფრო ინტერნაციონალიზდებოდა დროთა ცვლის ხანგრძლივ პერიოდში. რამაც საბოლოო ჯამში შექმნა ის ინტერნაციონალური კორპორაციული სურათი, რაც XX-XXI საუკუნეების სახასიათო ტენდენციის სახით გვევლინება ამ მიმართულებით. ხოლო ამის საპირწონედ კი, შექმნილმა გლობალურმა ვითარებამ თვითდაცვის ინსტინქტის პრინციპით ჩაუყარა საფუძველი და განავითარა საზოგადოების მაორგანიზებელი ძალები / ორგანიზაციული წარმონაქმნები საერთაშორისო – გლობალური პროფკავშირული მოძრაობის სახით, რომელთა მეშვეობით საბოლოო ჯამში უთუოდ უნდა დაბადებულიყო კომპრომისული პირდაპირი სოციალური დიალოგის იმგვარი განზომილებანი, როგორსაც ამ დროისათვის უკვე აპრობირებულად წარმოადგენს პირდაპირი მოლაპარაკებების ახალი „გლობალური“ ფორმა. ესე იგი საყოველთაო გლობალიზმის მოვლენის მსოფლიური ბუნებაა ის უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოება მის უკიდეგანო მატერიალისტურ განზომილებაში, რისმა ეპოქალურმა დინებამაც შეუქმნა შემდგომში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნოყიერი ნიადაგი ეკონომიკური ინტერნაციონალიზაციის ტენდენციების აქამდე არნახულ

ნაკადს. ამან შედეგად სათავე დაუდო გიგანტური ტრანსნაციონალური კორპორაციების/მულტინაციონალური კომპანიების გაუგონარი გავლენის აღმოცენებას რესურსობრივ მასშტაბებში, რისთვისაც შექმნილმა ვითარებამ სავსებითი ლოგიკურობით მოიტანა საჭიროება მათთან პირდაპირი სოციალური დიალოგის ახალ „გლობალურ“ ფორმატში წარმოების გზების ძიებისა უმაღლესი წარმომადგენლობითობის ძალის მქონე საერთაშორისო – გლობალური პროფკავშირული მოძრაობის მხრიდან... ამრიგად, სულ უფრო და უფრო სოციალური დიალოგი აღიქმება, ერთი მხრივ, სახელმწიფო უნილატერალიზმის და, მეორე მხრივ, „თავისუფალი ბაზრის“ (“laissez-faire”) პოლიტიკის ჯანსაღ და სანდო ალტერნატივად. ხოლო გლობალიზმის ეპოქით მოტანილი მულტინაციონალური კორპორატოკრატიის უკიდეგანო თვალსაწიერით დაბადებულ გამოწვევებს კი, რეალურად დროშიც და სივრცეშიც სჭირდება ქმედითი და საპირწონე პასუხები თავისი არსით იმგვარი სოციალური ხასიათის მექანიზმების შექმნით. ამგვარად, უკანასკნელი წლებია გვევლინება – სოციალური დიალოგის სხვადასხვა ფორმებს, ტიპებსა და დონეებს შორის არსებული ახალი გამორჩეული „გლობალური“ ფორმა, რითაც პირდაპირი დიალოგი წარმოებს მულტინაციონალურ კომპანიებსა და გლობალურ პროფკავშირებს შორის – შესაბამისი სავაჭრო შეთანხმებებისა და სხვა შემათანხმებელი ხასიათის დოკუმენტების გაფორმების გზით. ამისი მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ არა სწორედაც საყოველთაო სოლიდარობის ფუნდამენტური გამოვლენის განუმეორებელი მაგალითის მიმცემი – უკვე უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში განვითარებული გლობალიზაციის პროცესის ხელის შეწყობით მსოფლიო ასპარეზზე საერთაშორისო გლობალური მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა სფეროში მოქმედი ჰოფმანის აზრისეულად თქმული არასახელმწიფო ინსტიტუციების სრულიად დამოუკიდებელი თვითორგანიზებით შექმნა / ჩამოყალიბება. აი როგორიცაა, გარდა ვერტიკალურისა, ჰორიზონტალურ განზომილებაში მსოფლიოში დარგობრივ დონეზე დარგობრივი ფროფკავშირების ერთგვაროვნების პრინციპით შერწყმული საერთაშორისო ხასიათის პროფკავშირული ინსტიტუციური სიმბიოზი, რომელსაც გლობალური პროფკავშირები ეწოდება, არის

საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაცია და იქ დარგობრივი ნიშნით გაწევრიანებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული პროფკავშირების დარგობრივი მიმართულებით არსებული პროფკავშირები. მათ არსებითი ზრდა და განვითარება განიცადეს შრომის სამყაროს ევოლუციის ფონზე ამ ასწლეულების მანძილზე გლობალიზაციის ხუთივე შინაარსობრივი – ინტერნაციონალიზაციის, ლიბერალიზაციის, უნივერსალიზაციის, დასავლური ცივილიზაციის როლისა და კულტურის გაბატონების (ვესტერნიზაციის), დეტერიტორიზაციის ნიშნების დატვირთვის გათვალისწინებით, როგორც წევრთა რაოდენობრივი, ისე სტრუქტურული დახვეწისა და დარგთა სახეობების რიცხვობრივი სრულყოფის კუთხით. ამან უბიძგა მას გლობალიზაციის არსით დაეწყო ძიება პირდაპირი ურთიერთმოლაპარაკებების გზებისა ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან / კომპანიებთან, რათა მათთან დიალოგით მისი მონაწილეობა თავისი მასშტაბურობიდან გამომდინარე იგრძნობოდეს ცხოვრების ყველა სფეროში.[285] ამ მიმართებით სოციალური დიალოგის აგების რთული ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გლობალურ პროფკავშირებს თავისი ადგილი აქვს და დინამიკურად იმკვიდრებს მსოფლიო საზოგადოებრიობაში. ეს არ ნიშნავს მარტო მუშაკთა მოთხოვნების წამოყენებისათვის ბრძოლას, არამედ იგი გამოხატავს თავის პოზიციას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ არჩევანთან დაკავშირებით, ამით კი განსაზღვრავს იმ საზოგადოების მომავალ განვითარებას, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. სწორედ ამიტომ ხდება, რომ უმრავლეს ქვეყანაში პროფკავშირები ერთიანდება ერთ ან რამდენიმე დარგთაშორის კონფედერაციაში. იგი საქვეყნოდ აცხადებს თავის პოზიციებს იმ საკითხებზე, რომლებითაც დაინტერესებულია საერთოდ მოსახლეობა და ისინიც თანაბრად მონაწილეობენ დიალოგში დამქირავებლებსა და მთავრობის წარმომადგენლებთან. სოციალური დიალოგის სამკუთხედია ის, რაც პროფკავშირებს ხელში აძლევს – ინფორმაციის გაცვლის, კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების წარმართვის მოქნილ ინსტრუმენტებს. რის საფუძველზეც: იქმნება ღირსეული სამუშაოს, ინკლუზიური განვითარებისა

[285] სასწავლო სახელმძღვანელო წიგნი – გლობალური გეოგრაფია, ავტორები – ზურაბ დავითაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, თავი I – „გლობალიზაცია“, 1.1. „გლობალიზაციის ცნება / გლობალიზაციის ინდექსი“ (გლობალიზაციის არსი და ნიშნები, გლოკალიზაცია), თბილისი 2012;

და სოციალური სამართლიანობის მისაღწევი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, ხდება კარგი მართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ისეთ სფეროებში როგორიცაა - სოციალური უზრუნველყოფა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო სტანდარტების პოპულარიზაცია, დასაქმების არასტანდარტული ფორმები, გენდერული თანასწორობა, გადასვლა ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკურ მოდელზე. ამგვარ მუშაობას ბევრ სახელმწიფოში წარმატებული შედეგი მოაქვს; კეთილდღეობა, საწარმოო და სოციალურ სფეროებში მშვიდობის გარკვეული დონე, ხალხისა და საზოგადოების სერიოზული სარგებელი. ალტერნატიული მეთოდების არაეფექტურობით – გლობალურ ეკონომიკაში ანტაგონისტური ინდუსტრიული (შრომითი) ურთიერთობები არ წარმოშობს გრძელვადიან ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს. წარმატებულ სოციალურ დიალოგს პოტენციურად შეუძლია მოიტანოს სერიოზული სოციალური და ეკონომიკური საკითხების მოგვარება და სოციალური სამართლიანობისა და ინდუსტრიულ (შრომითი) სფეროში მშვიდობისა და სტაბილურობის გაძლიერება; სოციალური დიალოგის პროცესში გაუგებრობები მინიმუმამდე დადის და ამიტომაც დაძაბულობის მართვა მარტივდება; სოციალური დიალოგი სოციალური კონფლიქტების მედიაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ასევე განსხვავებულ ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს შორის კომპრომისებს აყალიბებს.[286]

ვფიქრობთ, რომ თანამდროვე მეცნიერების შორსმჭვრეტელი თვალსაწიერი ინტუიტიური მყისიერებით უნდა პასუხობდეს მისი სრულფასოვანი ანალიზით სამყაროს ახალ გლობალურ გამოწვევებს. სწორედ ამიტომ წინამდებარე სტატიის საბოლოო რეზიუმირების მიზნით ხაზი უნდა გაესვას მკითხველისთვის იმ ნიშანდობლივ ფაქტს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობამ წარმოშვა დღევანდელ მსოფლიოში გლობალიზმის პროცესი

[286] საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება / საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე – რაისა ლიპარტელიანი, გეგმა / სახელმძღვანელო / პრეზენტაცია „სოციალური დიალოგი“ / „ყოვლისმომცველი შრომის ბაზარი საქართველოში სამუშაო ადგილების შესაქმნელად“, პროფკავშირების ქართულ-ავსტრიული სკოლა, თბილისი 2020.

განვითარების იმ დინამიკით, როგორადაც გვევლინება დღესდღეობით, როგორც თავისი ნეგატიური, ისე პოზიტიური შედეგებით. ამ მხრივ, თუნდაც იმ შემთხვევის მცირედი აღწერაც კი კმარა, რაც შეიქმნა ამ სტატიის დაწერამდე გასული რამდენიმეწლიანი დროის წინ პლანეტის ხუთ კონტინენტზე "COVID-19" შტამის კორონა ვირუსის გავრცელების გამო. რომელმაც დედამიწის აღებული პაუზის, ტრანსნაციონალური და ეროვნული ეკონომიკის, ერთი მეორის მიყოლებით დომინოს პრინციპით რეცესიული ჩამოშლისა და გლობალური პოლიტიკური წესრიგის იმ პერიოდისეული მორყეული უძლურების ფონზე, თვალნათლივ დაგვანახა ადამიანთა მოდგმისათვის შექმნილი ყოფნა-არყოფნის ამ ეგზისტენციალური ვირუსული საფრთხის შედეგად გამოვლენილი გლობალიზაციის სისტემური საყოველთაოობის მსახვრალი ხელის სიმყიფე. და რაოდენ სამწუხაროდაც არ უნდა ჟღერდეს, მაგრამ ობიექტური თვალი მოითხოვს, ითქვას მისი პოზიტიურობის მრავალგვარობაც, რითაც ფაქტობრივად სულ რამდენიმე კვირაში ჯაჭვური რეაქციით იმდროინდელმა დამდგარმა სავალალო ვითარებამ ასახვა ჰპოვა რეალურად ცხოვრების ყველა სფეროზე. რადგან სამყაროში შექმნილი ეს რეალური მდგომარეობაც თვალნათლივ გვაჩვენებს იმას, რომ სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურულ-პოლიტიკურ მიმართულებათა მრავალი კასკადი უკვე ჩაყენებული იყო ერთმანეთისაგან ანალიტიკური უსაფრთხოებრივი კომპონენტური დაზღვევის გარეშე ერთგვარი გლობალური სვლისა და განვითარების იმდაგვარ ფერხულში, რომ არ დარჩენილიყო ერთი მეორისგან დამოუკიდებლობის მისხალი ავტონომიურობის ნასახი გარემოებები. ახლა უკვე სულ სხვა ერთფეროვან დეგრადირებულ უფსკრულში აღმოჩნდებოდა კაცობრიობა, რადგან მაშინ ამდაგვარი სავალალო აპოკალიფსური ვითარება სუფევდა. ეს შეძენილი გამოცდილება აუცილებლივ დამაფიქრებელი იქნება მრავალი პასუხისმგებლიანი კომპეტენტური ჰეგემონური ტიპის ინსტიტუციისათვის და ე. წ. „მმართველი ელიტებისთვის". აშკარაა, რომ მსოფლიო უკვე იცვლება და კიდევ უფრო მეტად შეიცვლება ამ ვირუსის გადალახვის შემდეგ. ამ მოვლენას ექნება, და შეიძლება ისიც ითქვას, რომ უკვე აქვს ფაქტობრივად XX საუკუნეში წარმოებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ძალისა და დეტონაციის ანალოგიის მქონე ერთგვარი ორთქლის გამოშვების პრინციპის

მსგავსი ეფექტი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის. მაგალითად თუნდაც იმის დასახელება შეიძლება, რომ გლობალური კონკურენტული ჰეგემონური ძალები უკვე აქტიურად მიიღტვიან მრავალგვარი მექანიზმით მსოფლიოში მრავალპოლუსიანი მდგომარეობის შექმნისკენ. ვინაიდან გაცხოველებულია მათი ნება-სურვილი / ინტერესი ერთპოლუსიანი ჰეგემონური სისტემის ერთხელ და სამუდამოდ დამსხვრევისა, მათ შორის გაჩაღებული კონფლიქტების / ომების წარმოების გზითაც. ხოლო მაშინდელი და დღეს არსებული დამდგარი სავალალო შედეგები გარკვეული სახეცვლილი კორექტივებით ყველა შემთხვევაში გამოუმუშავებს ბუნებრივად განსხვავებულ იმუნიტეტს გლობალიზაციის ყოვლისმომცველ ტრანსნაციონალურ დინებას, მათ შორის გლობალური მოთამაშეების მხრივ, ამ პროცესისათვის ბიძგის მიცემითაც, რათა ახალი ძალებით განვითარდეს და გადაეწყოს მსოფლიო ნოვაციური გლობალურ წესრიგში მოქცევის განმეორებითი მცდელობით. ეს კი გარდაუვლად ასე იქნება, რადგან სხვაგვარად უკვე შეუძლებელია – გლობალიზმს მისი მსოფლიოს დინამიკურად ტრანსფორმირებადი ყოვლისმომცველი ინტერნაციონალური ბუნება მოთხოვს და უკარნახებს ამას. შეიძლება წინსწრებით განვჭვრიტოთ, რომ ეს ტალღა იქნება სულ სხვაგვარი და აქამდე გამოუცდელი ინსტრუმენტალიზაციის მექანიზმებით აღჭურვილი. დღეს შექმნილი სიტუაციის სირთულე მნიშვნელოვან ზიანს მოუტანს აგრეთვე საერთაშორისო – გლობალურ პროფკავშირულ მოძრაობას, ვინაიდან დიდი დარტყმის წინაშე დადგა და შემდგომშიც დადგება მთელი შრომის სამყარო. სამყაროს კი, ყველაფრის შესაძლო დასრულების შემდგომ უსათუოდ უკვე არსებული თუ ახალი მძიმე გამოწვევებისთვის მოუწევს სათანადოდ მომზადება, როგორ გამოწვევებადაც დღესდღეობით გვევლინება და შეიძლება მოგვევლინოს მომავლის პერსპექტივაში – მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის საერთაშორისო სოლიდარობის აუცილებლობა და ამის მიხედვით საერთაშორისო ბაზისის უზრუნველყოფა სამართლიანი და სტაბილური სოციო-ეკონომიკური გლობალიზაციისთვის / შრომის ძალის მიგრაციული პროცესის ეკოსისტემის შემსუბუქება კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე და საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ქმედითი როლის უზრუნველყოფა მიმდინარე პროცესებში / გენდერული ვითარების გაჯანსაღება მსოფლიო პროფკავშირულ

მოძრაობაში შრომის სამყაროს ევოლუციის ფონზე / ციფრული ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად მიღებული ხელოვნური ინტელექტის გავლენის პოზიტიური მიმართვა შრომის სამყაროზე / ეპიდემიური – პანდემიური ვითარებების შედეგად წარმოქმნილი სავალალო შედეგების პრევენციული გათვალისწინება-ანალიზი / არაფორმალური ეკონომიკის გავლენის ქმედითი იდენტიფიცირება შრომის ბაზარზე და ამ მიმართულებით საერთაშორისო – გლობალური პროფკავშირული მოძრაობის გამოწვევების გრადირება / პროფკავშირების მოდერნიზაციის იდეის აქტიური იმპლემენტაცია, როგორც ობიექტური აუცილებლობა / პროფკავშირული მოძრაობის როლის ცხადი გამოკვეთა ახალგაზრდებისთვის შრომითი გარემოს გაუმჯობესების ქმედით საქმეში და ა. შ... რათა საერთაშორისო – გლობალური პროფკავშირული მოძრაობა მოერგოს იმ რეალიებს, რაც უთუოდ დადგება გლობალიზმის გარდამქმნელ პირობებში. ასე რომ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ნიშანდობლივია ხაზი გაესვას იმ სოციალური ხასიათის მეცნიერულ თვალსაზრისსაც, რომ გლობალიზმისადმი შეპირისპირება, თუკი სოციალური მეცნიერებების კრიტიკული პერსპექტივიდან მისი არსის კრიტიკული გააზრებით შევხედავთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სოციალური აზროვნების ინტერნაციონალიზაციის უარყოფა. პირიქით, გლობალიზაციის თანამედროვე კრიტიკა, მეტადრე გამომდინარე კრიტიკული სოციალური თეორიის პერსპექტივიდან, უპირველესად ემსახურება იმას, რომ გლობალიზაციის დღევანდელი ფორმის მანკიერებანი ჩანაცვლებულ იქნას სოციალური აზროვნების ინტერნაციონალიზაციის ფორმით, რომელიც საბოლოო ჯამში იქნება აგებული გარკვეულ იდეალებსა და სოციალურად მდგრად ღირებულებებზე. ეს არ იმოქმედებს მხოლოდ მცირე ჯგუფებისადმი/გაბატონებული კლასებისადმი, არამედ იმუშავებს და იქნება ზოგად საკაცობრიო ინტერესებისადმი მიმართული მსოფლიოს თანასწორი სამართლიანი სოციალური სისტემის მდგრადი ტრანსფორმირების გზის უზრუნველყოფისათვის...

გამოყენებული ლიტერატურა

1. “Globalization” The Human Conzequences / ZYGMUNT BAUMAN, „გლობალიზაცია“ ადამიანის შედეგები / სოციოლოგი – ზიგმუნტ ბაუმანი, დიდი ბრიტანეთი, ოქსფორდი / კემბრიჯი 1998 წ.;
2. AIInews.ge – „ზოგიერთი კორპორაცია ზოგ ქვეყანას უკვე უთანაბრდება, როგორც შემოსავლებით, ისე საზოგადოებრივ აზრზე გავლენით – როგორ შეიძლება შეიცვალოს მსოფლიო წესრიგი?“, რუბრიკა – მსოფლიო 22.01.2021 წ. / 10:14, https://www.allnews.ge/msoplio/ 166153-zogierti-korporacia-rig-kveqnebs-ukve-utanabrdeba-rogorc-shemosavlebit-ise-sazogadoebriv-azrze-gavlenit-rogor-sheizleba-sheicvalos-msoplio-cesrigi/.
3. Globalizations, 1945-2011 / Volume 4: / The Sources of Social Power / MICHAEL MANN, „გლობალიზაცია“ სოციალური ძალაუფლების წყაროები / სოციოლოგი – მაიკლ მანი, კალიფორნიის უნივერსიტეტი / კემბრიჯი, 2013 წ.;
4. აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (“EECMD“), – პოლიტიკა და დემოკრატია, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2020 წ.;
5. სასწავლო სახელმძღვანელო წიგნი – გლობალური გეოგრაფია, ავტორები – ზურაბ დავითაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, თავი I – „გლობალიზაცია“ 1.1. „გლობალიზაციის ცნება / გლობალიზაციის ინდექსი“ (გლობალიზაციის არსი და ნიშნები, გლოკალიზაცია), თბილისი, 2012 წ.;
6. საქართველოს პირველი არხი 1TV.GE / 42° პარალელი / საზოგადოებრივი მაუწყებელი / რუბრიკა – დისკურსი & ინტერპრეტაცია /„გლობალიზაციის ექსპოზიცია“ – რუბრიკაში საუბარია გლობალიზაციის რაობაზე, როგორც სოციალური პროცესის, მდგომარეობისა და ეპოქის შესახებ, გადაცემა 42° პარალელის ანალიტიკოსი – მკვლევარი ბაქარ ბერეკაშვილი, თბილისი 28.10.2020 წ. https://youtu.be/8UKz_ohf7Ao?si=jM-n7EavUYyy59d3;
7. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება / საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი თამაზ

დოლაბერიძე, გეგმა/სახელმძღვანელო/პრეზენტაცია „გლობალიზაცია“, პროფკავშირების სასწავლო ცენტრი, ქობულეთი 2016 წ.;

8. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება / საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე – რაისა ლიპარტელიანი, გეგმა / სახელმძღვანელო / პრეზენტაცია „სოციალური დიალოგი“ / „ყოვლისმომცველი შრომის ბაზარი საქართველოში სამუშაო ადგილების შესაქმნელად“, პროფკავშირების ქართულ-ავსტრიული სკოლა, თბილისი 2020 წ.;
9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კულტუროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, წიგნი – საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო, თავი „გლობალიზაცია და ეროვნული ფენომენი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2018 წ.;
10. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, წიგნი – საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (სოციალურ მეცნიერებათა სერია – სალექციო კურსი), ლექცია XIII „გლობალიზაცია“, თბილისი, 2006 წ.;

Monitoring and Evaluation of Sustainable Development Goals: A Methodological Framework for Research on the Case of Georgia

Nana Akhalaia

Associate Professor, Georgian Technical University

Candidate of Economic Sciences,

Academic Doctor of Economics

n.akhalaia@gtu.ge

https://orcid.org/0000-0002-9372-0562

Nato Makhatadze

Associate Professor, Georgian Technical University

Academic Doctor of Social Sciences

nato.makhatadze@gtu.ge

https://orcid.org/0009-0001-0873-1591

DOI: 10.52340/splogos.2026.01.26

Abstract

Achieving the Sustainable Development Goals (SDGs) is a cornerstone of contemporary Georgian politics and national development strategy. This article examines the methodological framework for monitoring and evaluating the SDGs within the Georgian context, specifically addressing data availability, indicator precision, and quantitative selection processes. Furthermore, it analyzes the implementation of SDGs at the national level, focusing on the specific indicators and data collection methods employed. The findings suggest that methodological diversity enhances both assessment accuracy and the quality of strategic decision-making. Finally, the article proposes a comprehensive strategy integrating key principles, methods, and tools to facilitate effective SDG assessment at both national and regional levels, providing a clearer roadmap for evaluating policy achievements.

Keywords: Sustainable development, monitoring, evaluation, research methods, SDGs.

მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი და შეფასება: კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო საქართველოს მაგალითზე

ნანა ახალაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
n.akhalaia@gtu.ge
https://orcid.org/0000-0002-9372-0562

ნატო მახათაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
nato.makhatadze@gtu.ge
https://orcid.org/0009-0001-0873-1591

აბსტრაქტი

მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევა თანამედროვე ქართული პოლიტიკისა და ეროვნული განვითარების სტრატეგიის ქვაკუთხედია. წინამდებარე სტატია მიმოიხილავს მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიურ ჩარჩოს ქართულ კონტექსტში; კერძოდ, მასში განხილულია მონაცემთა ხელმისაწვდომობა, ინდიკატორთა სიზუსტე და რაოდენობრივი შერჩევის პროცესები.

გარდა ამისა, ნაშრომი აანალიზებს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე, ფოკუსირებულია კონკრეტულ ინდიკატორებსა და მონაცემთა შეგროვების მეთოდებზე. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება აუმჯობესებს როგორც შეფასების სიზუსტეს, ისე სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ხარისხს. დასასრულს, სტატია გვთავაზობს ყოვლისმომცველ სტრატეგიას — ძირითადი პრინციპების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების ინტეგრირებით — რაც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტურ შეფასებას როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე და შექმნის უფრო ნათელ საგზაო რუკას პოლიტიკის მიღწევების შესაფასებლად.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, მონიტორინგი, შეფასება, კვლევის მეთოდები, მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs).

Introduction

The concept of sustainable development has emerged as the definitive pillar of modern policy, necessitating a critical balance between economic growth, social equity, and environmental protection. Etymologically, the term **"sustainability"** derives from the Latin *sustinere*, meaning to "hold up" or "support," reflecting a system's capacity to endure over time. **"Research"** originates from the Old French *recercher*, signifying a thorough investigation or a "searching again," while **"Methods"** stems from the Greek *methodos*, referring to a systematic procedure or way of proceeding. Linguistically, **"sustainability research methods"** integrates these concepts into structured procedures focused on the long-term resilience of complex global systems.

The **Sustainable Development Goals (SDGs)** provide the internationally recognized framework required to unify these diverse objectives. Within this framework, research methods serve as the vital bridge between human activity and the natural environment, facilitating the evidence-based decision-making necessary for global progress.

For Georgia, a transition economy navigating regional disparities, demographic shifts, and environmental pressures, the monitoring and assessment of sustainable development is of paramount importance. In this context, the strategic selection of methodologies is the primary determinant of whether national assessments are merely bureaucratic exercises or reliable, practically applicable tools for change.

The purpose of this article is threefold:

- To examine modern methodological approaches to SDG monitoring;
- To propose a research framework specifically tailored to the Georgian socio-economic context;
- To identify practical tools and indicators for an effective and inclusive national assessment.

Research Methodological Framework

To fully grasp the significance of sustainability research, one must first appreciate its multifaceted nature. Sustainability transcends mere environmental protection; it is an integrated concept encompassing social equity, economic viability, and ecological integrity. Consequently, research in this field is inherently interdisciplinary, drawing from environmental science, sociology, economics, engineering, and policy studies. These methodologies provide the empirical evidence required to evaluate the impact of human agency and develop strategies for a balanced, sustainable world.

Typology of Research Approaches

Sustainability research methods employ a diverse array of approaches, each offering unique strengths and applications for policy assessment:

Quantitative Research: This approach includes statistical data analysis, indicator-based assessments, and time-series modeling. It involves the use of numerical data to measure and analyze sustainable development indicators. In the Georgian context, the primary data sources are:

- National Entities: The National Statistics Office of Georgia (Geostat) and the National Environmental Agency.
- International Databases: The UNDP, World Bank, and the UN SDG Global Database.
- National Reporting: Georgian Environmental Reports and research from international academic institutions.
- *Note:* Indicators are selected based on rigorous self-assessment and effectiveness criteria, reflecting the three main pillars of sustainable development.

Qualitative Research: This method emphasizes an in-depth understanding of experiences, perspectives, and meanings through non-numerical data. By utilizing interviews, focus groups, and case studies, researchers can achieve a rich interpretation of the social and cultural aspects of sustainable development that quantitative metrics might overlook.

Mixed Methods Research: Considered the modern standard for monitoring and assessing sustainable development, this approach strategically integrates both quantitative and

qualitative data. It provides a more comprehensive and detailed understanding of complex research questions, bridging the gap between numerical trends and human experience.

Theoretical Foundations: Beyond Metrics - Structure, Power, and Human Agency

Sociological Theoretical Foundations for SDG Assessment: Structure, Power, and Social Capabilities

The monitoring and evaluation of the Sustainable Development Goals (SDGs) is far more than a technocratic exercise; it is a socio-structural phenomenon deeply intertwined with the distribution of power, institutional legitimacy, and mechanisms of resource access. Sociological analysis allows us to understand how "development" is constructed, measured, and interpreted as a social construct. To provide a rigorous academic basis for this study, the implementation of SDGs in Georgia is examined within three primary sociological frameworks:

1. Structural Functionalism: Seeking Equilibrium and Integration

From the perspective of structural functionalism, society is viewed as a complex system of interconnected institutions whose stability depends on a functional equilibrium[287]. In this light, the SDGs act as a global "normative compass" or mechanism designed to harmonize international standards with local stability and ensure the reproduction of social order. For Georgia, achieving these goals is not just about meeting targets, but about ensuring that every part of the social system functions in a way that promotes collective well-being. However, this functional balance is frequently disrupted by regional inequalities and demographic transformations, which hinder comprehensive social integration.

2. Conflict Theory: Power Dynamics and Statistical Visibility

Conflict theory, rooted in the work of Karl Marx, posits that social development is inextricably linked to the distribution of resources and existing power structures [288] SDG indicators, therefore, are not merely neutral metrics of progress but are often reflections of

[287] **Parsons, Talcott.** 1951. *The Social System.* New York: Free Press. https://archive.org/details/socialsystem0000pars_o6s6

[288] . **Dahrendorf, Ralf.** 1959. *Class and Class Conflict in Industrial Society.* Stanford: Stanford University Press. https://www.google.com/books/edition/Class_and_Class_Conflict_in_Industrial_S/K0-5AAAAIAAJ

specific political priorities. This perspective necessitates a critical inquiry into the "politics of knowledge":

- Whose interests does the current indicator framework primarily serve?
- Which social groups remain **"statistically invisible"** within national data (e.g., those in remote mountain villages or informal labor sectors)? By demanding that we look beyond national averages, this lens humanizes the assessment process and identifies those who might be left behind by current political and economic priorities.

3. The Capability Approach: Cultivating Real Freedoms

The most humanizing framework is the Capability Approach, pioneered by Amartya Sen and further expanded by Martha Nussbaum. This theory shifts the focus from the mere existence of resources to the **"real freedoms"** people possess. Sen [289]argues that a person's well-being should be measured not by what they have, but by what they are actually able to do and be. Nussbaum [290]identifies fundamental capabilities, including health, education, and political participation, as essential for human dignity. For Georgia, this mandates that monitoring move beyond the mere availability of resources to evaluate the actual agency of citizens in utilizing those resources.

Scientific Novelty

The scientific novelty of this study lies in the development of an **integrated, multidimensional framework for monitoring and evaluating the Sustainable Development Goals (SDGs)**, which transcends traditional statistical reporting by synthesizing mixed research methods with core sociological paradigms (Structural Functionalism, Conflict Theory, and the Capability Approach). For the first time within the Georgian context, the implementation of the SDGs is analyzed through the lens of **"Normative Isomorphism,"** providing a unique perspective on how global standards are translated into national policies. This approach allows for a deeper assessment of the social effectiveness of these

[289] **Sen, Amartya.** 1999. *Development as Freedom.* New York: Alfred A. Knopf. https://archive.org/details/developmentasfre0000sena

[290] **Nussbaum, Martha C.** 2011. *Creating Capabilities: The Human Development Approach.* Cambridge: Harvard University Press. https://www.google.com/books/edition/Creating_Capabilities/87L7X7N3YnUC

goals, moving beyond numerical data to uncover the impact of institutional trust, power dynamics, and structural inequalities on regional development.

The Interplay of Theory and Practice: A Multidimensional Approach to SDG Assessment

The transition from theoretical commitment to the practical realization of Sustainable Development Goals (SDGs) requires a robust analytical foundation. In Georgia, this process is not merely a technical alignment with international benchmarks; it is a profound societal transformation that necessitates a sophisticated research methodology. To move beyond the surface of statistical averages, we must first establish the theoretical and methodological parameters that allow us to capture the lived reality of development. At the heart of our analysis is the concept of **Normative Isomorphism**. For a transitional democracy like Georgia, the adoption of the SDGs often serves a dual purpose: it acts as a catalyst for internal reform while simultaneously signaling the state's commitment to global values. However, the risk of "decoupling", where formal policies exist only on paper, is a constant challenge. Therefore, our research framework is designed to detect the gap between institutional appearance and practical impact.

Monitoring and Evaluation of sustainable development is not a static task but a multidimensional research process. By combining quantitative metrics with qualitative insights, M&E frameworks aim to measure progress toward the Sustainable Development Goals (SDGs), assess the effectiveness of national policies, and support evidence-based decision-making.

Global policy frameworks, such as the Paris Agreement and the 2030 Agenda, do more than set targets; they actively shape the methodologies used by researchers. Aligning Georgian research with these global standards promotes a more targeted and impactful research agenda.

In practice, these methods are essential for moving from theoretical discussions to practical implementation. They provide the tools necessary to assess the current state of sustainability challenges, monitor progress, and evaluate the effectiveness of interventions. Such an approach ensures that Georgian sustainability initiatives are grounded in solid evidence, promoting accountability and adaptive management in the face of shifting

environmental and societal dynamics. Ultimately, the effectiveness of SDG monitoring depends on the synergy of these methods, ensuring an objective and practically applicable assessment of national progress.

Social Structure, Inequality, and Institutional Trust in the SDG Framework

Monitoring and evaluating the Sustainable Development Goals (SDGs) is more than a technical or statistical exercise; it requires a rigorous analysis of social structures, power distributions, and institutional relationships. From a sociological perspective, SDG achievement depends not only on formal policy implementation but also on the social conditions that dictate individual capabilities, resource access, and civic participation.

Central to this framework is the Capability Approach, pioneered by Amartya Sen and Martha[291] Nussbaum. This theory shifts the focus from the mere existence of resources to the "real opportunities" individuals have to realize their potential. In the Georgian context, a multidimensional analysis reveals critical inequalities manifested through:

- Regional Imbalances: Significant disparities between urban centers (Tbilisi) and rural peripheries[292].
- Labor Market Segmentation: High rates of informal employment and structural gaps in the workforce[293].
- Demographic Shifts: Challenges posed by an aging population and changing age structures[294].

To analyze these strata, researchers must utilize disaggregated data from the World Bank's Poverty and Inequality Database, the ILO's Labor Statistics, and UN Women's Gender Data

[291] https://plato.stanford.edu/entries/capability-approach/#:~:text=By%20focusing%20on%20what%20people,the%20capability%20approach%20recognizes%20the

[292] https://pmcg-i.com/regional-disparities-in-georgia-surveyed-in-regional-development-project/

[293] https://www.ilo.org/publications/recent-trends-informal-employment-georgia#:~:text=The%20persistence%20of%20high%20informality,combination%20of%20(i)%20macroeconomic%20factors

[294] https://btuai.ge/en/demographic-shifts-in-georgia-aging-population-declining-birth-rates-and-growing-challenges-for-the-healthcare-system/#:~:text=Demographic%20Shifts%20in%20Georgia%3A%20Aging,the%20Healthcare%20System%20%2D%20BTU%20AI

Platform. These sources allow SDG indicators to be viewed through the lens of social stratification rather than simple national averages.

Institutional Trust and Governance

The success of sustainable development is inextricably linked to institutional trust and governance quality. Policies are only effective if supported by public trust, citizen engagement, and robust accountability mechanisms. Tools such as the World Governance Indicators and Transparency International's Corruption Perceptions Index are essential for evaluating the normative environment.

In Georgia, the SDG assessment must move toward evaluating the quality of social equity and social capital. Sociologically, sustainable development represents a social contract between the state and its citizens. Success depends on the fair distribution of resources and institutional transparency.

Expanded Methodological Requirements

To provide a deeper social understanding, the Georgian SDG monitoring framework should be expanded to include:

1. Capability and Agency Assessment: Measuring real freedom of choice.
2. Structural Inequality Analysis: Identifying systemic barriers to progress.
3. Institutional Research: Tracking trust and governance quality.
4. Critical Data Interpretation: Questioning how and why data is produced.
5. Social Impact Evaluation: Assessing the lived reality of policy outcomes.

Social Capital and Institutional Trust

The successful implementation of sustainable development is significantly dependent on the depth and quality of a nation's social capital. As the American political scientist and sociologist Robert D. Putnam famously argued, the effectiveness of institutions is not just a matter of design, but is inextricably linked to the levels of public trust and the vibrancy of civic engagement. In this sense, the Sustainable Development Goals (SDGs) cannot be viewed as mere economic targets; they are, in fact, a function of social relations.

In the Georgian context, this means that the technical success of a policy is often secondary to the environment in which it is executed. To evaluate the health of this environment, we must look toward indicators such as Transparency International's Corruption Perceptions Index and the World Governance Indicators. These metrics allow us to measure the normative and institutional foundations of the state, revealing how much faith citizens place in their governance structures. Ultimately, sustainable development in Georgia requires more than just efficient administration; it requires a revitalized social contract where transparency and accountability foster the trust necessary for collective progress.

Institutional Theory and Normative Isomorphism[295]

According to Institutional Theory (DiMaggio & Powell), organizations and states frequently replicate global norms as a strategy to secure international legitimacy. From this perspective, the national adaptation of the Sustainable Development Goals (SDGs) in Georgia can be characterized as a process of normative isomorphism, a phenomenon where a state adopts global standards to maintain its standing and credibility within the international system. This demonstrates that the implementation of the SDGs in Georgia fulfills two simultaneous roles: it addresses a genuine need for internal development and serves as a vital mechanism for external legitimacy.

Complementing this is the field of Data Sociology and "Indicator Politics." It is essential to recognize that data is not a neutral reflection of the world; rather, indicators actively construct social reality by defining what is recognized as a "problem." An analysis of indicator-based policy reveals how complex social challenges are translated into numerical values, which in turn dictate political and budgetary priorities. While the UN Statistics Division provides a universal framework, its successful localization requires a critical adaptation to the specific social nuances of the Georgian context.

Ultimately, a sociological assessment of the SDGs must be viewed through an integrated theoretical framework. This includes the analysis of structural inequalities, the distribution

[295] Isomorphism, in sociology and institutional theory, refers to the process by which organizations or states adopt similar trends, structures, or practices in response to external pressures, demands for legitimacy, or best practices.

of power and resources, and the evaluation of human capabilities and agency. Furthermore, it must account for institutional trust, social capital, and a critical interpretation of the policies governing data production. By adopting this multidimensional approach, Georgia can ensure that the assessment of its progress occurs not only at a statistical level but at a profound social level, ensuring a more inclusive and equitable development path. The final theoretical position of this study posits that a sociological assessment of the SDGs must transcend mere statistical reporting. Instead, it should be viewed as a multidimensional inquiry that begins with a deep analysis of structural inequalities and a rigorous study of the distribution of power and resources. By examining who holds the means to influence policy and who remains "statistically invisible," we move closer to understanding the true social landscape of development.

Furthermore, this framework requires an assessment of opportunities and agency, focusing on whether individuals have the real freedom to utilize available resources to improve their lives. This is inextricably linked to the indicators of institutional trust and social capital; without a foundation of public trust and transparent governance, even the most well-funded sustainability initiatives risk failure. Finally, a critical analysis of data policy is essential to understand how social problems are "translated" into numbers and how those numbers, in turn, shape national priorities.

Such an integrated theoretical framework ensures that the assessment of the SDGs in Georgia occurs not only at a statistical level but at a profound social level. It shifts the focus from global metrics to local realities, ensuring that the path toward sustainability is both inclusive and equitable for all segments of Georgian society.

National implementation practices, indicators and data collection methods of SDGs based on the example of Georgia

The implementation of the Sustainable Development Goals (SDGs) in Georgia began after 2015 and is based on the principle of integrating international commitments with national policies. National contextualization of the SDGs has been implemented in state development strategies, including "Georgia 2030", sectoral policies, and medium-term action plans. Implementation is coordinated by the government administration and

relevant ministries, with each agency assigned responsibility for the implementation of specific Goals and Targets. An important role is played by the National Statistical Service of Georgia (GeoStat), which ensures statistical monitoring of SDGs indicators and data harmonization with the UN framework.

Georgia regularly prepares Voluntary National Reviews (VNRs), which are the main tool for assessing progress on the SDGs and provide international accountability. SDGs monitoring in Georgia is based on the Global Indicator Framework defined by the UN, which is adapted to the country's statistical and institutional capacities.

The main categories of indicators are: social indicators (e.g., poverty rate, unemployment, access to education, gender equality); economic indicators (GDP per capita, labor productivity, innovation, contribution of tourism to the economy); environmental indicators (air quality, biodiversity, water resources, climate change); institutional and governance indicators (rule of law, effectiveness of public institutions, data transparency).

In the case of Georgia, not all global indicators are fully available. Accordingly, the following are used: fully measurable indicators, partially measurable indicators, and nationally adapted indicators.

In the SDGs monitoring and evaluation process, Georgia uses mixed data collection methods, which ensure a combination of quantitative and qualitative data. Administrative data (registers of ministries and agencies, social protection, education and health databases, environmental monitoring systems) Statistical surveys (population census, labor force survey, household income and expenditure survey, environmental statistical surveys) Geospatial and technological methods (satellite data (land use, forests, urbanization), GIS analysis to identify regional inequalities, remote sensing for climate indicators) Qualitative methods (analysis of policy documents, expert interviews, focus groups at the local level)

Challenges and limitations

- Incomplete availability of indicators at the regional level
- Low frequency of data updates
- Difficulties in institutional coordination
- Fragmentation of environmental data.



The presented graphical visualization depicts Georgia's progress towards the achievement of the 17 Sustainable Development Goals. The results show that achievements in the country are uneven and vary significantly across social, economic, and environmental goals. The goals with high progress are mainly related to social areas. Progress is particularly visible in the direction of quality education (SDG 4), where high participation and literacy levels indicate closeness to achieving the goal. The results achieved in the areas of health and well-being (SDG 3) and clean water and sanitation (SDG 6) are also positively assessed, reflecting the population's broad access to basic services.

In the zone of moderate progress are goals such as decent work and economic growth (SDG 8), affordable and clean energy (SDG 7), and sustainable cities and human settlements (SDG 11). While progress is evident in these areas, challenges remain, particularly in terms of labor market structure, youth unemployment, and urban governance.

The goals with low progress mainly cover environmental and social equity aspects. Particular difficulties are observed in the areas of gender equality (SDG 5), responsible consumption and production (SDG 12), and combating climate change (SDG 13). This indicates the need to strengthen institutional mechanisms, policy enforcement, and public awareness.

The radar chart clearly shows that Georgia's development profile is more focused on social achievements, while environmental sustainability and inclusive development are relatively weak links. The bar chart highlights specific goals where strengthening targeted policies is critically important.

The graphical results confirm that reducing regional inequality, strengthening gender policies, and a systemic approach to climate and environmental challenges should be prioritized in Georgia's sustainable development agenda.

Conclusion

The role of research methods in the process of monitoring and evaluating sustainable development is crucial. The example of Georgia shows that the integrated use of quantitative and qualitative/qualitative methods increases the effectiveness of evaluation and the quality of policy planning. Sustainable development monitoring is progressing, although challenges remain, such as data fragmentation, insufficient localization of indicators, and weak institutional coordination. The systematic use of research methods contributes to the reduction of these problems and the adoption of evidence-based decisions.

It is advisable to improve data collection methods and strengthen regional studies for more effective implementation of the Sustainable Development Goals:

- Integrated data system: centralized data collection at all levels
- Indicator adaptation: adapting global SDGs indicators to the specifics of Georgia
- Mixed assessment methods: combining trend, comparative, and narrative analysis
- Regional specificities: differentiating data for mountainous regions, cities, and rural settlements
- Policy feedback: using monitoring results in practical policy decisions.

From a social perspective: In the Georgian context, particular importance is attached to reducing regional inequalities, regulating informal work, recognizing care work, and integrating young people and the elderly into economic and social life. Thus, the success of implementing the SDGs is determined not only by the rate of economic growth but also by the extent to which an inclusive social space is created, where each individual has the opportunity to fully participate in public life. Sustainable development, from a sociological perspective, is not only about achieving goals but also about institutionalizing social justice. Research is a fundamental foundation in this process. Without systematic, methodologically sound, and disaggregated data-based research, it is impossible to

accurately diagnose problems, identify structural causes, and formulate targeted policies. Without empirical analysis, development can only be based on formal indicators or superficial assessments, which cannot ensure sustainable and equitable outcomes.

This approach transforms the SDGs from a reporting tool to a mechanism for social transformation. It is research-based policy that creates the basis for real social change, which is especially important in conditions of transitional democracies and evolving social structures.

გამოყენებული ლიტერატურა /References

1. **დარენდორფი, რალფ.** 1959. *კლასი და კლასობრივი კონფლიქტი ინდუსტრიულ საზოგადოებაში.* სტენფორდი: სტენფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://www.google.com/books/edition/Class_and_Class_Conflict_in_Industrial_S/K0-5AAAAIAAJ
2. **ილო (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია).** 2024. „არაფორმალური დასაქმების ბოლოდროინდელი ტენდენციები საქართველოში“. https://www.ilo.org/publications/recent-trends-informal-employment-georgia
3. **ნუსბაუმი, მართა.** 2011. *შესაძლებლობების შექმნა: ადამიანური განვითარების მიდგომა.* კემბრიჯი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://www.google.com/books/edition/Creating_Capabilities/87L7X7N3YnUC
4. **პარსონსი, ტალკოტ.** 1951. *სოციალური სისტემა.* ნიუ-იორკი: Free Press. https://archive.org/details/socialsystem0000pars_o6s6
5. **რობინეინი, ინგრიდ.** 2020. „შესაძლებლობების მიდგომა“. *სტენფორდის ფილოსოფიური ენციკლოპედია.* https://plato.stanford.edu/entries/capability-approach/
6. **სენი, ამარტია.** 1999. *განვითარება როგორც თავისუფლება.* ნიუ-იორკი: Alfred A. Knopf. https://archive.org/details/developmentasfre0000sena
7. **BTU AI.** 2024. „დემოგრაფიული ცვლილებები საქართველოში: მოსახლეობის დაბერება და შემცირებული შობადობა“. https://btuai.ge/en/demographic-shifts-in-georgia-aging-population-declining-birth-rates-and-growing-challenges-for-the-healthcare-system/
8. **PMCG.** 2024. „რეგიონული უთანასწორობა საქართველოში“. https://pmcg-i.com/regional-disparities-in-georgia-surveyed-in-regional-development-project/

References (English Original)

1. **BTU AI.** 2024. "Demographic Shifts in Georgia: Aging Population, Declining Birth Rates and Growing Challenges for the Healthcare System." https://btuai.ge/en/demographic-shifts-in-georgia-aging-population-declining-birth-rates-and-growing-challenges-for-the-healthcare-system/
2. **Dahrendorf, Ralf.** 1959. *Class and Class Conflict in Industrial Society.* Stanford: Stanford University Press. https://www.google.com/books/edition/Class_and_Class_Conflict_in_Industrial_S/K0-5AAAAIAAJ
3. **ILO (International Labour Organization).** 2024. "Recent Trends in Informal Employment in Georgia." https://www.ilo.org/publications/recent-trends-informal-employment-georgia
4. **Nussbaum, Martha C.** 2011. *Creating Capabilities: The Human Development Approach.* Cambridge: Harvard University Press. https://www.google.com/books/edition/Creating_Capabilities/87L7X7N3YnUC
5. **Parsons, Talcott.** 1951. *The Social System.* New York: Free Press. https://archive.org/details/socialsystem0000pars_o6s6
6. **PMCG.** 2024. "Regional Disparities in Georgia Surveyed in Regional Development Project." https://pmcg-i.com/regional-disparities-in-georgia-surveyed-in-regional-development-project/
7. **Robeyns, Ingrid.** 2020. "The Capability Approach." *The Stanford Encyclopedia of Philosophy.* https://plato.stanford.edu/entries/capability-approach/
8. **Sen, Amartya.** 1999. *Development as Freedom.* New York: Alfred A. Knopf. https://archive.org/details/developmentasfre0000sena